ISSN 1512-066X

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL

# გ ო ნ ი
# G O N I

## №9

ჟურნალში წარმოდგენილია მეცნიერებათა შემდეგი მიმართულებები: აგრარული, ბიზნესის ადმინისტრირება, განათლება, ინჟინერია, საბუნებისმეტყველო, სამართალი, სოციალური, ხელოვნება, ჯანდაცვა, ჰუმანიტარული და მიმართულებათშორისი.

The journal is focused on the following science fields: Agriculture, Business Administration, Education, Engineering, Natural Sciences, Law, Social Sciences, Arts , Health care, Humanities, Multidisciplinary Sciences.

## ჟურნალი წარმოადგენს
## ,,სოციალურ მეცნიერებათა კვლევებისა და განვითარების ცენტრი"-ს
## პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

## სარედაქციო კოლეგია


**გურამ აბესაძე** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; **ჯამბულ ბიწაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **კობა ბუაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **ავთანდილ ბუცხრიკიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **მამულო ბუჭუხიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **თამაზ გვალია** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **თამაზ გოგბერაშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **რობერტ გოლეთიანი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ემერეტუს-პროფესორი; **თინათინ გუგეშაშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი **ნანა თხელიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **რამაზ კილაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; **ვახტანგ კვანტრიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; **ინგა კიკვიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; **თინათინ კოსტავა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ - პროფესორი **მზია კუბეცია** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **რუსუდან მიქაუტაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **ომარ ნიშნიანიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; **იზოლდა რუსაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **კახა სურგულაძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; **მედეა ტაბატაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი; **გიორგი ფურცხვანიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; **ციცინო ქარსელაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **გრიგოლ ქობალიანი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; **დარეჯან ჩხიროძე** - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსის "გონი"-ს დირექტორი, აკადემიური დოქტორი; **ვლადიმერ წვერავა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; **თამთა ჭეიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი. **ემზარ ჯულაყიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი;

**სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები**

**პ. ბრიში** - თომას ბატას უნივერსიტეტი, პროფესორი (ჩეხეთი); **ბ. მამიკონიანი,** - სომხეთის სახელმწიფო საინჟინრო უნივერსიტეტი (გიუმრის ფილიალი), პროფესორი, (სომხეთი); **რ. ოზგურ დონმეზ** - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. ბოლუ აბანთ იზეთ ბაისალის უნივერსიტეტი, პროფესორი. **ს. აბდულაევა** - ბაქოს სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი, პროფესორი (აზერბაიჯანი); **დ. მუხამედხანი** –ალმაატის ყაზახურ-ბრიტანული ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი, (ყაზახეთი).**გ. დენაფასი** - კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პროფესორი (ლიტვა). **ხ. ისმაილოვი** – აზერბაიჯანის სახელმწიფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პროფესორი (აზერბაიჯანი). **ჰ. ლე ნოანი** - რენეს გამოყენებით მეცნიერებათა ინსტიტუტში (საფრანგეთი)

მთავარი რედაქტორი - აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი- **თამთა ჭეიშვილი.**
სწავლული მდივანი - დოქტორანტი - **მედეა ტაბატაძე.**

**რედაქტორები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით:**
აგრარული - პროფესორი **რ.კილაძე**; ბიზნესის ადმინისტრირება – ასოცირებული პროფესორი **თ.გუგეშაშვილი**; განათლება - ასოცირებული პროფესორი **მ. ბუჭუხიშვილი**; ინჟინერია – პროფესორი **გ.ფურცხვანიძე**; საბუნებისმეტყველო - ასოცირებული პროფესორი **თ. გვალია**; სამართალი - ასოცირებული პროფესორი **კ. ბუაძე**; სოციალური მეცნიერებები - ასოცირებული პროფესორი **თ. გოგბერაშვილი**; ხელოვნება - ასოცირებული პროფესორი **რ. მიქაუტაძე**; ჯანდაცვა - ასოცირებული პროფესორი **ც. ქარსელაძე**; ჰუმანიტარული მეცნიერებები - ემერეტუს-პროფეოსრი **რ. გოლეთიანი**. მიმართულებათშორისი დარგები – პროფესორი **ვ. კვანტიძე**;



**ელ-ფოსტა:** journal.goni@gmail.com
**T.** 577 198 775, 557 171 475;

This journal is a periodical scientific publication of
the Social Sciences Research and Development Centre

EDITORIAL BOARD

**Guram Abesadze** – Sukhumi State University. Professor; **Jambul Bitsadze** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Koba Buadze** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Avtandil Buckhrikidze** - Akaki Tsereteli State University. Professor; **Mamuli Buchukhishvili** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Tamaz Gvalia** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Tamaz Gogberashvili** - Akaki Tsereteli State University. Professor; **Robert Goletiani** - Akaki Tsereteli State University. Emeritus Professor; **Tinatin Gugeshashvili** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Nana Tkhelidze** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Ramaz Kiladze** - Akaki Tsereteli State University. Professor; **Vakhtang Kvantidze** - Akaki Tsereteli State University. Professor; **Inga Kikvidze** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Tinatin Kostava** - Akaki Tsereteli State University. assistant professor; **Mzia Kubetsia** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Rusudan Mikhautadze** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Omar Nishnianidze** - Akaki Tsereteli State University. Professor; **Izolda Rusadze** - Akaki Tsereteli State University Associate Professor; **Kakha Surguladze** – Shota Rustaveli State University. Professor; **Medea Tabatadze** - Akaki Tsereteli State University, PHD Student; **George Purtskhvanidze** - Akaki Tsereteli State University. Professor; **Tsitsino Karseladze** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Grigol Kobaliani** - Akaki Tsereteli State University. Associate Professor; **Darejan Chkhirodze** – Director of Multiprofile Educational Centre "Goni", Academic Doctor; **Vladimer Tsverava** - Akaki Tsereteli State University. Professor; **Tamta Cheishvili** - Akaki Tsereteli State University. Assistant Professor; **Emzar Julakidze** - Akaki Tsereteli State University. Professor;

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD
**H. Brish** – Professor. Tomas Bata University /Czech Republic/; **B. Mamikonian** – Professor. Stater Engineering University of Armenia /Armenia/; **I. Marinisen** – Professor. Redbout University Nijmegen./Netherlands/; Professor, **RD.Dönmez** - International Relations Department at Abant Izzet Baysal University/Turke **S. Abdulaeva** – Professor. Baku State Economic University;. /Azerbaijan/; **D. Mukhamedkhan** – Professor. Almaty Kazak-British Technical University /Kazakhstan/ ; **G. Denafas** –Professor. Kaunas University of Technology /Lithuania/; **Kh. Ismailov** – Professor, Azerbaijan Technology State University (Azerbaijan); **HL. NOANE** - Professor Instructional designer, at the University INSA Rennes/ France

Editor in Chief: Academic doctor, Assistant Professor **Tamta Cheishvili**
Academic Secretary: PHD Student **Medea Tabatadze**
Academic editors according to the science fields:
Agriculture – Professor **R. Kiladze;** Business Administration - Associate Professor **T.Gugeshashvili;** Education- Professor **M. Buchukhishvili;** Engineering – Professor **G.Purtskhvanidze**; Natural Sciences- Associate Professor **T.Gvalia**; Law-Associate Associate Professor **K. Buadze**; Social Sciences- Associate **T.Gogberashvili**; Arts – Associate Professor **R. Mikautadze**; Health care – Associate Professor **Ts.Karseladze;** Humanities - Emeritus Professor **R. Goletiani**; Multidisciplinary Sciences- Professor **V.Kvantidze**;
**Email:** journal.goni@gmail.com

**T.** 577 198 775, 557 171 475;

# 1 აგრარული AGRICULTURE








# 2

# ბიზნესის ადმინისტრირება
# BUSINES ADMINISTRATION






# 3 განათლება
# EDUCATION
# ОБРАЗОВАНИЕ



# თვალსაჩინოების როლი ისტორიის სწავლების პროცესში

ხათუნა აფრიდონიძე სსიპ. ი. ოცხელის სახ. ქ. ქუთაისის N2 საჯარო სკოლა
ელ. ფოსტა: khatunaafridonize@gmail.com

*თვალსაჩინოებებზე მუშაობის მეთოდი სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ვიზუალური ინფორმაცია აღიქვან გაიაზრონ და მათი გამოყენებით,ინფორმაცია მოიძიონ. ისტორის სწავლებაში განსაკუთრებით ეფექტური იარაღია, როგორც წარსულის აღსადგენად, ისე აწმყოს სრულფასოვნად აღსაქმელად. ამ მიდგომით უვითარდება ბავშვს ვიზუალური უნარები. მოსწავლე იგებს, რომ შეიძლება „წაიკითხო" არამარტო ტესქსტიარამედ ფოტოც. მოსწავლე იწყებს გაცნობიერებას, რომ ნებისმიერი ვიმუალური მასალა ძვირფასი წყაროა ეპოქის მაჯისცემის გასაგებად. სწორედ ეს მეთოდი იძლევა საშუალებას მოსწავლე გამჭოლ კომპეტენციას დაეუფლოს. რუკის, დიგრამის, სქემის, ნახატის საშულებით ახდენს გადმოვემული ინფორმაციის გააზრებასა და ინტეპრეტაციას. თვალსაჩინოებებზე მუშაობით ხდება მოსწავლის ინტერაქტიული განვითარება.*

გაკვეთილისათვის კონკრეტული თვალსაჩინოების არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის ინტერესები. ამ კონკრეტულმა თვალსაჩინოებამ მოსწავლეებში უნდა გაზარდოს მოტივაცია. ამ მეთოდის უარყოფიდ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ შერჩევა ასაკისათვის შეუფერებელი, რომელის ინფორმაციის მირებას გაართულებს.

ისტორიის სწავლებისას დიდი ადგილი უჭირავს ისტორიული რუკის გამოყენებას და მისი შექმნის სწავლებას. მოსწავლეებს უნდა განუვითაროთ რუკის კითხვის უნარჩვევა.

ისტორიის სწავლებისას ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი თვალსაჩინოებაა. წყაროდ ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოები შეიძლება ჩავთვალოთ. მასზე მუშაობა მოსწავლეს აჩვევს არასტანდარტული ტექსტების კითხვას: ამდიდრებს მის მექსიკურ მარაგს; ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

წყაროზე მუშაობა რამოდენიმე ეტაპად უნდა დავყოთ. თავდაპირველად, მოსწავლეებს ტექსტის დათვალიერება უნდა ვთხოვოთ. სასურველია მათ ტექსტიდან პერსონალების, თარიღების და სხვა მსგავსი ადვილად აღსაქმელი ინფორმაციის გამოცალკავება და ამოწერა დავავალოთ. ტექტის ამგვარად დამუშავების შემდეგ მოსწავლეებს აღარ აშინებთ მასალის ტექსტის სირთულე და ისინი უკვე მზად არიან უფრო რთული აქტივობების შესასრულებლად.

მომდევნო ეტაპზე საჭიროა, ტექსტი

აზრობრივ აბზაცებად და სტროფებად დავანაწილოთ. კარგი იქნება, ასეთ აზრობრივ ერთეულებს სათაურებსაც თუ დავარქმევთ და მათ შინაარსს საჯაროდ გავაანალიზებთ.

წყაროს ამგვარი დამუშავების შემდეგ მისის შინაარსობრივი მხარის დამუშავებაზე გადავდივართ. ამისათვის ვსვამთ ანალიტიკურ კითხვებს, რომლებიც მოსწავლეს კრიტიკულ აზროვნებას განუვითარებს.

შეკითხვები უნდა იყოს ორიენტირებული იმის გარკვევაზე, თუ რა განაპირობებს მოცემული თემის აქტუალობას? რით განსხვავდება წყაროში არსებული რეალობა თანამედროვე სინამდვილისაგან? რა განაპირობებს ავტორის პოზიციას? რამდენად დამაჯერებელია მისი არგუმენტები და ა.შ.

დადებითი შედეგები:

- ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაციის უნარის განვითარება
- ანალიტიკური უნარის განვითარება
- არასტანდარტული ტექსტის კითხვის უნარი
- წერილობით დოკუმენტებში აღწერილი რეალობის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირება

უარყოფითი შედეგები:

თუ კი მოსწავლეს წყაროს სახით რთულ (ასაკისათვის შეუფერებელ) ტექსტს შევთავაზებთ ან წყაროზე არაეფექტურად ვამუშავებთ, შესაძლებელია, მიწოდებულმა მასალამ მოსწავლე დათრგუნოს და მას საგნის მიმართ ინტერესი გაუნელოს.

მასწავლებელმა ნებისმიერი თვალსაჩინოება მნიშვნელოვან სასწავლო რესურსად შეიძლება აქციოს. ფოტოების საშუალებით მასწავლებელი საკლასო ოთახში მცირეოდენ ,,რეალობას" შეიტანს. მასწავლებელს მრავალი საინტერესო კითხვის მოფიქრება შეუძლია, რაც მოსწავლეებს მიმართლებას მისცემს ანალიზის პროცესში. ფოტოების გაანალიზება მოსწასვლეებს ჰმატებს ცოდნას ადგილზე თუ ადამიანებზე, აძლევს მას შესაძლებლობას, გამოთქვან მოსაზრებები, გაუზიარონ ისინი თანაკლასელებს. საკითხის უკეთ შესასწავლად და გასაანალიზებლად, მასწავლებელს შესაძლოა, ჰქონდეს ფოტო კოლექცია სხვადასხვა თემაზე. კოლექციის ფოტოების შეგროვებაში მოსწავლეებსაც მივაღებინოთ მონაწილეობა, რაც აამაღლებს მათ თვითშეფასებას.

ის ფაქტი, რომ თანამედროვე მოსწავლეებზე ტელევიზიას და ფილმებს უდიდესი გავლენა აქვს, გაკვირი არავისთვისაა. მასწავლებელმა წინასწარ უნდა ნახოს სასაწვლო ფილმი და თუ საჭიროდ ჩათვლის, მოამზადოს გარკვეული კითხვარი მოსწავლეებისათვის. ამ კითხვებზე პასუხებს მოსწავლეები სეანსისას ჩაინიშნავენ. ფილმის ჩვენებას უნდა მოჰყვეს დისკუსია.

სწორედ თვალსაჩინოებასთან მუშაობის მეთოდი იძლევა საშუალებას, მოსწავლე გამჭოლ სემიოტიკურ კოპეტენციას დაეუფლოს. რაც მთავრია მრავალფეროვანი თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში ეფექტურად გამოყენება იძლევა საშუალებას მოსწავლის მრავალმხრივი ინტელექტუალური განვითარების საშუალებას.

სასწავლო რესურსი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ამავდროულად უნდა იყოს საინტერესო, სახალისო, აქტუალური და მრავალფეროვანი. მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესში ისეთი რესურსი უნდა გამოიყენოს რომელიც მისცემს მასალაში ჩაღმავების საშულებას.იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რამ-

დენად ეფექტიანი იქნება ამა თუ იმ რესურსის გამოყენება, აუცილებელია დავადგინოთ სხვადასხვა სახის რესურსის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამის დადგენა მასწავლებელს აძლევს საშუალებას, წინასწარ განჭვრიტოს, რის გაკეთება შეიძლება იმისათვის, რომ უარყოფითი მხარეები მაქსიმალურად შეამციროს. მაგალითად, თუ რუკა/სქემა/პლაკატი დიდი ფორმატისაა და მისი გამოყენება მხოლოდ საერთო საკლასო მუშაობისას არის მოსახერხებელი, მასწავლებელს შეუძლია შედარებით მცირე ფორმატის რამდენიმე ასეთი თვალსაჩინოება შექმნას მცირე ჯგუფებში სამუშაოდ. აქედან გამომდინარე, კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესი გულისხმობს სხვა კომპონენტებთან ერთად სასწავლო რესურსების მოძიებას, მობილიზებასა და შექმნას. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო რესურსი არ იყოს ორიენტირებული მოსწავლეების რომელიმე ერთი უნარის განვითარებაზე, არამედ იძლეოდეს უნარების კომპლექსურად განვითარების საშუალებას. მაგალითად, სასწავლო ფილმის შექმნისას მასწავლებელს შეუძლია ჩართოს მოსწავლეები სცენარის წერაში (წერის უნარი), ფილმის გახმოვანებაში (ზეპირმეტყველების უნარი), მიიღოს მათგან რჩევები ხედებისა და ა.შ.

რუკების, სქემებისა და ფოტოების გარდა ბუნებრივია არსებობს სხვა ვიზუალური მასალები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით გადმოქვცემენ ინფორმაციას. ისტორია არ არის ერთადერთი საგანი, რომლის სწავლებისას ეს რესურსები გამოიყენება.გამოიყენება, თუმცა მათი მნიშვნელობა ისტორიისათვი ძალიან დიდია. გრაფიკული საშუალებები კარგად ასახავენ ინფორმაციას.მათი ინტერპრეტაცია და წაკითხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევააა, რასაც მოსწავლე სხვადასხვა საგნის ფარგლებში ითვისებს. რაც უფრო მრავალფეროვან საშუალებებს შევთავაზებთ მოსწავლეებს მთელი წლის მანძილზე (სვეტოვანი, ხაზოვანი ...), მით უფრო გაიზრდება მათი ინტერპრეტირების უნარი. ასევე, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ასაკის შესაბამისი დავალებები, რომელიც გრაფიკების დიაგრამების აგებას თუ ცხრილების შედგენას ითვალისწინებს. ისინი ინფორმაციის გაანალიზებას უწყობს ხელს. მოსწავლე კარგად იმახსოვრებს ინფორმაციას. ხშირად ზეპირი თუ წერითი ნარატივით გადმოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლები ძნელად აღსაქმელს ხდის.

საიტერესო სასწავლო რესურსი არის ტესტი, ვიდრე ტესტური დავალების შედგენას შევუდგებოდეთ, აუცილებლად უნდა განვსაზღროთ ტესტური დავალებების ვიდრე რისთვის იქმნება ეს ტესტი (ტესტის მიზანი) უნდა გამოვიყენოთ ის განმავიტარებელი შეფასებითვისაც, მაგალიტად ახალი მასალის შესწავლის წინ, შუალედურად, საკითხის შესწავლისას ათვისების დონის შესამოწმებლად თუ განმსაზღვრელი შეფასებისათვის, მოსწავლეთა მიღწევების ცოდნის განმსაზღვრელად.

ამავდროულად უნდა განვსაზღროთ თუ რა ტიპის უნარებისა და მარტივი და რთული დავალება უნდა შევასრულებინოთ მოსწავლეებს. ტესტი, როგორც სასწავლო რესურსი უნდა გამოვიყენოთ წინასწარ განსაზღრული ინტერვალებით, რათა მოსწავლებისათვის არ იყოს მოსაბეზრებელი და არ დაეცეს მათი მოტივაცია სასწავლო პროცესში.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაზეთი ,,მასწალებელი”.2015 წ 9 ოქტომბერი

2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 სასწავლო წელი.
3. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრიზუბა ოჩაური. თბ.2015წ
4. თავზირიშვილი. ა. სახალხო განათლების და პედაგოგიური აზროვნების ისტორია. თბ.2012წ
5. რუსუდან გონაშვილი სასწალო რესურსი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016 წელი
6. სასწავლო რესურსები მასწავლებლებისათვის ნაწ. 1, ეროვნული სასწავლი გეგმისა და შეფასები ცენტრი. თბ 2007
7. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება ნაწ. 1, ეროვნული სასწავლი გეგმისა და შეფასები ცენტრი. თბ 2007
8. სასარგებლო რესურსი მასწავლებლებისათვის ნაწ. 1, ეროვნული სასწავლი გეგმისა და შეფასები ცენტრი. თბ 2007
9. http://mastsavlebeli.ge/?p=4098


**THE ROLE OF VISUALS IN THE PROCESS OF TEACHING HISTORY**


**Khatuna Apridonidze,**

Kutaisi Public School N2



**Summary**

In the course of studying and teaching the history at school, it is necessary to define the condition that will help to improve assimilating a subject. The method of working with visual aids is very fruitful in school life for improving students' level and abilities, raising motivation. They will develop independent thinking, critical, research-oriented skills, creative outlooks. All this will increase the interest and motivation of pupils towards studying the subject and they are actively involved in the teaching process. The interactive development of the student is done through the working with visual aids.


# ბგერათა რედუქციის შესახებ ქართულ ენაში


ეთერ ბრეგაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**E-mail: eteri.bregadze@mail.ru**


*მეტყველების პროცესში ბგერათა ურთიერთგავლენითა და ურთიერთმეზობლობით განპირობებული ბგერათცვლილებაა მოსალოდნელი. ასეთი ფონეტიკური მოვლენაა ბგერათა დაკარგვა ანუ რედუქცია.*

*სიტყვაში ესა თუ ის მოსალოდნელი ბგერა სრულებით აღარ მოიპოვება არც თავის ადგილას, არც სხვა ადგილზეა გადასმული ან კიდევ დასუსტების გზით ერთი ბგერა მეორემდეა დაყვანილი, ეწოდება ბგერათა დაკარგვა ანუ რედუქცია. "რედუქცია» - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს - უკან ვაბრუნებ. ეს ფონეტიკური მოვლენა ასეა განმარტებული "უცხო სიტყვათა ლექსიკონში» - ბგერის დასუსტება ან მისი სრული დაკარგვა. ბგერათა დაკარგვის ერთ-ერთი სახეა ზოგიერთ ხმოვანთა რედუქცია, ანუ კუმშვა. "რედუქცია ხმოვანთა დისტანციური ურთიერთგავლენით გამოწვეული დისიმილაციური ხასიათის ბგერათცვლილებაა, რომლის დროსაც, ხმოვანთა თავმოყრის გამო, სიტყვა ერთ ან მეტ მარცვალს კარგავს.»*

*ხმოვანთა რედუქციას მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნეს აკად. აკ. შანიძემ, არნ. ჩიქობვამ, გ. ახვლედიანმა, ვ. თოფურიამ, თ. გამყრელიძემ, ტ. ფუტკარაძემ და სხვებმა.*

რედუქციის დროს იკარგება როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი ბგერები არა მარტო ქართულ ენაში, არამედ მთელ რიგ დიალექტებში (იმერული, ფშაური, კახური, ინგილოური, მესხური, რაჭული, ლეჩხუმური...)

განვიხილოთ თანმოვანთა რედუქციის შემთხვევები:

იკარგება თანხმოვნები:

ა) ჰ ბგერა იკარგება ხმოვნების წინ:

ჰექიმი - ექიმი

ჰამბავი - ამბავი

ჰუნარი - უნარი

ჰომი - ომი

ჰაზრი - აზრი

ჰალალი - ალალი

ჰ ბგერა შემორჩენილია სიტყვაში ჰავა და სამწიგნობრო ქართულში - ზმნებში:

ჰგავდა, ჰგონია, ჰკადრებდა, ჰყავს, ჰქონდა, ჰკიდია, ჰკითხავდა, ჰპარავს, ჰპარსავდა, ჰპირდება, ჰშვენის..., უნდა იყოს ჰ, მაგრამ ის მაინც იკარგება და ხშირად გვესმის: გავდა, გონია, კადრებდა, ყავს, ქონდა, კიდია, კითხავდა, პარავს, პარსავდა, პირდება, შვენის..., რაც უმართებულოა.

"ხელოვნური ხასიათი აქვს - წერს აკად. ა. შანიძე, ჰ-ს შენახვას უცხო ენებიდან ნასესხებ სიტყვებში, როგორიცაა, მაგალითად: ჰარმონია, ჰეგემონია, ჰიპოთეზა, ჰორიზონტი და მისთ».

ანალოგიური ვითარებაა ფრანგული, ბერძნული, გერმანული, ლათინური და სხვა ენებიდან შემოტანილ სიტყვებში, სადაც ყოველდღიურ მეტყველებაში ჰ-ს ადგილს იჭერს გ ან ხ, რაც არასწორია. ისეთი სიტყვებია:

ჰამაკი - გამაკი

ჰუმანიზმი - გუმანიზმი

ჰუმანიტარული - გუმანიტარული

ჰემატოგენი - გემატოგენი

ჰერმესი - გერმესი

ჰიგიენა - გიგიენა

ჰიმნი - გიმნი

ჰიპერტონია - გიპერტონია

ჰიპნოზი - გიპნოზი

ჰემატომა - გემატომა

ჰიბრიდი - გიბრიდი

ჰერბარიუმი - გერბარიუმი

ჰერკულესიტ - გერკულესი

ჰონორარი - გონორარი

ჰერცოგი - გერცოგი

ჰილზი - გილზი

ჰოსპიტალი - გოსპიტალი

ბ) როცა სიტყვაში რამდენიმე თანხმოვანი იყრის თავს, ერთ-ერთი მათგანი იკარგება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ს ბგერის დაკარგვა, კერძოდ, ფუძეთანხმოვნიან სახელებზე -თან, -ზე, -ში, თანდებულის დართვისას იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი - ს;

სახლსთან - სახლთან

წიგნსთან - წიგნთან

მეგობარსთან - მეგობართან

ოთახსში- ოთახში

კლდესზე - კლდეზე

კედელსზე - კედელზე

ხესზე - ხეზე

-ს იკარგება აგრეთვე ნათესაობით ბრუნვაში რთულფუძიან სახელებში:

შვილისშვილი - შვილიშვილი

მამიდასშვილი - მამიდაშვილი

დეკანოზისშვილი - დეკანოზიშვილი

გურამისშვილი - გურამიშვილი

რკინისგზა - რკინიგზა

ფუძეხმოვნიან სახელებში -თან თანდებულის დართვის დროს მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს შენარჩუნებულია: ხე-ს-თან, მზე-ს-თან, კლდე-ს-თან კიბე-ს-თან, მაგრამ სახლ-თან, რვეულთან, წიგნ-თან.... არის მართებული აღნიშნულ თანმხოვანფუძიან სახელებთან.

ს იკარგება აგრეთვე თ-ს წინ ზმნებში, სადაც III სუბიექტური პირის ნიშანი -ს, ობიექტის მრავლობითობის თ-ს წინ იკარგება:

გიგზავნით - ის თქვენ მას

მოგიმართოთ - მან თქვენ ის

გაგითენოთ - მან თქვენ ის
გიზიდავთ - ის თქვენ მას
გთხოვთ - ის თქვენ მას
და არა
გიგზავნისთ - ის თქვენ მას
მოგმართოსთ - მან თქვენ ის
გაგითენოსთ - მან თქვენ ის
გიზიდავსთ - ის თქვენ მას
გთხოვსთ - ის თქვე მას და სხვ.

გ) როცა სიტყვა რთულფუძიანია და ორი ს იყრის თავს, ერთ-ერთი იკარგება:

ტანისსამოსი - ტანისამოსი
წუთისსოფელი - წუთისოფელი
ცისსარტყელა - ცისარტყელა
გულისსწორი - გულისწორი
ზმნისსართი - ზმნისართი

დ) იკარგება ვ ბგერა ო-სა და უ-ს მეზობლობაში:

თავი - თაობა
სანახავი - სანახაობა
ხევი - ხეობა
ფშავი - ფშაური
დათვი - დათური

ე) იკარგება მ თანხმოვანი:

მღვდელი - ღვდელი
მთვარე - თვარე
მჭადი - ჭადი
მწარე - წარე
მთელი - თელი
მთლად - თლად

მ ბგერა იკარგება თანხმოვანთა თავმოყრის გამო:

მბრწყინვალე - ბრწყინვალე

ასევე იკარგება რ თანხმოვანი; ახალგაზრდა - ახალგაზდა

ვ) იკარგება ლ ბგერა:

სახლში - სახში
სულ - სუ
ხოლმე - ხომე
სულყველა - სუყველა...

ზ) იკარგება ნ ბგერა:

ჯანმრთელი - ჯამრთელი...

თ) იკარგება დ ბგერა:

არსად - არსა
ამოდი - ამოი
წადი - წაი
წამოდი - წამოი
როდის - როის
სად - სა
მთლად - მთლა...

ი) იკარგება ც ბგერა;

მაინცდამაინც - მაინდამაინც...

თანხმოვანფუძიან სახელებში ფუძის შეკუმშვისას რომ ხმოვანი სრულად იქნეს ამოღებული და არავითარი კვალი არ დატოვოს, ამას სინკოპე ჰქვია.

მაგალითად: მართალი - მართლის, მეგობარი – მეგობრის, კედელი - კედლის, მაგარი - მაგრად, მკაცრი - მკაცრად;

ხმოვანთა რედუქციის მიზეზია ფუძეზე ხმოვნით დაწყებული ბოლოსართის დართვა. მხოლობით რიცხვში ეს ბოლოსართები ბრუნვის ნიშნებია. კერძოდ, -ის, -ით, -ად (მხ. რიცხვში ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვაში). ებ-იან მრავლობითში ფუძის კუმშვა შვიდ ბრუნვაში ხდება და კუმშვას იწვევს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ბოლოსართი -ებ.

ძველ ქართულში დადასტურებულია ისეთი შემთხვევა როცა ხმოვანი ა და ე ერთდროულად იკუმშება; სავარძელი- სავარძლისა.

კვალიანი კუმშვა ეხება მხოლოდ ისეთ სახელს, რომელშიც გვაქვს ხმოვანი ო, ასეთი სახელებია:

მაწონი - მაწვნის
ნიგოზი - ნიგვზის

ნიორი - ნივრის...

ასეთ სიტყვებში ო სუსტდება და იქცევა უმარცვლო ვ-დ;

უკვალო კუმშვის მაგალითები: ობოლი - ობლის, გოდორი - გოდრის.

როგორც ვხედავთ, ო-ს ორივე სახის კუმშვა ეხება, კვალიანი და უკვალო. ა და ე კი მხოლოდ უკვალოდ იკუმშება.

ძველ ქართულში კუმშვა ზმნებსაც ეხებოდა. განსხვავება ის არის, რომ სახელებში კუმშვას იწვევს მხოლოდ სუფიქსი, ზმნებში კი სუფიქსიც და პრეფიქსიც: სთესავს - სთესვენ.

თანამედროვე ქართულ ენაში გვაქვს ზოგი ისეთი სიტყვა, რომელიც ერთ შემთხვევაში იკუმშება, მეორეში არა. ასეთი სიტყვებია: თვალი, წელი, კვალი, ან კიდევ ბერი, კარი რომლებიც მხოლოდ კომპოზიტში იკუმშება. მაგალითად: დედაბერი - დედაბრის, ცისკარი - ცისკრის.

ხმოვანთა რედუქციის შედეგად სიტყვაში მცირდება მარცვალთა რაოდენობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გ. ახვლედიანი - ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
2. ა. შანიძე - ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
3. ტ. ფუტკარაძე - თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, თბ., 1998.
4. მ. ძიძიშვილი- ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.


**ABOUT THE REDUCTION OF THE SOUND IN GEORGIAN LANGUAGE**


**Eteri Bregadze**
**Akaki Tsereteli State University**



**Summary**

Every spoken sound has its own main characteristics. During the speech, often, one of the features is changing by interaction with the sounds.

The main phonetic phenomenon or the sound interaction is the reduction-loss of sounds.

~Reduction" is a Latin word and means-to return back. One of the forms of loss sound, is some vowel reduction, syncope. During reduction can be lost as vowel as consonant not only in Georgian language, but also in a several dialects.

Consonant reduction is about: the sound h(h) _before the vowels, the sound s(s)-with a postposition nouns in dative case, the sound s(s) _ in genitive case with complex root, it is also losing in other cases m(m), l(l), n(n), d(d), ts(c)-sounds.

Vowel reduction happens in singular number of genitive case, adverbial case and dative case, in the seven case of plural number. Also, there happens traceless and tracing syncope. In a time of vowel reduction there will be less syllables.


# PROJEKTORIENTIERTES LERNEN IM FREMDSPRACHEN DEUTSCHUNTERRICHT


**MZISADAR GABRICHIDZE** **№35 offentliche Schule St. Kutaisi**
Gabrichidze.mzia@mail.ru



***Das Projekt setzt sich zum Ziel , Deutsch und Fachunterricht miteinander zu verbinden, aus diesem Blickwinkel Schulprojekte zu fordern und dadurch das Bewusstsein der Schuler/innen zu nachhaltiges Themen, wie Umwelt, Okologie, Okonomie etc. zu erhohen.***


Wir leben in einem Ökosystem. Das heißt: Die Natur ist ein gemeinsames Haus für alle Pflanzen,

Tiere und Menschen.

Die Erde, die Luft, das Wasser, das ist alles, was wir zum Leben brauchen. Lange Zeit hat der Mensch die Natur nur als Quelle der Rohstoffe benutst.

Mit dem Zeitalter hat er begonnen, seine Umwelt zu zerstören. Wir glauben, dass Naturschätze unerschöpflich sind, dass wir immer genug Nahrung haben werden. Doch die Erde gehört uns Menschen nicht allein. Wir sind für unsere Umwelt verantwortlich. Auch die Menschen nach uns wollen hier noch leben, ohne standig Naturkatastrophen zu erleben.

Die Natur auf unserem Planeten Erde ist in Gefahr. Es gibt viele große Probleme. Das wichtigste Problem ist die Reinhaltung des Wassers und der Luft d.h.Schutz von Abgasen und Abwässern.

Das zweite Problem ist die unschädliche Beseitigung von Müll und Industrieabfällen.

Wir müssen der Natur helfen; wir müssen beim Umwelt-schutz mitmachen, anstatt sie zu verschmutzen und zu zerstören.

Wasser bedeckt drei Viertel unseres Planeten. Alles Leben auf der Erde braucht Wasser. Wasser ist wirklich unser Reichtum. Aber fast überall sind Seen und Flüsse mit Müll und giftigen Stoffen verschmutzt.

Der Fluss Ogaskura ist in ähnlicher Lage in unserer Stadt Kutaissi. Er ist klein aber sehr gefährlich und verschmutzt. Der Fluss fließt nicht weit von unserer Schule.

Wasser und Wasserverschmutzung halten ich und meine Mitschüler / innen für wichtigstes Problem für unsere Umgebung und für unsere Schule.

Dazu beschlossen ich, meine Schuler/innen, dem kleinen Fluss zu helfen mit unseren Kräften zu retten und sauber zu halten.Wir starteten das Projekt. Am Anfang haben wir einige Ratschläge formuliert, wie man mit dem Problem umgehen konnte.

Es wurden verschiedene Plakate erstellt. Zunächst haben wir den Fluss besichtigt.

Die Oberfläche des Flusses war mit Flaschen, Dosen und Polyethylen bedeckt.

Wir haben uns gefragt, warum das Bewusstsein der Gesellschaft so niedrig ist.

Die Beobachtungen haben gezeigt, dass die Menschen selbst die Natur schädigen und nur sie selbst sie retten können. Wir haben alles fotografiert. Es wurde eine Reinigungsaktion geplant.

Die Schuler/innen waren engagiert und wollten etwas selbst für Umwelt tun. Für die Aktivitäten haben wir Materialien gekauft. Die kleine Reinigungsaktion wurde von uns am Ufer des Flusses drurchgeführt. Ein Teil des Flusses wurde gereinigt, gesaubert. Der versammelte Müll wurde ausgeführt. Wir haben gern zusammen gearbeitet.

Mit dem Ergebnis waren wir zufrieden. Die Schuler konnten als Vorbild für andere Mitschüler/innen sein. Aber globales Problem des Flusses konnten wir nicht alleine lösen.

Das Flussbett des Flusses ist eng. Bei Starkregen und Niederschlägen steigt das Wasser an und tritt über das Ufer. Der Fluss wird versperrt und gefährlich. Die Schule und Bevölkerung stehen in Gefahr. Das Wasser überflutet Straße, Schulhof. Das zweite Problem des Flusses ist erhebliche Wasserverschmutzung mit Müllabfällen, Giftstoffen und Abwässern.

Die Bevölkerung ist an allem Schuldig. Sie werfen Müll ins Wasser oder ans Ufer. Abwassersystem fließt gerade ins Wasser ab. Da ist der gestank des Flusses manchmal unerträglich. Es ist unmöglich im Fluss zu baden. Fü Fische, die da leben, ist es auch gefährlich. In solchem Fluss leben keine Fische mehr. Der Fluss ist sehr stark krank. Unser Ziel war das Problem des Flusses und den Umweltschutz wirklich ernst zu nehmen.Jeder von uns ist dafur verantwortlich.Vor einigen Jahren gab es das Wort Umwelt noch nicht einmal.Wenn das so weiter gegangen ware mit der Umweltproblem Ignoranz wie wurde unsere Welt heute aussehen. Zum Gluck ist unsere Jugend heute mehr informiert uber Umweltschutzproblem. Die Gesellschaft hat schon eine grosse Verantwortungsbewustsein beim Umweltschutz mitzumachen. Arbeit am Projekt war wirklich interessant, aber es gab auch Probleme. Die Deutschsprachige Fachunterricht ist der Fachunterricht in deutcher Sprache fur Schuler deren Muttersprache nicht Deutsch ist. Mit praktischen und theoretischen Beischpielen von Umweltbildung versuchten ich und Chemielehrerin Deutshprachige Fachunterricht durchzufuhren. Damit konnen die Schuler die Kenntnisse zum Thema Wasser erweitern und Wortschatz bereichern. Die Schuler fanden Projektunterricht interessant. Sie haben die Moglichkeit in Einzeln, Partner oder Gruppenarbeit kreativ und Produktiv zu arbeiten, sprachliche Erfahrungen zus sammeln.

Wegen solcher Probleme standen unsere Schule und die ganze Siedlung im November 2017 vor großer Katastrophe. Es gab eine große

Überschwemmung. Der kleine Fluss hat uns sehr bedroht. Wir haben schreckleiche Minuten erlebt.

Es war nicht leicht mit solchen sozialen, okologischen und okonomischen Problemen allein umzugehen. Die Stadtverwaltung wurde darüber informiert.

In der Stadtverwaltung fand ein Termin statt. Unser Team, Lehrerinnen. Schuldirektorin wurden vom Abgeordneten freundlich empfangen. Sie versprachen uns eine große gemeinsame Reinigungsaktion zu machen. Nach der Überschwemmung hat die Stadtverwaltung eine Entscheidung getroffen.

Aus Stadtbudget wurde Hunderttausend lari überwiesen, um Flussbett zu verbreiten, Deiche zu bauen, Flussufer zu reinigen. Es war eine große Unterstützung für unsere Schule.

Wir freuen uns darüber. Unser Versuch hatte ein gutes Ergebnis. Die Schuler freuten sich, dass sie an solchem Projekt beteiligt haben.

Unser Ziel ist das Problem des Flusses und des Umweltschutzes wirklich ernst zu nehmen. Jeder von uns ist dafür verantworlich. Damit können wir unser Umweltbewusstsein mehr steigern und die Umwelt mit anderen Augen sehen.

**Literatur**


1. Arnold R. 2007. Ich lerne, also bin ich. Eine systemisch-konstruktivische Didaktik. Heidelberg.
2. Magazin deutchland. De Wege aus der Umweltprobleme.


## პროექტზე ორიენტირებული სწავლა გერმანულის როგორც უცხო ენის შესწავლისას.


**მზისადარ გაბრიჩიძე**

ქ. ქუთაისის №35 საჯარო სკოლა


**რეზიუმე**


პროექტზე ორიენტირებულ გაკვეთილზე მოსწავლეებს საკლასო ოთახის დატოვება და სკოლის მიღმა გამოცდილების დაგროვების საშუალება ეძლევათ. გარდა ამისა საგაკვეთილო პროცესში მეორე ენის ჩართვაცაა შესალებელი. გაკვეთილის ამგვარი სტილი მოსწავლეებს უცხო ენასთან დაკავშირებული რეალობის დამოუკიდებლად გაგებისა და შეცნობის საშუალებას აძლევს.


# სამოციანელები და პიროვნების განვითარების თანამედროვე სტრატეგიული მიზნები


ნინო გელენიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**E-mail: nino.gelenidze@atsu.edu.ge**


*ნაშრომში გაანალიზებულია მე-19 საუ- კუნის ეროვნული მოძრაობის ლიდერების შე-*

*ხედულებები ახალი თაობის აღზრდა-განათლების მათი მოქალაქეებად ჩამოყალიბების შესახებ. ამასთან შედარება-შეპირისპირებით წარმოდგენილია პიროვნების განვითარების თანამედროვე სტრატეგიები და დასაბუთებულია მათი განსაზღვრისათვის სამოციანელთა ნააზრევის გამოყენების აქტუალობა.*

თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა ახალი მოთხოვნები წარმოშვა განათლების სისტემის მიმართ. მსოფლიო ბაზარი, რომელიც სულ უფრო და უფრო ერთიანი ხდება, გლობალურ კონკურენციას ამკვიდრებს. ამ კონკურენციაში კი წარმატება იმას ხვდება წილად, ვისაც უკეთესი ტექნოლოგია აქვს. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა იმდენად ცოდნა, რამდენადაც მისი გამოყენების მეთოდი, ამიტომ აქტუალურია იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული განათლების სისტემა, ცოდნის გადმოცემის მრავალმხრივი, კომპლექსური პროცესი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემდგომში რაციონალური გამოყენება.

უცხოური განათლების სისტემის შინაარსისა და ორგანიზაციის შესწავლის საჭიროებას ყველა მეცნიერი როდი აღიარებს. ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ აღზრდა, როგორც სოციალური მოვლენა, ეროვნული ფსიქოლოგიის შედეგია და უცხოური გამოცდილება არ გამოგვადგება. ცხადია, აღზრდა ეროვნულ ტრადიციებს არ შეიძლება მოსწყდეს, მაგრამ, რადგან ადამიანი ცხოვრობს პოლიტ-კულტურულ გარემოში, ამიტომ მისი სწავლა-განათლება და აღზრდა ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებასაც უნდა მოიცავდეს.

ერისა და სახელმწიფო ხსნა, მისი შემდგომი ზრდა-განვითარება, ნათელი მომავალი პიროვნების განვითარებასა და აღზრდის იდეოლოგიაშია.

მსოფლიო მასშტაბით განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საზოგადოების თითოეული წევრისათვის სრულყოფილი განათლების მისაღებად და საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოსავლენად გარემოს შექმნა არის, როგორც პიროვნების წარმატების, ისე მთლიანად ქვეყნის განვითარების განმსაზღვრელი აუცილებელი პირობა. პიროვნების განვითარების საქმეში სამოქალაქო განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. უფრო მეტიც, ჩვენას ქვეყანაში ზოგადი განათლება სამოქალაქო ხასიათისაა, რადგან მისი მიზანია “საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის», შესაბამისად, სამოქალაქო აღზრდის, როგორც დისციპლინის მიზანია, ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხიმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას.

ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიის არსებობა დამოკიდებულია სწორედ მოქალაქეების უნარებზე, ცოდნასა და განწყობაზე. სამოქალაქო აღზრდის სწავლების შედეგად მოსწავლეები იგებენ იმას, თუ რას ნიშნავს, იყო მოქალაქე.

მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციის თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებას, ნათქვამია “ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში».

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელ-

საყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს. აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა ახალი მოთხოვნები წარმოშვა განათლების სისტემის მიმართ. ერთის მხრივ, ცოდნის თითოეულ დარგში ინფორმაციის ისეთი რაოდენობა არის დაგროვებული, რომ მისი "მოთავსება» თორმეტ წელიწადში სულ უფრო ძნელდება. მეორეს მხრივ, თანამედროვე ცხოვრება ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ სკოლის პროგრამები ვერ ასწრებს ამავე სიჩქარით შეცვლას. აქედან გამომდინარე, პიროვნების განვითარებისთვის მიზანშეწონილი გახდა, რომ სკოლას მოსწავლეს განუვითაროს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარი, რაც გარკვეულ პიროვნულ თავისებურებებს, მათ შორის, შემოქმედებით აზროვნებასაც გულისხმობს.

ამდენად, სასწავლო პროცესში ამჟამად წინა პლანზე გამოდის ახალგაზრდის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარის განვითარება. ტრადიციული სკოლა ამ მოთხოვნებს ვერ პასუხობს, რადგან მის ფარგლებში ხშირად მხოლოდ ინფორმაციის მექანიკური დამახსოვრების უნარზე კეთდება აქცენტი.

დღესდღეობით უცხოეთის საგანმანათლებლო თეორიებში მყარად დამკვიდრდა სწავლების ინტეგრირების იდეა. ამჟამად სწავლების ინტეგრირების აუცილებლობაში პედაგოგთა პროცესის ისეთი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოზარდის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, პოსტსაბჭოთა სივრცეში, ქართველი პედაგოგები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც ინტენსიურად დაიწყეს სწავლების დიფერენცირების იდეის დამუშავება. 80-იან წლებში იგი, ექსპერიმენტის სახით, აქტიურად ინერგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების დიფერენცირების იდეას საქართველოში სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავდა, იგი მაინც თითქმის საყოველთაოდ მისაღები გახდა. თუმცა იმჟამინდელი განათლების ტოტალიტარული სისტემის ჩარჩოებში იგი ბოლომდე სრულყოფილად ვერ განხორციელდა. დიფერენციის სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლისაგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფლობას მოითხოვს.

ბოლო წლებში, განათლების სისტემის ერთი მიდგომიდან - ცოდნაზე ორიენტირებულიდან, მეორეზე - პიროვნებაზე ორიენტირებულზე გადასვლამ განაპირობა ისეთი პრინციპების ჩამოყალიბება, როგორებიცაა ჰუმანიზაცია და ფუნდამენტალიზაცია. ეროვნული სასწავლო გეგმა იწყება დიმიტრი უზნაძის სიტყვებით: "სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას» (ეროვნული სასწავლო გეგმა).

ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება განათლების სისტემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს, "ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს», რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს განათლების სისტემამ. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათგებლო კონცეფციას. ამ კონცეფციის აღმავლობას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ხელი შეუწყო 70-იანი წლებიდან სხვადასხვა სამეცნიერო დარგში (კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ნეირო მეცნიერებებში, განათლების მეცნიერებებში, ფსიქოლინგვისტიკაში, ენების დიდაქტიკაში და სხვ.). მიმდინარე ინტენსიურმა კვლევებმა, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთეს მისი უპირატესობა მყარი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისათვის, შესაბამისად, ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს.

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას.

სწორედ ამიტომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით.

ტრადიციული პედაგოგიკა ადამიანის მხოლოდ სოციალურ მხარეს აღიარებდა, რაც მიზნად ისახავდა სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებების ჩამოყალიბებას და ადამიანის, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი წევრის განვითარებას. პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა კი პიროვნების სრული განვითარებისკენ არის მიმართული და მოიცავს, მის როგორც ბუნებრივ შესაძლებლობებს (ჯანმრთელობა, აზროვნება, გრძნობა) აგრეთვე სოციალურ (მოქალაქეობა, მეოჯახეობა, შრომიუნარიანობა) და კულტურულ-სუბიექტურ თვისებებსაც (თავისუფლება, ჰუმანურობა, სულიერება, შემოქმედებითობა).

თანამედროვეობამ შეცვალა ოჯახის ფუნქციებიც, რაც თავის მხრივ ითხოვს სკოლის ფუნქციების შეცვლას. ქალი, რომელიც ადრე ბავშვის აღზრდით იყო დაკავებული, დღეს ისევეა სოციალურ საქმიანობაში ჩართული, როგორც მამაკაცი. ამან შექმნა სიტუაცია, როცა ბავშვის აზღრდის ფუნქციას ვერც ოჯახი ასრულებს და სხვაც არავინ იღებს. ამ ფუნქციის ამღები კი მხოლოდ სკოლაა.

პიროვნების განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის გამო ახალგაზრდის ინფორმაციის მიღების უამრავი წყარო აქვს, რომელთაგან კონკურენცია მასწავლებელს სულ უფრო უჭირს. საუკუნეთა განმავლობაში ახალგაზრდების დიდი ნაწილისათვის რეალური ინფორმაციის ძირითადი წყარო მასწავლებელი იყო, ხოლო დღეს, "ინფორმაციის ბუმის», დისტანცირებული სწავლების, ცოდნის ტესტებით შემოწმების ეპოქაში, ცოდნის მიღებაც და მისი შემოწმებაც შესაძლებელია მასწავ-

ლებლის გარეშე. ამდენად, ტრადიციული ფუნქციების შეცვლა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელს ესაჭიროება, ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სწავლების ახალი მეთოდების მიმართ დიდია თვით მასწავლებლის ინტერესი.

პიროვნების განვითარების საკითხში, საზოგადოების, ბავშვის და მასწავლებლის ინტერესების გათვალისწინება სკოლის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს: ინფორმაციის დიდი მასის ათვისების ოპტიმიზაცია, ბავშვის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება, მისი მოთხოვნილებების და ღირებულებების ჩამოყალიბება, ინფორმაციის თანამედროვე წყაროებთან მასწავლებლის "კონკურენტუნარიანობის» გაზრდა და ა. შ.

პიროვნების განვითარების მიზნების განსაზღვრაში XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეების გააზრებულ კონცეფციებს, რეკომენდაციებს, ჯერ კიდევ, არ დაუკარგათ აქტუალურობა. მეტიც, თუ კი დღეს ქართული საზოგადოება მათ ახლებურად გაიაზრებს, ისინი თუ არ აღემატება, არ ჩამოუვარდება დღევანდელი ექსპერტების თუ საზოგადო მოღვაწეების რეკომენდაციებს. მათ ქართული გონის პრიზმაში გაატარეს XIX საუკუნემდე და განსაკუთრებით XIX საუკუნეში წარმოშობილი პოლიტიკურ, ეკონომიკური და სოციალური სისტემები, რის საფუძველზეც მნიშვნელოვანი იდეები შეიმუშავეს პიროვნების განვითარების საკითხებში და საერთოდ, იდეათა "ლაბორატორიაში».

თანამედროვე საქართველოს ისტორიის განვითარების საფუძველი XIX საუკუნეშია, იქ სადაც სამოციანელებმა დასავლური ღირებულებები ახლებურად გაიაზრეს და ჩამოაყალიბეს.

### ლიტერატურა


1. თავზიშვილი გ., ილია ჭავჭავაძე და აღზრდის პროცესი, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1939 წ.
2. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, "საბჭოთა საქართველო», თბილისი, 1984 წ.
3. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004 წ.
4. საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ», 2011 წ.
5. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2012 სასწავლო წლისათვის.


## PUBLIC FIGURES OF THE 1860 S AND THE AIMS OF MODERN STRATEGIES OF PERSONAL DEVELOPMENT


**Nino Gelenidze**

Akaki Tsereteli State University



**Summary**

The orticle analyzes the views of the leaders of XIX c Georgian national movement on the education of young generation, their development as citizens. The paper compares and cpntrasts these views with modern approaches to personal development and confirms the validity and topicality of the theories that emerged in the 60 s of the XIX c.

# აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“

ირინე გოგიბერიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**E-mail**: Irine.gogiberidze@atsu.edu.ge

*შოთა რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსანი» პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობის დიდი საგანძურია, რომლის იდეებზე საუკუნეების მანძილზე იზრდებოდა თაობები.*

*ადამიანმა თავის დანიშნულებას და მიზანს შეიძლება მიაღწიოს სხვადასხვა გზით, რომლებიც მის კერძო თვისებებად გვევლინებიან. ეს თვისებები შეიძლება უამრავი იყოს, მაგრამ რუსთაველს ძირითადად მიაჩნია: სიბრძნე და გონიერება, მაღალი გრძნობა, ზნეობა, ხელოვნება, მეგობრობა, სიმამაცე, სიუხვე, სიმდაბლე, სიდინჯე და მიჯნურობა. ეს თვისებები წარმოადგენენ ადამიანის აღზრდის ძირითად მიზნებს, რაც პედაგოგიური ტერმინოლოგიით ნიშნავს: გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას.*

*სწორედ აღნიშნულ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში.*

შოთა რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსანი» პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობის დიდი საგანძურია, რომლის იდეებზე საუკუნეების მანძილზე იზრდებოდა ჩვენი თაობა.

"ვეფხისტყაოსნის» დიდი სასწავლო პედაგოგიური მნიშვნელობა ყველაზე ადრე მისმა პირველმა მკვლევარმა და რედაქტორმა ვახტანგ VI-მ შეაფასა 1712 წელს "ვეფხისტყაოსნის» პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში. ვახტანგ მეექვსე საჭიროდ მიიჩნევდა "ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად». სტამბის გახსნას, 1712 წ. თბილისში ამ მოვლენას ჰქონდა ადგილი, სადაც დაიბეჭდა კიდეც ეს პოემა. მესტამბე ვიქაელ ვლასელი წერდა: "ვეფხისტყაოსანი" დაიბეჭდა "მეფის ვახტანგის ბრძანებით», როგორც წიგნი "უგბილთა ფრიად სასწავლო გონიერთა გულთა თმენის» და რომელიც ამავე დროს: "უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა».

ვახტანგ VI "ვეფხისტყაოსანის» შესახებ წერდა: "რუსთაველისა წიგნი სულ სასწავლებელი არისო». მას დიდი წვლილი მიუძღვის ნამდვილი ტექსტის მეცნიერული დადგენის საქმეში და ებრძოდა მათ, ვისაც ეს პოემა სააშიკო წიგნად მიაჩნდათ.

შოთა რუსთაველი დიდი ჰუმანისტია, რომელიც ყურადღების ცენტრში აყენებს ადამიანს არა იზოლირებულად, არამედ ხალხთან მჭიდრო ურთიერთობაში. მან მოგვცა ადამიანის დანიშნულების საკი-

თხი, რომელსაც განსაზღვრავს "საზეო საქმე» და "სანაქებო სიცოცხლე", რითაც მას შეიძლება მიეცეს "შერთვა წესრ მწყობრთა მწყობრისა», როგორც მისი უმაღლესი დანიშნულებისა ეს არის, მისი აზრით "საზეო საქმე "ნამრახ სიცოცხლის ნაცვლად». რუსთაველის აზრით, ღმერთი ადამიანს სულით ამაღლებს, აძლევს ნიჭს ქვეყნის არსებობისა და ბუნების საიდუმლოებათა ამოსაცნობად.

ადამიანმა თავის დანიშნულებას და მიზანს შეიძლება მიაღწიოს სხვადასხვა გზით, რომლებიც მის კერძო თვისებებად გვევლინებიან. ეს თვისებები შეიძლება მრავალი იყოს, მაგრამ რუსთაველს ძირითად თვისებებად მიაჩნია: სიბრძნე და გონიერება, მაღალი გრძნობა, ზნეობა, ხელოვნება, მეგობრობა, სიმამაცე, სიუხვე, სიმდაბლე, სიდინჯე და მიჯნურობა. ეს თვისებები წარმოადგენენ ადამიანის აღზრდის ძირითად მიზნებს, რაც პედაგოგიური ტერმინოლოგიით ნიშნავს: გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას.

შოთა რუსთაველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გონებრივ აღზრდას, რომელზედაც არის დამოკიდებული ადამიანის მოქმედების მიზანშეწონილობა. სწორედ, გონებრივ განათლებას თვლის იგი აღზრდის ძირითად მიზნად.

გონებრივად განათლებული ადამიანი არა მარტო რთულ სიტუაციაში ერკვევა, არამედ ის წარმატებით ებრძვის ყოველგვარ სიძნელეს. განათლებული, შეგნებული, მცოდნე ადამიანი, რომელიც საწუთროს მიენდობა, რუსთაველის აზრით, უეჭველად დაიღუპება, რადგან ის სიძნელეს ერიდება, ეშინია! სიძნელეს ებრძვის გონიერი, საქები ჭკუის მქონე, ე. ი. ბრძენი. მას შეუძლია აღუდგეს ყოველგვარ სიძნელეს და დაბრკოლებას საკუთარი მიზნის მისაღწევად. რუსთაველი გონიერი ადამიანისაგან მოითხოვს, რომ მან ყოველი ძნელი საქმე მოაგვაროს.

"ხამს თუ კაცმან გონიერმან, ძნელი საქმე მოაგვაროს».

შოთა რუსთაველის აზრით, გონიერ კაცს უნდა ახასიათებდეს სიბრძნე, სიდინჯე, მოფიქრება, ყოველგვარი საქმის პროცესში, იგი ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღებას უნდა ხვდებოდეს დინჯად, მოფიქრებით, მშვიდად, თორემ "წამხდარსა საქმეს რას არგებს მასუკან თითზე კბენანი». რუსთაველი გმობს დაძაბუნებას, უიმედობას, სულით დაცემას. გონიერი უნდა იყოს მხნე და მამაცი. "სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა, სიკვდილი სახელოვანი».

შოთა რუსთაველი გონებრივ განათლებას არ წყვეტს გრძნობათა განვითარების სფეროდან. იგი მოითხოვს მათ მჭიდრო კავშირს და ამბობს: "გული, ცნობა და გონება, ერთმანეთზედა ჰკიდიან».

გრძნობათა და გულისთქმათა რეგულირება გონებით უნდა ხდებოდეს, გულის აყოლა და ემოციებზე დაყრდნობა ნების სისუსტის მაჩვენებელია. გული ბრმაა და ვერას ვერ გამოზომელი, ვერ შეასრულებს ადამიანის მოქმედებაში ისეთ გადაწყვეტილების როლს, როგორც გონება და ამიტომ მისი ფუნქციაც გონების ხედვას უნდა დაექვემდებაროს.

შოთა რუსთაველი ადამიანის გონებრივი განათლების როლს, მისი პრაქტიკული მოქმედებით აფასებს. მისი აზრით, პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული განათლება რეალური სიბრძნე არ არის. არაფრად არ ღირს ადამიანის სწავლა, თუ მას ადამიანი არ მიჰყავს ცოდნით გაშუქებული საქმის კეთებისაკენ, ბრძნული მოქ-

მედებისაკენ.

შოთა რუსთაველმა გონებრივი აღზრდა-განათლებასთან მჭიდრო კავშირში წარმოგვიდგინა ადამიანის ენისა და მეტყველების განვითარების პროცესი. ენა, როგორც აზრის განვითარების საშუალება, ვითარდება და მდიდრდება აზრის განვითარებასა და გამდიდრებასთან ერთად. ადამიანის გონება, აზრი მოჩანს არა მარტო მის მოქმედებაში, არამედ მეტყველებაშიც. მეტყველების სისწორე და სიმდიდრე აზრის სისწორესა და მის შინაარსზე მიგვითითებს: "კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების», ის რაც ადამიანის გონებაშია, ენით გადმოიცემა. ამიტომაც, გონების განვითარებაზე ზრუნვა მოითხოვს ზრუნვას ენის განვითარებაზეც.

შოთა რუსთაველმა გონებრივ აღზრდაში წინა პლანზე წამოსწია მასწავლებლის როლი და ასე გადმოგვცა: "გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა გმირდეს». აქ აშკარად ჩანს, რომ გონიერი აშკარად გრძნობს, სწავლისა და მასწავლებლის საჭიროებას, ხოლო უგუნურს, არც სწავლა სურს და არც მასწავლებელი უყვარს.

შოთა რუსთაველმა განათლების როლის აღიარებით წინ წასწია ახალგაზრდობის აღზრდის საქმე. განათლებისა და სიბრძნის სწავლების სიბრძნის შინაარსის გარკვევით მიუთითა, რომ ახალგაზრდობის აღზრდა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშით, რაც საშუალო საუკუნეების რაინდული აღზრდის მთავარ სისტემას წარმოადგენდა, არამედ საჭიროდ თვლიდა მიეცათ ახალგაზრდებისათვის ფართო გონებრივი განათლების მეცნიერული ცოდნა და კულტურა, ეზრუნათ ახალგაზრდობის ენისა და მეტყველების სწორი და მეცნიერული განვითარებისათვის.

შოთა რუსთაველი ახალგშოთა რუსთაველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ზნეობრივ აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მას მაღალი ჰუმანურობისა და ზნეობის პრინციპი ფართოდ ესმის და ადამიანის ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად აღიარებს. მისი აზრით, სიკეთე, სათნოება, სიმართლე, ერთგულება, სინდისი, პატიოსნება, თავმდაბლობა, პატივისცემა, მიჯნურობა, მეგობრობა, სოლიდარობა ადამიანის დადებით თვისებებს წარმოადგენენ. ამათ საწინააღმდეგოდ გვიჩვენა: ორგულობა, შურისძიება, უზრდელობა, გაუტანლობა, სიძვა, მექრთამეობა, ქურდობა და სხვა, რომლებიც ადამიანებს უარყოფით პიროვნებებად აყალიბებენ.

შოთა რუსთაველი მოითხოვს ადამიანებში დადებითი ნორმების აღზრდაში ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: მაგალითი და მიმბაძველობა, დარწმუნება და შთაგონება. შოთა რუსთაველი ერთმანეთს უპირისპირებს სიკეთესა და ბოროტებას. იგი სიკეთეს კეთილ საქმეს უწოდებს, რომელსაც ყოველთვის კარგი შედეგი მოაქვს, ადამიანებისათვის გაწეული სიკეთე არ იკარგება. მისი საპირისპიროა ბოროტება, ანუ ავი საქმე. შოთა რუსთაველს სწამს, ქვეყნად ავი საწყისი უნდა მოისპოს და კარგმა უნდა გაიმარჯვოს, აქედან ბოროტებაც უნდა მოისპოს და სიკეთემ უნდა იზეიმოს.

"ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია».

შოთა რუსთაველი ზნეობრივ აღზრდაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სიმართლეს. მისი აზრით, უნდა მოხდეს ახალგაზრდობის სიმართლის გრძნობით აღზრდა. სიმართლე ხელს უწყობს ადამიანის გონიერ მოქმედებას ყოველგვარი

დაბრკოლების გადალახვის საქმეში. სიმართლის გატეხვა, სიცრუე, ფლიდობა, ორპირობა, თვალთმაქცობა ადამიანის უარყოფითი და დამღუპველი თვისებებია, რომელსაც ადამიანთა ხორციელი და სულიერი გახრწნა მოჰყვება. "სიცრუე და ორპირობა, ავნებს ხორცსა, მერმე სულსა».

შოთა რუსთაველი დაუნდობელია ცრუ, ფლიდი და მოღალატე ადამიანის მიმართ. თუ ასეთი ადამიანის გამოსწორება, გონს მოყვანა ვერ მოხერხდება, მაშინ რუსთაველს ასეთი ადამიანი "ლახვრით გასაგმირად მიაჩნია». იგი ამბობს: "ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა».

შოთა რუსთაველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეგობრობის აღზრდას, მის პოემაში მოცემულია თუ როგორი უნდა იყოს მეგობარი მეგობრისადმი.

"ზამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად».

მეგობრობის სანიმუშო მაგალითია ავთანდილის, ტარიელის, ფრიდონის, თინათინის, ნესტანის, ასმათის მეგობრობა.

მეგობრობა, შოთა რუსთაველის აზრით, მხოლოდ ფიზიკურ დახმარებაში როდი გამოიხატება, არამედ რჩევასა და თათბირობაში, თუ როგორ გადალახონ პრობლემები.

ასეთი მეგობრობის დროს ადამიანებს უადვილდებათ სიძნელეების დაძლევა. ზოგჯერ ადამიანი ვერ ხედავს, რა სჯობია მისთვის, ვერ ირჩევს გზას სირთულეებსა და დაბრკოლებებზე გამარჯვებისას, ამ დროს აუცილებელია მეგობრის დახმარება, რჩევა, გზის ჩვენება სიტუაციაში გარკვევისათვის, ისე როგორც სნეულ ექიმს, მეორე ექიმის დახმარება.

შოთა რუსთაველის ეს შეხედულებები მეგობრობასა და მოყვარულ სოლიდარობაზე ასწავლის ადამიანებს წინააღმდეგობის გაწევას მტრის, ორგულის, გაუტანელის, მლიქვნელის, მოღალატე და თვალთმაქცი ადამიანის წინააღმდეგ. შოთა რუსთაველის აზრით, ადამიანი მეგობრის გარეშე წარმოუდგენლად უსუსურია.

შოთა რუსთაველი ხაზს უსვამს ინტერნაციონალური აღზრდის საკითხს და მის როლს მომავალი თაობის სწორად აღზრდის საქმეში.

შოთა რუსთაველი პოემაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ესთეტიკური აღზრდის საკითხს. იგი აღიარებს "ტკბილი ლექსის» სწავლის აუცილებლობას და შაირს სიბრძნის ერთ-ერთ დარგს უწოდებს. მას სწამს, რომ შაირის შესწავლა და ცოდნა ადვილი არ არის, მოშაირეს უნდა ახასიათებდეს "საუბართა ტკბილთა ფრქვევა», მისი ნიჭი და შესაძლებლობა უნდა გამოვლინდეს შაირის თქმაში და მისი ნიჭის გამოცდა უნდა ჰგავდეს ცხენის რბოლას შარაგზაზე და მობურთალის ოსტატობას მოედანზე. შოთა რუსთაველმა გაარკვია თავისი დროის ახალგაზრდობისათვის პოეტური შემოქმედების პრინციპი და მხატვრულ-ლიტერატურული განვითარების სწორი და მეცნიერული გზა.

ესთეტიკური განათლების მხრივ «ვეფხისტყაოსანში» გვხვდება სიმღერა, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, ცეკვა და სხვა. ნაჩვენებია გასართობი სანახაობების სახეები: ცეკვა-თამაში, ასპარეზობა, ჯირითი, ნადირობა, ნიშანში სროლა, მუშაითობა, აკრობატიკა, ბურთაობა და სხვა.

შოთა რუსთაველი პოემაში დიდ ადგილს უთმობს ფიზიკური აღზრდის საკითხებს, რომელიც გულისხმობს ჯანის სისაღეს, ღონიერებას, სიმძლავრეს, სისწრაფეს, სიმამაცეს, სიჩაუქეს, სიცქვიტეს, სი-

ნარნარეს, ლომთა მსგავსებას, ვეფხვთა სიმარდეს და სხვა.

პოემაში ფიზიკური აღზრდის სხვადასხვა სახეობებია ნაჩვენები: მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ასპარეზობა, ნადირობა, ბაზაურობა, ნიშანში სროლა, მუშაითობა, აკრობატიკა, ბურთაობა და სხვა.

სად ხდებოდა ფიზიკური აღზრდა? ამის შესახებ შოთა რუსთაველი არაფერს არ გვეუბნება, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ხდებოდა სკოლაში, ოჯახში, სამხედრო ბანაკებში და გასართობ-დასასვენებელ ადგილებში.

"ვეფხისტყაოსანში» გვხვდება ნიმუშები შუბოსნობისა, ამის გარდა ჩანს სამხედრო სტრატეგიის იშვიათი ცოდნა. მაგ. სამთა თათბირი ქაჯეთის ციხის აღების წინ. ყოველივე ეს ისწავლებოდა ან სამხედრო სკოლებში, ანდა საბანაკო პუნქტებში სპეციალურად გამოყოფილი სამხედრო მწვრთნელებისაგან.

შოთა რუსთაველს ადამიანის აღზრდა ძნელ საქმედ მიაჩნია. მას სწამს აღსაზრდელი აღმზრდელს ემსგავსება, რომ მან თავისი ზეგავლენით კარგად აღზარდოს ახალი თაობა და მისთვის კარგ მაგალითს წარმოადგენდეს.

რუსთაველი აწესებს აღსაზრდელის მოვალეობას სწავლის დროს. მისი მოვალეობაა სწავლების გონიერად მოსმენა, ყურადღება, მიმბაძველობა, ვარჯიშობის მოუწყინარობა. მას აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობის აუცილებელ მომენტად მიაჩნია ურთიერთისადმი ერთგულება, პატივისცემა, სიახლოვე, სიყვარული, რიდი, თავმდაბლობა და სხვა. აღმზრდელს უნდა ახარებდეს მისი აღზრდილის წარმატება.

"ვეფხისტყაოსანში» გვაქვს გარკვეული მითითება ბავშვთა სწავლის დასაწყის ასაკზე. ეს ასაკებია: ვაჟისათვის 5 წელი, ქალისათვის - 7. ტარიელი 5 წლის იყო, როცა "ბრძენთა მისცეს სასწავლებლად», ხოლო ნესტან-დარეჯანი "შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი» და ამ პერიოდში დავარს "სიბრძნის სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი». სწავლების დამთავრების ასაკად ვაჟისთვის უნდა ყოფილიყო 15 წელი. ვაჟებსა და ქალებს ერთნაირად ასწავლიდნენ სიბრძნესა და ზნეობას, მაგრამ ცალ-ცალკე ზრდიდნენ.

"ვეფხისტყაოსანში» ვკითხულობთ, რომ მე-12. მე-13 საუკუნეებში საქართველოში ყოფილა ობოლ ბავშვთა თავშესაფარი სახლები. ავთანდილი ამბობს:

"მივეც ზოგი ხანაგთა, ზოგი ხიდთა ასაგებლად».

ხანაგა სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ობოლ ბავშვთა თავშესაფარ სახლს. შოთა რუსთაველი მოითხოვს ასეთი სახლები აიგოს საქართველოში ე. ი. ობლობა და უპატრონობა საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

"ვეფხისტყაოსანში» შოთა რუსთაველი ეხება საინტერესო საკითხს, ძველთაგანვე საქართველოში წარმოებდა დიდკაცების შვილების "გაბარება» გლეხებში შვილების გასაზრდელად, ისე როგორც, გლეხთა ბავშვები იზრდებოდნენ დიდგვაროვანთა კარზე და სახლებში.

შოთა რუსთაველი პოემაში სამშობლოს სიყვარულის საკითხს ეხება. მას ადამიანის სამშობლოს სინონიმად მიაჩნია ის მხარე, სადაც ეს ადამიანი აღიზარდა. რუსთაველი გვეუბნება ადამიანის სამშობლოს მხარე არის მისი აღმზრდელი მხარე. სამშობლოს სიყვარული ნიშნავს სააღმზრდელოს სიყვარულს, ხოლო მისი მოშორება ძნელია, ისე როგორც მოშორება

სააღმზრდელო მხარისა.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მალაზონია შ., პედაგოგიკა, თბ., 2001 წ.
2. ვასაძე ნ., პედაგოგიკის ისტორია, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, თბ., 2004 წ.
3. გოგიბერიძე ი., ბლიაძე ნ., პედაგოგიკის ქართველი კორიფეები, ქუთ. 2018 წ.


## ИДЕИ ВОСПИТАНИЯ В ПОЭМЕ «ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»


**Ирине Гогиберидзе**

Государственный Университет Акаки Церетели



**Резюме**

Поэма Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» - огромный клад педагогико-воспитательного значения, на идеях которого выросли целые поколения на протяжении веков.

Свою цель и назначение человек может достичь различными путями, исходя из своих личных качеств. Этих качеств может быть множество, но Руставели основными считает: мудрость и разум, высокое чувство, нравственность, искусство, дружбу, отвагу, щедрость, покорность, уравновешенность и любовь. Эти качества являются основной целью воспитания человека, что по педагогической терминологии означает: умственное, нравственное, эстетическое и физическое воспитание.

В представленной научной работе внимание уделяется вышеупомянутым вопросам.


# კვების ჰიგიენის მნიშვნელობის განხილვა კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფციის გამოყენებით


ნატო დათუსანი ქუთაისის N35 საჯარო სკოლა


*სტატიაში განხილულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ბიოლოგიის სწავლებისას განსაზღვრული მცენარეული და ცხოველური საკვების ენერგეტიკულ ღირებულებასა და დაბალანსებულ კვებას თანდართული კვების ჰიგიენის მნიშვნელობა; კვების ჰიგიენის კვლევა ჯანმრთელობისა და ავადობის კატორებს შორის ურთიერთობების კვლევაა; კვების*

*ჰიგიენის მნიშვნელოვანი პრობლემაა ორგანიზმის ენერგეტიკული ხარჯების შესწავლა და მისი საჭიროებები ცილების, ცხიმის, ნახშირწყლების, მინერალური მარილების, ვიტამინების, პროტეინის დამატებით წყაროებზე;*

*უარყოფითი მოვლენაა ჭარბი წონა და ავიტამინოზი; ნაჩვენებია იოგასა და ფიტნეს-ვარჯიშების დადებითი როლი.*

*კვების ჰიგიენის სწავლებისას განსაკუთრებით ეფექტიანია პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილების ჩატარება მოსწავლეებთან აქტიური თანამშრომლობით.*

ბიოლოგიის სწავლებისას მნიშვნელოვანია ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რომელთაც ყოველდღიური მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან; ერთ-ერთი მათგანია კვების ჰიგიენა, იგი უნდა ვასწავლოთ საკვების ენერგეტიკულ ღირებულებასა და დაბალანსებულ კვებასთან ერთად.

კვების ჰიგიენა არის ჯანსაღი, რაციონალური და სამკურნალო-პრევენციული კვების მეცნიერება. კვების თანამედროვე მეცნიერების საფუძველია დაბალანსებული კვების პრინციპი, რომლის საშუალებითაც საკვები და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ორგანიზმის ყველაზე დამაკმაყოფილებელი საჭიროებებია. ორგანიზმის ენერგეტიკული ხარჯების შესწავლა და მისი საჭიროებები ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური მარილების, ვიტამინების, პროტეინის დამატებით წყაროებზე არის კვების ჰიგიენის კვლევის მნიშვნელოვანი მიმართულება.

საჭმელი უბრალო და ბუნებრივი საკვებისგან უნდა იყოს დამზადებული. დასაშვებია შერეული კვება. უხორცო დიეტა არაა აუცილებელი და ხორცის მიღების ფორმები დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. მაგალითად, ტროპიკულ ქვეყანაში ხორცი არასასურველია და ხშირად მავნეც; ბევრ ტროპიკულ ქვეყანაში ღორის ხორცის ჭამას რელიგია კრძალავს.

ცივ კლიმატურ ზონაში გამართლებულია ხორცის ჭამა, მეტიც, ჩრდილოეთის ხალხი იძულებულია ჭამოს ხორცი და საქონლის ქონი, რომ პოლარული სიცივის პირობებში შეინარჩუნოს ორგანიზმის ტემპერატურა; ესკიმოსს ცხიმიანი ხორცის ჭამა რომ აუკრძალონ, იგი სიცოცხლის ფუნქციას დაკარგავს.

ჯანმრთელობისათვის ძალიან საჭირო პროდუქტია ლიმონი და იგი უფრო მეტად თაფლთან ერთად უნდა მივიღოთ; სასარგებლოა თაფლში არეული ლიმონის გახეხილი კანიც.

საჭმლის მიღება უნდა განვსაზღვროთ გონებრივი თუ ფიზიკური დატვირთვის მიხედვით და სამუშაო გარემოს ხასიათსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში - შენობაში ვართ თუ სუფთა ჰაერზე.

ჭამა უნდა მიმდინარეობდეს ნელა, მთელი ყურადღებით.

ჭამა არაა მიზანშეწონილი იმ მომენტში, როცა განერვიულებული ხარ, რადგან საჭმელი ენერგიის წყაროა და ამ შემთხვევაში ის ენერგია უარყოფით ემოციებს ემსახურება. ჭამის დროს მშვიდად უნდა ვიყოთ, რაც განამტკიცებს ხასიათსა და ფსიქიკურ ძალებს.

მაცივარი აუცილებელია პროდუქტების შესანახად, მაგრამ მისი არასწორი გამოყენებით შეიძლება ორგანიზმი დავაზიანოთ. მაცივრიდან გამოღებული პროდუქტი აუცილებლად უნდა ავიყვანოთ ნორმალურ ტემპერატურაზე და ისე მივირთვათ.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოდ ფუტკრის თაფლის შესახებ, იგი შემადგენლობით სისხლის პლაზმას უახლოვდება.

თაფლში შედის ორგანიზმისთვის საჭირო 70-ზე მეტი ნივთიერება, ამიტომ იგი არა მარტო საუკეთსო საკვებია, არამედ მნიშვნელოვანი ფარმაკოლოგიური საშუალებაც.

უძველესი დროიდან იყენებდნენ ფუტკრის თაფლს საბერძნეთში. პითაგორა წერდა: "თაფლს აქვს მაღალი და მრავალნაირი სამკურნალო თვისებები".

ჰიპოკრატე თავის შრომებში მიუთითებს თაფლის კვებით და სამკურნალო თვისებებზე; იგი თაფლს იყენებდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

თაფლი შეიცავს: B1, B2, B3, B5, B6, BC, E, C, K ვიტამინებს და კაროტინს; თაფლის ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრით დასტურდება მისი ბიოლოგიური, კვებითი და დიეტური თვისებები.

ცხოველურ ცხიმებთან შედარებით უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მცენარეულ ზეთებს. უნდა გამოვიყენოთ არარაფინირებული მზესუმზირის ზეთი, აგრეთვე, არაქისის, სიმინდის, ზეითუნის ზეთები.

ზეითუნის ზეთი დადებითად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტსა და კუჭზე; კარგ შედეგს იძლევა ყაბზობის დროს.

არასასურველია შემწვარი კერძების ხშირი მიღება, რადგან იგი გამოყოფს აკრეალინს; აღიზიანებს ღვიძლს და გვიან გამოიდევნება ორგანიზმიდან. კვების ჰიგიენის სწავლება აუცილებლად უნდა წარვმართოთ კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფციის გამოყენებით მოსწავლეებთან აქტიური თანამშრომლობით; ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური მარილების, ვიტამინების პროტეინის უკვე ნასწავლ ცნებებზე დაყრდნობით მოსწავლეები განსაზღვრავენ საკვების შემადგენლობასა და მის ენერგეტიკულ ღირებულებას.

აქტუალურია ჭარბი წონისა და ავიტამინოზის მოვლენების მიმართ მოსწავლეთა ინტერაქტიული სჯა-ბაასი და უარყოფითი დამოკიდებულების პრეზენტაცია; მოსწავლეები თანამშრომლობენ გამოსავლის მოსაძებნად, ამზადებენ საინფორმაციო ბუკლეტებსა და საინფორმაციო სტენდს.

მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით უნდა ვისაუბროთ ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდიფიცირებული პროდუქტების განმასხვავებელი ნიშნების შესახებ; უნდა ჩამოვაყალიბოთ საკვები რაციონი და დიეტა.

მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვებით სრულყოფილად უნდა დავახასიათოთ კვებითი ინტოქსიკაცია, ჭარბი წონა, ავიტამინოზი მოსწავლეთა ინტერაქტიურობის თანხლებით; ვიზრუნოთ უკუკავშირის შეგროვებისათვის.

ჰათჰა-იოგას თანახმად, სასურველია, დავიცვათ ,,შერეული კვება", რაც იმას ნიშნავს, რომ ხორცი უნდა იყოს ყოველდღიური რაციონის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი პროდუქტი; დიდი რაოდენობითაა საჭირო ხილი, ბოსტნეული (განსაკუთრებით, ხახვი და ნიორი), რძის ნაწარმი, თაფლი. ინდოეთში გავრცელებულია ბრაჰმას მოძღვრება: "თუ გინდა სიბრძნეს დაეუფლო, მეტი ხახვი უნდა ჭამო".

იოგების თეორიის თანახმად, ყოველნაირი საკვები შეიცავს პრანას (სასიცოცხლო ძალა), რომელიც აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის; გროვდება ნერვულ ცენტრებში და ცენტრალური ნერვული სისტემის განკარგულებაში რჩება. პრანის მეტი ოდენობით მიღებისათვის ლუკმა უნდა იღეჭებოდეს ხანგრძლივად, რომ საჭმელი კარგად აირიოს ნერწყვში და ნახევრად სითხისებური გახდეს.

კვების ჰიგიენისათვის მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესი, ფიტნეს ვარჯიშები, სირბილი.

თანამედროვე პირობებში, თითქმის ყველა სატელევიზიო არხი სისტემატურ და ფართო რეკლამას უკეთბს საკვების მომზადებას, იმართება კულინარიული დუელები და მათ სატელევიზიო ეთერის მნიშვნელოვანი დროის პერიოდები უკავიათ. ნებსით თუ უნებლიეთ, მოსწავლეს უშუალო წვდომა აქვს სატელევიზიო გადაცემებთან და მან ყურადღებით უნდა გააანალიზოს შეთავაზებული რეცეპტები, რომ დაიცვას კვების ჰიგიენის ძირითადი მოთხოვნები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. დ. ვ. შლენსკაია; ე. ვ. ჟურავკო "გამაჯანსაღბელი და კვების ჰიგიენა" 2004
2. თ. მ. დრეზდოვა "გამაჯანსაღბელი და სურსათის ჰიგიენა" 2005
3. კარტაშევი, კლიმოჩივი "საკვები ჰიგიენა" 2013
4. გორშკოვი, ლიპათოვა "კვების ჰიგიენა" 198.
5. მარიკა დანელიანი ,,კვება და ჰიგიენა"
6. ალექსი იაკობიშვილი კვების ჰიგიენა, იოგა და ფიტნეს ვარჯიში სკოტის დახმარებით
7. ინტერნეტიდან მოძიებული მასალები.


**CONSIDERING THE IMPORTANCE OF FOOD HYGIENE USING A CONSTRUCTIVE EDUCATION CONCEPT**


**Nato Datusani**

Kutaisi Public School N35



**Summary**

The article discusses the importance of food hygiene in balanced meals and the energy cost of vegetable and animal foods in the study of biology according to the National Curriculum; Food hygiene research is a study of relationships between health and illness indicators; An important problem for food hygiene is the study of energy costs of the organism and its needs on proteins, fats, carbohydrates, mineral salts, vitamins, and others sources of potion.

The positive role of yoga and fitness training is shown.

In teaching the food hygiene, it is especially effective to carry out the lessons constructed on the concept of a constructive educational concept based on personality development with active cooperation with the students.

# როგორ გავზარდოთ დამრიგებლის როლი წიგნიერების დონის ასამაღლებლად დაწყებით კლასებში

ნათია დევიძე ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის №2 საჯარო სკოლა
ელ-ფოსტა: **devidzenatia@gmail.com**

*განათლების რეფორმის მიზანია აქტიური მკითხველის ჩამოყალიბება, ამისათვის ზრუნვა ადრეული საფეხურიდან უნდა დავიწყოთ.*

*ეროვნული სასწავლო გეგმის I პუნქტში, ,,წიგნიერება" წერია - წიგნიერება არის ,, კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეების და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილებების მიღების და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს". წიგნიერება წარმოადგენს წარმატების მიღწევისთვის აუცილებელ კომპეტენციას. ის არის ტექსტის გააზრება სხვადასხვა ნაწილში, მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების დაკავშირება და დასკვნების გამოტანა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა, ძირითადი აზრის წვდომა.*

თანამედროვე ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღების შემდეგ მოლოდინი იყო, რომ ,,წიგნიერების" პრობლემა უნდა მოგვარებულიყო, რადგან სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული გახდა, გახალისდა და დაფინანსდა სწავლების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის ცენტრში მოექცა მოსწავლე, რადგან ე.ს.გ. მთავარი მოთხოვნა გახდა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება. მისი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული დიფერენცირებული დავალებების შეთავაზება.

ადამიანის ცხოვრების დონეზე დიდი გავლენის გამო, წიგნიერება მსოფლიო ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მისი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ამჟამად რა მდგომარეობაშია ქვეყანა. წიგნიერების გავლენას მოზარდისა თუ უკვე ზრდასრული ადამიანების ცხოვრებაზე მრავალი კვლევა ადასტურებს.სწორედ ამ მიზანს ემსახურება წიგნიერების ფართომაშტაბიანი კვლევა _PIRLS. აღნიშნული კვლევა მონაწილე ქვეყნებს საშუალებას აძლევს საკუთარი შედეგები შეადარონ საერთაშორისო სტანდარტებს. მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემის ეფექტურობის შესახებ და გაატარონ შესაბამისი ცვლილებები შედეგების გასაუმჯობესებლად. საქართველომ PIRLS_ში 2006-2011 წლებში მიიღო მონაწილეობა. სამწუხაროდ ქართველმა მოსწავლეებმა ორივე შემთხვევაში საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი დააფიქსირეს.

მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის, ქართველი ბავშვების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი-488 მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებლებს. 2011 წლის კვლევამ აჩვენა, რომ 2006 წელთან შედარებით, წიგნიერებაში ქართველი მოსწავლეების მიღწევები უმნიშვნელოდ, მხოლოდ 17 ქულით გაუმჯობესდა. წელს წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში 60-მდე ქვეყანა მონაწილეობს.

საკითხი დღესდღეობით მაინც არის სწავლების აქილევსის ქუსლი, რასაც ადასტურებს ეროვნული გამოცდების შე-

დეგები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ამიტომ ეს თემები მუდმივად ისმის სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრებზე და მეტად აქტუალურია.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში, მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე დაკვირვებით იკვეთება, რომ მოსწავლეების სწავლის დონე არ არის მაღალი, რასაც ადასტურებს როგორც მიმდინარე, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებზე დაკვირვება.

სწავლის პროცესში იკვეთება, რომ მოსწავლეების მოტივაცია სხვადასხვა ფაზებში განსხვავებულია. მოსწავლეები არ არიან თანამშრომლობით პოზიციაში ახალი მასალის გადაცემის დროს, არამედ არიან პასიური მსმენელები, არ არიან გაბედულები, სიახლეების აღმომჩენები, შეიმჩნევა თვითდაუჯერებულობის დეფიციტი, არ შეუძლიათ ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და დასკვნის გამოტანა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა, ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნიერების ასამაღლებლად ვიყენებ სხვადასხვა რესურსებსა და მეთოდოლოგიას, თავს იჩენს ამ კუთხით მოტივაციის კლება. ამ საფეხურზე, ზოგადად, საგნის სწავლების მეთოდიკა მოითხოვს ჰოლისტურ მიდგომებს და ჰოლისტურ აზროვნებას.

მნიშვნელოვანია გაანალიზებული იქნას ქართული ენის გაკვეთილებზე რა მეთოდები გამოიყენება, რომელი სააზროვნო უნარების (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) განვითარებას მოიცავს, როგორ ხდება მარტივიდა რთულისაკენ გადასვლა, რა რესურსები გამოიყენება გაკვეთილებზე, როგორ ახერხებს მასწავლებელი მოსწავლეებისთვის მასალის აღქმის გამარტივებას, იყენებს თუ არა კონსტრუქტივისტულ მეთოდს.

კვლევის ფარგლებში აუცილებელია მოვიკვლიოთ ქართულის გაკვეთილზე მოტივაციის ზრდის, სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრებისთვის იყენებს თუ არა მასწავლებელი მრავალფეროვან აქტივობებს, დიაგნოსტიკურ ან სხვა ტიპის შეფასებას.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია რაიმე პროგრესის მიღწევა ,,წიგნიერების" განვითარებაში. ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ უმცროს სასკოლო ასაკში, მიუხედავად შესამჩნევი პროგრესისა, ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაში, ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა ჩამოყალიბებული შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები(აღქმა, მეხსიერება, აზროვნება). განსაკუთრებით ეს ითქმის აზროვნებაზე. მართალია, ასაკის ბოლოს, შეიმჩნევა აბსტრაქტული აზროვნების ჩამოყალიბების ნიშნები, მაგრამ აზროვნება მაინც თვალსაჩინოებისა და კონკრეტულობის ფარგლებში რჩება, რაც არ იძლევა მოვლენებისა და საგნების არსებითი ნიშნების მიხედვით შეფასების საშუალებას, ჯერ არაა განვითარებული კრიტიკული აზროვნების უნარი, რის გამოც ბავშვები ვერ ხედავენ წინააღმდეგობებს როგორც საკუთარ, ისე სხვების მსჯელობებში.

უმცროს სასკოლო ასაკში ძლიერდება წიგნის კითხვის ინტერესი. ლიტერატურული ნაწარმოებებით ბავშვი სინამდვილეს ეცნობა, რაც მის გონებრივ ჰორიზონტს აფართოებს, კაცთმოყვარეობას. ჰუმანიზმს, თანაგრძნობას და ალტრუიზმს უნერგავს მათ. ბავშვს ძირითადად სათავგადასავლო შინაარსის ნაწარმოებე-

ბი, გმირობა, რაინდობა, გამბედაობა და ვაჟკაცობა იზიდავს.

უმცროსი სასკოლო ასაკის მნიშვნელოვანი მონაპოვარია წერითი მეტყველების დაუფლება.

წერის კულტურა, აზრის წერილობითი გამოთქმა მაღალ კლასებში ვითარდება, ახლა კი მისი საწყისი ფორმები იჩენს თავს. ბავშვი ამ ასაკში, პირველად აქცევს ყურადღებას მეტყველების, კერძოდ, წერითი მეტყველების ფორმას. პირველად, მეტყველება გადაიქცევა ყურადღების საგნად.

ჩემი მიზანია დაისახოს ინტერვენციები და შეფასდეს გამოყენებული ინტერვენციების შედეგები.

**ინტერვენციები**

**1. მოსწავლის წაკითხულის აუდიო-ჩანაწერი.**

**მიზანი:** კითხვაში გაწაფვა, სწრაფი და გამომეტყველებითი კითხვის ჩვევების გამომუშავება.

**ინტერვენციის შეფასება:** მოსწავლეებს საშინაო დავალებად ვაძლევ ახალ მასალას, ვავალებ სახლში რამდენჯერმე წაიკითხონ, ჩაწერონ თავიანთი ხმა, კომპიუტერის ან ტელეფონის საშუალებით, მოუსმინოს და თუ არ მოეწონათ, თავიდან ჩაწერონ.
მეორე დღეს კი წარმოადგინოს ჩანაწერი კლასის წინაშე.

**შედეგი:** გამოუმუშავდება სწრაფი, გამომეტყველებითი კითხვის უნარი, გაიწაფება კითხვაში.

**2. პრობლემის გადაწყვეტის სქემა.**

**მიზანი:** პრობლემის გამოკვეთა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

**ინტერვენციის შეფასება:** დაფაზე იხაზება ზემოთხსენებული კოგნიტური სქემა:







**შედეგი:** მოსწავლე შეძლებს პრობლემის გამოკვეთას და მისი გადაჭრის გზების დასახვას.

**3. ინტერვენცია: მიზეზ-შედეგობრიობის სქემა**

**მიზანი:** მოსწავლემ შეძლოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება. ანალიტიკური აზროვნების განვითარება.

**ინტერვენციის შეფასება:** სქემა გულისხმობს ფაქტის,მოვლენის გამოკვეთას, ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების დადგენას,რაც ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანს მოსწავლეს.




**შედეგი:** მოსწავლეები შეძლებენ ფაქტებისა და მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირებას, გამოავლენენ, იმსჯელებენ გამომწვევ მიზეზებზე და მივლენ ლოგი-

კურ შედეგამდე, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

**4. ინტერვენცია: მოვლენათა თანმიმდევრობის რუკა.**

**ინტერვენციის მიზანი:** ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა.

**ინტერვენციის შეფასება:** ვიღაცას
უნდოდა
მაგრამ
ამიტომ

**ინტერვენციის შედეგი:** მოსწავლეები აკავშირებენ ტექსტის სხვადასხვა ნაწილში ფაქტებს და ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოსცემენ შინაარს.

**5. ინტერვენცია: მოსწავლის მიერ შექმნილი ნაწარმოების განხილვა-პრეზენტაცია.**

**მიზანი:** წერითი მეტყველების განვითარება, აზრის წერილობით გადმოცემა, ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა, დასაბუთება.

**ინტერვენციის შეფასება:** მოსწავლე კლასის წინაშე კითხულობს თავის ნაშრომს. დანარჩენი უსმენს მას. კითხვის დასრულების შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს ნაწარმოების განხილვა. იმართება დისკუსია, მსჯელობა, კეთდება დასკვნები. ბოლოს მოეწყობა მათი ნაწარმოებების პრეზენტაცია.

**შედეგი:** მოსწავლეები ეჩვევიან თავისი აზრის წერილობით გადმოცემას, ასევე საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვას, დასაბუთებას და დასკვნების გაკეთებას. უვითარდებათ შემოქმედებითი,ანალიტიკური აზროვნება.

**6. ინტერვენცია:** გაგება -გააზრებაზე ორიენტირებული და ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელი ტესტები.

**ინტერვენციის შეფასება:** ვთავაზობთ მოსწავლეებს სხვადასხვა სახისა და სირთულის ტექსტებს რომლებიც ამომწურავად არის დამუშავებული.ტექსტებს ახლავს , როგორც წაკითხულის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული კითხვები და დავალებები ,ისე წიგნიერებისთვის აუცილებელი სხვადასხვა სააზროვნო უნარების გასააქტიურებელი და განმავითარებელი სავარჯიშოები.

საკითხავ მასალად უნდა შეირჩეს საინტერესო, მარტივად აღსაქმელი ტექსტები.

ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად შეირჩევა სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები.

**შედეგი:** მოსწავლეები დაძლევენ წერა-კითხვაში არსებულ პრობლემებს, მიეჩვევიან ანალიტიკურ აზროვნებას და გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

ზემოთ ხსენებული ინტერვენციების, ჯგუფში განხორციელების შემდეგ, დაძლეულ იქნა პრობლემა, ყოველივე გამოიხატება შემდეგში: ნაწარმოების მთავარი აზრის გაგება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა, პრობლემის აღმოჩენა, პერსონაჟთა პიროვნული თვისებების დანახვა, ტექსტის სხვადასხვა ნაწილში ფაქტებისა და მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება და ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა, აზრის თავისუფლად გამოთქმა-დასაბუთება.

ყოველივე ეს, კი შედეგია იმისა, რომ გაიზარდა მოსწავლეებში წიგნისადმი ინტერესი და მშობლებიც მეტად ჩართულნი არიან მათი შვილების სასწავლო პროცესში.

**რეკომენდაციები:** 1. გაამდიდრეთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებით და სტრატეგიებით:

• ჩართეთ მოსწავლეები დისკუსიებში,როლურ თამაშებში,გამოიყენეთ ხშირად ჯგუფური მუშაობის მეთოდი,პრეზენტაციები, ამით უფრო სახალისო და საინტერესო გახდება სასწავლო პროცესი.

• 9-10 წლის ბავშვებში უკვე საფუძველი ეყრება ანალიტიკურ აზროვნებას, ამისათვის გამოიყენეთ სხვადასხვა სახის კოგნიტური სქემები.

2. დავალების მისაცემად გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინტერესები:

• მიეცით თავისუფალი არჩევანი დავალების შესასრულებლად.

გამოიყენეთ განსხვავებული სირთულის დავალებები, გაითვალისწინეთ მათი შესაძლებლობები, რათა სასწავლო პროცესი არ გახდეს მოსაწყენი და დამღლელი, პირიქით სტიმული მივცეთ სასურველი საქმის საკეთებლად .

3. აღიარეთ მოსწავლეთა მცირედი წარმატებაც კი, ეს მათ წაახალისებს და ისინი უფრო გაბედულნი და თვითდაჯერებულნი იქნებიან.

4.ითანამშრომლეთ მშობლებთან: დაადგინეთ და გაითვალისწინეთ რა არის მათი შვილების წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზი, როგორც სახლში ასევე სკოლაში.რადგან ის, რაც სახლში იოლად გამოდის, ის უჭირთ სკოლაში.

ჩართეთ მშობლები სხვადასხვა აქტივობებში, რაც მეტ დაინტერესებას, ჩართულობას გამოიწვევს საგაკვეთილო პროცესში.

**დასკვნები:** ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1.უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა განვითარებული შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები. ეს განსაკუთრებით ითქმის აზროვნების შესახებ, რომელიც ძირითადში რჩება თვალსაჩინოებისა და კონკრეტულობის დონეზე, რის გამოც ბავშვს უჭირს მოვლენებისა და საგნების შეფასება არსებითი ნიშნების გარეშე. პატარა ბავშვს არ აქვს განვითარებული კრიტიკული აზროვნებაც, ამიტომ ის ვერ ამჩნევს წინააღმდეგობებს, როგორც საკუთარ, ისე სხვების მსჯელობა-საქმიანობებში.

2.სხვადასხვა მეთოდური საშუალებების გამოყენებით (საუბრები, ინტერვენციები, კომენტარები, სწავლების ინტერაქტიული მეთოდები და სხვა), შესაძლებელი ხდება უმცროს სასკოლო ასაკში ,,წიგნიერების" განვითარებაში გარკვეული პროგრესის მიღწევა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბავშვები ახერხებენ წაკითხულის მთავარი შინაარსის გაგებას, ტექსტის სხვადასხვა ნაწილში ფაქტებისა და მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირებას, ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვას, პრობლემის აღმოჩენას, საკუთარი აზრის გამოხატვა-დასაბუთებას.

აღნიშნული პროგრესი მიუღწეველია ბავშვის სპონტანურ განვითარებაში.

**ბიბლიოგრაფია:**


1. PIRLS-ის წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (2006-2011წლები).( 1; 2. )
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, გამჭოლი კომპეტენციები, მუხლი 48., წიგნიერება. (1)
3. ომარ დევიძე-,,განვითარების ფსიქოლოგიის საკითხები". ქუთაისი 2013 წ. ( 2; 3.)
4. თ. გოგიჩაიშვილი - ,,უმცროსი სასკოლო ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებები". თბილისი 1989 წ.(2; 3)
5. მ. მაღრაძე -,,ასაკობრივი ფსიქოლოგიის საკითხები". ქუთაისი 1995 წ. (3)

## HOW TO INCREASE THE ROLE OF THE MENTOR IN INCREASING LITERACY IN PRIMARY SCHOOL

**Natia Devidze**
Iepl Kutaisi public school named after I.Otskheli

**Summary**

Young students in primary school have some difficulties in reading comprehension, making conclusions and summarizing everything up, which leads to their low literacy.

Using certain methods (for example: conversation, interventions, comments, recommendation, interactive learning and so on) contributes to progress in literacy, for instance in reading comprehension, expressing opinion and justification, making conclusions.

# გიორგი თავზიშვილი ქალთა განათლების შესახებ

ნატო დვალი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: nato.dvali@atsu.edu.ge

*XIX საუკუნის 60-იანი წლების საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება და მისი განვითარების გზები ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ პერიოდის სახალხო განათლების შინაარსსა და მის განვითარებაზე. ცხადი იყო, რომ ქართველი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება უნდა დამდგარიყო 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ამოცანების სიმაღლეზე. ეს ამოცანები, პირველ ყოვლისა, მოითხოვდნენ ზოგადი და სპეციალური განათლების გავრცელებას, მისი შინაარსის დადგენას და შესაფერისი სასკოლო ქსელის გაშლას.*

*XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქალთა აღზრდის მიზნები და ფორმები რადიკალურად განსხვავდებოდა, ვაჟთა აღზრდის მიზნებისა და ფორმებისაგან, 60-იან წლებში კი ეს განსხვავება აღზრდის მიზნების მხრივ ძალიან შემცირდა, ხოლო აღზრდის ფორმების მხრივ დავიდა იმ ნორმალურ სხვაობამდე, რომელსაც მოითხოვდა ორი სხვადასხვა სქესის ბავშვთა აღზრდის ამოცანები.*

საქართველოში, XIX საუკუნის 60-იან წლებში, ქალთა ღია სასწავლებლების გახსნა კვლავ კერძო ინიციატივით დაიწყო.

1860-1865 წლებში ელემენტარული სკოლები ადგილობრივი მოსახლეობის დემოკრატიული ფენებისათვის გაიხსნა თბილისში “საქველმოქმედო საზოგადოების მიერ». პირველი ქალთა სკოლა მან გახსნა 1860 წელს ავლაბარში, ხოლო 1862 წელს კი დამატებით - 4 სკოლა “ღარიბების მშობლების ბავშვთა უფასოთ სწავლებისათვის». პირველი - ვერაზე, მეორე -

მამადავითისა, მესამე - სომხის ბაზრის და მეოთხე - კუკიის უბანში. ამ სკოლებში ასწავლიდნენ წერა-კითხვას რუსულ და მშობლიურ ენებზე, არითმეტიკას, საღმრთო სჯულს და "განსაკუთრებით ქალის საოჯახო საქმეებს».

თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებში იღებდნენ გოგონებს 8-13 წლის ასაკში.

1865 წელს ქალთა ელემენტარული სკოლა გაიხსნა აგრეთვე ქ. ქუთაისში, ქუთაისის გუბერნატორის მეუღლის ს.ი. მირსკაიას მზრუნველობით. პირველი 5-წლის განმავლობაში ამ სკოლაში სწავლობდა 109 გოგონა.

1867 წლის 1 სექტემბრიდან გორის სამაზრო სასწავლებელთან გაიხსნა ე. წ. "ნასადილევის კლასები» ქალთათვის. ასწავლიდნენ სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლები ამავე სასწავლებლის გეგმით და პროგრამით. 1868 წელს ასეთივე "კლასები ქალთათვის გაიხსნა დუშეთში დუშეთ-თიანეთის დაწყებით სასწავლებლებთან". ამ "კლასებში» მეცადინეობა წარმოებდა ნასადილევს სწავლა სამწლიანი იყო.

1866 წელს ქ. თელავში გაიხსნა წმ. ნინოს სახელობის ქალთა საზოგადოების სასწავლებელი. 1867 წლიდან წმ. ნინოს სახელობის თელავის სასწავლებელი ერეკლე II სასახლეში იყო მოთავსებული.

ხელოსნური წარმოების გავრცელებასთან დაკავშირებით, 1868 წელს ნიკოლოზის სახელობის თბილისის სასწავლებელთან გაიხსნა ქალთა სახელოსნო განყოფილება 50 მოწაფისათვის. ეს განყოფილება, მხოლოდ საოჯახო ხელსაქმის სწავლებით ისაზღვრებოდა, მაგრამ შემდეგი წლიდან ის გადაკეთდა დამოუკიდებელ "ქალთა სახელოსნო სკოლად». ამ სკოლის მიზანი იყო "ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ქალთა სქესის ბავშვებისათვის ელემენტარული ზოგადი განათლების მიცემა, უმთავრესად კი ხელოსნობის სწავლება, რომლითაც მათ შეეძლებათ თავის რჩენა».

60-იანი წლების დამლევდიან ქალთა სახელმწიფო სასწავლებლების დაარსებას შეუდგნენ აგრეთვე საქართველოს პროვინციის ქალაქებშიც. პირველი ასეთი სასწავლებელი 1870 წელს დაარსდა ქალაქ სოხუმში. შემდეგი წლიდან ის ქალთა პროგიმნაზიმად გადაკეთდა. 1870 წლს ქალთა სასწავლებლები დაარსდა აგრეთვე ფოთში და ოზში; შემდეგ წლებში კი ყველა დაბაში.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ქალთა განათლების გავრცელების საქმეში სათანადო როლი ითამაშა აგრეთვე სამღვდელოებამ. ე. წ. "სასულიერო წოდების ქალთა სასწავლებლების» შემოღებით.

1849 წლის 20 ოქტომბერს პეტერბურგის მიტროპოლიტი ისიდორე შუამთის (კახეთი) წინამძღვარს არქიმანდრიტ ქრისტეფორეს სწერდა: "ვღებულობ რა მხედველობაში, რომ საქართველოს ეპრაქიაში არ არის არავითარი სასწავლებელი, სადაც ქალთა სქესის ობლებს, რომელთაც არა ჰყავთ ახლო ნათესავები, შეეძლოთ თავის შეფარება და წესიერი აღზრდის მიღება, ეს ვთვლი ძალიან საჭიროდ და სასარგებლოდ მოეწყოს ასეთი სასწავლებელი სამთავროს დედათა სავანესთან. მიენდოს მონაზვნებს ამ ობლებზე მზრუნველგბა და მათთვის წერა-კითხვისა და ხელსაქმის სწავლება».

მხოლოდ 1865 წელს, ქართველი სამღვდელოების ინიციატივით, საქართველოს ეგზარხოსმა ევსევიმ აღძრა შუამდგომლობა უწმინდესი სინოდის წინაშე - მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერ-

თან "სასულიერო წოდების ქალთა ქართული სასწავლებლის» დაარსების შესახებ - გაფართოებული პროგრამით.

აღნიშნული სასწავლებლის მიზანს შეადგენდა "მტკიცე მართლმადლიდებელ ქრისტიან ქალთა აღზრდა, რომლებიც მართლმორწმუნეობით უნდა ემსახურონ ეკლესიას და ოჯახს».

მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერთან არსებული ქალთა სასწავლებელი იმყოფებოდა კავკასიაში მეფის მოადგილის მეუღლის, ოლგა თეოდორეს ასულის, მზრუნველობის ქვეშ, ხოლო მმართველობის მხრივ ის ექვემდებარებოდა საქართველოს საეპარქიო სამმართველოს, სასწავლებლის სათავეში იდგა აღნიშნული მონასტრის იღუმენი, რომელსაც ჰყავდა მოადგილედ სასწავლებლის ზედამხედველი ქალი; სწავლის კურსი მცხეთის ქალთა სასწავლებელში განისაზღვრებოდა ექვსი წლით. სასწავლებელი სამკლასიანი იყო: დაბალი, საშუალო და მაღალი.

მცხეთის ქალთა სასწავლებელში მასწავლებლობა და დამრიგებლობა შეეძლოთ მცხეთის ტაძრისა და სამთავროს დედათა მონასტრის მღვდელ-მონაზონებს, მაგრამ ყველაზე დიდი უპირატესობა ეძლეოდათ თბილისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის კურსდამთავრებულთ.

როგორც ვხედავთ, ქალთა სასწავლებელთა ქსელი ჯერ კიდევ ძალიან სუსტია XIX საუკუნის 50-იან წლებში, მაგრამ უფრო სუსტია ამ სასწავლებელთა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო როლი. 60-იანი წლების ქართული და რუსული პერიოდული პრესა არაერთხელ აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდის ქალთა სასწავლებლები ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებას.

ასეთი იყო საქართველოს მოწინავე ადამიანთა აზრი ქალთა დახურული და ოფიციალური სასწავლებლების შესახებ, აზრი მართლაც საყოველთაო, სავსებით სწორი და მიუდგომელი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გ. თავზიშვილი - რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1977 წ.
2. გ. თავზიშვილი - სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870 წ. თბ., 1948 წ.
3. ნ. პაპავა, სახალხო-განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1963 წ.


**ГИОРГИ ТАВЗИШВИЛИ ЖЕНСКОМ ОБРАЗОВАНИИ**


**Нато Двали**

Государственный Университет Акакия Церетели


**Резюме**


Общественно-культурная жизнь 60-х годов XIX века и пути её развития дают ясное представление о содержании и развитии народного образования этого периода. было очевидно, что воспитание и образование грузинской молодёжи должны были отвечать политико-экономическим и культурным задачам передового общества 60-х годов.

В первой половине XIX века цели и формы женского воспитания радикально отличались от целей и форм мужского воспитания и 60-х годах существенно сократились, а с другой стороны, формы воспитания достогли того нормального различия, которого требовали задачи воспитания детей обоих полов.

# ეთნოკულტურული კომპონენტის გამოყენება ქიმიის გაკვეთილებზე

ხათუნა ზურაბიანი ქ. ქუთაისის №22 საჯარო სკოლა

*სტატიაში განხილულია ეთნოკულტურული ინფორმაციის მნიშვნელობა, ასევე ქიმიის გაკვეთილებზე ამ ინფორმაციის მიწოდების ხერხები, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც ინერგება სწავლების ახალი მიდგომები.*

ეთნოგრაფიული კულტურა შეიძლება დაიყოს მატერიალურ და არამატერიალურ სფეროდ. ზღაპრები, სიმღერები, თქმულებანი, ლეგენდები წარმოადგენს კაცობრიობის სულიერი კულტურის პროდუქტს, მატერიალური ეთნოგრაფიული კულტურა კი დაკავშირებულია ამა თუ იმ საგნებისა და მოვლენების გამოყენებასთან, ამიტომ იგი წარმოუდგენელია რეალური ბაზის, ნივთიერი წყაროს გარეშე. ერთ-ერთ ასეთ ბაზას წარმოადგენს ქიმია, ამიტომ სწავლების პროცესში ყურადღების გამახვილება იმ

ნივთიერებებსა და მოვლენებზე, რომელთა საშუალებითაც იქმნებოდა უძველესი დროიდან ხელოსნობისა და ხელოვნების ნიმუშები, ხელს უწყობს მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას, ქიმიის გაკვეთილებზე ყურადღების გააქტიურებას, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დადებითი ემოციონალური ფონის შექმნას, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ყოველთვის ხელოვნებასთან შეხებისას.

ეთნოკულტურული ინფორმაცია შეიძლება ქიმიის გაკვეთილში ჩაექსოვოს რამდენიმე მეთოდით:

1. მცირე ზომის (3-5წთ) მონათხრობი მასწავლებლის მხრიდან შესასწავლ მასალასთან კავშირში.

2. მოსწავლეთა ჩართვა დიალოგში, რომელსც მოჰყვება ახალი მასალის ახსნა.

3. პრობლემური სიტუაციების შექმნა, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს მოსწავლეთა მიერ სხვა გაკვეთილებზე მიღებული ან ყოველდღიური ცხოვრებიდან შეძენილი ცოდნის გამოყენებას.

მაგალითად, პირველივე გაკვეთილზე მე-7 კლასში, თემა “ქიმიის საგანი, ქიმიის მნიშვნელობა”, გარდა იმისა, რომ ვუხსნი მოსწავლეებს ქიმიის შესწავლის საგანს, ყურადღებას ვამახვილებ მეცნიერების განვითარების შორეულ ისტორიაზე. ჯმაზე, რომ სიტყვა “ქიმია” წარმოქმნილია სიტყვისგან- ხემეია, ხეო- ვღვრი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უძველეს შუასაუკუნოვან ხანაში ქიმიკოსთა წინაპრები, ალქიმიკოსები, დაუფლებული იყვნენ მეტალების ლღობისა და დნობის ხელოვნებას. ეგვიპტეში ჩაეყარა საფუძველი ქიმიის განვითარებას. სწორედ ალქიმიკოსებს ეკუთვნით აღმოჩენა და სრულყოფა პრაქტიკულად ძვირფასი შენაერთებისა და ნარევებისა: მინერალური საღებავების, მინების, მინანქრის, მეტალური შენადნობების, მედიკამენტების შექმნა.

თემის “მეტალები და არამეტალები” შესწავლისას შეიძლება ისტორიული მასალების გამოყენება, აგრეთვე ვიშველიებ ხელოვნებათმცოდნეობას.

ცივილიზაციის ისტორია განუყოფლადაა დაკავშირებული მეტალებთან. სწორედ მათ (სპილენძი, რკინა, კალა, ალუმინი, ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, ფოლადი) და მათმა შენადნობებმა ითამაშეს მთავარი როლი მატერიალურტექნიკური პროგრესის გზაზე კაცობრიობის განვითარებაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც ქვის ხანამ გადასცა სადავეები ჯერ სპილენძის, ხოლო შემდგომ რკინის ეპოქას, ჩვენი გარემომცველი სამყარო ვითარდებოდა, შენდებოდა მეტალებისა და მათი შენადნობებისგან. მაგრამ არ იქნებოდა სწორი დაგვენახა მხოლოდ მანქანების, მექანიზმების, ხიდებისა და რკინიგზების მასალა. მეტალები ეს არის მრავალრიცხოვანი ძაფები, ჩაქსოვილი სულიერ კულტურაში. ქართული ოქრომჭედლობის ძველი ოსტატების მიერ შექმნილი ტიხრული მინანქრის ძეგლები, რომლებიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია თავმოყრილი, ამ ხელოვნების მსოფლიო საგანძურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კოლექციადაა აღიარებული. ამ კოლექციის თვალს წარმოადგენს ხახულის კარედი, რომელიც გვანცვიფრებს მინანქრების სიმრავლით და მაღალმხატვრული ორგანიზაციით. მინანქრების დასამზადებლად გამოიყენებოდა მაღალი სინჯის ოქრო ან ელექტრუმი, ოქროსა და ვერცხლის შენად-

ნობი, რაც მეტ სიმყარეს ანიჭებს მინანქარს. ქართველი ოქრომჭედლები კარგად ფლობდნენ ოქროს დამუშავების ქიმიურ მეთოდებს. ისინი ახდენდნენ მინანქრის ზედაპირის გახეხვა-გასუფთავებას, რაც ხელს უწყობს მათ უკეთ შენახვას.

ოქროსა და ვერცხლის წყალობით, რომელთაგანაც მზადდებოდა მონეტები, ესეც ჩვენი ისტორიაა, ჩამოყალიბდა საქონელბრუნვა მთელ მსოფლიოში.

რკინის შესახებ საუბარი შეიძლება დავიწყოთ შემდეგი სიტყვებით: "არ არის სხვა ელემენტი, რომლის მონაწილეობითაც დაიღვარა დიდძალი სისხლი და დაიღუპა მილიონობით ელემენტი".

სწორედ მეტალებს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი წმინდა სალოცავების ზართა ჯადოსნურ ხმოვანებას.

საქართველო მდიდარია ძეგლებით, რომლებიც უმეტესად მეტალთა შენადნობებისგანაა შექმნილი. მოსწავლეები თვითონ ასახელებენ მათთვის ცნობილ ძეგლებს.

მე-8 კლასში "ნაერთთა ძირითადი კლასების" განხილვისას შეიძლება საინტერესო მასალის მიწოდება.

ქრისტიანულმა ხელოვნებამ თავის სამსახურში ჩააყენა მღვიმეთა წიაღში შობილი და შემდეგ ძველეგვიპტური თუ ანტიკური გზებით გამოვლილი ფრესკა. ფრესკებმა გადმოლახეს საუკუნეები და ჩვენამდე მოაღწიეს.

ფერთა შეზავება და სასწაული ფრესკების შექმნა მხატვრებისგან დიდ ნიჭთან და რწმენასთან ერთად მოითხოვდა ქიმიის ცოდნასაც. საჭირო ფერებს მხატვრები მიწის წიაღში არსებული ქიმიური ნაერთებიდან ღებულობდნენ. იყენებდნენ ბუნებრივ მინერალურ საღებავს ოქრას, რომლის საფუძველია რკინის (ჳჳჳ) ჰიდროქსიდი ფე(ჴჰ)3. საქართველოში არსებობდა და დღესაც არსებობს არაერთი ძვირფასი ფერი: ტყვიის თეთრა, ფერადი თიხები, სინგური- წითელი, რომელიც რკინის შემცველია, მწვანე- სპილენძის შემცველი მინერალი, რომლის საბადოც რაჭაში მოიპოვებოდა. ტანჯვის საფასურად ქმნიდნენ ძველი ოსტატები დიდებულ ფერებს, რადგანაც ისინი ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებებს შეიცავდნენ და იწვევდნენ ხელის რევმატულ დაავადებას.

"ქალაუ, ისეთი თეთრი ხარ, როგორც საყდარში კირიო".

ხალხური

ეს ხალხური სტრიქონები, ალბათ, არც არასოდეს დაიწერებოდა, კირი რომ არ ყოფილიყო, არც ფრესკა დაიხატებოდა კირის გარეშე, რომლის სამშენებლო, მათეთრი და ფერთა შემაკავშირებელი თვისებები უძველესი დროიდან არის ცნობილი. ეს კი კალციუმის ოქსიდისა და ჰიდროქსიდის დამსახურებაა. მათი მიღება კირქვისგან ხდებოდა. ქართულ სამლოცველოთა კედლებიდან შელესილობასთან ერთად ფრესკების ჩამოხსნაც შესაძლებელია, რადგან ისინი ძალიან მტკიცეა. ამ სიმტკიცის საფუძველი კი ერთი წლით ადრე მომზადებული კირის რძე იყო, რომელსაც ოსტატები ურევდნენ კვერცხის ცილას, ცხოველური წარმოშობის წებოს (რომელსაც ხზოს ტყავისგან ღებულობდნენ), კრამიტის ან აგურის ფხვნილს.

ბათქაშისა და ფრესკის მბრწყინავი ზედაპირის მისაღებად, შელესილობის ზედა ფენებში წვრილად დაფშვნილ მარმარილოსაც ურევდნენ (ჩაჩჴ3). დაცვის მიზნით ფრესკებს ფარავდნენ ზენ-

ზინში გახსნილი პარაფინით. მსგავსი ინფორმაციები შეგვიძლია ჩავრთოთ როგორც არაორგანული, ისე ორგანული ქიმიის შესწავლის დროსაც.

ეთნოკულტურული ინფორმაციის მიწოდება ქიმიის გაკვეთილებზე მეხმარება მოსწავლეებს დავანახო ქიმიური მეცნიერება, როგორც მსოფლიო კულტურის ნაწილი და გაკვეთილები ამან უფრო საინტერესო გახადოს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც დიდი ყურადღება ეთმობა სწავლების ახალი მეთოდების დანერგვას და მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის განვითარებას.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ავთანდილ ვართაგავა- "როგორ ცხოვრობენ ფრესკები"
2. ლეილა ხუსკივაძე- "შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი".


**USE OF ETHNOCULTURAL COMPONET ON THE CHEMISTRY LESSON**


**Khatuna Zurabiani**

Kutaisi, Public school #22



**Summary**

In the article there is reviewed the importance of providing ethnocultural information, also the wais of providing this information on the chemistry lesson, that is so actual todey, vhen the new teaching methods are instilling.


# წარსულის გამოცდილება თანამედროვე პედაგოგიკაში


მარიამ კაპანაძე სსიპ ქ. ქუთაისის N35 საჯარო სკოლა

kapanadzemarita@yahoo.com

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲞᲘᲢᲐᲕᲐ სსიპ ქ. ქუთაისის N35 საჯარო სკოლა
irinepitava@gmail.com

*კლასის მაღალი აკადემიური მოსწრება იმ სასწავლო ატმოსფეროზეა დამოკიდებული, რომელსაც ქმნის მასწავლებელი საკლასო ოთახში და რომელშიც ძალზედ დიდი წვლილი მიუძღვის იმ წარსულ გამოცდილებას, რომელსაც განმანათლებლები და სახალხო პედაგოგები საუკუნეების მანძილზე აგროვებდნენ. სტატიაში საუბარია "თავისუფალ აღზრდაზე", რომელსაც პროპაგანდას ლუარსაბ ბოცვაძე უწევდა საქართველოში. ასევე მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, დ. უზნაძის "განწყობის თეორიაზე", მოტივაციაზე, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე და ცოდნის შემოწმება-შეფასებაზე. იმ საკითხებზე რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია მოსწავლის მაღალი აკადემიური მოსწრების ამაღლებისა და შენარჩუნებისათვის.*

*"მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეს არ გაუღვიძებს სწავლის დაუოკებელ სურვილს, ისევე ამაოდ იშრომებს,როგორც მჭედელი, რომელიც ცივი რკინის გამოჭედვას ცდილობს."*

*ჰორას მანი*

კლასის მაღალი აკადემიური მოსწრება, გარკვეულწილად, იმ სასწავლო ატმოსფეროზეა დამოკიდებული, რომელიც სუფევს საკლასო ოთახში და რომლის შექმნაშიც ძალიან დიდი როლი პედაგოგს მიუძღვის. თანამედროვე პედაგოგიკა მთავარ ორიენტირად სწავლების პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებას აყენებს, სადაც მოსწავლის პიროვნული ღირებულება წინა პლანზეა წამოწეული. დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა პედაგოგისგან მოითხოვს დაადგინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, მათი ინტერესთა სფერო და შესაბამისად დაგეგმოს გაკვეთილი, რაც მოსწავლეთა გაკვეთილზე მაღალი ჩართულობის გარანტიას იძლევა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის დროს თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საწყისს საქართველოში ეს ყოველივე შორეულ წარსულში იღებს და "თავისუფალი აღზრდის" თეორიის სახელითაა ცნობილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვეობასთან პარალელის გავლება მხოლოდ ლუარსაბ ბოცვაძისეული "თავისუფალი აღზრდის" ხედვით შეიძლება.

"თავისუფალი აღზრდის" თეორია ჟან-ჟაკ რუსოდან მომდინარეობს. ის თავისუფალი, ბუნებრივი აღზრდის იდეას იცავდა, თუმცა აღმზრდელის ხელმძღვანელ როლს ის არ უარყოფდა. "თავისუფალი აღზრდის" თეორეტიკოსები რუსეთში-ვენტცელი, გორბუნოვ-პოსალოკი, ლ.ნ. ტოლსტოი და სხვები, აღზრდის სისტემას ხედავდნენ, როგორც ბავშვის თვითგანვითარებასა და თვითაღზრდას და ისინი უარყოფდნენ ყოველგვარ პროგრამას, სასწავლო გეგმას და ასევე მასწავლებლის ხელმძღვანელ როლსაც. 1915 წელს ჟურნალ "განათლებაში" ვენტცელი წერს: " ... არ უნდა იქნეს არავითარი წინასწარ შედგენილი პროგრამა, არავითარი გეგმა მეცადინეობისა, არავითარი წინასწარ დანაწილება კლასებად და არავითარი მასწავლებელთა პერსონალი. ნამდვილი ჭეშმარიტი სკოლა უნდა იყოს უპროგრამოდ და უმასწავლებლოდ". [1, გვ. 264]

საქართველოში "თავისუფალი აღზრდის" თეორიის პროპაგანდას ლუარსაბ ბოცვაძე უწევდა. მან არაერთი სტატია მიუძღვნა ამ თემას. ლუარსაბ ბოცვაძემ თავის სტატიაში "თავისუფალი აღზრდა ბავ-

შვისა" დაასაბუთა, რომ არსებული სისტემა, რომელიც ხორციელდებოდა სკოლებში, ანგარიშს არ უწევდა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებას, მის ინტერესსა და შესაძლებლობებს. 1908 წლის ჟურნალში "განათლება" ის წერს: "ოფიციალურ სკოლებში მთელი სწავლება ისეა მოწყობილი, რომ ის არ იძლევა პასუხს ბავშვის სულის შეკითხვაზე, არ აინტერესებს და არ შეიძლება დააინტერესოს მოწაფე". [2, გვ. 123]. ლუარსაბ ბოცვაძე წუხილით გადმოგვცემს თავის სტატიებში, რომ ასეთ პირობებში მოსწავლეებს უწევთ შიშის ქვეშ ყოფნა, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო პოცესზე. მისი აზრით, აღზრდის ძველი სისტემის ძირითადი პრინციპი არის მოსწავლის მორჩილება ავტორიტეტისადმი, რაც უკვე ძირშივე კლავს მოსწავლის ნებას და მის სურვილებს და სწორედ ამიტომ, ლუარსაბ ბოცვაძე ავტორიტეტისადმი მორჩილების პრინციპს უპირისპირებს ბავშვის ყოველმხრივ თავისუფალ, ინდივიდუალურ განვითარებას და თვლის, რომ ამ პრინციპის არსი ბავშვის ბუნების და ინდივიდუალური თავისებურების პატივისცემაში მდგომარეობს.

ვთვლით, რომ "თავისუფალი აღზრდის" თეორიის ლუარსაბ ბოცვაძისეული ხედვა დღევანდელი საგანმანათლებლო სივრცისათვისაც აქტუალურია, რადგანაც ისე როგორც ერთი საუკუნის წინ, დღესაც წინა პლანზეა წამოწეული მოსწავლე, როგორც პიროვნება.

დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა აწყობილია მოსწავლის საჭიროებებზე. პედაგოგები პროფესიული საქმიანობის კვლევას მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურების და საჭიროების გავლით ახდენენ. პედაგოგები ვალდებულნი არიან შეისწავლონ მოსწავლეები, გამოიკვლიონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესთა სფეროები და შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით დაგეგმონ და წარმართონ გაკვეთილი. ყოველმა პედაგოგმა, როდესაც ის ახალ ჯგუფში შედის, სასურველია თავდაპირველად გამოიკვლიოს რა ტიპის შემსწავლელები არიან მოსწავლეები. ამისათვის მრავალი ტესტი და ქვიზი არსებობს მაგალითად, როგორიც არის- ტესტი "What's your learning style" და მკითხვარი "About me", რომლის საშუალებითაც პედაგოგი ეცნობა მოსწავლეთა ინტერესებს, სურვილებს, რა მოსწონთ მათ და რა არა, რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და ა.შ. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია დიაგნოსტიკური ტესტის ჩატარება პერიოდულად კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით, რაც ეხმარება პედაგოგს სწორად დაგეგმოს თითოეული აქტივობა საგაკვეთილო პროცესისათვის. ჩვენი კვლევის პროცესში ჩვენ სამივე ამ მეთოდს მივმართეთ, დავადგინეთ მოსწავლეების სწავლის ტიპი, შემდეგ მათი ინტერესთა სფერო და ბოლოს დიაგნოსტიკური ტესტის საშუალებით უშუალოდ გამოვავლინეთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც დაგვეხმარა ჩვენი კვლევის პროცესი უფრო ორგანიზებული და ნაყოფიერი ყოფილიყო.

ლუარსაბ ბოცვაძის აზრით, "თავისუფალი აღზრდის" საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა გრძნობებს, მათ თვითმოქმედების და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ჟურნალში "განათლება" 1908 წელს ლუარსაბ ბოცვაძე წერს: "ბავშვი აღმზრდელისათვის არც თიხაა, რომლისგანაც შეუძლია მას გააკეთოს რაც უნდა და არც სუფთა ქაღალდი, რომელზედაც დასწეროს რაც მოუნდება, არამედ მზა ორგანუ-

ლი არსებაა, რომლის წესიერსა და სრულს განვითარებას შეიძლება ხელი შევუშალოთ ან შევუწყოთ.” [2, გვ. 119]. არ შეიძლება არ დაეთანხმო ლუარსაბ ბოცვაძეს, რომ ჩვენი, პედაგოგების უპირველესი მოვალეობაა ბავშვს აღვუძრათ მოთხოვნილება, სურვილი იმისა, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით დაინახოს, არ დაკმაყოფილდეს სხვის მიერ ჩატარებული ცდით და ეცადოს თავად მოძებნოს კითხვებზე პასუხი.

ჩვენი კვლევის პროცესში აქ უკვე მივმართეთ დიმიტრი უზნაძეს და მის “განწყობის თეორიას”. დ. უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. განწყობის ცნების შინაარსს დ. უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის. რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად. თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელ ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ეს ყველაფერი უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რაც დაეხმარება მას გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში. რადგან მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ–ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ–ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა), ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებს და უნარ ჩვევებს. განწყობის თეორია ხომ არსებითად ქცევის ახსნითი მოდელია. როგორიც მოტივია, ისეთია ქცევაც. მოტივი (ან მოთხოვნილება) განსაზღვრავს ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ უნდა გამოვიყენოთ დ. უზნაძის კონცეფცია საკლასო ოთახში? ჩვენი აზრით, მასწავლებელმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. შეუქმნას მოსწავლეს დადებითი განწყობა;
2. მოარგოს მასალა მოსწავლის განწყობას/აქტუალური დონე + წინსვლა/;
3. შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.
4. ავუმაღლოთ მოსწავლეს მოტივაცია. [4, გვ. 23].

ჩვენი კვლევის პროცესში გადავწყვიტეთ ძირითადი აქცენტი გაგვეკეთებინა მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაზე, მაგრამ არა ბიჰევიორისტული მიდგომით, [5, გვ.10]. რომელიც ყურადღებას გარეგან მოტივაციაზე ამახვილებს, არამედ შინაგანი მოტივაციის ფონზე. აქედან გამომ-

დინარე ყველა ჩვენი გამოყენებული მეთოდი თუ დაგეგმილი აქტივობა მიზნად ისახავდა მოსწავლეებში შეგვენარჩუნებინა მაღალი აკადემიური მოსწრება შინაგანი მოტივაციის ფონზე. ჩვენს მიერ შერჩეული აქტივობები მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარეობდა. მოსწავლეებს მიეცათ დავალება მეთოდი -სასწავლო მენიუ (Learning menu)-ს საშუალებით, სადაც კვლევის პროცესში ჩვენთვის პრიორიტეტი აქტივობები მოვათავსეთ ბოლო- არჩევით ე.წ. დესერტის ნაწილში, ეს არის დამატებითი სასწავლო აქტივობები, რომელთა შესრულებაც სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო თემის კარგად შესწავლისათვის. ჩვენი კვლევის მიზანი იყო, მოსწავლეებისათვის ისე მიგვეწოდებინა ეს აქტივობები, რომ მათთვის მისი შესრულება ყოფილიყო იმდენად საინტერესო, რომ არასავალდებულო აქტივობები შეესრულებინათ ისე, როგორც სავალდებულო.

შესაბამისად შევიმუშავეთ ოთხი ასეთი აქტივობა, რომელიც შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მაგრამ ერთი შეხედვით უინტერესო ჩანდა მოსწავლეთათვის. ჩვენი მიზანი კი იყო, რომ ეს ყოველივე ისე უნდა მიგვეწოდებინა მოსწავლეებისათვის, რომ მათ ეს სიამოვნებით შეესრულებინათ:

1. How to write an instruction. - მოსწავლეებს დავავალეთ მოეტანათ ისეთი ინსტრუქციები, რომელთაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდნენ, როგორიცაა მაგალითად: როგორ დავდო "პოსტი" ფეისბუქზე, ან როგორ გაეგზავნათ შეტყობინება მობილურიდან, როგორ გადაეღოთ "სელფი" და ა.შ. ამ მიდგომამ აშკარად გაამართლა. მოსწავლეებმა სიხარულით შეასრულეს დავალება. მომდევნო გაკვეთილზე კი უკვე თავად ზავშვებს შევამოწმებინე ინსტრუქციების სისწორე. ისინი შეეცადნენ მიყოლოდნენ ერთმანეთის ინსტრუქციებს და შეემოწმებინათ მათი სიზუსტე.
2. Language of messaging - მოსწავლეებმა ინდივიდუალურად მოიძიეს ინფორმაცია SMS-ების არაფორმალური ენის შესახებ, როგორ მოკლდება თითოეული ფრაზა თუ სიტყვა, ასევე თუ რომელი emoji (ხასიათის გრაფიკული გამოსახულება) რას გამოხატავს. შემდეგ გალერეა-მეთოდის გამოყენებით შევადგინეთ ლექსიკონი, რომელსაც არაფორმალური მიწერ-მოწერის დროს აქტიურად ვიყენებთ.
3. A post card - მოსწავლეებს მივეცი დავალება, ღია ბარათი (რომელშიც დაცული იქნებოდა ყველა სათანადო წესი) მიეწერათ ერთმანეთისთვის, რომლის საშუალებითაც ისინი ისაუბრებდნენ ყველაზე დასამახსოვრებელი დღის შესახებ მათ ცხოვრებაში (The most memorable day in my life). შემდეგ კი ჯგუფს გაუზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს წაკითხულთან დაკავშირებით.
4. A biography- მოსწავლეებს მიეცათ დავალება დაეწერად მათი საყვარელი პიროვნების ბიოგრაფია, იქნებოდა ეს ცნობადი სახე თუ უბრალოდ ოჯახის წევრი. ბიოგრაფიას თან უნდა ჰქონოდა დართული ფოტოსურათიც. ეს აქტივობაც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ბიოგრაფიებში განსაკუთრებით საინტერესო იყო ის ნაწილი, სადაც მოსწავლეები წერდნენ თუ რატომ აირჩიეს კონკრეტული პიროვნება ამ აქტივობისთვის.

დღეისათვის საგაკვეთილო პროცესში პედაგოგები მიმართავენ პროქტზე დაფუძნებულ სწავლებას, რომლის დროსაც

ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და საკომუნიკაციო უნარები. პროექტი აქტიური და მიზანმიმართული სწავლების საშუალებას იძლევა, რომელზე მუშაობისას შეძენილ უნარ-ჩვევებს მოსწავლე იყენებს პრაქტიკაში. პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას. ისინი ხალისით მუშაობენ. რაც არ უნდა რთული იყოს დასახული მიზანი, ისინი ერთად ეძებენ გზებს. მასწავლებელი ამგვარი სწავლის დროს არის ექსპერტი, დამკვირვებელი და დამხმარე. ძირითადი ვალდებულებები მოსწავლეებს აქვთ აღებული საკუთარ თავზე, სწავლება ხალისით მიმდინარეობს, მოსწავლეს არ აქვს განცდა, რომ ის შეზღუდულია, შესაბამისად, შედეგზეც უფრო მალე გავდივართ და პროექტის განმავლობაში მიღებული ცოდნა მოსწავლეს აქტიურ მეხსიერებაში დიდი ხნით უნარჩუნდება.

ჩვენი კვლევის პროცესში ვიმუშავეთ ხუთ პროექტზე:

1. “You are what you eat”.
2. “Modern wonders”.
3. “Technology that changes the world”.
4. “Interview”.
5. ”My TV”.

აქედან ორი - ვიდეო პროექტი იყო, რომლებმაც განსაკუთრებული ჩართულობა გამოიწვია მოსწავლეებში. მათ ჩაწერეს ინტერვიუები წყვილებში, რომელშიც კითხვები, თემატიკა და ადგილი მათი სურვილის მიხედვით იქნა არჩეული. ასევე გადაიღეს მინი გადაცემა “თოქ შოუ”, სადაც წამყვანები, სტუმრები, ჟურნალისტები და გადამღებებიც თავად იყვნენ.

მოსწავლის ცოდნის შემოწმება-შეფასება პედაგოგიური პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და კონტროლს. შეფასების სისტემამ მრავალი გზა განვლო და დღემდე ექსპერიმენტის საგნად რჩება. თავდაპირველად არსებობდა შეფასების ორი სახე: “იცის” და “არ იცის”, შემდეგ გამოიყენებოდა მოსწავლის ცოდნის შეფასების სიტყვიერი სისტემა: “ფრიადი”, “კარგი”, “დამაკმაყოფილებელი” და “ცუდი”. შემდეგ დაინერგა შეფასების ციფრობრივი სისტემა-1, 2, 3, 4 და 5, რომელმაც შედარებით კონკრეტული გახადა მოსწავლის ცოდნის შემოწმების პროცესი. ბოლო პერიოდში ისევ შეიცვალა შეფასების სისტემა. დღეისათვის არსებობს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი, რომელსაც კვლევის პროცესში აქტიურად მივმართავდით. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს და ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს. ამ ტიპის შეფასებაში იწერება ქულები, რომელიც დღესდღეობით არის ათ ბალიანი სისტემით წარმოდგენილი. რაც შეეხება განმავითარებელ შესაფებას, ის აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი და ა.შ. როგორც ვხედავთ, შეფასების დღევანდელი სისტემა ძალზედ ახლოს არის დ. უზნაძის მიერ ერთი საუკუნის წინ შემოთავაზებულ შეფასების “უნიშნო სისტემასთან”.

დიმიტრი უზნაძე პირველი იყო, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში სულ სხვაგვარად დასვა საკითხი ცოდნის შემოწმება-შეფასებისათვის. მან შეეცადა დაენერგა შეფასების უნიშნო სისტემა, რომლის განხორციელებაც “სინათლის”

საზოგადოების ქალთა სასწავლებლიდან დაიწყო და მისივე თქმით, შედეგი მალევე დაინახა, რადგანაც სკოლის სუსტი კონტინგენტი საგრძნობლად გამოსწორდა.

დ. უზნაძის აზრით, მთავარი იყო შეგვეფასებინა არა ის, რა იცის მოსწავლემ, არამედ ის, რაც არ იცის, რადგანაც, მისი აზრით, მოსწავლეს როცა ეცოდინებოდა რა არ იცის, აუცილებლად შეეცდებოდა მიეღწია იმისთვის რაც უნდა იცოდეს. მისი აზრით: "ნიშანი, როგორც შედეგი შეფასებისა, ყოველთვის სუბიექტური ხასიათისაა და, როგორც ასეთი, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მუდამ გაუგებრობას ქმნის და ესეც რომ არ იყოს, თვით შეფასება მასწავლებლის მიერ ხდება, რომელიც, როგორც საგნის მთლიანი ბუნებიდან, ისე ბავშვის მომავალი ინტერესებიდან ამოდის. ბავშვისათვის, როგორც ერთი, ისე მეორე გაუგებარია და ამიტომ იგი, უმეტეს შემთხვევაში, უკმაყოფილო რჩება." [3, გვ. 16].

მიუხედავად იმისა, რომ დ. უზნაძემ გარკვეულ წარმატებას მიაღწია უნიშნო სისტემით სწავლების პროცესში, მან სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ შეძლო ცოდნის შეფასება-შემოწმების საკუთარი სისტემის განზოგადება და დანერგვა. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? ჩვენი აზრით, დ. უზნაძე უნიშნო სისტემით შეფასების პერიოდში წააწყდა სირთულეებს, რამაც განაპირობა ის, რომ მომდევნო წლებში მას უნიშნო სწავლების უპირატესობის შესახებ და აკადემიური წარმატების ნიშანზე შეფასების წინააღმდეგ აზრი არსად არ გამოუთქვამს.

ვთვლით, რომ მოსწავლის ცოდნის შემოწმება-შეფასება ძალზედ ობიექტური და მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე ორიენტირებული უნდა იყოს, რასაც, ჩვენი აზრით, დღევანდელი შეფასების სისტემა სრულად პასუხობს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დ.უზნაძის მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი ნამდვილად პროგრესული ხასიათისაა, რომელმაც საუკუნის წინ საფუძველი ჩუყარა შეფასების დღევანდელ სისტემას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ჟურნ. „განათლება", 1915 წელი, N4.
2. კახაბერი, თავისუფალი აღზრდა ბავშვისა, ჟურნ. „განათლება" 1908 წელი, N7-8,
3. დ. უზნაძე, „სინათლის" საზოგადოების ქალთა სასწავლებლის 1915-1916 სასწავლო წლის ანგარიში.
4. მ. მელიქიშვილი, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2013 წ.
5. მ. მელიქიშვილი, მოტივაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2013 წ.


**PAST EXPERIENCE IN MODERN PEDAGOGY**


**Mariam Kapanadze, Irine Pitava**

Kutaisi Public School N35



**Summary**

The high academic performance of the class depends on the academic atmosphere created by the teacher in the classroom, and in which there is a great deal of experience that the enlighteners and public educators have collected for centuries. The article deals with "Free Education", which was propagated by Luarsab Botsvadze in Georgia. As well as individual needs of the students, Dimitri Uznadze's "The Theory of Mood", motivation, project-based teaching and knowledge-assessment. These issues are very important for the improvement and retention of higher academic performance.

# УРОК ПОВТОРЕНИЯ

**КАХАДЗЕ ЛЮДМИЛА** **35-ая публичная школа г. Кутаиси**

***Процесс обучения русскому языку учащихся национальных школ охватывает два аспекта: обучение практической речи и приобретение необходимых теоретических знаний для построения речи на неродном языке. Немаловажное значение имеет и воспитательная сторона обучения русскому языку.***

*Для I уровня грузинской школы созданы учебник, программа и методическое пособие по русскому языку. Программа требует усвоения определенного количества слов и синтаксических конструкций, выработки фонетических и грамматических навыков. В методическом пособии даны общие положения по обучению детей. Весь материал делится на отдельные темы, на каждую отводится определенное количество занятий, а в конце темы дается еще одно занятие на повторение, цель такого занятия - закрепление пройденного по данной теме материала. Для всех занятий в пособии дается план их проведения, организация же урока повторения целиком зависит от учителя.*

Значение повторения общеизвестно, но возникает такой вопрос: как оно должно проводиться, чтобы быть достаточно продуктивным? Некоторые педагоги понимают повторение как буквальное воспроизведение того, что изучалось на уроках ранее. Такому пониманию повторения, как шаблонного, точного копирования, надо противопоставить другое: возобновление пройденного материала в ином качестве, в иной форме. Принимая во внимание психофизиологические особенности детей, при повторении необходимо давать что-то новое, занимательное, веселое, по возможности, связанное с

игрой.

Практика показывает, что, если учителю удается найти новую форму повторения, то оно становится более эффективным. Конечно, каждая тема требует своего воплощения - материал должен сам подсказать учителю построение урока повторения. Мы же постараемся на примере повторительного занятия по теме «Посуда и пища» показать особенности построения занятия такого типа.

Ведущим видом деятельности ребенка является игровая деятельность. Особенно увлекают ролевые игры. В пособии при разработке занятий широко применяется разучивание диалогов. Перед нами встал вопрос: как повторить этот материал. Мы решили обратиться к ролевой игре, создавая ситуацию, которая потребует применения предложений, фраз, реплик, усвоенных на предыдущих занятиях, при том, что истинная наша цель будет скрыта: для учащихся это повторение будет просто ролевой игрой.

После приветствия учитель задает классу вопрос:

- Какую тему мы изучили на последних занятиях?

- «Посуда и пища».

Учитель предлагает детям рассказать о том, как они помогают дома:

- Давайте представим, что мы на кухне и помогаем маме готовить обед. Мака будет мамой, Гия – папой Теа - сестрой, Леван - братом. Мака, что приготовишь на обед?

- Я приготовлю суп, картошку, котлеты.

Учитель: А ты, Гия, как поможешь маме?

- А я помою морковь и лук.

Мака: Вот спасибо, ты мне очень помог.

Учитель: Вот какая дружная семья! Мама приготовила очень вкусный обед. Как вы думаете, почему у мамы получился такой обед?

С помощью учителя дети отвечают:

- Потому, что все помогли маме.

Учитель: А сейчас давайте накрывать на стол. Нана, скажи, что надо поставить на стол и кто тебе должен помочь?

Нана (теперь она в роли мамы) говорит своему «сыну» Диме:

-Дима, поставь на стол тарелки, положи ложки и вилки.

Дима берет муляжи или рисунки (или детскую посуду), называя предметы, кладет их на стол.

- А ты, Теа, - обращается к ней Нана, - принеси на стол еду. Что ты поставишь, на стол?

Теа «раскладывает» еду в тарелки и говорит:

- Это белый хлеб, это черный хлеб, это помидоры, это огурцы.

А Гия («папа») приносит кастрюлю и говорит:

- Здесь суп.

Нана приносит сковородку и говорит:

- А это котлеты и картошка.

Учитель: Семья обедает. Представим себе, о чем может говорить семья за обедом.

Используя лексику изученных

диалогов, дети могут дать ответы:

Дато: Мама, я не хочу суп, я хочу котлету и помидор.

Мама: Нет, Дато, съешь сначала суп, а потом котлету.

Дато: Хорошо, мама.

Или:

- Майя, дай мне хлеб.

Майя: Какой - белый или черный?

Папа: Белый, пожалуйста.

- Пожалуйста.

- Спасибо, Майя.

В продолжение всей этой инсценировки по мере надобности дети, не участвующие в ней, помогают «артистам», если же и у них возникает затруднение, что приходит на помощь учитель. Он спрашивает:

- Лия, ты помогаешь маме?

- Да, помогаю.

- А вы, дети?

Ученики (хором): Да, помогаем.

- Кто вспомнит стихи про девочку, которая помогала маме?

Одна из учениц выразительно читает:

Я теперь другая,
Я теперь большая,
Маме помогаю,
Папе не мешаю
Вытираю чисто
Чайную посуду
Если папа занят,
Я шуметь не буду.

Учитель: А кто помнит стихотворение про ленивую девочку Таню?

Ребята вспоминают:

Вот у Тани сколько дела:
Таня ела, чай пила
Села, с мамой посидела,
Встала, к бабушке пошла.

Учитель: А вот в нашем классе нет ленивых девочек и мальчиков, правда. ребята?

Участники следующей сценки помогают «маме» после обеда вымыть посуду, называют каждый предмет.

Излюбленным занятием детей является прослушивание и инсценировки сказок. В сказке они чувствуют настоящую выразительность речи, непосредственный и искренний тон, учатся сочетать интонацию с жестом и мимикой. благодаря строгой последовательности событий в сказке, хорошо запоминается ее содержание.

- А теперь посмотрим фильм «Три медведя».

Все кадры фильма связаны между собой, т.е. каждый предыдущий и последующий рисунки рассматриваются как фрагменты единого целого. Это помогает в усвоении и понимании русского текста, особенно если учесть, что дети уже знают сказку «Три медведя» (адаптированную). После просмотра проводим инсценировку . Инсценировка, как правило, вызывает у детей желание говорить. Учитель должен поощрять это желание, помогать отстающим участвовать в игре, иногда приходится выступать даже в роли суфлера, чтобы вовлечь слабо владеющих языком учащихся в работу.

К доске выходят Маша (в ее роли Нина) и три «медведя» - Сандро, Майя и Симон. Дети очень быстро входят в роль, выразительно подают реплики, а в роли, выразительно подают реплики, а в роли автора - учитель.

Нина повязывает косыночку, берет в руки корзину с грибами или с цветами и ходит по классу - она «гуляет по

лесу». Заходит все дальше и вдруг «видит» домик!

- Какой маленький домик!

Учитель: А кто же живет в этом домике?

- Ой, в доме живут три медведя.

- Как ты узнала?

- Там на стене висит картина, на ней нарисованы три медведя. Как хорошо они живут!

Учитель: Что увидела Маша?

ученики: Комнату, стол, три стула. На столе три тарелки и три ложки.

- Какие это ложки?

- Одна ложка большая, другая средняя, третья совсем маленькая.

- Что сделала Маша?

Маша «пробует» суп из всех тарелок по очереди, показывает каждую классу и объяснят, какая это тарелка (большая, средняя, маленькая).

- Скажите, дети, Маше понравился суп,

- Да.

_ Что она сказала?

- Какой вкусный суп! и. т.д.

Затем (после просмотра фильма и инсценировки) учитель предлагает сделать в тетрадях «иллюстрацию» к сказке, каждый рисует тот момент, который больше всего понравился. рисовать дети очень любят, и это можно успешно использовать для развития речевых навыков. Учитель ходит по рядам, рассматривает рисунки, хвалит их, просит рассказать, что на них изображено. Это заключительный момент занятия повторения по теме «Посуда и пища».

По нашему мнению, такая работа по повторению хорошо служит нашей основной цели - научить детей общаться на русском языке. На подобных занятиях детям интересно, пройденный ранее материал повторяется и закрепляется без особого труда. В классе царит веселое настроение, дети радуются своим успехам в русском языке, с большой охотой занимаются, а это, как известно, во многом залог успеха.

**Использованная лит-ра.**


1. К.Д. Ушинский „Этапы воспитания"
2. Н.К. Крылова, И.Б Соколова - Русская разговорная речь в ситуциях Действующие учебники


## გამეორების გაკვეთილი


ლიუდმილა კახაძე

ქუთაისის №35 -ე საჯარო სკოლა



რეზიუმე

რუსული ენის სწავლების პროცესი რაციონალურ სკოლაში მოიცავს ორ აპექტს:პრაქტიკული მეტყველების სწავლებას და აუცილებელი თეორიული ცოდნის შეძენას, რომ მოსწავლემ შეძლოს კომუნიკაცია არამშობლიურ ენაზე.

ქართული სკოლის რუსული ენის I დონისთვის შექმნილია სახელმძღვანელო, პროგრამა და დახმარე მოთოდური ლიტერატურა.პროგრამა მოითხოვს განსაზღვრული რაოდენობის სიტყვების და გრამატიკული კონსტრუქციების ათვისებას, ფონეტიკური და გრამატიკული უნარების გამომუშავებას. მეთოდურ სახელმძღვანელოში მოცემულია სწავლების ზოგადი მითითებები.მთელი მასალა იყოფა ცალკეულ თემებზე, თითოეულს ეთმობა მეცადინეობის განსაზღვრული რაოდენობა, თემის ბოლოს ეთმობა კიდევ ერთი მეცადინეობა გამეორებისთვის. ასეთი მეცადინეობის მიზანია განვლილი მასალის გამეორება მოცემულ თემაზე. ყველა მეცადინეობისთვის მოცემულია ჩატარების გეგმა, გაკვეთილის ორგანიზაცია კი

დამოკიდებულია თვით პედაგოგზე.

**LESSON FOR REPEATING**

**Liudmila Kakhadze**
Kutaisi Public School №35

**Summary**

The teaching of Russian language in national schools consists of two aspects: teaching practical speech and obtaining the necessary theoretical knowledge that the student can communicate in foreign language. The textbook, program and methodical books for teachers are created for the first level of Russian language in Georgian schools. The program requires a certain number of words and grammatical constructions, as well as phonetic and grammatical skills. The methodological book provides general guidelines for teaching, the whole material is divided into separate topics, each of which is assigned a certain number of lessons, and at the end of the theme is given another step to repeat. The aim of such lesson is to repeat the past material of the subject. There are lesson plans for each and the organization of the lesson depends on the teachers themselves.

# სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოსა და რესურსების ეფექტურობა

თამარი შანიძე

სსიპ ბადრი ბასილაძის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა:**tamarischanidze@gmail.com**

ადამიანი ყოველთვის ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო და იქნება ადამიანისთვის

*ბელინსკი*

*თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში რიგ საკითხთა შორის დიდ როლს თამაშობს ინკლუზიური განათლება და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. პედაგოგიური ლიტერატურის მიხედვით ტერმინი „ინკლუზია" ინგლისური წარმოშობისაა და სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით „ჩართვას" გულისხმობს. ინკლუზიური განათლება ითვალისწინებს განსხვავებული ნიშნის მქონე ბავშვების ჩართვას სასწავლო პროცესში სხვა თანატოლებთან ერთად. ამდენად, ინკლუზიური განათლება მიზნად ისახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას მათ შესაძლებლობებთან, მოთხოვნებსა და საჭიროებებთან.*

სასწავლო წლის დასაწყისში მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე გამოიკვეთა სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით. ნათლი გახდა მოსწავლის კომპეტენციები წერაში, კითხვაში, საუბარსა და ანგარიშში. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, უცხოური ენის სწავლების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნე-

ლობა შეიძინა კითხვის, საუბრისა და წერის კომპეტენციებმა მშობლიურ ენაში, რათა აღნიშნულიდან გამომდინარე სწორად განსაზღვრულიყო პარალელები უცხოურ ენასთან. მოსწავლე ქართულ ენაზე კითხვის დროს მოსწავლე ხშირად სიტყვაში ხმოვნებს არ ამბობდა, რაც ხშირად სიტყვის მნიშვნელობას აკნინებდა. დასახელებული ხარვეზი გამოწვეული იყო დაწყებითი კლასებიდან ინგლისური ენის კითხვის კანონზომიერების გავლენით. კერძოდ, უცხოურ ენაში უმთავრესი პრინციპია სიტყვის კონსტრუქციიდან გამომდინარე სიტყვაში ხმოვანთა შერჩევითი გათვალისწინება და წაკითხვა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მშობლიური ენის კითხვის თავისებურებების ათვისებას დაასწრო უცხოური ენის კითხვის თავისებურებებმა, რაც გამოიკვეთა და აღიბეჭდა მშობლიურ ენაზე კითხვის პროცესში. ამ თავისებურებამ მასთან იმდენად ბუნებრივი ხასიათი მიიღო, რომ მშობლიურ ენაზეც გაუკეთა ტრანსფერი მიღებულ ცოდნას.

რამდენადაც ცნობილია, გერმანული და ინგლისური ენებისთვის ლათინური ენა ფუძე ენაა და შესაბამისად მათი ანბანური სისტემები იდენტურია. მსგავსების მიუხედავად, განმასხვავებელი ნიშანი არაერთია და როგორც ერთ, ასევე მეორე ენაში კითხვის, წერისა და საუბრის მომენტისთვის საჭიროებს ცალკეული წესებისა და ნორმების დაცვას. ვინაიდან მოსწავლეს გერმანულ ენაში სწორად კითხვის პრობლემები ჰქონდა, აუცილებელი გახდა გერმანული ენის საგნობრივი სტანდარტის მოდიფიცირება და მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგება. მთელი წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გერმანულ ენაში, ითვალისწინებდა დატვირთვაგანტვირთვის პრინციპით სამივე მიმართლებით მოსწავლის უნარების ფორმირება-განმტკიცებას. კითხვის უნარის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანი შეიქმნა ანბანის დონიდან მარცვლების დონეზე, შემდგომ სიტყვის დონიდან წინადადების დონეზე და ბოლოს წინადადების დონიდან ტექსტის დონეზე გადასვლის მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული საფეხურები, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. დასახელებულ ეტაპებზე გადასვლისათვის და გადასვლამდე მომზადების მიზნით პედაგოგმა გამოიყენა ცალკეული რესურსები, რომლებიც ემსახურებოდა ამ დონეების შესაბამისი მიზნების ეფექტურ განხორციელებას.

კითხვის ნორმების დაუფლების მიზნით პირველი საფეხურის არსს წარმოადგენდა ენაში ანბანურ დონეზე მუშაობა, კერძოდ ანბანური ერთეულების წარმოთქმის თავისებურებების აღქმა და დამახსოვრება. მომდევნო ეტაპზე კი სხვა ხმოვნებთან და თანხმოვნებთან ერთად წარმოთქმის ნორმების ფლობა. ამდენად, მარცვლის დონეზე მუშაობა. კითხვის დაუფლების პროცესში სირთულეს წარმოადგენდა გერმანული ენის სპეციფიკის, კერძოდ, დიფთონგების წაკითხვის ნორმათა ფლობა, რისთვისაც პედაგოგმა აქტიურად გამოიყენა ბარათების ფორმატში ჩაწერილი სიტყვები. დავალების ამ ფორმალური მხარის გათვალისწინებით მოსწავლე წარმოდგენილ სიტყვებში ხაზავდა მსგავსებებს ცალკეულ დიფთონგთან და წარმოთქვამდა მათ, იდენტურ სამუშაოებს ასრულებდა საშინაო დავალებად შინ მეცადინეობის დროს, რისი გავლენითაც აღსაზრდელი დიფთონგთა წარმოთქმის მახასიათებლების მარტივად და ეფექტურად დაეუფლა. მარცვლის დონეზე დიფთონგთა ცოდნამ საფუძველი მოუმზადა

მოსწავლეს უახლოესი განვითარების ზონის ფარგლებში პედაგოგის ფასილიტაციის მეშვეობით დაუფლებოდა კითვის ნორმებს სიტყვის დონეზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განკუთვნილი საგაკვეთილო თემატიკის ლექსიკური ფონდი აღებული იყო უშუალოდ იმ სასწავლო მასალიდან, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მთელი კლასი პროგრამულად სწავლობდა. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ წარმოთქმული ცალკეული სიტყვის ფონეტიკური ჟღერადობა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო და მათთან ერთად ლექსიკური ფონდის გამოყენების პროცესში ჩართულიყო. სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, რომ შესაძლებლობა ჰქონოდა სიტყვის სწორი ფონეტიკური ჟღერადობა შინ სწავლის პერიოდში მოესმინა და შემდგომ დაემახსოვრებინა, პედაგოგმა გააკეთა თითოეული სიტყვის ,,ვოის", ,,ხმოვანი" ვარიანტი. ამგვარი მიდგომის ძირითად ეფექტს წარმოადგენდა ის, რომ მან მასწავლებლის დახმარების გარეშე უნდა მოესმინა თითოეული სიტყვა, მისი მიბაძვითა და ბარათებზე გამოსახული სიტყვების წაკითხვით დაუფლებოდა უცხოურ ენას სიტყვის დონეზე.

ამ მიდგომის განხორციელებისას პედაგოგი ყოველდღიურად აკვირდებოდა მის მიერ დასახული მიზნის განხორციელების პერსპექტივას. რამოდენიმე გაკვეთილის შედეგმა ნათლად წარმოაჩინა ამგვარი მიდგომის ეფექტურობა. კერძოდ, სიტყვის დონიდან წინადადების დონეზე და უფრო სწრაფად ტექსტის დონეზე გადასვლის პერსპექტივა.

გაკვეთილი ფაქტობრივად ორი გეგმით მიმდინარეობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და დანარჩენი თვრამეტი მოსწავლისთვის განკუთვნილი გეგმით. იმ ფონზე როცა სკოლას რესურს ოთახი აქვს და მოსწავლეს სრული უფლება ჰქონდა ამ ოთახში ემუშავა, მას ცალკე მუშაობის სურვილი არასოდეს გამოუთქვამს. პირიქით, ის ყოველთვის ირჩევს მეცადინეობას და ურთიერთობას თანაკლასელებთან, ამდენად შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ ის კონტაქტურია. მის სხვა დადებით თვისებებს შორის აღსანიშნავია ,,ამბიციურობა"- გააკეთოს ის, რასაც კლასის სხვა მოსწავლეები წარმატებით აკეთებენ. მისი ეს თვისება პედაგოგებს დიდ დახმარებას გვიწევდა, რადგან ამ სიტუაციაში მეცადინეობის მთელი სიმძიმის ცენტრი პედაგოგზე არ გადმოდიოდა, ამდენად მოსწავლეს მოტივაციის ასამაღლებლად განსაკუთრებული მიდგომები არ ესაჭიროებოდა.

არსებობს პედაგოგთა მოსაზრება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები დღის ცენტრებსა და რესურს ოთახებში უფრო უკეთესად სწავლობენ, ვიდრე იმ მოსწავლეთა სასწავლო გარემოში, რომლებიც მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმას არ საჭიროებენ. პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსაზრება უფრო მითია, ვიდრე რეალობა, ვინაიდან გარემო პირობები, სადაც სხვა მისი თანატოლები, გაცილებით უკეთესი შესაძლებლობებით, ქმნიან მისთვის ალბერტ ბანდურას მოდელირების პრინციპით ერთგვარი ეტალონის სახეს, სტიმულს აძლევს მოსწავლეს ჩაერთოს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებსა თუ ურთიერთო-

ზებში.

სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან ამგვარი წარმატებული მუშაობის შედეგი სამი მმმ პრინციპით მუშაობამ და სპეციალური მასწავლებლის მოვალეობის პირნათლად შესრულების მაღალმა ხარისხმა. ამ თვალსაზრისით, მშობელის ფუნქციას წარმოადგენდა არა თუ სწავლების მონიტორინგი, არამედ შინ სწავლისას დასწავლის პროცესზე თვალყურის დევნება და ხელშეწყობა.

სწავლების მექანიზმი, სიტყვების ,,ვოის" ვარიანტი განთავსებულია პედაგოგის მიერ შედგენილ საგანმანათლებლო ბლოგზე სათანადო დამხმარე მასალით, რომელის ნახვა შეუძლია არა მხოლოდ მოსწავლეს, ასევე მშობელსაც. მას აქვს შესაძლებლობა სასწავლო მასალა გადმოტვირთოს ნებისმიერ დროს და გამოიყენოს სწავლის პერიოდში.

პედაგოგისთვის მნიშვნელოვანი იმის გაანალიზება, თუ რამდენად დიდ დახმარებას უწევდა მოსწავლეს აღნიშნული სასწავლო რესურს. გამოკითხვის შედეგების მიხედვით რესურსი პედაგოგის მიერ დასახულ მიზანს ასრულებდა მოსწავლეს ხელს უწყობდა დავალების დამოუკიდებლად შესრულებასა და ენის ფონეტიკური თავისებურებების აღქმაში. თუმცა, მოსწავლის მიერ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით კარგი იქნებოდა რესურსის ისეთი ვარიანტი, რომელიც მოსასმენად მეტად სახალისო იქნებოდა. მისი სურვილის გათვალისწინება სასწავლო რესურსის შედგენისას აქტიურად გამოვიყენე და შედეგად ოპერანტული განპირობებულობის მარგი ქმედების კოეფიციენტი საგრძნობლად გაიზარდა. სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობა გაიზარდა.

სასწავლო პროცესის წარმატებას თუ წარუმატებლობას ვაკვირდებოდი შემაჯამებელი დავალების ანალიზით. აღნიშნულმა ცხადყო, რომ მოსწავლეს თვალნათლივ უვითარდება კითხვის, წერისა და საუბრის უნარები ამგვარი მიდგომების ხარჯზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ჯანაშია ნათია, იმედაძე ნათელა, გორგოძე სოფიო, განვითარებისა და სწავლების თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2008 წ.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა2011-2016 წწ.
3. ინკლუზიური განათლება, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2012 წ.


**EFFICIENCY OF LEARNING ENVIRONMENT AND RESOURCES FOCUSED ON YOUNG PEOPLE WITH SPECIAL EDUCATIONAL NEEDS AND DISABILITIES (SEND)**


**Tamar Shanidze**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

The article, which discusses an alternative ways of solving the problems of involvement of young people with special educational needs and disabilities (SEND) in learning process, is an important work. In the article, the analysis of the literature used and the strategies of creating a resource for the student's needs and interests are presented clearly. The work will provide valuable assistance to those who are interested in inclusive education, as well as foreign languages and not only foreign language teachers who are involved with the students with special educational needs in the learning process and get familiar with the alternatives ways of solving the dilemmas that are in front of them.

# დიფერენცირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

თამარი შანიძე სსიპ ბადრი ბასილაძის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: **tamarischanidze@gmail.com**

*წარმოდგენილი სტატია საინტერესოდ წარმოჩენს დიფერენცირებული სწავლების სპეციფიკის თავისებურებებს, მისთვის აუცილებელ გარემო პირობებსა და სასწავლო რესურსებს. ნაშრომი ღირებულია დიფერენცირებული სწავლების თავისებურებებით დაინტერესებული პირებისათვის, ასევე საჯარო და კერძო სკოლის პედაგოგებისათვის, რომელთა ინ-*

*ტერესები მიმართულია კლასის საერთო აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე. ნაშრომის ღირებულება იმ თვალსაზრისითაც გასათვალისწინებელია, რომ საკითხი თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ამ ეტაპისათვის ფართო მაშტაბით განხილული არ არის.*

დიფერენციაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რაიმეს სხვადასხვაგვარ ელემენტებად დაყოფას დაცალკევებას. აღნიშნული ტერმინი, დასახელებული პრაგმატული მნიშვნელობით ხშირად გამოიყენება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის პედაგოგიკაში. თანამედროვე პედაგოგიკურ სივრცეში აქტიურად განიხილება დიფერენცირებული სწავლება და მისი პრინციპები, რომელიც გულისხმობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების თანაბრად გათვალისწინებას, როგორც საგაკვეთილო გეგმის შედგენის, ასევე საგაკვეთილო პროცესის გონივრული დაგეგმვა-განხორციელებისათვის.

პედაგოგიკის თეორიაში ღიადაა დაფიქსირებული მოსაზრება ინდივიდებში გენეტიკურად კოდირებული უნარებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც ადამიანთა ერთმანეთისაგან განმასხვავებელ ფაქტორად ითვლება. მეტაფიზიკოსთა შეხედულებით ადამიანური კოდი თავის თავში გულისხმობს კოლექტიურ არაცნობიერს, რომლის რეალიზება ფორმირდება სასწავლო გარემოსა და პროცესის ჰარმონიული შერწყმის შედეგად. კერძოდ, არსებულ ცოდნაზე სრულიად ახლის დაშენებითა და ინოვაციური მიგნებებისა თუ შეხედულებების კონსტრუირებით.

ანტიკური ხანიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე მსოფლიო პედაგოგიურ სივრცეში მარია მონტესორის სკოლის ფორმირებამდე სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დიფერენცირებას სასწავლო პროცესში ნაკლებად ახდენდნენ. გამონაკლისს, ამ თვალსაზრისით, არც ქართული პედაგოგიკური გარემო და მასში დამკვიდრებული სასწავლო პრინციპები წარმოადგენდა. თუმცა, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება- ფორმირებაზე. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია მათი კომპეტენციები სასწავლო თემატიკის უკეთ წვდომის მიზნით.

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ხშირად მხვდება ისეთი მოსწავლეები, რომლებიც კლასის საერთო დონეს საგრძნობლად ჩამორჩებიან, თუმცა ისინი ასაკობრივად აბსოლუტურად შეესაბამება კლასის საერთო მოთხოვნებს. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპები აუცილებლობით მოითხოვს გაკვეთილის გეგმის შედგენას როგოგორც, კონკრეტულად ამ მოსწავლეთათვის, ასევე დანარჩენი მოსწავლეებისთვისაც. გაკვეთილის განმავლობაში მათ სხვა დავალება ჰქონდათ დანარჩენ კლასს კი სხვა. მათდამი ამგვარმა მიდგომამ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში გაზარდა. გაუჩნდათ სურვილი მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა აქტივობებში. მათ ჩათვალეს, რომ საგანში არის ცალკეული საკითხები, რომლებიც შესაძლებელია მათ შესაძლებლობებს შეესაბამებოდეს და ამდენად, შეიძლება მათი შესრულება. ასეთ მოსწავლეებთან გამოვიყენე ელექტრონული რესურსები, რომლებიც ჩემს ბლოგზეა განთავსებული. მათგან ორმა მოსწავლემ მოიძია დავალება და შეასრულა, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა დამოუკიდებლად ვერ შეძლო მიცემული დავალების შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე მოს-

წავლის საჭიროებამ მოითხოვა მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში სწავლაზე მონიტორინგის კუთხით.

სასწავლო პროცესისადმი დიფერენცირებულმა მიდგომებმა ნაწილობრივ შედეგი გამოიღო. ამდენად, ვთვლი აუცილებელია მსგავსი პრინციპით მუშაობა ამ მოსწავლეებთან, რათა მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა გაიზარდოს და კლასის აკადემიური მოსწრება მაღალ სკალარულ მონაცემებს უჩვენებდეს.

როგორც ყველა ინოვაციას, დიფერენცირებულ მიდგომას მახასიათებელი დადებითი და უარყოფითი თავისებურება აქვს. დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების შემთხვევაში მოსწავლეები ნაკლებ დაძაბულები არიან, ისინი არ განიცდიან შიშს შესასწავლი თემატიკის მიმართ, ვინაიდან თვლიან, რომ სასწავლო საკითხები მათ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და წარმოდგენილია მათი უახლოესი განვითარების ზონის ფარგლებში. ამგვარი დამოკიდებულება მოსწავლის ფსიქიკისთვის ნაკლებ სტრესიანია, არ იწვევს დაუძლევლობის შიშს და მას ერთგვარი შანსი ეძლევა კლასის საერთო მოთხოვნების შესრულებაში გარკვეული წილი შეიტანოს. ამ მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს. მათ იგრძნონ თავი გუნდის წევრად, როგორც პედაგოგიური თეორიები სწორად მიიჩნევენ, აუცილებელია მოსწავლეებს ამგვარი მიდგომებით გამოუმუშვდეთ თანადოგომა, დაცულობა და ნდობა, პიროვნული ღირსების შეგრძნება.

დადებით თვისებათა გვერდით თანაარსებობს უარყოფითი მახასიათებლები. კერძოდ, დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეები სუსტთა და ძლიერთა კატეგორიაში გრძნობენ თავს. ჩვენი, პედაგოგიური სტრატეგიების საფუძველზე ისინი ცდილობენ დატოვონ სუსტთა ჯგუფი და დაწინაურდნენ, გახდნენ ძლიერები და მათთან გათანაბრებული შესაძლებლობების მოსწავლეები. ეს ერთგვარ დაძაბულობას უქმნის მოსწავლეს, თუმცა არ შეიძლება ბოლომდე მას უარყოფითი მახასიათებელი დავარქვათ თავისი ამბივალენტური ბუნების გამო.

უარყოფით მახასიათებლად შეიძლება დასახელდეს დროის ლიმიტი, რომელიც აუცილებლობით მოითხოვება მოსწავლეთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამო. თუმცა, ოსტატურად დაგეგმილი გაკვეთილის პირობებში შესაძლებელია საჭირო ყურადღების მიპყრობა დიფერენცირებული სწავლების პრინციპებისადმი და მათი უნაკლოდ შესრულება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და მისთვის მახასიათბელი პირობები ჩვეულ მოვლენად უნდა იქცეს საგანმანათლებლო პროცესში, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი მოიმატებს გაკვეთილის პირობებში და პარალელურად ისინი დაეუფლებიან ამა თუ იმ საგნის საფუძვლებს, ისწავლიან პასუხისმგებლობას და მოვალეობების სწორად გაცნობიერებას სწავლა-სწავლების პროცესში.

დიფერენცირებული გაკვეთილის შეფასების მიზნით აუცილებელია გაკვეთილის გეგმა მოიცავდეს კონკრეტულად სუსტ ან ძლიერ მოსწავლეზე ორიენტირებულ ნიუანსებს და ამავე დროს სპეციფიკური შეფასების რუბრიკას. რუბრიკის არსებობა მოითხოვს ამ მოსწავლეთა შესაძლებლობების სწორად ტიტულირებას,

რათა საჭიროებიდან გამომდინარე გახდეს მათთან განსაკუთრებული მიდგომები და სხვა მოსწავლეებს არ გაუჩნდეთ პრეტენზია შეფასების საკითხთან დაკავშირებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. იუნგი კარლ გუსტავ, მეტამორფოზის სიმბოლოები, დიოგენე 2017 წ.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016.
3. ჯანაშია ნათია, იმედაძე ნათელა, გორგოძე სოფიო, განვითარებისა და სწავლების თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2008 წ.
4. ფირჩხაძე მაია, დიფერენცირებული სწავლება ისტორიის გაკვეთილზე, განათლება 2014წ.


**DIFFERENTIAL TEACHING AT SCHOOLS**


**Tamar Shanidze**
Akaki Tsereteli State University


**Summary**


The article illustrates the peculiarity of the differential teaching specifications, the necessary environmental conditions and the study resources. The work is valued for those who are interested in differential teaching, as well as teachers of public and private schools whose interests are directed towards improving classroom academic performance and increasing the level of knowledge of students. The cost of the work should also be taken into consideration that the issue is not widely discussed at this stage in modern educational space.


# ШКОЛА И РОДИТЕЛИ


**ЦХАДАДЗЕ ЕЛЕНА** **кутаисская публичная школа №3**

***Семья вместе со школой создаёт тот важнейший комплекс факторов и условий воспитывающей среды, который определяет эффективность всего образовательного процесса. Вот почему при большом многообразии обязанностей работа школы с семьёй столь значительна в педагогической деятельности. Если школа сделает родителей своими союзниками, то она станет сильнее во всех отношениях. Взаимодействие с родителями должно носить характер встречного движения, совпадающего как по своей направленности и целевым установкам, так и по формам и методам реализации. Данное обстоятельство поможет избежать многих традиционных конфликтов между школой и родителями.***

Наиболее распространёнными проблемами в отношениях семьи и школы на сегодня, по мнению педагогов, являются:

1)чрезмерная занятость родителей, ведущая к сокращению времени на воспитание детей;

2)недостаточное внимание к образованию своих детей и нежелание участвовать в школьных делах;

3) невысокий образовательный и общекультурный уровень родителей, не позволяющий понять усилия школы, направленные на развитие и воспитание детей.

В силу вышеобозначенных обстоятельств работа школы с родителями в последнее время значительно ослабла, но это не значит, что эта работа уже не нужна. В нашей школе сложились определённые пути взаимодействия с родителями учащихся на основе системного подхода.

**Цель работы** – создание условий для сотрудничества родителей и школы в деле вопспитания на основе единой педагогической позиции.

**Задачи:**

- включение родителей в совместную со школой воспитывающую деятельность с детьми;
- оказание помощи родителям в семейном воспитании;
- формирование партнёрских отношений в сфере материально-финансовой деятельности школы;
- совместная с родителями организация социальной защиты детей;
- организация здорового образа жизни ребёнка в семье и школе.

**Содержание работы:**

- ознакомление родителей с методикой воспитания, с этапами физиологического и психического развития детей;
- совместные занятия родителей с детьми (кружки, секции, клубы, походы, экскурсии, коллективные творческие мероприятия);
- совместная оздоровительная работа семьи и школы (Дни здоровья, спортивные мероприятия);
- забота о многодетных и малообеспеченных семьях;
- участие в школьном самоуправлении;
- материально-финансовая помощь школе, классу (благотворительность, спонсорство);
- соместное планирование и анализ работы.

**Формы работы** – это способы организации совместной деятельности и общения педагогов и родителей. Целесообразно сочетание коллективных, групповых и индивидуальных форм взаимодействия.

Наиболее распространённые коллективные формы- это родительские собрания (классные и общешкольные ), дни открытых дверей, встреча с администрацией, учителями класса.

**Групповые формы-** взаимодействие с родительским комитетом ,групповые консультации.

**Индивидуальные формы-** беседа, консультации, выполнение родителями индивидуальных поручений, переписка.

**Организация совместной деятельности родителей и детей:**

- формы познавательной деятельности( дни открытых уроков, турнир знатоков)
- формы трудовой деятельности (оформление класса)
- формы досуга (праздники, концерты, просмотр спектаклей)

**Методы работы** – информирование, обмен опытом, совместная деятельность, индивидуальная деятельность родителей, исследование.

Критерии оценки эффективности совместной работы школы с родителями разработаны Капустиным Н.П. :

- наличие организационной структуры в работе с родителями;
- наличие традиций сотрудничества школы с родителями;
- обеспечение с помощью родителей социальной защиты детей;
- высокая скорость реакции родителей на запросы школы и наоборот.

**Методика проведения родительских собраний**. Каждое собрание (имеется в виду не тематическое, а рабочее собрание) структурируется по следующей повестке дня:

1. Информация о жизни школы, класса, достижениях детей за прошедший период (только положительная информация).
2. Полезная информация специалистов (врачей, психологов, социологов, работников правоохранительных органов).
3. Информация о работе родителей с учащимися за прошедший период.
4. Планирование участия родителей в делах класса на следующий период.

Степоновым Е.Н. разработана методика изучения удовлетворённости родителей работой образовательного учреждения.

Цель этой методики - выявить уровень удовлетворённости родителей работой образовательного учреждения и его педагогического коллектива. *Ход проведения*. На родительском собрании родителям предлагается внимательно прочитать перечисленные ниже утверждения и оценить степень согласия с ними. Для этого родителю необходимо обвести одну цифру, которая означает ответ , соответсвтующий его точке зрения.

Цифры означают следующие ответы:

4- совершенно согласен;
3- согласен
2- трудно сказать
1- не согласен;
0- совершенно не согласен.

Утверждения могут быть следующими:

1. Класс, в котором учится наш ребёнок, можно назвать дружным (4 3 2 1 0).
2. В среде своих одноклассников наш ребёнок чувствует себя комфортно (4 3 2 1 0).
3. Педагоги проявляют доброжелательное отношение к нашему ребёнку (4 3 2 1 0).
4. Мы испытываем чувство взаимопонимания в контактах с администрацией и учителями нашего ребёнка (4 3 2 1 0).
5. В классе, в котором наш ребёнок учится, хороший классный руководитель (4 3 2 1 0).
6. Педагоги справедливо оценивают достижения в учёбе нашего ребёнка (4 3 2 1 0).
7. Наш ребёнок не перегружен учебными занятиями и домашними заданиями (4 3 2 1 0 ).
8. Учителя учитывают индивидуальные особенности нашего ребёнка (4 3 2 1 0 ).
9. В школе проводятся мероприятия, которые полезны и интересны нашему ребёноку (4 3 2 1 0).
10. В школе работают различные кружки, клубы, секции, где может заниматься наш ребёнок (4 3 2 1 0).
11. Педагоги дают нашему ребёнку глубокие и прочные знания (4 3 2 1 0 ).
12. Учебное заведение способствует

формированию достойного поведения нашего ребёнка(4 3 2 1 0).

13. В школе создаются условия для проявления и развития способностей нашего ребёнка(4 3 2 1 0 ).
14. Школа по-настоящему готовит нашего ребёнка к самостоятельной жизни(4 3 2 1 0).
15. Школа заботится о безопасности нашего ребёнка(4 3 2 1 0).
16. Школа защищает ребёнка от булинга(4 3 2 1 0).
17. Школа соблюдает гендерное равноправие (4 3 2 1 0).

Обработка результатов теста. Удовлетворённость родителей работой школы (У) оперделеятся как частное от деления общей суммы баллов всех ответов родителей на общее количество ответов. Если коэффициент У равен 3 или больше этого числа, то это свидетельствует о высоком уровне удовлетворённости; если же он равен или больше 2, но меньше3, то можно констатировать средний уровень удовлетворённости; если же коэффициент У меньше 2, то это является показателем низкого уровня удовлетворённости ротителей деятельностью образоватеьного учреждения.

Следует отметить, что успешность (либо неуспешность) педагогического взаимодействия школы и семьи во многом определяется правильно избранной позицией педагога, стилем и тоном его отношений. Поэтому рассмотрим некоторые эффективные техники общения с родителями, предлагаемые Самоукиной Н.В.

Упражнение **«Нейтрализация».**

В первой фазе беседы с родителем приобретите нейтральное состояние, не угрожайте, не оправдывайтесь. Не включайтесь эмоциально в ситуацию разговора. Жалобы (презентзии к школе, к Вам лично) выслушивайте молча, оставаясь спокойными, не теряя при этом вежливой доброжелательности. Жалобы на беспомощность родителей в воспитании выслушивайте, кивая головой. Используйте при этом нейтральные фразы (успокойтесь, я Вас слушаю, я Вас понимаю).

Родитель, почувствовав нейтральность, успокоится и будет готов к конструктивному разговору.

Упражнение **«Равенство».**

Задача второй фазы беседы – организовать равноправное взаймодействие с родителем. Необходимо проявлять доброжелательность, открытость, принимать чувства родителей. Показывать любовь к ребёнку (это снимает психологичестую защиту родителей). Подчёркивать значимость родителей в воспитательном процессе. Искать совместно формы сотрудничества.

Упражнение **«Взаимодействие».**

Правила и советы американских специалистов:

1. Не стремитесь во что бы то ни стало отстоять собственную позицию (основная задача- совместная деятельность, а не отстаивание своей точки зрения).
2. Обсуждайте проблему, а не личные качества ученика. Сформулируйте психолого-педагогический «диагноз» учебной деятельности и поведения, определите вместе с родителями, что делать, чтобы улучшить положение. Например, плохо учится, потому что запущены некоторые предметы, следует организовать помощь в подтягивании. Выразите уверенность в том, что совместные усилия решат проблему.
3. Учитывайте личные интересы родителей. Например, нельзя требовать, чтобы мать бросила работу, отец – свои увлечения. Даже в том случае, когда на это есть основания, более эффективно признавать право родителей на интересную и содержательную жизнь. Предложите не отказываться от увлечений, а привлечь к ним ребёнка.

4. «Не верьте генетике» (её влияние огромно, но не безгранично).
5. Мы вместе против проблемы, а не против друг друга.

Беседа успешна, если:

-удалось избежать противостояния и конфронтации;

-удержались сами и удержали родителей от взаимных упрёков и обвинений;

-удачно сформулировали проблему воспитания, и родители поняли и приняли вашу формулировку.

Проблемы школьной жизни будут решены, если будут налажены тесные и плодотворные отношения с родителями. В этом нам смогут помочь вышеуказанные методы организации взаимодействия педагогов с родителями.

Литература


1. Калейдоскоп родительских собраний Под. ред. Н.А. Алексеевой Вып. 1,2,- М. , 2001.
2. Капустин Н. П., Работа школы с родителями. Педагогические технологии адаптивной школы. Гл. 5. – М., 2001.
3. Петряевская Л.Г. Образование родителей и школа. – М., 2008
4. Сергеева В.П. Классный руководитель в современной школе. –М., 2008
5. Хамяляйнен Ю. Воспитание родителей. – М., 1993.
6. Шамова Т.И. Шибанова. Г.Н. Воспитательная система школы: сущность, содержание, управление.- М., 2005.


## SCHOOL AND PARENTS


**ELENA TSKHADADZE**

Public school N3, KUTAISI, GEORGIA


**Summary**


A cooperation of a school and a family creates the complex of important factors and conditions of bringing-up environment which supports the effectiveness of the whole educational process.

This is the main reason why school and parents have to collaborate as allies to enhance the teaching and learning process. Such an attitude will support and encourage all kinds of relations. Most importantly, parents and school must be equally involved and interested in the children development process. They must have similar attitudes to the aims, goal-achievement methods and forms.

# 4 ინჟინერია
# ENGINEERING
# ИНЖИНЕРИЯ



პროექტირების სტადიაზე ტექნიკურ–ეკომომიკური

# პარამეტრების მეშვეობით საავტომობილო გზის ეფექტურობის შეფასება.

მერაბ ბარათაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიეტი
**merabib@gmail.com**

*სტატიაში წარმოდგენილია ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლებით გზის ეფექტურობის განსაზღვრის შესაძლებლობები. დასაბუთებულია რომ მაღალი ეფექტურობის მიღწევის მიზნით აღიარებული მაჩვენებლებით შეფასება აღარაა საკმარისი. წარმოდგენილია გზის ეფექტურობის შეფასების დამატებითი მაჩვენებლები და წარმოდგენილია შეფასების მათემატიკური წესით აღწერის მცდელობა. სტატიაში ნაჩვენებია რომ გზის საიმედობა ეფექტურობის სათანაო ზღვრებში შენარჩუნების არსებითი ფაქტორია.*

ქვეყანაში მიმდინარე საავტომობილო გზების მათ შორის ცენტრალური ავტომაგისტრალის, ავტობანის მშენებლობის დასრულების შემდეგ ძალიან მაღალია შესაბამისი ინფრასტრუქტურის ხარისხობრივი მაჩვენებლების არსებითად გაუმჯობესების მოლოდინი. სათანადო შედეგების უზრუნველყოფის მიღწევის მიზნით შედეგებიმიღწეული იქნას მინიმალური საექსპლუატაციო დანახარჯების პირობებში, გზების მაღალი საიმედობის უზრუნველყოფით გამტარუნარიანობისათვის სავალი ნაწილი და ასევე გზის ყველა ხელოვნური საინჟინრო ნაგებობა მაღალი სტანდარტით უნდა პასუხობდეს გზის მიმართ წაყენებულ იმ ტექნიკურ ეკონომიკურ მოთხოვნებს, რომლთა მეშვეობითაც პროექტირების საწყის ეტაპზე ტექნიკურ–ეკონომიკური მაცვენებლებით იყო განსაზღვრული, გზის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების მიზნით, როგორც წესი პროექტირების სტადიაზე წარმოებს საავტომობილო გზების ტექნიკურ–ეკონომიკური პარამეტრების შერჩევა, დასაბუთება და მათი მნიშვნელობების პროექტზე გავლენის თვალსაზრისით შეფასება, როგორც წესი ასეთი პარამეტრების ჯგუფში შედის: გზის კატეგორია, სიგრძე, სავალი ზოლების რაოდენობა, გადაადგილების ნებადართული სიჩქარე, სავალი ნაწილის სიგანე, მშენებლობის საერთო ღირებულება, მშენებლობის ვადები. ერთ პირობით კმ–ზე მოსული დანახარჯების ხვედრითი წილი, საგზაო საფარის ტიპი. იმისათვის რომ გზის საზაო ინფრასტურტურა პასუხობდეს ახალ რეალობით გამოწვეულ თანამედროვე მოთხოვნებს, პროექტის ტექნიკურ ეკონომიკური მოთხოვნების ამ მაჩვენებლებით შეფასება საკმარისი არაა. პროექტირებისას, მშენებლობის მოსალოდნელი შედეგების შეფასებისას გთვალიწინებული უნდა იქნას ის ფაქტორი რომ ის მხოლოდ თანამდროვე გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა არაა. ახლად აგებული და მომავალში ასაგები ავტობანი როგორც საინჟინრო ნაგებობა სამშენებლო პროდუქტია და როგორც ყველა პროდუქტი ისიც ექცევა კონკურეციის ქვეშ, და სხვა ისეთ ფაქტორებტან ერტად როგორიცაა: საგზაო ინფრასტრუქტურა, საბაჟო მომსახურეობა, ტრანზიტის მომსხურეობის ფასი და რეგულაციის წესები განაპირობებენ თუ რამდენად მიმზიდველია ქვეყანა როგორც სატრანსპორტო მაგისტრალი და ისარგებლებენ თუ არა ამ მომსახურეობით მსხვილი გადამზიდავი კომ-

პანიები, ბოლო გამოკითხვებით ამ მაჩვენებლების მიხედვით ორი პოზიციით ქვემოთ გადავინაცვლეთ, ამ მიმართულებით ტენდენციის განვითარების შემთხვევაში ხელთ დაგვრჩება სერიოზული მომხმარბელის მიერ ყურადღების მიღმა დარჩენილი ძვირადღირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მაშინ როცა სწორად წარმოებული პროცესების შედეგად მაღალი ხარისხის ტექნიკურ ეკონომიკური მოთხოვნების მიხედვით აგებულმა საავტომობილო გზამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და მნიშვნელოვნად წახალისოს საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარების მთელი რიგი ფაქტორები. ამიტომ გზის პროექტის შეფასებისას არსებითია ტექნიკურ–ეკონომიკურ ფაქტორებს დაემატოს უსაფრთხოების, გარემოზე ზემოქმეების და საიმედობის მაჩვენებლები:

- ერთ პირობით კმ–ზე და გატარებულ 100 000 ავტომობილზე მოსული ავარიების და ფატალური შემთხვევების ხვედრითი ხვედრითი წილი,
- დამატებითი ხარჯების, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის, რეკონსტრუქციის გარეშე გზის ექსპლუატაციის პერიოდი,
- გზაზე გარემოდან და გარემოდან გზაზე კონკრტული დათვლადი ნეგატიური ზემოქმედების გარეშე გზის ექსპლუატაციის პერიოდი.
- წლის მანძილზე გაზაზე ტრანზიტული ტვირთების გატარების ამონაგებისა და გზის მშენებლობაზე გაწეულ დანახარჯებთან ფარდობის მაჩვენებელი.

საავტომობილო გზის ისე როგორც ყველა მშენებლობა შეზღუდული ფინასური, ტექნიკური, მატერიალური, ადამიანური, ენერგეტიკული რესურსების პირობებში მიმდინარეობს. შესამაბისად პროექტირება სათანადო შეფასების კრიტერიუმებით ოპტიმალურის შერჩევის შესაძლებლობას გულისხმობს. და ხშიარად ეს კრიტერიუმები ურთირთ საწინააღმგდეგოა. მაგალითად გადაადგილების მაღალი სიჩქარეები და მშენებლობის და ექსპლუატაციის ხარჯები. ან გზის მაღალი ტექნიკური მაჩვენებლები და გარემოზე მიყენებული მინიმალური ზიანი. გრძივი პროფილის აგებისას ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება მკვეთრად გააუარესებს საავტომობილო გზის საიმედობას, და შესაბამისად გაიზრდება ავარიების მოხდენის ალბათობა. მნიშვნელოვნად შემცირდება გადაადგილების სიჩქარეები, გაიზრდება საწვავის ხარჯი და სატრანსპორტო ნაკადში მყოფი ავტომებილების ცვეთა, ამიტომ ხშირად საავტომობილო გზის მშენებლობისას შეფასების მრავალრიცხოვანი კრიტერიუმიდან არსებითი ხდება ერთ, რომლითაც ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. და ყველაზე ხშირად შეფასებისას მშენებლობის ფასია გადამწყვეტი. ფასის შეთანხმების შემდეგ წარმოებს შესაძლო ვარიანტების სხვა მაჩვენებლებით შედარებითი ანალიზი. შედარებისას სათანადო შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებული უნდა იქნას ავტომატიზირებული პროექტირების სისტემები.

არსებობს გზების ეკეონომიკური ეფექტურობის შეფასების სხვადასხვა მოდელები. წარმოდგენილი მახასიათებლების მიხედვით ეფექტურობა ზოგადად შეიძლება ასე შეფასდეს:

$$E = \frac{M \cdot T}{P(N_1 + N_2 + N_3) \cdot (S + S_f) \cdot (W_1 + W_2)}$$

სადაც; $M$ – გზის საბალანსო ღირებულებაა: $N_1, N_2, N_3$ –შესაბამისად წლის მან-

ძილზე გზის ექსპლუატაციიაზე გაწეული მიმდინარე რემონტზე და რეკონსტრუქციაზე გაწეული ხარჯების მაჩვენებალია. $T$ –გზის ტექნიკური პარამეტრები ჯამური მნიშვნელობაა:

$S$ და $S_f$ – დროის შესაბამის პერიოდში სხვადასხვა სიმძიმით ტრანსპორტის დაზიანებით და ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებით ან ფატალურად დამთავრებული, გზის მიზეზით გამოწვეული ავარიების მაჩვენბალია:

$W_1, W_2$ შესაბამისად გარემოდან გზაზე და გზიდან გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებელია.

$P = \frac{M}{V}$ გზის მშენებლაბაზე დაბანდებული თანხის ამოგების პერიოდია.

სადაც: $P$–გზის ტრანზიტული ტვირთების გატარებით წლის განმავლობაში ამნაგების მაჩვენებელია. წარმოდგენილი პირობის ანალიზი და რეალური სიტუაციაზე დაკვირვება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ რომ მოთხოვნილი ტექნიკურ ეკონომიკური პარამეტრებიდან, გზის საიმედობის მაჩვენებელს გადამწყვეტი როლი აკისრია მისი ეფექტურობის შეფასებისას, მაღალი საიმედობის მქონე საგზაო ინფრასტურტურა გამოვლენილი ხარვეზების გასასწორებლად, ექსპლუატაციისას არ საჭიროებს დამატებით ფინასურ დანახარჯების გამოყოფას. შესაბამისად მინიმალურია ასეთ საინჯინრო ნაგებების გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება, რის გამოც დაუზიანებელი ან მინიმალურად წონასწოროაბ დარღვეული გარემო ვერ ახდენს ზეგავლენას გზის ფუნქციონერებაზე. მარალი საიმედობის საგზაო ინფრასტრუქტურის პირობებში მინიმალურამდეა დაყვანილი გზის მიზეზიათ გამოწვეული ავარიების რაოდენობა.

**ლიტერატურა**

1..მ. ბარათაშვილი, საავტომობილო გზების მშენებლობის ეკონონიკური ასპექტები.პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ხანძთა.ქუთაისი. 14 (19) 2016.

2. Определение пределние эфеютивности инвестиции д в строительстве автомобильных дорог. Издательство ГОУ ВПО ТГТУ ♦ УДК 625.71.8:330.322(076) ББК У315.37-56я73-5 Г519

## EVALUATION OF EFFICIENCY OF MOTOR ROAD THROUGH TECHNICAL-ECUMENIC PARAMETERS AT DESIGN STAGE

**Baratashvili M.**
Akaki Tserteli State Universitet

**Summary**

in the article the justified technical and economic parameters of road safety assessment are considered. The possibility of describing the evaluation of the efficiency of roads by mathematical means. The possibility of determining the best variant of roads by means of a comparative analysis is presented. it is proved that the reliability of the quality of roads is the most important factor determining the more efficient road performance

# ПЕРСПЕКТИВЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ АЛЬТЕРНАТИВНЫ ТОПЛИВ В ТРАНСПОРТНЫХ ДИЗЕЛЯХ

**ГВЕТАДЗЕ ВЛАДИМИР** **государственный университет Акакия Церетели**
**ПУРЦХВАНИДЗЕ ГИОРГИ** **государственный университет Акакия Церетели**
**gia58-58@mail.ru**

***Одним из перспективных направлении борьбы за сохранение чистоты воздушного бассейна, является поиск и использование альтернативных топлив, таких как создание различных присадок и примесей для обычных топлив, синтетические спирты, аммиак, водород, газовое топливо, биотопливо и др. Ведутся большие работы для перевода транспортных дизелей на газовое топливо, для чего необходимо вносит изменении в топливной системе, чтобы менять запальную дозу жидкого топливо, как функция многих переменных. Изменение запальной дозы обеспечивает высокую экономичность и экологичность.***

Один из важнейших направлений борьбы за сохранение чистоты воздушного бассейна следует признать поиск более чистого топлива для транспортных двигателей. В этом направлении наряду кардинальными предложениями делаются попытки создать присадки и примеси к обычному топливу, которые могли бы снизить токсичность отработавших газов.

Например, большинство сортов бензина содержит в качестве антидетонационной присадки тетраэтилсвинец (0,4-0,8 гр/л), что позволяет поднять степен сжатия и тем самим повысить экономичность, сокращая потребление топлива. Что в свою очередь, сокращает, выброси токсичных веществ. Однако в присадке содержится соединение свинца, которое высокотоксичное и вредно. Проблема состоит в том, чтобы отыскать для замены свинца новый малотоксичный чистый антидетонатор.

Для уменьшения в составе отработавших газов главным образом сажи в дизельное топливо вносят металлоорганические соединения на основе, меди, никеля, хрома или другие вещества. Даже в количестве 0,01% к общей массе топлива эти присадки существенно снижают дымность отработавших газов, а наилучший результат достигается при содержании их в размерах 0,02-0,25%. Такие присадки вносят на стадии подготовка топлива (на нефтеперегонных заводах).

в поисках альтернативных видов топлива большие работы ведутся с газовым топливом.

В качестве газового топлива наибольшее распространение получили смесь пропана и бутана, октановое число которого превышает 100, что позволяет

применять высокие степени сжатия. Ценным качеством газового топлива является его высокая экологическая чистота, и низкая цена. Переход на газовое топливо требует некоторых изменении, лишь топливной системы. Основная - эта установка баллонов для сжиженного газа, где поддерживается давление 1,6 Мпа.

Природный газ состоящие на 90% из метана с примесью этана существенно отличается по свойством от пропан бутана. в частности требует для сжижения низких температур. Его октановое число выше чем у пропан-бутаны, что позволяет повысить степен сжатия и следовательно экономичность и мощность двигателя. Оборудование для сжиженного природного газа более сложно и дорого, поскольку для хранения газа требуется криогенные баки, где сжиженный газ находится при температуре минус $160^0$С.

Применение сжатого природного газа не требует значительных переделок двигателя и сложного дополнительного оборудования, особенность заключается в большом количестве баллонов. Газ в баллонах находится под давлением 20 МПа, при применении сжатого природного газа существенно снижается токсичность отработавших газов, а именно СО снижается в 2-4 раза, СН-в 1,2-1,4 раза, NOx -в 1.2-2 раза.

Одним из перспективных путей сокращения расхода дизельного топлива является переход дизельных двигателей на газовое топливо. Для этого необходимо организация газодизельного процесса, т.е. замещение части жидкого топлива газом.

Для газодизельных двигателей требуется изменение запальной дозы жидкого топливо, для воспламенения рабочей смеси как функции многих переменных.

Так, с целью изменения величины запальной дозы необходимо задавать определенный закон перемещения рейки топливного насоса высокого давления. Закон перемещения, который и будет определять величину запальной дозы, должен обеспечивать высокую экономичность, экологичность и мощность двигателя. В первую очередь перемешенные рейки должно ограничивается устанавливаемой величиной запальной дозы на минимальных или номинальных оборотах двигателя, и корректироваться на промежуточных режимах разними степенями нагрузки.

Добиться соответствия перемещения рейки необходимым величинам запальной дозы жидкого топлива во всем диапазоне режимов работы можно только применением микропроцессорного управления ее перемещениями. Минимально необходимые для осуществления такого управления является данные получаемые с датчиков число оборотов коленчатого вала, разрежение во впускном коллекторе, угла поворота дроссельной заслонки подачи газа и давления газа.

На основании показании этих датчиков микропроцессорный блок по заранее заданному алгоритму рассчитывает оптимальную величину запальной дозы для конкретных условий работы двигателя и передает управляющий сигнал на исполнительный механизм. Применение микропроцессорного блока управления делает возможным задание нескольких алгоритмов расчета величины запальной дозы жидкого топлива в зависимости от поставленной задачи - это достижение хорошие экономические и экологические показатели, а также приемистости двигателя. Для организации газодизельного процесса необходимо вносит изменения в конструкции системы питания, обеспечивающие дозированную подачу газа и воздуха, а так же оптимальную для каждого нагрузочного режима запальную дозу жидкого топливо, с помощью

установки дозирующего устройство.

Для выполнения современных требований по экологическим показателям кроме внесения изменений в систему питания, необходимо оптимизация также по следующим параметрам - это степень сжатия, коэффициент избытка воздуха и величина запальной дозы.

Увеличение степени сжатия при аналогичных параметрах рабочей смеси позволяет повысить температуру сгорания и следовательно мощность и крутящий момент. Однако чрезмерное увеличение степени сжатия при замене части жидкого топлива на газ может привести к детонации последнего в силу величины октанового число природного газа.

Что касается коэффициента избытка воздуха, ее значение лежит в пределах от 1,4 до 2,0 и зависит от конструкций камер сгорания, Анализ данных расчетов показывает что с уменьшением $\alpha$ растет мощность, однако снижение $\alpha$ приводит к тому, что возрастает токсичность отработавших газов, а именно увеличивается содержание несгоревших углеводородов. номинальное значение $\alpha$ принято равным 1,6.

Источником зажигания смеси у газо дизелей является запальная доза дизельного топливо, величина которого выбирается из условия устойчивой работы двигателя в режиме холостого хода. Перевод дизеля на газодизельный процесс позволяет экономить до 80% дизельного топлива сохранением мощностных качеств. Величина запальной дозы жидкого топливо должен обеспечивать следующих требовании: 1) быть максимально маленькой для обеспечения экономии топлива; 2) быть достаточной для обеспечения надежного воспламенения газовой составляющей; 3) При использований штатной топливной аппаратуры дизеля обеспечивать надежный отвод теплеть от распылителя форсунки; 4) подбор оптимального значения запальной дозы должен производится в процессе работы двигателя как на холостом ходу, так и на различных режимах; 5) корректировка величины запальной дозы осуществляется по различным параметрам - нагрузка, частота вращения колен. вала, температура охлаждающей жидкости. Результаты исследований показали, что на номинальном режиме оптимальное значение запальной дозы составляет 10%. Проведённые стендовые испытания базового дизельного двигателя ЯМЗ-236 и его газодизельной модификации. Сравнение экспериментальных данных, выполненные для внешней скоростной характеристики показывают удовлетворительные их совпадение (рис. 1).




Рис.1. Сравнение экспериментальных и расчётных параметров по внешней характеристике

■ – расчётный; x - экспериментальный

Наибольшие различия наблюдаются в расчете расходов воздуха и топливо, что

связано с неточностями задания газодинамических сопротивлении впускных и выпускных трактов, которое необходимо уточнить по результатом статической продувки.

**Литература**

1. Лисицин Е.Б. Повышение эффективности использования газового топлива в газодизельных двигателях". Газовая промышленность. 2009 г. №2 стр. 48-50.
2. Латипов К.М. "Исследование характеристик газодизельного двигателя", Казан 2008г.

## სატრანსპორტო დიზელებში ალტერნატიული საწვავების გამოყენების პერსპექტივები

გვეტაძე ვ.ე., ფურცხვანიძე გ.ნ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

საჰაერო ბასეინის სისუფთავის შენარჩუნებისთვის ბრძოლის ერთ–ერთ მიმართულებას წარმოადგენს ალტერნატიული საწვავების ძიება და გამოყენება, როგორიცაა მისართების და მინარევების შექმნა და დამატება ჩვეულებრივ საწვავთან, სინთეტიკური სპირტები, ამიაკი, წყალბადი, აირადი საწვავები, ბიოსაწვავები და სხვა. სატრანსპორტო დიზელების აირად საწვავზე გადაყვანისათვის აუცილებელია ცვლილებების შეტანა კვების სისტემაში, რომ განვახორციელოთ თხევადი საწვავის ასაფეთქებელი დოზის ცვლილება, როგორც მრავალი ცვლადის ფუნქცია. ასაფეთქებელი დოზის ცვლილების მიზნით საჭიროა მივცეთ განსაზღვრული კანონი მაღალი წნევის ტუმბოს ლარტყის გადაადგილებას, რაც უზრუნველყოფს მაღალ ეკონომიურობას და ეკოლოგიურობას.

## PROSPECTS OF ALTERNATIVE FUEL CONSUMPTION IN TRANSPORT DIESEL

**Gvetadze V.E., Purtskhvanidze G.N.**
**Akaki Tsereteli State University**

**Summary**

One of the promising areas of Barbie for maintaining the purity of the air basin is the search for and use of alternative fuels, such as the creation of various additives and impurities for conventional fuels, synthetic alcohols, ammonia, hydrogen, gas fuel, biofuel, and others. gas fuel, which requires a change in the fuel system to change the ignition dose of the liquid fuel, as a function of many variables. The change in the ignition dose ensures high efficiency and environmental friendliness.

# P _ n გადასვლის თერმოელექტრული ეფექტის გამოყენება საავტომობილო ტრანსპორტზე

ალექსანდრე კამლაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
**E-mail: Aleksandrekamladze@gmail.com,**

ისიდორე კაჭახიძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ავთანდილი გელაშვილი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
**E-mail: AV.Gelashvili@mail.ru**

*ნაშრომში განხილულია ნახევარგამტარების თერმული ეფექტის საფუძველზე ელექტრული ენერგიის მიღების შესაძლებლობა და მისი გამოყენების პერსპექტივა საავტომობილო ტრანსპორტზე. აქვე მოცემულია p - n გადასვლის თერმული ეფექტის საფუძველზე, ავტომობილის გაგრილების სისტემის კონდიციონერის აძვრაზე მოხმარებული ენერგიის კომპენსაციის შესაძლებლობა, რაც გარკვეულწილად ამცირებს ძრავის სიმძლავრის დანაკარგებს აღნიშნული სისტემის მუშაობაზე.*

ნახევარგამტარი წარმოადგენს ნივთიერებას, რომლის კუთრი წინაღობა მკვეთრად ეცემა ტემპერატურის გაზრდის დროს. მისი ატომები (სილიციუმი, სელენი, გერმანიუმი) ერთმანეთთან დაკავშირებულია წყვილელექტრონული კავშირებით. თუ ერთ-ერთი კავშირი გაწყდება მაშინ ელექტრონი დატოვებს ატომს გახდება თავისუფალი და დაიწყებს ქაოსურ მოძრაობას კრისტალურ მესერში. მის ადგილზე გაჩნდება ე.წ. ხვრელი, რომელიც ამჟღავნებს თავს როგორც დადებითი მუხტი. თუ ამ ხვრელის ადგილს დაიკავებს, რომელიმე ელექტრონი მეზობელი კავშირიდან, მაშინ ხვრელი გაქრება და მის მაგიერ წარმოიქმნება ახალი ხვრელი.

თუ ნახევარგამტარს მოვდებთ ძაბვას, მასში აღიძვრება ელექტრული დენი, რომელიც წარმოიქმნება თავისუფალი ელექტრონებისა და ხვრელების მოძრაობით. ხვრელები მოძრაობენ ველის გასწვრივ, ხოლო ელექტრონები საპირისპირო მიმართულებით. ნახევარგამტარების გათბობისას კოვალენტური კავშირები უფრო ადვილად ირღვევა, იზრდება თავისუფალი ელექტრონებისა და ხვრელების რიცხვი, რის შედეგადაც ნახევარგამტარების წინაღობა მცირდება.

თუ ნახევარგამტარში თავისუფალი ელექტრონები გაცილებით მეტია ვიდრე ხვრელები მას n ტიპის ეწოდება, ხოლო თუ ნახევარგამტარში ხვრელების რაოდენობა გაცილებით მეტია ვიდრე ელექტრონები მას p ტიპის ეწოდება. n ტიპის ნახევარგამტარში მუხტის ძირითადი გადამტანია ელექტრონი, ხოლო p ტიპის ნახევარგამტარში ხვრელები. ასეთი ტიპის

ორი ნახევარგამტარის ქონტაქტს p – n გადასვლა ეწოდება. ნახ 1. (ელექტრონები აღნიშნულია წრეებით, ხვრელები მუქი წერტილებით).




ნახ 1. P – n გადასვლა

კონტაქტის წარმოქმნისას ელექტრონები n ტიპის ნახევარგამტარიდან გადადიან p ტიპის ნახევარგამტარებში, ხვრელები კი საპირისპიროდ მოძრაობენ. ე.ი. n ტიპის ნახევარგამტარი იმუხტება დადებითად, p ტიპის ნახევარგამტარი კი უარყოფითად.

თუ p – n გადასვლა ელექტრულ წრედში ჩართულია ისე რომ p ტიპის ნახევარგამტარის პოტენციალი დადებითია, ხოლო n ტიპის უაროფითი, მაშინ p – n გადასვლის გამტარობა იქნება დიდი, წინაღობა კი მცირე.

თუ p – n გადასვლაზე პოტენციალებს ნიშანს შევუცვლით, მაშინ p – n გადასვლის წინაღობა ძალზე დიდია, გამტარობა კი მცირე. ე.ი. p – n გადასვლას ახასიათებს ცალმხრივი გამტარებლობა, ამიტომ მას იყენებენ ნახევარგამტარულ დიოდში რომელიც მუშაობს -70°c-დან 125°c ტემპერატურულ შუალედში.

აღსანიშნავია, რომ პიეზოელემენტები ხასიათდებიან თერმოელექტრული ეფექტით, რომელიც აღმოჩენილი იქნა გერმანელი ფიზიკოსის ზებეკის მიერ. აღმოჩენის არსი მდგომარეობს შემდეგში: თუ ელექტრული წრედი შედგება ორი სხვადასხვა ტიპის გამტარისაგან, რომელთა მირჩილული ბოლოები სხვადასხვა ტემპერატურულ გარემოშია (ნახ. 2) აღიძვრება პოტენციალთა სხვაობა (ΔE) რომელიც თერმოელექტრო მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ამასთან აღნიშნული ძალის სიდიდე თერმოელექტრული წრედის მირჩილულ ბოლოებს შორის ტემპერატურათა სხვაობის პროპორციულია.

$$\Delta E=\alpha\cdot\Delta T$$

სადაც α პროპორციულობის კოეფიციენტია.




ნახ. 2 თერმოელექტრული წრედის სქემა

ცხადია თუ აღნიშნულ წრედში ჩავრთავთ რაიმე გარე ელექტრულ წინაღობას, მაშინ თერმოელექტრულ წრედში გაივლის დენი (ნახ. 2). თუ შევცვლით მირჩილული ბოლოების ტემპერატურებს ($T_1$ შეიცვლება $T_2$ -ით და პირიქით) მაშინ წრედში გაივლის იგივე სიდიდის საწინააღმდეგოდ მიმართული დენი.

ე.ი. ნახევარგამტარების თერმოელექტრული ეფექტით შესაძლებელია ელექტრული დენის მიღება, რაც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ საავტომობილო ტრანსპორტზე სხვადასხვა მოწყობილობების მუშა პროცესების წასამართავად. აღნიშნული მოსაზრების დასაბუთების მიზნით განვიხილოთ ზებეკის ეფექტის კიდევ ერთი ფიზიკური ეფექტი, რომელსაც პელტიეს თერმოელექტრული ეფექტი ეწოდება.

პელტიეს ეფექტის არსი მდგომარეობს შემდეგში: თუ სხვადასხვა გვარის გამტარებისგან შედგენილ ელექტრულ წრედში, დენის გარე წყაროდან გავატარებთ მუდმივ დენს, მაშინ გამტართა შეერთების ადგილებიდან დენის მიმართულებისგან

დამოკიდებულებით ერთი გათბება, მეორე კი გაცივდება. ე.ი. ერთი შთანთქავს სითბოს, მეორე კი გასცემს. თუ ელექტრულ დენს შევუცვლით მიმართულებას, მაშინ ის ბოლო რომელიც შთანთქავდა სითბოს გასცემს მას, ხოლო მეორე რომელიც გასცემდა სითბოს დაიწყებს მის შთანთქმას. ამასთან შთანთქმული ან გაცემული სითბოს რაოდენობა აღმოჩნდება დენის ძალის პროპორციული.

$$Q=\alpha IT$$

სადაც α- პროპორციულობის კოეფიციენტია, T- ზედაპირის აბსოლიტური ტემპერატურაა, I - დენის ძალაა.

ზემოთ განხილული ეფექტი შესაძლებელია ეფექტურად გამოვიყენოთ თერმოელექტროგენერატორებში. ისევე როგორც ყველა სითბური მანქანა თერმოელექტროგენერატორიც სითბურ ენერგიას გარდაქმნის მუშაობად იმ შემთხვევაში თუ არსებობს განსხვავებული ტემპერატურის მქონე სითბოს წყაროები. ($T_1$) მაღალი ტემპერატურის გარემოს ვუწოდოთ ცხელი წყარო, ხოლო უფრო დაბალი ტემპერატურის მქონე ($T_2$) გარემოს ვუწოდოთ ცივი წყარო. მაშინ წრედში აღძრული თერმოელექტრო მამოძრავებელი ძალა $\Delta E=\alpha\ (T_1 - T_2)$. თუ წრედში ჩავსვამთ რაიმე ელექტრულ წინაღობას მაშინ მასში გაივლის I დენი და ცხელი ბოლო ცხელი წყაროდან შთანთქავს სითბოს $Q_1= \alpha\ T_1\ I$, ხოლო ცივი ბოლო ცივ წყაროს გადასცემს სითბოს $Q_2= \alpha\ T_2$ η. მაშინ წრედში გამავალი დენის ძალის მუშაობა:

$$L =\alpha\ (T_1 - T_2)\ I$$

გამომდინარე აქედან საავტომობილო ტრანსპორტის სალონის გაგრილებისას კონდიციონერის კომპრესorის მუშაობა განპირობებულია შიგაწვის ძრავიდან ართმეული ენერგიით, რომელიც ძრავის მიერ გამომუშავებული ენერგიის 7-10%. ე.ი. გაგრილების სისტემის კონდიციონერის მუშაობისას მოხმარებული სიმძლავრის პარალელურად იზრდება საწვავის ხარჯი და უარესდება ძრავის ეკონომიურობა. ამ დანაკარგების შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია გაგრილების სისტემის კონდიციონერის კომპრესორის აძვრაზე მოხმარებული ენერგიის კომპენსაცია მოვახდინოთ p – n გადასვლის თერმოელექტრული ეფექტის გამოყენებით. ნახ. 3-ზე წარმოდგენილია n და p ტიპის ნახევარგამტარებისგან შედგენილი ელექტრული წრედი, რომელშიც ნახევრადგამტარები შეერთებულია მაღალი თბოგამტარობის (მაგ. სპილენძის) ფირფიტით, რაც უზრუნველყოფს ორივე ნახევარგამტარის ტემპერატურის ცვლილებას მათი შეერთების ადგილებში.

სპილენძის ფირფიტა დამაგრებულია ძრავის ზედაპირზე საიდანაც იგი შეიძენს სითბურ ენერგიას. ნახევარგამტარის მეორე ბოლო თავისუფლადაა დაკავშირებული გარემოსთან, რომლის ტემპერატურა გაცილებით ნაკლებია ძრავის ზედაპირის ტემპერატურაზე. ტემპერატურათა სხვაობის გამო თერმოელექტრული ეფექტის საფუძველზე წარმოიქმნება ე.მ.ძ. რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც დამატებითი ენერგიის წყარო სალონის გაგრილების სისტემის კონდიციონერის კომპრესორის მოძრაობაში მოსაყვანად. ამ ეტაპზე დამუშავებულია ელემენტის სისტემაში ჩართვის სქემა და მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები, რაც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება სამეცნიერო ნაშრომის სახით.




ნახ. 3. თერმოელემენტის სქემა


### ლიტერატურა

1. ფურცხვანიძე გ. კაჭახიძე ი. კამლაძე ა. გვეტაძე ვ. პიეზოელემენტების გამოყენების პერსპექტივები სატრანსპორტო საშუალებების რხევების შესამცირებლად. III ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია. "სატრანსპორტო --- ევროპა-აზია". ქუთაისი 2017. 150-154.
2. Алиев И. И. Справочник по электротехнике и электрооборудование. М. Высш. Шк. 2010-255с.
3. Волков В. С. Электроника и электрооборудование транспортных и транспортно-технологичесских машин и оборудования. М. Издательский центр «Академия». 2013-244ст.


**The use of a p-n junction thermoelectric effect in road transport**


Kamladze A. Kachakidze I. Gelashvili A.
Akaki Tsereteli State University



**Summary**

The paper describes the possibility of compensation of energy consumed by air conditioner of a motor vehicle's cooling system based on a p-n junction thermoelectric effect, which partially reduces the engine power loss on the operation of this system.


# მერქანბურბუშელოვანი ფილების წარმოებაში მასალატევადობის გაზრდის მიზეზების ანალიზი


გულადი ლიპარტელიანი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: liparteliani guladi@gmail.com

ვაჟა წიქვაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი



*მასალატევადობის შემცირების ძირითადი მიმართულებებია: უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა, პროგრესული მატერიალური რესურსების გამოყენება, საწარმო პროცესებში დანაკარგების შემცირება, მერქანბურბუშელოვანი ფილების ტექნოლოგიური პარამეტრების ოპტიმიზაცია.*

*მატერიალური რესურსების ეკონომიკური ხარჯვისათვის საჭიროა დაინერგოს მერქანბურბუშელოვანი ფილების წარმოება შემცირებული მასალატევადობით.*


მერქანბურბუშელოვანი ფილების გამოყენება საშუალებას იძლევა შევამციროთ მასალატევადობა $1м^3$ მბფ–მა შეიძება შეცვალოს 2-2,5 $м^3$ დახერხილი მასალა. მერქანბურბუშელოვანი ფილების ძირითადი შემადგენელი არის მერქანი.

საწარმოო ნარჩენების გამოყენებით შეიძლება შევამციროთ მბფ–ის თვითღირებულება და მასალატევადობა.

მერქანბურბუშელოვანი ფილები მზადდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის მერქნული ნაწილაკებისაგან, სხვადასხვა მეთოდებით და სხვადასხვა მიზნებისათვის, ამიტომ მათი კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ნიშნებით: დაწნეხვის მეთოდის მიხედვითი; ფილების კონსტრუქციის მიხედვით; ფილების სიმკვრივის მიხედვით; მერქნული ნაწილაკების მიხედვით; ზედაპირის სახის მიხედვით; ფიზიკო–მექანი-

კური თვისებების მიხედვით.

მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წონა გარკვეულ წილად დამოკიდებულია მათი ღირებულების ფაქტორებზე. ასევე ნედლეულის ხარისხის დაბალი მაჩვენებელი ართულებს და აძვირებს მის გადამუშავებას, რომელიც გავლენას ახდენს მასალატევადობაზე

მერქანბურბუშელოვანი ფილების წარმოებაში მასალატევადობის გაზრდის მიზეზი დაკვირვების საფუძველზე არის: გამოშვებული პროდუქციის და გამოყენებული ნედლეულის ასორტიმენტის ცვალებადობა; წვრილი სტრუქტურის ზედაპირის მქონე მერქანბურბუშელოვანი ფილების წარმოების ორგანიზაცია; გახეხილი ფილების მოცულობის ზრდა, თხელი ფილების წარმოების მოცულობის ზრდა.

ფილების წარმოებაში მასალატევადობის შემცირების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს ნარჩენების გამოყენებას და მათ ხელახლა გადამუშავებას.

მერქანბურბუშელოვანი ფილების ზედაპირები უნდა იყოს მკვრივი და სუფთა, რადგან მათი უმეტესი ნაწილი განიცდის შემდგომ მოპირკეთებას და ლამინირებას. ასეთი ფილების გარე ფენების ფორმირებისას გამოიყენება წვრილი ბურბუშელა და მტვერი, რაც იწვევს წებოს ხარჯის გაზრდას.

ფილების დაწნეხვისას ადგილი აქვს დანაკარგებს, რომლებიც დაკავშირებულია მათი დაკალიბრებასთან.

ფილების დასამზადებლად საჭირო მერქანის ნედლეულით და მასალების რაოდენობა შედარებისათვის მოცემულია ცხ. 1–ში

ცნობილია, რომ იმისდა მიხედვით თუ როგორია წნევის მიმართულება მბფ–ს წარმოების დროს განასხვავებენ ფილების ექსტრუზული და ბრტყელი დაწნეხვის მეთოდებს. ექსტრუზულ დაწნეხვის ფილებში მერქნის ნაწილაკები განლაგებულია ფილების სიბრტყის პერპენდიკულარულად, აქედან გამომდინარე, ასეთი ფილები ხასიათდებიან დაბალი სიმტკიცით ღუნვის დროს

ცხრილი 1

| მაჩვენებლები | საჭირო ნედლეული და მასალები | | |
|---|---|---|---|
| | ფილების ფენების მიხედვით | | სულ |
| | გარე | შიგა | |
| გასახეხი ფილის ფენების მასა, კგ/მ³ | | | |
| აბსოლუტურად მშრალი მასალის შემცველობა, კგ/მ³ | | | |
| გახეხვის შემდეგ | - | - | 667/602 |
| გახეხვამდე | - | - | 734/662 |
| ჩამოჭრამდე | 301/272 | | |
| შემაკავშირებლის დოზირების ნორმა, % | 13,1/11,0 | 10,3/9,7 | |
| ბურბუშელის შემცველობა ფილაში ჩამოჭრამდე კგ/მ³ | 266/245 | 409/373 | 675/- |

| | | | |
|---|---|---|---|
| შემაკავშირებლის შემცველობა ფილაში ჩამოჭრამდე კგ/მ³ | 35/27 | 42,4/36,2 | 77,4/- |
| ბურბუშელის ხარჯი დანაკარგე-ბის გათვალისწინებით წებოს წას-მისა და ფორმირების უბანზე, კგ/მ³ | 267/246 | 410/375 | - |
| ბურბუშელის დამზადების უბან-ზე, კგ/მ³ | 269/249 | 414/379 | 683/628 |
| ნედლეულის ხარჯი დანაკარგე-ბის გათვალისწინებით | - | - | 727/668 |
| ნაფოტის დამზადებისას, კგ/მ³ | - | - | 1,79/1,63 |
| შემაკავშირებლის ხარჯი წებოს წასმისას, კგ/მ³ | -/27,3 | 42,9/- | 78,3/- |
| ფორმირებისას | 35,4/- | 42,9/- | 78,3/- |

*შენიშვნა:* 1. მრიცხველში ნაჩვენებია ფილების მაჩვენებლები 720კგ/მ³ – სიმკვრივი-სას, ხოლო მნიშვნელში კი 650 კგ/მ³ სიმკვრივის დროს.

ბრტყელი დაწნეხვის ფილებისაგან ექ-სტუზული დაწნეხვის ფილები არსები-თად განსხვავდებიან. ეს განპირობებულია ტექნოლოგიის თავისებურებით. ექსტრუ-ზული მბფ მზადდება სპეციალურ ვერტი-კალურ წნეხებში, აქვთ უფრო ერთგვარო-ვანი სტრუქტურა. ამას გარდა, ბურბუშე-ლა დაწნეხვის პროცესში ორიენტირდება სიბრტყის პერპენდიკულარული მიმარ-თულებით. ბრტყელი დაწნეხვის ფილებ-თან შედარებით განიცდიან ნაკლებ გა-ჯირჯვებას. მათ გააჩნიათ ნაკლები სიმ-კვრივე (490-600 კგ/მ³), გამომდინარე აქე-დან, მცირდება მასალატევადობა და მათ-გან დამზადებული კარები არის შედარე-ბით მსუბუქი. დადებით გავლენას ახდენს საწარმო პროცესზე, ტრანსპორტირებაზე და ყოველდღიურ ექსპლუატაციაზე.

სქემა 1




სქემა 1–ზე მოცემულია მერქანბურბუ-შელოვანი ფილების ექსტრუზული დაწ-

ნეხვის ტექნოლოგიური სქემა.

მერქანი ნედლეულის სახით შემოდის ლენტური კონვეირით 1, რომელიც გაივლის ლითონის გამასუფთავებელ მოწყობილობაში 2, და ხდება მისი დაქუცმაცება ნაფოტებად საჩეხ ჩარხებში 3, მანქანაში 4, დახარისხების შემდეგ მიეწოდება ვერტიკალურ ბუნკერს 5, საიდანაც მადოზირებელი მოწყობილობის 6 თანაბრად განაწილდება ლენტურ კონვეირზე 7, რომლებიც მიაწოდებს ნაფოტს საბურბუშელე ჩარხს 8. მიღებული ბურბუშელა პნევმატური მილებით მიეწოდება დოლურ საშრობს 10. დახარისხების შემდეგ მანქანებზე 11 ხდება დამატებითი დაქუცმაცება მანქანებით 12. მიღებული ბურბუშელა მიემართება სახარჯო ჰორიზონტალურ ბუნკერში 13. ავტომატური სასწორით 14 ბურბუშელა დოზირებულად მიეწოდება შემრევებს 17, აქედან კი სახარჯო ბუნკერს 18, საიდანაც ბურბუშელა მიეწოდება ორ ექსტრუზიულ წნეხს 19.

წებოშემრევებში მიწოდებული ბურბუშელის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით

$$q_1 = \frac{60\left(1+\frac{W_1}{100}\right)h \cdot B \cdot K \cdot \rho_1}{R\left(1+\frac{W_2}{100}\right)\left(1+\frac{P}{100}\right)},$$

სადაც $\rho_1$ – არის ფილის საანგარიშო ფენის სიმკვრივე, კგ/მ³;

$W_1$ - წებოშემრევებში შემოსული ბურბუშელის ტენიანობა, %;

$h$ - ფილების საანგარიშო ფენის სისტემა, მმ;

$B$ - ფორმირებული ბურბუშელოვანი ფარდაგის სიგანე ნამეტით ჩამოჭრაზე, მ;

$L$ - ბურბუშელოვანი ფარდაგის სიგრძე, მ;

$W_2$ - ფილების ტენიანობა, %;

$R$ - მთავარი კონვეიერის რითმი, წმ;

$P$ - აბსოლუტურად მშრალი წებოს ნორმა, %.

შემაკავშირებლის რაოდენობა ნორმების მიხედვით იანგარიშება შემდეგი ფორმულით

$$q_2 = \frac{10^5 P \cdot q_1}{K\left(1+\frac{W_1}{100}\right)\rho_2},$$

სადაც $P$ – არის აბსოლუტურად მშრალი წებოს ნორმა, %;

$W_1$ – წებოშემრევებში შემოსული ბურბუშელის ტენიანობა, %;

$K$ – შემაკავშირებლის მშრალი ნარჩენის რაოდენობა, %;

$\rho_2$ – შემაკავშირებლის სიმკვრივე, კგ/მ³;

$q_1$ – წებოშემრევებში შემოსული ბურბუშელის რაოდენობა, კგ/სთ.

წებოს თანაბრად განაწილების ხარისხი და კომპონენტების დოზირების სწორი რაოდენობა ხასიათდება ბურბუშელის ტენიანობის სტაბილურობითა და დონით.

წებოშერეული ბურბუშელის ტენიანობა განისაზღვრება ფორმულით

$$W_4 = \frac{W_6 \cdot K + P(100+K)}{K(100+P)}100, \quad (1)$$

სადაც $W_6$ – წებოს შერევამდე ბურბუშელის ტენიანობაა, %;

$K$ – მშრალი ნარჩენის რაოდენობა, %;

$P$ – აბსოლუტურად მშრალი ნარჩენის ნორმა, %.

თითოეული ფენის წებოშერეული მერქნის ნაწილაკები ცალ-ცალკე მიემართება შესაბამის მაფორმირებელ მანქანაში. გარე ფენების ფორმირება ხდება მანქანებით მერქნის ნაწილაკების პნევმატური ფრაქციონირებით. მზა ფილაში ფენების მასის თანაფარდობა განისაზღვრება მისი სიმკვრივით, სისქით და იცვლება გარე

ფენებისათვის საზღვრებში 35-50, შიგა ფენისათვის 65-50%. მაფორმირებელი მანქანების საჭირო მწარმოებლურობა განისაზღვრება ფორმულით

$$П = \frac{\rho_3 \cdot B \cdot S \cdot L(100 + W_4)K}{10^5(100 + W_5)R \cdot n}100,$$

სადაც $W_4$ – წებოშერეული ბურბუშელის ტენიანობაა, %;

$\rho_3$ – ფილის გაუხეხავი ფენის სიმკვრივეა, კგ/მ³;

$B$ –ფილის სიგანე დაწნეხვის შემდეგ, მმ;

$S$ - გაუხეხავი ფენის სისქე, მმ;

$L$ - ფილის სიგრძე დაწნეხვის შემდეგ, მმ;

$W_5$ – მზა ფილის ტენიანობა, %;

$R$ - მთავარი კონვეიერის რითმი, წთ;

$n$ - ფილის ფენების მაფორმირებელი მანქანების რაოდენობა;

$K$ - ფარდაგის სიგრძე და სიგანეზე ჩამოჭრის ნამეტის კოეფიციენტი.

ფილების ფორმირების უბანი შედგება საიმ მაფორმირებელი მანქანისაგან, ორი მათგანი გამოიყენება ფარდაგის გარე ფენების ფორმირებისათვის, ხოლო ერთი კი შიგა ფენებისათვის. წებოშერეული ბურბუშელა გარე ფენებისათვის წებო შემრევებიდან ლენტური კონვეირის საშუალებით მიეწოდება გამანაწილებელ მოწყობილობას და შედის მაფორმირებელ მანქანებში. ხრახნული კონვეირი მაფორმირებელი მანქანების ბუნკერებში სიგანეზე თანაბრად გაანაწილებს ბურბუშელას. გამასწორებელი ვალცების საშუალებით ხდება ფარდაგის სიმაღლეში თანაბარი ფორმირება.

პროდუქციის მასალატევადობა პირველ რიგში დამოკიდებულია გამოშვებული პროდუქციის ღირებულებაზე და მის დამზადებაზე მატერიალური დანახარჯების ჯამზე. გამოშვებული პროდუქციის ღირებულება შეიძლება შეიცვალოს გამოშვებული პროდუქციის მოცულობის რაოდენობის და პროდუქციის სტრუქტურის მიხედვით. მატერიალურ დანახარჯებზე გავლენას ახდენს აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, მისი სტრუქტურა, მასალის ხარჯი ერთეულ პროდუქციაზე და მატერიალური რესურსების ფასები.

მასალატევადობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები მზა პროდუქციის დამზადებისას მარაგის ეფექტურად გამოყენების შესახებ. მის საფუძველზე შეიძლება გამოვავლინოთ დანახარჯების შემცირების რეზერვები ნედლეულზე, მასალებზე და ენერგორესურსებზე. პროდუქციის მასალატევადობის გაანგარიშების და გამოყენების ძირითადი მიზანია საწარმოში დანახარჯების ეკონომია საწარმოების სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება.

**ლიტერატურა – Литература**


1. Плиты и фанера обзорная информация. Выпуск 8, М., 1985
2. Отлев И.А., Штейнберг Ц.Б., Справочник по древесностружечным плитам. М.: Лесная промышленность, 1998


## АНАЛИЗ ПРИЧИН ПОВЫШЕННОЙ МАТЕРИАЛОЕМКОСТИ ПРОИЗВОДСТВА ДРЕВЕСНОСТРУЖЕЧНЫХ ПЛИТ

**Липартелиани Г.Г., Цихвадзе Д.Г.**

Государственный Университет Акакия Церетели

**Резюме**

Основными направлениями снижения ресурсов являются: внедрение безотходной технологии, применение ресурсосберегающей техники, использование прогрессивных видов материальных ресурсов, оптимизация технологических параметров плит и внедрение технологии производства древесностружечных плит с сокращенной материалоемкостью.

## ТЕХНОЛОГИЧЕСКИЙ ВЗРЫВ И АВТОМОБИЛИ

**ПУРЦХВАНИДЗЕ ГИОРГИ** **государственный университет Акакия Церетели**
**gia58-58@mail.ru**
**ГВЕТАДЗЕ ВЛАДИМИР** **государственный университет Акакия Церетели**

***Электромобили, беспилотные автомобили, солнечная энергетика — это не будущее, это то, что происходит прямо здесь и сейчас. В течение ближайших полутора десятилетий мир, в котором мы живем, необратимо изменится в результате технологического взрыва, который уже начался. В автомобилестроения следующий большой прорыв — электромобили. Являются ли электромобили прорывом? Это новые Феррари и Порше или это прорыв в индустрии в целом? Ответ на этот вопрос дан в нашей работе.***

**Что такое технологический взрыв?** Это комбинация технологий, которые дают возможность предпринимателям или компаниям создавать новые продукты и сервисы, с двумя характеристиками. Первая — они создают новые рынки, вторая — уничтожают или радикально изменяют существующие отрасли индустрии.

Всем хорошо известны картинки, иллюстрирующие прогресс - экспонента или даже гипербола от первых каменных скребков миллион лет назад, до айфонов и марсоходов в наши дни. Понятно, что на самом деле это не совсем экспонента, а скорее последовательность S-образных кривых - медленный рост/взрыв/затухание и опять медленный рост/взрыв. Последний взрывной рост, который мы наблюдали – это цифровые технологии: компьютеры, затем персоналки, интернет, цифровое аудио, мобильная связь, цифровое видео, мобильный интернет, смартфоны. Эта история уже вышла на насыщение. И понятно в общих чертах, что будет следующим прорывом – робототехника и новая энергетика. Вопрос только в сроках.

В автомобилестроения следующий большой прорыв — электромобили (рис. 1). Являются ли электромобили прорывом? Это новые Феррари и Порше или это прорыв в индустрии в целом?

Эффективность двигателя внутреннего сгорания порядка 30%. 70% энергии запасенной в баке улетает просто в дым, в обогрев атмосферы. Электромотор обладает эффективностью 90-95%. В три раза более эффективен. Само по себе это еще не обеспечивает прорыва, но если добавить тот факт, что электричество еще и значительно дешевле, тот же самый автомобиль будет расходовать на километр электричества по стоимости в 10 раз меньше. В десять раз! Когда что-то изменяется в 10 раз — это потенциальный прорыв. А если вы будете заправлять его собственной энергией, то это вообще бесплатно.

Обслуживание. На простых автомобилях более 2000 движущихся частей. В Model S их всего 18! Восемнадцать движущихся частей. Менее одного процента от ДВС. Что это означает? Обслуживание! Обслуживание не стоит просто ничего. Поэтому Тесла дает гарантию на бесконечный пробег. Нулевая стоимость обслуживания. С нулевой стоимостью невозможно конкурировать.

Электродвигатель, намного мощнее, чем ДВС. Тесла сравнима с супер карами в миллион долларов, такими как Феррари или Макларен. Машина, за одну десятую их цены. Просто потому, что она на электроприводе.

Вот как происходит взрыв. Сотню лет автопром говорил нам — хотите большую производительность, платите большие деньги, хотите среднюю — платите средние. А теперь никакие бензиновые или дизельные автомобили больше не могут конкурировать. С этим невозможно конкурировать. Производительность Порше по цене Бьюика. Дальше этой точки ни Порше, ни Бьюик, не смогут конкурировать. Больше производительности за меньшие деньги. Знаете что произойдет?



Рис. 1. Электромобиль

Это 16% кривая стоимости. Аккумулятор - наиболее дорогая часть электромобиля. Начинаем с Теслы за 75 килобаксов в 2013-м, электромобили за 35-40 килобаксов (килобакс - это тысяча долларов) получим в 2017-18. Минимальная дальность пробега на одной зарядке должна быть 320 километров, все что меньше — не пойдет в мейнстрим, так что эти вычисления основываются на 320 километровом пробеге. 35-40 килобаксовая машина с пробегом 320 км к 2017-18, в 2020 такая же за 30 тысяч долларов.

Это очень важная точка. Средняя новая машина в Штатах стоит 33 тысячи долларов. К 2020 году, или даже ранее, если кривая ускорится, в два раза более мощные электромобили будут дешевле при покупке, при этом они будут в десять раз дешевле по топливу и в десять раз дешевле в обслуживании.

Так же как цифровые камеры уничтожили пленочные. После этой точки не имеет смысла платить больше денег за менее мощный ДВС-автомобиль, который в десять раз дороже в обслуживании. Это переломный момент. Переломный момент в автопроме случится в 2020 или даже в 2019-м. К 2022-му это произойдет и в нижнем ценовом диапазоне. Индустрия сможет предложить 20 килобаксовые электромобили.

Кривая цены говорит нам — к 2025 все новые автомобили будут электрическими. Все новые автобусы, грузовики и тракторы будут электрическими. Все, что движется на четырех колесах будет на электроприводе к 2025. Во всем мире, не только в Штатах.

GM анонсировала Chevy Bolt с пробегом 320 км за $37,500 на начало 2017 года. Это как раз в середине кривой, даже немного раньше.

Форд объявил о вложении $4.5 миллиардов в электромобили. Они переносят туда практически все развитие. Они еще и собираются стать компанией

мобильным сервисов. Форд собирается не только производить электромобили, но и стать чем-то вроде Убери.

То же самое про GM, они уже вложили 0.5 миллиарда в Lyft – конкурента Убера и только что купили за миллиард компанию-разработчика беспилотных автомобилей.

Однако, что бы ни делали автогиганты, на самом деле не имеет большого значения, потому что большинство прорывов происходит с другой стороны. Foxconn объявила о вложении миллиарда долларов в разработку электромобиля. Foxconn – та компания, что делает айпэды. Apple делает электромобиль, Убер делает электромобиль, Google. Целый ряд компьютерных компаний пошел в этот рынок.

Почему? Да потому, что электромобили это компьютеры на колесах. У них 20 движущихся частей и они движимы в большей степени компьютером, чем человеком. Это серьезный прорыв. Но еще более серьезный, это беспилотные автомобили (рис. 2) .




Рис. 2. Беспилотные автомобили

Беспилотные автомобили – это не будущее. Они уже здесь. Сегодня на дорогах общего назначения уже сотни беспилотные автомобили. У них нет рулевого колеса и педалей, они полностью автономны, и успешно передвигаются не только по хайвэям, но и в городах. Автоконцерны, выпускающих традиционные автомобили, агрессивно инвестируют в беспилотные автомобили. Многие уже анонсировали на 2018-20 годы автомобили уровня 4 - люди не требуются никогда. Тесла на 90% беспилотный и станет 100% в 2018, через два года. Ниссан готовит беспилотный на 2018 год.

Вот так беспилотный автомобиль видит окружающий мир с помощью лидара. Он делает миллионы замеров в секунду на 360 градусов вокруг, анализирует отраженный сигнал и делает выводы, где дерево, где другой автомобиль, а где кошка.

Мы тратим кучу денег на покупку автомобиля, и он простаивает 96% времени. Паркинги в городах могут стоить даже дороже чем сам автомобиль. Средний американец тратит 12 тысяч долларов в год на все расходы, связанные с владением автомобилем, и при этом использует его только 4% времени. Любая индустрия с 4%-й утилизацией ждет прорыва.

Этот прорыв обеспечивается всеми технологиями, которые поддерживают друг

друга — беспилотники+каршеринг+авто-как-сервис и эффективность этого прорыва — использование авто не 4%, а 60-80% времени. Прорыв в эффективности использования.

А теперь соединяем инновации в технологиях и инновации в бизнес модели. Убер работает над своим собственным беспилотным автомобилем. Их цель - сделать так чтобы личное владение автомобилем вышло из употребления.

Не обязательно Убер, не важно кто соединит эти два концепта - беспилотный автомобиль и автомобиль как сервис и поднимет использование автомобиля с 4-х до 60-80%. Автомобили в личном пользовании уходят со сцены. GM вложила 500 млн долларов в Lyft, в марте купила за миллиард стартап Cruise Automation, разрабатывающую беспилотники. И, что более важно, начала пилотные проекты собрав все три технологии - электромобили, плюс беспилотники, плюс автомобиль-как-сервис.

Когда это случится, мы получим тот же уровень сервиса за 10% цены владения собственным автомобилем.

Средний американец тратит 12 килобаксов в год на то, чтобы проехать в среднем 12,000 миль в год. Если предложить тот же сервис за 1200 долларов, то это сэкономит 11 килобаксов в год. Вместо простоя на парковке, автомобили станут ездить. 90% паркингов, особенно в центре города уйдут в прошлое, потому что автомобили будут все время в пути, вместо того чтобы стоять.

Утилизация растет, паркинги исчезают, стоимость за километр пробега падает в десять раз. Концепция частного владения автомобилем выходит из употребления. Общее количество легковых автомобилей падает на 80%.

Три направления прорыва в индустрии автоперевозок: от двигателя внутреннего сгорания к электромобилю, от человека за рулем к компу за рулем, от автомобиля в собственности к автомобилю-сервису. Все это вместе дает прорыв. К 30-му году все транспортные средства - автомобили, автобусы, грузовики, трактора будут электрическими, беспилотными и работать как сервис.

**литература**


1. Электромобили - фото, обзоры, отзывы - Hi-News.ru. https://hi-news.ru/tag/elektromobili.
2. Беспилотный автомобиль — Википедия. https://ru.wikipedia.org/wiki/Беспилотный автомобиль.


## TECHNOLOGICAL BOOM AND AUTOMOBILES


**Purtskhvanidze G.N, Gvetadze V.E.**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

Electric cars, unmanned vehicles, solar energy - this is not the future, this is what is happening right here and now. Over the next decade and a half, the world in which we live will irreversibly change as a result of the technological boom that has already begun. In the automotive industry, the next big breakthrough is electric vehicles. Are electric and unmanned cars a breakthrough? Is this the new Ferrari and Porsche or is it a breakthrough in the industry as a whole? The answer to those questions are given in our work.


# ᲓᲐᲑᲐᲚᲢᲝᲥᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲠᲥᲐᲜᲑᲣᲠᲑᲣᲨᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲛᲝᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲫᲔᲖᲔ

ვასილ ჩიქვაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მადონა ხუსკივაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გულადი ლიპარტელიანი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: liparteliani guladi@gmail.com

*მერქანბურბუშელოვანი ფილა (მბფ) წარმოადგენს ისეთ ფურცლოვან მასალას, რომელიც მიღებულია მერქნის ნახერხისა და ბურბუშელის ნარევის ხსვადასხვა სახის წებოებში შერევით და მიღებული ნარევის ფარდაგის ფორმის შემდეგ ცხელ წნეხებში დაწნეხვის შედეგად. მბფ–მ მოახდინა ნამდვილი რევოლუცია ხისდამუშავებისა და ავეჯის წარმოებაში მას მეორენაირად „იდეალურ ხეს" უწოდებენ. არ არსებობს სახალხო მეურნეობის არც ერთი სფერო მბფ–ს ფართო გამოყენება რომ არ ქონდეს.*

მბფ–ის ფართო გამოყენება განპირობებულია მთელი რიგი უპირატესობით სხვა მერქნულ მასალებთან შედარებით, რომელთაგან ძირითადია:

1. მბფ–ის სიბრტყის სხვადასხვა მიმართულებით ფიზიკო–მექანიკური თვისებები ერთნაირია. ამიტომაა,რომ მბფ–ის გრძივი და განივი მიმართულებით ჭრისათვის გამოიყენება ერთი და იგივე კბილის პროფილის მქონე მრგვალი ხერხები.
2. მბფ–ის გამოყენების შემთხვევაში საშუალება გვეძლევა დავამზადოთ ფართოტანიანი დეტალები.
3. მბფ–საგან დამზადებული დეტალები და ნაკეთობები ცვალებად ტენიანობის პირობებში თითქმის უმნიშვნელოდ იცვლის გაბარიტულ ზომებს.
4. მბფ. წარმოადგენს მაღალეფექტურ მასალას, ვინაიდან 1მ$^3$ მბფ თითქმის ეკვივალენტურია 2,2 –2,6მ$^3$ მაღალი ხარისხის დახერხილი მასალის.
5. მბფ–ს წარმოების დროს საშუალება გვეძლევა გამოვიყენოთ დაბალი ხარისხის მერქანი, სახერხი და ხისდამამუშავებელი წარმოების ნარჩენი (მათ შორის ნახერხიც) ეს კი თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ მორიდან მერქნის სასარგებლო გამოსავლიანობის პროცენტული რაოდენობა.
6. მბფ–ს დამზადების დროს შესაძლებელი ხდება საჭიროების შემთხვევაში მბფ–ს მივანიჭოთ გადიდებული წინააღმდეგობის უნარი სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების მიმართ, შევამციროთ წყალ და ტენშთანთქმის უნარი და გავადიდოთ ცეცხლმედეგობის უნარი.
7. მბფ–ს დამზადების ტრექნოლოგიური პროცესი რაც მთავარია თითქმის მთლიანად ავტომატიზირებულია და გამომდინარე აქედან მაღალ ეკონომიურია.

მიუხედავად მთელი რიგი დადებითი ნიშანთვისებებისა მბფ მიეკუთვნება მაღალტოქსიკურ მერქნულ მასალებს. ფილების ტოქსიკურობა გამოწვეულია ტექნოლოგიური პროცესის შედეგად, ვინაიდან მერქნული ნაწილაკების შეწებება ხორციელდება ძირითადად შარდოვანა ფორმალდეჰიდური მწებავი ფისების ფუძეზე დამზადებული წებოების გამოყენებით, რომლებიც თავის მხრივ მაღალტოქსიკურია. ამ ბოლო პერიოდში ფართო გამოყენება პოვა მბფ–ის დამზადების დროს დაბალი მოლური შემცველობის კარბამიდულმა ფისებმა. ტოქსიკურობის თვალსაზრისით მბფ–ს განარჩევენ: E-1, E–2, და E–3–ის კარეგორიას. პირველი კატეგორიის ფილები გამოიყენება ეკოლო-

გიურად სუფთა სპეციალური ავეჯის წარმოებაში. მე–2 კატეგორიის მბფ– კი საერთო დანიშნულების ავეჯის წარმოებაში, მე–3 კატეგორიის მბფ გამოიყენება სამშენებლო დეტალებისა და ნამზადების დამზადების დროს. მბფ–ის ტოქსიკურობის შემცირების გზების ძიება დღესაც ძალზე აქტუალურია და განხილულ სტატიაში გვაქვს დაბალ მოლური შარდოვანა ფორმალდეჰიდური (კარბამიდული) ფისების ფუძეზე დამზადებული წებოებით მბფ–ის წარმოება და მიღებული შედეგების განხილვა.

დაბალმოლური კარბამიდული ფისების ფუძეზე დამზადებული წებოების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი E-1და E-2 კლასის ფილების წარმოება და დამზადება. ამ შემთხვევაში თანაფარდობა შარდოვანასა და ფორმალდეჰიდს შორის M:Ф=1:1,15–1,25 მოლი. ამის მიღწევა და შესრულება თანამედროვე პირობებში შესაძლებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში მომზადებული ფისის ცხოველმყოფელობა ძალზე მცირდება. ყველაზე ფართოდ გამოყენებული ფისების ქიმიურ–ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია **ცხრ.1–ში**

| მახასიათებლები | სხვადასხვა მარკის ფისების მახასიათებლების სიდიდეები | | | |
|---|---|---|---|---|
| | Ек-75 | Кф-мт-15кп | Кф-мт-15 | Кф -02м |
| მოლური თანაფარდობა к:ф მოლი | 1:1,0 | 1:1,11-1,15 | 1:1,2-1,28 | 1:1,2 |
| მშრალი ნარჩენების რაოდენობა % | 73±2 | 66±2 | 66±2 | 66±2 |
| თავისუფალი ფორმალდეჰიდის შემცველობა % | 0,15 | 0,15 | 0,15 | 0,15 |
| ჟელატინიზაციის დროის ხანგრძლივობა 100$^0$ с წმ–ში | 35÷50 | 50÷60 | 50÷70 | 50÷70 |
| წყლის შერევა | არ არის შეზღუდული | არა უმეტეს 1:1–1,5 | 1:2÷1:10 | არა უმეტეს 1:2 |
| სიბლანტე B3- 4–ით წმ–ში | 100÷300 | 60÷100 | 50÷80 | 150÷300 |
| კონცენტრაცია | 7,2÷7,6 | 7,0÷7,8 | 7,5÷8,5 | 6,5÷8,0 |
| წარმოების სახე | ბადით | ბადით | ქვესადებით | ქვესადების გარეშე |
| ფილების კლასი | E-1 | E-2 | E-2. E-3 | E-2 |

ამ ჯგუფის კარბამიდულ წებოებში ძალიან შემცირებულია ჟელატინიზაციის დროის ხანგრძლივობა, ეს თავის მხრივ ქმნის უხერხულობას ტექნოლოგიური პროცესის წარმართვაში. კერძოდ, ამ შემთხვევაში მბფ–ის წარმოების პროცესი

მრავალსართულიანი ჰიდრავლიკური წნეხების საშუალებით თითქმის შეზღუდულია, რადგან ფილების დაწნეხვამდე ხდება წებოს ცხოველმყოფელობის დროის ამოწურვა, ეს კი ფილის ფიზიკო–მექანიკურ თვისებებზე უარყოფითად აისახება. ფისებზე გამამყარებლის –ამონიუმის ქლორიდის $NH_4CL$-ის დამატებით კი იწყება მე–3 სტადია და მოლური თანაფარდობა. М:Ф –ის მნიშვნელობა ხდება 1:1,05–1,1, რაც ხდის პირობას E-1 კლასის ფილების მიღების. ფისების სინთეზის დროის ხანგრძლივობა მცირდება (5–15)% , ასეთი ფისების თვისებები და მისი შემადგენლობა მოცემული გვაქვს **ცხრილი 2**–ში.

| თვისებების ძირითადი მაჩვენებელი | ფისების პარამეტრები | |
|---|---|---|
| | Кф -02м | Кф -02эф |
| რეფლაქციის კოეფიციენტი | 1,434–1,442 | 1,434–1,442 |
| მშრალი ნარჩენების პროცენტული რაოდენობა% | 54±2 | 52,5±1 |
| სიბლანტე В3- 4–ით წმ–ში | 20–35 | 35–50 |
| ჟელატინიზაციის დროის ხანგრძლივობა $100^0$ с წმ–ში | 35–70 | 60–80 |
| დაწნეხვის თვისება მპა | 1,6 და მეტი | 1,6 და მეტი |
| მეთილური ჯგუფების შემცველობა% | 8–12 | 6–10 |
| თავისუფალი ფორმალდეჰიდის შემცველობა % | 0,2 | 0,35 |
| წყლის შერევა არაუმეტეს | 1:1–3 | 1:0,5–2,0 |

სამფენიანი და მრავალფენიანი მბფ–ის დამზადების დროს გარე ფენებში კარბამიდული წებოს ხარჯის ნორმა შეადგენს 12,5÷ 14,5 კგ/$მ^3$, ხოლო შიგა ფენებში 8,4÷9,2 კგ/$მ^3$. გამამყარებლის რაოდენობა შიგა ფენებში არის თხევადი წებოს საჭირო რაოდენობის 0,8÷1,4 კგ. გარე ფენებში გამამყარებელი არ ემატება.

ლიტერატურა


1. Экспресс информация. Плиты и фанера. №10. Москва.1992г.
2. Василий Циквадзе. Модификация стружечно-клеевой смеси для производства древесностружечных плит.автореферат.М.1988г.


## ПРОИЗВОДСТВО ДРЕВЕСНО-СТРУЖЕЧНЫХ ПЛИТ НА ОСНОВЕ НИЗКОМОЛНЫХ СМОЛ


**Циквадзе Василий, Хускавадзе мадона, Липартелиани Гулади**

Государственный университет Церетели


**резюме**


Древесно-стружечная плита (ДСП) представляет собой вид слойстого материала, который изготовливается из древесных опилок и стружек, пропитанных связывающим веществом, путем прессования в горячих прессах. ДСП совершил настоящую революцию в отрасле деревообработки и в производстве мебели, по другому ее называют «идеальным деревом». Нет сферы народного хозяйство где широкого не использовались древесно-стружечные плиты .

# 5 საბუნებისმეტყველო
# NATURAL SCIENCES
# ЕСТЕСТВОЗНАНИЯ



# წარმოებულის მექანიკური შინაარსი

**მამული ბუჩუხიშვილი** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: mbuchukhishvili@yahoo.com
**დათუნა ჯოხაძე** მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იფარის საჯარო სკოლა
**მანანა ძიგვაშვილი** ქალაქ ქუთაისის # 17 საჯარო სკოლა

*ფიზიკის შესწავლა აყალიბებს მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო დარგებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და მოსწავლეთა მსოფლმხედველობას მიმართავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაკენ. ფიზიკის, კერძოდ მექანიკის სწავლებისას განსაკუთრებული როლი შეიძლება მივანიჭოთ ამოცანების ამოხსნას მოძრაობაზე, სიჩქარესა და აჩქარებაზე. ასეთი ტიპის ამოცანების ამოხსნის მრავალი ხერხი არსებობს, ერთერთი რომელიც თვალსაჩინოს ხდის პრობლების გადაჭრას არის წარმოებულის გამოყენება და მისი ფიზიკური არსის განსაზღვრა. სტატიაში განხილულია რამდენიმე კონკრეტული ამოცანა, გამოყვანილია შესაბამისი ფორმულები, გამოტანილია დასკვნები. განსაზღვრულია, თუ როგორ შეუწყობს ხელს ამოცანების ამოხსნის წარმოდგენილი მეთოდები მოსწავლეთა არამარტო შემოქმედებითი სააზროვნო უნარების განვითარებას, არამედ მათთვის მაღალი აკადემიური ცოდნის დონის ჩამოყალიბებას.*

ფიზიკის სწავლების პროცესში მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის ერთერთ ძირითად მიზანს, როგორც სწავლების საშუალო, ასევე უმაღლეს საფეხურზე.

ფიზიკის შესწავლა აყალიბებს მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო დარგებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და მოსწავლეთა მსოფლმხედველობას მიმართავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაკენ. ფიზიკური მოვლენების მატერიალური ბუნების შესასწავლად მასწავლებლის მოვალეობას წარმოადგენს მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს იმის გაგება, რომ მოძრაობა წარმოადგენს მატერიის განუყოფელ თვისებას, რის დადასტურებადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ: "ახლოქმედებებისა და შორსქმედებების თეორიები", ექსპერიმენტული, ლაბორატორიული და კონსტრუქტივისტული ამოცანები. ფიზიკის, კერძოდ მექანიკის სწავლებისას განსაკუთრებული როლი შეიძლება მივანიჭოთ ამოცანების ამოხსნას მოძრაობაზე სიჩქარესა და აჩქარებაზე. ასეთი ტიპის ამოცანების ამოხსნის მრავალი ხერხი არსებობს, ერთერთი რომელიც თვალსაჩინოს ხდის პრობლების გადაჭრას არის წარმოებულის გამოყენება და მისი ფიზიკური არსის განსაზღვრა.

ფიზიკის ზოგიერთი ამოცანის ამოხსნისას მოსახერხებელია გამოვიყენოთ ფუნქციათა გაწარმოების წესი და გავითვალისწინოთ წარმოებულის მექანიკური აზრი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ა) კოორდინატის წარმოებული დროით არის სიჩქარე $X^{I}(t) = V(t)$

ბ) სიჩქარის წარმოებული (ანუ კოორდინატის მეორე რიგის წარმოებული) დროით არის აჩქარება $X^{II}(t) = V^{I}(t) = a(t)$

ფიზიკის სასკოლო კურსში მოსწავლეები სწავლობენ სხეულთა წრფივ თანაბარ და

წრფივ თანაბარაჩქარებულ მოძრაობას, შესაბამისად იცნობენ მოძრაობის დამახასიათებელ ფიზი-კურ სიდიდეთა დროზე დამოკიდებულების განტოლებებს და იყენებენ შესაბამისი ამოცანების ამოხსნისას:
მოსწავლეები ხედავენ, რომ წრფივი თანაბარი მოძრაობის დროს კოორდინატისა და განვლილი მანძილის დროზე დამოკიდებულება წრფივი ხასიათისაა, ხოლო თანაბარაჩქარებული მოძრაობის დროს კოორდინატისა და განვლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების განტოლებები არ არის წრფივი, იგი კვადრატული ხასიათისაა. საბედნიეროდ არიან მოსწავლეები,რომლებიც ინტერესს იჩენენ ფიზიკის მიმართ, შე- საბამისად უჩნდებათ ამა თუ იმ საკითხის მიმართ კითხვები და ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყოთ მზად ამისათვის. მაგალითად ამ საკითხების შესწავლის დროს მოსწავლემ შეიძლება დასვას მისთვის საინტერესო კითხვა - ხომ შეიძლება სხეულის მოძრაობა არ იყოს თანაბარაჩქარებული და შესაბამისად აჩქარება არ იყოს მუდმივი, და თუ შეიძლება მაშინ როგორ ხასიათს მიიღებს მოცემული განტოლებები?

| | ფიზიკური სიდიდე | წრფივი თანაბარი მოძრაობა | წრფივი თანაბარაჩქარებული მოძრაობა |
|---|---|---|---|
| 1 | კოორდინატი | $X = X_0 + V_xt$ | $X = X_0 + V_{0x}t + a_xt^2/2$ |
| 2 | სიჩქარე | $V_x$ = constants | $V_x = V_0 + a_xt$ |
| 3 | აჩქარება | $a_x = 0$ | a = constants |
| 4 | განვლილი მანძილი | $Sx = Vxt$ | $S_X = V_{0x}t + at^2/2;$<br>$S_x = ( V_x^2 - V_{0x}^2) /2a$ |

მოსწავლეს ვუპასუხებთ, რომ რა თქმა უნდა შეიძლება საქმე გვქონდეს ასეთი სახის მოძრაობასთანაც და ხაზი გაუსვათ იმას, რომ რდესაც სხეულზე ძალა არ მოქმედებს, მაშინ მოძრაობა თანაბარია, ხოლო თუ მომქმედი ძალა მუდმივია მაშინ აჩქარებაც მუდმივია და საქმე გვაქვს მოძრაობის კვადრატული ხასიათის განტოლებებთან (თანაბარაჩქარებულ მოძრაობასთან). მაგრამ თუ სხეულზე მოქმედი ძალა ცვალებადია, მაშინ აჩქარებაც არ არის მუდმივი და მოძრაობის განტოლებებიც წარმოადგენს სხვადასხვა ხარისხის პოლინომურ განტოლებებს, იგი შეიძლება იყოს 2-ზე მეტი ხარისხის და შეიძლება 1-ზე ნაკლები ხარისხისაც კი. განვიხილოთ რამოდენიმე კონკრეტული ამოცანა:

**ამოცანა1.** m მასის მქონე სხეული მოძრაობს წრფივად $X(t) = 2t^3 – t^2$ კანონით (კოორდინატი მოცემულია მეტრებში, დრო წამებში). იპოვეთ ამ წერტილზე მოქმედი ძალა, როცა t = 2 წმ.

ამოცანის ამოხსახსნელად გამოვიყენებთ წარმოებულის თვისებას, რომ

$$X^I(t) = V(t) \text{ და } V^I(t) = a(t).$$

მოცემული თვისების გათვალისწინებით მივიღებთ:

$$V = X^I(t) = (2t^3 – t^2)^I = (2t^3)^I – (t^2)^I = 6t^2 – 2t;$$

$$a(t) = V^I(t) = (6t^2 – 2t)^I = 12t – 2;$$

ნიუტონის მეორე კანონის თანახმად

$F = ma = m(12t – 2)=2m(6t – 1).$

დროში ცვალებადი ძალა იწვევს აჩქარების ცვლილებას დროში.

როცა t = 2 წმ ,

F = 22m

**ამოცანა 2**. წერტილი მოძრაობს $X(t) = \sqrt{t}$ კანონით. ვიპოვოთ: ა) სიჩქარის დამოკიდე-

ბულება დროზე; ბ) აჩქარების დამოკიდებულება დროზე; გ) აჩქარების დამოკიდებულება სიჩქარეზე.

ა) $V_x(t) = X^I(t) = (\sqrt{t})^I = (t^{1/2})^I = ½ t^{-1/2} = 1/ 2\sqrt{t}$

პასუხი: $V_x(t) = 1/ 2\sqrt{t}$.

ბ) $a(t) = V^I(t) = (1/ 2\sqrt{t})^I = (½ t^{-1/2})^I = -1/4t^{-3/2} = -1/4\sqrt{t^3}$.

პასუხი: $a(t) = -1/4\sqrt{t^3}$.

გ) რომ დავადგინოთ აჩქარების დამოკიდებულება სიჩქარეზე ამისათვის $a(t) = -1/4\sqrt{t^3}$ ფორმულაში მოვახდინოთ მცირე ცვლილება ისე,რომ ფორმულამ სახე არ შეიცვალოს, კერძოდ გავამრავლოთ და გავყოთ 2-ზე, მივიღებთ: $a(t) = -2/8\sqrt{t^3} = 2(1/ 2\sqrt{t})^3$, ვიცით,რომ $V_x(t) = 1/ 2\sqrt{t}$. მაშასადამე $a(t) = - 2V^3$ ე.ი აჩქარების მოდული სიჩქარის კუბის პროპორციულია.

**ამოცანა 3.** ვთქვათ წერტილი $X(t) = - t^3/6 + 3t – 5$ კანონით წრფივად მოძრაობს (კოორდინატი მოცემულია მეტრებში, დრო წამებში). განვსაზღვროთ ა) დროის t მომენტი,როცა წერტილის აჩქარება ნულის ტოლია; ბ) რა სიჩქარით მოძრაობს წერტილი დროის ამ მომენტში?

ამოხსნა:

ა) პირველ რიგში ვიპოვოთ აჩქარების დროზე დამოკიდებულება. მოცემულია,რომ

$X(t) = - t^3/6 + 3t^2 – 5$. ვიცით, რომ აჩქარება არის კოორდინატის მეორე რიგის წარმოებული დროით. გამოვიყენოთ ეს თვისება და ვიპოვოთ იგი

$a(t) = X^{II}(t) =[(- t^3/6 +3t^2 –5)^I]^I = (-t^2/2+6t)^I = -t+6$

პირობის თანახმად $a(t) = 0$; ე.ი $-t + 6 = 0$ აქედან $t = 6$ წმ.

პასუხი: წერტილის $X(t) = - t^3/6 + 3t^2 – 5$ კანონით მოძრაობისას t=6 წმ-ს მომენტში სხეულის აჩქარება ნულის ტოლია.

**ამოცანა 4.** წრფის გასწვრივ $X_1(t) = 4t^2-3$ და $X_2(t) = t^3$ კანონებით ორი ნივთიერი წერტილი მოძრაობს. დროის რა შუალედში იქნება პირველი წერტილის სიჩქარე მეტი მეორე წერტილის სიჩქარეზე?

ვიპოვოთ სიჩქარეთა დროზე დამოკიდებულები: $V_1(t) = (4t^2-3)^I = 8t$ და $V_2(t) = (t^3)^I = 3t^2$

პირობის თანახმად $V_1(t) > V_2(t)$ რაც ნიშნავს,რომ $8t - 3t^2 >0$ $t(8-3t)>0$ აქედან გამომდინარეობს,რომ $t>0$ და $8-3t >0$ ანუ $t < 8/3$

პასუხი: $0 < t < 8/3$ შუალედში პირველი წერტილის სიჩქარე მეტი მეორე წერტილის სიჩქარეზე

როდესაც ვიხილავთ აჩქარებისა და სიჩქარის დროზე დამოკიდემულების ამოცანებს, შესაძლებელია დავადგინოთ კორდინატის დროზე დამოკიდებულება, თუ რომელი ხარისხის პოლინომურ განტოლებას დაექვემდებარება მოცემული შემთხვევა.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი

ნივთიერი წერტილის მოძრაობის სიჩქარე იცვლება $V^I(t) = (3t^3 +2t^2)$ კანონით, ვიპოვოთ კოორდინატის დროზე დამოკიდებულების განტოლება.

მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ ვიპოვით მოცემული ფუნქციის პირველადს, რაც მისი ინტეგრირებითაა შესაძლებელი, რომ სიჩქარის დროზე დამოკიდებულების პირველადი არის კოორდინატის დროზე დამოკიდებულების განტოლება. ე.ი.

$X(t) = \int(3t^3 – 2^2)dt = \int3t^3dt + \int2t^2dt = 3\int t^3dt + 2\int t^2dt = 3t^4/4 + 2t^3/3 + X_0$

პასუხი: $X(t) = 3t^4/4 + 2t^3/3 + X_0$

მოცემული ამოცანების ამოხსნის შემდეგ სასურველია მოსწავლეებს მივცეთ დავალება, რომ თავად გააკეთონ ანალიზი, გამოიტანონ დასკვნა და უპასუხონ კითხვას: რომელი ხარისხის პოლინომურ განტოლებას წარმოადგენს სიჩქარის დროზე V(t) დამოკიდებულების და აჩქარების დროზე a(t)

დამოკიდებულების განტოლებები თუ კოორდინატის დროზე დამოკიდებულება ზოგადად n ხარისხისაა?

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური მოვლენების დამახასიათებელი ფუნქციების წარმოებულთა მეშვეობით შესაძლებელია სხვა ფიზიკური სიდიდეების მოიცემა, მაგალითად კუთხური სიჩქარე არის მობრუნების კუთხის წარმოებული დროთ $W=\phi^{I}(t)$;

სიმძლავრე არის მუშაობის წარმოებული დროით $N=A^{I}(t)$;

არაერთგვაროვანი ღეროს ხაზოვანი სიმკვრივე არის მასის წარმოებული სიგრძით

$d(l) =m^{I}(l)$;

მაგალითად განვიხილოთ ასეთი ამოცანა:

ვთქვათ ცნობილია,რომ 20 სმ სიგრძის არაერთგვაროვანი AB ღეროს ნებისმიერი C წერტილისათვის, რომელიც წერტილიდან L სმ მანძილითაა დაშორებული, ღეროს AC ნაწილის მასა განისაზღვრება $m(L) = 3L^2 + 5L$ ფორმულით. ვიპოვოთ ღეროს ხაზოვანი სიმკვრივე: ა) მონაკვეთის შუა წერტილში; ბ) ღეროს B ბოლოში.




ამოხსნა: პირველ რიგში ვიპოვოთ ხაზოვანი სიმკვრივის სიგრძეზე დამოკიდებულების ფორმულას როგორც ავღნიშნეთ $d(L) = m^{I}(l) = (3L^2 + 5L)^{I} = 6L + 5$

ა) მონაკვეთის შუა წერტილში($L = 10$ სმ), სიმკვრივე $d(L) = 6L + 5 = 65$ გ/სმ.

ბ) ღეროს ბოლოში $L = (20$ სმ), სიმკვრივე $d(L) = 2L + 5 = 125$ გ/სმ.

მოცემული სახის ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეები დაადგენენ თუ როგორი ხასითი აქვს წრფივ თანაბარ და თანაბარაჩქარებულ მოძრაობებს. ამოცანების ამოხსნის წარმოდგენილი მეთოდები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა არამარტო შემოქმედებითი სააზროვნო უნარების განვითარებას, არამედ მათ ჩამოუყალიბებს მაღალი აკადემიური ცოდნის დონეს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთი ცოდნით შეიარაღებული მომავალი თაობა მრავალფეროვნად აღიქვამს სამყაროში მიმდინარე მოვლენებს და მოსწავლეებს განუვითარდებათ ახალი იდეებისაკენ სწრაფვის უნარი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ფიზიკის უახლესი სასკოლო სახელმძღვანელოები და მასწავლებლის დამხმარე მეთოდური წიგნები

2. შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობა და მისი განვითარება http://edu.aris ge/ news/ Semoqmedebi Ti-azrovnebis-mniSvneloba-da misi ganviTareba.html

3 Олах. А. Творческий потенсиал и личностные перемены Овщественные науки за рубежомю Р.Жю Серия Науковедение

## MECHANICAL CONTENT OF THE DERIVATIVE

**Mamuli Butchukhishvili**
Akaki Tsereteli State University
**Datuna Jokhadze**
public school of the village Ipari public school in Mestia municipality.
**Manana Dzigvashvili**
Kutaisi Public School # 17

**Summary**

The study of physics forms a special attitude towards the natural sciences in pupils and addresses the students' worldview to natural sciences. While teaching physics, in particular mechanics, a special role may be to solve the tasks of movement, speed and acceleration. There are many ways of solving these types of tasks, nne of the things that makes it possible to solve problems is to use and determine its physical substance. The article dis-

cusses several concrete tasks, the relevant formulas are pulled, and conclusions are made. Defined methods of solving tasks can help not only develop creative thinking skills but also develop a high level of academic knowledge.

# საინტერესო რიცხვები ალგებრაში


მამული ბუჩუხიშვილი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: mbuchukhishvili@yahoo.com

თეიმურაზ გიორგაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: Temo.giorgadze@yahoo.com



*მათემატიკის ისტორიაში ცნობილია მრავალი სხვადასხვა ციფრი, რომლებიც დროთა განმავლობაში სხვადასხვანაირად იცვლებოდა. გარკვეული ცვლილებების შემდეგ მატემატიკაში დღეს მოქმედი ციფრები არიან რიცხვების გამომსახველი პირობითი ნიშნები.*

*საყოველთაოდ გავრცელებული სახელწოდება "არაბული ციფრები" ისტორიულად მცდარია, რადგან თვლის ჩვენეულ ათობით სისტემას თავისი საწყისი სინამდვილეში ინდოეთში აქვს.*

*ყველა რიცხვი გარკვეულწილად ხასიათდება თავისი უნიკალურობით, ამ თვისებიდან გამომდინარე სტატიაში განვიხილეთ რამდენიმე სახის რიცხვები და მათი მახასიათებელი თვისებები, კერძოდ: სრულყოფილი რიცხვები, მეგობრული რიცხვები,სიმეტრიულ რიცხვები, ფიგურული რიცხვები, სამკუთხა, კვადრატული, ხუთკუთხა, რიცხვები. ასევე სივრცული ტეტრაედრული და კუბური რიცხვები.*


მათემატიკის ისტორიაში ცნობილია მრავალი სხვადასხვა ციფრი, რომლებიც დროთა განმავლობაში სხვადასხვანაირად იცვლებოდა. გარკვეული ცვლილებების შემდეგ მატემატიკასი დღეს მოქმედი ციფრები (0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9) არიან რიცხვების გამომსახველი პირობითი ნიშნები.

ინდოელი მათემატიკოსები ნიშანს, რომელიც აღნიშნავდა რაიმე თანრიგის არარსებობას, უწოდებდნენ სიტყვას "სუნია" – ცარიელი. არაბებმა ეს ტერმინი გადათარგმნეს და მიიღეს სიტყვა "სიფრ"–ნული. აქედან წარმოიშვა სიტყვა "ციფრი", რომელიც შემდგომში გავრცელდა ევროპაში, ეს ტერმინი თავდაპირველად აღნიშნავდა ნულს, ხოლო XV საუკუნიდან ამ სიტყვის მნიშვნელობა გამოსახავს ყველა რიცხვით ნიშანს. საყოველთაოდ გავრცელებული სახელწოდება "არაბული ციფრები" ისტორიულად მცდარია, რადგან თვლის ჩვენეულ ათობით სისტემას თავისი საწყისი სინამდვილეში ინდოეთში აქვს.

ყველა რიცხვი გარკვეულწილად ხასიათდება თავისი უნიკალურობით. მაგალითად 2-ის შემთხვევასი აღსანიშნავია, რომ ეს, ერთადერთი ლუწი მარტივი რიცხვია. 3, ეს რიცხვი გარდა იმისა, რომ პირველი კენ-

ტი მარტივი რიცხვია, იგი ერთადერთია, რომელიც მისი წინა ორი რიცხვის ჯამს უდრის: 1+2=3.

თუ განვიხილავთ რიცხვთა წყვილს – 16 და 18, ისინი ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი რიცხვებია. მართალია, 16 სრული კვადრატია, მაგრამ ასეთი ხომ უამრავი რიცხვია და ეს არ არის საბაბი, რომ 16-ს რაიმე უპირატესობა მივანიჭოთ სხვა რიცხვებთან შედარებით. თუ განვიხილავთ შემდეგ გეომეტრიულ ამოცანას: იპოვეთ მართკუთხედი, რომლის გვერდების სიგრძეები მთელი რიცხვებია და გარდა ამისა, მისი ფართობისა და პერიმეტრის გამომსახველი რიცხვები ერთმანეთის ტოლია. ასეთი მართკუთხედი ორად ორია: ერთი კვადრატი, რომლის ფართობი და პერიმეტრი 16-ის ტოლია, მეორე – მართკუთხედი, რომლის სიგრძეა 6 ერთეული და სიგანე კი – 3 ერთეული.

ე.ი. 16 და 18-ისათვის გვხვდება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მართკუთხედის ფართობი და პერიმეტრები ერთი და იგივეა.




S=16 და P=16

S=18 და P=18

რიცხვების უნიკალურ მახასიათებელ ნიშნებზე მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. სტატიაში მოვიყვანთ რამდენიმე ასეთ მაგალითს:

**სრულყოფილი რიცხვები**. მთელ დადებით რიცხვს, რომელიც ტოლია ყველა თავისი გამყოფების ჯამისა ერთის ჩათვლით, გარდა თვით ამ რიცხვისა, სრულყოფილი რიცხვი ეწოდება.

მაგალითად, ერთეულებში სრულყოფილი რიცხვია 6:

$$6=1+2+3;$$

ათეულებში ერთადერთი სრულყოფილი რიცხვია 28:

$$28=1+2+4+7+14;$$

ასეულებში 496:

$$496=1+2+4+8+16+31+62+124+248$$

ათასეულებში ერთადერთი სრულყოფილი რიცხვია 8128:

$$8128=1+2+4+16+32+64+127+254+508+1016+2032+4064.$$

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სრულყოფილი რიცხვების თეორიის ასაგებად ჯერ კიდევ ევკლიდემ გადადგა, რომელმაც თავის "საწყისებში" (წიგნი IX) მოგვცა "სრულყოფილი რიცხვების" მოსაძებნი ფორმულა. თუ ჯამი $P=1+2+2^2+2^3+...+2^{n-1}=2^n-1$ მარტივი რიცხვია, მაშინ $2^{n-1}(2^n-1)$ ყოველთვის იქნება სრულყოფილი რიცხვი. მაგალითად, თუ $n=5$, მაშინ $2^5-1=31$ მარტივი რიცხვია და მაშასადამე $2^{5-1}\cdot(2^5-1)=16\cdot31=496$ იქნება სრულყოფილი რიცხვი.

$2^n$ -1სახის მარტივ რიცხვებს ეწოდება XVIII საუკუნის ფრანგი მათემატიკოსის მარენ მერსენის რიცხვები.

მეხუთე სრულყოფილი რიცხვი 33550336 (როცა n=12) მხოლოდ XV საუკუნეში აღმოაჩინეს შემდგომი სრულყოფილი რიცხვები აღმოაჩინა მერსენმა. ევკლიდეს ფორმულით მოძებნილი ყველა სრულყოფილი რიცხვი ლუწია. შეიძლება დავსვათ კითხვა, არსებობს თუ არა კენტი სრულყოფილი რიცხვი? მოცემული ფორმულის გამოყენებით ამის დადგენა ვერ ხერხდება და დღემდე უცნობია არსებობს თუ არა კენტი სრულყოფილი რიცხვი.

1957 წლისათვის უდიდესი ცნობილი სრულყოფილი რიცხვი იყო $2^{3216}\cdot(2^{3217}-1)$. ელექტრული პროგრამის დახმარებით მოი-

ძებნა დიდი სრულყოფილი რიცხვები: მაგალითად, 1962 წელს რიცხვი $2^{4422}\cdot(2^{4423}-1)$, ხოლო 1965 წელს რიცხვი $2^{11212}\cdot(2^{11213}-1)$.

სრულყოფილ რიცხვებს გააჩნიათ მთელი რიგი შესანიშნავი თვისებები. მაგალითად, ყველა სრულყოფილი რიცხვი "სამკუთხაა"; ეს ნიშნავს, რომ თუ ავიღებთ სრულყოფილი რიცხვის ტოლი ოდენობის ბურთულებს, ისინი შეიძლება ისე დავალაგოთ, რომ ტოლგვერდა სამკუთხედი მივიღოთ. მაგალითად, 6-თვის გვაქვს:



ასევე, 28-ისთვის გვექნება:



ე.ი. ყოველი სრულყოფილი რიცხვი $(1+2+3+...+n)$ ჯამის სახისაა.

ასევე ადვილი შესამჩნევია, რომ ყოველი სრულყოფილი რიცხვი, გარდა 6-ისა, არის კერძო ჯამი კენტი რიცხვების კუბების ჯამის მწკრივისა:

$1^3+3^3+5^3+7^3+...$

კიდევ ერთი თვისება; სრულყოფილი რიცხვების გამყოფთა შებრუნებული მნიშვნელობების ჯამი, თვით სრულყოფილი რიცხვის, როგორც თავის თავის გამყოფის ჩათვლით, ყოველთვის 2-ის ტოლია. მაგალითად, 6-თვის გვაქვს:

$$\frac{1}{1}+\frac{1}{2}+\frac{1}{3}+\frac{1}{6}=\frac{6+3+2+1}{6}=\frac{12}{6}=2;$$

ხოლო 28-თვის:

$$\frac{1}{1}+\frac{1}{2}+\frac{1}{4}+\frac{1}{7}+\frac{1}{14}+\frac{1}{28}=$$
$$=\frac{28+14+7+4+2+1}{28}=\frac{56}{28}=2$$

ასევე საინტერესო მაგალითები შეიძლება განვიხილოთ მეგობრულ რიცხვებზე.

**მეგობრული რიცხვები** არიან, ისეთი ნატურალური რიცხვების წყვილები, რომელთაგან თითოეული ტოლია მეორის გამყოფების ჯამის.

მაგალითად, 220 და 284:

220=1+2+4+71+142;

284=1+2+4+5+10+11+20+22+44+55+110.

მათემატიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ როდესაც პითაგორას ჰკითხეს – თუ ვის თვლიდა ის თავის მეგობრად?! Pპითაგორამ უპასუხა: "იმას, ვინც არის ჩემი მეორე "მე", როგორც რიცხვები 220 და 284".

1747–1750 წლებში ლეონარდ ეილერმა ჩაატარა რიცხვების უნიკალური კვლევა და თავისი მეთოდით აღმოაჩინა მეგობრული რიცხვების 60 ახალი წყვილი. ამჟამად ცნობილია მეგობრული რიცხვების დაახლოებით 1100 წყვილი.

20000-ის ფარგლებში მეგობრულ რიცხვთა წყვილებია:

$220=2^2\cdot5\cdot11$ ___________ $284=2^2\cdot71$;

$1184=2^5\cdot37$ ___________ $1210=2\cdot5\cdot11^2$;

$2620=2^2\cdot5\cdot131$ _________ $2924=2^2\cdot17\cdot43$;

$5020=2^2\cdot5\cdot251$ _________ $5564=2^2\cdot13\cdot107$;

$6232=2^3\cdot19\cdot41$ _________ $6368=2^5\cdot199$;

$10744=2^3\cdot17\cdot79$ ________ $10856=2^3\cdot23\cdot59$;

$12285=3^3\cdot5\cdot7\cdot13$ _______ $14595=3\cdot5\cdot7\cdot139$;

$17296=2^4\cdot23\cdot47$ ________ $18416=2^4\cdot1151$.

საინტერესოდ განიხილება რიცხვების კიდევ ერთი სახე, რომელსაც სიმეტრიულ რიცხვებს უწოდებენ.

$$12\cdot42=24\cdot21,$$
$$102\cdot402=204\cdot201,$$
$$1002\cdot4002=2004\cdot2001,$$
$$10002\cdot40002=20004\cdot20001.$$

მოცემულ ტოლობებზე დაკვირვებით შევამჩნევთ, რომ მიღებული გვაქვს სიმეტრიული ნამრავლები,

როგორც ვხედავთ, ციფრები ტოლობის ნიშნიდან სიმეტრიულადაა დალაგებული. სიმეტრიულ ტოლობათა ეს რიგი შეიძლება უსასრულოდ გავაგრძელოთ, თუ შევნიშნავთ, რომ ნებისმიერი $n\in N$ რიცხვისათვის გვაქვს:

$$(10^n+2)\cdot(4\cdot10^n+2)=(2\cdot10^n+4)\cdot(2\cdot10^n+1).$$

შეიძლება განვიხილოთ მეორე სახის სიმეტრიული ნამრავლები:

$$26\cdot31=13\cdot62$$
$$206\cdot301=103\cdot602$$
$$2006\cdot3001=1003\cdot6002$$
$$20006\cdot30001=10003\cdot60002$$

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

სიმეტრიულ ტოლობათა ეს რიგიც შეიძლება უსასრულოდ გავაგრძელოთ, თუ შევნიშნავთ, რომ ნებისმიერი $n\in$N რიცხვისათვის გვაქვს:

$$(2\cdot10^n+6)\cdot(3\cdot10^n+1)=(10^n+3)\cdot(6\cdot10^n+2).$$

ვთქვათ, $\overline{a00...0b}$, $\overline{c00...0d}$, $\overline{d00...0c}$ და $\overline{b00...0a}$ ოთხი ($n$+1) – ნიშნა რიცხვებია. როგორ უნდა შერჩეს *a, b, c* და *d* ციფრები, რომ ნებისმიერი $n$ ნატურალური რიცხვისათვის გვქონდეს:

$$\overline{a00...0b}\cdot\overline{c00...0d}=\overline{d00...0c}\cdot\overline{b00...0a}.$$

ცხადია, ეს ტოლობა შეიძლება ასეც ჩავწეროთ:

$$\left(10^n a+b\right)\left(10^n c+d\right)=\left(10^n d+c\right)\cdot\left(10^n b+a\right).$$

თუ ამ ტოლობას გარდავქმნით მივიღებთ:

$$(10^{2n}–1)\cdot ac=(10^{2n}–1\cdot bd).$$

რადგან $10^{2n}–1$, ამიტომ საბოლოოდ გვაქვს: $ac=bd$.

შეიძლება მოვძებნოთ რიცხვთა სხვა წყვილებიც – მაგალითად, 28·41=14·82, 63·12=21·36, 48·21=12·84, 31·39=93·13 და ა.შ.

ზემოთ განხილული შემთხვევების გარდა შეიძლება შეგვხვდეს ფიგურული რიცხვები, სადაც პითაგორელები რიცხვებს გამოსახავდნენ წერტილების სახით, რომლებსაც აჯგუფებდნენ გეომეტრიულ ფიგურებად. ასე წარმოიშვა “ფიგურული რიცხვების” ცნება და შესაბამისად გვხვდება: სამკუთხა, კვადრატული, ხუთკუთხა, რიცხვები. ასევე არსებობენ ე.წ. სივრცული ფიგურულიკერზოდ: ტეტრაედრული და კუბური რიცხვები. ამ რიცხვების არსებობით და გამოყენებით პითაგორელები ასახავდნენ კავშირს რიცხვებსა და სივრცის არეს შორის – გეომეტრია ემორჩილება არითმეტიკას. ფიგურულ რიცხვებს პითაგორელების შემდგომ შეისწავლიდნენ ბერძენი მათემატიკოსები – ერატოსფენი, ჰიპსიკლი, ნიკომახი, დიოფანტე და სხვ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბენდუქიძე ა. - მატემატიკა სერიოზული და სახალისო, თბილისი 2005.
2. ცხაკაია დ. მათემატიკის ისტორია თბილისი 1965.

## INTERESTING NUMBERS IN ALGEBRA

**Mamuli Butchukhishvili, Teimuraz Giorgadze**

Akaki Tsereteli State University

Summary

In the history of mathematics many different numbers is known that have changed differently over time. After some changes, the current numbers in mathematics are the probable signs of numbers.

The common name «Arabian numbers» is historically false, because our ten dozen systems their origins have in India.

Every number is somewhat characterized by its uniqueness, in the article we discussed several types of numbers and their characteristics, Specifically: perfect numbers, friendly numbers, symmetric numbers, figure numbers, triangular, square, and angled numbers. Also spatial tetrahedral and cubic numbers.

# ძირითადი ამოცანები პროცენტებზე

თეიმურაზ გიორგაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: Temo.giorgadze@yahoo.com

მამული ბუჩუხიშვილი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: **mbuchukhishvili@yahoo.com**

*პროცენტის გამოიყენება აუცილებელია სამეურნეო და სტატისტიკურ გამოთვლებში, ასევე მეცნიერების მრავალ დარგში, სადაც ვახდენთ სიდიდეთა ნაწილების გამოსახავენ პროცენტებში.*

*პროცენტი, არის ერთეულად მიღებული მთელის მეასედი ნაწილი და აღინიშნება % ნიშნით. სიდიდეთა გამოსახვა ერთნაირ ნაწილებში აადვილებს სიდიდეთა ნაწილების შედარებას მთელ სიდიდესთან და ურთიერთშორის, აგრეთვე აიოლებს მათ გამოანგარიშებასაც. საზომ ნაწილად მეასედი ნაწილის შერჩევა მოხერხებულია რიცხვის შედგენილობის ათობით სისტემასთან დაკავშირებითაც. მეასედის ნაცვლად მეათედი ნაწილის შერჩევა ვერ უზრუნველყოფდა გაზომვათა საკმაო სიზუსტეს.*

*სტატიაში ისტორიული მასალის გამოყენებით ვაჩვენეთ თუ როგორ გაჩნდა სიმბოლო %. შემოვიტანეთ მარტივი და რთული პროცენტების გამოსათვლელი ფორმულები. განვიხილეთ სხვადასხვა სახის ამოცანები, ერთი სიდიდის პროცენტულ გამოსახვაზე მეორე სიდიდით.*

პროცენტის ცნება ხშირად გამოიყენება სამეურნეო და სტატისტიკურ გამოთვლებში, ასევე მეცნიერების მრავალ დარგში. სიდიდეთა ნაწილებს გამოსახავენ პროცენტებში.

პროცენტი არის ერთეულად მიღებული მთელის მეასედი ნაწილი და აღინიშნება % ნიშნით. სიდიდეთა გამოსახვა ერთნაირ ნაწილებში აადვილებს სიდიდეთა ნაწილების შედარებას მთელ სიდიდესთან და ურთიერთშორის, აგრეთვე აიოლებს მათ გამოანგარიშებასაც. საზომ ნაწილად მეასედი ნაწილის შერჩევა მოხერხებულია რიცხვის შედგენილობის ათობით სისტემასთან დაკავშირებითაც. მეასედის ნაცვლად მეათედი ნაწილის შერჩევა ვერ უზრუნველყოფდა გაზომვათა საკმაო სიზუსტეს.

ვთქვათ, მოსაძებნია *a* რიცხვის P პროცენტი. *a* რიცხვის 1 %, ანუ $\frac{1}{100}$ ნაწილი იქნება $\frac{a}{100}$, ხოლო P პროცენტი P-ჯერ მეტი, ე.ი. $\frac{aP}{100}$. ამრიგად, მოცემული რიცხვის რაიმე პროცენტი რომ ვიპოვოთ, საჭიროა ეს რიცხვი გავყოთ ასზე (ამით მოიძებნება მოცემული რიცხვის 1 %) და გავამრავლოთ პროცენტების მაჩვენებელ რიცხვზე. მაგალითად, თუ რაიმე *a* სიდიდის თანხა ერთი წლის განმავლობაში (ან დროის რაიმე შუალედში) იზრდება P %-ით, მაშინ n წლის შემდეგ იგი გახდება $x = a\left(1 + \frac{Pn}{100}\right)$; ეს არის მარტივი ფორმულა. აქ იგულისხმება, რომ ყოველი წლის ბოლოს ამ წლის შემოსავალი ამოიღება, ასე რომ ახალი წლიდან შემოსავალი აითვლება პირველსაწყისი სიდიდიდან (სწორედ, ამიტომ უწოდებენ მას მარტივ პროცენტს).

თუ შემოსავალს დავუმატებთ პირველსაწყის სიდიდეს და მასთან ახალი წლიდან შემოსავალს გამოვითვლით გაზრდილი თანხიდან, მაშინ ამბობენ, რომ გვაქვს რთული პროცენტი და ამ შემთხვევაში საწყისი *a* სიდიდე n წლის შემდეგ გახდება $x = a\left(1 + \frac{P}{100}\right)^n$ ; ეს არის რთული პროცენტის გამოსათვლელი ფორმულა.

პროცენტები ცნობილი იყო ინდოეთში ჯერ კიდევ V საუკუნეში. ეს ერთგვარად კანონზომიერიცაა, რადგან ინდოეთში უძველესი დროიდან იყენებდნენ თვლის ათობით სისტემას. ევროპაში ათწილადების გამოყენება დაახლოებით ათასი წლით გვიან დაიწყეს. ბელგიელმა მეცნიერმა ს.სტევინმა 1584 წელს პირველად გამოაქვეყნა პროცენტების ცხრილი.

სიტყვა procentum – “ასიდან”, “ასზე”, “მეასედი” ლათინური წარმოშობისაა; ამ ტერმინის გამოყენება მათემატიკაში შემოვიდა სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობებიდან. პროცენტის აღნიშვნა % სიმბოლოთი გამოჩნდა XIX საუკუნიდან, არსებობს ვერსია იმის თაობაზე, რომ %-ით აღნიშვნა მიღებულია სიტყვა cento-ს შემოკლებული $ct_0$ ჩანაწერის დამახინჯებით; კერძოდ, 1685 წელს გამოცემულ “კომერციულ არითმეტიკაში” ასოთამწყობმა ჩანაწერი $ct_0$ მიიღო წილადად და დაბეჭდა $\frac{0}{0}$ სახით, ამის შედეგად შემოიღეს % ნიშანი პროცენტის აღსანიშნავად და XIX საუკუნიდან საერთო აღიარებაც მიიღო.

რიცხვი რომ ვიპოვოთ მისი მოცემული პროცენტის მიხედვით, საჭიროა მოცემული პროცენტის შესაბამისი რიცხვი გავყოთ პროცენტის მაჩვენებელ რიცხვზე და მიღებული შედეგი გავამრავლოთ 100-ზე. მაგალითად: მეურნემ მოხნა 85,44 ჰა ფართობი, რაც მთელი ფართობის 48%-ია. რამდენ ჰექტარს შეადგენს მთელი ფართობი? ამოხსნა. ცხადია, $x=(85{,}44:48)\cdot 100$ და გვაქვს: $x=178$ ჰა-ს.

რიცხვების პროცენტული შეფარდება რომ ვიპოვოთ, საჭიროა თითოეული რიცხ-

ვი შევაფარდოთ მათ ჯამთან და მიღებული შედეგები 100-ზე გავამრავლოთ. მაგალითად, როგორ პროცენტულ თანაფარდობაში არიან რიცხვები 24, 90 და 136? ამოხსნა. $\frac{24}{250}\cdot 100=9{,}6$; $\frac{90}{250}\cdot 100=36$; $\frac{136}{250}\cdot 100=54{,}4$; ამრიგად, გვაქვს 9,6%; 36% და 54,4%.

თუ გვინდა ვიპოვოთ ერთი რიცხვის პროცენტული გამოსახვა მეორის მიხედვით, მაშინ პირველი რიცხვი უნდა გავყოთ მეორეზე და მიღებული შედეგი გავამრავლოთ 100-ზე. მაგალითად, 8 ვაშლიდან 3 წითელი ფერისაა, რამდენი პროცენტია წითელი ვაშლი? ამოხსნა. (3:8)·100=37,5; ამრიგად, წითელი ფერის ვაშლები 37,5 %-ია.

განხილული ამოცანები ძირითადი სახის ამოცანებია; განვიხილოთ კიდევ ზოგიერთი ამოცანა პროცენტულ გამოანგარიშებაზე:

1. ნახაზზე მოცემული ტოლგვერდა სამკუთხედი დაყოფილია 100 ტოლ ნაწილად და შრეებში მიღებული ტოლი სამკუთხედები გაფერადებულია (წითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი, ვარდისფერი, სტაფილოსფერი და ყავისფერი ფერებით). ვიპოვოთ თითოეული ერთნაირი ფერის სამკუთხედების პროცენტული წილი. ეს წილები შევკრიბოთ და დავალაგოთ შრეების მიხედვით ზრდადობით.

**ამოხსნა.** წითელი ფერის სამკუთხედების პროცენტული წილი ტოლია 27%-ის, მწვანესი – 24%-ის, ლურჯის – 18%-ის, ყვითელის – 15%-ის, ვარდისფერის 9%-ის, სტაფილოსფერის 6%-ის, ხოლო ყავისფერის – 1%-ის. პირველ შრედ შეიძლება ჩავთვალოთ ყავისფერი სამკუთხედი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ "ბირთვი", იგი 1%-ის ტოლია; მეორე შრედ შეიძლება მივიღოთ ვარდისფერი და სტაფილოსფერი სამკუთხედების ერთობლიობა – 6%+9%=15%; მესამე შრეს წარმოადგენს ლურჯი და ყვითელი სამკუთხედების ერთობლივი წილი – 18%+15%=33%; ხოლო მეოთხე შრედ მივიჩნიოთ წითელი და მწვანე სამკუთხედების ერთობლივი წილი – 27%+24%=51%. მივიღეთ რიცხვები: 1, 15, 33, 51; 69, 87, 105, 123, 141, ... ზოგადად ამ მწკრივისათვის გვექნება: $K_n=3(6n-1)$, სადაც $n\in N$ ($n\geq 1$; მწკრივის წევრების მიღება დაიწყება 15-დან).

2. მოსწავლემ წიგნი 25%-ით ნაკლებ ფასში იყიდა და გადაიხადა 12 ლარი. ვიპოვოთ წიგნის ფასი გაიაფებამდე.

ამოხსნა. წიგნის ფასი გაიაფებამდე აღვნიშნოთ $x$ ლარით. გაიაფების შემდეგ წიგნის ღირებულება იქნება 100%-25%=75%, ანუ $x$-ის 75% ტოლია 12 ლარის და გვაქვს:

$$\frac{x}{100}\cdot 75=12, \quad ... \quad x=16 \text{ ლარს.}$$

1. პურის ფქვილ... ის შემდეგ 35% ნამატს იძლ... ია 108 კგ პური; რამდე... ილია ამისათვის ს...

**ამოხ**... 108 კგ, ამიტომ ... ამისი წონა გ... როა 80 კგ...



2. რამდენი პროცენტით გაიაფდა საქონელი, თუ ეხლა 5 ერთეული იგივე ფასი ღირს, რამდენიც მანამდე 4 ერთეული ღირდა?

**ამოხსნა.** 4 ერთეულის ღირებულება აღვნიშნოთ $x$ ლარით, მაშინ ერთი ერთეულის ღირებულება იქნება $x:4=\frac{x}{4}$ ლარი, გაიაფების შემდეგ გვაქვს $x:5=\frac{x}{5}$ ლარი. ე.ი. ერთი ერთეულის ფასი შემცირდა $\frac{x}{4}-\frac{x}{5}=\frac{x}{20}$ ლარით. გავიგოთ, თუ $\frac{x}{20}$ რამდენი პროცენტია $\frac{x}{4}$-ის, გვაქვს $\left(\frac{x}{20}:\frac{x}{4}\right)\cdot 100=20;$ ე.ი. საქონელი გაიაფდა 20%-ით.

3. რამდენი კგ შაქრის ყიდვა შეიძლება იმ თანხით, რომლითაც საახალწლო გაიაფებამდე ვყიდულობდით 36 კგ-ს; თუ საახალწლო ფასდაკლება 28%-ს შეადგენს?

ამოხსნა. ვთქვათ, 36 კგ შაქარი გაიაფებამდე ღირდა *x* lari; 28%-იანი გაიაფების შემდეგ იგი ღირს $x-\frac{x}{100}\cdot 28=0{,}72x$ ლარი; ე.ი. 1 კგ ღირს $0{,}72x:36=0{,}02x$ ლარი და გვაქვს $x:0{,}02x=\frac{x}{0{,}02x}=50;$ ამრიგად, შეიძლება იგივე თანხით 50 კგ შაქრის ყიდვა.

4. სამუშაოსათვის გამოყოფილი იყო 5 დღე, მაგრამ ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო მუშამ იგი შესრულა $3\frac{1}{3}$ დღეში. რამდენი პროცენტით გადააჭარბა მან რეალურად $3\frac{1}{3}$ დღეში შესასრულებელ სამუშაოს?

ამოხსნა.

$$x=\frac{\left(5-3\frac{1}{3}\right)}{3\frac{1}{3}}\cdot 100\%=50\%,$$ ე.ი. მუშამ რეალურად შესასრულებელ სამუშაოს გადააჭარბა 50%-ით.

7. გაშრობამდე ხორბლის სინოტივე 23%-ის ტოლი იყო,ხოლო გაშრობის შემდეგ იგი 12%-ის ტოლი აღმოჩნდა. რამდენი პროცენტით დაიკლო ხორბლის წონამ გაშრობის შემდეგ?

**ამოხსნა.** გაშრობამდე ხორბალი შეადგენდა (სინოტივის გარეშე) მთელი წონის 100%-23%=77%-ს, ხოლო გაშრობის შემდეგ იგივე რაოდენობის ხორბალი დარჩენილი წონის (100%-12%) 88%-ია. ე.ი. გვექნება:

$$x=\frac{88-77}{88}\cdot 100\%=12{,}5\%.$$

ამრიგად,ხორბალმა წონაში დაიკლო 12,5%-ით.

8. რამდენი ლიტრი წყალი უნდა დაემატოს 20 ლ 80%-იან გოგირდმჟავას, რომ მისმა სიმაგრემ 16%-ით დაიწიოს?

**ამოხსნა.** 20 ლიტრი 80%-იანი გოგირდმჟავა შეიცავს $\frac{20\cdot 80}{100}=16$ ლ სუფთა გოგირდს, ამოცანის პირობით მოითხოვება, რომ ეს 16 ლიტრი იყოს 80%-16%=64%-ის. მაშასადამე, მიღებული ხსნარი უნდა იყოს $\frac{16\cdot 100}{64}=25$ ლიტრი; ე.ი. 20 ლიტრს უნდა დაემატოს 5 ლიტრი წყალი.

9. რამდენი 73%-იანი გოგირდმჟავა უნდა დაემატოს 12 ლიტრ 40%-იან გოგირდმჟავას, რო მისმა სიმაგრემ 15%-ით აიწიოს?

**ამოხსნა.** 12 ლიტრს უნდა დაემატოს $\frac{12\cdot 15}{100}=1{,}8$ ლიტრი გოგირდი. აშკარაა გოგირდმჟავას ეს ნამატი იქნება შერეული 73%-იანი გოგირდმჟავას ხარჯზე. ნარევის

სიმაგრე ხდება 40%+15%=55%; მაშასადამე 73%-იანი მჟავას სიმაგრე დაიწევს 73%-55%=18%-ით. 73%-იანი გოგირდმჟავას ის რაოდენობა, რომელიც უნდა დაემატოს 12 ლიტრ 40%-იან გოგირდმჟავას ტოლი იქნება $\frac{1{,}8\cdot 100}{18}=10$ ლიტრის.

ამრიგად, 10 ლიტრი 73%-იანი გოგირდმჟავას დამატება იძლევა სასურველ შედეგს.

სტატიაში მოვიყვანეტ მაგალითები, სადაც პროცენტის შემთხვევაში საზომ ნაწილად ვიღებდით მეასედ ნაწილს. თუ მეასედის ნაცვლად გამოვიყენებთ მეათასედ ნაწილს, შემოვა ახალი სიდიდე რომელსაც პრომილე ეწოდება და აღინიშნება ‰ სიმბოლოთი. პრომილეს შემთხვევასი მეტი სიზუსტით ხდება სიდიდის გაზომვა. მოცემული სიდიდით შეიძლება გავზომოთ მარილიანობა წყალში, ალკოჰოლის შემცველობა სისხლში, რკინიგზის ლიანდაგის დახრილობა და სხვა.


### გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ.კურანტი, ჰ.რობინსი რა არის მათემატიკა გამომცემლობა “განათლება” თბილისი 1965.
2. გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ლ.ქურჩიშვილი, ი. მებონია. გავიმეოროთ მატემატიკა გამომცემლობა “ინტელექტი” თბილისი 2008წელი
3. მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელოები - უახლესი გამოცემა


## THE MAIN TASKS ABOUT PERCENTAGES


**Mamuli Butchukhishvili, Teimuraz Giorgadze**

Akaki Tsereteli State University



Summary

The percentage of interest is necessary in economic and statistical calculations, as well as in many fields of science where the size of parts is represented in percentages.

Percentage is the part of the whole and is marked by % signThe size of the image in the same parts facilitates the comparison of the size of the parts with the whole range and the interdependence, as well as the calculation of them. Measuring part of one hundredi s also possible to dozens of systems of number compatibility. Selection of a tenth part instead of one hundred was not enough to measure the accuracy of the measurement.

Using the historical material in the article, we showed how the symbol - % was created. Let us introduce simple and complex formulas of percentages. We discussed the different types of tasks, how to depict percentage of one variable with another.


# სწავლება მომავლისათვის


ინგა კახიანი     აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**kakhianiinga@gmail.com**


*დღეს უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ სწავლის მოტივაცია მოსწავლის წარმატების უმთავრესი ფაქტორია. მოსწავლეთა დაინტერესებისა და მოტივირებისათვის მასწავლებლის მხრიდან საუკეთესო გამოსავალია სასწავლო პროექტებში მათი დაკავება. გუნდური მუშაობა*

*ხომ მოსწავლეების შედეგიანობის წინაპირობაა.*

მე-20 საუკუნის დასწყისში, როცა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი გარდატეხა მოხდა ტექნოლოგიური, კუ;ლტურული, ეკონომიკური, საგანმანათლებლო თვალსაზრისით, აქტუალური გახდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი-პროექტებით სწავლება. არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეები გაცილებით უკეთ ართმევენ თავს პრობლემის მართვას, როდესაც კვლევას თავად გეგმავენ და საკუთარი გამოცდილებების საფუძველზე სწავლობენ. მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, ზრდის მათ პასუხისმგებლობას ისინი არჩევანის გაკეთებას და გადაწყვეტილების მიღებას სწავლობენ. მოსწავლეები ხალისით ერთვებიან სასწავლო პროცესში.

მუშაობის დასაწყისში მასწავლებლი და მოსწავლეები ერთობლივად აყალიბებენ პრობლემას და შეიმუშავებენ სამუშაო გეგმას, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ პრობლემის გადასაჭრელად და ბოლოს წარმოადგენენ საბოლოო პროდუქტს- მრავალფეროვანი, აქტიური და მიზანმიმართული სამუშაოს შედეგს. სწორედ პროექტზე მუშაობის პროცესში ხდება მოსწავლე აქტური შემმეცნებელი, მისთვის ცხადი ხდება, რომ არსებული ცოდნით პრობლემასთან გამკლავება გაუჭირდება და იწყებს თვითგანათლებაზე ფიქრს, ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებში, ელექტრონულ ინფორმაციში, სხვადასხვა ანგარიშებსა თუ კვლევებში და ა.შ). ბუნებრივია, მასწვლებლის როლი ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია-იგი არის მენტორი, გეზის მიმცემი, დამკვალიანებელი, ეს ტრადიციული მეთოდებისგან აბსოლუტურად განსხვავებული როლია. მუშაობის პროცესში ცხადი ხდება, რომ სამუშაო არეალი ცდება საკლასო სივრცეს და სკოლის გარდა სხვა დაწესებულებების ჩართვა ხდება შესაძლებელი. მნიშვნელოვნად იზრდება როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის კომპეტენციები.

პრობლემის მართვა, პროექტის დიზაინი და კვლევა-ძიების პროცესის სადავეები მოსწავლეების ხელშია. საბოლოო ჯამში, ყოველივე აღნიშნული მოსწავლეს სოციალურ, ემოციურ, ესთეტიკურ, კოგნიტიურ უნარებს, ფიზიკურ და მორალურ მხარეებს უვითარებს. პროექტებით სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა თანამშრომლობითი უნარის განვითარებაა. თანამშრომლობითი სწავლა გუნდური მუშაობის პრინციპზეა აგებული. გუნდში გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა დონის, სწავლის სტილის, შესაძლებლობის, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობის მოსწავლეები. გუნდის მიზანია, ერთობლივად მიაღწიოს მიზანს. ეს განაპირობებს თითოეული წევრის პასუხისმგებლობას და ერთმანეთის დახმარების სურვილს. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, ჩამოაყალიბონ იდეები, მიიღონ გამოცდილება თავიანთი მოსაზრებების პრეზენტაციის დროს, განივითარონ თანმიმდევრულობა, გამოავლინონ თავიანთი ნაკლოვანებები ან დამატებითი ცოდნის-ინფორმაციის საჭიროება. ისინი მასწავლებლის როლს ირგებენ ჯგუფებში.

უნდა აღინიშნოს, რომ 21-ე საუკუნის უნარების მიმართულებით პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას და დისციპლინათშორისი გამოცდილებების გამთლიანებას.

პროექტის ბოლოს მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს. თვითშეფასება მოსწავლის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევაა, რომელიც მას

ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში ეხმარება, ხოლო მეთოდი- პროექტებით სწავლება მოსწავლეებში ავითარებს კვლევით, შემოქმედებით, თანამშრომლობის, საკომუნკაციო, კრიტიკულად აზროვნების და ანალიზის უნარებს.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

file:///C:/Users/ikakhiani/Desktop/2698.pdf

https://db.ph-int.org/upload/iteach/texts/pi_2010_06_30-19_34_51_1.pdf


**ОБУЧЕНИЕ НА БУДУЩЕЕ**


**Инга Кахиани-**

**Кутаисский Государственный Университет**



**Резюме**

Статъя об обучении проектами и о развитии у учащихся ключевых компетентностей, основанных на ценностях, знаниях и умениях, необходимых человеку в 21 веке.


# ვიდეო-ეფექტური სასწავლო რესურსი.


ინგა კახიანი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**kakhianiinga@gmail.com**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ცხრა გამჭოლ კომპეტენციას შორის არის ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენცია, როგორიცაა ციფრული წიგნიერება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებისთვის ქსელთან, მულტიმედიურ ტექსტებთან მუშაობის, მათი ელექტრონული დამუშავების, ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების, იდეებისა და მოსაზრების გამოთქმის, უნარების განვითარებას, ამასთან "ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური უნარების გამომუშავებას მოსწავლეებში." (ესგ,**თავი VIII. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები)**

სწავლების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება. საგანმანათლებლო რესურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მიმართულებით. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უნდა იყოს და ამავე დროს საინტერესო, სახალისო, აქტიური და მრავალფეროვანი. მასწავლებელს ისეთი სასწავლო რესურსი სჭირდება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს მასალაში ღრმად წვდომის შესაძლებლობას. ერთ-ერთ ასეთ რესურსს კი უდაოდ ვიდეო წარმოადგენს. ვიდეო მასალის გონივრული გამოყენებამ გარდა აღნიშნულისა შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი მოსწავლეთა მომზადებას რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსი შეიძლება იყოს ყველაფერი: სურათები, ანიმაცია და რა თქმა უნდა ვიდეო. თითოეული მათგანი მასწავლებელს შედეგიანი გაკვეთილის ჩატარებაში დაეხმარება. აუცილებელია საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინება და პროგრამის შინაარსი, რომელზე დაყრდნობითაც მასწავლებელმა უნდა მოამზადოს რესურსი. ისტ-ის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი საკითხების ახსნის დროს, როცა დიდი მნიშვნელობა აქვს ვიზუალური მასალას, რათა მეტად თვალსაჩინოდ გავხადოთ ესა თუ ის მოვლენა მოსწავლეებისთვის. ამ ტიპის რესურსები მოსწავლეებს ეხმარება პროცესის უკეთესად აღქმასა და მასალის გააზრებაში, რადგან თვალნათლივ ჩანს მოვლენის გამომწვევი მიზეზიც და შედეგიც, მოსწავლეც მარტივად ახდენს მათ დაკავშირებას რეალობასთან.

მასწავლებელმა რესურსად შეიძლება გამოიყენოს როგორც youtube.com -ზე არსებული, ისე მის მიერ შექმნილი ვიდეოები. მან შეიძლება თვითონ ჩაწეროს ვიდეო, სურათებისგანააწყოს კლიპები, დაჭრას დიდი ზომის ვიდეოფაილები, გააფორმოს მუსიკით, სხვადასხვა ვიდეოფაილები გააერთიანოს ერთ ფაილად.

სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა ვიდეო სხვადასხვა მიზნით შეიძლება გამოიყენოს. მაგალითად, უცხო ენის მასწავლებლებმა ვიდეოს შეიძლება ჩაიწეროს გრამატიკის საკითხებზე და სასაუბრო ფრაზებზე, მათემატიკის მასწავლებლები ვიდეოს გამოიყენებენ მაგ. მოქმედებათა თანმიმდევრობის ასახსნელად და მათემატიკური ცნებების ღრმა ანალიზისთვის. სოციალური მეცნიერებები - დოკუმენტის ანალიზისთვის, დისკუსიისთვის, წერისთვის და შემდეგ განხილვისთვის. ფიზკულტურის მასწავლებელმა შეიძლება შექმნას ვიდეო თამაშის წესების და ტექნიკის ასახსნელად, რათა გაკვეთილზე მეტი დრო დაუთმონ თავად თამაშს ან ვარჯიშს. პროექტზე-დაფუძნებული სწავლებისას მასწავლებელმა ინსტრუქციული ტიპის ვიდეო შეიძლება დაამზადოს იმ თემაზე, რაც პროექტისთვის სჭირდებათ.

მაგ. ვისაც მათემატიკური ფუნქცია სჭირდება მათ აძლევთ ვიდეოს საყურებლად, იმის მაგივრად რომ ყველა მოსწავლის (სჭირდება თუ არა მას) დრო დახარჯოს ამ ფუნქციის ახსნაზე.
დაბოლოს, ვიდეოს გამოყენებით მასწავლებელი არა მარტო ამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესში უკვე არსებულ ინსტრუმენტებს და საშუალებებს, არამედ აკავშირებს საკლასო ცოდნას რეალურ სამყაროსთან და აფერმკრთალებს მოსალოდნელ სირთულეებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

https://moluch.ru/archive/44/5359/
http://mastsavlebeli.ge/?p=237

**ВИДЕОЭФФЕКТИВНЫЙ УЧЕБНЫЙ РЕСУРС**

**Инга Кахиани**
**Кутаисский Государственный Университет**

**Резюме**

В статъе рассмотрены вопросы о грамотном использовании видеоматериалов в классе, которые могут значительно способствовать подготовке учащихся к ситуациям реального общения и снять возможные трудности.

# ამოცანები პროპორციულ დამოკიდებულებაზე

მზია მამასახლისი    აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*პროპორციის თეორია განავითარეს ძველი საბერძნეთის მეცნიერებმა, რასაც სტიმული მის-ცა მათემატიკური სიმკაცრის მოთხოვნამ – შეეს-წავლათ მხოლოდ მთელი რიცხვების შეფარდე-ბა, მთელ რიცხვებს შორის დამოკიდებულება.*

*შეფარდებისა და პროპორციის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინების ლათინურ ენაზე გადა-თარგმნის შემდეგ მივიღეთ დღევანდელი ტერ-მინები: ratio – "შეფარდება და proportio – "თანა-ზომადი", "თანაზომიერი", "თანაბარი".*

*სტატიაში განვსაზღვრეთ არითმეტიკული და წარმოებული პროპორციები თანაზომადი სიდი-დეების შემთხვევისთვის. განვიხილეთ პრო-პორციის ძირითადი თვისებები. ამოხსნილია რამდენიმე პრაქტიკული ამოცანა პირდაპირპრო-პორციულ და უკუპროპორციულ დამოკიდებუ-ლებებზე პროპორციის გამოყენებით.*

ერთი რიცხვის განაყოფს მეორეზე ამ რიცხვების შეფარდება ეწოდება: $a:b=K$, ან $\frac{a}{b}=K$; სადაც $b\neq0$.

$K$ არის $a$ და $b$ რიცხვების შეფარდება. შე-ფარდებას ახასიათებს იგივე თვისებები, რაც გაყოფას.

განყენებული რიცხვების შეფარდებას-თან ერთად განიხილავენ სახელდებული რიცხვების, ანუ სიდიდეების შეფარდებასაც. (შეფარდებას ზოგჯერ ფარდობასაც უწოდე-ბენ).

თუ ანაზომადი სიდიდეებია, მაშინ A-ს შეფარდება B-თან არსებობს და იგი ნატურა-ლურ ან წილად რიცხვს წარმოადგენს.

უთანაზომო სიდიდეთა შეფარდება ირა-ციონალური რიცხვით გამოისახება და მას შემდგომში განვიხილავთ.

ერთგვაროვან სიდიდეთა შეფარდება შე-იძლება შეიცვალოს მათი მნიშვნელობების შეფარდებით. მაგალითად, რამდენჯერ მე-ტია 20 სანტიმეტრი 5 სანტიმეტრზე? 20სმ:5სმ=20:5=4.

ოთხი სიდიდის ორი ფარდობის ტოლო-ბას $\frac{a}{b}=\frac{c}{d}$ პროპორცია ეწოდება; იგი შეიძ-ლება ასეც ჩაიწეროს $a:b=c:d$. $a$, $b$, $c$, $d$ სიდი-დეები პროპორციის წევრებია. პროპორციის შემადგენელი არც ერთი წევრი არ არის ნუ-ლის ტოლი. $a$-სა და $d$-ს ეწოდებათ კიდურა წევრები, $b$-სა და $c$-ს – შუა წევრები.

პროპორციის ძირითადი თვისებაა: კი-დურა წევრების ნამრავლი ტოლია შუა წევ-რების ნამრავლისა $ad=bc$.

არითმეტიკული პროპორცია ეწოდება ორი სხვაობის ტოლობას: $a-b=c-d$; ამ შემ-თხვევაშიც $a$-სა და $d$-ს კიდურა წევრები ეწოდებათ, ხოლო $b$-სა და $c$-ს შუა წევრები. არითმეტიკული პროპორციის ძირითადი თვისებაა: კიდურა წევრების ჯამი შუა წევ-რების ჯამის ტოლია: $a+d=b+c$.

პროპორციის თეორია განავითარეს ძვე-ლი საბერძნეთის მეცნიერებმა, რასაც სტი-მული მისცა მათემატიკური სიმკაცრის მო-თხოვნამ – შეესწავლათ მხოლოდ მთელი რიცხვების შეფარდება, მთელ რიცხვებს შო-რის დამოკიდებულება. ამის შედეგად ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნეში ევდოქსმა დაას-რულა პროპორციის ზოგადი თეორიის აგე-ბა. შეფარდებისა და პროპორციის აღმნიშ-ვნელი ბერძნული ტერმინების ლათინურ ენაზე გადათარგმნის შემდეგ მივიღეთ დღე-ვანდელი ტერმინები: λογο5 ითარგმნება სიტყვით ratio – "შეფარდება", ხოლო ბერ-ძნული avaλoyia ციცერონმა თარგმნა იშვია-თი ლათინური სიტყვით proportio – "თანა-ზომადი", "თანაზომიერი", "თანაბარი".

პროპორცია ამჟამინდელი მნიშვნელო-

ბით პირველად განსაზღვრა რომის საინჟინრო სკოლის წარმომადგენელმა ცამბერტიმ (XV საუკუნე). თანამედროვე ჩაწერა – *a:b=c:d* შემოიღო ლაიბნიცმა (1708).

რაიმე რიცხვი (მონაკვეთის სიგრძე) რომ დავყოთ მოცემული რიცხვების პირდაპირპროპორციულ ნაწილებად (მონაკვეთების სიგრძეებად), საჭიროა ეს რიცხვი გავყოთ მოცემული რიცხვების ჯამზე და მიღებული განაყოფი თანმიმდევრობით გავამრავლოთ თითოეულ მოცემულ რიცხვზე. მაგალითად: 66 გავყოთ 2, 4 და 6 რიცხვების პროპორციულად. საჭიროა შესრულდეს მოქმედება: 66:(2+4+6)=5,5; შემდეგ 2·5,5=11; 4·5,5=22; 6·5,5=33; მივიღებთ: 2:4:6 ფარდობას შეესაბამება ფარდობა 11:22:33, სადაც 11+22+33=66.

რაიმე რიცხვი (მონაკვეთის სიგრძე) რომ გავყოთ მოცემული რიცხვების უკუპროპორციულ ნაწილებად (მონაკვეთების სიგრძეებად), საჭიროა ეს რიცხვი გავყოთ მოცემული რიცხვების შებრუნებულების პირდაპირპროპორციულ ნაწილებად. მაგალითად: 66 გავყოთ 2, 4 და 6 რიცხვების უკუპროპორციულად. საჭიროა შესრულდეს მოქმედება: $66:\left(\frac{1}{2}+\frac{1}{4}+\frac{1}{6}\right)=72$; შემდეგ $\frac{1}{2}\cdot 72=36$; $\frac{1}{4}\cdot 72=18$; $\frac{1}{6}\cdot 72=12$; მივიღებთ: $\frac{1}{2}:\frac{1}{4}:\frac{1}{6}$ ფარდობას შეესაბამება ფარდობა 36:18:12, სადაც 36+18+12=66.

ვთქვათ, მოცემულია პროპორცია – *a:b=c:d*. ამ პროპორციისაგან შეგვიძლია მივიღოთ 7 პროპორცია, პროპორციის ძირითადი თვისებების გამოყენებით; კერძოდ; *ad=bc*. ჩამოვწეროთ ეს პროპორციები:

1. *a:c=b:d;* 2. *d:b=c:a;* 3. *d:c=b:a;* 4. *c:d=a:b;* 5. *b:d=a:c;* 6. *c:a=d:b;* 7. *b:a=d:c.*

ოთხ რიცხვს – *a, b, c* და *d*-ს, რომელთაგან შეიძლება პროპორციის შედგენა, პროპორციული რიცხვები ეწოდებათ; თითოეულ მათგანს კი – დანარჩენების მიმართ მეოთხე პროპორციული. პროპორციის კიდურა (შუა) წევრი რომ ვიპოვოთ, ამისათვის საჭიროა შუა (კიდურა) წევრების ნამრავლი გავყოთ ცნობილ კიდურა (შუა) წევრზე.

პროპორციას, რომელსაც ტოლი აქვს კიდურა, ან შუა წევრები უწყვეტი პროპორცია ეწოდება. მაგალითად: *a:x=x:b* უწყვეტ პროპორციაში გამეორებულ წევრს დანარჩენი წევრების საშუალო გეომეტრიული, ან საშუალო პროპორციული ეწოდება და ამ შემთხვევაში გვაქვს: $x=\sqrt{ab}$.

არითმეტიკული პროპორციის შემთხვევაში, თუ მისი შუა წევრები, ან კიდურა წევრები ერთმანეთის ტოლია; ე.ი. *a–x=x–b,* ან *x–a=b–x*; გვაქვს რომ გამეორებული წევრი დანარჩენი წევრების საშუალო არითმეტიკულის ტოლია და ამ შემთხვევაში – $x=\frac{a+b}{2}$.

წარმოებული პროპორცია ეწოდება მოცემული პროპორციიდან ორივე მხარის იგივური მოქმედებებით მიღებულ ახალ პროპორციებს. მაგალითად, პროპორციიდან $\frac{a}{b}=\frac{c}{d}$, ანუ *a:b=c:d*, ვიღებთ: $\frac{a\pm b}{b}=\frac{c\pm d}{d}$; $\frac{a}{a\pm b}=\frac{c}{c\pm d}$; $\frac{a+b}{a-b}=\frac{c+d}{c-d}$ და ა.შ. ზოგადად: $\frac{ma+nb}{pa+qb}=\frac{mc+nd}{pc+qd}$; სადაც m, n, p, q ნებისმიერი რიცხვებია (მასთან p, და q ერთდროულად არ უდრის ნულს).

ტოლ შეფარდებათა მწკრივს $\frac{a_1}{b_1}=\frac{a_2}{b_2}=...=\frac{a_n}{b_n}$ ახასიათებს შემდეგი თვისება: წინა წევრების ჯამი ისე შეეფარდება მომდევნო წევრების ჯამს, როგორც ერთ-ერთი წინა წევრი თავის მომდევნოს.

მართლაც, მოცემულ ტოლ შეფარდება-

თაგან თითოეულის მნიშვნელობა აღვნიშნოთ K-თი, $\frac{a_1}{b_1}=\frac{a_2}{b_2}=...=\frac{a_n}{b_n}=K$; აქედან $a_1=K\cdot b_1$, $a_2=K\cdot b_2,...,a_n=K\cdot b_n$. ამ ტოლობათა შეკრებით მივიღებთ: $a_1+a_2+...+a_n=K(b_1+b_2+...+b_n)$; მაშასადამე, $\frac{a_1+a_2+...+a_n}{b_1+b_2+...+b_n}=K=\frac{a_1}{b_1}=\frac{a_2}{b_2}=...=\frac{a_n}{b_n}$, რაც ამტკიცებს მოცემულ თვისებას.

განვიხილოთ ზოგიერთი ამოცანა პროპორციულ დამოკიდებულებაზე:

1. 3 ცალი პური 2,4 ლარი ღირს. რა ეღირება 5 ცალი პური?

ამოხსნა. მოცემულია ორი პროპორციული სიდიდის შესაბამისი მნიშვნელობანი $a$=3; $b$=2,4; აგრეთვე მეორე ფარდობის ერთ-ერთი მნიშვნელობა $a_1$=5; მოსაძებნია მეორე ფარდობის შესაბამისი მნიშვნელობა $b_1$=? ასეთი სახის ამოცანებში მოცემულია სამი რიცხვი და მათი პროპორციულობის გამო უნდა ვიპოვოთ მეოთხე პროპორციული. ასეთ ამოცანებს პირობითად უწოდებენ ამოცანებს სამთა წესზე. ამოცანა შეიძლება ასე ჩავწეროთ:

3 ცალი პური _______ 2,4 ლარი

5 ცალი პური ____________________ x ლარი

შეიძლება დავწეროთ პროპორცია: $\frac{3}{5}=\frac{2,4}{x}$; აქედან კი გვაქვს: $x=\frac{2,4\cdot 5}{3}$ და მივიღებთ, რომ x=4 ლარს.

2. 12 კგ ჭარხალისაგან მიიღება 1 კგ 600 გ შაქარი. რამდენი შაქარი მიიღება 30 კგ ჭარხალისაგან?

ამოხსნა. ეს ამოცანაც, წინა ამოცანის მსგავსად, შეიძლება ამოხსნილ იქნას პროპორციის შედგენით, ასევე იგი შეიძლება ამოვხსნათ ერთეულზე დაყვანის წესით; გარდა ამისა, მის ამოსახსნელად შეიძლება გამოვიყენოთ უდიდეს საერთო გამყოფზე დაყვანის ხერხი, რაც ერთეულზე დაყვანის ხერხის განზოგადებას წარმოადგენს.

ა) ამოხსნა ერთეულზე დაყვანის ხერხით: $1,6:12=\frac{2}{15}$ და $\frac{2}{15}\cdot 30=4$.

ბ) ამოხსნა პროპორციის შედგენით: $\frac{12}{1,6}=\frac{30}{x}$ და $x$=4.

გ) ამოხსნა საერთო გამყოფზე დაყვანის ხერხით: 12-სა და 30-ის უდიდესი საერთო გამყოფია 6; თუ 12 კგ ჭარხალი გვაძლევს 1,6 კგ შაქარს, მაშინ 6 კგ მოგვცემს 800 გ შაქარს, ხოლო 30 კგ შეიცავს 5-ჯერ 6 კგ-ს, ამიტომ 30 კგ შაქარი მოგვცემს 800·5=4000; 4000 გრამი კი იგივე 4 კილოგრამია.

3. გარკვეულ მანძილზე საბურავი, რომლის წრეწირის სიგრძეა 1მ 65სმ, აკეთებს 20 ბრუნს. რა სიგრძის უნდა იყოს იმ საბურავის წრეწირის სიგრძე, რომელიც იმავე მანძილზე 15 ბრუნს აკეთებს?

ამოხსნა. გვაქვს, 1,65·20=x·15; აქედან კი $x=\frac{1,65\cdot 20}{15}$ და x=2,2 ე.ი. საბურავის საძიებელი წრეწირის სიგრძე 2 მეტრის და 20 სანტიმეტრის ტოლია.

ჩვენ განვიხილეთ ამოცანები, ამ ამოცანებში შედიოდა ორ-ორი პროპორციული სიდიდე. ახლა განვიხილოთ ისეთი ამოცანები, სადაც წყვილ-წყვილად პროპორციულ სიდიდეთა რიცხვი ორზე მეტია. ასეთ ამოცანებს უწოდებენ ამოცანებს რთულ სამთა წესზე. ეს ამმოცანები წინა ამოცანების განვითარებაა, როდესაც სამი მოცემული რიცხვის მიხედვით ვეძებდით მეოთხე რიცხვს.

4. ქსოვილის ნაჭერი, რომლის სიგრძეა 65 მ და სიგანე 1,25 მ ღირს 3750 ლარი. რა ეღირება 91 მ სიგრძისა და 1,45 მ სიგანის ისეთივე ხარისხის, იმავე სახის ქსოვილის ნაჭერი?

ამოხსნა. ამოვხსნათ ამოცანა პროპორცი-

ების გამოყენებით. პირველი პროპორცია შევადგინოთ შემდეგი მსჯელობით: ვთქვათ, გვაქვს ნაჭერი, რომლის სიგრძე ისეთივეა, როგრც პირველი ნაჭრის, ხოლო სიგანე მეორე ნაჭრის სიგანისაა. საძიებელია ამ ნაჭრის ღირებულება. ეს პირობა სქემატურად ასე ჩავწეროთ:

65 მ ___ 1,25მ ________ 3750 ლარი;

65 მ ___ 1,45მ _______ y ლარი.

ამ შემთხვევისათვის შეგვიძლია დავწეროთ შემდეგი პროპორცია:

$$y:3750=1,45:1,25; \quad \text{ე.ი.} \quad y=\frac{1,45\cdot 3750}{1,25}.$$

ამის შემდეგ გადავიდეთ ამოცანაში დასმული კითხვის, ანუ მეორე ნაჭრის ღირებულების პოვნაზე:

65 მ _______ 1,45მ ______ y ლარი;

91 მ ______ 1,45მ __ x ლარი.

ვადგენთ მეორე პროპორციას:

$$x:y=91:65;$$

თუ გავითვალისწინებთ Y-ის მნიშვნელობას, პირველი პროპორციიდან, გვექნება:

$$x=\frac{1,45\cdot 3750\cdot 91}{1,25\cdot 65}$$ და გვაქვს x=6090 ე.ი.

91 მ სიგრძისა და 1,45 მ სიგანის ნაჭერი ეღირება 6090 ლარი.

პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა პირდაპირპროპორციულ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებებზე ხელსაყრელია არითმეტიკული და წარმოებული პროპორციების გამოყენებით მატემატიკის სწავლებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელოები - უახლესი გამოცემა
2. გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ლ.ქურჩიშვილი, ი. მებონია. გავიმეოროთ მატემატიკა გამომცემლობა “ინტელექტი” თბილისი 2008წელი


**OBJECTIVES ON PROPORTIONAL DEPENDENCE**


**Mzia Mamasakhlisi**

Akaki Tsereteli State University



**Summary**

The proportion theory has been developed by the ancient Greek scientists, which prompted the need for mathematical strictness to study only the sum of the numbers, the dependence of the whole number.

After translating Greek terms into denominations and proportions, we received the following terms: ratio – ~ Relativity” and proportio – ~Proportional~ ,~Equal”.

In the article we have defined the arithmetic and derivative proportions for the case of equitable values. We discussed the main features of the proportion. Several practical tasks have been solved through proportion to Directly proportionate and disproportionate dependence.

# ოთხი წერტილის ფარდობა


ონისე რამიშვილი — ქ. ქუთაისის ა. რაზმაძის სახ. 41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა
**o.ramishvili@mail.ru**

გურანდა რამიშვილი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**guranda_ramishvili@mail.ru**



*სტატიის მიზანია მკითხველს გააცნოს წერტილთა წყვილების ფარდობის უცვლელობა ორი წრფის ნებისმიერი მდებარეობისათვის.*


როგორც ცნობილია სამი წერტილის ფარდობა უცვლელია იმ შემთხვევაში, როდესაც არასაკუთრივი წერტილები ერთმანეთს ეთანადება. ვაჩვენოთ, რომ წრფის ცენტრალური დაგეგმილება მასთან გადაკვეთილ წრფესთან არღვევს სამი წერტილის ფარდობას, მართლაც: ავიღოთ ორი გადამკვეთი b და c წრფე და მოვახდინოთ b წრფის A, B, C წერტილების დაგეგმილება c წრფეზე S ცენტრიდან. c წრფეზე მივიღბთ მათ გეგმილებს შესაბამისად $A_1$, $B_1$, $C_1$ (ნახ.1) $A_1$ გავატაროთ $B_1S$ წრფის პარალელური წრფე. მისი გადაკვეთა b წრფესთან აღვნიშნოთ $A_2$. ცხადია, რომ $\frac{A1C1}{B1C1}=\frac{A2C1}{BC1}=m$ მაგრამ, რადგან A და $A_2$ წერტილები განსხვავებულია და $\frac{A1C1}{B1C1}\neq\frac{AC}{BC1}$. ამიტომ საჭიროა შემოვიღოთ ახალი ცნება, რომელიც არ არღვევს ცენტრალური დაგეგმილების დროს წერტილთა წყვილების ფარდობას. ასეთია ოთხი წერტილის ფარდობა.

ნახ.1

ავიღოთ a წრფეზე (ნახ.2) A და B

წერტილები, რომელთაც ვუწოდოთ საბაზო წერტილები, ხოლო C და D წერტილებს გამყოფი წერტილები. აღვნიშნოთ $\frac{AC}{BC}$=m და $\frac{AD}{BD}$=n. შევადგინოთ ახალი ფარდობა,

$\frac{AC}{BC}:\frac{AD}{BD}=\mu$

და დავარქვათ ოთხი წერტილის ფარდობა.

დავაფიქსიროთ C წერტილი და ვამოძრაოთ D წერტილი. გვექნება შემდეგი შემთხვევები.

ა) როცა D წერტილი შუთავსდება C წერტილს, მაშინ ოთხი წერტილის ფარდობა $\mu$ =1

ბ) როცა D წერტილი მარცხნიდან უახლოვდება B წერტილს, მაშინ BD$\to$ 0 ისე რომ ფარდობა ყოველთვის იქნება უარყოფითი და ამიტომ ოთხი წერტილის ფარდობა $\mu$ =0

გ) როცა D წერტილი მარჯვნიდან უახლოვდება A წერტილს, მაშინ $\frac{AD}{BD}\to 0$ ისე რომ ეს ფარდობა რჩება უარყოფითი, მაშინ ოთხი წერტილის ფარდობა $\mu\to+\infty$ ე.ი. მივიღეთ რომ როცა D წერტილი მოთავსებული იქნება A და C წერტილებს შორის, ოთხი წერტილის ფარდობა იქნება დადებითი და მიიღებს 0-დან $+\infty$ მდე ყველა ნამდვილი რიცხვის მნიშვნელობას.

დ) როცა D წერტილი უთავსდება B წერტილს მარჯვნიდან, მაშინ $\frac{AD}{BD}\to+\infty$ და ოთხი წერტილის ფარდობა $\mu\to-\infty$

ე) როცა D წერტილი გადაადგილდება უსასრულოდ შორს და შეუთავსდება a წრფის არასაკუთრივ წერტილს, მაშინ $\frac{AD}{BD}\to 1$ და ოთხი წერტილის ფარდობა $\mu=\frac{AC}{BC}=m$ გადაიქცევა სამი წერტილის ფარდობის ტოლად. ე.ი. სამი წერტილის ფარდობა ეს იგივე ოთხი წერტილის ფარდობის ტოლია, როცა მეოთხე წერტილი გადაადგილებულია უსასრულობაში. ამრიგად ოთხი წერტილის ფარდობა უარყოფითია როდესაც D წერტილის გადაადგილება ხდება იმ AB მონაკვეთში რომელიც შეიცავს არასაკუთრივ წერტილს და გვაძლევს ყველა ნამდვილი რიცხვების მნიშვნელობას $-\infty$ დან 0-მდე.

### ლიტერატურა


1. ჟ. ადამარი. ელემენტარული გეომეტრია. პირველი ნაწილი. პლანიმეტრია. სამეცნიერო- მეთოდური კაბინეთის გამომცემლობა თბილისი 1951 წ.
2. ი. ხატისკაცი. ზედაპირების თანაკვეთის წირის აგების თეორია და პრაქტიკული გამოყენება. გამომცემლობა ;განათლება; 1989 წ.
3. Л.С. Атанасян, В.Т. Базилев. ГЕОМЕТРИЯ. часть 1. москва <<просвещение>> 1986
4. В. Г. болтянский . ЭЛЕМЕНТАРНАЯ ГЕОМЕТРИЯ москва << просвещение>> 1985


## ELEVATION SPACE EXPANSION


**Ramishvili O.,**
t. Kutaisi Razmadze's house 41 Teacher of the School of Physics and Mathematics
**Ramishvili G**

.Student of Akaki Tsereteli State University

**Summary**

The purpose of the article is to introduce the reader to the reader's exchange of points for any location of two lines.

# სამი წერტილის ფარდობა

ონისე რამიშვილი — ქ. ქუთაისის ა. რაზმაძის სახ. 41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა
**o.ramishvili@mail.ru**

ინგა რამიშვილი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ingu-go@mail.ru**

*სტატიის მიზანია მკითხველს გააცნოს ის შემთხვევები რომლის დროსაც არ ხდება სამი წერტილის ფარდობის ცვლილება.*

როგორც ცნობილია, ევკლიდეს გეომეტრიაში რაიმე A წერტილის გარკვეულ მდებარეობას წრფეზე შეესაბამება m=OA რიცხვი, რომელიც წრფის ფიქსირებული O წერტილიდან A წერტილამდე მანძილის ტოლია. წრფის დაგეგმილებისას ეს მანძილი საზოგადოდ იცვლება. იმისათვის რომ წრფის დაგეგმილებისას ამ წრფეზე მდებარე წერტილის და მისი გეგმილის მდებარეობები დაკავშირებული იყოს რაიმე მუმივ რიცხვთან, საჭიროა შემოვიღოთ ახალი ცნება, რომელიც პარალელური დაგეგმილებისას სამი წერტილის ფარდობითაა ცნობილი.




ნახ.1

ვთქვათ a წრფე A და B წერტილებით გაიყო ორ მონაკვეთად, (ნახ.1) ერთი მონაკვეთია AB რომელიც არ შეიცავს არასაკუთრივ წერტილს და მეორე

AB მონაკვეთი, რომელიც შეიცავს არასაკუთრივ წერტილს. ავირჩიოთ a წრფეზე დადებითი მიმართულება, ვთქვათ მარცხნიდან მარჯვნივ და ამასთან მონაკვეთს მივანიჭოთ მიმართულება. საჭიროა შევნიშნოთ, რომ მონაკვეთის ნიშანი არსებითად დამოკიდებულია იმ რიგისაგან, რომლითაც მოცემულია მისი ბოლო წერტილი, სახელდობრ: AB=-BA მაშ, ასე A და B წერტილებს ვუწოდოთ საბაზო წერტილები. განვიხილოთ AB მონაკვეთი რომელიც არ შეიცავს არასაკუთრივ წერტილს. ავიღოთ a წრფეზე კიდევ ერთი C წერტილი, ე.წ. გამყოფი წერტილი. საბაზო თითოეული წერტილით და C წერტილით განსაზღვრული AC და BC მონაკვეთების სიგრძეთა ფარდობას სამი წერტილის ფარდობა ეწოდება. m= შევნიშნოთ, რომ თუ C წერტილი მოთავსებული იქნება იმ AB მონაკვეთში, რომელიც არასაკუთრივ წერტილს შეცავს, მაშინ $m=\frac{AC}{BC}$ ფარდობა ყოველთვის იქნება დადებითი რიცხვი, ხოლო თუ C წერტილი მოთავსდება AB მონაკვეთის შიგნით, რომელიც არ შეიცავს არასაკუთრივ წერტილს მაშინ სამი წერტილის ფარდობა იქნება უარყოფითი რიცხვი. განვიხილოთ სხვადასხვა შემთხვევები:

ა) თუ C წერტილი AB მონაკვეთის შუაწერტილია, მაშინ ცხადია m=-1

ბ) თუ C წერტილი მარცხნიდან უახლოვდება B წერტილს, მაშინ BC=0 და $m \to -\infty$

გ) თუ C წერტილი მარჯვნიდან უახლოვდება A წერტილს, მაშინ $AC \to 0$ და m=0

ცხადია როცა C წერტილი მოძრაობს AB მონაკვეთის შიგნით, რომელიც არ შეიცავს არასაკუთრივ წერტილს, სამი წერტილის ფარდობა არის უარყოფითი და გაირბენს ყველა ნამდვილი რიცხვის მნიშვნელობას $-\infty$ დან 0-მდე (ჩათვლით)

დ) თუ C წერტილი მარჯვნიდან უახლოვდება B წერტილს, მაშინ BC =0 და $m=+\infty$

ე) თუ C წერტილი მარცხნიდან უახლოვდება A წერტილს, მაშინ AC=0 და m=0

ვ) თუ სამი წერტილის ფარდობას ჩავწერთ ასე: m= ამ ჩანაწერის მიხედვით იმ შემთხვევაში, როცა C წერტილი შეუთავსდება არასაკუთრივ წერ-




მება რომელიმე ნამდვილი რიცხვი და პირიქით. ე. ი. გვაქვს ურთიერთცალსახა შესაბამისობა.

შევნიშნოთ, რომ წრფესა და წრეწირს შორის შესაძლებელია დავამყაროთ ურთიერთცალსახა შსაბამისობა, რადგან წრფე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შეკრულ წირად.

სამი წერტილის ფარდობა უცვლელია ისეთი დაგეგმილებისათვის, რომელიც არასაკუთრივ წერტილებს შეუსაბამებს ერთმანეთს. ასეთია წრფის პარალელური დაგეგმილება მასთან გადაკვეთილ წრფეზე და წრფის ცენტრალური დაგეგმილება მასთან პარალელურ წრფესთან. მართლაც ორივე შემთხვევასი m= = .

(ნახ.2.   ნახ.3)




ნახ.2

3. Л.С. Атанасян, В.Т. Базилев. ГЕОМЕТРИЯ. часть 1. москва <<просвещение>> 1986
4. В. Г. Болтянский . ЭЛЕМЕНТАРНАЯ ГЕОМЕТРИЯ москва << просвещение>> 1985

**ELEVATION SPACE EXPANSION**

**Ramishvili O.,**
St. Kutaisi Razmadze's house 41 Physics and Mathematics Public School
**Ramishvili I**
Akaki Tsereteli State University

**Summary**

The purpose of the article is to inform readers about the cases in which there is no change in the three-point ratios.

# ევკლიდური სივრცის გაფართოება

ონისე რამიშვილი ქ. ქუთაისის ა. რაზმაძის სახ. 41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა
**o.ramishvili@mail.ru**
თამარი აბულაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**abuladze-t@mail.ru**

*სტატიის "ევკლიდური სივრცის გაფართოება" მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობას გააცნოს თუ როგორ ხდება ურთიერთცალსახა შესაბამისობის დამყარება სიბრტყეებს შორის.*

მოვახდინოთ რაიმე S ცენტრიდან α სიბრტყის დაგეგმილება β სიბრტყეზე (ნახ.1). ცხადია, მაგეგმილებელი წრფეები და სიბრტყეები შექმნიან წრფეთა და სიბრტყეთა შეკვრას S ცენრტით და ასეთი დაგეგმილებით დამყარდება ურთიერთცალსახა თანადობა α სიბრტის ფიგურებსა და β სიბრტყეში მათ გეგმილებს შორის. მართლაც $A_1 \in \alpha$ წერტილი $SA_1$ მაგეგმილებელი წრფით დაგეგმილდება $A_2 \in \beta$ წერტილში. ასევე $B_1 \in \alpha$ წერტილს შეესაბამება $B_2 \in \beta$ და ა. შ. რაც შეეხება α და β სიბრტყეების გადაკვეთის წრფეზე მდებარე წერტილს, მათ შეესაბამება თავისი თავი, ამიტომ მათ ორმაგი ანუ უძრავი წერტილები ვუწოდოთ და აღვნიშნოთ $E_{12}$ ხოლო თვით წრფეს

ორმაგი ან უძრავი წერტილების წრფე და აღვნიშნოთ $P_{12}$ (ორი ქვედა ინდექსით)



ნახ.1

S ცენტრზე გამავალი ყოველი მაგეგმილებელი სიბერტყე α და β სიბეტყეებს თითო წრფეზე გადაკვეთს. მაგალითად: $\ell_1=A_1B_1\subset\alpha$ წრფეს S ცენტრზე გამავალი $SA_1B_1$ მაგეგმილებელი სიბრტყე $\ell_2=A_2B_2\subset\beta$ წრფეზე აგეგმილებს. (დავაფიქსიროთ ის ფაქტი, რომ გარკვეულ წრფეზე მდებარე წერტილი დაგეგმილდება ამ წრფის გეგმილში). რაც შეეხება $E_{12}$ წერტილს, რომელიც $P_{12}$ წრფეზე მდებარეობს დაგეგმილდება თავის თავში, ამიტომ ის ერთდროულად ეკუთვნის $\ell_1$ და $\ell_2$ წრფეებს. განხილულიდან ვრწუნდებით, რომ $\ell_1$ წრფის ყოველ წერტილს ცალსახად შეესაბამება $\ell_2$ წრფის წერტილები და შებრუნებით, მაგრამ ადვილი შესამჩნევია ის ფაქტი, რომ $\ell_1$ წრფეზე არსებობს ერთი განსაკუთრებული $D_1$ წერტილი, რომელიც $\ell_2$ წრფეზე ვერ დაგეგმილდება, რადგან $SD_1$ მაგეგმილებელი წრფე $\ell_2$ წრფის პარალელურია. სრულიად ასევე $\ell_2$ წრფეზეც არსებობს $M_2$ წერტილი, რომელიც არ გეგმილდება $\ell_1$ წრფეზე. რადგან $SM_2$ წრფე $\ell_1$ პარელელურია. ე. ი. $D_1$ და $M_2$ წერტილებს არა აქვთ შესაბამისი წერტილები. გარდა ამისა α სიბრტყეში არსებობს $t_1\parallel P_{12}$ წრფე რომელიც ვერ დაგეგმილდება β სიბრტყეში, რადგან $t_1$ წრფეზე და S ცენტრზე გამავალი მაგეგმილებელი სიბრტყე ω პარალელურია β სიბრტყის (ნახ.2). ამრიგად მივიღეთ, რომ ცენტრალური დაგეგმილება ვერ ამყარებს ურთიერთცალსახა შესაბამისობას ორ გადაკვეთილ სიბრტყეს შორის, თუ მას განვიხილავთ ევკლიდეს სივრცეში (ევკლიდე ალექსანდრიელი ძველბერძენი მათემატიკოსი ძვ. წ..ით 325_265 ).



ნახ.2

იმისათვის, რომ დავამყაროთ ურთიერთცალსახა შესაბამისობა $\ell_1$ და $\ell_2$ წრფეების ყველა წერტილს შორის, საკმარისია დავუშვათ, რომ ყოველ წრფეზე დამატებით არსებობს ისეთი წერტილი, რომელშიც ეს წრფე თავის პარალელურ წრფესთან იკვეთება, კერძოდ: ჩვენს შემთხვევაში $\ell_1$ წრფეზე არსებობს $M_1^\infty$ წერტილი რომელშიც იკვეთება $\ell_2$ წრფე. ასევე $\ell_2$ წრფეზე არსებობს $D_2^\infty$ წერტილი, რომელშიც $SD_1$ წრფე იკვეთება $\ell_2$ წრფესთან. მივიღებთ, რომ $D_1$ წერტილი აისახება $D_2^\infty$ წერტილში, ხოლო $M_2$ წერტილი $M_1^\infty$ წერტილში. $M_1^\infty$ და $D_2^\infty$ წერტილებს ვუწოდოთ $\ell_1$ და $\ell_2$ წრფეების უსასრულოდ შორეული წერტილები, ან არასაკუთრივი წერტილები, ხოლო დანარჩენ წერტილებს კი საკუთრივი წერ-

ტილები.

მაგეგმილებელი $SN_2$ წრფე ვაბრუნოთ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, მაშინ $N_2$ წერტილი $\ell_2$ წრფეზე გადაადგილდება მარცხნივ და გაივლის $E_{12}$; $B_2$; $K_2$; $A_2$; ა. შ. წერტილების მდებარეობას და გადაადგილდება უსასრულოდ შორს. ახლა $SN_2$ მაგეგმილებელი წრფე საწინააღმდეგო მიმართულებით მოვაბრუნოთ, ამ შემთხვევაშიც $N_2$ წერტილი გადაადგილდება მარჯვნივ $\ell_2$ წრფეზე და წავა უსასრულობაში $D_2^\infty$ წერტილში. ეს წერტილი ერთი არასაკუთრივი წერტილია $\ell_2$ წრფეზე, რადგან შეუძლებელია $\ell_1$ და $\ell_2$ წრფეები კვეთდნენ ორ წერტილში ამიტომ ყოველ წრფეს ერთი არასაკუთრივი წერტილი აქვს. ამრიგად $D_2^\infty$. უსასრულოდ შორეული წერტილი თითქოს კრავს $\ell_2$ წრფეს. წრფე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც უსასრულოდ დიდი რადიუსის მქონე წრეწირი, რომელზედაც ერთი მიმართულებით მოძრავი წერტილი გაივლის მის ყველა წერტილს და დაბრუნდება საწყის მდებარეობაში. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ უშუალოდ წარმოვიდგინოთ შეკრული წრფე, არამედ უნდა ავითვისოთ ის ფაქტი, რომ არასაკუთრივი წერტილით შევსებული წრფის თვისებები ისეთია, თითქოს ის შეკრული წირია. მაგალითად წრეწირსა და არასაკუთრივი წერტილით შევსებულ წრფეს აქვს საერთო თვისებები. სახელდობრ: წრეწირზე მდებარე წერტილი მას არ ყოფს ორ ნაწილად. ასევე წრფეზე მდებარე წერტილი არ ყოფს მას ორ სხივად, რადგან წრფე შეკრულ წირად გვაქვს წარმოდგენილი. თუ წრეწირზე ავიღებთ ორ წერტილს, მაშინ ის ამ წერტილებით გაიყოფა ორ ნაწილად. ასევე წრფეზე მდებარე ორი წერტილი მას ყოფს ორ მონაკვეთად. ერთი მონაკვეთი, რომელიც არ შეიცავს არასაკუთრივ წერტილს და მეორე მონაკვეთი, რომელიც შეიცავს არასაკუთრივ წერტილს. ამ მონაკვეთებს უწოდებენ შეთავსებულ მონაკვეთებს.

იმის შემდეგ რაც ყოველი წრფე ერთი არასაკუთრივი წერტილით შევავსეთ, გამოვარკვიოთ რას წარმოადგენს ერთ სიბრტყეზე მდებარე წრფეების არასაკუთრივი წერტილების სიმრავლე. ამისათვის განვიხილოთ S წერტილზე გამავალი ω სიბრტყის წრფეთა $SA_1$ $SB_1$ $SC_1$ $SD_1$ და ა.შ. სიმრავლე, როგორც ვიცით ყოველ მათგანს გააჩნია თითო არასაკუთრივი წერტილი, რომელთა $A_2^\infty$ $B_2^\infty$ $C_2^\infty$ $D_2^\infty$ და ა.შ. სიმრავლე არის არასაკუთრივი წირი, რომელსაც ყოველ წრფესთან ერთი საერთო წერტილი აქვს. ეს წირი პირველი რიგისაა და ის იქნება β სიბრტყის ერთადერთი $t_2^\infty$ არასაკუთრივი წრფე. ის ფაქტი რომ ის წრფეა ვრწმუნდებით იმაში, რომ მას შეესაბამება ω სიბრტყის ერთადერთი საკუთრივი $t_1$ წრფე. (მართლაც ω და β სიბრტყეების თანაკვეთა აუცილებლად უნდა მოხდეს წრფეზე და ეს წრფე იქნება არასაკუთრივი $t_2^\infty$ წრფე) ანალოგიურად α სიბრტყეზეც არსებობს არასაკუთრივი წრფე, რომელიც წარმოადგენს α და δ სიბრტყეების თანაკვეთის წრფეს. ამრიგად იმ დაშვებიდან, რომ ორი პარალელური წრფე იკვეთება არასაკუთრივ წერტილზე, გამომდინარეობს რომ ორი პარალელური სიბრტყე ერთადერთ არასაკუთრივ წრფეზე იკვეთება. შევნიშნოთ რომ, როგორც არასაკუთრივი წერტილით შევსებული წრფე ერთი წერტილით ორ სხივად არ გაიყოფა, ისე არა-

საკუთრივი წრფით შევსებული სიბრტყე ერთი წრფით ორ ნახევარსიბრტყედ არ გაიყოფა. ასეთ სიბრტყეს ორ ნაწილად ყოფს მასზე მდებარე ორი ნებისმიერი წრფე. მაგალითად (ნახ.3 ) გადაკვეთილი ℓ და k წრფეები (მათ მიერ განსაზღვრული ორი ვერტიკალური კუთხე დაშტრიხულია) ავიღოთ წერტილები სიბრტყის დაშტრიხულ და დაუშტრიხავ ნაწილებში. ცხადია, რომ სიბრტყეზე არ არსებობს A და B წერტილების შემაერთებელი მონაკვეთი, რომელიც ℓ და k წრფეებიდან ერთერთს მაინც არ კვეთდეს. მაგალითად A წერტილი AD _ზე ნებისმიერი მიმართულებით რომ გადავაადგილოთ ის გადაკვეთს ℓ და k წრფეს. მაგრამ A წერტილი შეგვიძლია გადავაადგილოთ დაშტრიხულ ნაწილში მდებარე B წერტილისაკენ ისე, რომ მისმა ტრაექტორიამ ℓ და k წრფეები არ გადაკვეთოს. (თუ A წერტილი AB წრფის იმ მონაკვეთს გაივლის, რომელსაც არასაკუთრივი წერტილი ეკუთვნის). წრფეებისა და სიბრტყეების არასაკუთრივი წერტილებისა და წრფეების სიმრავლე განსაზღვრავს სივრცის არასაკუთრივ სიბრტყეს.




ნახ.3

ევკლიდეს სივრცე შევავსეთ არასაკუთრივი ფიგურებით და მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ, რითაც განვასხვავეთ სივრცის დანარჩენი ჩვეულებრივი ფიგურებისაგან. არასაკუთრივი ფიგურებით შევსებულ სივრცეს ევკლიდეს გაფართოებული სივრცე ეწოდება. შევნიშნით, რომ თუ სივრცის საკუთრივ და არასაკუთრივ ფიგურებს თანაბარუფლებიან ფიგურებად განვიხილავთ, მივიღებთ სივრცეს რომელსაც გეგმილური სივრცე ეწოდება და ის საგრძნობლად განსხვავდება ევკლიდეს გაფართოებული სივრცისაგან.

**ლიტერატურა**

1. ჟ. ადამარი. ელემენტარული გეომეტრია. პირველი ნაწილი. პლანიმეტრია. სამეცნიერო- მეთოდური კაბინეთის გამომცემლობა თბილისი 1951 წ.
2. ი. ხატისკაცი. ზედაპირების თანაკვეთის წირის აგების თეორია და პრაქტიკული გამოყენება. გამომცემლობა ;განათლება; 1989 წ.
3. Л.С. Атанасян, В.Т. Базилев. ГЕОМЕТРИЯ. часть 1. москва <<просвещение>> 1986
4. В. Г. Болтянский . ЭЛЕМЕНТАРНАЯ ГЕОМЕТРИЯ москва << просвещение>> 1985

## ELEVATION SPACE EXPANSION

**Ramishvili O.,**
St. Kutaisi Razmadze's house 41 Physics and Mathematics Public School
**Abuladze T.**
Akaki Tsereteli State University

**Summary**

The essence of «Euclidean space expansion» of the article is to educate the young man how to interact with the relationship between platforms

# გეომეტრიული ობიექტებისა და გრაფიკული გამოსახულებების აღწერის ხერხები

ეთერი ფოფხაძე        აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანების ამოხსნისათვის ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს გეომეტრიული ობიექტების აღწერა გრაფიკული ან ალგებრული ხერხით. რთული ობიექტების აღწერისას დასაშვებია იგი წარმოდგენილი იყოს ცალკეული ელემენტების სახით, რომელთა შორის დამოკიდებულების განსაზღვრა უფრო მარტივია. მიღებული ინფორმაციის დამუშავებით შესაძლებელია სხვადასხვა ფორმისა და კონსტრუქციის ობიექტების მიღება.*

ახალი ნამზადის შექმნისას კონსტრუქტორი აანალიზებს ნამზადის გეომეტრიასა და ფუნქციას, ხოლო შემდეგ

აყალიბებს შესწავლილ ინფორმაციას ტექნიკური დოკუმენტაციის სახით. როგორც წესი გეომეტრია განსაზღვრავს ნამზადისა და მისი შემადგენელი ელემენტების ფორმასა და ზომებს, ხოლო ფუნქციები აღწერენ ნამზადის ელემენტების ურთიერთდამოკიდებულებასა და მუშაობის პრინციპს. ტექნიკურ დოკუმენტაციას ავსებს ინფორმაცია ნამზადის მასალისა და დამუშავების მეთოდების შესახებ.

ტექნიკური ამოცანის ამოხსნისას ნამზადი განიხილება როგორც გეომეტრიული ობიექტი, რომლის რეალურად აღქმისათვის გამოიყენება მისი გრაფიკული გამოსახულება. გრაფიკული გამოსახულება კი არის სამგანზომილებიანი ობიექტის გეგმილი ორგანზომილებიან სიბრტყეზე.

ნამზადის განმსაზღვრელი გეომეტრიული ობიექტები შეიძლება იყოს წახნაგოვანი, ბრუნვითი ან ზოგადი ფორმის. წახნაგოვანი ობიექტები შემოსაზღვრულია სიბრტყეებით, ბრუნვითი მეორე რიგის ზედაპირებით (ცილინდრი, კჯონუსი სფერო), ზოგადი ფორმის ნაკეთობები კი - უფრო მაღალი რიგის ზედაპირებით, ან ზედაპირებით, რომელთა ზუსტი ანალიზური აღწერა შეუძლებელია. ანალიზური გეომეტრიის პოზიციიდან საჭიროა საწყის ელემენტებად ჩაითვალოს წერტილი, წრფე, მრუდე წირი, სიბრტყე, ზედაპირი და ასევე გეომეტრიული სხეული, რომელთა შორისაც უნდა დამყარდეს გარკვეული კავშირი. მაგალითად, სიმრავლის თეორიაში სივრცე შეიძლება განიხილებოდეს როგორც წერტილთა სიმრავლე, ხოლო წერტილები, წრფეები, მრუდე წირები, სიბრტყეები, ზედაპირები და ასევე გეომეტრიული სხეულები როგორც ქვესიმრავლე. მაგალითად, ევკლიდეს სივრცე $R^3$ განსაზღვრულია მართკუთხა XYZ კოორდინატთა სისტემით.

წერტილი განსაზღვრულია ანალიზურად, თუ მოცემულია მისი x, y და z კოორდინატები. მისი გრაფიკული გამოსახულება ერთი, ორი ან სამი წერტილია იმის მიხედვით, თუ რამდენ სიბრტყეზე განიხილება მისი გეგმილი (ნახ. 1.ა).

წრფე სივრცეში განსაზღვრულია განტოლებით **$ax + by + cz + d = 0$.** ზოგადად წრფის გრაფიკული გამოსახულება სიბრტყეზე წრფეა, მაგრამ კერძო შემთხვევაში რომელიმე სიბრტყეზე შესაძლებელია დაგეგმილდეს წერტილის სახით. წრფე ასევე შეიძლება განსაზღვრული იყოს პარამეტრულად: **$x=a + a't$; $y=b + b't$; $z=c + c't$** (ნახ. 2. გ).

სიბრტყე სვრცეში განისაზღვრება განტოლებით **$Ax + By + Cz + D = 0$**. კონკრეტულად სიბრტყეს გრაფიკული გამოსახულება არ აქვს, მაგრამ მისი გრაფიკული გამოსახულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ისეთი ბადის სახით, რომელიც მიიღებული იქნება წრფეთა ორი ოჯახის ბრტყელი გამოსახულებით, ამასთან შეიძლება ნაჩვენები იყოს მხოლოდ სიბრტყის შემომსაზღვრელი წრფეები (ნახ. 2. გ).




ნახ. 1. ა.



ნახ. 1. ბ .




ნახ. 1 გ.

სივრცითი წირი ან წახნაგი მისაღებია აღწერილი იყოს პარამეტრული სახით: x=x(t); y=y(t); z=z(t), სადაც t იცვლება $t_1 \le t \le t_2$ . ზედაპირის ასახვაც შესაძლებელია პარამეტრული სახით: **x=x(u,v); y=y(u,v); z=z(u,v), $u_1 \le u \le u_2$ ; $v_1 \le v \le v_2$**. რთული ზედაპირების აღწერა შესაძლებელია კუნსის მეთოდის გამოყენებით მისი ცალკეული ნაწილების პარამეტრული სახით აღწერით. ზედაპირის ცალკკეული ელემენტები შეიძლება ჩაითვალოს განსაზღვრულად, თუ შესაძლებელია საყრდენი წერტილების $(x, y, z)_{ik}$ კოორდინატების, ან საყრდენი წერტილების კოორდინატებისა და ამ წერტილებში გამავალი მხებების ვექტორების განსაზღვრა. ასეთი ელემენტი შეიძლება იყოს ზედაპირის სეგმენტი, რომელიც შემოსაზღვრული იქნება ოთხი სივრცითი წირით. თუ შემომსაზღვრელი წირები კუბური ფუნქციებია, მაშინ მიიღება ე.წ. ბიკუბური ელემენტები ანუ სპლაინები. მიღებული კუნსის ელემენტების ე.წ. “შეკერვით” მიიღება საჭირო ზედაპირი.

მოცემული საწყისი ობიექტების - წერტილი, წრფე, სიბრტყე, ზედაპირი, სხეული - სიმრავლიდან შესაძლებელია სხვადასხვა კომბინაციებით აიგოს ობიექტის ახალი მოდელი. მიღებული ახალი ობიექტის მოდელი უნდა აკმაყოფილებდეს ორ მოთხოვნას: 1. ობიექტის აღწერა უნდა იძლეოდეს მისი შემდგომი დამუშავების შესაძლებლობას სხვადასხვა ალგორითმების გამოყენებით; 2. ობიექტის აღწერა უნდა იყოს სტრუქტურიზებული ისე, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი იყოს ობიექტის გრაფიკუ ლი გამოსახულების მიღება.




ნახ. 2. ა




ნახ. 2. ბ

მაგალითისათვის ნახ. 2. ა - ზე მოცემულია მარტივი ელემენტების ექვსი კლასი, ხოლო ნახ. 2. ბ - ზე კი ამ ელემენტებისაგან მიღებული ობიექტები. ტერმინი “მარტივი ელემენტში” ალგებრულად ალგებრულად აღწერადი გეომეტრიული ელმენტები, რომელთა განცალკევება შეუძლებელია. გარკვეული გეომეტრიული ოპერაციების დახმარებით შესაძლებელია მათგან უფრო რთული ობიექტების აგება. აქ შეიძლება განხილული იყოს ობიექტების შემდეგი კლასები: H კლასის ობიექტები შეიძლება აღწერილი

იყოს შემდეგნაირად:

$H \rightarrow (R * B)$, სადაც $R=R_1 / R_2$, ხოლო $R_1 \rightarrow ((d_1 + d_2) * d_3)$ და $R_1 \rightarrow (d_6 * d_3)$;

$$B \rightarrow ((d_4 + d_3) * d_5).$$

G არის უჯრედოვანი სტრუქტურა. აქ მიღებული ობიექტი შედგება სიბრტყეზე ან სივრცეში მდებარე წერტილებისაგან.

F არის ზედაპირების ელემენტების სტრუქტურა. მიღებული ობიექტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზედაპირების ან სხეულების შემადგენელი ელემენტებით. ძირითად ელემენტებად კი ითვლება პარამეტრულად აღწერილი მრუდწირული ოთხკუთხედები: $x=x(u,v)$; $y=y(u,v)$; $z=z(u,v)$.

K არის სხეულების სტრუქტურა. აქ ახალი ობიექტი მიიღება დიზიუნქციისა და კონიუქციის ლოგიკური ფუნქციებით.

გეომეტრიული ობიექტებისა და გრაფიკული გამოსახულებების აგება და აღწერა დამოკიდებულია კონკრეტულ ამოცანაზე, ამდენად პრაქტიკაში არსებობს ობიექტების სხვადასხვა მოდიფიკაციები და მათი აღწერის კერძო შემთხვევები.


**Summary**

The article deals with the problems of describing geometric objects and graphic images in the manner of their dismemberment by the simplest composite pieces. Also considered are the construction of objects using the so-called «Simple elements».


# რიცხვითი მწკრივის სწავლება საინჟინრო სპეციალობებზე

მ. ხუნჯუა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატიაში მოცემულია რიცხვითი მწკრივისა და მწკრივის ჯამის ცნებები და ზოგიერთი თეორემა 00 რიცხვითი მწკრივის კრებადობის შესახებ, რომელთა ცოდნა აუცილებელია საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისათვის.*

რიცხვითი მიმდევრობის ცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული რიცხვითი მწკრივისა და მწკრივის ჯამის ცნებები.

განვიხილოთ რაიმე $(a_n)_{n\geq 1}$ რიცხვითი მიმდევრობა და შევადგინოთ შემდეგი გამოსახულება: $a_1 + a_2 + .... + a_n + ....$ ცხადია, ეს გამოსახულება არის ფორმალური ჯამი, რადგან მასში შესაკრებების რიცხვი უსასრულოა და შეკრების განხორციელება ელ. მათემატიკაში ცნობილი წესებით შეუძლებელია. რიცხვითი მიმდევრობის წევრთა უსასრულო ჯამს რიცხვითი მწკრივი ეწოდება, ხოლო $a_n$ რიცხვებს – მწკრივის წევრები. $a_n$–ს უწოდებენ მწკრივის ზოგად წევრს. ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა მწკრივის ჯამის პოვნა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შევადგინოთ შემდეგი რიცხვების მიმდევრობა: $S_1 = a_1$, $S_2 = a_1 + a_2$ , ... $S_n = a_1 + a_2 + .... + a_n$ , ... ამ $(S_n)_{n\geq 1}$ მიმდევრობას მწკრივის კერძო ჯამების მიმდევრობა ეწოდება, ხოლო $S_n$ რიცხვს მწკრივის $n$–ური კერძო ჯამი.

აშკარაა, რომ რაც უფრო დიდია $n$ ნატურალური რიცხვი, შესაკრებთა მით უფრო მეტ რაოდენობას შეიცავს $S_n$ კერძო ჯამი, ამასთან, როცა $n \to\infty$, კერძო $S_n$ ჯამში შესაკრებად შევა მწკრივის თითქმის ყველა წევრი. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შემოგვაქვს **განმარტება:** თუ $a_1 + a_2 + .... + a_n + ....$ მწკრივის კერძო ჯამების $(S_n)_{n\geq 1}$ მიმდევრობას გააჩნია $S$ სასრული ზღვარი, როდესაც $n \to\infty$, მაშინ მწკრივს ეწოდება კრებადი, ხოლო $\lim_{n\to\infty} S_n = S$ ზღვარს მწკრივის ჯამი. ამ შემთხვევაში ვწერთ:

$$a_1 + a_2 + ... + a_n + ... = \sum_{n=1}^{\infty} a_n = S .$$

თუ $(S_n)_{n\geq 1}$ მიმდევრობა განშლადია, მაშინ მწკრივს ეწოდება განშლადი.

შევნიშნოთ, რომ კრებადი მწკრივი კვლავ დარჩება კრებად მწკრივად, თუ მას ჩამოვაცილებთ წევრთა სასრულ რაოდენობას.

ცხადია, რომ თუ $\lim_{n\to\infty} S_n = S$, მაშინ $\lim_{n\to\infty} S_{n-1} = S$. ამიტომ

$$\lim_{n\to\infty} a_n = \lim_{n\to\infty}(S_n - S_{n-1}) = S - S = 0 .$$

ამგვარად, თუ მწკრივი კრებადია, მაშინ $(a_n)_{n\geq 1}$ მიმდევრობის ზოგადი წევრის ზღვარი ნულის ტოლია. ამ თვისებას უწოდებენ მწკრივის კრებადობის აუცილებელ პირობას. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ მწკრივის ზოგადი $a_n$ წევრი არ მიისწრაფის ნუ-

ლისაკენ, როცა $n \to \infty$, მაშინ მწკრივი განშლადია. შევნიშნოთ, რომ ეს პირობა არ არის საკმარისი მწკრივის კრებადობისათვის.

მაგალითად, მტკიცდება, რომ მწკრივი $1+\frac{1}{2}+\frac{1}{3}+\ldots+\frac{1}{n}+\ldots$ განშლადია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზოგადი წევრის ზღვარი ნულის ტოლია, $\lim\limits_{n\to\infty}\frac{1}{n}=0$. ამ მწკრივის ჰარმონიულ მწკრივს უწოდებენ. ახლა ჩამოვაყალიბოთ მწკრივის კრებადობის რამდენიმე საკმარისი პირობა.

შედარების ნიშანები.

ვთქვათ $\sum\limits_{n=1}^{\infty}a_n$ და $\sum\limits_{n=1}^{\infty}b_n$ დადებითი მწკრივებია, ე. ი. $a_n \geq 0$, $b_n \geq 0$

1. თუ $\sum\limits_{n=1}^{\infty}b_n$ მწრივი კრებადია და ყოველი $n$–სათვის $a_n \leq b_n$, მაშინ $\sum\limits_{n=1}^{\infty}a_n$ მწრივი აგრეთვე კრებადია.
2. თუ $\sum\limits_{n=1}^{\infty}b_n$ მწკრივი განშლადია და ყოველი $n$–სთვის $a_n \geq b_n$, მაშინ $\sum\limits_{n=1}^{\infty}a_n$ მწრივიც განშლადია.
3. თუ არსებობს ზღვარი $\lim\limits_{n\to\infty}\frac{a_n}{b_n}=A>0$, მაშინ მწკრივები $\sum\limits_{n=1}^{\infty}a_n$ და $\sum\limits_{n=1}^{\infty}b_n$ ერთდროულად ორივე კრებადია ან ორივე განშლადია.

ცხადია, ეს ნიშანი რომ გამოვიყენოთ საჭიროა ვიცოდეთ ზოგიერთი კრებადი და განშლადი მწკრივები:

მაგალითად, $\sum\limits_{n=1}^{\infty}\frac{1}{n^K}$ მწკრივი კრებადია, როცა $K>1$ და განშლადია, როცა $K\leq 1$.

**დალამბერის ნიშანი.** ვთქვათ მოცემულია მწკრივი $\sum\limits_{n=1}^{\infty}a_n$ და $\lim\limits_{n\to\infty}\left|\frac{a_n+1}{b_n}\right|=q$, მაშინ მწკრივი კრებადია, როცა $q<1$ და განშლადია, როცა $q>1$.

**კოშის ნიშანი.** ვთქვათ მოცემულია მწკრივი $\sum\limits_{n=1}^{\infty}a_n$ და $\lim\limits_{n\to\infty}\sqrt[n]{a_n}=q$, მაშინ მწკრივი კრებადია, როცა $q<1$ და განშლადია, როცა $q>1$.

შევნიშნოთ, რომ დალამბერისა და კოშის ნიშნები $q=1$ შემთხევაში ვერ იძლევა პასუხს მწკრივის კრებადობის ან განშლადობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მწკრივის კრებადობის დასადგენად საჭიროა დამატებითი გამოკვლევა.

#### გამოყენებული ლიტერატურა


1. გ.ა. ონიანი "მათემატიკა ეკონომისტებისათვის" ქუთაისი 2011
2. გ.ა. ონიანი ნ.ნ. ნუცუბიძე "უმ მათემატიკის კურსი, ტ I. ქუთაისი 1996
3. გ.ა. ონიანი ნ.ნ. ნუცუბიძე ზ.გ. ნემსაძე "უმაღლესი მათემატიკის კურსი" ტ II. ქუთაისი 1997
4. გ. ონიანი "მათემატიკური ანალიზის საფუძვლები" ტ. II ქუთაისი 2008.

**ИЗУЧЕНИЕ ЧИСЛОВЫХ РЯДОВ В ТЕХНИЧЕСКИХ СПЕЦИАЛЬНОСТЯХ**

**М. Хунджуа**
Государственный университет А. Церетели

**Резюме**

В статье приведены понятия числовых рядов, суммы рядов и некоторые теоремы сходимости числовых рядов, знание которых необходимо для студентов технических специальностей.

# 6 სამართალი LAW ПРАВА



# სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და სახეები

ფრიდონ ბასილაია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: Basilaia.pridon@mail.ru

*სასამართლოს მთელი საქმიანობა წარიმართება გარკვეული პროცესუალური ფორმის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს დავის ოპერატიულად და სწორად გადაწყვეტას.*
*საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.*
*სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას წინ უსწრებს დავის განხილვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს კანონს, უნდა იყოს დასაბუთებული ფაქტობრივად და იურიდიულად. სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება ეყრდნობოდეს მიზანშეწონილობას.*
*დაუსწრებელი გადაწყვეტილების დამახასიათებელი თვისებები იგივეა,რაც სასამართლო გადაწყვეტილებისა. ისიც მართლმსაჯულების აქტია, რომელიც სამოტივაციო ნაწილის გარეშე გამოაქვს სასამართლოს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ისევე ექვემდებარება აღსრულებას, როგორც ჩვეულებრივი გადაწყვეტილება.*
*დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საბოლოო გადაწყვეტილებისათვის დადგენილ მოთხოვნებს სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. სამოტივაციო ნაწილის არარსებობა განპირობებულია ამ ინსტიტუტის თავისებურებით. დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელის გამოუცხადებლობისას ივარაუდება, რომ მან უარი თქვა სარჩელზე, ხოლო მოპასუხის გამოუცხადებლობისას ივარაუდება, რომ მან ცნო სარჩელი.*

სასამართლოს მთელი საქმიანობა წარიმართება გარკვეული პროცესუალური ფორმის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს დავის ოპერატიულად და სწორად გადაწყვეტას. „სასამართლოს დადგენილება არის სასამართლო ორგანოების ნების გამოხატვა კანონით დადგენილი ფორმით, რომელიც უშუალოდ მიმართულია პროცესში მონაწილე პირთა კანონით დაცული ინტერესების დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების სტადიაზე, კანონის შესაბამისად, სხვა საკითხთა გადასაჭრელად."[1]
„სასამართლოს დადგენილებად იწოდება სასამართლოს მიერ წერილობითი ფორმით გამოცემული აქტი, რომელშიც გადმოცემულია სასამართლოს ძალაუფლებრივი მსჯელობა მატერიალური და პროცესუალურ-სამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტის თაობაზე".[2]

სასამართლო გადაწყვეტილება არის სასამართლოს მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც საქმე წყდება არსებითად.
რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლო დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად,რუსეთის ფედერაციის სახელით გამოდის სასამართლო გადაწყვეტილების სახით. ბელორუსიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლო დადგენილების სახით მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილებას და განჩინებას.
გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს ხალხის სახელით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას წინ უსწრებს დავის განხილვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს კანონს , უნდა იყოს დასაბუთებული ფაქტობრივად და იურიდიულად. სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება ეყრდნობოდეს მიზანშეწონილობას.

ამრიგად, „სასამართლო გადაწყვეტილება -ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული აქტი, რომელიც პასუხობს კანონით წაყენებულ მოთხოვნებს და რომლითაც საქმე წყდება არსებითად.“[3]

პროცესუალურ ლიტერატურაში სასამართლო გადაწყვეტილება გამოიყენება ფართო და ვიწრო გაგებით. ზოგადი ანუ ფართო გაგებით სასამართლო მოიცავს სასამართლოს მიერ მიღებულ ყველა აქტს, როგორიცაა განაჩენი, განჩინება , ბრძანებები, სასამართლოს სხვადასხვა დავალებები, მოთხოვნები და განკარგულებები.

ვიწრო გაგებით, „სასამართლო გადაწყვეტილება არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის განხილვისას კანონის შესაბამისად მიღებული დადგენილება, რომლითაც არსებითად წყდება ეს საქმე“[4]

„სასამართლოს გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია. მისი მეშვეობით ხორციელდება დარღვეული ან სადავო უფლების დაცვა, მიუხედავად იმისა, სარჩელს დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო. თუ უფლების ან კანონიერი ინტერესის დარღვევა დადასტურდება, მაშინ სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით დაიცავს მოსარჩელის დარღვეულ უფლებას კანონით დადგენილი საშუალებებით. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში უფლება აღდგება იმ სახით, რა სახითაც ის მოსარჩელეს ეკუთვნის. თუ უფლების დარღვევა არ დადასტურდება, მაშინ სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით დაიცავს მოპასუხის ინტერესებს, რომლებიც შესაძლოა დარღვეული იყო მოსარჩელის არასწორი მოქმედებებითა და მოსაზრებებით (არასწორი მტკიცებით).“[5]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების დამახასიათებელი თვისებები იგივეა,რაც სასამართლო გადაწყვეტილებისა. ისიც მართლმსაჯულების აქტია, რომელიც სამოტივაციო ნაწილის გარეშე გამოაქვს სასამართლოს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ისევე ექვემდებარება აღსრულებას, როგორც ჩვეულებრივი გადაწყვეტილება.

სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის ანუ ხასიათის მიხედვით, პროფ. თ. ლილუაშვილი გადაწყვეტილების შემდეგ სახეებს გამოყოფს:

მიკუთვნებითი ანუ აღსრულებითი გადაწყვეტილება.

აღიარებითი ანუ ცნობის შესახებ გადაწყვეტილება.

გარდაქმნითი ანუ უფლება შემცვლელი გადაწყვეტილება.[6]

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია შემდეგი სახის გადაწყვეტილებები.

საბოლოო გადაწყვეტილება

ნაწილობრივი გადაწყვეტილება

წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება

დამატებითი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საბოლოო ანუ სრული ეწოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც თუმცა შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს შესული კანონიერ ძალაში, მაგრამ შეიცავს პასუხს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად და ამომწურავად.

ნაწილობრივი არის ისეთი გადაწყვეტილება, როდესაც ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეული და გადაწყვეტილია.ნაწილობრივია ასევე ისეთი გადაწყვეტილება, როდესც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი და გარკვეულია სარჩელი ან შეგებებული სარჩელი.

წინასწარი ანუ შუალედურია ისეთი გადაწყვეტილება,რომელიც გამოდის სარჩელის საფუძვლის მიმართ. ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა ხდება იმ შემთხვევაში, როცა დადგენილია მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი, ხოლო მოთხოვნის მოცულობის ანუ ოდენობის დადგენა საჭიროებს დამატებითი მასალების შეგროვებას, გაანგარიშებებს, მოთხოვნილი საგნების ოდენობისა და ხარისხის განსაზღვრას. წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი გადაწყვეტილება არაა სრულყოფილი და არ შეიცავს პასუხს ყველა იმ საკითხზე, რომელიც განხილვის საგანი იყო, კერძოდ:

იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;

სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება,რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს შეუძლია, როგორც მხარეთა თხოვნით,ისე თავისი ინიციატივით გადაწყვეტილების გამოცხადებიდან შვიდი დღის ვადაში, რომლის გაგრძელება არ დაიშვება. თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას მხარეები ან ერთ-ერთი მათგანი არ ესწრებოდა, მაშინ აღნიშნული ვადის დენა დაიწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან. ამ ვადის გაშვების შემდეგ მხარეს შეუძლია გაასაჩივროს ძირითადი გადაწყვეტილება,მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განხილვა იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც წარდგენილია მტკიცებულებები და მიცემულია ახსნა-განმარტება, ან გადასახდელი თანხის ოდენობასთან, გადასაცემი ქონების ან მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით, ხოლო სასამართლო ხარჯების საკითხი შეიძლება ზემდგომმა სასამართლომ თავად გადაწყვიტოს გადაწყვეტილების გაუქმების გარეშე.

პროფ. თ. ლილუაშვილი გამოყოფს აგრეთვე ალტერნატიულ და ფაკულტატურ გადაწყვეტილებებს. „ალტერნატიული გადაწყვეტილებები შეიძლება ეფუძნებოდეს ალტერნატიულ ვალდებულებებს, კერძოდ, თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი, არჩევის უფლება აქვს მოვალეს. სასამარ-

თლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ასეთ არჩევანს.

ფაკულტატურ გადაწყვეტილებად ითვლება გადაწყვეტილება ქონების ნატურით მიკუთვნების შესახებ, თუ მასში მითითებულ იქნება ამ ქონების ღირებულება,რომელიც უნდა გადახდეს მოვალეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას მას ეს ქონებააღმოაჩნდება."[7]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში ორივე მხარის მონაწილეობის, ე.ი. შეჯიბრებითობის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას უწოდებენ კონტრადიქტორულ ანუ დავის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას. ერთი მხარის მონაწილეობით მიღებულ გადაწყვეტილებას უწოდებენ უდაო გადაწყვეტილებას. ასეთ გადაწყვეტილებათა სახეებს მიეკუთვნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის საფუძველზე და გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის საფუძველზე."[8]

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის სასამართლოს მიერ რომელიმე მხარის დაუსწრებლად მიღებული დადგენილება, რომლითაც არსებითად წყდება საქმე.

გადაწყვეტილება შედგება ოთხი ნაწილისაგან: შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი. არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილებაში არაა მითითებული მისი გამოტანის ადგილი. ასეთ შემთხვევაში მისი გამოტანის ადგილი არის სასამართლოს მისამართი. რაც შეეხება სასამართლოს შემადგენლობას, იგი უნდა ემთხვეოდეს სხდომის ოქმში მითითებულ სასამართლოს შემადგენლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გარემოება იქნება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იმ მოტივით, რომ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ. ასევე გადაწყვეტილების მიღების თარიღი უნდა ემთხვეოდეს იმ დღეს, როცა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება. მოსამართლე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის შემდეგ იგი ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეებისათვის ჩასაბარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით პროფ. თ. ლილუაშვილის მოსაზრებას, რომ „მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის დათარიღება იმ რიცხვით, რომლითაც თარიღდება სხდომის დამთავრებულად გამოცხადება და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, დაუშვებელია და არანაირი აუცილებლობა ამისათვის არ არსებობს."[9]365) გადაწყვეტილების გამოტანის დღე სწორედ რომ სხდომის დამთავრების დღეა, როცა გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სააღსრულებო ფურცელში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი აღინიშნება, რადგან მასში აღნიშნული შედეგი ექვემდებარება აღსრულებას. რაც შეეხება სამოტივაციო ნაწილს, მასში გადმოცემულია ის დასაბუთება, რომლითაც სასამართლო მივიდა შესაბამის შედეგამდე. სწორედ ამიტომ მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ ერთი თვის ვადაში

სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამიტომ, სრულიად ვიზიარებთ პროფესორ შ. ქურდაძის შეხედულებას ამ საკითხზე, რომ „ სასამართლო გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში მითითებული უნდა იქნეს გადწყვეტილების გამოტანის დრო. ე.ი. მიეთითება ის დღე, როცა გადაწყვეტილება ხელმოწერილ იქნა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოტანისას. გადაწყვეტილების (რომელსაც შემდეგ მიეცა საბოლოო ფორმა) გამოტანის დღედ ითვლება მისი სარეზოლუციო ნაწილის ხელმოწერის დღე“[9]

გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით.სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი,რომელებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. აღწერილობით ნაწილის ჩამოყალიბების დროს მოსამართლემ უნდა დაადგინოს, უდავო ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე და სადავო ფაქტობრივი გარემოებები. მასალების შეგროვება უნდა განხორციელდეს არა ქრონოლოგიური, არამედ საგნობრივი კრიტერიუმების მიხედვით.

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

„სამოტივაციო ნაწილი, პირველ რიგში, მიმართულია სამართლებრივი დავის მხარეებზე. სამოტივაციო ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, მათთვის გასაგებად უნდა იყოს გადმოცემული, რაზედაც გადაწყვეტილების აგებისას მოსამართლემ ყოველთვის უნდა იფიქროს.ამდენად, ფორმულირება უნდა იყოს ნათელი და საყოველთაოდ გასაგები ენით გადმოცემული. რთული კონსტრუქციები მოკლე წინადადებებით უნდა ჩამოყალიბდეს. უცხო სიტყვების გამოყენებისაგან მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი... რთულ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებზედაც დამოკიდებულია საქმის გადაწყვეტა, მან დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს. მან უნდა გამოიყენოს ნათლად ჩამოყალიბებული იურიდიული ტერმინები და არ შეუდგეს მათ აღწერას... მოსამართლე უნდა შეეცადოს, გამოიყენოს ისეთი ფორმულირება, რომელიც გასაგები იქნება არაიურისტებისათვის ან საჭიროების შემთხვევაში ადვოკატის დახმარებით მიუთითებს იმ საფუძვლებზე, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ გამოიტანა მოცემული და არა სხვა გადაწყვეტილება. მხოლოდ ამ შემთხვევაში არსებობს შანსი, რომ გადაწყვეტილება იმ მხარემაც მიიღოს, რომელმაც პროცესი წააგო, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო წესრიგის აღდგენისათვის. საბოლოოდ, მოსამართლის გადაწყვეტილებას მხოლოდ ის მხარე დაეთანხმება, რომელსაც ესმის თუ რატომ გამოიტანა მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება მაშინაც თუ კი ფიქრობს, რომ „პრინციპში“ შესაძლებელი იყო გადაწყვეტილების მის სასარგებლოდ გამოტანა.“[11]

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უა-

რის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე. გადაწყვეტილების ადრესატები მხარეები არიან. ამიტომ, სარეზოლუციო ნაწილი ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. იგი უნდა გამომდინარეობდეს სასარჩელო მოთხოვნიდან, რადგან მას არ წარმოეშვას სიძნელეები გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაზე. რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის, ასევე შეგებებული სარჩელის არსებობისას, სარეზოლუციო ნაწილში ცალ-ცალკე უნდა მიეთითოს რომელი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და რა მოცულობით, კონკრეტულად რა მოქმედებები და ვის სასარგებლოდ უნდა შეასრულოს ისინი ვალდებულმა პირმა, რა თანხა უნდა გადაუხადოს მოსარჩელეს მოპასუხემ. სასარჩელო მოთხოვნების მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ვის და რაზე ეთქვა უარი სასამართლო გადაწყვეტილებით.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საბოლოო გადაწყვეტილებისათვის დადგენილ მოთხოვნებს სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. სამოტივაციო ნაწილის არარსებობა განპირობებულია ამ ინსტიტუტის თავისებურებით. დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელის გამოუცხადებლობისას ივარაუდება, რომ მან უარი თქვა სარჩელზე, ხოლო მოპასუხის გამოუცხადებლობისას ივარაუდება, რომ მან ცნო სარჩელი.

**ლიტერატურა**


1. წიქვაძე მ.განჩინება სამოქალაქო პროცესში და მისი გასაჩივრების წესი, თბ, 2004 წ.გვ.16
2. Треушников М.К. Гражданский Процесс 2003г.Стр.364

3.ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი მე-2 გამოცემა, თ.ბ, 2005 წ. გვ.360
4.კობახიძე ა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თ.ბ.2003 წ. გვ. 326
5. ქურდაძე შ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში თბ. 2005 წ. გვ.784
6. ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი მე-2 გამოცემა, თბ. 2005 წ. გვ. 360
7. ლილუაშვილი თ.სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ. 2005 წ. გვ. 363
8.ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ. 2005 წ. გვ. 363
9ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე- 2 გამოცემა თბ. 2005 წ. გვ.365
10. ქურდაძე შ. შ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში თბ. 2005 წ. გვ. 812-813
11. ბოელინგი ჰ. ჭანტურია ლ. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების მეთოდიკა თბ. 2003წ. გვ. 75-76


## THE NOTION AND FACE OF THE COURT DECISION


**Phridon Basilaia**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

The Court's entire activities will be carried out in accordance with a procedural form that will ensure the dispute is operational and correct.

According to the Civil Procedure Code of Georgia, the decision of the first instance court, in which case is

settled substantially, makes the court in the form of decision.
The court decision is preceded by the procedure prescribed by the Civil Procedure Code. The court decision shall be based on the law, must be grounded and legally valid. The Court's decision can not be based on the expediency.
Characteristic features of the absence decision are the same as the court decision. It is also an act of justice, which makes the court without a part of the motivation. The absence of judgment after the entry into force is subject to execution as ordinary judgment.
The contents of the absence decision shall comply with the requirements set out in the final decision without formation of the motivation part. Based on the above, the absence of the decision consists of three parts: introduction, descriptive and resolution parts. The absence of the motivation part is due to the peculiarities of this institution. The absence of a court decision shall not be inadmissible by one of the parties. Based on the principle of adversariality, the absence of the plaintiff is assumed that he has refused the claim, and in the absence of the defendant it is assumed that he has declared a claim.

# 7 სოციალური მეცნიერებანი
# SOCIAL SCIENCES
# СОЦИАЛЬНЫЕ НАУКИ






# ანტიგლობალისტთა მოძრაობა და იდეოლოგია

ავთანდილ ბუცხრიკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: avtandilbutskhrikidze@gmail.com

*ნაშრომში განხილულია ანტიგლობალისტთა მოძრაობის საკითხები. მასში შევეცადეთ გამოგვევლინა მოძრაობის თავისებურებები, იდეოლოგია და ანტიგლობალისტთა ურთიერთთანამშრომლობის პროცესი, მათი მოსაზრება და დამოკიდებულება ახალი მსოფლიო წესრიგის მიმართ. წარმოდგენილია იმ მეცნიერთა კონცეპტუალური შეხედულებები, რომელებმაც წვლილი შეიტანეს ალტერნატიული მოძრაობის თეორიული პოსტულატების შექმნაში.*

ბოლო ათწლეულებია რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გლობალიზაცია, რომელიც გულისხმობს ადამიანთა ქმედების ინტერნაციონალიზაციას, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. ანტიგლობალისტები არიან ისინი, ვინც ზემოჩამოთვლილის და ზოგადად, ე.წ. "ახალი მსოფლიო წყობის" წინააღმდეგნი არიან. დღეს, უკმაყოფილების ზრდა პოლიტიკური ელიტების მიმართ, სკეპტიციზმი ევროსაბჭოს მიმართ, პროტესტების ტალღა ეროვნულ დონეზე, წარმოადგენს ანტიგლობალისტური მოძრაობის გაგრძელებას და განვითარებას. ანტიგლობალისტები გამოდიან გლობალიზაციის განსაზღვრული პროცესების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი მათი მძაფრი კრიტიკა ტრანსნაციონალური კორპორაციების, სავაჭრო-სამთავრობო ორგანიზაციების დომინირების წინააღმდეგ გამოიხატება. ანტიგლობალისტების დემონსტრაციები, რომელიც ფიქსირდება ყოველწლიურად მუდამ დაკავშირებულია კონკრეტულ სამიტთან, საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებასთან, გადაწყვეტილებასთან და ინსტიტუტების შეხვედრასთან. პირველი, ასეთი დემონსტრაციის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ 1988 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის შეხვედრის დროს დასავლეთ ბერლინში გამართული საერთაშორისო საპროტესტო აქცია. მონაწილეები აპროტესტებდნენ მსოფლიო სავალუტო ფონდის მკაცრი ეკონომიკის პოლიტიკას, განვითარების გზაზე მყოფ ქვეყნებთან მიმართებაში; მესამე ქვეყნების წარმომადგენლები მოუწოდებდნენ დიდ ქვეყნებს ვალების ჩამოწერას, სხვანი კი, მსოფლიოში შიმშილის პრობლემის გადაწყვეტას მოითხოვდნენ. მსოფლიო ბანკის, G7 და შემდგომ G20 შეხვედრების პარარელურად ანტიგლობალისტების მნიშვნელოვანი საპროტესტო აქციები იმართება. ამიტომ ითვლება 1999 წელი ანტიგლობალიზმის-ანტიმოდიალიზმის დაბადების წლად. ფაქტიურად ეს იყო პირველი მასშტაბური დემონსტრაცია, როდესაც დაფიქსირდა პირველი ძლიერი და კოორდინირებული გამოსვლები მსოფლიო ფინანსური წყობის წინააღმდეგ.

ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოსვლა, 2017 წელს ჰამბურგში ფიქსირდება. ეს არის აქცია სახელწოდებით "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში". ანტიგლობალისტები, სახეზე მსოფლიო ლიდერების ნიღბებით ჩნდებიან დემონსტრაციაზე: დონალდ ტრამპის, ემანუელ მაკრონის, რეჯეპ ერდოღანის, ტერეზა მეის, ანგელა მერკელის და ვლადიმერ პუტინის გამოსახულებები მონაწილეთა შორისაა. პოტესტის მონაწილის ტომას ებერჰარტ-კოსტერის თქმით, ანტიგლობალისტებს ამ დემონსტარციით სურთ მსოფლიო პოლიტიკური ლიდერების პოზიციის მიმართ თავისეული, ალტერნატიული ხედვა გამოხატონ, და დააფიქსირონ მოთხოვნა- საჭიროა პოლიტიკის და სხვა კლიმატური პოლიტიკის გატარება მსოფლიოში. მისივე განცხადებით, ქვეყნებმა, რომელთაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით გლობალური დათბობის პროცესის დაჩქარებაში, ახლა მაქსიმუმი უნდა გააკეთონ მის აღსაკვეთად. ამ ჰამბურგულ სვლაში ათასობით ადამიანი მონაწილეობდა და ის გაიმართა, G20 სამიტის პარარელურად. აქციის წევრები, სადაც დიდწილად ახალგაზრდები იყვნენ წარმოდგენილნი, ასევე განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოხატეს მსოფლიო წყობასთან მიმართებაში. მონაწილენი იმ დასავლური

ცენტრების წინააღმდეგ გამოდიან, რომლებიც მასშტაბურ გადაწყვეტილებებს იღებენ.

რაც შეეხება ანტიგლობალისტთა ნატალურ კონტინენტს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზუსტად და კონკრეტულად იმის თქმა თუ სად დაიბადა ანტიგლობალიზმი, რთულია; მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 90 წლების ბოლოდან, იმართება ე.წ. მსოფლიო სოციალურ ფორუმები. ეს ფორუმები აერთიანებს ათასობით დელეგატს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ფორუმების დროსაც, ე.წ. "შეკრებები" შეიძლება გადაიზარდოს მასიურ დემონსტრაციებსა და პიკეტებში. ანტიგლობალისტები გაერთიანებულნი არიან ერთიანი საინფორმაციო ინტერნეტ რესურსებით და მიუხედავად ამისა, ამ მოძრაობის წარმომადგენელნი არაერთოპოზიციურნი არიან პოლიტიკურ პლანში. ანტიგლობალისტები წარმოადგენენ პარტიების, ჯგუფების და მემარცხენეთა მოძრაობის ფართო სპექტრს. რა სურთ ამ პარტიებს, ჯგუფებს და დელეგატებს? პირველ რიგში საზღვრების ფუნქციების და დანიშნულების შენარჩუნება. რას აპროესტებენ? მსოფლიოს ერთიან საზოგადოებაში გადაქცევის წინააღმდეგნი არიან, რომელსაც მართავს ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესების დამცველი ერთიანი ცენტრი. კულტურული მრავალსახეობა, ენების შენარჩუნება, ხალხებს შორის ნაციონალურ-კულტურული სხვაობა, განსხვავება, ქვეყნების და ერების მხრიდან საკუთარი იდენტურობის შენარჩუნება, მცირე მწარმოებლებისთვის გადაულახავი წინააღდეგობის შემქმნელი სავაჭრო სტანდარტების გაუქმება, საზღვრების ხელშეუხებლობა, ეს ის საკითხებია, რომლის მომხრენიც არიან ანტიგლობალისტები და ეს სასურველი შედეგებია, რომლებზეც მათ სურთ გასვლა. ანტიგლობალისტები, აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევენ არა ინტეგრაციის პროცესის მიმართ წინააღმდეგობის გაწევას, არამედ გლობალიზაციის ამჟამინდელი ლიბერალურ- კაპიტალისტურ მმართველი ფორმის ცვლილებას. რაც შეეხება იდეოლოგიას, ანტიგლობალიზმი იდეოლოგიურ სფეროში, საერთო მარკეტიზაციის კონცეფციასთან ერთად ეწინააღმდეგება ლიბერალიზმს. სავაჭრო დიქტატის ნეოლიბერალურ პოლიტიკას, ანტიგლობალისტების აზრით, მივყავართმრავალი ეროვნული წარმოების ინდუსტრიალიზაციის და ასევე ქვეყნების სასურსათო სუვერენიტეტის შემცირებისკენ. მსოფლმხედველურ საფუძველს ანტიგლობალური ჯგუფების უმრავლესობისთვის პოსტმოდერნისტული გილოსოფია წარმოადგენს, რომელსაც თავის მხრივ ახასიათებს ეკლექტურობა და უნარი გააერთიანოს მრავალსახოვანი სუბიექტები და მოვლენები ერთ მთლიანში. მოძრაობის შექმნის მიზეზად აქტივისტებისგან და მეცნიერებისგან სახელდება ასევე, ისეთი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის შექმნა, სადაც მოსახლეობის უმეტესობას დემოკრატიული უფლებები შეელახათ, სადაც დაკარგეს თვისუფლება და საშუალება აღარ აქვთ მიიღონ მონაწილეობა პროცესებში, თითონვე გადაწყვიტონ თუ როგორ შექმნან ნორმალური ადამიანური ცხოვრებისთვის საჭირო პირობებიაღნიშნავს ცნობილი ანტიგლობალისტი ჯოზე ბოვე თავის ნაშრომში.

ანტიგლობალისტთა აზრით, განვითარების დღევანდელი, არსებული გზა, ჩიხში მიგვიყვანს, ამიტომ, მათი შემოთავაზება არის ალტერნატიული, ჰუმანური გზა განვითარებისა; ეს სოციალურად მე-

ტად სამართლიანი, პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკურ და პირველ რიგში ადამიანურ დამოკიდებულებაში სამყარო, დიალოგის გზით უნდა შეიქმნას, ერთობლივი ძიების საფუძველზე, თეორიული კვლვის შედეგად და ქვეყნების პრაქტიკული ქმდების გათვალისწინებით. ანტიგლობალიზმი შენდება, არა როგორც ბიუროკრატიული პირამიდა, ერთიანი ცენტრით, არამედ, როგორც მოძრავი გაერთიანება ურთირთგადამკვეთი ქსელებისა, რაც გულისხმობს ასევე იმ პირებს, რომლებიც იბრძვიან გარემოს დაცვისთვის, იმიგრანტების უფლებებისთვის, სამუშაო ადგილების შენარჩუნებისთვის, ფინანსური სპეკულაციების აღკვეთისთვის, ომების დამთავრებისთვის, ადგილობრივი თვითგანვითრებისთვის და ა.შ.

ანტიგლობალისტთა ქმედების საორგანიზაციო პრიმციპებია:

- პრაქტიკული ქმედების და მობილიზაციის საფუძველზე და არა მკაცრად მოცემული პროგრამის ფორმალური წევრობის საფუძველზე გაერთიანება
- ორგანიზაციის ქსელური პრინციპი, ღიაობა, მოქნილობა და ფორმების მობილობა
- "ქსელური" თითმმართველობა
- კლასთაშორისი, კროსიდეოლოგიური ხასიათი საერთო ორიენტაციით პრაქტიკული შედეგის მიღწევაზე, მეტად თავისუფალი, ჰუმანური, სოციალურსამართლიანი სამყაროს შექმნისთვის.

ამ პრინციპის შესაქმნელად, როგორც აღვნიშნეთ გამოყენებულ იქნა შესაბამისი ინტელექტუალური ბაზა. ალტერნატიული მოძრაობის თეორიული პოსტულატი შექმნის და ცვლილების სტადიაშია(დღესაც), მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ ნობელის პრემიის ლაურეატები, ასევე ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან ი. ვალერსტაინი, ს. ამინი და ა.შ. იდეურ-თეორიული ბაზის შემუშავებით დაკავებულნი არიან სამეცნიერო ცენტრები, პროფესორები, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების ანალიტიკოსები, რომელთა მიზანია თანამედროვე სამყაროს განვითარების ალტერნატოული მოდელების ძიება. ანტიგლობალისტ იდეოლოგებს შორის არიან პ. ბურდიე, ს. ჯორჯი, ნ. კლეინი, დ. ბეკონი, ზ. შივა, კ.ლლოიდი, კ.ჰარმანი, ლ. ლარუში, ტ. კლარკი და ა.შ.

მნიშვნელოვანი როლი იდეურ-პოლიტიკური ბაზრის განვითარებისთვის ეკუთვნის ნ. ჩომსკის (ჰომსკი) და ჟ. ბოვეს. არსებითი ზეგავლენა ანტიგლობალიზმზე მოახდინეს ასევე კონკრეტულმა ნაშრომებმა:

- ცნობილი ინდოელი ეკოლოგის ვანდანა შივას ნაშრომი "ბიომეკობრეობა, ბუნების და ცოდნის ქურდობა" (**Biopiracy: ThePlunderofNatureandKnowledge. 1997**), ავტორი უპირისპირდება კოლონიალიზმს გარემოს მონოკულტურის შექმნისთის და განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნების გარემოს მტაცებლურ გამოყენების გამო.
- აღსანიშნავია, ასევე ნობელის პრემიის ლაურეატის ეკონომიკის დარგში ამარტია სენას ნაშრომი "განვითარება როგორც თავისუფლება" (**Development as Freedom. 1999**), სადაც ახალ ფულად სისტემას სთავაზობს საზოგადოებას, რომელიც გამყარდება და გაითვლება თავისუფალი დროის გათვლაზე.
- მნიშვნელოვანია ისეთი ცნობილი მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების ნაშრომები, როგორებიც გახლვთ: ზიგმუნტ ბაუმანი, იმანუელ ვალერსტაინი, ნოამ ხომსკი, სლავოა ჯიჯეკი, ანტონიო

ნეგრი.

და ბოლოს, შეაჯამებლად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ მრავალსახოვან და მრავლისმომცველ საფუძველზე ერთიანი და მდგრადი იდეოლოგია თავისთავად ვერ შეიქმნებოდა, ამიტომაც არის სახეზე მოძრაობის მომხრეთა მხრიდან არაერთპოზიციური დამოკიდებულება პრაქტიკულ ქმედებებთან დაკავშირებით და არა მხოლოდ. ანტიგლობალისტური მოძრაობის მონაწილეთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ხედვა არის განსხვავებული და ზოგჯერ პოლარული ხასიათისაც კი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ანტიგლობალისტური მოძრაობის მიმართულებაში ორი ძირითადი ტენდენცია აუცილებლად იკითხება. სწორედ ეს ტენდენციები განსაზღვრავენ მიზანს და შედეგებს; პირველი ეს არის კაპიტალიზმის მიერ შემოთავაზებული ნეოლიბერალიზმის და ვაჭრობის თავისუფლების "გადამწყვეტი" ვარიანტის უარყოფა და მეორე ეს არის არსებული სტრუქტურის ალტერნატივის ძიება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


The Guardians Aznar faces 91% opposition to war. http://www.theguardian.com/world/2003/mar-/29/spain.iraq ბოლო ნახვა 13.02.2018. 17:23

Le monde diplomatique.Enlightenment past and to come. https://mondediplo.com/2004/11/06derrida ბოლო ნახვა 09.03.2018. 20:09

"No Logo". Naomi KleinDailymotion.G20 Hamburg summit – Antiglobalists and police, 6 July 2017. https://www.dailmotion.com/video/x5ssx63, https://www.worldcat.org/title/nospace-no-choice-no -jobs-no-logo-taking-aim-at-the-brand-bullies/oclc/43271949 ბოლო ნახვა 22.03.2018. 15:02

https://worldcat.org/title/when-corporations-rule--the-world/oclc/3250818 ბოლო ნახვა 24.03.2018 19:10

Unholy trinity: The IMF "world Bank and WTO" By Richard Peet. https://books.google.ge/books?id-=HRRjDgAAQBAJ&pg=PT111&rideresc=y#v=one-page&q&f=false ბოლო ნახვა 24.03.2018 18:10

https://www.nkj.ru/archieve/article/4684/ ბოლო ნახვა 24.03.2018 19:18


## ANTIGLOBALISTS MOVEMENT AND IDEOLOGY


**Avtandil Butskhrikidze**

Akaki Tsereteli State University



**Summary**

The article considered question, items of the antiglobalism. The author reveals features of the antiglobalists movement, ideologies, interesting interaction between the anti globalists, and presents antiglobalists attitude and opinion concerning the current world order, identifies the list of scientists who have contributed to the creation of an alternating movements theoretical postulate.

# პოლიტიკური პრაგმატიზმის დამკიდრება თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში

გიგა გვენცაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: giga.gventsadze@atsu.edu.ge

პოლიტიკურ პროცესში ღირებულებებითი პრიორიტეტების განსაზღვრა და სარგებლიანობის მიღწევა პრაგმატიზმის პრინციპების გამოყენებით განისაზღვრება. პრაგმატიზმი / ბერძ. Pragma - საქმე, მოქმედება / ეს არის საქმიანი ორიენტაცია, რომელიც მიზნად ისახავს დასახული მიზნის პრაქტიკულ განხორციელებას, კონკრეტულ შედეგზე ორიენტაციას, ემპირიულ სიტუაციაში, მაქსიმალური სარგებლიანობის მიღებას. ქართველი ერის პოლიტიკურ აზროვნება და ისტორია, უმრავლეს შემთხვევაში, პოლიტიკურ პრაგმატიზმს ემყარებოდა და მეტად რთულ გეოპოლიტიკურ სივრცესა და პოლიტიკურ ცვლილებათა ეპოქებში სარგებლიანობის მაქსიმუმს აღწევდა.

პოლიტიკური პრაგმატიზმი, თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში პოლიტიკური ტრანზიციისა და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების ღირებუებითი პრიორიტატების განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა; მან უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური პროცესების მართვის კულტურულ-ინტელექტუალური მოდერნიზაცია და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა. პოლიტიკურმა პრაგმატიზმმა უნდა დაამკვიდროს:

1. პოლიტიკური ცხოვრების ისეთი მომენტი, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ მდგომარეობას და დემოკრატიის სტაბილურ ფუნქციონირებას;
2. პოლიტიკური აქტორების ისეთი მოღვაწეობითი უნარების განვითარება, რომელიც პრინციპულად გამოხატავს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში პოლიტიკურმა აქტორებმა პოლიტიკური პრაგმატიზმი სამ ძირითად პარადიგმაზე უნდა აიგოს:

1. შემეცნებითი პარადიგმა, რომელიც ითვალისწინებს პრობლემების კონცეპტუალურ შესწავლას და გარკვეული კონცეფციებისა და თეორიების ჩამოყალიბებას;
2. ემპირიულ-სიტუაციური პარადიგმა, რომელიც პროცესების ღრმა კონკრეტულ ანალიტიკურ ანალიზს მოითხოვს და ითვალისწინებს პოლიტიკის ფუნქციონალური სარგებლიანობის შესაძლებლობებს;
3. პროგნოზირებადი პარადიგმა, რომელიც ღრმა ანალიტიკური გააზრების საფუძველზე უნდა ი თვალისწინებდეს მოსალოდნელ შედეგებს და ემყარებოდეს გარკვეულ სცენარებს, მოდელებსა და კონცეფციებს.

ქართული სახელმწიფოებრივი

თვითდამკვიდრების პერიოდში პოლიტიკურ სცენაზე პოლიტიკური პრაგმატიზმის ორი ნეგატიური ტენდენცია გამოიკვეთა :

1. პოლიტიკური აქტორები, ზოგჯერ, არ ითვალისწინებენ რეალურ პოლიტიკურ სიტუაციებს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ თვითნებურად, რაც დემოკრატიის არასტაბილურობას იწვევს;
2. ინდივიდუალური და პრაქტიკული ინტერესები უფრო წინა პლანზე არის წამოწეული, ვიდრე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები, რაც იწვევს პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირებასა და ხელს უშლის სამოქალაქო ინტეგრაციის მიღწევას.

ასეთი ტენდეციები ფონზე პრაგმატიზმი ემსახურება ვიწრო კალენდარულ და პარტიულ ინტერესებს , რომელიც ეროვნულ სახელმწიფოებრივ სარგებლიანობას უპირისპირდება.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში, განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო შექმნილი “ნაციონალური მოძრაობის” დომინანტური მმართველობის პერიოდში, როდესაც ავტოკრატიის ძალაუფლება აკონტროლებდა მთელ პოლიტიკურ სივრცეს და იღებდა ავანტიურისტულ და გაუწონასწორებელ გადაწყვეტილებებს. ავანტიურიზმი, ექსტრემიზმი და რადიკალიზმი პოლიტიკური პრაგმატიზმის საწინააღმდეგო მოვლენაა, რომლის ნათელი გამოვლინება იყო ე.წ ნაციონალთა რეფორმისტულ-ექსტრემისტული მოღვაწეობა. მათ შექმნეს ფასადური და იმიტაციური დემოკრატიის ნიმუში, რომელიც შორს იყო რეალური პოლიტიკური პროცესებისაგან. ნაციონალური მოძრაობა ნეობოლშევიკური მეთოდებით მუშაობდა და პოლიტიკურ პრაგმატიზმს უპირისპირდებოდა. ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ გაითავისა ერის ლიდერის როლი, ვერ გააცნობიერა რომ ის, ბარიკადებზე შემდგარი რადიკალური მოძრაობა კი არ იყო, არამედ მმართველი პარტია, რომელსაც გამოცდები უნდა ჩაებარებინა ერის წინაშე. ქვეყანაში ვერ მოხერხდა ეროვნული კონსოლიდაციის მიღწევა.

რადიკალურად შეცვლილ სიტუაციას ვერც დღეს ვხედავთ. ქართული პოლიტიკური პრაგმატიზმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა პირადი სარგებლიანობა, ხოლო სახელმწიფოებრივი ინტერესები მეორე პლანზეა გადაწეული; საზოგადოებაში პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები ერთმანეთს განაპირობებს და ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი; სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში პრაგმატიზმი პირად ან კლანურ ეკონომიკურ კეთილდღეობაზეა აგებული პოლიტიკური ძალაუფლება ან პირიქით- ეკონომიკური ძალაუფლება გამოყენებულია პირადი მატერიალური კეთილდღეობის მისაღწევად, სტივენ ჯონსი, როდესაც აღნიშნავს, თუ რატომ ვერ მიაღწიეს ქართველმა პოლიტიკოსებმა კონსოლიდირებულ დემოკრატიას, ერთ-ერთ მარცხად პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების შერწყმას მიიჩნევს; იგი აღნიშნავს: “პოლიტიკური ძალაუფლება თვითგამდიდრების წყაროა საქართველოში, ეკონომიკური ძალაუფლება კი - პოლიტიკური პატრონაჟის წყარო.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში პრაგმატიზმი რაციონალურობის დეფიციტს განიცდის და უფრო ემოციებს ემყარება. ალბათ ერთ-ერთ მიზეზად პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე უნდა მივიჩნიოთ. თანამედროვე ქართულმა პოლიტიკურმა კულტურამ ემოციური ფო-

ნის შედეგად უფრო აგრესიული ხასიათი მიიღო, რომელიც ხელს უშლის პოლიტიკური პრაგმატიზმის დამკვიდრებასა და რაციონალური პოლიტიკური სივრცის ფორმირებას.

პოლიტიკური პრაგმატიზმის დამკვიდრებას გარკვეული დროით პოლიტიკური ილუზიების აფერხებს. პოლიტიკაში ილუზიები ყოველთვის არსებობს და რაციონალურობის თანმხლები პროცესია. ზოგჯერ, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ილუზიები პოლიტიკური პესიმიზმის დამკვიდრებას უწყობს ხელს. პოლიტიკური ელიტა ცდილობს საშინაო დასაგარეო პოლიტიკური ორიენტაიციის მხრივ საზოგადოებაში გარკვეული ილუზიური ფონი შექმნას, რომელიც დროებით სტაბილურობასა და ძალაუფლების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისითა და პოლიტიკური სარგებლიანობის დაცვის მხრივ . ასეთ ტენდეციას ძალიან დიდი ზიანი მოტანა შეუძლია. ილუზიებში მყოფი სახელმწიფო კარგავს ოპტიმიზმისა და ღირებულებითი პრიორიტეტების გააზრების უნარს.

2012 წლის საპარლამენტო, 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ქართულ პოლიტიკაში, პოლიტიკური პრაგმატიზმის ახალი ეტაპი დაიწყო. საზოგადოება და პოლიტიკური აქტორები თავის საქმიანობაში უფრო მიზანმიმართული და ოპტიმისტური გახდა სოციუმმა დაიბრუნა თვითრეალიზაციის ოპტიმისტური განწყობილება და სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, დაძლეულ იქნა შიშის სინდრომი და პოლიტიკური აპათიის ნიშნები. ხელისუფლებამ უფრო სიტუაციურად დაიწყო პოლიტიკური პროცესების მართვა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, მთავრობამ თავი დაანება წინა ადმინისტრაციისათვის ჩვეულ, საკუთარი თვის დამამშვიდებელ რიტორიკას . მისი სამეტყველო ენა გაცილებით ნაკლებად "იდეოლოგიური" ტონით ხასიათდება: ყველაფერი ამის გათვალისწინებით, იმედია პოლიტიკური აქტორები უფრო აქტიურად და მიზანმიმართულად გარდაქმნიან პოლიტიკურ პოლიტიკურ სინამდვილეს და პოლიტიკურ სიტუაციის შეცვლასთან ერთად მოახდენენ პოლიტიკური პროცსების ტრანზიციას.

**ლიტერატურა**


1. გ. აბესაძე, ა.ტუკვაძე - "პოლიტიკური აქტორთა ტიპები თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სცენაზე". ჟურნ. მეცნიერება და ცხოვრება N2 თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი . თბ, 2011წ.
2. ი.კვესელავა - საქართველოს სახელმწიფოებრივი - პოლიტიკური პარადიგმები და დილემები " უნიოვერსალი" 2014
3. მ.მაცაბერიძე - ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი. სოლიალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბ, 2016
4. ო.მელქაძე - სამოქალაქო საზოგადოება: ფორმირების პრობლემები. "ენა და კულტურა" თბ.2014
5. ა. სილაგაძე, ვ. გურული - იდეალიზმი და პრაგმატიზმი ქართულ პოლიტიკაში შრომების კრებული: " ისტორიულ პოლიტიკური ნარკვევები". გამომცემლობა "არტანუჯი" თბ. 2011


**УКОРЕНЕНИЕ ПОЛИИИЧЕСКОГО ПРАГМАТИЗМА В СОВРЕМЕННОМ ГРУЗИНСКОМ ПОЛИТИЧЕСКОМ ПРОСТРАНСТВЕ**

**Гвенцадзе Гига**
Государственный университет Акакия Церетели

**Резюме**

В политмческом процессе определяется учёт резюме  приоритетов ценностей и полезности достижений с применением прагматических принципов.

Прагматизм – это деловаяо ориентация, которая ставит целью практическое осуществлние поставленнои цели, ориентацию на  конкретный  результат, получение  максимальной пользы. В эмпирическои ситуации. История и политическое сознание грузинскойнации во многих случаях основываются на политическом прагматизме и в весма сложном геополитическом пространстве и в эпоху политических предряг достигали максимума полезного результата.

# სამოქალაქო საზოგადოება

გიგა გვენცაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: giga.gventsadze@atsu.edu.ge

*სამოქალაქო საზოგადოება მოქალაქეთა ერთობაა, რომლის საქმიანობა თავისუფალიასახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევისაგან, რეგლამენტაციისგან, იგი შედგება სხვადასხვა ინტერესებით (ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, სამოქალაქო) გაერთიანებული ჯგუფებისგან, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს, ხელისუფლების ქმედებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა სრულფასოვანი ჩართვის, მონაწილეობის ხელშეწყობის გზით.*

სამოქალაქო საზოგადოებას და ხელისუფლებას ერთმანეთისაგან განსხვავებული მიზნები და ფუნქციები აქვთ, რაც განაპირობებს მათ ურთიერთგამიჯვნას, მაგრამ სახელმწიფოს, ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის მისი ინსტიტუტების საქმიანობაზე სასაზოგადოებრივი ზედამხედველობა და კონტროლი.

სამოქალაქო საზოგადოების მიზანია დააკმაყოფილოს მოქალაქეთა ინდივიდუალური მოთხოვნილებანი და დაიცვას მათი უფლებები. მას არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელი და არც მართლმსაჯულებითი ფუნქცია არ გააჩნია. იგი თავის საქმიანობაში ემყარება მოქალაქეთა თანხმობისა და ნებაყოფლობის პრინციპს. მას ქმნიან მოქალაქეები ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად თავისუფალი არჩევნისა და კერძო ინიციატივის საფუძველზე. მაგრამ დემოკრატიულ და ტოტალიტარულ საზოგადოებას შორის არსებითი განსხვავებაა სამოქალაქო საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაში. პირველი ქმნის მისი წარმოქმნისა და ნორმალური ფუნქციობის წანამძღვრებს, მაშინ როდესაც მეორე არა თუ არ ქმნის ასეთ პირობებს, არამედ კრძალავს და ებრძვის მას.

ტერიტორიული ხელისუფლების ანტა-

გონიზმი სამოქალაქო საზოგადოებისადმი კანონზომიერია, რადგან იგი მისი არსიდან გამომდინარეობს, ტოტალიტარიზმი გულისხმობს ხელისუფლების აბსოლიტურ და განუსაზღვრელ ძალაუფლებას. იგი უშვებს მხოლოდ სამთავრობო, მაგრამ კატეგორიულად კრძალავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამის გამო იგი ვერ დაუსვებს მოქალაქეთა მიერ ნებაყოფლობით წარმოქმნილ გაერთიანებებს.

სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი. საქმე ისაა, რომ ხელისუფლება ხშირად ამეტებს თავის უფლებამოსილებას, რის შედეგადაც ადგილი აქვს ძალაუფლების ბოროტად გამოყეენებას. იგი სრულად იყენებს თავის უფლებებს, მაგრამ ნაკლებად ზრუნავს ვალდებულებათა შესრულებაზე. მას ავიწყდება, რომ უფლებებთან ერთად ვალდებულებებიც აქვს. მაგალითად: ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები, მაგრამ ხშირად თვითონ არღვევენ მათ; მოვალეა, რომ დაიცვას კანონიერება, მაგრამ თვითონ სჩადის უკანონობას; მოვალეა, რომ ებრძოლოს კორუფციას, მაგრამ მის სტრუქტურებში ბევრი მექრთამეა მოკალათებული.

სამოქალაქო საზოგადოება ვერ ჩაერევა ხელისუფლების საქმიანობაში, იგი ვერ იკისრებს ხელისუფლების ფუნქციონირებას. მას არ აქვს უფლება გამოსცეს კანონები, ცხოვრებაში გაატაროს ისინი და აღასრულოს მართლმსაჯულება, ეს ხელისუფლების პრეროგატივაა. სამოქალაქო საზოგადოების არც ერთ ორგანიზაციას არ აქვს უფლება დააპატიმროს მექრთამე და დააკავოს იგი. მისი დაპატიმრება პოლიციის, ხოლო გასამართლება - სასამართლოს საქმეა. მაგრამ სამოქალაქო საზოგადოებას უფლება აქვს ამხილოს მექრთამეობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოამზეუროს და სააშკარაოზე გამოიტანოს მასთან დაკავშირებული ფაქტები. მას შეუძლია ანალოგიურად მოიქცეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევების მიმართაც: ამხილოს ადამიანის უფლებების და კანონიერების დარღვევის , პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების ხელყოფის ფაქტები.

მართალია, სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებას ვერ შეცვლის, მის ფუნქციებს ვერ შეასრულებს, მაგრამ - უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი, რათა ზემოქმედება მოახდინოს მის საქმიანობაზე. მხილება და კრიტიკა, რეკომენდაციები და კონსტრუქციული თანამშრომლობა, საპროტესტო განცხადებანი და მშვიდობიანი მანიფესტაციები - აი, ის ძირითადი საშუალებანი, რომელთა გამოყენებით სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია აიძულოს ხელისუფლება დაიცვას სოციალური სამართლიანობა და ადამიანის უფლებები. ეს საშუალებებიც ქვეყანაში იდეალურ მდგომარეობას ვერ დაამყარებენ, მაგრამ სახელმწიფოს , როგორც იძულების მექნიზმს, სამართლიანად შეზღუდავენ მაინც.

სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და ფუნქციობის ნორმალურ პირობებს ქმნის დემოკრატიული ხელისუფლება. აქ იგი ლეგიტიმურია, რადგან, კანონი არა თუ კრძალავს, არამედ იცავს მას. მართალია, ხელისუფლება არ ქმნის და არერევა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში, მაგრამ იგი აყალიბებს იმ საკანონმდებლო ბაზას, რომლის ჩარჩოებში ისინი მოქმედებენ დამოუკიდებლად და თავისუფლად. ხელისუფლება არ მართავს, მაგრამ არეგულირებს სამო-

ქალაქო საზოგადოების საქმიანობას. ამ რეგულირების საფუძველია კონსტიტუცია და მისი შესატყვისი სხვა საკანონმდებლო აქტები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე მახასიათებელი, რომლის გარეშეც მისი მისი ფუნქციონირება შეუძლებელია:

1. *ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობა ანუ ავტონომიურობა.* სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ინტერესთა ჯგუფების ერთობლიობას, რომლების იქმნება მოქალაქეთა ინიციატივით, ხელისუფლების ჩარევის გარეშე. მათი ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია საინიციატივო ჯგუფის წევრთა მიერ მათი საქმიანობის მიზნების, ამოცანების და შედეგის მიყწევის გზების მკაფიო ხედვა.

2. *შეთანხმება და ხელშეკრულება.* მოქალაქეთა გაერთიანებას საფუძვლად უდევს მათი საერთო ინტერესები,რომელიც ფორმირდება, როგორც ამ გაერტიანების წესდება. ნებისმიერი სამოქალაქო ერთობისათვის აუცილებელი პირობაა საერთო ინტერესზე/მიზანზე შეთანხმება და ამ შეთანხმების ,როგორც წევრთა შორის დადებული ხელშეკრულების, გაფორმება.

3. *თვითმმართველობა.* სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირება ემყარება თვითმმართველობის პრინციპს. მათ საქმიანობას განსაზღვრავს არა ხელისუფლების მიერ მიღებული და დადგენილი კანონები, არამედ მათივე შემუშავებული წესდება და პროგრამა.

4. *ცნობიერება და მიზანდასახულობა.* მოქალაქეთა გაერთიანება ხდება არა სტიქიურად, შეუგნებლად, არამედ ცნობიერად და მიზანდასახულად. ეს არის ინდივიდების მიერ თავისუფალი არჩევანის შედეგი, რომელიც ხორციელდება ნებაყოფ;ობით და არა იძულებით.

5. *დეიდეოლოგიზაცია.* სამოქალაქო ერთობებს არ აქვთ იდეოლოგია,რომელიც მათი კონსოლიდაციის საფუძველია. ფირიქით, სამოქალაქო საზოგადოება გამოხატავსინდივიდების კერძო და არა საერთო ინტერესებს. კერძო ინტერესების მოქცევა ერთი იდეოლოგიის ქვეშ პრინციპულად შეუძლებელია.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები ნათლად ავლენენ სამოქალაქო საზოგადოების თავისებურებას. იგი მოიცავს ინდივიდების კერძო ინტერესების სფეროს და ემყარება პიროვნების თავისუფლებასა და კერძო ინიციატივას.

**ლიტერატურა:**

1. ტალახაძე ნ. ქალდანი თ. გაბრიელაშვილი გ. გიგაური გ. ნაცვლიშვილი ნ . “სამოქალაქო განათლება” თბ: 2008
2. სამოქალაქო განათლების ეროვნული სტანდარტები.
3. სამოქალაქო საზოგადოების პროგრესის ეროვნული შეფასება (NAEP)
4. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება (CTC) თბილისი 2015
5. საჯარო დისკუსია თემაზე “სამოქალაქო საზოგადოების არჩევანი” 13.05.2008, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, თბ: 2008
6. ზეროუსი, რუხაძე, კვაჭაძე, გაფრინდაშვილი, იზორია - “დემოკრატია და მოქალაქეობა” თბ: 2011

**CIVIL SOCIETY**

**Giga Gventsadze**

Akaki Tsereteli State University

**Summary**

Civil society is the unity of citizens, whose activity tavisupaliasakhelmtsipos from direct interference by the regulations, it will consist of a variety of interests (economic, cultural, social, civil) of groups that control the action of the government, human rights and freedoms, state and Azogadoebriv life of full inclusion, participation in the promotion.

# გლობალიაცია და საქართველოს გეოეკონომიკური თავისებურებები

თამაზ გოგბერაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tamaz.gogberashvili@atsu.edu.ge

*თანამედროვე გლობალიზაცია განსაკუთრებით მოითხოვს ერი-სახელმწიფოების ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაზრდას; ამ თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია სწორად განვსაზღვროთ და შევაფასოთ საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი და კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში. კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ცალკეული კომპანიების, ეკონომიკური დარგების, რეგიონების, ერების ან მეზობელი ქვეყნების ჯგუფის უნარს, მიაღწიონ შემოსავლების მიღებისა და დასაქმების მაღალ დონეს საერთაშორისო კონკურენციის პირობებში.*

XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს ამერიკელი ექსპერტის ე. ლიუტტვაკის მიერ შემოღებული იქნა ტერმინი “გეოეკონომიკა”, რომელიც სწავლობს მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭირო პოლიტიკასა და სტრატეგიას. მისი აზრით, გეოპოლიტი-

კურ კონფლიქტებს ცვლის გეოეკონომიკური კონფლიქტები. გეოეკონომიკა სწავლობს ქვეყნის სტრატეგიის ანალიზისა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის განვითარების ინსტრუმეტების შემუშავების საკითხებს. გეოეკონომიკა იკვლევს კავშირს ძალაუფლებასა და სივრცეს შორის.

თანამედროვე პირობებში, როცა ინტენსიურად იზრდება კონკურენციის მნიშვნელობა, საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ტრადიციული მეთოდების გამოყენება წრმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად არასაკმარისია. ცალკეული ქვეყნის მიდგომა კონკურენტუნარიანობის მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს ესა თუ ის ქვეყანა ახალ პირობებში რისკის შემცველობის და არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების დროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად შეესაბამება მიღებული ეკონომიკური შედეგი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პოტენციალს.

საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის; ასეთი მდებარეობა დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მას დაიკავოს საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის ადეკვატური ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში; ამ თვალსაზრისით, გადაიდგა კიდეც გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები; ამის დასტურია თუნდაც ის, რომ განხორციელდა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროგრამა, საფუძველი ჩაეყარა ტრანსკავკასიური ნავთობსადენის - "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა" და "ბაქო-თბილისი-არზრუმის" გაზსადენის ამოქმედებას, "ზისეკის" პროექტის (შავი ზღვის ქვეყების ეკონომიკური თანამშრომლობა) განხორციელებას, თანამედროვე "აბრეშუმის გზის" - ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასა და ა.შ. ეს პროექტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებასა და გარე სამყაროსთან საქართველოს ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებას.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აქტუალურია შემდეგი კითხვები: რამდენად უპასუხებს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გლობალიაციის გამოწვევას? არის თუ არა ქვეყანა მზად, აითვისოს გლობალიზაციის პოზიტიური შედეგები და სწრაფად მოახდინოს ეკონომიკის მოდერნიზაცია ისე, როგორც ეს გააკეთა ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის "აზიურმა ვეფხვებმა", რომლებსაც მხოლოდ 10-15 წელი დასჭირდათ, რომ დაეძლიათ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სტატუსი მიეღოთ.

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, საქართველო ჯერ კიდევ რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. უპირველეს ყოვლისა, ვერ მოხერხდა ეკონომიკური ინტერესების შეჯერება, წონასწორობის დამყარება საზოგადოებრივ ურთიერთობებში და სოციალური სოლიდარობის მიღწევა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, საზოგადოებრივი სექტორის განვითარება და ა.შ.

საქართველოში მართლაც არის დიდი მიღწევები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ყოველივე ეს ხორციელდება ძალისმიერი მეთოდებით და მისი სოცია-

ლურ-ეკონომიკური პირობები აღმოფხვრილი არ არის;

პრივატიზაცია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებელი პირობაა და მბრძანებლურ-ადმიისტრაციული მმართველობის აღმოფხვრის აუცილებელი ფაქტორია, მაგრამ ამ მხრივ საქართველოში სრული ქაოსური სიტუაცია ჩამოყალიბდა.უპირველესად აქ ვგულისხმობთ იმას რომ საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა სრულყოფილი სახით საკუთრების პლურალიზმი, რაც კერძო და სახელმწიფოებრივი საკუთრების დაბალანსებული სისტემის შექმნის საფუძველია.

პრივატიზაციის არასწორად განხორციელების შედეგია, რომ ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. მისი არ არსებობა ქვეყაში ქმნის არასტაბილურ ეკონომიკურ სიტუაციას. განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი, რომელსაც თავისი შემოქმედებითი მუშაობისათვის პირობები გამოეცალა და უმუშევართა ფენაში მოხვდა. ერის ინტელექტუალურ ნაწილს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მოდერნიზაციის პროცესში, ამიტომ, მასზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა უნდა იყოს; თუმცა, მისი მნიშვნელოვანი და პროფესიონალურად გამორჩეული ნაწილი "წითელ ინტელიგენციად" იქნა აღიარებული, რომლებიც თავიანთი იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსით ახალ, პოსტრევოლუციურ გარდაქმნებს აღარ გამოადგებოდნენ. ასეთმა სიტუაციამ ქვეყანაში გამოიწვია უკმაყოფილების გრძნობა და საზოგადოება დაიყო დაპირისპირებულ ფენებად. ვფიქრობთ, თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს ინტელექტუალური კადრების ნაკლებობდა ამ სფეროში; ეკონომიკას დააკლდა ისეთი კადრები, რომლებიც თავისი პროფესიონალობითა და ცოდნის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. ე.ი. შეიქმნა ეკონომიკურ სვრცეში ინტელექტუალური და კომპეტენტური კადრების დეფიციტი, რომელმაც კრიზისულ სიტუაციამდე მიგვიყვანა.

გლობალიზაცია, ზოგჯერ, ჩამორჩენილ, სუსტად განვითარებულ ქვეყანას აქცევს უპირატესად მომხმარებლად, ხშირად დაბალი ხარისხის და ფალსიფიცირებული იმპორტირებული ნაწარმის გამსაღებლად; სამწუხაროდ, ეს საფრთხე არც საქართველოს ასცდა. საქართველოში თანდათანობით იზრდება იმპორტირებული დაბალ ხარისხიანი ნაწარმის შემოდინება, რომელიც შეეხება როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ამასთანავე, ქვეყანა გახდა იმპორტზე დამოკიდებული, რამაც საქართველოში ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების მოშლა გამოიწვია.

საქართველომ ვერ შეძლო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა გამხდარიყო. ამჟამად სამომხმარებლო ბაზრის უდიდესი ნაწილი იმპორტირებულ საქონელს აქვს დაკავებული. საქართველოში მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. ამასთან, დასაქმებულთა ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. მიაჩნიათ, რომ თუ სოფლად მოქალაქეს აქვს მიწა, ის უკვე დასაქმებულად ითვლება. ამჟამად, სოფლად ძალზე მძიმე ვითარება შეიქმნა, რაც განპირობებულია აგრარულ სექტორში ტექნოლოგიური პირობების გაუარესებით და არარენტაბელური შრომის ნაყოფიერებით. ასეთ პროცესს მოჰყვა დემოგრაფიული ვითარების გაუარესება სოფლად. ჯანსაღმა მუშა-

ხელმა მიატოვა სოფელი და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქალაქს მიაშურა. ქართული მწარმოებელი სოფელი თანდათანობით გადაიქცა მომხმარებლად; ასე რომ იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სარგებლობს არა მხოლოდ ქალაქი, არამედ სოფელიც.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესმა ქართულ სახელმწიფოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები შეუქმნა; განსაკუთრებით გაიზარდა უმუშევართა დენადობა უცხოეთის ქვეყნებში სამუშაოს საძიებლად; თითქმის აქტიური მოსახლეობის მესამედი უცხოეთშია წასული სამუშაოდ. უმუშევართა რიგების ზრდის ახალი ტალღის მთავარი მიზეზი არახელსაყრელი ბიზნესგარემო და ამ ფონზე უცხოური კომპანიების მიერ საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე უარის თქმა გახდა.

გლობალიზაციის პირობებში ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა უნდა მომხდარიყო საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებისა და სამართლიანობის პრინციპებზე აგებული სივრცის ჩამოყალიბების საფუძველი. სამწუხაროდ, სქართველოს ეკონომიკურ ორიენტაციაზე დღესდღეობით საუბარიც კი ზედმეტია. ასეთმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ცალკეულ სამეურნეო დარგებს შორის დისბალანსმა გამოიწვია ეკონომიკის მოშლა. ნაკლებად იქნა გათვალისწინებული ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები.

თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დონე ახალ აზროვნებას მოითხოვს, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ქვეყნის მართვასა და სახელმწიფო რეგულირებაში. გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის წინსვლა ეროვნული ფასეულობების დაცვის და თვითმყოფადობის შენარჩუნების გარეშე შეუძლებელია. სამწუხაროდ, დღეს საქართველო არ არის მზად გამოიყენოს თავისი პოტენციური შესაძლებლობები და წინ აღუდგეს გლობალიზაციის ნეგატიურ ტედენციებს, წინააღმდეგობა გაუწიოს კოსმოპოლიტურ გლობალიზაციას, რომელიც ქართულ ეკონომიკურ განვითრებას აფერხებს. უცხოურ მოდელზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს ტრადიციულ პირობებსა და სამეურნეო თვითმყოფადობას, ტრანსფორმაციულ პროცესებს გარდაუვალ ჩიხს უმზადებს.

საქართველოში ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის კანონზომიერი პროცესი თავიდანვე წარიმართა რიგი თავისებურებებით, რომელზედაც გარკვეული გავლენა მოახდინა წარსულის მემკვიდრეობამ, რაც გამოხატული იყო ავტორიტარულ და ბიუროკრატიულ სახელმწიფო ადმინისტრირებაში, სამართლიანი ეკონომიკური ქცევის დეფიციტში. საქართველო ცდილობს გადავიდეს დასავლური ინსტიტუციური მოწყობის მოდელზე. ინსტიტუციური სივრცეების შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას. თანამედროვე პირობებში აშშ და ევროკავშირი ცდილობენ თავიანთი ინსტიტუციური მოდელი დანერგონ, თუმცა გასათვალისწინებელია ეროვული მენტალობა და ტრადიციები. ახალი დემოკრატიის, ანუ ტრანზიტული ქვეყნების ეკონომიკური სივრცის ინსტიტუტიზაცია გლობალურ გამოცდილებასა და ეროვნულ თავისებურებათა შეთავსებაზე უნდა იყოს აგებული. ინსტიტუციუ-

რი განვითარება ეს არის დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური საქმიანობის წესების, ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უნიკალური რესურსების მფლობელია, მდიდარია მისი ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, საინტერესო და მიმზიდველია ბუნებრივი რესურსებით, უნივერსალურია სასარგებლო წიაღისეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მრავალფეროვნებით, ჩვენს ქვეყანაში მაინც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ აუცილებელია სწორად და რაციონალურად გავიაზროთ ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები და სამეურნეო თანაცხოვრების ტრადიციული ფორმები. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მიუთითებს, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქათველოა, მიწას, სასარგებლო წიაღისეულს, წყალს და ტყეს, ასევე მუზეუმებსა და არქივებს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ და მათი გაყიდვა-გასხვისება არ შეიძლება. საჭიროა, სახელმწიფოს მიერ შემუშავებულმა კანონებმა დაიცვას ერის ეს საუნჯე.[1]

სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული განათლების სფეროში, სადაც განხორციელდა ყოველმხრივ გაუაზრებელი რეფორმები. თანამედროვე ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-პროფესიონალური დონე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე გლობალიზაციის პროცესს. განათლების სფეროში არ იყო გათვალისწინებული ეროვნული ტრადიციები და მემკვიდრეობა; მკაცრად იქნა გაკრიტიკებული წარსულის პოზიტიური გამოცდილება და მიღწევები, რომელმაც უკან დასწია ერის სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავს, რომ “განათლების რეფორმისას დაშვებულმა შეცდომებმა შედეგად მოგვიტანა ის,რომ მოზარდები ცოდნის შეძენის სურვილს უკვე ნაკლებად ამჟღავნებენ, სამეცნიერო მოღვაწეობა კი არაპრესტიჟულად მიაჩნიათ, რადგან ხედავენ, რომ ინტელიგენციას სათნადო დაფასება არ აქვს. ეს მდგომრეობა უნდა გამოსწორდეს. მეცნიერების განვითარების გარეშე ქვეყანას არ აქვს მომავალი, რადგან ერის სულიერებისა და განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ძალას სწორედ ისინი წარმოადგენენ”.[2]

გლობალიზაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანა ეკონომიკური განვითარების რომელ მოდელს ან ორიენტაციას აირჩევს. მოდერნიზაციის პროცესში აუცილებელია სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენება და მის ეროვნულ პირობებთან რაციონალური შეხამება. თუმცა, ასეთ სიტუაციაში გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც ეროვნული განვითრების ტრადიციული ფორმები არ უნდა დაირღვეს.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ხელისუფლებამ უცილებლად უნდა გააძლიეროს მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით: პირველი, გაითვალისწინოს ეკონომიკის მოდერნიზაციის სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდი-

---

[1] იხ.სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე.თბ.,2011,გვ.15

[2] იხ.სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე.თბ,.2010, გვ 6ხ

ლება და შეიმუშაოს თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, გეოეკონომიკური პოლიტიკა; მეორე, უზრუნველყოს ქართული ეროვნული თვითმყოფადი სამეურნეო თანაცხოვრების წესებისა და ტრადიციების დაცვა, მეტი პირობა შეუქმნას სპეციფიკური დარგების განვითარებას. ეს ორი პარადიგმა ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში და შეინარჩუნებს სახელმწიფოებრივ თავისთავადობასა და თვითმყოფადი ეკონომიკური განვითარების პოტენციალს.

### ლიტერატურა


1. http://lashakhutsishvili32-3.blogspot.com-/p/blog-page_4390.html
2. http://modusgio.blogspot.com/2008/01/blog-post.html
3. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია, ა.აბრალავა. რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა თბ., 2009
4. რ. ასათიანი. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბ., 2014
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე. თბ., 2011
6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე. თბ., 2010
7. დ.კვარაცხელია. გლობალიზაცია და ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნული სისტემა. თბ., 2012


## GLOBALIZATION AND GEO-ECONOMIC PECULIARITIES OF GEORGIA


**Tamaz Gogberasshvili**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

**Modern globalization is especially needed to increase economic competitiveness of the nation-states; From this point of view, it is very important to correctly evaluate and evaluate Georgia's economic potential and competitiveness in the world's economic space. Competitiveness determines the ability of individual companies, economic sectors, regions, nations, or neighboring countries to achieve high levels of income and employment in the international competition.**

# პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელები პოლიტიკის თეორიაში

თამაზ გოგბერაშვილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: tamaz.gogberashvili@atsu.edu.ge

პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს ადამიანის მიერ ღირებულებათა ათვისებისა და პოლიტიკური ქცევისა და მოღვაწეობის შესაბამისი მოდელების ძიების უწყვეტ პროცესს. პოლიტიკური კულტურის სტრუქტურა და გარკვეული ტიპი პოლიტიკურ სისტემაში არსებული ღირებულებების, ნორმების, ტრადიციების, სტერეოტიპებისა და ქცევის წესების საფუძველზე ფორმირდება. ადამიანი გარკვეულ პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეში ირჩევს მისთვის მისაღებ ღირებულებით ორიენტაციებს, თანდათანობით ითვისებს საჭირო სტატუსის ქცევებსა და პოლიტიკაში მონაწილეობის არსებულ დომინანტურ კულტურულ ნორმებსა და სტანდარტებს. პოლიტიკური სოციალიზაცია უზრუნველყოფს პოლიტიკურ სივრცეში მოქალაქეთა აქტიური პოლიტიკური პოზიციის ფორმირებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური სოციალიზაციის თავისებურებეების გააზრება პოლიტიკური ტრანზაციის პროცესში.

სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება ადამიანის სოციალური თვისებები და ნიშნები, მისი ცხოვრებისეული ორიენტაციები და შეფასებები, კონკრეტულ-ინდივიდუალური საქმიანობის უნარი და თავისებურებები; მისი საშუალებით ადამიანში კონკრეტიზირდება სოციალური თანაცხოვრების შედეგად გამომუშავებული და მიღებული ღირებულებები, ნორმები და წესები. სოციალიზაციის შინაარსი, თავისებურებები და მიმდინარეობა ინდივიდისა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ურთიერთზემოქმედების პროცესით განისაზღვრება.

სოციალიზაცია ორმხრივ აქტიურ პროცესს გულისხმობს:

1. სოციალური სისტემა, თავისი კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე, კანონზომიერ და მიზანმიმართულ ზემოქმედებას ახდენს ინდივიდსა და სოციუმზე;
2. ინდივიდი, თავისი მოთხოვნილებებისა და ინტერესების შესაბამისად, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს სოციალურ სისტემაზე. სოციალიზაციაში რეალიზდება ადამიანის სოციალური შესაძლებლობები და ცხოვრებისეული საქმიანობის პოტენციალი და უნარი;

იგი არის სოციალური გარემოსა და ინდივიდის ინტეგრაციის პროცესი, რომლის შედეგადაც ადამიანი ითვისებს მისთვის მისაღებ ობიექტურად აუცილებელ ღირებულებებსა და ნორმებს. სოციალიზაციის პროცესში სოციუმის მიერ ხანგრძლივი ისტორიული და კილტურული გამოცდილების შედეგად შემუშავებულ ნორმებს შორის გარკვეულ არჩევანს აკეთებს.[3] სოციალიზაცია ეწოდება პროცესს , რომლითაც ადამიანი იძულებული ხდება იფიქროს და იმოქმედოს საზოგადოებ-

---

[3] კ.ქეცბაია.სოციოლოგიის შესავალი (ლექციები)"უნივერსალი", თბ;2011, გვ.142

რივად მისაღები ფრომით.[4] ფრანგი პოლიტოლოგი ჟან-მარი დენკენი აღნიშნავს, რომ "სოციალიზაცია არის პროცესი, რომელიც ძალიან ადრე აიძულებს ადამიანებს მიიღონ აზროვნებისა და ქცევის ფორმა, რომელიც გაბატონებული სტერეოტიპის შესაბამისია".[5]

პოლიტიკური სოციალიზაციის იდეა წარმოიშვა XX-ის 50-იან წლებში "სოციალიზაციის" ცნების ანალოგიურად. ტერმინი "სოციალიზაცია" სამეცნიერო მიმოქცევაშ შემოიტანა ამერიკელმა სოციოლოგმა ფ. გიდდინგსმა (1855-1931) და ფრანგმა სოციოლოგებმა XIXს-ის ბოლოს, "ადამიანის სოციალური ბუნების განვითარების პროცესის"აღსანიშნავად.[1] სოცილიზაცია გაგებული იყო ახალი თაობის მიერ კონკრეტულ საზოგადოებაში გავრცელებული ცოდნის, მრწამსის, ნორმებისა და განწყობილებების დაუფლების პროცესად. ცალკეული სამეცნიერო სკოლები და მიმართულებები ძირითადად ყურადღებას აქცევდნენ სოციალიზაციის სხვადასხვა მექანიზმების თავისებურებებს, რომელმაც გავლენა იქონია სოციალიზაციის შინაარსის, როგორც პროცესის გაგებაზე, მის ლოგიკაზე.

სოციალიზაციის პროცესის რამდენიმე მოდელი გამოიყოფა:

1. სოციალიზაცია გაგებულია, როგორც პირადი კონტროლის განვითარების პროცესი. იგი შემუშავებულია ზ. ფროიდის მიერ და დაკავშირებულია კლასიკური ფსიქოანალიზის იდეებთან. ამ თეორიის თანახმად, ინდივიდი ყოველთვის იმყოფება საზოგადოებასთან კონფლიქტურ ვითარებაში, რადგანაც მისი ბიოლოგიური(სექსუალური) ინსტიქტები და ლტოლვები დათრგუნულია. სოციალიზაციის პროცესი გაგებულია ამ დამანგრეველი ინსტიქტებისა და ლტოლვების აღსაკვეთად. ამასთანავე, საზოგადოების მხრიდან კონტროლი იწვევს ინდივიდის არსებობაში დაძაბულობასა და დისკომფორტს, რომელიც კარგავს თვითგამოსახვის თავისუფლებას.
2. სოციალიზაცია წარმოდგენილია ადამიანთაშორისო თანამშრომლობის პროცესად, რომლის შედეგადაც ადამიანები აყალიბებენ თავის საკუთარ სოციალურ "მე"-ს. მოცემული მოდელი აგებულია ჩ.ჰ. კულისა და ჯ.ჰ. მიდის სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიაზე, რომლის თანხმადაც ინდივიდის სოციალური თავისთავადობის განმსაზღვრელია გარემოსმომცველი სამყარო. ამ მიდგომის მომხრეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ადამიანზე ჯგუფური ზემოქმედების ეფექტს, რომლის შედეგადაც ოფიციალური განწყობილებები ყალიბდება; სხვა ადამიანთა აზრებს, მიმიკებსა და გრძნობებს გარკვეული ზემოქმედება აქვს ინდივიდის სოციალურობის ფორმირებაში. ე.ი. ადამიანის " სოციალური მე" ურთიერთმოქმედების (ინტერაქციის) შედეგად ყალიბდება., და ნებაყოფლობით ემორჩილება სისტემის მიზნებსა და განწყობილებებს.
3. დასავლეთის სოციალურ მეცნიერებებში წამყვანი ადგილი უჭირავს ტ. პარსონსის სოციალიზაციის მოდელს, რომელიც სტრუქტურულ-ფუნქციონალიზმს ემყარება. ამ თეორიის თანახ-

---

[4] თომას მ. მაგშტატი, გავიგოთ პოლიტიკა , ილიას სახელბის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ;2010, გვე.313-314

[5] ჟან-მარი დენკენი. პოლიტიკური მეცნიერება.თბ; 2007, გვ.109

მად, ინდივიდი სხვა ადამიანებზე ურთიერთზემოქმედებას ახდენს გარკვეული როლის საფუძველზე, რომელსაც ის ასრულებს საზოგადოებრივ სისტემაში. ე.ი. სოციალიზაციის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდის ფუნქციონალურ თვითდამკვიდრებას სოციალურ სივრცეში.

4. სოციალიზაცია გაგებულია ტრადიციული ბიჰევიორიალიზმის საფუძველზე, რომლის შედეგადაც ინდივიდი ქცევით პროცესში მოდიფიცირდება და იღებს გარკვეულ სოციალურ სახეს. ადამიანები სოციალიზაციის პროვესში ირჩევენ საქმიანობის გარკვეულ მოდელს და მისი საშუალებით გამოავლენენ თავიანთ სოციალურ თავისთავადობას სოციუმში. ე.ი. სოციალიზაციის პროცესი გაგებულია ქცევის მოდელების ერთობლიობად, რომლის შედეგადაც ინდივიდი გარკვეულ ღირებულებებს, ნორმებსა და განწყობილებებს შეიძენს.

სოციალურ მეცნიერებებში სოციალიზაციის ორ ტენდენციას გამოყოფენ: ტიპიზაციასა და ინდივიდუალიზაციას. ტიპიზაციაში გულისხმობენ ქცევის სტერეოტიპებისა და მოდელების ფორმირებას; ინდივიდუალიზაციაში კი საკუთარი, განსაკუთრებული თვისებებისა და სტილის გამოვლენას, ღირებულებების, ნორმების, მორალის, გემოვნებისა და საქმიანობის საკუთარ არჩევანს, რომლითაც პერსონალიზდება გარკვეულ სივრცეში.

ამრიგად, სოციალიზაცია გულისხმობს კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული სოციალური ღირებულებების, ნორმების, ორიენტაციების, შეფასებების, კულტურისა და ცოდნის გარკვეული მარაგის, ადამიანის სოციალური თნაცხოვრების შედეგად მიღებული წესებისა და სტანდარტების შეთვისების პროცესს, რომელიც ინდივიდის სოციალურ თავისთავადობასა და საქმიანობაში გამოვლინდება.

XX ს-ის 50-60_იან წლებში ცნება ”სოციალიზაცია’’ მყარად დამკვიდრდა პოლიტიკურ მეცნიერებებში; იგი ფართოდ იყო გამოყენებული გ. ალმონდის, ს. ვერბას, დ. ისტონის, პ. შარანის, გ. ჰეიმენის, რ. ზიგელის შრომებში. 1959 წელს პირველად “პოლიტიკური სოციალიზაცია’’ შემოიტანა ამერიკელმა მეცნიერმა გ. ჰეიმენმა. 1969 წელს გამოვიდა ე. დაუსონოსა და კ. პრიუიტის წიგნი ” პოლიტიკური სოციალიზაცია”.

ადამიანის პოლიტიკურ-კულტურული ტიპის ფორმირებაში განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელს, რომელიც პოლიტიკური ღირებულებების, ნორმების, ქცევის წესებისა და სტერეოტიპების ათვისების პროცესს გულისხმობს. პოლიტიკური სოციალიზაცია ადამიანის პოლიტიკური პოზიციისა და სტერეოტიპების ათვისების პროცესს გულისხმობს. პოლიტიკური სოციალიზაცია ადამიანის პოლიტიკური პოზიციისა და პერსონალიზაციის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია; იგი ადამიანს აყალიბებს, როგორც გარკვეული პოლიტიკური ღირებულებებისა და სტატუსის მქონე არსებად. თომას მ. მადშტადტი აღნიშნავს, რომ “პოლიტიკური სოციალიზაცია არის პროცესი, რომელშიც მოქალაქეს უყალიბდება ღირებულებები, შეხედულებები და აზრები, რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ პოლიტიკურ სისტემას დაეხმარონ. ყოველი თვითკმარი საზოგადოება მოქალაქეს ჩაუნერგავს გარ-

კვეულ ძირითად ღირებულებებს.”[6]

თანამედროვე პოლიტიკური სოციალიზაციის კონცეფციაში ორი ვერსია გამოიყოფა:

პირველი ვერსია, რომელიც ემყარება “მორჩილებით” მოდელს და შემუშავებული იყო ბიჰევიორალისტების ჩ. მერიამის, ჰ. ლასუელისა და პოლიტიკაში სისტემური მიდგომის ფუძემდებლების დ.ოსტინის, ჯ. დენისის, გ. ალმონდის, ს. ვერბას მიერ. მათ პოლიტიკური სოციალიზაცია მიაჩნდათ პოლიტიკური სისტემის ინდივიდზე ზემოქმედების პროცესად, რომლის მიზანი იყო პოზიტიური განწყობილებების ფორმირება სისტემაზე. ინდივიდი მიჩნეულია პოლიტიკური სისტემის ელემენტად, რომლითაც მიღწეული უნდა იყოს პოლიტიკური სივრცის მდგრადობა. ამ ვერსიით, პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელი გულისხმობს ინდივიდის მიერ ღირებულებებისა და სტანდარტების ნებაყოფლობითი მიღების პროცესს, რომელსაც მას სთავაზობს პოლიტიკური სისტემა მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

მეორე ვერსია, რომელიც პოლიტიკურ სოციალიზაციას მიიჩნევს ხელისუფლებისა და ინდივიდის ურთიერთზემოქმედების პროცესად, შემუშავებული იყო კონფლიქტის, პლურალიზმისა და ჰეგემონიის თეორიების საფუძველზე. მისი ფუძემდებლები იყვნენ მ. ვებერი, გ. მოსკა, რ. დალი, ვ. ჰარტი, რ. მილიბენდი, რ. დაუსონი, და სხვა. მათი აზრით, ინდივიდი არ წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის პასიურ მონაწილეს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს თვისი აქტიურობა გამოავლინოს ეთნოსის, კლასის, პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერით.

პოლიტიკური სოციალიზაციის ბიჰევიორალისტული მოდელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პოლიტიკურ ქცევებს, აკეთებდა მათ ემპირიულ ანალიზს და ეყრდნობოდა რაოდენობრივ ფაქტორებს. ფაქტების იტერპრეტაციით ხდებოდა ინდივიდისა და სოციუმის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის განსაზღვრა, რაც პრაგმატული მოსაზრებებით იყო გამართლებული.

ბიჰევიორალისტული თეორიის ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში მოდიფიცირება მოახდინა დ. ისტონმა, კ. დოიჩმა და გ. ალმონდმა, რომლებმაც პოლიტიკურ კვლევაში საფუძველი ჩაუყარეს პოსტბიჰევიორალისტურ მეთოდს. ეს მეთოდი დაედო საფუძლად პოლიტიკური სოციალიზაციის თეორიას, რომელიც სამი ფორმით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. პოლიტიკური სოციალიზაციის თეორიული მოდელების შემუშავება ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის საფუძველზე; 2. პოლიტიკური სოციალიზაციის ცალკეული პრობლემების კონცეპტუალიზაცია და ძირითდად კატეგორიათა განსაზღვრა; 3. პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეში მათი განხორციელების მოდელებისა და პროექტების ძიება.

ამდენად პოლიტიკური სოციალიზაცია არის გარკვეულ პოლიტიკურ სივრცეში ადამიანთა პოლიტიკური თანაცხოვრების შედეგად შექმნილი ღირებულებების, ნორმების, ნიმუშების, წესების, სტერეოტიპების პოლიტიკური აზროვნების ფორმირებისა და მიმართულებების, ორიენტაციების, შეფასებებისა და საერთო პოლიტიკური კულტურის არსებული მარაგის ათვისების პროცესი. იგი ძირითადად გუ-

---

[6] თომას მ. მაგშტატი გავიგოთ პოლიტიკა , ილიას სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ;2010, გვ.314

ლისხმობს: 1. ინდივიდისა და სოციუმის პოლიტიკური ადაპტაციისა და კულტურიზაციის პროცესს და 2. ინდივიდისა და სოციუმის შინაგანი თავისთავადობის გამოვლენასა და პოლიტიკურ სივრცეში თვითრეალიზაციას.

დასავლეთის პოლიტიკის მეცნიერებებში პოლიტიკური ღირებულებებისა და ნორმების ხასიათის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის პოლიტიკური ქცევის ნიმუშებს, გამოყოფენ პოლიტიკური სოციალიზაციის რამდენიმე მოდელს:

1. ჰარმონიული მოდელი ემყარება პოლიტიკურ-კულტურული სივრცის ერთგვაროვნობას, დემოკრატიულ ტრადიციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდისა და ხელისუფლების დიალოგსა და კონსესუალურ თანამშრომლობას. ასეთ ნიმუშად შეიძლება დასახელდეს ბრიტანულ- ამერიკული კულტურის ტიპი, სადაც ხელისუფლება და ინდივიდი მხარს უჭერენ საყოველთაოდ აღიარებულ იდეალებს, ნორმებსა და ღირებულებებს.
2. პლურალისტური მოდელი, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში; პოლიტიკური სოციალიზაციის ეს მოდელი უზრუნველყოფს საერთო პოლიტიკურ-კულტურულ წესრიგსა და პოლიტიკური სისტემის მდგრად ფუნქციონირებას. პოლიტიკური პროცესების მართისა და ინდივიდის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი მიმდინარეობს რაციონალური დიალოგისა და კონსესუალური თანამშრომლობის საფუძველზე. ამ ქვეყნებში პოლიტიკური კონსენსუსი ემყარება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს, რომელმაც შექმნა სტაბილური პოლიტიკურ-კულტურული სივრცე.
3. კონფლიქტური მოდელი, რომელიც გავრცელებულია არადასავლური ცივილიზაციის ზოგიერთ ქვეყანაში და ძირითადად ემყარება კლანის, გვარის, ტომისა და სხვა კუთხური ელემენტებით გამოხატული ჯგუფების ინტერესებსა და ღირებულებებს. ასეთ საზოგადოებაში მაღალია პოლიტიკური ძალადობის ხარისხი და გამოირჩევა კულტურული არაერთგვაროვნებით. ინდივიდი ითვისებს პოლიტიკური ცხოვრების კუთხურ ღირებულებებსა და ნორმებს, რომელიც პოლიტიკურ სივრცეში სუბკულტურათა მკვეთრი დაპირისპირებით გამოვლინა
4. ჰეგემონისტური მოდელი, რომელიც დამახასიათებელია დახურული პოლიტიკური სისტემებისათვის; იგი ინდივიდის პოლიტიკურ სოციალიზაციას ძირითადად განსაზღვრავს მისი კუთვნილებით რომელიმე კლასის, რელიგიის ან იდეოლოგიური კონცეფციისადმი. პოლიტიკური სოციალიზაციის ასეთი ტიპი ძირითადად დამახასიათებელია ავტორიტარული და ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმებისათვის. იგი ქმნის პოლიტიკური ინდივიდის ისეთ მოდელს, რომლისთვისაც შემოქმედებითი და დამოუკიდებელი არჩევანი შეუძლებელია და პოლიტიკური რეჟიმის მორჩილ არსებას წარმოადგენს.
5. გარდამავალი საზოგადოების მოდელი, რომელიც დამახასიათებელია ტრანზიტული პოლიტიკური სისტემებისათვის და ხასიათდება რაციონალური და ირაციონალური პროცესე-

ბით. დემოკრატიული ტრანზიცია რთული პროცესია და მიზნად ისახავს ლიბერალური პოლიტიკური ღირებულებებისა და ნორმების დამკვიდრებას, რომელმაც ინდივიდი უნდა გადააქციოს პოლიტიკური სივრცის აქტიურ მონაწილედ. ასეთი მოდელი ძირითადად გავრცელებულია პოსტკომუნისტურ და სხვა პოსტტოტალიტარულ ქვეყნებში, რომლებმაც პოლიტიკური თანაცხოვრების დემოკრატიული წესრიგი აირჩიეს. თუმცა, ასეთ პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეში გამორიცხული არ არის პოლიტიკური ძალებისა და სუბკულტურული ტიპების გარკვეულ სიტუაციებში მკვეთრი დაპირისპირება.

პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე მოდელი კომპონენტთა თავისებურებებითა და წინააღმდეგობებითი პროცესებით ხასიათდება. პოლიტიკურ კულტურასა და სოციალიზაციაში ადამიანისა და სოციუმის პოლიტიკური ინტერესების განმსაზღვრელია ღირებულებითი ორიენტაციები, რომელსაც პირველად ყურადღება მიაქცია ტ. პარსონსმა; იგი მასში გულისხმობდა იმ იდეალებს, მიმართულებებსა და ცხოვრებისეულ მიზნებს, რომლისთვისაც მოღვაწეობს ადამიანი; მისი აზრით "ღირებულება" მიშნავს, რაღაც სასურველს ან ღირსეულს რომლისკენაც ისწრაფვის ადამიანი.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. არისტოტელე. პოლიტიკა, ნაწ. I და II. თბ.,1995-1996
2. გ. აბესაძე. პოლიტიკური სოციალიზაცია. "მერიდიანი", თბ., 1996
3. გ. ალმონდი, ს.ვერბა. სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა. ჟურნ. "სოლიდარობა", №2, 2009.
4. ჰ. ბერკი, ისტორია და სოციალური თეორია. "ლოგოს პრესი", თბ.,2002
5. ჟ. მ. დენკენი, პოლიტიკური მეცნიერება, თბ.,2007
6. თომას მ. მაგშტადტი. გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტტუტები და პრობლემები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010


## POLITICAL SOCIALIZATION MODELS IN POLICY THEORY


**Tamaz Gogberashvili**
Akaki Tsereteli State Univerity


**Summary**


Political culture is an uninterrupted process of searching for the manual value and the appropriate model of political behavior and activity. The structure of political culture and certain type of form is based on the values, norms, traditions, stereotypes and behavior of the political system. In a certain political-cultural space, the person chooses the orientation to be admissible, and gradually develops the status quo and the dominant cultural norms and standards of participation in politics. Political socialization ensures formation of active political position of citizens in political space. Particularly important is the understanding of the peculiarities of political socialization in the process of political transactions.

# ცივილიზაციის, ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ცნებების თანაფარდობა თანამედროვე სამყაროში

ირმა გოგოლიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: Irma-gogolidze@mail.ru

*ცივილიზაციის, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ცნებების აქტუალურობამ ახალი პოლიტიკური რეალობები შექმნა: ცივი ომის დრიონდელი ბიპოლარული სამყარო ეტაპობრივად გადავიდა მულტიპოლარულ და მულტიცივილიზაციურ განზომილებაში, სადაც კონფლიქტების წყარო ცივილიზაციური კუთვნილებაა და არა იდეოლოგია ან ეკონომიკა. დაპირისპირების აგრესიული, შეურიგებელი სახე გამოიხატა ისლამურ ფინდამენტალიზმში, საერთაშორისო ტერორიზმსა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. გლობალური პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციაა ინტეგრაციაც, რომელიც სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესია პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნის მიზნით და რეგიონალიზმის საფუძველზე ვითარდება. ინტეგრაციული პროცესები, როგორც მსოფლიო პოლიტიკის განმავითარებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, უწყვეტი განვითარების რეჟიმშია. ასევე შეუჩერებლად ვითარდება გლობალიზაცია, რომელიც შეუქ-*

*ცევადი პროცესია. პოლიტიკაში გლობალიზაცია საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაზრდით, საერთაშორისო პოლიტიკის ახალი, გლობალური პრობლემების გაჩენით და მათი ერთობლივი გადაწყვეტით გამოიხატა.*

ტერმინს ცივილიზაცია სამი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: პირველი მნიშვნელობით ცივილიზაცია არის ცხოვრების წესი, რომელიც დიდ სივრცეზეა გაnფენილი, აქვს დამოუკიდებელი ღირებულებათა სისტემა და სამყაროს სურათი, ასევე სპეციფიკური ეკონომიკა და ბატონობის ფორმა. ამგვარი გაგებით შეიძლება ვისაუბროთ ქრისტიანულ ცივილიზაციაზე, დასავლურ და სხვა ცივილიზაციებზე. ამ მნიშვნელობით იგი ხშირად კულტურის ცნებების სინონიმია. მეორე მნიშვნელობით ცივილიზაციის ცნება კულტურის ცნებასთან არის დაპირისპირებული. ამგვარი გაგება დამახასიათებელია მხოლოდ გერმანული აზროვნების სკოლისათვის. გერმანულ სამეცნიერო ტრადიციაში ცივილიზაცია გულისხმობს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წმინდა ინსტრუმენტულ გამოყენებას. ცივილიზაცია არსებულ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ორგანიზაციებს მხოლოდ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ცხოვრების პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას უქვემდებარებს, რასაც შედეგად ადამიანზე ტექნიკის ბატონობა მოაქვს. კულტურა რელიგიას, ხელოვნებასა და მორალს ანიჭებს უპირატესობას და მათ ექვემდებარება, მაშინ როცა ცივილიზაციაში მეცნიერებასა და ტექნიკასთან ერთად, ეკონომიკის, პოლიტიკისა და სამართლის პრიმატია აღიარებული [ლექსიკონი-ცნობარი: 332]. მესამე მნიშვნელობით ცივილიზაცია ნიშნავს ლტოლვისა და აფექტის რეგულირების პროცესს, ძალადობისა და ძალადობისათვის მზაობის შემცირება-მოხსნას და ურთიერთობის ფორმებისა და ზნე-ჩვეულებების დახვეწას. ამგვარი გაგებით ცნება ცივილიზაცია უპირისპირდება ველურობასა და ბარბაროსობას და გამოყენებულია ფრანგულ და ინგლისურ განმანათლებლობაში [ლექსიკონი-ცნობარი: 333].

თანამედროვე სამყაროში ცივილიზაციის ცნება კიდევ უფრო აქტუალური გახდა: ამერიკელმა პოლიტოლოგმა სემუელ ჰანთინგთონმა ნაშრომში „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა" ცივილიზაცია მსოფლიო პოლიტიკის აქტუალურ თემად განსაზღვრა. ჰანთინგთონის აზრით, ცივი ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა პირობები ახალი და უკიდურესად საშიში კონფლიქტების წარმოშობისათვის, რაც დაკავშირებულია კულტურულ-რელიგიურ და ეთნიკურ განსხვავებებთან. ბიპოლარული სამყარო ეტაპობრივად გადავიდა მულტიპოლარულ და მულტიცივილიზაციურ განზომილებაში, სადაც კონფლიქტების წყარო ცივილიზაციური კუთვნილებაა და არა იდეოლოგია ან ეკონომიკა. ვესტფალიის ზავიდან (1648 წელი) საფრანგეთის რევოლუციამდე (1789 წელი) დასავლური ცივილიზაციის შიგნით მიმდინარეობდა დინასტიური ომები. საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა ბრძოლა ერებს შორის ნაციონალიზმის ნიადაგზე, ხოლო რუსეთის რევოლუციის (1917 წელი) შემდეგ დაიწყო იდეოლოგიათა ჭიდილი: კომუნიზმს, ფაშიზმსა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის. ცივი ომის დასრულება გახდა ახალი ეპოქის დასაწყისი: კონფლიქტი გამოვიდა დასავლური ფაზიდან და გარდაიქმნა დასავლურ და არადასავლურ ფაზად [სანიკიძე; კიღურაძე: 202]. ცივილიზაციის განმსაზღვრელ მთავარ

ელემენტად ჰანთინგთონი რელიგიას მიიჩნევს, ხაზს უსვამს სამხრეთიდან მომავალ აღმავალ საფრთხეს, რომელიც უკავშირდება მუსლიმურ და კონფუციანურ ცივილიზაციებს და უპირისპირდება „უცხო", „მტრულ" დასავლეთს [Huntington: 3]. კონცეფციის თანახმად, XXI საუკუნე მსოფლიო ცივილიზაციებს შორის დაპირისპირების ეპოქა იქნება და ძირითადი წინააღმდეგობა იმ სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის არის მოსალოდნელი, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას მიეკუთვნებიან (დასავლური, სლავურ-მართლმადიდებლური, ისლამური, კონფუციანური, იაპონური, ინდური, ლათინურ ამერიკული და, შესაძლოა აფრიკული). რამდენადაც, დასავლურ ცივილიზაციას აქვს უნივერსალობის პრეტენზია და იბრძვის დასავლური ფასეულობების მთელ მსოფლიოში დამკვიდრებისათვის, წინააღმდეგობამ აგრესიული, შეურიგებელი სახე მიიღო. დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ისლამის მთავარ მოკავშირედ ჰანთინგთონს კონფუციური ცივილიზაცია მიაჩნია, თუმცა არ გამორიცხავს ისლამურ-კონფუციურ ბლოკში სხვა ცივილიზაციების გაერთიანებასაც, რაც საბოლოოდ იღებს სახეს: „ყველანი დასავლეთის წინააღმდეგ". დესტაბილიზაციის რეგიონებად აგრეთვე მოგვევლინებიან ტერიტორიები, სადაც ცივილიზაციათა შორის საზღვრები გაივლის. გარკვეულ სირთულეებს შექმნიან ე. წ. „გახლეჩილი" ქვეყნები, სახელმწიფოები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ ცივილიზაციას, ხოლო პოლიტიკური ორიენტაცია სხვა ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოებსა და მათ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე აქვთ აღებული, მაგალითად თურქეთი, საბერძნეთი, მექსიკა [დავითაშვილი: 244-245]. დღეისათვის ამ დაპირისპირების აგრესიული და შეურიგებელი სახე გამოიხატა ისლამურ ფინდამენტალიზმში, საერთაშორისო ტერორიზმსა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. აქვე, ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ: აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, ერთის მხრივ, ისლამი, როგორც რელიგია, რომელიც აერთიანებს 50-ზე მეტ ქვეყანას, ისლამურ ერთობებს 120-მდე სახელმწიფოში და, მეორეს მხრივ, ისლამური ექსტრემიზმი, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ-კონფესიური ხასიათის აგრესიულ მოძრაობას.

გლობალური პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციას წარმოადგენს ინტეგრაციაც, რომელიც სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესია პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნის მიზნით. ინტეგრაცია ნებაყოფლობითი პროცესია და კონსენსუს ემყარება. მას ახასიათებს ისეთი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და პოლიტიკური პროცესების არსებობა, რომლებიც თავისი ხასიათით უფრო ზეეროვნულია, ვიდრე სახელმწიფოთაშორისი [ლექსიკონი-ცნობარი: 112]. ინტეგრაციის პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია უსაფრთხოების, თანამეგობრობისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არსებობა. ტრადიციული (ევროპული) სქემით ინტეგრაციის საფეხურებია საბაჟო კავშირის, საერთო ბაზრის, საერთო პოლიტიკური სტრუქტურებისა და იდენტურობის შექმნა. ინტეგრაცია რეგიონალიზმის საფუძველზე ვითარდება. ინტეგრაციული პროცესების განმსაზღვრელ კრიტერიუმებად მშვიდობის შენარჩუნება, უსაფრთხოება, კეთილდღეობის ზრდა, ეკონომიკური თანამშრომლობა მიიჩნევა. ინტეგრაციული პროცესები, რო-

გორც მსოფლიო პოლიტიკის განმავითარებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, უწყვეტი განვითარების რეჟიმშია. ინტეგრაციული პროცესები ქმნიან თანამედროვე სამყაროში ახალ პოლიტიკურ რეალობას.

გლობალიზაცია ადამიანთა ერთობებს შორის სოციალურ ურთიერთობებში სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის შემცირების პროცესია, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს და საზოგადოებებისა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას გამოხატავს [ლექსიკონი-ცნობარი: 49]. გლობალიზაციის თეორიის მომხრეები თვლიან, რომ ცივი ომის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოების მნიშვნელობის შემცირება საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საერთაშორისო პოლიტიკის სხვა არასახელმწიფოებრივი მოქმედი პირების სასარგებლოდ. გლობალიზაცია ოთხი პარალელური პროცესისაგან შედგება: ინტერნაციონალიზაცია - სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა; ლიბერალიზაცია - სახელმწიფოს როლის შემცირება, ვესტერნიზაცია - მთელ მსოფლიოში დასავლური ფასეულობებისა და კულტურის გავრცელება და აღიარება; დეტერიტორიალიზაცია - სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის კლება [ლექსიკონი-ცნობარი: 50]. პოლიტიკაში გლობალიზაცია საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაზრდით, საერთაშორისო პოლიტიკის ახალი, გლობალური პრობლემების გაჩენით და მათი ერთობლივი გადაწყვეტით გამოიხატება. თანამედროვე სამყაროში უამრავი გლობალური პრობლემაა: ბირთვული ომის თავიდან აცილებისა და საყოველთაო მშვიდობის დამყარება, საერთაშორისო ურთიერთობების მშვიდობიანად განვითარება, საერთაშორისო ტერორიზმი, სოციალური განვითარება და ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის, შიმშილის, უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა, ეკოლოგიური პრობლემები, დემოგრაფიული პრობლემები და სხვა. ნებისმიერი გლობალური პრობლემა პირდაპირ ან ირიბად ეხება ყველა სახელმწიფოს. შესაბამისად, მათი გადაჭრა საერთოა მთელი მსოფლიოსათვის, ყველა რეგიონისა და ქვეყნისათვის და ცალკეული სახელმწიფოები უძლურნი არიან ინდივიდუალურად ებრძოლონ ამ პრობლემებს. გლობალიზაცია ჰომოგენიზაციას გულისხმობს. ფასები, საქონელი, ხელფასები, სიმდიდრე და საპროცენტო და მოგების განაკვეთები მთელ მსოფლიოში თანაბრდება. გლობალიზაცია, ცვლილებებისაკენ მიმართული მძლავრი მოძრაობების მსგავსად, წინააღმდეგობას აწყდება: ამერიკაში მას რელიგიური ფუნდამენტალისტები უპირისპირდებიან, ამერიკის გარეთ -ანტიამერიკანისტები, ყველგან -კულტურული ტრადიციონალისტები [არტი; ჯერვისი: 557]. მიუხედავად წინააღმდეგობისა გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია და შეუჩერებლად მიიწევს წინ. ცნობილია, რომ მსოფლიოს დიდი ნაწილი განზე დარჩა: აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა, რუსეთი, მთელი ახლო აღმოსავლეთი ისრაელის გამოკლებით და აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ზოგიერთი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონი სხვადასხვა ხარისხით არის ჩაბმული გლობალურ ეკონომიკაში, სახელდობრ ჩრდილოეთ იტალია გლობალური ეკონომიკის ნაწილია, ხოლო სამხრეთი იტალია -არა [არტი, ჯერვისი: 557]. ცხადია, მსოფლიო ერთიანი არ არის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის

უთანასწორობა კვლავაც დიდია. თავად, გლობალიზაციის ზონაში მდებარე ქვეყნებს შორისაც მნიშვნელოვანი და მდგრადი განსხვავებები არსებობს, მაგალითად, ფინანსური ბაზრის ტენდენციები, რომლებიც საგრძნობლად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მართებულად შენიშნავს არტი და ჯერვისი წიგნში ,,საერთასორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები": ,,გლობალიზაცია მომავლის პროგნოზია და არა დღევანდელი მდგომარეობა"[არტი, ჯერვისი: 558]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაცია ყოველთვის არ ნიშნავს ამერიკანიზაციას. მართალია, გლობალიზაცია იხრება ლიბერალური სიკეთეებისაკენ, როგორიცაა ანგარიშვალდებულება, გამჭირვალობა, ინდივიდუალური უფლებები, რომლებსაც ხშირად ამერიკულად მიიჩნევენ, თუმცა აშშ-ს მონოპოლია ლიბერალურ სიკეთეებზე არა აქვს. გლობალიზაცია არც პოპულარული კულტურის აუცილებელ ამერიკანიზაციას ნიშნავს. გლობალიზაციის არსი არჩევნის გამდიდრებაა და ეს საკუთარი შეხედულებების შესაბამისად ცხოვრების არჩევანსაც გულისხმობს. ამის კარგი მაგალითია ,,ბრუდერჰოფი" - ,,ამიშების" მსგავსი რელიგიური ჯგუფი. ,,ბრუდერჰოფის" წევრები თანამედროვე სამყაროს მრავალ ასპექტს უარყოფენ, არ აქვთ რადიო და ტელევიზორი, გმობენ ფემინიზმს, ჰომოსექსუალიზმს. მათ ჩამოაყალიბეს სათამაშოების მწარმოებელი წარმატებული გლობალური ბიზნესი, სადაც იაპონური მმართველობის მეთოდებისა და ამერიკული ტექნოლოგიების კომბინაციაა გამოყენებული. შედეგად, მათ საკმარისი ფული აქვთ იმისათვის, რომ ცხოვრების საკუთარ სტილზე უარის თქმის გარეშეც კარგად გრძნობდნენ თავს [არტი, ჯერვისი: 367].

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2004
2. სანიკიძე გ., კიღურაძე ნ., თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2001.
3. Huntington S. The Clash of Civilizations and Remaking of the World order. N.Y., 1996.
4. დავითაშვილი, ზ., საქართველო და დასავლეთი - ,,გახლეჩილი ქვეყნის" სინდრომი, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 11, თბ., 2004.
5. არტი რ., ჯერვისი რ., საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, თბ., 2011.


## ROLE OF CIVILIZATION, INTEGRATION AND GLOBALIZATION CONCEPTS IN THE MODERN WORLD


**Irma Gogolidze**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

The relevance of civilization, globalization and integration in the modern world has created new political realities: the cold war has gradually moved into a multipolar and multicultural dimension where the source of conflicts is a civilization, not ideology or economics. The aggressive, irreconcilable face of the conflict was expressed in Islamic fundamentalism, international terrorism and political processes taking place in the Middle East. The modern tendency of global politics is integration, which is a process of unification of states with the aim of creating a political community and developing on the basis of regionalism. Integrative processes as one of the major factors influencing world policy are the continuous development mode. Globalization is also an unreasonable process that is an irreversible process. Globalization in politics has increased the role of international organizations with the emergence of new and global problems of international politics and their joint solution, as individual states are indefinitely fighting these problems.

# მხატვრული რეალობის საკითხისათვის (ზოგიერთი ასპექტი)

რობერტ გოლეთიანი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: Robert.goletiani@atsu.edu.ge

ანა ბუაჩიძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*მხატვრული რეალობა ესთეტიკურ თეორიაში აღიქმება როგორც საშუალება რეალობის მხატვრული წვდომისა. ხელოვნება თავის საგანს შესაძლებლის მეშვეობით ითვისებს, როგორც არიშვილი წერდა «მართალია, ჩემში ყველაფერი არის ადამიანური, მაგრამ იმათგან ვირჩევ ჩემთვის საუკეთესოს მისგან ვქმნი შესაძლებელ ადამიანს, ჩემსგან გამოყოფილს და მას რეალიზებას ვუწოდებ. ყურადღებაა მისაპყრობი წარმოდგენის გაგებისა და მისი მექანიზმისადმი, ანუ პროდუქტიული წარმოდგენისადმი, რაც უზრუნველყოფს ხელოვნებას, მის შესაძლებელ თვისებას.*

*მხატვრული რეალობა ესთეტიკურ თეორიაში აღიქმება, როგორც საშუალება რეალობის მხატვრული წვდომისა, რომელიც არ გამოყოფს სუბიექტსა და ობიექტს როგორც მოქმედს. ის პირიქით შესაძლებლობას იძლევა სპეციფიური მხატვრულ–ესთეტიკური საშუალებით წარმოაჩინოს რეალობის არსი. მწერალი ეიდელმენი მიგვანიშნებს; ანბანური ჭეშმარიტებაა ხელოვნებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ათასგზის გამეორებული, რომ ახალი რეალობის შესაქმნელად ახალი მხატვრული საშუალებაა საჭირო, რომლითაც შეიძლება მიღწეულ იქნას ჭეშმარიტებაო.*

თავის საგანს ხელოვნება შესაძლებლის მეშვეობით ითვისებს, რაც საჭიროა სინამდვილეა – ის კი თავის მხრივ სიმრავლეა. არიშვილი წერდა: « მართალია, ჩემში ყველაფერი არის ადამიანური, მაგრამ იმათგან ვირჩევ ჩემთვის საუკეთესოს, მისგან ვქმნი შესაძლებელ ადამიანს, ჩემსგან გამოყოფილს და მას რეალიზმს ვუწოდებ» (ლიტ. გაზეტა 1984 წ. N30) აღნიშნული სარტრისათვის პარადოქსულადაა მიჩნეული. იგი დასძენდა: ყველა მწერალი მატყუარაა, იგი იტყვილება იმისათვის, რომ თქვას სიმართლე იმ ფაქტისა, რომლის შესახებაც ის სტყუის მას დავიწყება არ უწერია, იგი იმიტომ სტყუის რომ ლაპარაკობს თითქოსდა არსებულ ფაქტზე, რომელიც საერთოდ არ არსებობდაო.

საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ერნესტ ხემინგუეი და მას «გამოგონების» მისეულ თეორიას უწოდებს, რომელიც მორალურ თავისებურებებს უნდა ეყრდნობოდეს. ბუნინი კი გვიმტკიცებდა , რომ სიმართლის წერა მე არ შემეძლო, ეს იყო უსირცხვილობა , რომ ვყოფილიყავი ასეთი ინტიმური. მისსავე ნაწარმოებში «მზის დარტყმა» იგი მიგვანიშნებდა: ის რაც მთავარია ეს არის, რომ აღნიშნული და სხვაც ჩვენს მიერ არის მოგონებული, არა ჩემთან ერთად და ჩემი ნათესავებისაგან, ნაცნობებისაგან, მეგობრებისაგან, ამის მსგავსი არაფერი არ შეიძლება იყოსო.

საყურადღებოდ მსჯელობს ლიტველი მწერალი გრუშასი თეატრის, როგორც ფიგურათა მუზეუმის თაობაზე. ამასთან მიგვანიშნებს, რომ ხელოვნებაში დიდია ფანტაზიის როლი, რომელიც ბადებს აღმოჩენას, სტიმულს იძლევა ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის. ადამიანისათვის სწორედ ფანტაზიაა გამონაგონი ხელოვნებაში, რომელიც რეალობის ასახვის სა-

შუალებაა, თუმცა შეუძლებელია შევქმნათ მხატვრული ტიპი, რომელშიდაც სრულფასოვნად იხსნება პიროვნების აზრი.

დიდი როლი და ადგილი განეკუთვნება აზროვნებას, რომლის მეშვეობით მხატვრულობა და აზროვნება ხორციელდება სულიერი მოღვაწეობის პრაქტიკაში. სწორედ რომ აზროვნება იძლევა შესაძლებლობას ფანტაზიისაგან გამოვყოთ სინამდვილე, ყოველივეს მივყავართ აბსურდამდე ან თვით ფანტაზიის შექმნამდე, სადაც სინამდვილის შესაძლებლობა არ არის რეალიზებული.

სინამდვილის აღქმა ურთიერთზემოქმედების პროცესია სუბიექტისა და ობიექტის, ბუნებისა და ადამიანის, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ხელოვნებაში რაც ნახულია მხატვრის მიერ. ბუნებაში მათი გადაწყობა ხდება, იმავდროულად ხდება მათი გადაჯგუფება იმ რიგის შესაბამისად რომელიც მის მიერ არის გამოგონილი, რაც ახალი კომბინაციებია და არა ბუნების შესწავლის წყალობაა.

ყურადღებაა მისაპყრობი წარმოდგენის გაგებისა და მისი მექანიზმისადმი, ანუ პროდუქტიული წარმოდგენისადმი, რაც უზრუმველყოფს ხელოვნებას, მის შესაძლებელ თვისებას. წარმოდგენა აზროვნების ფუნდამენტური მექანიზმია, რაც მიღებული ინფორმაციით მანიპულირებს, რომელშიდაც დალაგდება, შემდგომ კი განხორციელდება სხვადასხვა ოპერაციები, რითაც მიიღწევა მიზნობრივი ერთობა.

აზროვნების ნიმუში განეკუთვნება განზოგადებას, რომელიც იძლევა საშუალებას ზუსტი დახასიათება მივიღოთ. თავისი მუშაობის «მეთოდის» შესახებ დოსტოევსკი წერდა: «ჩემს მონათხრობთა შორის ერთ–ერთი გრანდიოზული მონათხრობი იქნება ნეჩაევის მიერ ივანოვის მკვლელობა. ვისწრაფვი ავლაპარაკდე: არც ნეჩაევი, არც ივანოვი, არც მკვლელობის გარემოება არ ვიცოდი, საერთოდ არ ვიცი, თუ არადა გაზეთიდან. მე მხოლოდ მომხდარ ფაქტს ვიღებ. ჩემი ფანტაზია უმაღლეს ხარისხში შეიძლება განვითარდეს ყოფილ რეალობასთან და ჩემი პეტრე ვერხოვენსკი შეიძლება გარკვეულწილად არ გავს ნეჩაევს, მაგრამ მე მჯერა, ჩემს ცხოვრებაში წარმოდგა ის პიროვნება, ის ტიპი, რომელიც შეესატყვისება ამ ქმედებას». (დოსტოევსკის წერილები ტ.2, გვ.288).

აღნიშნულთან ერთად წარმოსახვის ერთ–ერთი მექანიზმია – წარმოსახვის ფსიქოლოგიური მექანიზმი, როგორც წარმოსახვის პროდუქტი. მრავალსახოვნება, ადამიანის მიერ სამყაროში ორიენტირება, სწორედ ადამიანის მიერ უზრუნველყოფილია განვლილი სინამდვილის საშუალებით, რაც განზოგადოების მეშვეობით წარმოჩინდება.

საგნობრივი რეალობა, ყოფიერება ისე მიიღწევა როგორც «მხატვრული რეალობა» იქმნება. ხელოვნებისათვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, როგორც სამყაროს სულიერების ახსნის ძირითადი ნიშანი, წარმოდგენილია საყრდენი თვისება და მექანიზმი სწორედ ეს არის იდეალური, რომელიც «მხატვრული რეალობით მიიღწევა, იგი ამ იდეალურის მხატვრული ნიმუშია. ორტეგა წერდა: «ჩვენ არ შეგვიძლია შევქმნათ ჩვენი გაგების ობიექტი, არ შეგვიძლია ვაიძულოთ საგანი არსებობდეს ჩვენთვის, თუ მას არ გარდავქმნით მაგალითში, კონცეფციაში, იდეაში.» (ფილოსოფიის საკითხები 1984 წ. N11, გვ. 148).

ხელოვნებაში შესაძლებელია რეალობის ფრაგმენტით «დააშენო», აზრობრივი გახადოს მთელი რეალობა. ხელოვნების

ამოცანაა – აიღოს რეალობის ნამცეცი, რომელიმე პეიზაჟი, რომელიმე ფიგურა, რომელიმე ბგერა, რომელიმე სიტყვა და აიძულოს ისინი ასახოს დანარჩენი სამყარო. ამ ამოცანის მიღწევა შეიძლება სინამდვილის მხატვრული ინტერპრეტაციით. სტანისლავსკი აღნიშნავდა და ამტკიცებდა, რომ სცენაზე ნამდვილი რეალობა არ არის, ნამდვილი რეალობა არაა ხელოვნებაში. მას თვით მისი ბუნებიდან გამომდინარე არ სჭირდება მხატვრული გამონაგონი, რომელსაც პირველ რიგში მიეკუთვნება ავტორის ნაწარმოებიო.

მხატვრული ასახვის არსი იმაშია, რომ სინამდვილის მხატვრული სახე არ ემთხვევა ცხოვრებისეულ სტრუქტურას სემანტიკური აღნაგობითაც, არც მისი ელემენტების სინტაქსური კავშირითაც. ხელოვნების ნაწარმოებში არ განიხილება უშუალოდ სინამდვილის ასახვა, სინამდვილე აზრობრივი აღქმაა. მხატვრული ნაწარმოები თავის მხრივ დუალისტურია: იდეალური – მხატვრული (იდეალური სუბსტანციურია აზრობრივად, მხატვრულია – თვით მხატვრული ფორმაა).

დაზუსტებას საჭიროებს მხატვრული ნაწარმოების, როგორც მეორადი მოვლენის დამკვიდრება საერთო მიღებული წესით. დგინდება, რომ ხელოვნების ქმნილება განეკუთვნება მეორადს, შედარებითს თავის საგანთან და მეორადია იგი ამ აზრით გენეზისთან შედეგია.

მხატვრული ნაწარმოები – მიკროსამყაროა თავისი შემადგენლობით და შინაარსობრივი ელემენტებით, თავისი განსაკუთრებული მხატვრული კანონების ურთიერთკავშირით იგი ვიზუალურია, არა ვერბალურია. არცერთი გამოხატვა არ მიეკუთვნება სინამდვილის ასლს, თვით ცხოვრებისეული არსებობითაც.

ამ პოზიციიდან შესაძლებელია მსგავსების აღმოჩენა და განსხვავება მეცნიერებას და ხელოვნებას შორის. ხელოვნება არა იმდენად ონტოლოგიურად რამდენადაც სინამდვილის ეგზისტენციალურ–ესთეტიური ასახვითაა და ხასიათდება თვალსაჩინო კონსტრუქციული და კონკრეტული აზროვნებით. მეცნიერება განეკუთვნება ვერბალურ – დისკუსიურ სისტემას, ქმნის სინამდვილის თეორიათა კანონებს, მის სურათს, იმავდროულად მის არსებითად – მხატვრულ სურათს.

აღნიშნულის დასტურად შეიძლება ვისაუბროთ, რომ ფოტოგრაფიის საუკუნოვანი ისტორია მიგვანიშნებს მასზედ, რომ: «ფოტოსურათები არ ახდენენ ნატურის კოპირებას, სიბრტყეზე მის გადატანას, წყვეტს მათ კავშირს ირგვლივმყოფთან და ცვლის ცოცხალ ფერს შავით, თეთრით და ნაცრისფერით» (აღნიშნავდა კრაკაუერი) (ხელოვნება 1974 წ. გვ–39–40). მხატვრული ფოტოგრაფია სხვა არაფერია თუ არა ხელოვნება. ფოტოგრაფი ირჩევს თემის სიუჟეტს, რაც უნდა გადაიღოს, გადაღების საზღვრებს, ობიექტივს, ფილტრს. ფოტოგრაფისათვის აუცილებელია შემოქმედებითი შერჩევა. იგი საგნებს ხედავს «თავისი საკუთარი სულით». ასეთია მხატვრული რეალობის საკითხის ზოგიერთი ასპექტი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ლიტერატურული გაზეთი– №30 1984
2. თეოდორ დოსტოევსკის წერილები – ტ. II. თბ., 1987
3. ფილოსოფიის საკითხები – №11 1984
4. ჟურნ. ხელოვნება – 1974


**FOR THE SUBJECT OF ARTISTIC REALITY**

(SOME ASPECTS)

**Robert Goletiani, Ana buachidze**

Akaki Tsereteli State University

**Summary**

Artistic reality in aesthetic theory is perceived as an opportunity for artistic access to reality. Art is the means by which it is possible, as Ariishvili wrote, «It is true that everything in me is human, but I choose from him that I am able to set myself apart from myself and call it realistic.

It is important to pay attention to understanding and its mechanism, ie productive representation, which provides art as possible.

# ადამიანის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

თინათინ კოსტავა — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**E-mail: kostavatiko@yahoo.com**

ოთარ ჭუმბურიძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**E-mail: otar.chumburidze@atsu.edu.ge**

*საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ანალიზი, მისი სრულყოფილებისა და მასში დემოკრატიული მექანიზმების არსებობის თვალსაზრისით, სიღრმისეული ვერ იქნება, თუ იგი შეფასდება მთლიანად საზოგადოების და მისი შემადგენელი მხოლოდ დიდი ერთობების - ერების, კლასების, სოციალური ჯგუფის პოზიციიდან და არ გაანალიზდება ადამიანის, პიროვნების, ინიდვიდის სტატუსი და რეალური მდგომარეობა.*

სხვათაშორის, უნდა აღვუნიშნოთ, რომ პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში საზოგადოების ამა თუ იმ სისტემის დემოკრატიზაციის პრობლემები უპირატესად ონთოლოგიის პოზიციებიდან განიხილება. თანამედრვოე ეტაპზე ასეთი რაკურსის უკმარისობა აშკარაა. დემოკრატიული მექანიზმის გამოკვლევა მასთან პიროვნული ფაქტორის მიმართების გარეშე უაზრობაა.

საზოგადოების პოილიტიკური სისტემის, დემოკრატიის მექანიზმების ფუნქციები წარმოუდგენელია პიროვნების გარეშე, რომელიც ამავე დროს არის გარკვეული ერთობის - ხალხის, ერის, კლასის, ამა თუ იმ ორგანიზაციის, კოლექტივის წარმომადგენელი. ისტორია ყოველთვის ადამიანების ისტორიაა, ადამიანებისა, რომლებიც ყოველი საზოგადოების ძირითად და აქტიურ ძალას წარმოადგენს. ამიტომ მხოლოდ პიროვნული ასპექტების დახმარებით შეიძლება გაირკვეს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისა და მართვის თუ თვითმმართველობის სპეციფიკა.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში პიროვნების სტატუსის გარკვევა მნიშვნელვან პოილიტკურ პრობლემას

წარმოადგენს. იგი ერთდროულად წარმოადგენს ფილოსოფიის, სოციოლოგიის, იურისპუდენციის, ფსიქოლოგიისა და კიდევ სხვა მეცნიერებების პრობლემას, მაგრამ ჩვენი საკვლევი თემის ასპექტში იგი განსაკუთრებით საინტერესოა, რამეთუ ადამიანის, როგორც პოლიტიკის სუბიექტის ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად პოლიტიკურ სისტემაში მისი სტატუსითაა განპირობებული.

პიროვნების სტატუსის გარკვევა გულისხმობს ადამიანისა და პოლიტიკრი სისტემის ძირითადი ელემენტის - სახელმწიფოს, აგრეთვე პოლიტიკური სისტემის სხვა ელემენტების - პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოძრაობებსა პირდაპირი და უკუკავშირების კანონზომირებათა გარკვევას.

პიროვნების სოციალური სტატუსის ცნება მოიცავს პიროვნების ატრიბუტალურ (სოციალური ჯგუფისადმი, კლასისადმი, კოლექტივისადმი და ა.შ. მიკუთვნებლობა), ფუნქციონალურ (როლებრივ), ღირებულებით (სოციალური წრე) და ნორმატულ მახასიათებლებს.

პიროვნების სოციალური სტატუსით ირკვევა პიროვნების ადგილი და როლი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, ანუ რა მოქმედებათა შესრულების შესაძლებლობა აქვს; რა უნდა გააკეთოს და როგორ აფასებს სხვა ადამიანები და მთლიანად საზოგადოება მისი მოქმედების შედეგებს. პიროვნების ფუნქციონალურ-როლებრივი სტატუსი და სოციალური პრესტიჟი, როგორც წესი, თანხვდებიან. პიროვნების სოციალური სტატუსით შეიძლება იმისი განსაზღვრა, თუ რა ადგილი უკავია პიროვნებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში ნორმატიული რეგულირების პოზიციიდან, ანუ სოციალური ნორმების სხვადასხვა სახეობების (სამართლებრივი, კორპორაციული და სხვა) თვალსაზრისით; რა უფლებებს ფლობს და რა მოვალეობა აკისრია, პიროვნების სოციალური სტატუსი ამ სახეობას, სხვა სახეობებისაგან (ფუნქციონალურ-როლებრივი, სოციალური პრესტიჟი და სხვა) განსხვავებით, პირობითად შეიძლება დავარქვათ პიროვნების სოციალურ-ნორმატიული სტატუსი. როგორც ინდივიდის რეგულირების მომცველი ფენომენი, გარკვეული აზრით შეიძლება განხილული იქნას, როგორც ცნობიერების კატეგორია (საზოგადოებრივი, ინდივიდუალური და ა.შ.)

პიროვნების სოციალურ-ნორმატიული სტატუსის სტრუქტურული ელემენტები დაკავშირებულია სახელმწიფოებრივ სამართლებრივ, და ორგანიზაციულ-კორპორაციულ რეგილურებასთან და მაშასადამე არ შეიძლება იგი წარმოვიდგინოთ საზოგადოებაში გაბატონებული მორალის, ჩვეულებების, სამართლებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სისტემის გარეშე.

პიროვნების სოციალურ-ნორმატიული სტატუსის მნიშვნელოვანი ნაწილია მისი უფლებრივი სტატუსი ანუ იმ იურიდიულ უფლებათა, თავისუფლებათა და კანონიერ ინტერესთა სისტემა, რომელიც აღიარებულია და გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

პიროვნების, როგორც პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის, ასოციაციის და ა.შ. წევრობა დაკავშირებულია რაღაც მოვალეობებთან რაღაც უფლებებთან, რაღაც ვალდებულებებთან, რაც ერთად თავს იყრის და განსაზღვრულია პიროვნების სოციალურ ნორმატიული სტატუსით.

პიროვნების სამართლებრივი სტა-

ტუსის, როგორც მის უფლებათა და თავისუფლებათა კანონიერ ინეტერსთა და მოვალეობათა სისტემის წანამძღვარს მოქალაქეობა, პიროვნების სამართალსუბიექტურობა წარმოადგენს.

პიროვნების სამართლებრივი სტატუსი მისივე სოციალური მდგომარეობის ტვირთია; ესაა სოციალურად ნებადართული ქმედებები, რომელიც ინდივიდმა შეიძლება განახორციელოს, როგორც სახელმწიფოს მოქალაქემ. ყველა დანარჩენი პირები (ინდივიდები) ამ სახელმწიფოსთან მიმართებაში გამოდიან მოქალაქეობის არ მქონე პირების, ანუ უცხოელი მოქალაქეების სახით, რომელთა სამართლებრივი სტატუსი თავისებურია და მოცემულ სახელმწიფოში არაა გარანტირებული.

მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი კი ესაა, მატერიალურად განპირობებული იურიდიულად დაფიქსირებული და სახელმიწფოებრივად გარანტირებული ინდივიდის შესაძლებლობა ისარგებლოს კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკური, სულიერი სიკეთეებით და დაიკმაყოფილოს პირადი ინტერესები და მოთხოვნილებანი. ეს მისი უფლებაა, რომელსაც სახელმწიფო გარანტირება უნდა ჰქონდეს.

ნებისმიერ ადამიანურ თანაცხოვრებაში "უფლება არ არსებობს მოვალეობის გარეშე, ისე როგორც მოვალეობა უფლების გარეშე."[7] იურიდიული ვალდებულება, ისევე როგორც უფლება, არ შეიძლება კონკრეტული პიროვნებებისაგან დამოუკიდებელი "თავისუფალი ნების" შედეგი იყოს. იურიდიულ ვალდებულებებში დაფიქსირებულია სოციალურად შესაძლებელი აუცილებლობა. არ შეიძლება ადამიანს დაეკისროს მოვალეობა, რომლის პრაქტიკული შესრულების შესაძლებლობა მას არ გააჩნია.

ამრიგად, იურიდიული ვალდებულება არის სუბიექტის ქცევის შესაძლებლობა, რომელსაც აუცილებლობის ხასიათი აქვს, რამდენადაც გამოხატულია სახელმწიფოებრივი კანონის ფორმით.

დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ორიენტირებული იყოს ისეთი პირობების შექმნაზე, სადც ადამიანს მასზე დაკისრებული მოვალეობის რეალური შესაძლებლობანი იქნება. სდაც მისი უფლება და მოვალეობა დიალექტიკურ ერთიანობაში განხორციელდება.

თანამედროვე, რეფორმების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ადამიანი მოაქციოს საზოგადოებრივი ცხოველმყოფელობის ცენტრში, ცხოვრებაში მიმდინარე ყველა მოვლენა განიხილებოდეს მასთან მიმართებაში, მისი საზომით; ადამიანი განიხილებოდეს უმაღლეს სოციალურ ღირებულებად, გათავისუფლდეს იგი ყოველგვარი უღლისაგან; მაქსიმალურად უზრუნველყოფს მისი უფლებები და თავისუფლება; რეალურად განხორციელდეს სახელმწიფოს წინაშე მოქალაქისა და მოქალაქის წინაშე სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობა და პატივისცემა. ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიზაციის პროცესის გაფართოებითა და გაღრმავებით, ანუ ისეთი სახელმწიფოს აშენებით, სადაც რეალურად მოხერხედბა:

– ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა რეესტრის მატერიალური უზრუნველყოფა;

---

[7] იურიდიულ ენაზე მოქალაქეობა ტრადიციულად განისაზღვრება, როგორც კანონზე დაფუძნებული, პიროვნების მყარი კავშირი სახელმწიფოსთან, როგორც პიროვნების სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობა, როგორც პიროვნების სახელმწიფოებრივად ორგანიზებული საზოგადოების წევრობა.

– სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობა;

– პიროვნების სოციალური დაცვის (სოციალურ-ეკონომიკური უფლებების: შრომის, დასვენების, ბინის, სწავლის, საპენსიო უზრუნველყოფის და სხვა) დაფიქსირება და გარანტირება

– ადამიანის უფლებათა და თავისულფების ყველა სახის ტოლძალოვნება და ურთიერთკავშირი

– უფლებათა და მოვალეობათა იურიდიული გარანტირება.

ჩვენს სინამდვილეში ახალი საზოგადოების მშენებლობის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები, ამ გზაზე უკვე გამოვლენილი და მოსალოდნელი დეფორმაციები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ წლების მანძილზე ჩვენ საზოგადოებაში გაბატონებული იყო პიროვნების მკაცრი უფლებრივი რეგლამენტაცია; გაუმართლებელი შეზღუდვები, აკრძალვები, ადამიანის უფლებათა დაცვის იურიდიული მექანიზმი ფაქტობრივად არ არსებობდა. ხშირად ადამიანის უფლებებისადმი რეალისტური მიდგომა უარყოფილი იყო იდეოლოგიური მიზანდასახულობით.

ყველაფერ ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა არა მხოლოდ ადამიანის უფლებრივი სტატუსი პრობლემატიკის მეცნიერულ დამუშავებაზე, არამედ სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ადამიანის ურთიერთობის დემოკრატიული მექანიზმების ამოქმედების პროცესზე.

ბოლო პერიოდში, ტოტალიტარული საბჭოური რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და პრაქტიკაში ადამიანის ფაქტორმა არსებითად სხვა მნიშვნელობა და როლი შეიძინა. ადამიანი, პიროვნება, მისი ინტერესები და მოთხოვნილებანი ცენტრალურ ადგილს იკავებენ სახელმწიფო ფუნქციონირებაში. პიროვნული, ინდივიდუალური უნარ-თვისებების მაქსიმალური გამოვლენა დემოკრატიული საზოგადოების მიზანი და მისწრაფებაა. ამას ემსახურება საზოგადოების მოდერნიზაციის ყველა მიმართულება – სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ყველა სხვა სახის რეფორმები.

ახალი სამეურნეო მექანიზმი, რომელიც ჩვენს ვქეყანაში ყალიბდება, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია, თვითმმართველობის განვითარება, ადამიანის პიროვნული აქტივიზაცია ობიექტურად მოითხოვს ადამიანის უფლებრივი რეგლამენტაციის აღკვეთას, ადამიანის სრულ თავისუფლებას გადაწყვეტილების მიღებასა და ალტერნატივების ძიების პროცესში. შესაბამისად ახალი პრინციპებით უნდა გამდიდრდეს ის საკანონმდებლო დოკუმენტები, რომლებიც ადამიანის უფლებათა და თავისულებათა რეალიზაციის გარანტიას ქმნიან.

**ლიტერატურა:**

1. ო. ჭუმბურიძე, - ადამიანი პოლიტიკის ძირითადი სუბიექტი", 1999 წ.
2. ი. კვესელევა, ვ. შუბითიძე, მ. პაპაშვილი - "პოლიტოლოგია",. თბ., 2007 წ.
3. დემოკრატია და მოქალაქეობა - 2011 წ.
4. ვ. ჭანკვეტაძე - "პოლიტიკური დიალოგები", 2011 წ.
5. მ. მაგმტადტი - "გავიგოთ პოლიტიკა", 2010 წ.
6. გ. აბესაძე - "ადამიანის ხოციალიზაცია", 1999 წ.

## THE POLITICAL AND LEGAL STATUS OF A HUMAN BEING IN THE POLITICAL SYSTEM OF SOCIETY

**Tinatin Kostava, Otar Chumburidze**
Akaki Tsereteli State University

**Summary**

The analysis of the political system of society, in terms of its perfection and the existence of democratic mechanisms in it, can not be in depth if it is judged entirely from the community and its constituents only from large groups of nations, classes, social groups and does not analyze human, personality,

# მიზეზობრივი დეტერმინაციის სპეციფიკა

ეთერ ორმოცაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**E-mail: ormocadze.eteri@mail.ru**

*მიზეზობრიობა სასრული სამყაროს კანონზომიერებაა. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მიზეზის, საფუძვლისა და საბაბის ცნებები. ისტორიულად მიზეზსა და საფუძველს აიგივებდნენ იმ მიზეზით, რომ ორივე მათგანი აუცილებლობას ეფუძნება. სინამდვილეში კი მიზეზობრიობის ცნება საფუძვლის ცნებაზე მეტია. იგი აუცილებლობასთან ერთად გულისხმობს გენეტურ კავშირსაც.*

*განსხვავებულია მიზეზობრიობისა და თვითმიზეზობრიობის ცნებები. მიზეზობრიობისაგან განსხვავებით თვითმიზეზობრიობა*

*სუბსტანციური კანონზომიერების გამომხატველია. თვითმიზეზობრიობა მიზეზობრიობის აზრით თვითწარმოშობას ნიშნავს. თვითწარმოშობა კი უსაზრისო ცნებაა. ასეთი რამ შეუძლებელია როგორც რეალურად, ასევე ლოგიკურად.*

ყოველი განსაზღვრულობა შეიძლება დაიყოს მიზეზობრივ და არამიზეზობრივ დეტერმინაციებად, ანუ განსაზღვრულობებად, რომლებიც მოქმედებენ ობიექტურ სამყაროში. მიზეზობრივ დეტერმინაციაში არსებით როლს თამაშობს მიზეზობრიობის კატეგორია. იგი რეალური სინამდვილის უმრავლესი პროცესების აღწერის საშუალებაა, რის გამოც მიზეზობრიობა, როგორც ფილოსოფიის, ისე ფიზიკის მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. აღნიშნულ კატეგორიას ჩვენ შევეხებით მხოლოდ და მხოლოდ დეტერმინიზმის თვალსაზრისით.

ბუნების საგნები და მოვლენები მრავალგვარ კავშირში იმყოფებიან. კავშირის ერთ სახეს წარმოადგენს მიზეზობრიობა. კავშირები თავიანთი მნიშვნელობით სხვადასხვაა. მიზეზობრიობა აუცილებელი კავშირია, მაგრამ მხოლოდ მიზეზობრივი კავშირები როდია აუცილებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზეზობრიობა და აუცილებლობა ერთმანეთს დაემთხვეოდა. აუცილებლობითაა დაკავშირებული პირობა და საფუძველი შედეგთან. ახალ ფილოსოფიაში მეტაფიზიკური მატერიალიზმის წარმომადგენლების მიერ შემუშავებული მონოკაუზალიზმის კონცეფციის მიხედვით მიღებული იყო, რომ ობიექტური სინამდვილე დეტერმინირებულია ცალსახა მიზეზობრივი დამოკიდებულებით, სადაც გამოირიცხებოდა ყოველგვარი პირობა, როგორც მატერიალური განმსაზღვრელი ფაქტორი. შემდეგში კი შეიქმნა სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომელიც აქტიური მადეტერმინირებელი ფაქტორის როლში ასახელებს პირობებს (ჯ. ს. მილი). ჯ. ს. მილს მიზეზი დაჰყავს პირობათა ჯამზე, უფრო ზუსტად - პირობებამდე. ეს კი ნიშნავს მიზეზისა და პირობის არა იგივეობას (მაშინ გვექნებოდა მიზეზი ანუ პირობა), არამედ მიზეზის განდევნას, მის გაუქმებას. ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ უფრო შორს წავიდა კონდიციონალიზმის წარმომადგელი მაქს ფერვორნი. მისი აზრით, მიზეზობრიობის ცნება არამეცნიერულია. იგი მოუხმარებადია მეცნიერული შემეცნებისათვის. მეცნიერული კვლევა არ საჭიროებს მიზეზის ცოდნას. მეცნიერების ვალია გაარკვიოს მოვლენებს შორის კანონზომიერი დამოკიდებულებანი, რომლებიც გაშუალებულია მატერიალური პირობებით. მაშასადამე, საძიებელია არა მიზეზები, არამედ კანონზომიერებანი პირობებს შორის. ამასთანავე, ავტორს მიაჩნია, რომ ყველა კანონზომიერი პირობა ერთნაირი ღირებულებისაა. ასე, რომ პირობებს შორის განსხვავება არ არსებობს. ისინი ყველა ერთნაირად აუცილებელია. ამასთანავე, პირობით კანონზომიერებად გაგებული იყო ცდა, ხოლო მიზეზობრივი კანონზომიერება, როგორც სპეკულაციური მისტიკა. მაშასადამე, ფერვორნთან მიზეზობრიობა მისტიკური, უსარგებლო ცნებაა. ამიტომ იგი მოითხოვდა მის ამოღებას მეცნიერებიდან (5, 14).

მიზეზის გაიგივება პირობასა და საფუძველთან მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ აუცილებლობას დავიყვანდით მიზეზობრიობამდე. მაგრამ პირობა და საფუძველი სპეციფიკური მადეტერმინირებული ფაქტორებია. სწორედ პირობათა ეს თვისება ჰქონდა მხედველობაში პოზიტივისტ ჯ. ს. მილს, როცა მან მიზეზი პირობათა ჯამად გაიგო. მისი აზრით, მიზეზი

თავისთავად ვერ წარმოშობს შედეგს; პირობის გარეშე იგი პასიურია. ამიტომ მიზეზი უდრის მადეტერმინირებელ პირობებს. იგი გულისხმობს როგორც დადებით, ისე უარყოფით პირობებს.

ჰეგელი ერთმანეთისაგან განასხვავებს პირობასა და მიზეზს.

პირობის მიმართ ახალი სინამდვილე (შედეგი) გამოდის როგორც განპირობებული. პირობა - შედეგი მოიაზრება როგორც განპირობებულ-განმაპირობებელი. პირობა თავისთავად აქტიური ფაქტორის (მიზეზი)გარეშე ვერ წარმოშობს სინამდვილეს. იგი საშენი მასალაა მიზეზისათვის, რათა წარმოიშვას შედეგი. ამიტომ იყო, რომ ჰეგელი მიზეზსა და პირობას სხვადასხვა როლს მიაწერდა შედეგის წარმოშობაში.

მართლაც აქტიური მიზეზი არ შეიძლება იყოს აქტიური თავისთავად. მას არ გააჩნია აბსოლუტური აქტივობის უნარი. იგი ვერ იფუნქციონირებს, ვერ წარმოშობს შედეგს პირობების გარეშე. ამიტომ მიზეზის ცნებაში იმთავითვე უნდა ვიგულისხმოთ პირობებიც.

როგორია საფუძვლის მიმართება მიზეზისადმი? ისტორიულად აუცილებლობა და მიზეზობრიობა იგივურ ცნებებად ითვლებოდა; ამიტომ მიზეზობრივად გაგებული იყო საფუძველიც. "არც ერთი საგანი არ წარმოიშობა უმიზეზოდ, არამედ ყველაფერი წარმოიშობა რაიმეს საფუძველზე და აუცილებლობით» (3, 229), - ამბობდა ლევკიპე. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს არისტოტელესთან. ოთხი მიზეზიდან (მატერიალური, ფორმალური, მოქმედი, მიზნობრივი) მიზეზი არის მხოლოდ მიზნობრივი მიზეზი. პირობა არის მშენებელი (მოქმედი მიზეზი), საშენი მასალა - მატერიალური მიზეზი, ხოლო ფორმალური მიზეზი კი გამოდის საფუძვლის როლში.

საფუძვლისა და მიზეზის გაიგივებას ვხვდებით ახალი დროის ფილოსოფოსებთან - დეკარტესა და სპინოზასთან. სპინოზასთან ტერმინები "causa", "ratio", იხმარება ერთმანეთის ნაცვლად. იგი ხმარობს გამოთქმასაც - (causa sive ratio - რაც იმას ნიშნავს, რომ მიზეზისა და შედეგის დამოკიდებულება ისეთივეა, როგორიც საფუძვლის დამოკიდებულება მის გამომდინარეობასთან. მაშასადამე, აქ საფუძველი გაგებულია, როგორც შედეგის აუცილებელი პირობა. მართლაც, თუ ეს ასეა, მაშინ შედეგი და პირობა ტოლმნიშვნელოვანი ცნებები ყოფილა. ცნებათა ტოლმნიშვნელობიდან გამოდის მათი იგივურობა. მაშასადამე, საფუძველი შედეგის აუცილებელი პირობაა, ამდენად სპინოზასთან საფუძველი მიზეზის ტოლმნიშვნელოვანი ცნებაა.

შედეგის წარმოშობისათვის მიზეზთან ერთად არსებითია პირობაც და საფუძველიც; სადღაც ჭირს მათი როლის გარჩევა შედეგისათვის. მიზეზიც და საფუძველიც გარკვეული აზრით პირობებია. ამიტომ იყო, რომ მიზეზი, პირობა და შედეგი ერთი და იგივე ცნებებად მიაჩნდათ. მართლაც, მიზეზის გარეშე შედეგი არ წარმოიშობა. ე. ი. მიზეზი აუცილებელი პირობაა შედეგის წარმოშობისათვის (მიზეზი აქ პირობას ემთხვევა). ასევე, საფუძველიც თავის მხრივ პირობაა (შედეგი ემყარება საფუძველს). გარკვეული აზრით, მიზეზიც საფუძველია შედეგისათვის. ე. ი. საფუძველიც გამოდის მიზეზის როლში. მაგრამ იმის მტკიცება, რომ პირობა, როგორც საფუძველი შეიძლება მიზეზად ჩაითვალოს ნიშნავს მიზეზობრიობის დაყვანას ისეთ არამიზეზობრივ დეტერმინაციაზე, როგორიცაა საფუძველი და პირობა. ასეთ შემთხვევაში მიზეზთან

ერთად განმსაზღვრელის როლში გამოდის საფუძველიც და პირობაც.

მიზეზი, პირობა და საფუძველი ცალ-ცალკე აღებული აუცილებელია შედეგის წარმოშობისათვის. მაგრამ აუცილებლობა არ ნიშნავს საკმარისობას. ყველა ისინი ცალ-ცალკე აღებული არასაკმარისი პირობაა შედეგის მიღებისათვის. მიზეზი, პირობა და საფუძველი მხოლოდ ერთად წარმოადგენენ აუცილებელ და საკმარის პირობას. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ შორის განსხვავება არ იყოს. მიზეზი მაინც რჩება აქტიურ, მოქმედ, განმსაზღვრელ ფაქტორად საფუძველსა და პირობასთან შედარებით. თავის მხრივ, პირობაც შედეგისათვის არასებითია, ხოლო შედეგი, როგორც ახალი სინამდვილე გარკვეული აზრით პირობის შინაარსიცაა. პირობა არაა აქტიური. მას თავისთავად არ შეუძლია წარმოშვას შედეგი. იგი შეიძლება შევადაროთ არისტოტელეს მატერიალურ მიზეზს, საიდანაც აქტიური მიზეზი ქმნის შედეგს. მხოლოდ მიზეზის ჩათვლა შეიძლება იმ ძალად, რომლითაც ხდება პირობის შინაარსის გარდაქმნა ახალ სინამდვილედ.

რაში მდგომარეობს მიზეზობრიობის სპეციფიკა? ანუ ის კრიტერიუმი, რომლითაც შეიძლება განვასხვაოთ მიზეზობრივი განსაზღვრულობა არამიზეზობრივისაგან? მიზეზობრიობის კრიტერიუმი წარმოშობაში მდგომარეობს. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გვაქვს იქ, სადაც წარმოშობას აქვს ადგილი. თუ A B-ს მიზეზია, მაშინ A აუცილებლობით წარმოშობს B-ს. გენეტიკურობა არის ის სპეციფიკური ნიშანი, რომლითაც მიზეზობრივი დეტერმინაცია განსხვავდება სხვა დეტერმინაციული კავშირებისაგან. მიზეზობრიობა, როგორც გამოწვევა მოიაზრება, როგორც მოქმედების გადაცემა მიზეზიდან შედეგზე. მოქმედება კი წარმოიდგინება, როგორც მატერიალური განსაზღვრულობის, ჩვენს შემთხვევაში ძალის სახით. მაშასადამე, ძალები ისეთი მატერიალური მიზეზებია, რომელთა გადაცემა შეიძლება "მიზეზები..., წერს ნიუტონი, - არიან ის ძალები, რომლებიც სხეულზე უნდა გამოვიყენოთ, რათა მოძრაობა წარმოვშვათ» (4,34). გავარკვიოთ რა როლს ასრულებს ძალის ცნება მიზეზობრიობის კატეგორიაში. ძალის გადაცემა საგნიდან საგანზე ხდება ყოველი შუამავალი პუნქტის გავლით. ე. ი. არა მყისიერად (დროის გარეშე), არამედ რაღაც დროის მანძილზე. დრო მიზეზისა და შედეგის გამაცალკავებელია. ეს კი იმთავითვე გამორიცხავს წარმოდგენას მიზეზისა და შედეგის ერთდროულობაზე, როგორც ეს შესაძლებლად მიაჩნდათ ძველ საბერძნეთსა და ახალ დროში. ზემოთაღნიშნული ერთდროულობის დაშვება აუქმებს მატერიალურ მიზეზს, მარლთაც, თუ ძალის მოქმედების გადაცემა გაუქმდება, მაშინ ლოგიკურად ვღებულობთ შედეგის გაუქმებასაც. თუ ძალის მოქმედების ამოღებას მაინც ახლავს შედეგის წარმოშობა, მაშინ ამ უკანასკნელს მხოლოდ და მხოლოდ ფატალური არსებობა შეიძლება მიეწეროს. ამრიგად, ერთდროულობა მიზეზობრიობის საწინააღმდეგოა. ერთდროული ხდომილებებიდან ერთიმეორისადმი წინსწრება გამორიცხულია, ამიტომ ერთი არ შეიძლება იყოს მეორის მიზეზი.

დროის ამოგდებამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან მიზეზობრიობა დაიყვანა ფუნქციურ მიმართებებზე. მიზეზობრივი კავშირი კი გენეტური კავშირია და არა უბრალო ფუნქციური დამოკიდებულება. ფუნქციურ მიმართებებში ადგილი აქვს არა ფუნქციის შექმნას, არამედ მის თანადროულობას არგუმენტთან. ასევე

ფუნქციათა ნაწილი ასიმეტრიულობის ბუნებისაა. ე. ი. არა მარტო არგუმენტს შეესაბამება (იწვევს) ფუნქცია, არამედ პირიქითაც ხდება. მიზეზ-შედეგობრივ კავშირში კი მიზეზობრიობის ელემენტები ერთმანეთს ადგილს არ უცვლიან; შედეგი არასდროს არ გამოვა მისივე გამომწვევი მიზეზის როლში, იგი სხვა მოვლენის მიზეზი შეიძლება გახდეს და ა. შ.

მოვლენათა ერთდროულობა აუქმებს მიზეზობრიობას იმ გაგებითაც, რომ ხდომილებები შედეგებად იწოდებიან მხოლოდ წინ მსწრებ მოვლენებთან მიმართებაში. ხდომილობათა ერთდროულობის შემთხვევაში (თუ დავუშვებთ, რომ მიზეზობრიობა მაინც არსებობს) არ შეიძლება ერთდროული მოვლენებიდან მითითება მიზეზებზე ან შედეგებზე, ე. ი. ვერ გამოვყოფთ რომელიმე მიზეზ-შედეგობრივ წყვილს; ან კიდევ, ერთდროულ მოვლენებში, რამდენადაც მათი წარმოდგენა არ შეიძლება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სახით, ყველა მოვლენა შეიძლება ჩავთვალოთ ფატალურ შედეგებად, რომელთა მიზეზები არ არსებობენ. მაშასადამე, ერთდროული მოვლენების დაშვება აუქმებს მიზეზობრიობას. ეს უკანასკნელი კი განვითარების უარყოფას ნიშნავს. აი, ასეთ წინააღმდეგობებამდე მივყავართ მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან ძალის ცნების განდევნას არადა პოზიტივიზმი თავისი წარმოშობის დღიდან ცდილობდა ძალის ცნების განდევნას ფიზიკიდან. “ძალის ცნების უკუგდება ფიზიკიდან - წერს მ. ჯემერი - მეცნიერებას გაათავისუფლებს მიზეზობრიობის ბორკილებისაგან, მიზეზობრიობისაგან, რომელიც “წინამეცნიერული ფეტიშიზმის ყველაზე აკვიატებულ ნაშთს წარმოადგენს» (6, 15). პოზიტივისტების მიერ ძალის ცნების განდევნას მოჰყვა ის, რომ მიზეზობრიობა დაყვანილ იქნა ცვლადებს შორის მიმართებებზე. მართლაც, თუ დავდგებით პოზიტივისტების თვალსაზრისზე და თუ ვიტყვით, რომ ძალა ზედმეტია მიზეზობრიობისათვის, მაშინ მიზეზობრიობა მისტიკური გახდება და ამდენად, ზედმეტიც მეცნიერებისათვის.

ძალის ცნება ფიზიკიდან ხომ არ შეიძლებოდა განდევნილიყო იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებულიყო პერიპატეტელების მოთხოვნა - causa cessante cessat effectus (მიზეზის შეწყვეტას თან ახლავს შედეგის შეწყვეტაც); ან კიდევ, იქნებ შედეგის არსებობის გახანგრძლივების მიზნით იქნა ამოღებული ძალის ცნება მიზეზობრიობიდან. როგორც აღვნიშნეთ, ძალის განდევნა მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან ნიშნავს იმას, რომ მიზეზიდან შედეგის წარმოშობა ხდება მყისიერად. ანუ შედეგი არსებობას იწყებს მიზეზთან ერთად. აქ გვექნება არა გენეტურობა, არამედ შესაბამისობა. ასევე მიზეზი და შედეგი კარგავენ განმასხვავებელ ნიშნებს. ე. ი. მიზეზობრიობის ნაცვლად ვღებულობთ ცვლადებს შორის წმინდა ფორმალურ დამოკიდებულებას, რის გამოც მიზეზობრიობა რეალობიდან გადადის მათემატიკისა და ლოგიკის სფეროში. მაშასადამე, გენეტურობა აუცილებლობით თხოულობს, რომ მიზეზობრიობა განვიხილოთ როგორც ძალის გადაცემა ერთი სხეულიდან მეორეზე.

მიზეზობრივი დეტერმინაციის სპეციფიკის გარკვევის შემდეგ უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რას შეიძლება ეწოდოს უმიზეზო. როგორც ვნახეთ, მიზეზობრიობა მოვლენებს შორის ისეთი აუცილებელი კავშირია, რომელსაც თან ახლავს ახლის წარმოშობა. ემპირიული სამყარო მარადიულ მოძრაობასა და ცვა-

ლებადობაში იმყოფება. ერთი მოვლენა არის მეორე მოვლენის მიზეზი, ეს უკანასკნელი კი სხვა მოვლენის მიზეზი და ა. შ. უსასრულოდ. მიზეზობრივი ჯაჭვის ღიაობა გამორიცხავს უმიზეზო მოვლენის არსებობას. ყველა მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. როგორია ეს მიზეზები თავისი ბუნებით? ცვალებადობას ბუნებაში დასაწყისი არ გააჩნია, ამიტომ ცვალებადობის მიზეზი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ სასრული. აქედან გამომდინარე, შედეგიც სასრული ობიექტია. გამოდის, რომ მიზეზობრიობა, როგორც საყოველთაო პრინციპი, მხოლოდ ცვალებად მოვლენებს შეეხება, ხოლო მარადიულს კი არ შეიძლება მიზეზი ჰქონდეს. მიზეზობრიობის პრინციპი რა თქმა უნდა, არ ეხება მარადიულს. ბუნებაში წარმავალი (მიზეზობრივი) მოვლენის გვერდით ადგილი აქვს თვითონ ცვალებადობის მარადიულობას. სხვანაირად, ბუნებაში ყველაფერი სასრულია, ცვალებადია. მარადიული და უცვლელი კი მხოლოდ ცვალებადობის პრინციპია. შეიძლება თუ არა დაისვას კითხვა ცვალებადობის საწყისის ანუ მიზეზის შესახებ? ან კიდევ, როგორ გვესმის ცვალებადობა? - როგორც შედეგი თუ პროცესი? ცვალებადობის შედეგად მიჩნეული იყო შოპენჰაუერთან. ამავე მიზეზით მასთან ცვალებადობა ამხსნელად გამოდიოდა მიზეზობრიობის პრინციპი. ეს კი ნიშნავდა ერთი საყოველთაო პრინციპის ახსნას მეორე საყოველთაო პრინციპით. ცვალებადობა არაა მიზეზის შედეგი, როგორც ეს მიაჩნდა შოპენჰაუერს. თუ ცვალებადობა შედეგია, მაშინ მისი როგორც პასიურის მიზეზი უნდა იყოს ისევ ცვალებადობა და არა უცვლელობა (მიზეზი ხომ აქტიურია). მაგრამ ცვალებადობა, როგორც აქტივობა თავისთავად შეიძლება იყოს სწორედ მიზეზი. მაგრამ აქ მაინც აუხსნელი დარჩა ცვლილების მიზეზი. მიზეზისა და შედეგის როლში ცვალებადობის ჩასმა მოითხოვს ისევ გაგრძელდეს დასაბუთება.

როგორია მარადიულის, როგორც სუბსტანციის დამოკიდებულება მიზეზობრიობასთან? სუბსტანცია, როგორც ობიექტური, უპირობო ანუ თავისთავად არსებული, თავისთავის მიზეზია. იგი უზოგადესია, არ არის ერთეული. ე. ი. იგი არ შეიძლება იყოს მიზეზობრივი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, ამიტომ სუბსტანცია სხვით აუხსნელია, უმიზეზოა. იგი აიხსნება მხოლოდ თვითმიზეზობრიობით, იმიტომაც არ შეიძლება იყოს მიზეზობრიობა, რომ ეს უკანასკნელი აუცილებელ კავშირში მყოფ მოვლენათა თანამიმდევრობაა. ასეთი თანამიმდევრობა სუბსტანციაში სუბსტანციის ერთადერთობის გამო არ გვაქვს.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თვითმიზეზობრიობას არაფერი არ აქვს საერთო მიზეზობრიობასთან, იგი არაა მიზეზობრიობის ფორმა, რადგანაც ასეთი დაშვება სუბსტანციის ცნებას გამორიცხავდა. ამ გარემოებას კარგად მიხვდა თავის დროზე სპინოზა. მასთან თვითმიზეზობრიობა თვითსაფუძველია. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბსტანცია თავისი თავის მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ თვითსაფუძვლის აზრით და არა წარმოშობის მიხედვით. სუბსტანცია ინარჩუნებს უნივერსალურ განსაზღვრულობას თავისი თავის, როგორც თვითსაფუძვლის საფუძველზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ავალიანი ს. XX -ის ნატურფილოსოფია, თბ., 2004.
2. ავალიანი ს. ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია, თბ., 1974.

3. Маковельский А. О., Древнографические атомисты, Баку, 1946.
4. Ньютон И. Математические начала натуральной философии, М.-Л. 1936.
5. Ферворн М., Вопрос о границах познания, М. 1909.
6. Jammer M., Concepts of Force, cambridze, 1957.


## SPECIFICS OF CAUSAL DETERMINATION


**Eter Ormotsadze**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

The causality is the necessary condition. Its specific sign is genetics. The grounds are similar to the grounds for which the nature of the necessity is necessary but, unlike the origin, is not related to origin.
Self-rule as self-foundation is not a form of reason. It can only prove that the condition of the substrate can only be expressed.


# საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფორმირების პროცესი


ვასილ ფერაძე     აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
vasil.peradze@yahoo.com



*სოციალურ-ჰუმანიტარული მეცნიერებების კომპლექსი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს შეისწავლის, კვლევის ობიექტად განიხილავს საზოგადოებრივ მოვლენას, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ტერმინით აღინიშნება. საერთაშორისო ურთიერთობების კატეგორიის ანალიზისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვითონ საერთაშორისო ურთიერთობების ფენომენი ერთ ადგილას არ დგას და მუდმივ ცვლილებასა და ევოლუციას განიცდის.ის დღეს ისეთი არ არ, როგორ ერთი საუკუნის წინ ან თუნდაც ათი წლის უკან, ხოლო ხვალ უკვე სრულიად განსხვავებული იქნება ვიდრე დღეს. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის და საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევარის ა. არონის აზრით საერთაშორისო ურთიერთობებს ზუსტად განსაზღვრული საზღვრები არ გააჩნია. თვითონ არონი, საერთაშორისო ურთიერთობებში ხედავდა, ერთის მხრივ, ხალხებს შორის კავშირის დამყარების ინსტრუმენტს, მეორე მხრივ, კი სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს ელემენტს.*


ტერმინი ,,საერთაშორისო ურთიერთობები", წარმოადგენს ქართულ ექვივალენტს ტერმინისა ,,International Relations", რომელიც პირველად XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე გამოიყენა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯერემი ბენთამმა. აღნიშნული ტერმინის ამ პერიოდში გამოჩენა შემთხვევით არ მომხადარა, რადგან თვითონ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნა, საერთაშორისო ურთიერთობების ფენომენის ევოლუციის მნიშვნელოვან ეტაპად იქცა. ამ დროს, დასავლეთ ევროპაში, საბოლოოდ ჩამოყალიბდა სუვერენული ეროვნული სახელმწიფოების სისტემა. თუ ნიდერლანდების, ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციებამდე და სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებამდე (აშშ-ს შექმნა, რისორჯიმენტო იტალიაში, გერმანიის გაერთიანება და ა. შ.), საგარეო პოლიტიკას ერთპიროვნულად მონარქი და მასთან დაახლოებული ადამიანების ვიწრო წრე განსაზღვრავდა. უკვე ამ რევოლუციების შემდეგ, ევროპაში თანდათა-

ნობით „ერი-სახელმწიფოების ფორმირების პროცესი იწყება, სადაც საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში დიდი როლის თამაშს ხალხი და მის მიერ სახელმწიფოს მმართველ სტრუქტურებში დელეგირებული პოლიტიკოსები იწყებენ: „სწორედ ამ პერიოდში, გაფორმდა საერთაშორისო ურთიერთობების ის მოდელი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეტალონად ითვლებოდა. მის თანახმად, თითოეული ქვეყნის სამოქალქო საზოგადოება, სახელმწიფოს ეროვნული უშიშროებისა და საგარეო პოლიტიკის წარმოების საკითხებში, მთელ უფლებამოსილებას გადაცემდა. მის შესაბამისად, ერთი სახელმწიფოს მთავრობა, მეორე სახელმწიფოს მთავრობასთან ოფიციალურ ურთიერთობებს ამყარებდა. სწორედ მის წიაღში ხდებოდა, არა მარტო სახელმწიფოთა სტრუქტურებს, არამედ, ამ ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების სხვასხვა სუბიექტებს შორის კავშირების დამყარება" [1. Introduction to International Relations,http://eprints.covenantuniversity.edu.ng/3255/1/Folarin%2015.pdf].

ამასთან ერთად, სახელმწიფოს შუამავლობის გარეშე დამყარებული კერძო კავშირები მუდამ არსებობდნენ, მაგრამ ტრანსმაგისტრალური და საინფორმაციო კომუნიკაციების განუვითარებლობა, ამგვარი კავშირების შესაძლებლობას ძლიერ აფერხებდა. დიდი მანძილები დიდ დროსა და რესურსებს მოითხოვდა. კერძო სუბიექტები, სახელმწიფოსაგან განსხვავებით, არ ფლობდნენ სრულფასონი კავშირებისათვის საჭირო ფინანსურ, მატერიალურ თუ სხვა საშუალებებს. სწორედ ამის გამო, სახელმწიფოს მიერ მოხდა საგარეო პოლიტიკის სფეროს მონოპოლიზაცია და დიდი ხნის განმავლობაში ის წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთ აქტორს (აქტორი - საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი, მონაწილე). სოციალური სფეროს განვითარება, სატრანსპორტო და საკომუნაკაციო სფეროების პროგრესი პოლიტიკაზეც აისახა. კერძო სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირების რიცხვმა სწრაფი ტემპებით იმატა: „სახელმწიფოს უკვე აღარ შეეძლო და აღარც სურდა მათი სრულად გაკონტროლება. მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა და როლი, რომლებიც სახელმწიფოების მსგავსად იქცნენ საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებად" [2. M. Cox and R. Campanaro, Introduction to international relations: undergraduate study in economics, management, finance and the social sciences, London, 2016, https://london.ac.uk/sites/default/files/study-guides/ir1011-introduction-international-relations-study-guide.pdf].

ამ პროცესებმა, ზოგიერთ სპეციალისტს მისცა საშუალება ესაუბრათ, საერთაშორისო ურთიერთობების (International Relations), ტრანსნაციონალურ ურთიერთობებზე (Transnational Relations) გადასვლისა და თვით „სახელმწიფოს კვდომის" თაობაზე. მათი წარმოდგენით: „ახალი ტიპის ურთიერთობებზე გადასვლა, ჯერ კიდევ არ მომხდარა და მისი ტენდენცია თავდაპირველად თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად ყველაზე მეტად განვითარებულ ნაწილში გამოიკვეთება. მაგრამ ეს ტენდენცია ობიექტურად დეტერმინირებულია და ის სრულიად ახალი ტიპის, ორი-საუკუნის მანძილზე გაბატონებული საერთაშორისო ურთიერთობებისაგან განსხვავებულ „საერთაშორისო ურთიერთო-

ბებს" ჩამოაყალიბებს [3. Linklater, A. The Transformation of Political Community Cambridge, 1998,https://books.google.com.ua/books?id=fGbb2hRLWdsC&printsec=frontcover&hl=ru#v=onepage&q&f=false]

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საერთაშორისო ურთიერთობები მიეკუთვნება ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკს. საერთაშორისო ურთიერთობები მულტიდისციპლინარული სფეროა: ,, საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლა მოითხოვს ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის, გეოგრაფიის, დიპლომატიის, დემოგრაფიის, საერთაშორისო სამართლის, ეთიკის, აგრეთვე ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების ცოდნას. ამის მიზეზი იყო, რომ თითქმის 50-იანი წლების მიწურულამდე გრძელდებოდა დავა, ეღიარებინათ საერთაშორისო ურთიერთობები როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, თუ მისი "ენციკლოპედიურობისა" და დისციპლინათაშორისი ხასიათის გამო იგი რამდენიმე დისციპლინად "დაენაწილებინათ". [4. ალ. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები. თბ. 2002, გვ. 18].

საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა და მისი კვლევა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, პირველ ანალიტიკური ცენტრად ითვლება, 1831 წელს ჩამოყალიბებული, ბრიტანეთის სამეფოს საერთოსაჯარისო ინსტიტუტი (Royal United Services Institute). XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ინსტიტუტის გავლენა, სამხედრო და საგარეო პოლიტიკის სფეროში, სხვადასხვა სახის გამოკვლევების წყალობით (მოდელირება, პროგნოზირება, რეკომენდაციები) იზრდება. აღსანიშნავია, რომ დღეს, სხვადასხვა ქვეყნებში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ოფიციალურ საექსპერტო მომსახურეობას უწევენ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, სწორედ ანალოგიური საქმიანობით არიან დაკავებულები. ხშირად მათ, სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტებსაც უწოდებენ.

XIX საუკუნის 90-იან წლებიდან, დიპლომატია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, რადიკალური კუთხით და ძირითადად ტრადიციული კონცეფციების საფუძველზე აფასებს: ,,საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის მიზანია შეისწავლოს სხვადასხვა სახელმწიფოების ურთიერთობების ფართო სპექტრი. განსხვავებული კონცეფციების გამოყენებით გააკეთოს შედეგებზე ორიენტირებული დასკვნები. დღეს, საერთაშორისო ურთიერთობების დისცილინის უმთავრესი ამოცანაა, გლობალიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში, შეიმუშაოს ახალი კონცეფტუალური პარადიგმები, რომლებიც თავის ასახვს პოვებენ თანამედროვე, სწრაფად ცვალებად მსოფლიო პოლიტიკაში." [5, Ch. Brown with K. Ainley, Understanding International Relations, London, 2005, გვ. 12]

აშშ-ში საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პირველი ანალიტიკური ცენტრი გახდა, 1910 წელს შექმნილი, მსოფლიო პრობლემების შემწავლელი კარნეგის ცენტრი. ის ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე იკვლევდა ომისა და მშვიდობის პრობლემებს, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მიზეზებს: ,, XX საუკუნის დასაწყისში, ამერიკის ინტელექტუალურ წრეებში, უფრო მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების მიღწევის გზების მოძებნისა და ამ მიმართულებით, პოლიტიკოსებისთვის დახმარების გაწევის სურვილი გაბა-

ტონდა” [6. http://nicbar.ru/politology/study/kurs-vvedenie-v-spetsialnost]. ამ წრეების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, იმ დროს ჯერ კიდევ პრისტონის უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი პოლიტოლოგი, ხოლო შემდეგ უკვე აშშ-ს პრეზიდენტი, კონფლიქტებისა და ომების თავიდან აცილების მიზნით ჩამოყალიბებული, პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის - ერთა ლიგის ფუძემდებელი - ვუდრო ვილსონი.

აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომამდე საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა არ არსებობდა და მის ფუნქციებს ძირითადად სამართალი და ისტორია ითვისებდა: ,,საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა, ფაქტობრივად, ამ საუკუნეში შეიქმნა და განვითარდა. როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, რომელიც ისტორიისა და სამართლის წიაღიდან გამოვიდა, საერთაშორისო ურთიერთობები მიმდინარე საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა. ამ დისციპლინის გამოჩენას უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებში ბიძგი მისცა პირველმა მსოფლიო ომმა და 30-იან და 40-იან წლებში დატრიალებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა. საერთაშორისო ურთიერთობათა პირველი კათედრა შეიქმნა 1919 წელს უელსის საუნივერსიტეტო კოლეჯში (აბერისთვითი, დიდი ბრიტანეთი). საყურადღებოა, რომ კათედრის მოწყობისათვის ფული გაიღო სპონსორმა, ერთმა უელსელმა მეწარმემ. მან კათედრის გახსნის მიზნად გამოაცხადა სამართლისა და პოლიტიკის, ეთიკისა და ეკონომიკის იმ ურთიერთდაკავშირებული პროგრამების შესწავლა, რომლებიც დღის წესრიგში დააყენა ერთა ლიგის შექმნამ. სულ მალე საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრები შეიქმნა აგრეთვე ლონდონის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) და კოლამბიის უნივერსიტეტში (ნიუ-იორკი, აშშ)” [4]. იმავე 1919 წელს აშშ-ში, ჯორჯსტაუნის უნივერსიტეტში (ვაშინგტონი), პროფესიონალი დიპლომატების მომზადების მიზნით, დიპლომატიური სამსახურის სკოლა შეიქმნა, რომელიც აშშ-ში პირველი საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტად იქცა. 1927 წელს ჟენევაში ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების უმაღლესი ინსტიტუტი - პირველი ინსტიტუტი, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლით იყო დაკავებული და ამზადებდა დიპლომატიურ კადრებს ერთა ლიგისთვის. სპეციალიზირებული სამეცნიერო-საკვლევი თუ სასწავლო ინსტიტუტების ჩამოყალიბების მიუხედავად, არც უნივერსიტეტებში და არც ფართო ინტელექტუალურ წრეებში საერთაშორისო მოვლენების და მათთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა არ იყო ორგანიზებული. ომი სამხედროების საქმედ იყო მიჩნეული, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკა – დიპლომატების ასპარეზად.

XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა პოლიტიკური მეცნიერების წიაღში ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, დასავლეთ ევროპული პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ფარგლებში აღმოცენდა, მისი დამოუკიდებელ დისციპლინად კონსტრუირება აშშ-ში მოხდა. სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში ხანგრძლივი დროით ამერიკული სკოლის დომინირება: ,,თვით საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ძირითადი მი-

მართულებების დასახელება (იდეალიზმი, რეალიზმი, ნეოლიბერალიზმი, ნეორეალიზმი), ამერიკულ ნიადაგზე აღმოცენდა. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის სფეროში, თითქმის ყველა ავტორიტეტული სპეციალისტი - ჰ. მორგენტაუ, ჯ. როზენაუ, ჯ. მოდელსკი, მ. კაპლანი, კ. დოიჩი, კ. უოლცი, რ. გილპინი, რ. კეოჰეინი, ჯ. ნაი და სხვები - ამერიკული პოლიტიკური სკოლის წარმომადგენლები არიან. თანდათანობით საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, როგორც სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა გავრცელდა დასავლეთ ევროპაში და სხვა რეგიონებში." [7. В. А. АЧКАСОВ, С. А. ЛАНЦОВ, МИРОВАЯ ПОЛИТИКА И МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ, М., 2011, გვ. 15].

მთლიანობაში, დასავლეთში საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებელი სფეროს ფორმირების პროცესი, მეორე მსოფლიო ომის დროს და მისი დამთავრებიდან, პირველ ათწლეულში სრულდება. სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა, შრომები, რომლებიც დღესაც კლასიკად ითვლებიან: ბრიტანელი ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის დ. მიტრანის ნაშრომი: „მოქმედი მსოფლიო სისტემა" (1943), ამერიკელი მკვლევარის, პოლიტიკური რეალიზმის ფუძემდებლის ჰ. მორგენტაუს მონოგრაფია: „ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის" (1948), ფრანგი პოლიტოლოგისა და ფილოსოფოსის, რ. არონის - „მშვიდობა და ომი ერებს შორის" (1962) და სხვ. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები უფრო დიდ ყურადღების შეიარაღებული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების, ერებს შორის დაპირისპირებების აღმოფხვრის საშუალებებისა და მსოფლიო პოლიტიკაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გამოკვლევას უთმობენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ახალი საერთაშორისო წესრიგი, რომელიც XX საუკუნის ბოლოს, ბიპოლარული სისტემის მსხვრევის შედეგად ჩამოყალიბდა (მხედველობაში გვაქვს საბჭოთა კავშირის დაშლა). ეს ნიშნავდა არა მარტო „ცივი ომის" დასასრულსა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობას პოსტ-საბჭოურ სივრცეზე, არამედ თვითონ საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი პროცესების დაწყებას. საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ფორმირებაში, დიდ როლს თამაშობენ პროფესიონალური ასოციაციები. 1949 წელს იუნესკოს ეგიდით დაფუძნდა პოლიტიკური მეცნიერებების საერთაშორისო ასოციაცია (nternational Political Science Association —IPSA). იქ გაერთიანებული მკვლევარი-პოლიტოლოგების ნაწილი დაკავებულია საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლით, მისი ანალიზით და პერსპექტიული კონცეფციების შემუშავებით.

საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას, არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც დამოუკიდებელი სპეციალობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1991 წლიდან არსებობს, როცა ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და მასთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა. ქართველი მეცნიერების მიერ გამოცემულია პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები (ა. რონდელის "სა-

ერთაშორისო ურთიერთობები", "პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში", ზ. დავითაშვილის "ნაციონალიზმი და გლობალიზაცია", "ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია", ს. კაპანაძის "ევროკავშირის პოლიტიკა", ე. აკობიას "საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები"), რამდენიმე მონოგრაფია, ასზე მეტი სტატია. ქართულად ითარგმნა რამდენიმე კლასიკური შრომა, გამოიცა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული შრომების ქრესტომათია და სხვ. დამყარებულია პირდაპირი კავშირები დასავლეთის მთელ რიგ უნივერსიტეტებთან. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება განვითარების კარგი პერსპექტივებით გამოირჩევა.

#### გამოყენებული ლიტერატურა


1. Introduction to International Relations, http://eprints.covenantuniversity.edu.ng/3255/ 1//Folarin%2015.pdf
2. M. Cox and R. Campanaro, Introduction to international relations: undergraduate study in economics, management, finance and the social sciences, London, 2016, https://london.ac.uk/sites/default/files/study-guides/ir1011-introduction-international-relations-study-guide.pdf
3. Linklater, A. The Transformation of Political Community Cambridge, 1998,https://books.google.com.ua/books?id=fGbb2hRLWdsC&printsec=frontcover&hl=ru#v=onepage&q&f=false
4. ალ. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები. თბ. 2002.
5. Ch. Brown with K. Ainley, Understanding International Relations, London, 2005.
6. http://nicbar.ru/politology/study/kurs-vvedenie-v-spetsialnost.
7. В. А. АЧКАСОВ, С. А. ЛАНЦОВ, МИРОВАЯ ПОЛИТИКА И МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ, М., 2011


## ФОРМИРОВАНИЕ ПРОЦЕССА ИССЛЕДОВАНИЙ МЕЖДУНАРОДНЫХ ОТНОШЕНИЙ КАК НАУЧНОЙ ДИСЦИПЛИНЫ


**Василий Перадзе**

Государственный Университет им. Ак. Тцеретели



**Резюме**

Комплекс социально-гуманитарных наук, изучающих мировые политические процессы, в качестве объекта исследования рассматривает общественные явления, которые в последнем столетии принято обозначать термином «международные отношения". Изучение и исследования международных отношений начались еще в XIX веке. Цель дисциплины международных отношений изучить широкий спектр отношений между разными государствами, место и роль международных организаций в системе международной и мировой политики. На основе различных концепций сделать ориентированные на результат выводы. Сегодня главная задача дисциплины международных отношений выработать новые концептуальные парадигмы. Процесс формирования международных отношений, как объекта исследования независимой научной дисциплины, практически заканчивается во время второй мировой войны и в первые десятилетия после его окончания.

# 8 ხელოვნება
# ARTS
# ИСКУСТВОВЕДЕНИЕ






## თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

თინათინ აფრიდონიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის სსიპ საჯარო სკოლა

E-mail: **tinatinafridonidze77@gmail.com**

*სასკოლო ცხოვრებაში სახვითი და გამო- ყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლების*

*პროცესში აუცილებელია განისაზღვროს პირობა, რომელიც ხელს შეუწყობს საგნის ათვისების სრულყოფას. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სასკოლო ცხოვრებაში შედეგის მომცემია მოსწავლეთა დონის და შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის. მათ ჩამოუყალიბდებათ დამოუკიდებელი აზროვნება, კრიტიკული, კვლევა-ძიების უნარები, შემოქმედებითი თვალთახედვა. ყოველივე ეს გაზრდის მოსწავლეთა ინტერეს საგნის სწავლის მიმართ.*

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება ზოგადსაგანმანეთლებლო სკოლაში მოზარდს ექსპერიმენტებისა და საკუთარი ხელით საქმის კეთების (შემოქმედებითი პრაქტიკის) უნიკალურ შესაძლებლობას უხსნის. ცნობილია, რომ ადამიანების აბსოლიტურ უმრავლესობა უკეთ აღიქვამს ინფორმაციას, ვიდრე სმენით. ეს ფაქტი განაპირობებს თვალსაჩინოების მნიშვნელოვან როლს სასწავლო პროცესში.

მიმდინარე ინტენსიურმა კვლევებმა მეცნიერულად დაასაბუთეს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონცეფციის უპირატესობა დინამიური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისთვის. პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონცეფცია ხელს უწყობს ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს.

პიროვნების აღზრდა და ჰარმონიული განვითარება კი შეუძლებელია ხელოვნებასთან მისი ზიარების გარეშე. ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესწავლა მოზარდს მხოლოდ აღქმას, წარმოსახვის უნარს, შემოქმედებით აზროვნებას აჩვევს, ვინაიდან ფანტაზია და წარმოსახვის უნარი სასიცოცხლო მნიშვნელოვანი თვისებებია 21-ე საუკუნის ადამიანისთვის.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლებამ სკოლის სამივე საფეხურზე უნდა უზრუნველყოს მოზარდის მიერ საგანმანათლებლო და შემოქმედებითი დისციპლინების მიმართ გააზრებული და შემოქმედებითი მიდგომა. გამოუმუშავდეს ზოგადად სწავლა-სწავლების უნარი. საგაკვეთილო პროცესში კომპიუტერის და ინტერნეტის ( ან თუნდაც ინტერნეტიდან გადმოწერილი და შექმნილი რესურსით) გამოყენებით ახალი მასალის ახსნა და მიტანა მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესოა. თვალსაჩინოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახვით და გამოყენებით გაკვეთილზე. ახალი მასალის ახსნა და გააზრება უფრო საინტერესოა მოსწავლეთათვის. ისინი უფრო აქტიურდებიან და დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ-ერთი გაკვეთილის თემას ,,ავტოპორტრეტი." ეს თემა ისწავლება 7, 8, 9-კლასებში. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი თავს არიდებს პრაქტიკული დავალების შესრულებას. ეს თემა საინტერესო რომ ყოფილიყო შემდეგნაირად დავგეგმეთ გაკვეთილი, თანაც გაკვეთილზე გამოვიყენეთ თანამედროვე ტექნოლოგიები.

გაკვეთილის თემა: ,,ავტოპორტრეტი."

კლასი: 9

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა განიხილონ სხვადასხვა ეპოქისა და სტილის პორტრეტები, თავადაც შექმნან პორტრეტი და ავტოპორტრეტი.

გადმოსცენ ნამუშევარში ხასიათი, დეტალები, გაითვალისწინონ მასალის თავისებურებები და შესაძლებლობები.

რესურსი: კომპიუტერი, ინტერნეტი, სახატავი ფურცლები, ფანქრები, საშლელი, პასტელი, გუაში, ფუნჯები.

აქტივობა(1).

კითხვა-პასუხი.

აქვთ თუ არა ფეისბუქზე საკუთარი ფოტო? რატომ შეარჩიეს ის ფოტო მაინცდამაინც? რატომ არის რომ ზოგიერთ ადმიანს არ უდევს საკუთარი ფოტო და უდევს რომელიმე მსახიობის, მომღერლის ან კიდევ არავის ფოტო არ უდევს? ყოველივე ეს ხომ არ ნიშნავს რომ მათ არ მოსწონთ საკუთარი თავი, ან უკეთესი კუთხით უნდა წაროჩინდეს? გაიმართება დისკუსია ამ თემაზე.

მსჯელობის დროს მოსწავლეები გაიხსენებენ განვლილ მასალას, რომ პორტრეტები სხვადასხვა მიზნით რომ იხატებოდა ( ავტოპორტრეტი, ჯგუფური).

კომპიუტერის საშუალებით მოსწავლეებს ვუჩვენებთ ფაიუმის ოაზისში აღმოჩენილი ადამიანების პორტრეტებს. განვიხილავთ თითოეულ მათგანს და დავსვამთ შეკითხვებს, რომლებზეც ინდივიდუალურად უპასუხებენ მოსწავლეები, საკუთარი არგუმენტირებული პასუხებით.

ინტერნეტ რესურსი:

ფაიუმის პორტრეტების შესახებ.

https://www.google.ge/search?q=%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&oq=%E1%83%A4%E1%83%90&aqs=chrome.1.69i57j35i39j0l4.5007j0j1&sourceid=chrome&ie=UTF-8

აქტივობა(2).

მოსწავლეებს ვუჩვენებთ პაბლო პიკასოს სხვადასხვა დროს და შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში შესრულებულ ავტოპორტრეტებს. მოსწავლეები იმსჯელებენ რა მასალაშია შესრულებული, სტილზე, მანერაზე, ტექნიკაზე, გადმოცემულ განწყობაზე, ხასიათის ნიშნებზე, დეტალებზე და ა.შ.

ინტერნეტ რესურსი:

პაბლო პიკასოს სხვადასხვა დროს შესრულებული ავტოპორტრეტები.

https://www.google.ge/search?q=%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D+%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D&oq=%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D&aqs=chrome.1.69i57j0.11495j0j1&sourceid=chrome&ie=UTF-8

აქტივობა(3).

პრაქტიკული მუშაობა.

მოსწავლეებს ეძლევათ შემდეგი დავალება: ინდივიდუალურად დახატონ ავტოპორტრეტი, რომელსაც ფეისბუქის ,,პროფაილის" სურათად გამოიყენებდნენ. ნამუშევარი შეასრულონ სხვადასხვა მასალით (ფანქარი, გუაში, პასტელი). შეეცადონ მაქსიმალურად გადმოსცენ სახასიათო დეტალები( როგორ უნდათ რომ გარშემომყოფნი ხედავდნენ მათ).

აქრივობა(4).

პრეზენტაცია.

მუშაობის დასრულების შემდგომ მოსწავლეები წყვილებში განიხილავენ ერთმანეთის ავტოპორტრეტებს და წარადგენენ კლასის წინაშე. თან გასცემენ შემდეგ კითხვებს პასუხს:

_ ვინ არის გამოსახული ავტოპორტრეტზე?

_ რამდენი წლისაა?

_ რა ფონზეა გამოსახული?

_ რაზე მეტყველეს ავტოპორტრეტი?

_ რით არის საინტერესო?

_ რა ემოციას ასახავს მისი სახე?

_ სახვითი ხელოვნების რომელი პრინციპებია გამოყენებული?

აქტივობა(5).

შეჯამება.

მოსწავლეები შეაჯამებენ საგაკვეთილო პროცეს, რისი მომცემი იყო ეს საგაკვეთილო პროცესი და რამდენად საინტერესო.

შედეგი:

მოსწავლეებს შეუძლიათ მსჯელობის, ანალიზის უნარი დასმულ საკითხთან. აქვთ თავიანთი თვალთახედვა შემოქმედებით საქმიანობაში. შეუძლიათ გამოსახონ ადამიანის ფიგურა ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.

შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა უფრო გააღრმავებს საგნის მიმართ სწავლას და ინტერესს. მოსწავლეები უფრო მეტად გამოამჟღავნებენ შემოქმედებითობას და კვლევის უნარებს. მათი ინტერესი გაიზრდება და აქტიურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გაზეთი ,,დიალოგი".2012 წელი
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 სასწავლო წელი.
3. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი-ბუბა ოჩაური.თბ.2015წელი
4. თავზირიშვილი. ა. სახალხო განათლების და პედაგოგიური აზროვნების ისტორია.თბ.2012
5. https://www.google.ge/search?q=%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&oq=%E1%83%A4%E1%83%90&aqs=chrome.1.69i57j35i39j0l4.5007j0j1&sourceid=chrome&ie=UTF-8


**INTRODUCTION OF THE MODERN TECHNOLOGIES IN FINE AND APPLIED ART**


**Tinatin Apridonidze**

Public School of village Chognari in Terjola municipality



**Summary**

In the process of studying and teaching the fine and applied art in school life, it is necessary to define a condition that will help to improve the learning of the subject. The introduction of the modern technology in school life gives the result of improving the level of students and opportunities. They will develop independent thinking, critical, research-oriented skills and creative standpoints. All the abovementioned will increase interests of students to learning the subject.

# მოტივაციის ამაღლება სწავლა-კეთების დროს ისტორიაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ინტეგრირების შედეგად

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲐᲤᲠᲘᲓᲝᲜᲘᲫᲔ თერჯოლის მუნიციპალიტეტის
სოფელ ჭოგნარის სსიპ საჯარო სკოლა
E-mail: tinatinafridonidze77@gmail.com

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲐᲤᲠᲘᲓᲝᲜᲘᲫᲔ ქ. ქუთასის ი. ოცხელის სახ. N2 საჯარო სკოლა
E-mail: khatunaafridonize@gmail.com

*სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისათვის სასარგებლოსთან ერთად, ძალიან საინტერესოცაა, განსასკუთრებისთ დაწყებით საფეხურზე, სადაც სრულფასოვან საგნობრივ სწავლებას სკლების უმეტესობა მე-5 კლასიდან იწყებს.უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირება სწავლების სინთეზური აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალება. გარდა ამისა, ინტეგრირებული გაკვეთილი მასწავლებლის პორთფოლიოს მნიშვნელოვანი ნაწილია. სასწავლო საგნების მთავარი შემაკავშირებელი რგოლი გაკვეთილის თემა გახლავთ.პედაგოგთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოებში იშვიათად მოიძებნება ისეთი საკითხი, რომელიც მის მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას იძლევა.თუნცა არსებობენ ერთგვარი ,,მონათესვე" საგნები, რომელიც თემატური თვასაზრისით ხშირად გადაიკვეთებიან.*

უკანასკნელ წლებში სკოლებში აქტიური გახდა ინტეგრირებული გაკვეთილები და არაერთი პედაგოგი მიმართავს სწავლების პროცესში ამ მეთოდს. საყურადღებოა ისევე,როგორც სხვა ტიპის გაკვეთილები, ინტეგრირებული გაკვეთილიც, მისი მომზადება და ჩატარება მოითხოვს განსახღვრული პრინციპების დაცვას საურველიე ფექტის მისარებად და დასახული მიზნის მისაღწევად.

ისმება კითხვა მაინც რა არის ინტეგრირებული გაკვეთილი, რა საჭიროა მისი გამოყენება სწავლის პროცესში და რა უნდა გავითვალისწინო ასეთი გაკვეთილის მომზადებისას და ჩატარების პროცესში? ვფიქრობ ეს ის კითხვების რომელზეც პასუხი ბევრი პედაგოგისათვის საყურადღებო და გასათვალისწინებელი იქნება.

მინდა შემოგთავაზოთ ინტეგრირებული გაკვეთილი ჩვენი საქართველოსა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში კლასი V. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებისათვის სახვით და გამოყენებით ხელოვნების სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კეთებით სწავლას,ამიტომ გადავწყვიტეთ დავაკავშიროთ ჩვენ საქართელოში ნასწავლი მასალა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ნასწავლი მასალა ერთმანეთს.

გაკვეთილის თემა: ,,საქართველოს კუთხეები".

მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა შესატყვისაი გარემოს შექმნა, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების მოფიქრება და მომზადება.

რესურსი შესაძლებელია შეირჩეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საჭიროება
- ხელმისაწვდომობა
- შენახვის უზრუნველყოფა
- დახმარება

რესურსის შექმნამდე მასწავლებელმა

უნდა განსაძღვროს:

- რა არის მის მიერ მოფიქრებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას.
- რა არის მის მიერ მოფიქრებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების საფუძველზე სწავლას (სწავლა კეთებით).
- შეუწყობს თუ არა ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრებას-გაგებას.

მაწავლებელი ამოწმებს როგორ აითვისეს მოსწავლეებმა ახსნილი მასალა და როგორ გამოიყენეს ეს ცოდნა პრაქტიკულად. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი თანაბარი ვერ იქნება, მაგრამ თუ მოსწავლე ახერხებს გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის რაიმე სახით დემონსტრირებას, თუნდაც სიტყვიერი კომენტარით, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მიზანი მიღწეულია.

მოსწავლეთა მოტივირებას ხელს უწყობს ხელოვნების უკიდეგანო საგანძურში ,,აღმოჩენილი" შედევრების შესწავლა და ,,მიმბაძველობის" მცდელობა, რაც მყარი ნაბიჯია თვითუაქტუალიზაციისა და თვითრეალიზაციისაკენ.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე იცნობდეს თავის საცხოვრებელ გარემოს, საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს, მის მრავალფეროვან კულტურას, ბუნებრივ პირობებს, ბუნებრივ რესურსებსა და ეკონომიკის გავრცელებულ დარგებს, შემოქმედებითი აზროვნების, პრეზენტაციისა და სოციალური უნარების განვითარება.

V კლასში ,, ჩვენი საქართველო"-ს შესწავლისას მოსწავლეები სწავლობენ საქართველოს კუთხეებს მიღებულ თეორიულ ცოდნას, კარგია თუ გადავატანინებთ. დიორამებში.

სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მიღებული ცოდნა და გამოცდილებას მოსწავლეები იყენებენ სხვა საგნებშიც. მაგალითად V კლასში ,,ჩვენი საქართველოს" შესწავლის დროს მოსწავლეები შესძლებენ გრაფიკულად დახატონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები . მასწავლებლის მითითებით ისინი შესძლებენ სხვადასხვა ტიპის არქიტექტურული ძეგლების დახატვას, ბუნების პეიზაჟის, დიორამებში გამოსახვას. გაამახვილებენ ყურადღებას ჩაცმის სტილზე ან რაიმე ტრადიციაზეც.

მოსწავლეებს ასეთი დავალება მოსწონთ და დიდი ხალისით ქმნიან მას. ისინი ყოველთვის ცდილობენ კარგად წაროაჩინონ თავიანთი დავალება. არის მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ვერ ახერხებს, მაგრამ მცირე გრაფიკული ხაზებით გამოსახავენ ფიგურებს, მაგრამ პრეზენტაციიც დროს შეუძლიათ ისაუბრონ თავიანთ შემოქმედებით ნამუშევარზე. მნიშვნელოვანია როგორც ნამუშევარი ასევე მისი აღწერა და გადმოცემა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლის დროს მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული მუშაობის შესწავლა. მათი დაუფლებით მოსწავლეები აქტიურად იყენებენ სხვა საგნების შესწავლის დროს გადაიტანონ არსებული ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა ტიპის დავალების შესრულების დროს, რითაც მათ დროდადრო გამოუმუშავდებათ შემოქმედებითობის და ფანტაზიის უნარი.

გაკვეთილის მსვლელობა:

პირველი აქტივობაში დავსვი კითხვები: სად მდებარეობს საქართველო? რომელი სახელმწიფოები ესაზღვრება მას? რა ჰყოფს ერთმანეთისაგან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს? როგორია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჰავა? რო-

გორია საქართველოს რელიეფი? რამდენი ისტორიული მხარე მდებარეობს საქართველოში?, რომელზეც მოსწავლეებმა ინდივიდუალურად გასცეს სრულყოფილი

მეორე აქტივობაში კლასი დავყავი ჯგუფებად. მოსწავლეებს შევთავაზე, აერჩიათ ნებისმიერი საქართველოს კუთხებიდან ერთ ერთი და შეექმნათ დიორამა. დიორამის შექნაში აუცილებლად დაეხმარებათ სახვითი და გამოყენებით ხელოვნების გაკვეთიზე შეძენილი უნარები. პრეზენტაციის დროს ვთხოვე აღეწერათ ჯგუფის მიერ შექმნილი დიორამა, ყურადღება გაემახვილებინათ მნიშვნელოვან დეტალებზე, ემსჯელათ, თუ რატომ დაამზადეს კომპოზიციის შესაქმნელად ესა თუ ის კონკრეტული საგანი, მოემზადებინათ და წარმოედგინათ პრეზენტაცია ამ კუთხის შესახებ. მოსწავლეებმა სურვილისამებრ, შეარჩიეს თითო კუთხის დიორამა და წარმოადგინეს პრეზენტაცია,რომელშიც თითოეული ჯგუფის ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას. მათ დაახასიათეს წარმოდგენილი კუთხე, აღწერეს ამ კუთხის ბუნებრივი პირობები, წარმოჩინეს ღირსშესანიშნაობები, დაასახელეს დიორამის შექმნისათვის გამოყენებული რესურსები.

მესამე აქტივობაში ჯგუფებს დავურიგე სხვადასხვა რესურსი: ფერადი ფანქრები და ფურცლები, პლასტელინი, მაკრატელი, წებო, მუყაო, საღებავები, კინეტიკური ქვიშა, მძივები და სხვა. მივეცი დავალება, 18 ისტორიული კუთხიდან აერჩიათ მათთვის სასურველი კუთხე და დაემზადებინათ მისთვის ნიშანდობლივი რაიმე სიმბოლო. მოსწავლეთათვის ეს აქტივობა აღმოჩნდა განსაკუთრებით სახალისო და საინტერესო. რეგლამენტის ფარგლებში წარმოადგინეს შექმნილი სიმბოლოები და გაამდიდრეს დიორამები: აჭარისათვის დაამზადეს აჭარული ხაჭაპურის მაკეტი, ხევსურეთისათვის შექმნეს ფარი და ხმალი, იმერეთისათვის – კოლხური თეთრის მონეტები, სვანეთისათვის – სვანური ქუდი და აფხაზეთისათვის პლაკატი – ,,აფხაზეთი საქართველოა" და ა.შ.

ვფიქრობ, მსგავს თემებზე ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებისას მოსწავლეებს მიღებული გამოცდილება დაეხმარება, რომ დიორამები შექმნან ინდივიდუალურადაც და თან საგაკვეთილო პროცესშივე, რაც გაკვეთილს უფრო საინტერესოს და სახალისოს გახდის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.ეკატერინე წიღვავა ,,სახითი და გამოყენებითი ხელოვნების ექსპერტი.თბ. 2016 წელი
2.https://www.google.ge/search?q=ჩვენი+საქართველო&rlz=1C1CHFX_enGE678GE780&biw=1920&bih=984&tbm=isch&source=iu&ictx=1&fir=c2GVXE4GB6SunM%253A%252C1TOkBIWT7LcZEM%252C_&usg=__ZXTqGuHM2iF-QnhV5esLfv3RQ8nM%3D&sa=X&ved=0ah
3. ჟურნალი ,,მასწავლებელი" 2016 წ 15 თებერვალი
4. ინასარიძე მ. ლობჟანიძე (2016 წ) - მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი (II ნაწილი) - თბილისი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (გვ.13-17);
5. http://elibrary.emis.ge/uploads/other/116.pdf

## INCREASING MOTIVATION IN THE HISTORY AND IMITATIVE AND APPLIED ART OWING TO INTEGRATION

**Tinatin Apridonidze**
Public School of village Chognari in Terjola municipality
**Khatuna Apridonidze**

St. Kutas i. Otskheli st. N2 Public School

**Summary**

Integration of subjects is essential in the learning and teaching process. The student is given the opportunity to transmit his knowledge, to connect the knowledge of one subject with the other one. The issue we have chosen is very interesting. Learning increases motivation in pupils, goal attainment of the lesson is no longer difficult in the process of the lesson. The students endeavour to do the job and make an interesting presentation, all the above mentioned teaches the students reason-why discussion, supports the decision and develops skills of cooperation. In the course of this integrated lesson, each student had the opportunity to present their possibilities. Teaching with diorama should make our lesson pleasant and interesting.

# პედაგოგიკა, როგორც ხელოვნება დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში

სოფიო ფანჩულიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**E-mail:** **sopio.panchulidze@mail.ru**

*პედაგოგიური მეცნიერების საყოველთაო ხასიათი ქმნიდა იმის ილუზიას, რომ პედაგოგიკა მეცნიერება კი არაა, საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა, რომელიც უფრო მეტად ხელოვნებას ემსგავსება. არადა, პედაგოგიკა მეცნიერებაა და მას საამისოდ ყველა ნიშანთვისება გააჩნია. იგი დამოუკიდებელი მეცნიერებაა და აქვს საკუთარი კვლევის საგანი და კვლევის მეთოდები. ხელოვნება კი სწავლებისა და აღზრდის პროცესია.*

*ამდენად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მრავალფეროვან სისტემაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს პედაგოგიკას, როგორც მეცნიერებას, მოზარდი თაობის აღზრდის შესახებ. დიდი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის აზრით, მასწავლებელი "დაყენებულია ისეთ უაღრესად საპატიო პოსტზე, ჩაბარებული აქვს ისეთი ყველაზე საუკეთესო თანამდებობა, რომელზე მაღალი არაფერი შეიძლება იყოს ამ მზის ქვეშ», პედაგოგი შეუძლებელია აღწევდეს სასურველ შედეგს, თუ ის არ არის დაუფლებული ამ ურთულეს მეცნიერებას.*

ორიგინალური შეხედულებები გამოთქვა დიმიტრი უზნაძემ პედაგოგიკის, როგორც ხელოვნების შესახებ. თეორიული და პრაქტიკული პედაგოგიკის კანონების და ნორმების განხორციელება დამოკიდებულია აღზრდისა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის – მასწავლებლის ნიჭზე. "პედაგოგიკა, როგორც პრაქტიკა, წერს დიმიტრი უზნაძე, ეჭვგარეშეა, მჭიდროდ არის დაკავშირებული თეორიულ პედაგოგიკასთან. მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა ჩვენთვის, რომ ეს მჭიდრო კავშირი აუცილებლობის სახეს ატარებს".[8]

დიმიტრი უზნაძის აზრით, პედაგოგიურ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეორიულ ცოდნასთან ერთად მასწავლებლის პედაგოგიურ ნიჭს, მის პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას. სავსებით გასაზიარებელია დიდი პედაგოგის აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან მისი სიტყვებით, რომ ვთქვათ: "დღევანდელი ჩვენი ცხოვრების პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით ისეთ მოვლენებს, რომელნიც საუკეთესოდ ამტკიცებენ იმ დებულებას, რომელზედაც ჩვენ ახლა ვმსჯელობთ. ხშირი არის ისეთი მოვლენა, როდესაც ერთი რომელიმე აღმზრდელი თითქმის ყველა თა-

---

[8] უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი, გვ.24, თბილისი 2005

ვის შეგირდს ისეთი ძლიერებით გაიტაცებს, რომ მისი მზანი იმ ჩრდილოეთის როლს თამაშობს, რომელიც მოზარდი თაობის მთელი არსების მაგნიურ ისარს თავისკენ მიმართავს. მეორე აღმზრდელი კი უფრო მეტი გამოცდილებით, უფრო მეტი თეორიული ცოდნით არის აღჭურვილი, მაგრამ მისი გავლენა საკუთარ შეგირდებზე ნულს უდრის".[9]

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აღმზრდელმა შეიძლება ზედმიწევნით კარგად იცოდეს საგანი და მისი სწავლების მეთოდიკა, იცოდეს როგორ უნდა აღზარდოს ბავშვი, მუშაობაში გამოიჩინოს დიდი მონდომება და მაინც იყოს სუსტი აღმზრდელი. სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკით შემოწმებულმა რომელიმე მეთოდმა ან ხერხმა მის ხელში ვერ მოგვცეს სრულყოფილი შედეგი. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი პიროვნული თვისებითაა აღჭურვილი თვით აღმზრდელი.

დიმიტრი უზნაძის შეხედულებით პიროვნების ყველა საუკეთესო თვისება თავმოყრილი უნდა იყოს აღმზრდელში, რამეთუ იგი მოწოდებულია გაუგოს სხვას და ზემოქმედება მოახდინოს მასზე. ყოველმა აღმზრდელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ პირველ რიგში თავის თავში აღზარდოს ყველა ის თვისება, რომელიც მას სურს აღზარდოს თავის აღსაზრდელებში.

პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების საგანი- აღზრდაა. აღზრდის პროცესი კი, როგორც უზნაძე აღნიშნავს, განსაკუთრებული თვისებების მატარებელია. მას ადამიანთან აქვს საქმე. "მისი მიზანი ადამიანის ბუნების სასურველ ფორმებში ჩამოსხმა წარმოადგენს". რაც არის სწორედ პედაგოგიური ხელოვნება, როდესაც "აღმზრდელი აღსაზრდელის მთელ ნებისყოფას თავის ნებით დაუქვემდებარებს, როდესაც იგი მას იმგვარად გაიტაცებს, რომ თვის სურვილებს და გრძნობებს მის სურვილებად და გრძნობებად აქცევს".[10] ასეთი ნიჭის მქონე ადამიანის არსებობა დიმიტრი უზნაძეს პრობლემურად მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ "მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს "ნიჭთა სისტემაში" და მაშასადამე მხოლოდ რჩეულთა ხვედრს შეადგენს.[11] ამიტომაც არის, რომ ნამდვილი აღმზრდელი ერთხელაც არ გადადგამს ცრუ ნაბიჯს და მუდამ, თითქოს წინდაწინვე გამოანგარიშებულ ცვლილებას ახდენს აღსაზრდელის სულიერ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე დიმიტრი უზნაძე ასკვნის, რომ პედაგოგიკა უმთავრესად ხელოვნებას წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ზოგ ინდივიდს გააჩნია.

იქვე აღნიშნავს, რომ ამით ის სულაც არ აკნინებს პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების როლს. მისი აზრით, პედაგოგიკა ნამდვილად მეცნიერებაა, მას გააჩნია თავის კვლევის საგანი. მაგრამ პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებულ აღმზრდელთა რიცხვი განსაზღვრულია, ამიტომ, უზნაძის აზრით, "აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ მარტო ხელოვანი პედაგოგები კი არა, აღმზრდელი ხელოსანნიც",[12] თუმცა აღზრდა თავის მიზანს ვერ მიაღწევს, თუ იგი თავის აღსაზრდელის ბუნე-

---

9 უზნაძე დ. პედაგოგიური თხზულებანი, გვ.24, თბილისი 2005

10 უზნაძე დ. პედაგოგიური თხზულებანი, გვ. 25, თბილისი 2005

11 უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი. გვ.25, თბილისი 2005

12 უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი. გვ.27, თბილისი 2005

ბას არ იცნობს. აქ აშკარად ჩანს, რომ ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებათა ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ აღმზრდელისათვის, "რომელიც ენერგიისა და დროის უბრალო ფლანგვის სურვილით არ არის გატაცებული".[13]

პედაგოგიკას, რომელსაც აქვს თავის კვლევის საგანი-აღზრდა, მას, სხვა მეცნერებათაგან განსხვავებით, აინტერსესებს, როგორც საკაცობრიო ცოდნის მემკვიდრეობითი ათვისების პროცესი, ამ ცოდნის გადაცემის მექანიზმების ფუნქციები. ის იკვლევს აღზრდის არსსა და კანონზომიერებებს, მის სტრუქტურას, ადგენს აღზრდის ზეგავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ქმნის სასწავლო აღმზრდელობითი საქმიანობის თეორიებს. ამ ამოცანათა გადაწყვეტაში იგი ეყრდნობა სხვადასხვა მეცნიერების მონაცემებს. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ პედაგოგიკა არის ინტეგრირებული მეცნიერება აღზრდისა და განათლების შესახებ.

ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით ამ შეხედულებას, მაგრამ, გარკვეულ წილად, არ შეგვიძლია უარვყოთ დიმიტრი უზნაძის აზრი პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების და როგორც ხელოვნების შესახებ. მიგვაჩნია, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერებათა, მეცნიერება მაგრამ იგი მაინც ხელოვნებად რჩება. რადგან აღზრდისა და სწავლების პროცესი არის ხელოვნება. ორივეს პედაგოგიკასა და ხელოვნებას ადამიანთა დიდ ჯგუფებთან აქვს ურთიერთობა. მათი ურთიერთობის მიზანი და მოტივი ერთნაირია-მოახდინონ ადამიანებზე ზემოქმედება ცოდნის გაფართოებისა და ზნეხასიათის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ამიტომ მასწავლებელი მარტო ოსტატი კი არა, ხელოვანიც უნდა იყოს.

განათლების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მასწავლებლის მიმართ პროფესიული მოთხოვნილების ზრდამ გააძლიერა პედაგოგის შემოქმედებითი ინდივიდუალურობის ჩამოყალიბების, მისი შემოქმედებითი უნარის რეალიზაციისა და საქმანობის ინდივიდუალური სტილის განვითარების საჭიროება. პედაგოგისათვის, როგორც შემოქმედი პიროვნებისათვის, აუცილებელია პედაგოგიური ლოგიკის დაუფლება, პედაგოგიური ინტუიციის განვითარება, იმპროვიზაციის უნარის გამომუშავება და ბოლოს, პედაგოგიური ხელოვნების ფლობა. მასწავლებლის ხელოვნებას დღეისათვის საკმარისი ყურადღება არ ექცევა. ქართველ მასწავლებელთა დიდი ნაწილი, ჩვენი აზრით, საბჭოთა პერიოდიდან გამოყოლილი ინერციის გამო, სათანადოდ არ აფასებს დიდაქტიკური ხელოვნების ფლობას სასწავლო პროცესის წარმართვის საქმეში. მასწავლებელთა დიდი ნაწილი სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მოდელის შესწავლის საჭიროებას ჯერ კიდევ ვერ ხედავს, ჯერ კიდევ არ იცის, რომ დღეს აუცილებელია სწავლებისა და აღზრდის პროცესის წარმართვის თანამედროვე ხელოვნების დაუფლება.

მასწავლებლის ხელოვნება მარტო სწავლების ხელოვნება როდია, არამედ, აღზრდის ხელოვნებაცაა. მასწავლებლის ხელოვნება არის მომადლებული და დაუღალავი შრომით განვითარებული უნარი აღსაზრდელებზე ისეთი შემოქმედებითი ზეგავლენის მოხდენისა, რაც დაფუძნებულია სწავლებისა და აღზრდის პრინციპების, სწავლებისა და აღზრდის მეთოდების კომპლექსურ გამოყენებაზე.

---

[13] უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი. გვ.28, თბილისი 2005

მასწავლებელი აღზრდას ახორციელებს, როგორც წესი, აღმზრდელობითი პროცესის შესაბამის გარემოში და გამომდინარე აქედან, თავად აღმზრდელობითი პროცესი არის აღმზრდელის პროფესიული აქტივობა, რომელიც შემდეგი სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება,რომლებიც ამავდროულად წარმოადგენენ პიროვნების ფორმირების ისეთ ობიექტურ ფაქტორებს, როგორებიცაა: "აღმზრდელობითი გარემო", "აღმზრდელობითი შემოქმედება" და "სამყაროში საკუთარი ადგილის გააზრება". პიროვნების ფორმირების ამ ობიექტური კომპონენტების საშუალებით ბავშვი შეიცნობს სოციალურ ფასეულობათა არსს და საკუთარ თავს პიროვნებად. მაგრამ ამის მიღწევა შესაძლებელია მიზანმიმართული აქტივობით, რომელიც კატეგორიულად უნდა გამორიცხავდეს ბავშვის პიროვნების დათრგუნვას. სწორედ ეს არის ის პრობლემა, რომლის გადასაწყვეტადაც აღმზრდელს ესაჭიროება პედაგოგიური ხელოვნება, რაც მტკიცებაა იმისა, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერება და არის ხელოვნება.

ვფიქრობთ, რომ უზნაძისეული შეხედულება დღევანდელობასაც შეესაბამება რადგან ჩვენ რთულ დროში არსებობს იმის საშიშროება, რომ სკოლა "ცოდნის ტაძრიდან» გადაიქცეს "ცოდნის ბაზრად», ხოლო მასწავლებლის მიერ ათვისებული პედაგოგიური ხელოვნების ელემენტები მხოლოდ საქონლის გარეგნული შეფუთვა იქნება. იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის, რომ ხელოვნების უკან უნდა იდგეს პიროვნების მდიდრი შინაგანი ბუნება, მისი მთლიანობა და თვითმყოფადობა. პედაგოგიური ნიჭი მხოლოდ მაშინ იქნება ხელშემწყობი პედაგოგიურ მუშაობაში, როდესაც იგი შერწყმულია პედაგოგიკის აზროვნებისა და გრძნობის უნართან, ბავშვის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან.

ჩვენი შეხედულებით, მასწავლებლის პედაგოგიურ ნიჭს, როგორც გაკვეთილის საჯარო მიმართულებით ინფორმაციის ემოციურ ხატოვანი კოდირების უნარს, გააჩნია ის თვისება, რომელსაც დღესდღეობით რეალური უფლება აქვს, იყოს ჩართული თანამედროვე პედაგოგის პროფესიონალიზმში.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის აზრით, პედაგოგიური ხელოვნება ეს არის აღზრდისა და სწავლების მაღალი დონე დაფუძნებული პედაგოგიურ ნიჭსა და უნარებზე, ეს არის ადმიანის ნამდვილი შინაგანი არსის წვდომა.

პედაგოგიური პროცესის შემოქმედებითი არსის აღიარებით დიმიტრი უზნაძე კი არ უარყოფს პედაგოგიური სისტემის თეორიული გააზრებისა და მეცნიერული დასაბუთების მნიშვნელობასა და აუცილებლობას, არამედ, პირიქით, თავის პირველ პედაგოგიკურ ტრაქტატში "აღზრდის მიზნები" იგი იმის მტკიცებაშია, რომ ბავშვის ბუნება თავისებური რეალობაა და ამ თავისებურების ცოდნის გარეშე პედაგოგიკა პრიმიტიულ დონეს ვერ ასცილდება. ცოდნა ბავშვის ბუნების შესახებ მეცნიერულ მონაცემებზე უნდა დაფუძნდეს. უშუალო ჩაწვდომაზე დაფუძნებული აღზრდა მხოლოდ ზოგიერთი დიდი პედაგოგის ხვედრია და დღეს ჩვენი მასობრივი სკოლისათვის ის ნაკლებად მიღწევადი და გამოუსადეგარია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბასილაძე ი., ფსიქოლოგიზმი პედაგოგიკაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ქუთაისის 2007.
2. ბასილაძე ი., ბოწენიძე ქ., მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, ქუთაისი, 2008.
3. მაღრაძე მ., განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, ქუთაისი, 2008.
4. უზნაძე დ., ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი, 1912

## ПЕДАГОГИКА КАК ИСКУССТВО В ПЕДАГОГИЧЕСКОМ МЫШЛЕНИИ ДМИТРИЯ УЗНАДЗЕ

**Панчулидзе С.**
Государственный университет Акакия Церетели

**Резюме**

Всобщий характер педагогической науки создает иллюзию того,что педагогика это не наука,а форма общественного познавания, которая более всего становится похожей на ис кусство.Хотя педагогика-это наука и ей присущи все характеризующие науке признаки.

Она самостоятельная наука и имеет предмет собственного как исследования, так и методов исследования.

В многообразной системе общественных наук педагогика, как наука о воспитании подрастающего поколения, занимает одно из особых мест.

По мнению великого чешского педагога Я.А. Коменского `учитель поставлен на таком весьма почетном месте,ему вверена такая самая наилучшая должность,выше которого ничего нет под небом~.

Невозможно.чтоб педагог достигал желаемого результата,,если он не владеет этой сложнейшей наукой.

По мнению Дмитрия Узнадзе педагогическое искусство-это высокий уровень воспитания и обучения,основанного на педагогический ум и навыки,это и есть вникнуть в истинный, внутренную сущность человека.

# 9 ჯანდაცვა
# HEALTH CARE
# ЗДРАВООХРАНЕНИЕ



# ფარისებრი ჯირკვლის კიბო

თაისა გრძელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შპს “მორფოლოგი”
**E-mail: taisagrdzelidze@gmail.com**

*ფარისებრი ჯირკვლის კიბო იმსახურებს ბოლო ათწლეულში გამოიკვეთა ფარისებრი განსაკუთრებულ ყურადღებას, რამდენადაც ჯირკვლის სიმსივნეების (მათ შორის კი-*

*ბოს) მნიშვნელოვანი ზრდა.*

*ამ უკანასკნელი მაჩვენებლების გაუმჯობესება აიხსნება მსოფლიოში სკრინინგ მეთოდების ფართო დანერგვით, რაც კიბოსწინარე მდგომარეობის გამოვლინების და დროული დიაგნოსტიკის საფუძველი გახდა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ კიბოს განვითარების თავიდან აცილების, ან მისი განკურნების მაქსიმალური შესაძლებლობაა.*

არა ერთი სამეცნიერო შრომები მიეძღვნა ფარისებრი ჯირკვლის კარცინომების და საერთოდ ამ ორგანოს პათოლოგიების შესწავლას. ბოლო წლებში გამოქვეყნდა ფარისებრი ჯირკვლის ერთეული შემთხვევები ახალგაზრდა (17-20წწ) ასაკში.

შპს "მორფოლოგი" (2008წ-დან დღემდე) განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების მიმართ. არაერთი კვლევა მიეძღვნა აღნიშნული ორგანოს პათოლოგიებს. ამ ეტაპზე წარმოგიდგენთ 2008-2016წწ სტატისტიკურ ანალიზს და კიდევ ერთხელ მივაპყრობ თქვენს ყურადღებას ავთვისებიანი სიმსივნეების მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის კიბოს დროული დიაგნოსტიკის მნიშვნელობას.

ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეები (კიბო, კარცინომა) მე-20 საუკუნის ბოლოს ფასდებოდა, როგორც ერთ-ერთი იშვიათი ფორმის სიმსივნეები. ავთვისებიანი სიმსივნეებით სიკვდილობის ყველა შემთხვევათა შორის მასზე მოდიოდა 0.5-1%. საშუალო ასაკის ქალებში მისი მაჩვენებელი 2-3-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე მამაკაცებში. (ეს უკანასკნელი აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ ფარისებრი ჯირკვლის კარგად დიფერენცირებულ კარცინომებს გააჩნიათ ესტროგენების რეცეპტორები). იმ პერიოდის სტატისტიკით ფარისებრი ჯირკვლის კარცინომების მორფოლოგიური ვარიანტები და მისი სიხშირე ასეთ სურათს იძლევა: პაპილური კარცინომა – 60%; ფოლიკულური კარცინომა – 20%; ანაპლაზიური კარცინომა 15% და მედულური – 5%.

21-ე საუკუნის დასაწყისიდანვე გამოიკვეთა ფარისებრი ჯირკვლის ყველა სახის პათოლოგიების და მათ შორის კარცინომების მაჩვენებლის ზრდა. აშშ სტატისტიკური მონაცემებით (ღობზინს) 2006 წლისათვის ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომების მაჩვენებელი გაიზარდა 75-85%-მდე, ხოლო 2014 წელს ფარისებრი ჯირკვლის კარცინომებმა კიბოს საერთო მაჩვენებლებს შორის დაიკავა პირველი ადგილი და უკან მოიტოვა ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბო.

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების და მათ შორის ოპერაციული ჩარევის აუცილებლობის ზრდა შეიმჩნევა აგრეთვე ქუთაისის შპს "მორფოლოგში", სადაც შეისწავლება ძირითადად კლინიკა "ლ-ჯ"-ის (ყველაზე დიდი მოცულობა), ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს სხვა სამედიცინო დაწესებებულების ფარისებრი ჯირკვლის ოპერაციული მასალების ჰისტოპათოლოგიური კვლევები. 2008-2016წწ ანალიზის საფუძველზე საერთო ოპერაციების მოცულობაში გამოვლინდა ფარისებრი ჯირკვლის ოპერაციული მასალების პროცენტული ზრდა და შესაბამისად გამოიკვეთა აღნიშნული ორგანოს სხვადასხვა სახის პათოლოგიებს შორის კარცინომების რიცხვის მაღალი მაჩვენებელი.

№1 ფარისებრი ჯირკვლის კარცინომის სტატისტიკური ანალიზი

2008-2016 წლების ოპერაციული მასალის შესწავლის საფუძველზე

| № | წლები | ფ/ჯ ოპერაციების რაოდენობა | ფ/ჯ კარცინომა | | ჰისტოპათოლოგიური ფორმა | | | | | | შენიშვნა (მიკრო კარცინომა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რაოდ. | % | პაპილური | | ფოლიკულური | | სხვა ფორმა | | |
| | | | | | რ. | % | რ. | % | რ. | % | |
| 1 | 2008 | 121 | 8 | 6.6% | 4 | 50% | 2 | 25% | 2 | 25% | |
| 2 | 2009 | 95 | 2 | 2.1% | 2 | 100% | | | | | |
| 3 | 2010 | 140 | 3 | 2.15% | 2 | 66.7% | | | 1 | 33.3% | |
| 4 | 2011 | 118 | 7 | 5.9% | 5 | 71.5% | 2 | 28.5% | | | |
| 5 | 2012 | 105 | 8 | 7.6% | 6 | 75% | 2 | 25% | | | 2 |
| 6 | 2013 | 88 | 4 | 4.5% | 4 | 100% | | | | | 1 |
| 7 | 2014 | 140 | 12 | 8.6% | 9 | 75% | 3 | 25% | | | |
| 8 | 2015 | 173 | 18 | 10.4% | 14 | 77.7% | 4 | 22.3% | | | 3 |
| 9 | 2016 | 161 | 22 | 13.6% | 19 | 86.3% | 3 | 13.7% | | | 6 |
| ჯამი | | 1141 | 84 | 7.45% | 65 | 77.5% | 16 | 19% | 3 | 3.5% | |

წარმოდგენილ ცხრილში (№1) ასახულია ფარისებრი ჯირკვლის კარცინომების სტატისტიკური ანალიზის სრული სურათი, სადაც თვალნათლივ ჩანს წლების მიხედვით ფარისებრი ჯირკვლის ოპერაციების რაოდენობრივი ზრდა (2015-2016წწ მნიშვნელოვნად მაღალია იხ. გრაფიკი №2). შესაბამისად მზარდია კარცინომების რიცხვი. გამოყოფილია კარცინომების ჰისტოპათოლოგიური ფორმები (იხ. გრაფიკი №3), საიდანაც ჩანს პაპილური კარცინომების სიჭარბე ფოლიკულურ კარცინომებთან შედარებით.

ფარისებრი ჯირკვლის ოპერაციების სტატისტიკური მაჩვენებელი



№3




№4



ფარისებრი ჯირკვლის კარცინომების ოპერაციული მასალების ანალიზის დროს ასევე გაკეთდა აღნიშნული პათოლოგიის ასაკობრივი გავრცელება, ვინაიდან შეიმჩნევა მისი გაახალგაზრდავების ტენდენცია. მე-20 საუკუნის ბოლოს ფარისებრი ჯირკვლის კიბო არ გვხვდებოდა 20 წლის ასაკის ქვემოთ, ხოლო ბოლო წლებში მსოფლიო ლიტერატურაში გამოჩნდა ნაშრომები, სადაც აღწერილია ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ერთეული შემთხვევები 17-

20წწ.

ჩვენი მასალის გაანალიზების საფუძველზე (იხ. გრაფიკი №4) გამოვლინდა ყველაზე მაღალი პროცენტული რაოდენობა 50-59წწ 35.8% და 40-49წწ 21.5% (საშუალოდ 60%-მდე) რაც მიანიშნებს, რომ 40-60წწ ასაკი ითვლება რისკის პერიოდად აღნიშნული პათოლოგიის განვითარებისათვის. 2.3%-ია (20-29წწ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მონაცემების შესაბამისად იმერეთის რეგიონშიც ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ზრდასთან ერთად იზრდება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევები, მისის ჰისტოპათოლოგიური ფორმებიდან პაპილური კარცინომა უფრო გავრცელებული ფორმაა. ფოლიკულური კარცინომის მაჩვენებელში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ვლინდება, ასევე თითქმის იგივე რჩება სხვა კარცინომების დანარჩენი ფორმების მაჩვენებლებიც. გამოიკვეთა აგრეთვე ფარისებრი ჯირკვლის კარცინომების ახალგაზრდა ასაკში გამოვლინება
( .შ. 2017 წელს დაისვა პაპილური კარცინომის დიაგნოზი 18 წლის პაციენტში).

ზემოაღნიშნული სტატისტიკური ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს, ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევის სკრინინგ-მეთოდების დანერგვის აუცილებლობას აღნიშნული ორგანოს კარცინომების დროული გამოვლინების და სიმსივნეების პრევენციის საქმეში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დროული მკურნალობა აღნიშნული პათოლოგიის სრული განკურნების შესაძლებლობას იძლევა.

ლიტერატურა:


1. World Health Organizacion Classification of Tumours _ Pathology and Genetics Lyon 2013
2. G. Burkadze G. Turashvili PATHOLOGY OF ORGAN SYSTEMS 1st edition Tbilisi 2006
3. M. A. Пальцев, Н. М. Аничков _ Патологическая Анатомия москва 2008г


**Рак щитовидной железы**


Таиса Грдзелидзе
Государственный Университет Акакия Тсеретели



Рак щитовидной железы заслуживает особого внимания т. к. последнее десятилетие показало значительное увеличение опухолей (в том числе рака) щитовидной железы.

Последные данные объясняется широким внедрением в мировой практике методов скрининга, для выявления предраковых состоянии и ранней диагностики рака, что обеспечивает превенцию и максисальную возможность излечения от раковых заболевании.

кДанные получени проведением статитического анализа операционного материала щитовидной железы (которые проводились в лаборатории „Морфолог“) ещё раз потверждает увеличения числа и омоложивание раковых заболевании щитовидной железы и указывает необходимости проводения исследовании скрининг-методом, для превенции, или ранней диагностики заболевании щитовидной железы.

# პლაზმოლიფტინგი (PLASMOLIFTING)

თენგიზ ლობჟანიძე ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი
E-mail: tengizlobzhanidze@yahoo.com

ზურაბ გვეტაძე ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი

*პირის ღრუსა და ტუჩების ლორწოვანი გარსის დაავადებები რჩება ყბა-კბილთა სისტემის საკმაოდ გავრცელებულ პათოლოგიებად.ამ პათოლოგიების მკურნალობა გართულებულია პათოლოგიური პროცესის თავისებურების, მათი ლოკალიზაციის და მრავალფაქტორიანი ეტიოლოგიური ფაქტორების მიზეზით. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გათვალისწინებით მათი მკურნალობის მიდგომა ითვალისწინებს ანთებითი პროცესის მოხსნას და მიმართულია დაზიანებული ქსოვილების გარკვეული ზონის სტიმულაციას რეგენერაციისათვის.*

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და ტუჩების დაავადებების სამკურნალოდ მოწოდებულია ინოვაციური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს საკუთარი პლაზმით მკურნალობას, პლაზმოლიფტინგს. ამ მეთოდის ეფექტურობა დამტკიცებულია პაროდონტიტების მკურნალობის დროს.

პლაზმოლიფტინგის ინექციები ახდენენ ანთებითი პროცესის კუპირებას, თავიდან აცილებს ქსოვილებს შემდგომ რღვევას, აღადგენს მათ ფერს, ფორმას და სტრუქტურას, ახდენს ქსოვილების რეპარაციული პროცესების სტიმულირებას და ამცირებს გართულებების რისკს. ამიტომ ის მიეკუთვნება ესთეტიკურ მიმართულებას სტომატოლოგიაში.

პლაზმოლიფტინგის მეთოდი რეკომენდირებულია გინგივიტის, ლოკალური პაროდონტიტის, გენერალიზებული პაროდონტიტის ყველა ფორმის, პერიიმპლანტიტის, კბილის ექსტრაქციის შემდგომ პერიოდში, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დაავადებების დროს. პლაზმოლიფტინგი წარმატებით გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანებების, ჰეილიტების და ტუჩების ნახეთქების დროს.

პლაზმოლიფტინგი შეიძლება გამოვიყენოთ ლორწოვანი გარსის დაავადებების მკურნალობის ნებისმიერ მეთოდთან კომბინაციაში. მისი გამოყენება აბსოლუტურად უსაფრთხოა პაციენტისათვის და უზრუნველყოფს პროცედურაზე მაქსიმალურად ფიზიოლოგიურ რეაქციას, არ საჭიროებს ორგანიზმისგან დამატებით რესურსებს, არ იწვევს ალერგიულ რეაქციას და მუშაობს მოლეკულურ დონეზე. არ საჭიროებს ანესთეზიის გაკეთებას.

აუტოლოგიურითრომბოციტარული პლაზმა წამოადგენს თანამედროვე უმდიდრეს კოქტეილს, რომელიც შედგება საკვები ნივთიერებებისაგან, მეტაბოლიტებისაგან, ცილებისაგან, ვიტამინებისაგან და ბიომიმეტიკური პეპტიდების წყალ-ხსნარისაგან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თრომბოციტების, ალფა-გრანულები შეიცავს ზრდის ფაქტორს. ზრდის ფაქტორები ქსოვილებს მიეწოდება კონცენტრირებული სახით, რაც აჩქარებს ეპითელიოციტების, ფიბრობლასტების, ქონდრობლასტების, ოსტეობლასტების პროლიფერაციას და ახ-

დენს ოსტეოკლასტების გააქტივების ბლოკირებას.

თავის მხრივ ქსოვილების უჯრედოვანი ელემენტები წარმოქმნის ეპითელიუმს, კოლაგენურ და ელასტიურ ბოჭკოებს, ჰიალურონის მჟავას და უჯრედშორის ნივთიერებას.

დაზიანების კერაში წარმოიქმნება ახალგაზრდა შემაერთებელი ქსოვილი, იზრდება მცირე სისხლძარღვები, რითაც უმჯობესდება ჰემოდინამიკა, ოქსიგენიზაცია და რეგენერაცია.

პლაზმა წარმოადგენს სითხეს და ამიტომ ქსოვილებში შეყვანის შემდეგ იგი სწრაფად ვრცელდება ყველა შრეში, რაც წარმოადგენს სასარგებლო ფაქტორის დაავადებების გენერალიზებული ფორმების მკურნალობის დროს. ხოლო ლოკალური ფორმების მკურნალობისას, ტკივილის კუპირებისას და სხვა პათოლოგიური პროცესების დროს გამოიყენება ბლანტი "Plasmoliftingviscosae"- რომელიც იყიდება მზა ფორმით.

პლაზმაში არსებული ცილა ფიბრინს აქვს უნარი 42 °C-მდე გათბობის დროს შეიკუმშოს და წარმოქმნის ჭიმებს. მომავალში ამ ჭიმებისაგან წარმოიქმნება ბადე, რომელიც არ აძლევს პლაზმის კომპონენტებს საშუალებას მოახდინოს შეყვანის ადგილიდან მოშორებით დიფუზია.

თუ პლაზმა 45°C-ზე გაცხელდება ხდება ყველა ცილის რენატურაცია, გარდა ფიბრინისა. ამის გამო ყველა სასარგებლო ნივთიერება რჩება ინექციის ადგილზე მაქსიმალური ხანგრძლივობით.

პლაზმოლიფტინგის გამოყენება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში დაიწყეს ჟელეს სახით 80-იან წლებში, ხოლო ინექციების სახით გამოყენებით დაიწყო ახალი ეტაპი. ეს მეთოდიკა ხელმისაწვდომია ნებისმიერი სპეციალობის სტომატოლოგისათვის. მისი განხორციელება არ საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას, რაც აძლევს საშუალებას ის გამოიყენოს სტომატოლოგ-თერაპევტმა, ორთოპედმა და ასევე ქირურგმა, სხვადასხვა კლინიკურ სიტუაციაში.

პლაზმოლიფტინგის ჩვენებები:

- ლოკალური პაროდონტიტი
- ალვეოლიტი
- გინგივიტი
- იმპლანტის ჩაყენება
- პერიიმპლანტიტი
- კბილების ექსტრაქცია
- ქირურგიული ოპერაციის შემდგომ პერიოდში ძვლოვანი ქსოვილის სტიმულაციის გაუმჯობესება.

პლაზმოლიფტინგის უკუჩვენებები:

- ინფექციური დაავადებები
- ჰეპატიტი
- შიდსი
- ენდოკრინული დაავადებები
- შაქრიანი დიაბეტის დეკომპესირებული ფორმა
- ავთვისებიანი სიმსივნეები
- ალერგია ჰეპარინზე

**მეთოდიკა**: პაციენტისგან იღებენ დაახლოებით 15-50 მლ სისხლს. მას ათავსებენ ცენტრიფუგაში, სადაც სისხლის პლაზმის განცალკავება ხდება სხვა ელემენტებისაგან. ამის შედეგად ვღებულობთ კონცეტრატს, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით თრომბოციტებს , ზრდის ფაქტორს და სპეციალურ ცილას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს ქსოვილების აღდგენის პროცესში.

მომზადებული პლაზმა შეყავთ ღრძილების დაზიანებულ უბნებში, პროთეზის მოთავსების ადგილას, კბილის ექ-

სტრაქციის შემდეგ კბილბუდეში და სხვა ქსოვილებში. ამის შედეგად ღრძილში მიმდინარეობს ლოკალური იმუნური პროცესი, რის შედეგადაც ღრძილი ღებულობს ბუნებრივ ფერს და აღდგება მისი სტრუქტურა. ხდება ანთებითი კერის თანდათან ალაგება.

**შეყვანის ტექნიკა** : თრომბოციტების შემცველი აუტოპლაზმა შეყავთ მარგინალურ ღრძილში 2-3 მმ სიღრმეზე 0,1-0,2მლ, ხოლო გარდამავალ ნაოჭში 1-2 კბილის სეგმენტში 0,15მლ - 3 მმ- ის სიღრმეზე. ინექცია შეიძლება როგორც ვესტიბულურ, ისე ორალური მხრიდან.

იმპლანტაციის პროცედურის დროს პლაზმა შეყავთ უშუალოდ იმპლანტის მოთავსების არეში 0,05-0,1 მლ იმავე დღეს ან მომდევნო დღეს.

ამრიგად პლაზმოლიფტინგისპროცედურა შედგება შემდეგი ეტაპებისგან :

1.პაციენტისგან ინტრავენურად საჭირო რაოდენობის სისხლის აღება.

2.ინექციის გაკეთება დაზიანების უბანში.

3.გაჯერებული პლაზმის ზემოქმედება პრობლემურ ზონაზე.

სხვადასხვა გამოკვლევების შედეგად კეთდება დასკვნა, რომ პლაზმოლიფტინგის მეთოდს აქვს უპირატესობა სხვა ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ არ არის აუცილებელი ანთების საწინააღმდეგო და ანტიბაქტერიული საშუალებების გამოყენება.

პლაზმოლიფტინგის პროცედურების შემდეგ მიიღწევა:

- ანთებისმოხსნა და ტკივილის კუპირება
- სისხლდენის აღმოფხვრა
- კბილების მოძრაობის შემცირება
- ღრძილების თავდაპირველი ფორმის აღდგენა
- ცუდ სუნს (ჰალიტოზის) გაქრობა პირის ღრუდან
- აჩერებს პაროდონტის დაავადებების პროგრესირებას
- იმპლანტის მოცილების რისკის მნიშვნელოვანი შემცირება
- ექსტრაქციის შემდგომ ალვეოლის სწრაფ შეხორცებას
- ყბა-სახის ოპერაციის შემდეგ, ამცირებს რეაბილიტაციის პერიოდს


**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.https://dentalmagazine.ru/practice/primenenie--vyazkoj-formy-plasmolifting-v-praktike-stomatologa.html
2.http://san-marco.ua/plasmolifting/
3.https://createsmile.ru/plazmolifting-desen/
4.https://www.diodentit.com/plasmolifting-prp
5.https://dentalmagazine.ru/promo/kachestvo-kazhdoj-probirki.html
6.https://dentalmagazine.ru/science/texnologiya--plasmolifting-inekcionnaya-forma-trombocitarnoj-autoplazmy-dlya-lecheniya-xronicheskix-kataralnyx-gingivitov.html
7.https://dentalmagazine.ru/practice/plasmolifting-a-modern-method-of-complex-treatment-of-periodontal-diseases.html


**NAME OF THE TOPIC _P LASMOLIFTING**


**Tengiz LobJanidze**
Kutaisi Regional Stomatology Center
**Zurab Gvetadze**
Kutaisi Regional Stomatology Center



**Summary**

Plasmolifting is a new and innovative way of treatment of oral cavity mucous , lips and periodontal diseases. It covers inflammation and avoids farther tissue removal., recreates their color , structure and form for a long time, stimulate its reparative processes and reduces aggravation processes.

Plasmolifting has been widely used as a means of treatment of different kinds of diseases since the period when the positive action of plasma has been approved.

The procedure of plasmolifting is unique and painless ( without anesthesia ). It is based on the usage of PRP therapy and has no analog.

In dental practice it has been used as jelly since 1980s. but with injection method a new stage has started. Plasmolifting is safe as plasma is allocated from patient's blood . There is no chemical substanses in it and that is why the risk of allergic development does not exist.

The goal of the plasmolifting is recreation of the charms and that is why it belongs to an aesthetic point.

Stages of the procedure: -blood taking from patient to get plasma

-Entering the damaged polling injection

- saturated plasma action on polluted areas.

Final cure , for example, of the treatment of the pariodontal disease needs 14 days.

# ომალადორი


თენგიზ ლობჟანიძე ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიის ცენტრი
E-mail: tengizlobzhanidze@yahoo.com

სალომე სილაგაძე ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიის ცენტრი



*ადამიანის სოციალური აქტივობის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი შესაძლოა აღმოჩნდეს მისი სუნთქვის ხარისხი. აღნიშნული , არცთუ იშვიათად ასევე შესაძლოა გახდეს ადამიანის პათოლოგიური ცვლილებების განვითარებისა და მისი საზოგადოებისგან იზოლაციის მიზეზიც. ამდენად პრობლემის მოგვარება უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს.*


ჯერ კიდევ ჩვენ ერამდე მეორე საუკუნეში აპულეი წერდა: "ადამიანისთვის არ არსებობს უფრო დიდი დამაბრკოლებელი ფაქტორი, ვიდრე ცუდი სუნია პირის ღრუში". I საუკუნის დასაწყისში ცოსმუსმა საფუძველი დაუდო რომაულ კოსმეტიკას და დაამზადა არომატული ბურთულები პირის ღრუში ცუდი სუნის შესამცირებლად. მუჰამედმა სასტიკად აკრძალა მეჩეთში მსგავსი პრობლემის მქონე პირების დაშვება.

ამჟამად პირის ღრუდან ცუდი სუნის პრობლემა განიხილება, როგორც პირის ღრუს ქსოვილების, ასევე, შინაგანი ორგანოების პათოლოგიებისა და ჰიგიენის დაბალი დონის ერთერთი მაჩვენებელი. პაციენტები, პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მიმართავენ ინდივიდუალურ მკურნალობას და ძირითადად იყენებენ პარფიუმერული საშუალებებს, პირის ღრუს სავლებებს და სპრეის, თუმცა ამ საშუალებებს არ მოაქვთ სასურველი შედეგი და მხოლოდ მცირე დროით ამცირებენ უსიამოვნო სუნს პირიდან.

ვინაიდან ადამიანები ვერ ხვდებიან ამ პრობლემის მიზეზს, ვარდებიან პანიკაში იქამდეც კი, რომ არც თუ იშვიათად შესაძლოა განუვითარდეთ ფსიქიკური პრობლემები.

აღნიშნული პათოლოგია ლიტერატურაში ომალადორის სახელით არის ცნობილი და წარმოადგენს ქრონიკულ პროცესს, რომელიც ინდივიდუალური მკურნალობით არ ალაგდება.

**ომალადორი** (ორალ-პირი, მალადორ-უსიამოვნო სული) სამედიცინო ლიტერატურაში ასევე გვხვდება ტერმინები: "**კოკოსმია**" - სუნის არაადეკვატური სუბიექ-

ტური შეგრძნება, როდესაც ის სინამდვილეში არ აღინიშნება. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა: “პაროსმია” –( პარა - გადახრა, ოსმე - ყნოსვა) აღენიშნება ნერვოფსიქიკურ პაციენტებს.

“ოზოსტომია” – (ოზო - სუნი, სტომა - პირი), აღნიშნავს სუნს, რომელიც გამოიყოფა ზედა სასუნთქი გზებიდან. ეტიოლოგიაში აღინიშნება რინიტი, სინუსიტი, ფარინგიტი, ლარინგიტი, ტონზილიტი და სასუნთქი გზების სხვა ანთებითი თუ სიმსივნური დაავადებები. “სტომატოდისოდია” – (სტომა - პირი, დისოდია - ცუდი სუნი)– წარმოადგენს ქვედა სასუნთქი გზებიდან, ბრონქიოლებიდან, ალვეოლებიდან, პლევრიდან და ფილტვების სხვა ქვედა ნაწილებიდან წარმოქმნილ სუნთქვას. ეტიოლოგიაში აღინიშნება ქვედა სასუნთქი გზების ინფექციურ ანთებითი პროცესები, ბრონქიტი, აბსცესი, ტუბერკულოზი, ემფიზემა, მეორადი ინფექციები, სიმსივნეები და სხვა...

1993 წელს ომალადორის გამოსაკვლევად შეიქმნა საზოგადოება, რომლის წევრადაც 20 ქვეყანა გაერთიანდა. გაერთიანების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ომალადორის ტიპიური სახეების და პათოფიზიოლოგიური ხასიათის განსაზღვრა, ასევე სამეცნიერო მიღწევების და აღნიშნული პრობლემის წარმოქმნის მკურნალობისა და პროფილაქტიკის შესახებ ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში,

პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს განსაზღვრავს პირის ღრუს მიკროფლორა. პირის ღრუს სითხის შემადგონლობაში შემავალი გრამუარყოფითი ბაქტერიების ზემოქმედებით ცილები იშლება და მათ დენატურაციას მივყავართ ინდოლას და სკატოლას სინთეზამდე. საბოლოოდ კი წარმოიქმნება ცხიმოვანი მჟავები, რომლების იწვევენ უსიამოვნო სუნს. აღნიშნულის შემთხვევაში ხშირად აღინიშნება ენაზე ნადები, ასევე შეგრძნების დაქვეითება ენის სხვადასხვა უბანზე. დიაგნოზტირებისთვის ინფორმატიულია ანამნეზში გასტრიტი, დუოდენიტი, დიაბეტი, ჰიპერტონული დაავადებები, ნერვული სისტემის დაავადებები, სახის ტრამვები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დაბალი პირადი ჰიგიენის და ასაკის მატებასთან ერთად ომალადორის გამოვლენის სიხშირე იზრდება.

**კლსიფიკაცია:**

**ჭეშმარიტი ომალადორი (ფიზიოლოგიური ომალადორი),**

**პათოლოგიურ ომალადორი (ორალური და ექსტრაორალური),**

**ფსევდოომალადორი,**

**ომალადოფობია,**

**ომალოდოოსმია.**

**ჭეშმარიტი ომალადორი** - მკვეთრი ცუდი სუნი პირის ღრუდან. 1- სუნი ლპობის პროცესების შედეგად. სპეციფიური პათოლოგია პირის ღრუში არ აღინიშნება. 2-ენის ზურგის მიდამოში წარმოქმნილი სპეციფიური სუნი. 3-დროებით წარმოქმნილი ცუდი სუნი საკვების მიღების შემდეგ.

**პათოლოგიური ომალადორი** -

1-ორალური ომალადორი –აღინიშნება პირის ღრუს ქსოვილების პათოლოგიების დროს, (გინგივიტი, პაროდონტიტი, კანდიდოზი, ექსუდაციური ერითემა, ჰიპოსალივაცია...).

2-ექსტრაორალური ომალადორის დროს უსიამოვნო სუნი გამოიყოფა ფილტვებიდან, კუჭნაწლავის ზედა მიდამოდან, დიაბეტის, ციროზის, ურემიის და შინაგანი სისხლდენების დროს.

**ფსევდოომალადორი** - პრაქტიკულად

ცუდი სუნი არ შეინიშნება. პაციენტი პოულობს ცრუ მტკიცებულებებს, მოსაუბრის ქცევის გამო, მას ჰგონია, რომ გაურბიან მისი პირის ღრუდან ცუდი სუნის გამო. აღნიშნული პრობლემა შეინიშნება დაბალი თვითშეფასების მქონე პირებში, ასევე იმ პირებში რომელთაც წარსულში ნამდვილად ქონდათ მსგავსი პრობლემა და შედეგიანი მკურნალობის შემდეგ შემორჩათ შიში.

**ომალადოფობია** -

1-ჭეშმარიტი ომალადორის შედეგიანი მკურნალობის შემდეგ ზოგიერთ პაციენტს ურჩებათ შიში პირის ღრუში ცუდი სუნის.

2-მდგომარეობა როდესაც პაციენტი დარწმუნებულია რომ აქვს პირის ღრუდან ცუდი სუნი ობიექტური მიზეზების გარეშე. შეინიშნება სუნების ჰიპერმგრძნობელობის, ნეიროსტრუქტურების პათოლოგიების, შიზოფრენიის, ეპილეფსიის, დეპრესიის და სხვა ფსიქიატრიული პათოლოგიების დროს.

**ომალოდოსმია** - ჰალუცინაცია რომელიც სხვადასხვა სახის სუნებს უკავშირდება. ბენზინის, აცეტონის, დამპალი ხორცის, ხახვის, ნიორის, მომწამლავი გაზის...პაციენტები მიმართავენ სტომატოლოგს და დაჟინებით მოითხოვენ სანაციას, ასევე მიმართავენ თვითნებურ მკურნალობას. ასეთ პაციენტებს ესაჭიროებათ მხოლოდ ფსიქოლოგი. (!)

**მკურნალობა:**

მკურნალობის ძირითადი კომპონენტს, ეტიოლოგიის მიუხედავად წარმოადგენს კბილებისა და ენის ხარისხიანი წმენდა. პირის ღრუს სანაცია და პროფესიონალური ჰიგიენური პროცედურების ჩატარება. ასევე, მნიშვნელოვან ეტაპს მკურნალობაში წარმოადგენს პაციენტის გათვიცნობიერება პირის ღრუს მოვლის საკითხებში. მასში იგულიხმება: ფლოსის გამოყენება, ჯაგრისის შეცვლა ყოველ თვეში, კბილების გამოწმენდის შემდეგ სავლების გამოყენება, დიდი რაოდენობით წყლის მიღება, უფრო მეტი ბოსტნეულის მიღება ვიდრე ხორცის, მაწონის იოგურტის და კეფირის ხშირი მიღება, რადგან ის ხელს უწყობს პრობიოტიკებისა და პრებიოტიკების დონის შენარჩუნებას. (პრობიოტიკი - ეს არის სასარგებლო მიკროორგანიზმები და ბაქტერიები, რომლებიც ბინადრობენ ადამიანის ნაწლავებში. მათი როლია საკვებიდან სასარგებლო ნივთიერებების აბსორბცია და ვიტამინების გამომუშავება. ასევე, დაავადებების გამომწვევი ბაქტრიებისა და ჩხირების განადგურება). პრებიოტიკი - ნაწლავში ხსნადი კვებითი ბოჭკოები, რომლები წარმოადგენს პრობიოტიკების საკვებს. პრებიოტიკია ინსულინი, ოლიგოფრუქტოზა. შეიცავს: ნიორი, ახალი ბანანი, ახლად ამოსული ხორბალი, ახალი ხახვი, ვარდკაჭაჭა). სავლები: ასეპტა - 95%. ლაკალუტ სპრეი 94%. ლაკალუტ-ფრეში 50%, ქლორჰექსიდინი 100%.

ზოგიერთი პაციენტი თვითონ ვერ აღიქვამს უსიამოვნო სუნს, ამიტომ დიდი მნიშვლელობა აქვს, რომ ეს დიაგნოზი სტომატოლოგმა დასვას. ომალადორის დიაგნოსტირებისათვის წარმოდგენილია ხელსაწყო გალიტომეტრი. იგი ზომავს გოგირდის რაოდენობას ამონასუნთქ ჰაერში, რაგან ის წარმოადგენს ცუდი სუნის მიზეზს პირის ღრუში.

სუნთქვის ხარისხის გასაზომად საჭიროა დავფერთხოთ გალიტომეტრი რამდენჯერმე და დავაჭიროთ ჩამრთველს. ხელსაწყო დაიწყებს უკუთვლას და ამის შემდეგ ეკრანზე სტარტი აინთება, ამ მომენტისთვის გალიტომეტრი პირის ღრუდან 1 სანტიმეტრის დაცილებით უნდა მი-

ვიტანოთ და პაციენტი ასე ვასუნთქოთ 3 წუთი. პროცედურის ბოლოს ხელსაწყო მოგვცემს სიგნალს და დააფიქსირებს სუნის ინტენსივობის შესაბამის ციფრს. ხელსაწყო წარმოადგენს დამხმარე საშუალებას სწორად შევარჩიოთ მკურნალობა.

ომალადორის პროფილაქტიკის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია კარიესის გართულებების დროული მკურნალობა. პაროდონტის და ლორწოვანის ანთებითი პროცესების ლიკვიდაცია.

პაციენტის მკურნალობაში აუცილებელია სხვა პროფილის ექიმებთან ერთობლივი მუშაობა რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული პრობლების დროული დიაგნოსტირება და სწორი მკურნალობის დაგეგმვა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1.Авраамова О. Г. *Изучение галитоза у лиц с заболеваниями ЖКТ и полости рта* [Текст] / О. Г. Авраамова, Д. Н. Бахмутов // *Институт стоматологии*. — 2004, № 4 (25). — С. 86—87.

2.Бахмутов Д. Н. *Галитоз при стоматологических заболеваниях* [Текст] / Д. Н. Бахмутов, О. И. Харченко, О. О. Янушевич // *Стоматология* — 2012, № 1. — С. 13—15.

3.Болдин А. *Приборы для измерения запаха изо рта. Достоинства и недостатки* [Текст] / Болдин, В. Казаков, Е. Котова // *Стоматолог*. — 2005, № 3. — С. 29—31.

4.Введенская С. В. *Комплекс профессиональной гигиены полости рта — основа профилактической программы гигиениста* [Текст]: Тезисы XIII Всероссийской научно-практической конференции «Стоматология XXI века» / С. В. Веденская.— М., 2004. — С. 22—25.

5.Гринин В. М. *Применение геля Oralbalance у пациентов с ксеростомией* [Текст] / В. М. Гринин // *Пародонтология*. 2000, № 3. — С. 50—52.

6.Леонтьев В. К. *Профилактика стоматологических заболеваний* [Текст] / В. К. Леонтьев, Г. Н. Пахомов. — М., 2007. — 407 с.

7.Мусин М. Н. *Чистые языки наших предков* [Текст] / М. Н. Мусин // *Стоматология сегодня*. — 2000, — № 4. — С. 10.

8.Попруженко Т. В. *Галитоз* [Текст] / Т. В. Попруженко, Н. В. Шаковец. — М.: МЕДпресс-информ, 2006. — 48 с

https://dentalmagazine.ru/science/omalodor-nep-riyatnyj-zapax-vydyxaemogo-chelovekom-vozdu-xa.html


## OMALADOR


**Tengiz LobJanidze**
Kutaisi Regional Stomatology Center
**salome silagadze**
Kutaisi Regional Stomatology Center



**Summary**

Breathing quality might become one of the mine factors in determining the one’s social position and activities he/she is enggaged. However, in worst cases it might grow into some pathologies and consequently make people isolated from the society. The reason remains unclear for them and, regrettably, some psychological problems may be developed as a result.

Classification:
Obvius Omaladory (physiological Omaladory),
Pathological Omaladory (oral and extra-oral),
Pseudo-omaladory,
Omaladophoby,
Omaladoosmia.

Stomatologists must learn and understand the psychological type of particular patients to be able to motivate the. It’s every important the caries development to be handled quickly, and inflammatory mucous sites and parodonty prevented. Working with the doctors of other profiles is advisable.

# ტყუპების ფენომენი

ნატო ჩხარტიშვილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნათელა ღვინიანიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ტყუპები ეს არის ბუნების საოცრება, რომელსაც შეუძლია ადამიანის კლონირება. მათ იდენტური გენეტიკა აქვთ, მსგავსება ზოგჯერ დაუჯერებელია.*

ტყუპების ცხოვრებაც ერთი განაყოფიერებული უჯრედით იწყება. მას ზიგოტა ეწოდება. ის 23 წყვილ ქრომოსომას შეიცავს, დედის კვერცხუჯრედისა და მამის სპერმატოზოიდის გენურ უჯრედებს. ზიგოტა იმ გენების კრებულს წარმოადგენს, რაც ადამიანის სიცოცხლისთვისაა საჭირო. განაყოფიერებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ქრომოსომების შემცველი უჯრედი (ზიგოტა) იწყებს გასაოცარ მოგზაურობას, ის მილის გავლით საშვილოსნოს მიმართულებით გადაადგილდება. უჯრედი იწყებს გაყოფას. ამ სწრაფადგამრავლებად უჯრედებს ბლასტოცისტები ეწოდება. ზუს-

ტად ამ ეტაპზე ხდება ყველაზე გასაოცარი რეპროდუქტიული ანომალია ბუნებაში. განაყოფიერებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ ბალაცისტები უეცრად ორ ნაწილად იყოფა. ყოველი მათგანი შეიცავს აბსოლუტურად ერთნაირ ქრომოსომებს იდენტური გენებით. ორი ბალაცისტი კი საბოლოოდ ორ ადამიანად ყალიბდება. ზუსტად როგორ და რატომ იყოფიან ბალაცისტები, რეპროდუქციული მეცნიერების უდიდეს ამოცანას წარმოადგენს.

განასხვავებენ **იდენტურ** და **არაიდენტურ** ტყუპებს. იდენტურ ანუ ერთკვერცხისეულ ტყუპებს ერთი საერთო პლაცენტა აქვთ, ერთნაირი გენოტიპი, ერთნაირი სქესი და სისხლის ჯგუფი. ისინი იმდენად გვანან ერთმანეთს, რომ ხშირ შემთხვევაში მათი გარჩევა თითქმის შეუძლებელია. ისინი ვითარდებიან ერთი ზიგოტისაგან, რომელიც ადრეულ სტადიაზე იყოფა ორ ან მეტ იზოლირებულ ნაწილად და თითოეული მათგანი დამოუკიდებელ ორგანიზმად ვითარდება.

იდენტურ ტყუპებს ერთნაირი გემოვნება, ჩვევები, მისწრაფებები აქვთ. ისინი უპირატესობას ერთსა და იმავე სამოსს, თმის ვარცხნილობას ანიჭებენ, მოსწონთ ერთი და იგივე წიგნი, სპექტაკლი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ დაბადებისთანავე ერთმანეთს დააშორებენ და ცალ-ცალკე გაიზრდებიან, ხშირად ერთსა და იმავე პროფესიას ირჩევენ, ერთი და იმავე დაავადებით და თითქმის ერთდროულად ავადდებიან.

ამერიკის ქალაქ ტვინსბურში ტყუპების მსოფლიო ფესტივალს ატარებენ. ზოგჯერ იქ დიდი ხნის უნახავი ტყუპები ხვდებიან ერთმანეთს, რომელთა მონაყოლიდან ირკვევა, რომ ისინი თითქმის ერთნაირად ცხოვრობენ.

არაიდენტური ტყუპები სხვადასხვა კვერცხუჯრედში მომწიფდებიან. სხვადასხვა კვერცხუჯრედისეული ტყუპების წარმოშობა შესაძლებელია ორი ან მეტი კვერცხუჯრედის ერთდროულად მომწიფების შემთხვევაში. არაიდენტური ტყუპები შეიძლება იყვნენ როგორც განსხვავებული, ასევე მსგავს სქესიანნი. ერთმანეთს ისინი გვანან, როგორც ჩვეულებრივი და-ძმა. აქვთ განსხვავებული ჩვევები და მისწრაფებები.

**სიამის ტყუპები** - ერთ კვერცხუჯრედში განვითარებული ტყუპია. ეს არის იდენტური ტყუპები, რომლებიც შეეზარდნენ ერთმანეთს სხეულის ერთი, ან რამდენიმე ნაწილით. სიამის ტყუპები ძალიან იშვიათი მოვლენაა. 200000 ახალშობილში მხოლოდ ერთი იყო მსგავსი სინდრომით დაავადებული. ზოგჯერ სიამის ტყუპები ერთმანეთისაგან ზომითა და განვითარებით განსხვავდებიან, ერთი მათგანი სრულია, ნორმალურია, ხოლო მეორე - მხოლოდ ნაწილობრივ განვითარებული და პირველზე მიკრული. სიამის ტყუპების უმრავლესობა დაბადებისთანავე იღუპება, თუმცა გადარჩენის შემთხვევაში სიცოცხლისუნარიანია. დღეს წარმატებით ხორციელდება მათი დაშორება ქირურგიული გზით.

არსებობენ შერეული გენის ტყუპები, თუ მათ განსხვავებული კანის ფერის მშობლები ჰყავთ, შესაძლოა რომ ერთში დედის, მეორეში კი მამის გენმა იმძლავროს. მაგალითად, ერთი ტყუპი შესაძლოა თეთრკანიანი და მეორე ფერადკანიანი დაიბადოს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვერცხუჯრედიდან დაბადებული ტყუპების გენეტიკა აბსოლუტურად იდენტურია, მათ განსხვავებული თითის ანაბეჭდი აქვთ.

ტყუპების დაბადებას მარტო გენეტიკა არ განაპირობებს. ალბათ ყველას გსმენიათ,

რომ ტყუპებს შორის ერთგვარი ზებუნებრივი, უხილავი და აუხსნელი, კავშირი არსებობს. მაგრამ არის კიდევ ბევრი სხვა ნიუანსიც, რომლებიც შესაძლოა არ იცოდეთ. ასე მაგალითად:

- ტყუპების დაბადებას მარტო გენეტიკა არ განაპირობებს. ყველაზე ხშირად ტყუპები 30 წელს გადაცილებულ ქალებს უჩნდებათ, თუ ეს მათთვის პირველი მშობიარობაა;
- ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, დღეის მონაცემებით, გასული საუკუნის 80-90-იან წლებთან შედარებით, 75%-ით მეტი ტყუპი იბადება.
- მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტყუპებზე ორსულობა ქალს 9 თვე და 3 დღე უგრძელდება.
- ტყუპების მეოთხედი ერთმანეთის სარკისებრი ანარეკლია. მაგ. თუ ერთს მარცხენა ლოყაზე აქვს ხალი, მეორეს კი მარჯვენაზე ექნება. უფრო მეტიც, შესაძლოა ერთი ცაცია იყოს, მეორე კი - “მემარჯვენე».
- ტყუპებს ერთმანეთის დაბადების მომენტიდან ესმით. მათ ასე ვთქვათ, საკუთა-რი სალაპარაკო ენა აქვთ, რომელიც დედისთვისაც გაუგებარია.
- ტყუპებს თითების განსხვავებული ანაბეჭდი აქვთ, დნმ კი - ერთნაირი.

დღეს მსოფლიოში 76მილიონ წყვილ ტყუპს ითვლიან. ამასთან, იაპონიაში ყოველ 246-ე მაცხოვრებელს ტყუპისცალი ჰყავს. აშშ-ში კი - ყოველ 244-ეს. სამოციანი წლების სტატისტიკასთან შედარებით, მსოფლიოში ტყუპების დაბადების პროცენტი თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა. ამას გარდა, მამრობითი სქესის ტყუპებს ძალიან მცირე შანსი აქვთ, რომ ტყუპები ეყოლოთ. მაშინ, როდესაც ტყუპისცალი ქალებისათვის ეს გარდაუვალია.

როგორც ნებისმიერი უჩვეულო და იშვიათი მოვლენა, ტყუპების დაბადება ირგვლივ მყოფთათვის ყოველთვის იდუმალებით მოცული იყო. ამერიკელი ინდოელების რწმენით ტყუპები ერთი და იგივე ადამიანი იყო სხვადასხვა სახით. ამასთან ერთ-ერთი მათგანი მეორის ბოროტ ორეულს წარმოადგენდა. ზოგიერთ ტომში ტყუპებს დაბადებისას ერთი და იგივე სახელს არქმევდნენ. როგორც კი 9 წელს მიაღწევდნენ, წილის ყრისას, ვისაც წითელი მარცვალი ხვდებოდა, დარქმეული სახელი შეეძლო მთელი ცხოვრება ეტარებინა. მას კი ვისაც ნაკლებად უმართლებდა, ცხოვრების ბოლომდე უბრალოდ “მეორეს» ეძახდნენ.

ახალი გვინეის ტომებში ტყუპების დაბადება ღვთის წყალობად ითვლებოდა.

**ლიტერატურა**


1. ნ. ზაალიშვილი, ნ. იოსებაშვილი - ბიოლოგია IX კლასი, 2012 წ.
2. Wikipedia
3. Mkurnali.ge


**PHENOMENON OF TWINS**


**Chkhartishvili Nato, Gvinianidze Natela**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

The article deals with the nature wonder _ the twins. There are two types of twins: identical and fraternal. Fraternal twin are born when two separate eggs are fertilized by two separate sperms.

Usually one egg is made of one sperm but the umbrella generated from the zygote in the early stages of the development is divided into two and each of them form identical twins. They have the same genotype,

the same gender and blood group.

# იშვიათი გენეტიკური დაავადება - პროგერია

ნატო ჩხარტიშვილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნათელა ღვინიანიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ნაშრომში აღწერილია მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს სიბერის*

*ნიშნების ადრეული გამოვლინება და სიცოცხლის ხანგრძლივობის მკვეთრი შემცირება.*

*არსებობს პროგერიის ორი ძირითადი ფორმა: პატჩინსონ-გილფორდის სინდრომი (ბავშვების პროგრერია) და ვერნერის სინდრომი (მოზრდილთა პროგერია). ორივეს ახასიათებს ბუნებრივი დაბერების დაჩქარებული განვითარება.*

პატჩინსონ გილფორდის სიდრომი, ანუ პროგერია არის იშვიათი, ფატალური გენეტიკური დაავადება, რომელიც ხასიათდება აჩქარებული ზრდით ბავშვებში; მისი სახელი ბერძნულია და ქართულად ნიშნავს "ნაადრევად დაბერებული». პროგერიის კლასიკური ტიპი არის პატჩინსონ-გილფორდის პროგერიის სინდრომი. ამ უკანასკნელს სახელი მას შემდეგ დაერქვა, რაც პირველად 1886წელს, ინგლისში აღწერილი იქნა ჯონათან პატჩინსონის, ხოლო 1887 წელს ჰასტინგს გილფორდის მიერ. ამჟამად მსოფლიოში ორმოცდაათამდე შემთხვევაა აღწერილი, თუმცა არის ოჯახი, სადაც ამ დიაგნოზით ხუთი ბავშვი დაიბადა. პროგერია რამდენიმე სინდრომს მოიცავს, რომლებსაც ერთი რამ აერთიანებს: ადამიანი განსაზღვრულ ასაკში ნორმალურზე ათჯერ მეტი ტემპით იწყებს დაბერებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალზე იშვიათი დაავადებაა; ყველაზე მეტი ახალგაზრდა მოხუცი იაპონიაში ცხოვრობს და როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ამის მიზეზი ახლო-ნათესაური კავშირი (მამიდაშვილ-ბიძაშვილ-დეიდაშვილებს) შორის ქორწინებაა. საბედნიეროდ საქართველოში პროგერიის არცერთი შემხთვევა არ დაფიქსირებულა.

პროგერიით დაავადებულ ბავშვებს დაბადებისთანავე არ უვითარდებათ მოხუცებულობისთვის დამახასიათებელი დაავადებები და თუნდაც შესახედაობა. ისინი ჩვეულებრივები არიან, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ 18 თვემდე. მიუხედავად იმისა, რომ მათ 18 თვემდე ჯანსაღი შესახედაობა აქვთ, ისინი დრო და დრო ნაადრევი დაბერების ხასიათს ავლენენ. 18-24 თვის განმავლობაში პროგერიისთვის დამახასიათებელი, როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ორგანოების ცვლილება იწყება, პროგერია მოიცავს: ზრდის ნაკლებობას, წონის და თმის დაკარგვას, მოხუცებულობისთვის შესაფერის დანაოჭებული კანის ქონას, განზოგადოებულ ათეროსკლეროზს, გულის დაავადებებს, გულის შეტევებს. პროგერიით დაავადებულ ბავშვებს არ აქვთ წარბები, წამწამები. აქვთ კაუჭის ფორმის ცხვირი, დანაოჭებული ნიკაპი, ვიწრო მკერდი, ამოზნექილი და შებოჭილი სახსრები და სიბერის ლაქები.

უცნაურია, რომ პროგერიით დაავადებული ადამიანები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. მიუხედავად ეთნიკური განსხვავებისა, გონებრივი განვითარებით ისინი არათუ ჩამორჩებიან, არამედ უსწრებენ თანატოლებს.

ორივე სახის პროგერია: პატჩინსონ-გილფორდის სინდრომი (ბავშვების პროგერია) და ვერნერის სინდრომი (მოზრდილთა პროგერია) ორივე ბუნებრივი დაბერების დაჩქარებული განვითარებით ვლინდება. პირველ შემთხვევაში ეს პროცესი ბავშვის დაბადებისთანავე იწყება და ადამიანი ძალიან იშვიათად აღწევს 20 წლის ასაკს, მეორე შემთხვევაში კი სქესობრივი მომწიფების პერიოდში და ადამიანმა შესაძლოა 30-40 წელს მიაღწიოს. მეცნიენები აღნიშნავენ, რომ ორივე შემთხვევაში სიკვდილი დგება ღრმა მოხუცებულობისთვის დამახასიათებელი ფუნქციების დარღვევის გამო და სხვა.

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა მეცნიერთა ვარაუდი დაადასტურა. დამ-

ტკიცდა, რომ პროგერია გენებთან არის დაკავშირებული (დაავადების მიზეზია იმ ცილის სინთეზზე პასუხისმგებელი გენის მუტაცია, რომელიც მონაწილეობს უჯრედის ბირთვის გარსის შენებაში. ამიტომ პროგერიით დაავადებულთა უჯრედებში ბირთვის გარსი იჭმუხნება. უჯრედები ნორმალურად ვეღარ იყოფა. ამის შედეგად ორგანიზმი არა მარტო წყვეტს ზრდას, არამედ კარგავს მკვდარი უჯრედების ახლით შეცვლის უნარს. ყოველივე ამის შედეგად ხდება დაჩქარებული დაბერება), რომელიმე გენის მუტაციას შეუძლია არიოს ბიოლოგიური საათი და 50-100-ჯერ უფრო სწრაფად აიძულოს სვლა. როდესაც მეცნიერებმა ამ კანონზომიერებას მიაგნეს, თავდაპირველად ძალიან გაუხარდათ, იფიქრეს, ხანგრძლივი სიცოცხლის გენი აღმოვაჩინეთო. ლოგიკა ასეთია: თუ გვეცოდინება გენი, რომელიც სწრაფ დაბერებას იწვევს "დავამუხრუჭებთ» მას და სიცოცხლე გახანგრძლივდება, თუმცა ყველაფერი გაცილებით რთული აღმოჩნდა.

დაბერების სიჩქარეზე გენეტიკური გავლენა შეიძლება დაკავშირებული იყოს ქრონიკული დაავადებებისადმი (გულის იშემიური დაავადება, თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია) წინასწარგანწყობილ გენებთან, რომლებიც მემკვიდრეობენ პოლიგენური ტიპით.

თუმცა სისხლში ქოლესტერინის დონის ზრდა, რომელიც წარმოადგენს გულის იშემიური დაავადების რისკის ფაქტორს, მემკვიდრეობს მონოგენურად. ამ ფორმის სიხშირეა 1000 ადამიანზე 6-8 შემთხვევა.

დაბერებაზე გავლენას ახდენს საცხოვრებელი პირობები, რომელიც მიეკუთვნება ფართო და უსაზღვრო ცნებათა კატეგორიას. დაბერების პროცესზე საცხოვრებელი პირობების გავლენის კვლევას აწარმოებენ რამდენიმე გზით.

* სხვადასხვა პირობებში მცხოვრებ ორგანიზმებში შესაბამისი ცვლილებების სიჩქარის შესწავლა;
* დროის ერთი ან სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, განსხვავებულ სასიცოცხლო პირობებში მობინადრე პოპულაციების სიკვდილიანობის ან სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელთა შეჯერება და შედარება;
* პლანეტაზე დღეგრძელ ადამიანთა გადანაწილების შესწავლა.

დაბერების სიჩქარეზე სასიცოცხლო პირობების გავლენის შეფასება საჭიროებს დემონსტრაციული მაჩვენებლების წინასწარ გადარჩევას, რომელთა მნიშვნელობა კანონზომიერად იცვლება ასაკის შესაბამისად.

დაბერების სიჩქარის სასიცოცხლო პირობებზე დამოკიდებულების კვლევისას ლაბორატორიულ ცხოველებში იკვლევენ შემდეგ მაჩვენებლებს:

1. შემაერთებელი ქსოვილის ცილების: კოლოგენისა და ელასტინის მდგომარეობა;
2. გულის მუშაობისა და სისხლის მიმოქცევის მახასიათებლები;
3. ნერვული სისტემისა და გულის უჯრედებში პიგმენტ ლიპოფუსცინის შემცველობა;
4. დასწავლის უნარი.

ისეთი სტატისტიკური ხასიათის მაჩვენებლის გამოყენება, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, საშუალებას იძლევა ჩატარდეს კვლევები უშუალოდ ადამიანებზე, აჯგუფებენ რა სასიცოცხლო პირობებს, მათი ბუნების მიხედვით:

1. სოციალ-ეკონომიკური;
2. კლიმატოგეოგრაფიული;

3. ადგილობრივი, რომლებიც დაკავშირებულია მაგალითად, ნიადაგის და გრუნტის წყლების მინერალურ შემადგენლობასთან ან რადიაციის დონესთან და სხვა.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წელს აჭარბებს, მაშინ როდესაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში, თანამედროვე ისტორიულ პერიოდში იგი 40 წელსაც ვერ აღწევს.

ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ უკეთეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, ნაკლებად განიცდიან ისეთი ფაქტორების ზემოქმედებას, რომლებიც სხვა პირობებში გამოიწვევდა სიკვდილს.

**ლიტერატურა**


1. ა. შათირიშვილი, ი. ჭუჭულაშვილი, ქ. ჩიქვინიძე - სამედიცინო ბიოლოგია, 2000.
2. ნ. ზალიშვილი, ნ. იოსებაშვილი - ბიოლოგია, IX კლასი, 2012 წ.
3. ა. შათირიშვილი, ს. ცაგარელი, მ. ცარციძე - ზოგადი ბიოლოგია, 1999.


**RARE GENETIC DISEASE _ PROGERIA**


**Chkhartishvili Nato, Gvinianidze Natela**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

The article deals with a very rare genetic disease _ Progeria which is characterized by aging symptom at a very early age. It is characterized with a sharp disease a sharp decrease in life expectancy. There are two main types of Progeria: Hutchinson-Gilford Progeria syndrome (Progeria in children) and Werner syndrome (WS), also known as ~adult Progeria". Both of them are characterized by early aging.

# ცოფი, პრევენცია და პროფილაქტიკა

ნათელა ღვინიანიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნატო ჩხარტიშვილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი ფორჩხიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ცოფი მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის აღუდგენელი დაზიანებით.*

*ცოფი უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ლ. პასტერმა დაადგინა ავადმყოფობის ვირუსული ბუნება, ვირუსს უწოდა ცოფის ფიქსირებული ვირუსი, რომელიც დღემდე გამოიყენება სავაქცინე შტამის სახით. პასტერმა ვაქცინით, რომელიც ცოფიანი ცხოველის ტვინისაგან იყო დამზადებული, პირველი იძულებითი აცრა ადამიანს ჩაუტარა. აცრამ შედეგი გამოიღო და ადამიანი გადარჩა.*

არჩევენ ცოფის ვირუსის ორ დამოუკიდებელ სახეს: ქუჩის (გარეული) და ფიქსირებული ვირუსი. ქუჩის ვირუსი მრავლდება და გადაეცემა ბუნებრივ პირობებში. პათოგენურია ადამიანისა და ცხოველებისათვის. ცოფის ამთვისებელია გარეული და შინაური თბილსისხლიანი ცხოველთა ყველა სახე. ამთვისებელია ასევე ადამიანიც. მაღალი მგრძნობელობით გამოირჩევიან მაღლისებრთა ოჯახის გარეული წარმომადგენლები (მელა, მგელი, ტურა და შინაური კატა). ახალგაზრდა ცხოველი უფრო მგრძნობიარეა ვირუსისადმი, ვიდრე ზრდასრული; ინფექციის აღმძვრელის წყაროა ავადმყოფი ცხოველი, რომელიც გამოყოფს ვირუსს ნერწყვით, ვირუსი შეიჭრება რა ამთვისებლის ორგანიზმში, ფიქსირდება ნერვული ქსოვილის უჯრედებში, მიემართება თავისა და ზურგის ტვინისაკენ და იწვევს ენცეფალომიელიტს. ავადმყოფობის ინკუბაციური პერიოდი შეიძლება მერყეობდეს რამდენიმე დღიდან ერთ წლამდე: მაგრამ ყველაზე ხშირად 3–6 კვირა. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია ორგანიზმში მოხვედრილი ვირუსის ვირულენტობაზე, კბენის ადგილსა და ცხოველის ასაკზე. ცოფზე არაკეთილსაიმედო ზონებში ყოველწლიურად ტარდება გეგმიური ვაქცინაცია. იცრება ძაღლი და კატა. ცხოველთა ვაქცინაციას აღნიშნულ დაავადებაზე უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო:

ცოფით ავადდება როგორც ცხოველი, ასევე ადამიანიც, კლინიკურად ცოფი წარმოადგენს მწვავე ინფექციურ დაავადებას, რომელიც აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რასაც თან ახლავს მამოძრავებელი კუნთების მკვეთრი აგზნება, დამბლის განვითარება და მტანჯველი სიკვდილი. ცოფის კლინიკური მიმდინარეობა შესაძლებელია სამ ჯგუფად დაიყოს:

1) პროდრომბული, 2) აგზნებითი, 3) პარალიზური. პროდრომბულ და აგზნებით პერიოდში ძლიერდება სასუნთქი და გულსისხლძარღვთა სისტემის დარღვევები, ადგილი აქვს ხორხისა და ყელის სპაზმებს. ვითარდება აერობია (ჰიპერმგრძნობელობა), ავადმყოფს გუგები გაფართოე-

ბული აქვს, პულსი გახშირებული, ადგილი აქვს ჰალუცინაციებს, ძლიერდება სალივაცია (ნერწყვის გამოყოფა), დაინფიცირებიდან 2–3 დღეში მეტყველება გაუგებარი ხდება; ჰალუცინაციების შედეგად ავადმყოფი ადგილს ვერ პოულობს,აგრესიულია და ცდილობს სადღაც გაიქცეს.

ცოფის ვაქცინა წარმოადგენს ცოფის დასუსტებულ ვირუსს, რომლის ორგანიზმში შეყვანის მიზანია ორგანიზმმა გამოიმუშავოს ანტისხეულები ცოფის ვირუსისაგან თავის დასაცავად, რაც უფრო ადრე დაიწყებს დაზარალებული ვაქცინაციას, მით უკეთესი იქნება შედეგი. ცოფის ვაქცინაცია ორგვარია: პასიური და აქტიური. აქტიური ვაქცინაცია მიმართულია იმუნიტეტის გამომუშავებისაკენ, ხოლო პასიური ვაქცინაციის დროს ორგანიზმში შეჰყავთ მზა ანტისხეულები მასში მოხვედრილი ვირუსის გასანეიტრალებლად.

ამდენად, ცოფის საწინააღმდეგო აქტიური და პასიური ვაქცინაცია იძლევა გარანტს იმისას, რომ ადამიანს საფრთხე აღარ დაემუქრება.

ცოფის პროფილაქტიკა გულისხმობს ნაკაწრი ან ნაკბენი ჭრილობის სწრაფ დამუშავებას, დაკბენილი ადამიანის დროულ მიმართვას ქირურგ–რაბიოლოგთან. სპეციალისტი უზრუნველყოფს ვაქცინაციის დროულად და კვალიფიციურად ჩატარებას, ჭრილობა უნდა ჩამოიბანოს საპნიანი წყლით, მის გარშემო არე დამუშავდეს ბეტადინის ხსნარით, გაუკეთდეს ასეპტიკური ნახვევი. ჭრილობის გაკერვა არ არის რეკომენდირებული.

იმუნიზაციის პროფილაქტიკური კურსი გრძელდება 3–7 დღე, თუ ცხოველმა დაკბენიდან კიდევ თოთხმეტი დღე იცოცხლა, შეიძლება აცრები შევწყვიტოთ. თუ ცხოველი დაიკარგა ან მოკვდა ვაქცინაცია გრძელდება მეთოთხმეტე – ოცდამერვე დღეს. ეს უკვე სამკურნალო კურსია, თუ ნაკბენი ხელის მტევანზე, სახეზე, ტერფზე ან სასქესო ორგანოების არეშია, აუცილებელია პირველივე დღესვე გაკეთდეს ცოფის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინი წონის მიხედვით. კანის დაზიანების შემთხვევაში ცოფზე აცრასთან ერთად საჭიროა ტეტანუსზე ანუ გაშეშებაზე აცრა.

ანტირაბიული იმუნო გლობულინის შეყვანისას შესაძლოა განვითარდეს ალერგიული რეაქცია, ანაფილაქსიური შოკი და შრატისმიერი დაავადებებიც კი. ვაქცინაციის გართულებების მიზეზად შესაძლოა იქცეს იმუნოპროფილაქტიკის ტექნიკის დარღვევა, უხარისხო შრატის გამოყენება და ტემპერატურული რეჟიმის დაუცველობა.

ვაქცინაციის პერიოდში და მის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში უნდა ვერიდოთ გადაღლას, გადაციებას და გადახურებას. იკრძალება ფიზიკური დატვირთვა, მზეზე დიდხანს ყოფნა, მკაცრად იკრძალება თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობით ალკოჰოლის მიღება. მსოფლიო მაშტაბით ყოველწლიურად ცოფის რეაბილიტაციის კურსს იტარებს ნახევარი მილიონი ადამიანი და რამდენიმე ასეული კვდება. დაავადებულ ადამიანთა ლეტალობა მაღალია, მაგრამ პროფილაქტიკური და პრევენციული ღონისძიებები უზრუნველყოფენ სიცოცხლის ასპროცენტიან გარანტს.

**ლიტერატურა**

მ. გაბელაშვილი–ბრეგაძე “მიკრობიოლოგია”, 2009 წელი

ზ. ქაფიაშვილი; მ. მამაიაშვილი “ძაღლის ინფექციური დაავადებები” 2005 ლ.

Wikipedia.org

**RABIES, PREVENTION AND PROPHYLAXIS**

**Ghvinianidze Natela, Chkhartishvili Nato, Porchkhidze Giorgi**
Akaki Tsereteli State University

**Summary**

Rabies is an acute infectious disease characterized by an unrecoverable damage to the central nervous system. Rabies is spread all over the world. The lethality is high during rabies. The disease is caused by a virus containing ribo -nucleic acid.

# ტვინის საკვები ნივთიერებები

მაგდანა ჯიქია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**magdana.jikia@atsu.edu.ge**

*ტვინი საკვებიდან ღებულობს ისეთ ნივიერებებს, რომელიც კარგად ფუნქციონირებაში ეხმარება. ასაკის მატებასთან ერთად ტვინი ნელა მუშაობს, ამიტომ შესაძლებელია ტვინის მუშაობა ამა თუ იმ საკვების საშუალებით დაჩქარდეს ან შენელდეს დაბერბის პროცესი. კვების სრულფასოვნება განისაზღვრება ისეთი საკვები ნივთიერებების ბალანსით, როგორებიცაა: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები და მიკროელემენტები.*

10 - 15 მლრდ ნერვული უჯრედი, რომელიც თავმოყრილია დაახლოებით 2 კგ წონის მაღალორგანიზებულ გუნდად, შეადგენს ადამიანის ტვინს. იგი მთელი ორგანიზმისათვის მეტად დიდი მნიშვნელობის გამო მეცნიერთა ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს. მეცნიერების განსაცვიფრებელი კურიოზია ის, რომ მოცემულ მომენტში ტვინი მიისწრაფვის შეიცნოს თავისი თავი, ეჯახება რა ამასთანავე უდიდეს სიძნელეებს, ხოლო თვით პრობლემის დაყენება და მისი გადაწყვეტის წარმატებები ადამიანის გონების სიდიადის დასაბუთებაა.

მეცნიერება ტვინის შესახებ სწრაფად ვითარდება. ტვინის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა კიბერნეტიკამ, რომელმაც იგი შეაფასა, როგორც ცოცხალი მართვადი საინფორმაციო "მასალა". [1]

საჭიროა ითქვას, რომ მიკროსკოპულ მასშტაბებში ტვინი შესწავლილია საკმაოდ კარგად. მეცნიერებმა ზედმიწევნით იციან, თუ ტვინის რა ნაწილი მართავს ორგანიზმის ამა თუ იმ ფუნქციას. ცნობილია, სად იმყოფება მხედველობის, სამეტყველო და სმენის ცენტრები. სადაა განლაგებული ტვინის ნეირონები, რომლებიც აწესრიგებს ხელების, ფეხებისა და სახის კუნთების მოძრაობას. ერთი სიტყვით არის ტვინის დაწვრილებითი "გეოგრაფიული რუკა", არის მისი სიგრძივი და განივი ჭრილი, სადაც მითითებულია ნერვული უჯრედების ფუნქციური დანიშნულება.

რამდენიმე რთულადაა საქმე ტვინის მიკროსკოპულ სტრუქტურასთან, მაგრამ უკანასკნელ წლებში აქაც ბევრი რამე გახ-

და გასაგები. თავის ტვინის ნეირონები, ძირითადად გვანან ერთმანეთს. მათ გააჩნიათ ბირთვი და სხეული და სხვა უჯრედებისაგან განსხვავდებიან მრავალრიცხოვანი მორჩის (დენდრიტების) არსებობით, რომლებიც სპეციალური “რელეს” - სინაპსების - საშუალებით უერთდებიან სხვა უჯრედებს. ნეირონების ერთ-ერთი მორჩი განსაკუთრებით გრძელია. ეს აქსონია, რომელიც გრძელდება უჯრედიდან ამათუიმ ორგანოს სხეულისაკენ ანდა ბოლოვდება კუნთის ქსოვილებში. აქსონი წარმოადგენს გამტარს, რომლითაც ნერვული უჯრედი სიგნალს ღებულობს გარედან.

მიაღწევს რა ნერვულ უჯრედს, ამგზნები იმპულსები ან აღაგზნებს მას ან არა. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს “მეზობელი” ნეირონების მდგომარეობას. მათ აგზნებასა და “ნეირონული” ქსელის სტრუქტურაზე დამოკიდებულებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყველაზე ფანტასტიკურ ელექტრონულ შემთხვევებს.

რეალური ქსელების ანალოგიურად ამჟამად მეცნიერები ლაპარაკობენ “ნერვული ქსელების” შესახებ, რომლებშიაც მიმდინარეობს რთული და უდიდესი რაოდენობის ნერვული უჯრედების არცთუ გასაგები ურთიერთქმედება.

ტვინის მოქმედებასა და რეალურ ქსელებს შორის ანალოგიამ ზოგიერთი მეცნიერი აიძულა განეხილა ტვინი, როგორც ცოცხალი გამოთვლითი მანქანა.

მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ადამიანი ინტელექტუალურ საქმიანობაში ყველაზე მაღალ შედეგს აღწევს, როცა ზის, უფრო დაბალს - როცა ფეხზე დგას. ტვინი ყველაზე ცუდად მაშინ მუშაობს, როცა ადამიანი მწოლიარე მდგომარეობაშია.

პირველ რიგში ტვინს სჭირდება სწორი მუშაობა, ვინაიდან, ის უზრუნველყოფს მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობასა და ტონუსში ყოფნას. ყველაფერი მუშაობს ბიოქიმიურ დონეზე. აზროვნების პროცესი - ბიოქიმიური რეაქციების რთული და ხანგრძლივი ჯაჭვია, რომელსაც უამრავი ნივთიერება ესაჭიროება. ტვინი მუდამ უნდა იკვებოს. საკვებში განსაზღვრული კვების პროდუქტების გამოყენებისას, ნერვულ სისტემას უნდა მიეწოდოს ყველა აუცილებელი. ტვინს სრულფასოვანი მუშაობისთვის სჭირდება ცილა, ზოგიერთი ვიტამინი და მიკროელემენტები, ასევე ცხიმოვანი მჟავები. გარდა ამისა, გონებრივი მუშაობა მოითხოვს დიდ ენერგიას. რადგან ტვინს არ შეუძლია ვიტამინებისა და მინერალების დაგროვება, ამიტომ ბიოქიმიურ რეაქციებში გამოიყენება ის ნივთიერებები, რომელიც ორგანიზმში შევიდა საკვებთან ერთად კონკრეტულ მომენტში.

ცხიმები - თავის ტვინის უჯრედების 30% ცხიმს შეიცავს. ტვინის ყოველი ნეირონი დაფარულია სპეციალური ცხიმოვანი გარსით, რომლის წყალობითაც იმპულსები (ბრძანებები) გადაეცემა ერთი უჯრედიდან მეორეს. ამის გარეშე ვერ დაიმახსოვრებთ აუცილებელ ინფორმაციას, ამიტომ ამ ცხიმების რაოდენობა სიცოცხლის მანძილზე უნდა იყოს გათვალისწინებული. უჯერი ცხიმოვანი მჟავებით მდიდარი საკვებია: თევზები - თინუსი, სარდინი, წითელი თევზი.

ცილები - საკვებთან ერთად შემოდის, ორგანიზმში იგი არ გამომუშავდება. მეხსიერებისათვის განსაკუთრებით სასარგებლოა ამინომჟავები: მეთიონინი, ვალინი, ლეიცინი, ტრიპტოფანი (აფთიაქებშია). ეს ამინომჟავები დიდი რაოდენობითაა წითელ ლობიოში, მუქი ფერის ბრინჯში (კანგაუცლელ), თევზსა და ხორცში. [2]

მეხსიერებისათვის აუცილებელია მიკროელემენტები: რკინა, თუთია, მაგნიუმი. ისინი ემსახურებიან ყურადღების კონცენტრაციას, მდიდარია შვრია, ხორცი, ბრინ-

ჯი, ნიგოზი, ფეტვის ბურღული . [3]

ნახშირწყლები - უხვადაა საკონდიტრო ნაწარმში, სწრაფად იყოფა და მათ მიერ გამომუშავებული ენერგიაც სწრაფად იხარჯება. ტვინმა რომ არ გიღალატოთ ყოველდღე უნდა მიიღოთ ნელი ნახშირწყლები, სწრაფი შემლებისდაგვარად გამორიცხოთ.

ვიტამინები - მეცნიერებმა ტვინის მუშაობის გასაუმჯობესებელი რამოდენიმე ვიტამინის იდენტიფიკაცია მოახდინეს [4, 5]. მათგან განსაკუთრებული ყურადღება "C", "E", ვიტამინებმა და ბეტა-კაროტინმა დაიმსახურა, რომელთაგან "A" ვიტამინი წარმოიქნება. ეს ვიტამინები ტვინს არამდგრადი ტოქსიკური მოლეკულებისაგან განთავისუფლებაში ეხმარება, რომლებიც ორგანიზმში ჟანგბადის უკმარისობის, მზის რადიაციის ზეგავლენის, ელექტრომაგნიტური დასხივების, თამბაქოს ბოლის ან გამონაბოლქვი აირების ზემოქმედების დროს ვითარდება.

ბეტა კაროტინი ვიტამინი არ არის, მაგრამ მოქმედებს როგორც აქტიოქსიდანტი და ყველაზე საშიში და დამანგრეველი თავისუფალი რადიკალების ორსახეობას - პოლიუჯერცხიმოვან მჟავებსა და ჟანგბადს ანადგურებს. ბეტა - კაროტინი და ვიტამინი "A"ცხიმგამხნელი ნივთიერებებია, ისინი თავისუფალი რადიკალების უჯრედების მემბრანებისა და ნერვების გარსის განადგურებაში უშლიან ხელს.

ვიტამინი "A" დიდი რაოდენობითაა თევზის ღვიძლში. ბეტა-კაროტინი კი მუქ მწვანე და ნარინჯისფერ ხილ-ბოსტნეულში, კერძოდ, ბროკოლის კომბოსტოში, ფურცლოვან ჭარხალში, სტაფილოში, კვახში, ატამში და ა.შ.

"B" ჯგუფის ვიტამინებს ინტელექტისა და ფსიქიკის სრულფასოვან მუშაობაში თავისი წვლილი შეაქვს. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ექვსი ვიტამინი, რომელთაგან თითოეულს განსხვავებული ფუნქცია ეკისრება.

ვიტამინი "$B_1$", ანუ თიამინი - ძლიერი ანტიოქსიდანტია, მას ნერვულ უჯრედებზე ალკოჰოლის მავნე მოქმედების (საუბარია დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღებაზე) აღსაკვეთად სვამენ.

ვიტამინი "$B_3$" მეხსიერების გაუმჯობესებასა და სტრესისაგან ორგანიზმის დაცვაში ეხმარება. იგი სისხლის მოჭარბებულ შედედების უნარს ამცირებს, რითაც ინსულტისა და გულის შეტევისაგან იცავს, რომლებიც ტვინის სრულფასოვან მუშაობას აფერხებენ. გარდა ამისა, ნიაცინი სისხლის წითელ სხეულებს ჟანგბადის უკეთესად "ტრანსპორტირებაში" ეხმარება. რაც უფრო მეტი ჟანგბადია სისხლსა და ტვინში, მით უკეთესად მუშაობს ეს უკანასკნელი.

ვიტამინი "$B_5$"-ის დამსახურებით სიგნალი ერთი ნერვული უჯრედიდან მეორეს გადაეცემა.

ვიტამინი "$B_6$", ანუ პირიდოქსინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტვინის სწორად მუშაობისათვის აუცილებელი ნივთიერებების - ნორადრენალინის, სეროტონინის და დოფამინის წარმოქმნაში, რომლებიც ფსიქიკის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის არის საჭირო, მათი უკმარისობა გონებრივ დაქვეითებას იწვევს.

ვიტამინი "$B_{12}$", ანუ ციანოკობალამინიც ანტისტრესული ნივთიერებაა, იგი აქტიურად ეხმარება დაღლილობის მოხსნაში. მისი უკმარისობა შიზოფრენიასა და სიჩლუნგეს იწვევს.

ვიტამინი "C", ანუ ასკორბინის მჟავა ტვინის "სიფხიზლესა" და განსჯის უნარს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი, "C" ვიტამინი ზურგის ტვინის სითხეს "ასუფთავებს". იგი დიდი რაოდენობითაა ყველა სახის კომბოსტოში, მწვანილში, ქლიავში, ციტ-

რუსებში, წითელ მოცვში, ქაცვში, ჭინჭარში, შავ მოცხარში.

ძლიერი გადაღლილობის დროს, ბუნებრივ ვიტამინებთან ერთად მიზანშეწონილია სინთეტიკური ვიტამინებიც, ოღონდ დღე-ღამეში არა უმეტეს 1 გრამისა.

დიდი დოზით "C" ვიტამინის მიღება დაუშვებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იგი უჯრედებს აზიანებს.

ვიტამინი "E" უძლიერესი ანტიოქსიდანტია, რომელიც ე. წ. რთული ნივთიერებების ჯგუფს "ტოკოფეროლებს" განეკუთვნება. ის ყველაზე ძლიერი ცხიმგამხსნელი ნივთიერებაა და ტვინის უჯრედების მემბრანებს დაზიანებისაგან იცავს: ნიგოზი, მზესუმზირა, შვრია.

ამრიგად, ტვინი არის ჩვენი კომპიუტერი. ტვინს სჭირდება სწორი კვება და ფუნქციონირება. ტვინისა და ნერვული უჯრედების კვება პირდაპირ დამოკიდებულებაშია მიღებულ საკვებზე.

**ლიტერატურა**


1. ჯიქია მ., ყიფიანი ე. - სიბერემდე ჯანმრთელობა და ხალისი. ქუთაისი. 2010.
2. ბოლქვაძე ა. - ბიოქიმია. თბილისი. 1999.
3. ალექსიძე ნ. - ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია სტომატოლოგებისათვის. თბილისი. 2005.
4. ყიფიანი ე. - ვიტამინები. თბილისი. 1993.
5. Строев Е. А. - Биологическая химия. Москва. 1986.


**Brain Nutrients**


**Magdana Jikia**
**Akaki Tsereteli State University**



**Summary**

Brain Science is rapidly improving. Brain needs appropriate working, as it is responsible for body's health and its being in tonus. Everything works at biochemical level. Thinking process is a long an difficult chain of biochemical reactions, that need a lot of substances. With food we take our nervous system is provided with all necessary substances. For fully working the brain needs protein, some vitamins, and microelements, also fatty acids. Mental thinking needs a lot of energy. As the brain can't save vitamins and minerals, the substances, which are intaken in the body at concrete moment, are used in biochemical reactions.

# 10 ჰუმანიტარული HUMANITIES ГУМАНИТАРНОЕ







# ცივილიზაციურ კულტურათა დიალოგი

ელენე გეგეშიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**E-mail: elene.gegeshidze@tsu.ge**

*კულტურათა ურთიერთქმედება არის უშუალო კავშირურთიერთობის სახე, რომელიც ყალიბდება, სულ მცირე, ორ კულტურას შორის. კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფასეულობათა, მახასიათებელთა, კულტურული აქტივობის ფორმათა შეცვლას, ახალი ორიენტირების გაჩენას, რაც გარედან მომდინარე იმპულსების გავლენით ხდება. კულტურათა ურთიერთქმედება - ცივილიზაციურ კულტურათა დიალოგი, როგორც წესი, ხანგრძლივი პროცესია (არანაკლებ რამდენიმე ათეული წლისა). გამოყოფენ კულტურათა ურთიერთქმედების სხვადასხვა დონეს:* **1)** *ეთნიკური დონე – ურთიერთობა ეთნოსებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ეთნოკონფესიურ და სხვა ჯგუფებს შორის;* **2)** *ეროვნული დონე, სადაც რეგულაციურ ფუნქციას მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო-პოლიტიკური სტრუქტურები ასრულებენ;* **3)** *ცივილიზაციური დონე.*

კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში განარჩევენ კულტურა-დონორს და კულტურა-რეციპიენტს. პირველი

მეტს გასცემს, ვიდრე იღებს, მეორე - პირიქით. დროთა განმავლობაში ეს როლები შეიძლება იცვლებოდეს.

განასხვავებენ "სხვა" კულტურასთან კონტაქტზე ამა თუ იმ კულტურის რეაქციის ორ ძირითად ტიპს: ეთნოცენტრულსა და ეთნორელატიურს. პირველი, თავის მხრივ, მოიცავს სამი სახის რეაქციას: 1) კულტურათა შორის არსებული განსხვავების უარყოფა, 2) საკუთარი კულტურული უპირატესობის დაცვა, 3) განსხვავებათა მინიმიზაცია; მეორე ტიპი ასევე სამგვარ რეაქციას აერთიანებს: 1) კულტურათა განსხვავების მიღება-აღიარება, 2) ახალ კულტურასთან ადაპტაცია, 3) ინტეგრაცია ორივე (მშობლიურ და ახალ) კულტურაში.

ცნობილია ურთიერთქმედების როგორც მშვიდობიანი, ნებაყოფლობითი (თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა), ისე არამშვიდობიანი, ძალდატანებითი (კოლონიური, სამხედრო დაპყრობები)ფორმები.

კულტურათა ურთიერთქმედების პროცესისა და მისი შედეგების გადმოსაცემად მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში მრავლად მოიპოვება ცივილიზაციათა და კულტურათა დიალოგის მაგალითები, რის შედეგადაც თვისობრივად ახალი, მაგრამ გარკვეულწილად ტრდიციულისა და უცხოს ჰარმონიულად ნაზავი კულტურის ფორმირება ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლურ სამყაროს უდიდესი წვლილი მიუძღვის მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. მისი კულტურა თითქმის ყველა რეგიონში დამოუკიდებლად ყალიბდებოდა, როგორც ახლო, ისე შუა და შორეულ აღმოსავლეთში. ამგვარი სინთეზის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ამავდროულად საინტერესო ნიმუშია უძველესი თვითმყოფადი ცივილიზაციითა და კულტურით გამორჩეული ძველი ჩინეთისა და იაპონიის კულტურული ურთიერთობები და მისი შედეგები. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის აქიპელაგზე მოსახლე ხალხთა ადრეული კულტურა სხვადასხვა ანთროპოლოგიური და კულტურული კომპონენტების მჭიდრო ურთიერთკავშირის საფუძველზე ყალიბდებოდა. მათგან ყველაზე ძლიერი ჩინური გავლენა იყო, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა: ძვ. წ. III საუკუნეში დაიწყო და ახ. წ. VIII საუკუნემდე გაგრძელდა. თუმცა ამის შემდეგაც კულტურული კავშირები აზიის კონტინენტთან ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იაპონური კულტურის ევოლუციაში.

ჩინეთის გავლენა იაპონიაზე აისახა როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კულტურაზე. სწორედ ჩინეთიდან მიგრირებულთა წყალობით ძვ.წ. III საუკუნეში იაპონიაში შეაღწია მიწათმოქმედებამ, ბრინჯის კულტურის მოყვანამ, ხელოსნობის სხვადასხვა დარგებმა, ლითონის იარაღებმა და მათი დამუშავების ტექნოლოგიამ. იაიოის შემდგომი პერიოდი იაპონურ კულტურაში იყო ყორღანების (იაპ.-კოფუნ) ხანა, რომელმაც სახელწოდება მიიღო IV-VII სს იაპონიის ტერიტორიაზე აგებული მრავალრიცხოვანი ყორღანული ტიპის უზარმაზარი სამარხების გამო, რომლებიც გაბატონებული ფენის წარმომადგენელთათვის იყო განკუთვნილი. მათში გამოყენებითი ხელოვნების არაჩვეულებრივი ნიმუშებია აღმოჩენილი: ძვირფასი ნივთები, ოქრო - ვერცხლის სამკაულები, ხმლები, სარკეები და სხვა., რომელთა უმრავლესობა კონტინეტზე გავრცელე-

ბული ნიმუშების მიხედვით იყო დამზადებული. იმავე ხანებში, კერძოდ IV-V სს. იაპონიაში ჩინეთიდან იეროგლიფური დამწერლობა გავრცელდა, რამაც ბიძგი მისცა ლიტერატურის, საისტორიო მწერლობისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითრებას, ასევე სწავლა - განათლების სისტემის აღმავლობას[14].

VI საუკუნის შუა ხანებში ჩინეთიდან (კორეის გზით) იაპონიაში ბუდიზმისა და კონფუციონიზმის გავრცელება დაიწყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბუდიზმის როლი, რომელმაც იაპონიაში ბუდისტური კულტურის ეპოქას ჩაუყარა საფუძველი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კულტურის ყველა სფერო იქ ბუდისტურ სარწმუნოებას დაექვემდებარა. იმავდროულად, ვინაიდან ბუდიზმის მთავარი დოქტრინა - უსიტყვო მორჩილების შესახებ, ყოველმხრივ მიესადაგებოდა გაბატონებული კლასის ინტერესებს, იგი მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად იქცა დაბალ ფენათა მორჩილების დასაკანონებლად [15]. აქვე უნდა შევნიშნოთ[16], რომ უცხო სარწმუნოების გაბატონებით, იაპონიის უძველესი ეროვნული რელიგიის, შინტოიზმის (იაპ. - ღმერთების გზა) ინტერესები არ შელახულა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავაფიქსიროთ ის ფაქტი, რომ შინტოისტური ღმერთები ბუდისტურ ღვთაებათა პანთეონში იქნა ჩართული და პირიქით: შინტოს ტაძრებში ბუდას ქანდაკებებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისინი, ვინც ბუდიზმი მიიღო, უწინდებურად შინტოისტურ რიტუალებშიც იღებდნენ მონაწილეობას[17]. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: იაპონელს არ ეკრძალება გახდეს ბუდისტი, ქრისტიანი ან რომელიმე სხვა რელიგიის მიმდევარი, რადგან ყველა იაპონელი დაბადებით და სიკვდილით მაინც შინტოისტად რჩება, სხვა სარწმუნოებასთან ზიარება კი დროებით მოვლენად აღიქმება.

VI საუკუნის მიწურულიდან იამატოს მეფეთა რეზიდენცია მდ. ასუკას რეგიონში განლაგდა, ამიტომაც მთელმა მომდევნო პერიოდმა ასუკას სახელწოდება მიიღო (592 -710 წწ.). სწორედ იმ პერიოდში იაპონიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ძვრები მოხდა, მაგალითად „ტაიკას რეფორმები" (იაპ. დიდი რეფორმები) 645/46 წწ., რომელიც ჩინეთის ნიმუშით განხორციელდა. მისი მთავარი შედეგი ის იყო, რომ ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული ადრეფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც მემკვიდრეობითი უფლებებით აღჭურვილი იმპერატორი ჰყავდა[18]. ცვლილებები სახელმწიფოს სახელწოდებასაც შეეხო: ტოპონიმი - იაპონია ოფიციალურ დოკუმენტებში პირველად 702 წელს გამოჩნდა, როდესაც ჩინეთში წარგზავნილმა იამატოს ელჩობამ თავის ქვეყანას „ამომავალი მზის ქვეყანა" უწოდა (იაპონურად - ნიპონ ან ნიპონ, ჩინურად - ჟიბენ). როგორც ცნობილია, ჩინეთი უძველესი დროიდან ცისქვეშეთად მოიხსენიებოდა, იამატოსთვის ამომავალი მზის ქვეყნის დარქმევა კი იმაზე მიანიშნებდა, რომ ამიერიდან იაპონია საერთაშორისო სარბიელზე ჩინეთისა და კორეის თანასწორად აღია-

[14] Силичев Д.А., Культурология, М.,1998, стр. 70.

[15] Культурология, История мировой культуры под ред. А.Н.Марковой, М., 1998, стр. 307.

[16] Ch. Eliot, Japanese Buddhism, London, 1959, p. 103.

[17] გელაშვილი ნ., ბუდიზმი შუა საუკუნეების იაპონიაში, კრ. „აღმოსავლეთი და კავკასია", №2, თბ., 2004 წ., გვ. 58.

[18] H. Paul Varley, Japanese Culture, Honolulu, 1984, p. 23-24.

რებაზე აცხადებდა პრეტენზიას[19].

იაპონიამ კონტინენტური ცივილიზაციის თითქმის ყველა მონაპოვარი გადაიღო. ძნელია იაპონურ ტრადიციულ ცივილიზაციასა და კულტურაში ისეთი რამის დასახელება, რაც მის მეზობლებს არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა იაპონური კულტურა მუდამ ეროვნული რჩებოდა, ხდებოდა მხოლოდ იმის გათავისება, რაც მისაღები და სასურველი იყო იაპონელთათვის. აღსანიშნავია, რომ იაპონიაზე ჩინური გავლენის შესახებ საუბრისას, რუსი კულტუროლოგი ნ. დანილევსკი იაპონურ კულტურას ჩინურის ერთერთ ვარიანტად მოიაზრებს. სხვათაშორის, იმავე თვალსაზრისს იზიარებს ზოგიერთი იაპონელი მკვლევარი, მაგალითად: იტო, მიაგავა, იოსიძავა და სხვ.

ცხადია, გავლენა ძალზე დიდი იყო, მაგრამ საკითხის ამგვარი ინტერპრეტაცია გაუმართლებლად მიგვაჩნია. სინამდვილეში ჩინეთის გავლენით იაპონიაში მხოლოდ დაჩქარდა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის, შემდეგ კი სახელმწიფოს ფორმირების პროცესი და ამ მოვლენებთან თანმდევი კულტურული პროცესები ამ კონტექსტქში ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ იაპონიის უძველეს მოსახლეობას - აინებს, უკვე შორეულ წარსულში სხვა მიგრირებულ ხალხთან ურთიერთობის პროცესში უცხო კულტურული მონაპოვრის ათვისება-გადამუშავების საოცარი უნარი გამოუმუშავდათ. ეს შტრიხი ზოგადად იაპონური კულტურის ერთერთ მახასიათებელ ნიშან-თვისებად იქცა. ამასთან ერთად, ისიც გასათვალიწინებელია, რომ იაპონიის კუნძულებს სხვადასხვაგვარი გეოგრაფიული და კლიმატური თვისებები გააჩნდათ, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს იაპონელთა ცხოვრების წესზე, მენტალიტეტზე, ისტორიაზე და კულტურაზე.

710 წ. ნარას დაბლობზე იაპონიის პირველი მუდმივი დედაქალაქი ჰეიძიო (იაპ. - სამყაროს ციხესიმაგრე) აიგო, რომელსაც შემდეგ ნარა ეწოდა. ეს ქალაქი იაპონური ცივილიზაციის აყვავებას განასახიერებდა და ნარას პერიოდის (710-794) სახელით შევიდა ისტორიაში. სწორედ ნარაში აისახა განსაკუთრებული სიძლიერით ჩინური კულტურის გავლენა, მაგრამ უკვე როგორც ამ ზეგავლენის ბოლო ეტაპი. ნარა ჩინეთის ხანის დინასტიის დედაქალაქის - ჩანანის ნიმუშით გაშენდა, ზუსტად იყო გადაღებული ქალაქის დაგეგმარება, ქუჩები, ტაძრები, მოედნები და ა.შ, [20]. იაპონიის სხვა ქალაქებიც ჩინური ნიმუშით იგებოდა, თუმცა განსხვავებაც არსებობდა. კერძოდ ჩინეთის დედაქალაქისგან განსხვავებით, იაპონიის ქალაქებს ირგვლივ კედელი არ ჰქონდა მხოლოდ სასახლეებს უკეთდებოდა გალავანი. კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: იაპონიაში სამშენებლო მასალად ქვა და აგური არ გამოიყენებოდა: მთელი ქალაქი, სასახლის კომპლექსისა და ტაძრების ჩათვლით, ხისგან იგებოდა. ეს გამუდმებით ხანძარსაშიშ მდგომარეობას ქმნიდა, სამაგიეროდ, მიწისძვრებით ის ნაკლებად ზიანდებოდა [21].

ჩინეთიდან ეზიარა იაპონია ფერწერის ტექნიკასაც. მართალია, იაიოის პერიოდიდან შემორჩენილია მცირე რაოდენო-

---

[19] გელაშვილი ნ., იაპონური კულტურა, თბ., 2001 წ., გვ. 50-51.

[20] გელაშვილი ნ., იაპონური კულტურა, თბ., 2001 წ., გვ. 50-51.

[21] История Японии, 1, отв.редактор А.Е.Жуков, М., 1999 стр. 115.

ბის პრიმიტიული სახის ნახატები, მაგრამ ნამდვილი ფერწერული ნამუშევრების შექმნა (ტილოზე, ქაღალდზე, აბრეშუმზე) იაპონიაში მხოლოდ ჩინური სახვითი ხელოვნების გაცნობის შემდეგ დაიწყო. ფერწერის უძველესი ნიმუშები შემონახულია ზემოხსენებულ ტოდაიჯის სატაძრო კომპლექსის საგანძურში, სადაც დაცულია შირმებზე და ტილოებზე შესრულებული პეიზაჟები, პორტრეტები, ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებები. ჰორუჯის ტაძრის კედლებს კი ულამაზესი ფრესკები ამშვენებს, რომლებიც ბუდისტური ფერწერის უძველეს ძეგლს წარმოადგენს და იაპონური ფერწერის ერთ-ერთ შედევრადაა აღიარებული.

ხსენებული ნახატები ჩინელი და კორეელი პროფესიონალი მხატვრების მიერ იყო შექმნილი, რომლებსაც მშენებლებთან, ხუროთმოძღვრებთან და ხელოვნების სხვა ოსტატებთან ერთად, იაპონიის მმართველი არისტოკრატია კონტინენტიდან იწვევდა. ამის გამო, ცხადია, იაპონური ფერწერა იმ ეტაპზე ჩინური სახვითი ხელოვნების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ამასთან ერთად, ის ძირითადად ბუდისტურ თემატიკას უკავშირდებოდა. ასე, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, იაპონური ფერწერა სათავეს სწორედ ბუდისტური ხელოვნებიდან იღებს[22].

მსოფლიოში ცოტა თუ მოიძებნება ისეთი კულტურა, რომელმაც იაპონიის დარად შესძლო უცხო კულტურათა ელემენტების შეთვისების შემდეგ, კვლავ თვითმყოფადი და ეროვნული დარჩენილიყო[23]. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იაპონიამ წარმატებით გაართვა თავი კონტინენტურ კულტურასთან ასიმილაციას, ხოლო ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე (VIII-IX სს. მიჯნაზე) მათგან თანდათან განთავისუფლება შეძლო. ჩინურ ცივილიზაციასთან ნაზიარებმა იაპონელებმა დროთა ვითარებაში უცხო კულტურის გადაღების თავისებური მექანიზმი შეიმუშავეს. კერძოდ, ხდებოდა უკვე არა ბრმად წაბაძვა, არამედ მხოლოდ მათთვის მისაღები ელემენტების გადამუშავება, ადგილობრივ ტრადიციებთან მათი შეთავსება და სინთეზი, რამაც უდაოდ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. IX საუკუნის მიწურულს შექმნილი კონკრეტული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების გამო, ჩინეთთან ოფიციალური კავშირები შეწყდა და იაპონურმა კულტურამ დამოუკიდებელი გზით და დიდი აღმასვლით განაგრძო განვითარება, იმავდროულად მან დაასრულა თავისი თვითმყოფადობის ფორმირებაც. ყოველივე ამის საფუძველზე, ჩინური კულტურის კვალი იაპონიაზე გაუფერულდა და მოგვიანებით საერთოდ გაქრა. ყველაზე ნათლად ეს პროცესი მომდევნო - ჰეიანის (დღევანდელი კიოტო) ეპოქაში გამოვლინდა, რომელიც ეროვნული კულტურის ფორმირების ოქროს ხანას წარმოადგენდა და IX-XII საუკუნეებს მოიცავდა[24] [6,309-313]. განვითარებული შუა საუკუნეების დადგომის დროისათვის (XII ს-ის მიწურული) იაპონურ ფერწერაში, პოეზიაში, არქიტექტურაში, მხატვრულ ხელოსნობაში კვლავ გამოჩნდა მცირე დოზით ჩინური, კორეული, კიდევ უფრო ნაკლებად ინდური ელენემტები, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ზედაპირული გავლენის

---

[22] Культурология, История мировой культуры под ред. А.Н.Марковой, М., 1998, стр. 307.

[23] Конрал, 1980, 68.

[24] Культурология, История мировой культуры под ред. А.Н.Марковой, М., 1998, стр. 87.

ნიშნები და მთლიანობაში ისინი იაპონური კულტურის საფუძვლებს ემორჩილებოდნენ. XVI საუკუნის შუახანებიდან იაპონიაში ევროპული კულტურის ელემენტებმა და ქრისტიანობამ იწყო გავრცელება, მაგრამ 1639 წელს ქვეყნის იზოლაციაში მოქცევით, ხელისუფლებამ მისი აღმოფხვრა შესძლო. თუმცა დროებით, რადგანაც XIX საუკუნის შუა ხანებიდან დასავლური სამყაროს აქტიური ძალისხმევის შედეგად ქვეყანა ვესტერნიზაციის გზას დაადგა, გამოიკვეთა ორი მიმართულება:

1. აღმოსავლურ-აზიური ტრადიციების ერთგული და 2. იაპონურ-ევროპული, რომელიც ევროპულ კულტურას ეფუძნებოდა.

საუკუნეთა მანძილზე ქვეყნის ჩაკეტილობა ცხოვრების სტილისა და ადგილობრივი მენტალიტეტის თავისებურებათა კონსერვაციას იწვევდა, იაპონელებს თავიანთი კულტურისა და ისტორიული გზის განსაკუთრებულობის მყარ რწმენას გამოუმუშავებდა. საბოლოო ჯამში, იაპონელთა ეროვნული რელიგია - შინტოიზმი და მათი დამოკიდებულება ტრადიციებისა და ადათ-წესებისადმი, სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს ყველა ერისათვის, ვისაც განუძრახავს კვლავ განაგრძოს არსებობა XXI საუკუნეში ისე, რომ ეროვნული მეობა არ დაკარგოს.

სწორედ აღნიშნულ კულტურათა მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა კულტურულ ფასეულობათა მახასიათბლებს, კულტურული აქტივობის შევცლას და ახლი ორიენტაციის გაჩენას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. გელაშვილი ნ., იაპონური კულტურა, თბ., 2001, 10,18, 50-51.
2. გელაშვილი ნ., ბუდიზმი შუა საუკუნეების იაპონიაში, კრ. „აღმოსავლეთი და კავკასია“, №2, თბ., 2004, 58.
3. История Японии, 1, отв.редактор А.Е.Жуков, М., 1999, 115.
4. Иэнага Сабуро, история японской культуры, М., 1972, 60, 61.
5. Конрал Н.И., Очерки истории культуры средневековой Японий, М., 1980, 68.
6. Культурология, История мировой культуры под ред. А.Н.Марковой, М., 1998, 307, 86.
7. Сэнсом Дж. Б., Япония, Краткая история культуры, Санкт-Петербург, 1999, 89,113.
8. Силичев Д.А., Культурология, М., 1998, 70.
9. Ch. Eliot, Japanese Buddhism, London, 1959, 103.
10. Pictoral Encyclopedia of Japanese Culture, The Soul and Heritage of Japan, Tokyo, 1990, 12.
11. H. Paul Varley, Japanese Culture, Honolulu, 1984, 23, 34.


## DIALOGUE OF CIVILIZATION CULTURES


**Elene Gegeshidze**

Tbilisi State University



**Summary**

Cultural Interaction is the type of a direct relationship, formed by at least two cultures. In the process of Cultural Interaction, it is crucial to change values, characteristics, cultural activities, create new orientations, which are influenced by external impulses. As a rule, Cultural Interaction is a long-term process. There are different levels of Cultural Interaction: 1) Ethnic level – relationship between ethnos, ethnohistoric, ethno-confessional and other groups. 2) The National level, where regulatory functions are largely performed by state-political structures. 3) Civilization level.

# ახლო აღმოსავლეთი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში

ირმა გოგოლიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: Irma-gogolidze@mail.ru

*თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო გეოპოლიტიკური დაპირისპირების ობიექტი ახლო აღმოსავლეთია. ერთდროულად რამდენიმე ძალის: ირანი და მისი მოკავშირეები, თურქეთი, კატარი და მათთან დაკავშირებული „მუსლიმთა საძმო", ჯიჰადისტური მოძრაობა, არაბული ქვეყნების კოალიცია, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, დაპირისპირება რეგიონში კიდევ უფრო ართულებს საერთაშორისო პოლიტიკას. წარმოდგენილი ნაშრომში განხილულია ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების მიზნები და პოლიტიკა.*

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში

მიმდინარე მოვლენები თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას წარმოადგენს. დღეისათვის, როდესაც მსოფლიოს მრავალი რეგიონის ფუნქცია გაიზარდა, ახლო აღმოსავლეთმა გაცილებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. აქ გავლენის გამყარებას ერთდროულად რამდენიმე ძალა ცდილობს: ირანი და მისი მოკავშირეები, თურქეთი, კატარი და მათთან დაკავშირებული ,,მუსლიმთა საძმო", ჯიჰადისტური მოძრაობა, არაბული ქვეყნების კოალიცია, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი. ცხადია, ყოველ მათგანს საკუთარი მიზნები და მომავლის მათთვის სასურველი ხედვა აქვს, რაც კიდევ უფრო ართულებს საერთაშორისო პოლიტიკას. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების მიზნებსა და პოლიტიკაზე. ახლო აღმოსავლეთში წარმოებულმა პოლიტიკამ წინა პლანზე წამოსწია ამერიკის საგარეო პოლიტიკის პროცესის ძირითადი საკითხები. 1990-იანი წლებში დაწყებული ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესის ჩიხში შესვლის, ბირთვული გაუვრცელებლობის საკითხთან დაკავშირებით ირანთან დაძაბულობისა და სხვა საკითხების გამო, მშვიდობის იმედი გაქრა. პრინციპებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა დემოკრატიის მხარდაჭერისა და ავტორიტარულ მთავრობებთან ალიანსების პოლიტიკის არათანმიმდევრულობის გამო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცივი ომის პრინციპი, ,,ყველაფერი კომუნიზმის გარდა" (ABC) თითქმის პირდაპირ ჩანაცვლდა პრინციპით - ,,ყველაფერი ტერორისტების გარდა"[25] (ABT). კეთილდღეობას საფრთხე შეექმნა ნავთობის სტაბილური მოწოდების საფრთხის გამოც [ჯენტლესონი: 553]. აშშ სპარსეთის ყურეში ამბიციური და ურთიერთდაკავშირებული მიზნების მიღწევას ცდილობს ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სფეროებში, მით უფრო რომ ტრადიციული ეკონომიკური ინტერესები უსაფრთხოების ინტერესებთან არის კავშირში: მსოფლიო ბაზარზე გაყიდული ნავთობის დიდი ნაწილი სპარსეთის ყურიდან მოდის, ამიტომ ამერიკა დაინტერესებულია რეგიონიდან ნავთობის თავისუფალი ტრანსპორტირებით; ამერიკის ინტერესებშია თავიდან აიცილოს მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მიერ ნავთობის რესურსებზე კონტროლის დაწესება, რადგანაც ეს კონტროლი შესაძლოა იძულების ბერკეტად იქცეს; ამერიკას არ სურს, რომ ნავთობის ექსპორტით მიღებული შემოსავალი სახიფათო ძალის ხელში აღმოჩნდეს. ყოველივე ეს საფუძვლად უდევს უსაფრთხოების საკითხების ფართო წრეს, რომელიც მოიცავს ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტების დაცვას, ნავთობის მფლობელი ნებისმიერი სახელმწიფოს სხვა ქვეყნის მიერ დაპყრობის არდაშვებას და გარკვეული ქვეყნების შიდაპოლიტიკურ პროცესებზე ყურადღებით დაკვირვებას, რათა ხელისუფლებაში სახიფათო ელემენტების მოსვლა

[25] ცივი ომის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ყოველთვის ძალას ანიჭებდა უპირატესობას პრინციპებთან შედარებით, როცა ის მხარს უჭერდა არადემოკრატიულ, ანტიკომუნისტურ რეჟიმებს. მესამე სამყაროს დემოკრატიების ABC განმარტება (,,ყველაფერი კომუნიზმის გარდა") პრინციპების სასარგებლო განაცხადის მცდელობა იყო, თუმცა ძალზე სუსტი. ტერორიზმთან ომის კონტექსტში უკვე ABT დეფინიციაა - ყველა ტერორისტების გარდა (დაწვ. იხ. ბრუს ჯენტლესონი, ამერიკის საგარეო პლიტიკა, თბ., 2015).

აღკვეთოს [არტი, ჯერვისი: 258]

ამერიკის ინტერესები უპირისპირდება ირანის ინტერესებს, რომელსაც რეგიონში საკუთარი ძალის გაფართოებისა და გავლენის გაზრდის ამბიცია აქვს. ირანი აქტიურად აძლიერებს თავის გავლენას, განსაკუთრებით ერაყში მცხოვრებ შიიტ არაბებს შორის, ასევე სპარსეთის ყურის რეგიონში და ლიბანში. რადგანაც, ირანის რეგიონული ამბიციების შემაფერხებელ ფაქტორად ამერიკა აღიქმება, ირანი ცდილობს შეამციროს რეგიონში ამერიკის გავლენა, მით უფრო, რომ ბუშის ადმინისტრაციამ ირანში რეჟიმის შეცვლის ამოცანა დასახა [არტი, ჯერვისი: 257]. ირანი სამხედრო ძალას გარკვეული გათვლით იყენებს: დაბრკოლებების პირდაპირ მოცილებას ურჩევნია საქმე გაურთულოს მათ, ვინც მის მიზნებს ეწინააღმდეგება; არ ყოყმანობს არასახელმწიფო აქტორებს მიაწოდოს სამხედრო დახმარება, თუკი ამით მტრის გეგმებს ჩაშლის (ირანი მტრად მიიჩნევს ამერიკასა და ისრაელს). ირანი ცდილობს შეინარჩუნოს სპარსეთის ყურიდან ნავთობის ექსპორტის შეფერხების რეალური შესაძლებლობა (საკუთარი, არცთუ ისე ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ჰორმუზის ვიწრო სრუტის ერთი მხარის გეოგრაფიული კონტროლის მეშვეობით), რათა შეძლოს დასავლური ეკონომიკებისათვის საფრთხის შექმნა [არტი, ჯერვისი: 258]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ირანი სპარსული სახელმწიფოა არაბული ქვეყნების უმრავლესობაში, შიიტური სახელმწიფო სუნიტებს შორის, რაც გარკვეულ დაბრკოლებას წარმოადგენს რეგიონში გავლენის გაფართოებისათვის. აშკარაა, რომ ამერიკისა და ირანის ურთიერთობები შემდგომშიც კონკურენტული იქნება. ამ კონკურენციაში კოზირი ორივეს აქვს: ირანი რეგიონს კარგად იცნობს, შესანიშნავი გეოგრაფიული მდგომარეობა აქვს და შესაძლოა მეზობელი არაბული ქვეყნების შიიტური მოსახლეობის მხარდაჭერაც მოიპოვოს; ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით სუსტია ამერიკასთან შედარებით, თუმცა სპარსეთის ყურის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა. გარდა იმისა, რომ ამერიკას უზარმაზარი ეკონომიკა აქვს და მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე სამხედრო ძალები ჰყავს, ორი პოტენციური პოლიტიკური უპირატესობაც აქვს: ისტორიულად, სახელმწიფოთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დიდი ახლომდებარე სახმელეთო სახელმწიფო, როგორიცაა ირანი, უფრო სახიფათოა, ვიდრე მოშორებული საზღვაო სახელმწიფო აშშ. ირანი ისლამური ქვეყანაა, რომელსაც რეგიონის მრავალ სახელმწიფოში პოტენციური შიიტი მოკავშირეები ჰყავს და შიდა დესტაბილიზაციისათვის უფრო რეალურ საფრთხეს ქმნის, ვიდრე ამერიკის რიტორიკა დემოკრატიზაციის შესახებ. სავარაუდოა, რომ მიუხედავად ერაყში დაშვებული შეცდომების ნეგატიური დიპლომატიური შედეგებისა, ამერიკა რეგიონის სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის უფრო მიმზიდველი მოკავშირე იქნება [არტი, ჯერვისი: 259].

ამერიკისა და ირანის ურთიერთობებში ასევე აქტუალურია ადამიანის უფლებები და დემოკრატიისათვის ხელშეწყობა. 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს აშკარა დარღვევები გამოვლინდა. შაჰის დამხობის შემდეგ პირველად გამოვიდა ქუჩაში უამრავი ირანელი პროტესტის გამოსახატად. საპროტესტო ტალღას

„მწვანე მოძრაობა[26]“ აჰმადინეჯადის რეჟიმმა და უმაღლესმა (რელიგიურმა) ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ სასტიკი რეპრესიებით უპასუხეს. ობამას ადმინისტრაციამ გათვალა, რომ ამ საკითხზე აზრის ხშირი გაჟღერება და მწვანე მოძრაობის მხარდაჭერა ირანის რეჟიმს საბაბს მისცემდა, ყველაფერი ამერიკისათვის და სხვა უცხო ქვეყნებისათვის გადაებრალებინა. დებატები ირანის მიმართ პოლიტიკის შესახებ საბოლოოდ მიდის რეჟიმის შეცვლის საკითხამდეც, თუმცა მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ერაყის ომი თვასაჩინო მაგალითია იმისა, თუ რატომ არ უნდა მოინდომონ რეჟიმის შეცვლა ირანში [ჯენტლესონი: 587].

1990-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის გააქტიურებაზე ზეგავლენა მოახდინა რეგიონული კონტექსტის ტრანსფორმაციამ, რაშიც მნიშვნელოვანი წილი ცივი ომის დასრულებამ და სპარსეთის ყურის ომში ამერიკის გამარჯვებამ შეიტანა. მფარველი ზესახელმწიფო დაკარგეს მათ, ვინც ისრაელის სახელმწიფოს არ აღიარებდა, სახელდობრ, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ. ცივ ომში გამარჯვებამ და სპარსეთის ყურის ომში სამხედრო წარმატებამ ამერიკის პრესტიჟი უპრეცენდენტო სიმაღლეზე აიყვანა. 1993 წელს გაფორმდა ისრაელ-პალესტინის დეკლარაცია პრინციპების თაობაზე. ოსლოს შეთანხმებამ დასახა ხუთწლიანი გეგმა სტატუსის საბოლოო ხელშეკრულების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად იქნებოდა გამიზნული, თუმცა ამოცანა ვერ შესრულდა. რეგიონში კვლავ ძალადობა ბობოქრობდა, პალესტინელებმა მეორე ინტიფადა მოაწყვეს, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო თვითმკვლელთა მიერ თავის აფეთქებები და სხვა ტერორისტული აქტები [ჯენტლესონი: 589]. ოთხეულმა: ამერიკა, ევროკავშირი, რუსეთი, გაერო, წარმოადგინა სამშვიდობო გეგმა, რომელიც ,,საგზაო რუკის” სახელით იყო ცნობილი, მაგრამ მას წარმატება არ ჰქონია. 2006 წელს არჩევნებში ჰამასის, ისლამისტ ფუნდამენტალისტთა ჯგუფის, გამარჯვებამ ბუშის ადმინისტრაცია დილემის წინაშე დააყენა. მართალია, ის ყოველთვის მხარს უჭერდა დემოკრატიის განვითარებას არაბულ სამყაროში, მაგრამ ამჯერად არჩევნებში გაიმარჯვა ძალამ, რომელიც ამერიკის მიერ შემუშავებულ ტერორისტთა სიაში იყო დაფიქსირებული და რომლის პროგრამაც ისრაელის განადგურებისკენ მოწოდებებს შეიცავდა. დაძაბულობა გაიზარდა როგორც ისრაელსა და ჰამასს შორის, ასევე ჰამასსა და ფათხს შორისაც. გახშირდა ძალადობის ფაქტები პალესტინის შიგნით, ასევე პალესტინა-ისრაელს შორის [ჯენტლესონი: 590]. 2006 წლის ზაფხულში გამძაფრდა ურთიერთობა ისრაელსა და ლიბანში მოქმედ ისლამისტურ ორგანიზაცია ჰესბოლას შორისაც. მიუხედავად იმისა, რომ ომმა სერიოზული ზიანი მიაყენა ლიბანსაც და ისრაელსაც, ჰესბოლამ არათუ გაამყარა პოლიტიკური გავლენა ლიბანში, არამედ შეძლო ავტორიტეტის ამაღლება არაბულ სამყაროში. 2008 წლის დეკემბერში ომი უკვე ღაზას სექტორში დაიწყო და ისრაელმა ღაზა დაიკავა. ჰამასის ფუნდამენტალისტების ირანთან კავშირის გამო არაბულმა სახელმწიფოებმა: ეგვიპტემ, იორდანიამ, საუდის არაბეთმა, დამკვირვებ-

[26] ამ საპროტესტო ტალღას „მწვანე მოძრაობა“ უწოდეს ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატის, მირჰოსეინ მუსავის კამპანიის ოფიციალური ფერის გამო.

ლის პოზიცია დაიკავეს. 2012 წლის ნოემბერში დაპირისპირებამ უკიდურესი სახე მიიღო, კვლავ შეიქმნა ახალი ომის საშიშროება, მაგრამ ეგვიპტისა და ამერიკის დიპლომატიური ჩარევის შედეგად ცეცხლის შეწყვეტა მოხერხდა. ცხადია, რამდენადაც რთული არ უნდა იყოს მშვიდობის დამყარება დღეს, ხვალ ეს კიდევ უფრო რთული იქნება და უფრო მეტ ძალადობას ექნება ადგილი [ჯენტლესონი: 593].

2010-2011 წლებში მასობრივმა სახალხო მოძრაობამ, რომელიც ,,არაბული გაზაფხულის" სახელითაა ცნობილი, თითქმის მთელი არაბული სამყარო მოიცვა. 2010 წლის 17 დეკემბერს 26 წლის მოჰამედ ბუაზიზიმ საკუთარ თავს ცეცხლი წაუკიდა, ერთი კაცის პროტესტი მასობრივში გადაიზარდა. ჩამოაგდეს ტუნისის დიქტატორი ზინ ელ აბიდინ ბენ ალი, რომელიც თითქმის 25 წელი მართავდა ქვეყანას, ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი, იემენის პრეზიდენტი ალი აბდულა სალეჰი, ლიბიის მმართველი მუამარ კადაფი. გამოსვლები დაიწყო საუდის არაბეთში, იორდანიაში, მაროკოში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში და ომანში. ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესები ახლო აღმოსავლეთში ახლოსაა არაბული ქვეყნების მიზნებთან - ადგილობრივი ჰეგემონიის აღზევება მათთვის მიუღებელია. საუდის არაბეთი, სხვა არაბული მონარქიები და ეგვიპტის ხელისუფლება აღიქვამენ რა სერიოზულ საფრთხედ, ერთი მხრივ, ირანის რეგიონულ ამბიციებს და, მეორე მხრივ, ჯიჰადისტურ მოძრაობას, ცდილობენ შეინარჩუნონ რეგიონში არსებული სტატუს კვო და არ დაუშვან ჰეგემონური სახელმწიფოს გამოჩენა [ბატაშვილი: 4]. არაბული კოალიცია (კატარის გარდა) ასევე უპირისპირდება თურქეთის მიერ მხარდაჭერილ ,,მუსლიმთა საძმოს". 2011 წელს არაბულ ქვეყნებში საპროტესტო მოძრაობის დაწყების შემდეგ თურქეთმა სცადა შექმნილი პოლიტიკური პროცესი რეგიონში საკუთარი გავლენის გაზრდისათვის გამოეყენებინა და მხარი დაუჭირა ეგვიპტის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ ,,მუსლიმთა საძმოს", თუმცა ამ უკანასკნელის მმართველობა არაბული ქვეყნების კოალიციის მიერ მხარდაჭერილი გადატრიალების შედეგად დასრულდა. არაბული კოალიციის ლიდერი საუდის არაბეთი სარგებლობს პაკისტანის მხარდაჭერით და სტატუს კვოს დაცვის მიზნით ინტერესთა თანხვედრაა ისრაელთანაც.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ტერორიზმთან ომი. ბრუს ჯენტლესონი წიგნში ,,ამერიკის საგარეო პოლიტიკა, არჩევნის დინამიკა 21-ე საუკუნეში" საუბრობს ტერორიზმის სამი ტიპის დინამიკაზე: 1. ტერორიზმი გახდა გლობალიზაციის თანმდევი ,,მეორე მხარე": ხალხის, ფულის, ტექნოლოგიების, იდეების თავისუფალი მოძრაობის შედეგად მიღებულ ყველა სარგებელთან ერთად, აღნიშნულმა ტენდენციამ ხელი შეუწყო ტერორისტული ოპერაციების წარმოებასაც. ტერორისტები სხვა ეპოქებშიც მოქმედებდნენ, მაგრამ ნაწილობრივ გლობალიზაციის დამსახურებაა, რომ ტერორიზმის საფრთხე დღეს გაცილებით დიდია. 2. თავდასხმა და მოულოდნელობის ეფექტი იძლევა უპირატესობას, ტერორიზმის შემთხვევაში უპირატესობა, ძირითადად, თავდამსხმელის მხარესაა. 3. ახლო აღმოსავლეთთან, განსაკუთრებით ისლამურ სამყაროსთან მიმართებით ამერიკის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებისა და ტერორიზმის მჭიდრო ურთიერთკავშირი.

ეს ასპექტებია: ირანი 1979 წლის ისლამური ფუნდამენტალისტური რევოლუციის შემდეგ; ერაყი 1990-1991 წლის სპარსეთის ყურის ომის[27] შემდეგ; ურთიერთობები ისეთ არაბულ სახელმწიფოებთან, როგორიცაა ეგვიპტე და საუდის არაბეთი, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკის საგარეო პოლიტიკას, თუმცა ამავდროულად გამოირჩევიან არასტაბილურობითა და შიდა ოპოზიციით (ბინ-ლადენი იყო საუდის არაბეთიდან, ხოლო მისი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი თანამებრძოლი ეგვიპტიდან იყო); საბჭოთა კავშირის ავღანეთში დამარცხების შემდეგ ავღანეთის მიტოვების პრობლემა; არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი [ჯენტლესონი: 557]. ყველა ჩამოთვლილი ასპექტი სხვა საკითხებთან ერთად კვებავდა ტერორიზმს. ტერორიზმზე საუბრისას შეუძლებელია არ შევეხოთ ,,ისლამურ სახელმწიფოს", რომლის წინამორბედია 1999 წელს შექმნილი ტერორისტული დაჯგუფება ,,ჯამა'ათ ალ-თაუჰიდ ვალ-ჯიჰად", რომლის დამფუძნებელიც იყო ,,ისლამური სახელმწიფოს" ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი, რომელიც ,,ალ-კაიდას" ექვემდებარებოდა. 2006 წელს ჯგუფი შეუერთდა ამბოხებულ სუნიტურ ჯგუფებს ,,მუჯაჰედთა შურას" (საბჭოს) ჩამოსაყალიბებლად, რომელმაც უკვე 2006 წლის ოქტომბერში გამოცხადა ,,ერაყის ისლამური სახელმწიფოს" შექმნა, ერთ-ერთი წინამძღოლი ალ-ბაღდადი გახდა, ხოლო 2010 წლიდან იგი ,,სახელმწიფოს" ერთპიროვნული ლიდერია [სანიკიძე: 4]. 2011 წლის მარტში სირიაში სამოქალაქო ომის გაჩაღების შემდეგ, ალ-ბაღდადის მებრძოლებს შეუერთდნენ სირიელი რადიკალი ისლამისტები და შექმნეს ,,ალ-ნუსრას" ფრონტი. 2013 წლის აპრილში ,,ერაყის ისლამური სახელმწიფო" და სირიაში მოქმედი ,,ალ-ნუსრას" ფრონტი გაერთიანდა და მიიღო ,,ერაყისა და სირიის ისლამური სახალიფო"-ს სახელწოდება. 2014 წლის 29 ივნისს ჯგუფმა საკუთარი თავი გამოაცხადა მსოფლიო სახალიფოდ, ოფიციალურ სახელწოდებად - ,,ისლამური სახელმწიფო", აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი კი ხალიფა გახდა. ისლამურ სახელმწიფოს მალე გამოუჩდნენ მხარდამჭერები: 2015 წლის ივნისისათვის ოფიციალური განშტოებები არსებობდა ლიბიაში, ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, იემენში, ალჟირში, ავღანეთში, პაკისტანში, ნიგერიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ფაქტობრივად, ,,ისლამური სახელმწიფოს" შექმნით ალ-ბაღდადიმ, ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო ჯიჰადიზმს ახალი ცენტრი და ხელმძღვანელობა ჰყავდა და, მეორე მხრივ, გააერთიანა ორი კონფლიქტი: სამოქალაქო ომი სირიაში და დე ფაქტო სამოქალაქო ომი ერაყში [სანიკიძე: 5]. დაფიქსირდა ისლამური სახელმწიფოს ამბიციაც: ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური წესრიგის შექმნის მიზანი, ასევე საერთაშორისო ჯიჰადისტურ მოძრაობაში ,,ალ-კაიდას" ჩანაცვლება [სანიკიძე: 6]. 2014 წელს ,,ისლამურმა სახელმწიფომ" და ,,ალ-კაიდამ" ერთმანეთთან კავშირი გაწყვიტეს, რადგანაც ორივე ჯგუფს პრეტენზია ერთი ჰქონდა: ისლამური სამყაროს ლიდერობა, ხოლო კონკრეტული მიზნები, სტრატეგია და მოქმედებები - განსხვავებული. უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალური ისლამისტური მოძრაობებისათვის მკვეთრი დაპირისპირებები უფროა დამახასიათებელი,

[27] სპარსეთის ყურის ომი იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის ოთხ ძირითად პრინციპს (ძალა, მშვიდობა, კეთილდღეობა, პრინციპები) შორის ურთიერთთავსებადობის საუკეთესო მაგალითი (დაწვ. იხ. ბრუს ჯენტლესონი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თბ., 2015).

მაგ: სირიაში ხუთი ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალა იბრძოდა: ასადის ხელისუფლება, „ისლამური სახელმწიფო", სეკულარული „თავისუფალი სირიის არმია", „ალ-კაიდასთან" დაკავშირებული ისლამისტ-რადიკალთა ჯგუფები და ჯიჰადისტი ჯგუფები, რომელთაც არც „ალ-კაიდასთან" აქვთ კავშირი და არც ისლამურ სახელმწიფოსთან. ერაყში არეულობები ამერიკის შეერთებული შტატების თაოსნობით სამხედრო კოალიციის მიერ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობისთანავე დაიწყო. 11 სექტემბრის მოვლენებმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში კვლავ დააყენა ერაყის საკითხი. ეს უკვე აღარ იყო ერთი ქვეყნის ომი, როგორც სპარსეთის ყურისა ან ავღანეთის ომების დროს. კოალიციაში შედიოდა დაახლოებით 40 ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ეგვიპტე და სხვა. მრავალ მიზეზთა შორის, რომელიც ბუშის ადმინისტრაციამ ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბად გამოიყენა იყო: მასობრივი განადგურების იარაღის საფრთხე და ტერორისტული ორგანიზაციების, კერძოდ, „ალ-კაიდა"ს კავშირი სადამ ჰუსეინთან, თუმცა ამ ბრალდებებიდან არცერთი არ დადასტურდა. ერაყიდან გამოსვლის ნაცვლად ბუშის ადმინისტრაციამ მკვეთრად შეცვალა თავისი სტრატეგია და დაიწყო სამხედრო კონტიგენტის გაზრდის პოლიტიკა, თუმცა მან ვერ გადაჭრა არსებული შიდა დაძაბულობა. მშვიდობის მოპოვება ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ომის მოგება. 2010 წლის აგვისტოსათვის საბრძოლო მისია დასრულდა, 2011 წლისათვის აშშ-ს ჯარები სრულად გაიყვანეს ერაყიდან [ჯენტლესონი: 579]. რეჟიმის დამხობის შემდეგ შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი რადიკალური ისლამისტური იდეების გასავრცელებლად, სექტანტურმა და ეთნიკურმა დაპირისპირებებმა (სუნიტები შიიტებისა და ქურთების წინააღმდეგ) სახიფათო მასშტაბები შეიძინა. რაც შეეხება სირიას, აქ არეულობები გაცილებით გვიან დაიწყო: „არაბულმა გაზაფხულმა" ყველაზე დიდი არეულობა სირიაში გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სირიაში მოსახლეობის უმრავლესობას სუნიტები წარმოადგენენ, ქვეყანას თითქმის ნახევარი საუკუნე ასადის შიიტური ალავიტური ოჯახი მართავს. ალავიტები კი სირიის მოსახლეობის მხოლოდ 12%-ს შეადგენენ [სანიკიძე: 13]. ერაყსა და სირიაში სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციამ რთული პოლიტიკური გარემო შექმნა, აუცილებელი გახდა მის წინააღმდეგ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. 2014 წლისათვის ISIS-ის წინააღმდეგ ამერიკის ლიდერობით შექმნილი კოალიციის წევრთა რაოდენობა 59 გახდა. როგორც რეგიონის ქვეყნებს, ასევე დასავლეთსაც და რუსეთსაც ერთიანი პოზიცია ჰქონდათ „ისლამურ სახელმწიფოსთან" დაკავშირებით, დეკლარაციაში, რომელსაც ხელი 59 ქვეყნის მთავრობამ მოაწერა მკაფიოდ ჩამოყალიბდა საერთო ძირითადი მიზნები: 1. სამხედრო ოპერაციების, სამხედრო პოტენციალისა და საბრძოლო მზადყოფნის მხარდაჭერა. 2. უცხოელ ტერორისტთა შემოდინების აღკვეთა. 3. „ისლამური სახელმწიფოსათვის" ფინანსური წყაროების გადაკეტვა. 4. ჰუმანიტარული კრიზისის დაძლევისათვის ერთობლივი მოქმედება. 5. „ისლამური სახელმწიფოს" ჭეშმარიტი ბუნების წარმოჩენა (იდეოლოგიური დელიგიტიმიზაცია). ამგვარად, თითქმის ყველა სახელმწიფოს, რომელიც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თავისი გავლენის განმტკიცებას ცდილობს „ისლამური სახელ-

მწიფოს" სახით საერთო მტერი გამოუჩნდათ. ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში უკვე მოხერხდა ,,ისლამური სახელმწიფოსათვის" საკვანძო ქალაქების წართმევა, მთავარი საყრდენი სირიულ ქალაქ რაქაში 2017 წლის 17 ოქტომბერს გაანადგურეს. მართალია სირია და ერაყი მნიშვნელოვანწილად გაწმენდილია ISIS-ს მებრძოლთაგან, მაგრამ დანგრეულ სახელმწიფოთა მშენებლობის პროცესში დაუშვებელია სექტარიანიზმის და ავტორიტარიზმის ჩარჩოდან მოქმედება. აქედან გამომდინარე, ჯერ-ჯერობით რეგიონში მიმდინარე პროცესები აუცილებლად საჭიროებს ამერიკის და მისი მოკავშირე სახელმწიფოების ყურადღებას.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბრუს ჯენტლესონი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, არჩევნის დინამიკა 21-ე საუკუნეში, თბ., 2015
2. რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, თბ., 2011.
3. დ. ბატაშვილი, გეოპოლიტიკური ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში, საგარეო პოლიტიკის კვლევების სერია, №6, 2016.
4. გიორგი სანიკიძე, ,,ისლამური სახელმწიფო" და ,,დიდი თამაში" ახლო აღმოსავლეთში, თბ., 2015.
5. https://imedinews.ge/ge/theme/161/islamuri--sakhelmtsipo-agar-arsebobs-teroristebi-sabolood-damartskhdnen


**MIDDLE EAST AMERICA'S FOREIGN POLICY**


**Irma Gogolidze**

Akaki Tsereteli State University



**Summary**

One of the key geopolitical confrontations of modern world politics is the Middle East. Iran and its allies, Turkey, Qatar and their «brotherhood of Muslim», jihadist movement, the Coalition of Arab States, Russia, the United States, Great Britain, France and the conflict in the region further complicate international policy. The presented paper deals with the goals and policies of the United States in the Middle East. The ambition of the «Islamic State» has created a new political order in the Middle East, which has further complicated the situation. While Syria and Iraq are now largely cleaned by ISIS fighters, the ongoing processes in the region require the attention of the US and its allies: in the process of constructing demolished states, it is inadmissible to act against sectarianism and authoritarianism.

# ფერიცვალება
# გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „თევზის წერილები"
# (გააზრებისთვის)


მაგდა ზარანდია ქუთაისის 35-ე საჯარო სკოლა

ირინე პიტავა ქუთაისის 35-ე საჯარო სკოლა



*ნაშრომი ეხება ადამიანისა და სამყაროს ურთიერთკავშირს, ადამიანის დაბრუმებას საკუთარ ფესვებთან ,,გასულფონება'-ფერიცვალების გზით. ლტოლვა ბნელიდან ნათლისაკენ, მიწიერიდან ზეციერისაკენ, სიძულვილიდან სიყვარულისაკენ-აი, აუცილებელი პირობა სრულყოფილების მისაღწევად სწრაფვა ღვთიური მადლის მოსაპოვებლად უფალში გამთლიანებისათვის.*


"სულს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული"-ასე იწყებს გოდერძი ჩოხელი თავის ერთ-ერთ უჩვეულო მოთხრობას "თევზის წერილები". სადაც ნაჩვენებია ადამიანის შერწყმა სამყაროსთან, ნაჩვენებია, ბრბოდქცეული, დაუნდობელი, უსულო საზოგადოებისაგან გულგატეხილი ადამიანის პროტესტი, რაც გამოიხატება, განდგომასა და შემდგომ ფერნაცვლელი- ,,თევზად ქცეული' ადამიანის სამყაროსთან შერწყმა-გაერთიანებაში. თუ ლაზარიანთ მაქსინაი (გ. ჩოხელი ,,არწივთან ფრენა') ბოლო წამამდე ცდილობს თავის დახსნას არწივის ტყვეობიდა, რათა დაუბრუნდეს ჩვეულ, ყოფით ცხოვრებას ადამიანთა შორის, გამიხარდაი თავისი სურვილით მიდის სოფლიდან. გარბის იმ ცოდვით დაცემულ სამყაროდან, სადაც ღალატია, უსამართლობა, სულის წარწყმედა და ხორცის აღზევებაა. ამ მხრივ, საინტერესოა, სოფლის ჟურნალისტ ლუკასა და ბრიგადირის დიალოგი.

- "შენ როგორ გგონია, სული სად მიდის" - ვკითხე მე
- მე არაფერი არა მგონია, - მითხრა მან და წასასვლელად გაემზადა უცებ.

- სული კვდება?
- რა სული, რომელი სული, რას მიედ-მოედები
- რა სული და კაცს რომ უდგას, ის
- კაცს არაფერი არ უდგას, - თქვა იმან - გავჩნდებით და მოვკვდებით. ეგ არის და ეგ....

ასეთი ფსიქოლოგიის, ასეთი მრწამსის ადამიანი ვერაფრით ვერ გაიგებდა გამიხარდაის გასაჭირს, მისთვის ტკივილი უცხო იყო. უცხო იყო ადამიანობა, რომელსაც ასე ძალუმად ებღაუჭებოდა. მაშასადამე, მას და მის ე.წ. გუნდს (ხელისუფლების სახით), გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი მომავალი. სულიერება და ადამიანობა მათთვის უცხოა... ამიტომაც იყო, რომ მთელი ზამთრის სარჩო წაართვა ბრიგადირმა გამიხარდაის და მასთან ერთად მის წვრილშვილიან ოჯახს. იგი, თანასოფლელების თქმით, "ალალი, ბეჩავი" კაცია. "ბეჩავს" იმიტომ ეძახიან, რომ ღარიბად ცხოვრობს, ალალი ლუკმით ირჩენს თავსაც და წვრილშვილსაც".

ბრიგადის უსამართლობითა და უსულგულობით შეძრწუნებული გამიხარდაი გაურბის ადამიანურ ყოფას და თავპირის მტვრევით არაგვისკენ მიეშურება... გაქცეულ ოჯახის მამას უკან დაედევნა ცოლი, მერე ბალღები, მერე მთელი სოფელი. ყველას ეგონა, რომ გამიხარდაი თავის დასახრჩობად მირბოდა, ხოლო მან ტანსაცმელი გაიხადა და ნაპირზე დაყარა, ასე დედიშობილა შევიდა წყალში. იქვე ერთი მორევი ნახა, შიგ ჩაჯდა და "...სადღაც ცაში იყურებოდა" მთელი სოფელი ელოდა გამიხარდაის გამოსვლას ნაპირზე, თხოვდა ცოლ-შვილი,,მილიციით ემუქრებოდა ბრიგადირი. გამიხარდაი კი ყურადღებასაც არ აქცევდა არავის".

შეურაცხყოფილმა გამიხარდაიმ შეუპოვარ და დაუმორჩილებელ არაგვს მიმართა დასახმარებლად. წყალში შესვლამდე ტანსაცმელი გაიძრო და იქვე ნაპირზე დატოვა, ანუ მოიხსნა სოფლის საზრუნავი და გათავისუფლებული ამქვეყნიური ტვირთისაგან , დედიშობილა, როგორც ცოდვადაცემამდელი ადამიანი ერთვება უხრწნელ სამყაროს. მაგრამ ჯერ მან კათარზისი უნდა განიცადოს, ჯერ უნდა შეეჩვიოს ახალ ცხოვრებას, ბოლომდე უნდა დაინახოს ძველი მანკიერება და უარყოს. და ბოლოს... თევზად უნდა იქცეს.

როგორც კრიტიკოსი თ. ჩხენკელი აღნიშნავს, "არსებობს ხევსურთა მისტერიული ენის განსაცვიფრებელი ტერმინი "გასულფონება" "კაცი მაშინ "გასულფონდება," როცა მას "ჯვარი დაიჭერს," ე.ი. როცა ღვთაება შეიპყრობს. "ზეჩაობს, გულ უწუხს, ტირის ოფლი სდის, დაიჭერ ჯვარად მაშინ გასულფონების." საგულისხმოა, რომ "გასულფონებისათვის" შინაგანად გამზადებულნი წყლისკენ რო ზიდულას, ალბათ სიწმინდე უნდოდა."

"ზერეალურ სფეროში გადასვლა წყლების გადალახვასთან არის დაკავშირებული ეგვიპტურ წარმოდგენებშიც: ადამიანის სული იქითა ქვეყანაში ოსირისთან ერთად ნავით მოგზაურობს." შამაშის, ანუ მზის გზაზე დამდგარი გილგამეშიც ,,სამყაროს საწყისამდე პირველყოფილი წყლების გავლით უნდა ჩაღრმავდეს".

ამგვარად, შინაგანი სულიერი მდგომარეობის გამომხატველი, ღმერთთან ზიარების აღმნიშვნელი საკრალური ტერმინი "გასულფონება" სემანტიკურადაც ამჟღავნებს წყალთან კავშირს. ხოლო ეს წყალი ქვესკნელის ზღვა, ანუ სულეთის საზღვარია, ღვთაების რეალობის წვდომა, სულის ფონში გასვლას ნიშნავდა და მასში

არეკლილია ქვესკნელში შთანდომის მისტერიული ცოდნის მოხვეჭა.

ბიბლიაში წყალი ის მატერიაა, რომლისგანაც "დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა, ანუ წყალი, როგორც მდედრი წიაღი, ატარებდა ცისა და მიწის ჩანასახს. სწორედ წყლით ხდება ნათლის ცხება ანუ კათარზისი, რომელითაც კაცი ახლად იბადება და აღებს ნათელს."

გამიხარდაი, რომელმაც შეიცნო საკუთარი თავი და არ მისცა უფლება სხვას, შეელახა მისი ღირსება, გაშორდა ყველას და ყველაფერს , ამქვეყნიურს და გადაინაცვლა იმ სამყაროში, რომელიც განწმენდასა და სრულყოფას აზიარებს.

ცხადია, გამიხარდაის პიროვნებაში ცვლილება ერთბაშად არ მომხდარა. ღრმა და ხანგრძლივი ფიქრის შედეგია. მის მიერ წარმოთქმული ფრაზა: "სულს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული." იმ დილით კი სოფლის ჟურნალისტ ლუკას რატომღაც შეებრალა. რატომ? "იმიტომ, არ ვიცი... არ ვიცი, რა ვიცი... მიდის აღმა, ისე ადგამს მიწას ფეხს, თითქოს ამ მიწისთვის უცხო იყოს მისი სხეული და ამიტომ ერიდებოდეს ზედ ფეხის დადგმა"

შემთხვევით არ არის ჟურნალისტის ამგვარი შეფასება. გამიხარდაი უკვე აღარ იყო ამ ქვეყნის, ის შინაგანად მზად იყო შერწყმოდა სამყაროს... თუმცა თავად ამაზე არ ფიქრობდა, ყოველ შემთხვევაში, გაცნობიერებული არ ჰქონდა. ბრიგადირი და მისი უსულგულო საქციელი უბრალოდ საბაბი იყო, ბოლო წვეთი გახლდათ ფიალის ასავსებად. და... გახდა კაცი თევზი. ლაზარიანთ მაქსინაისაგან განსხვავებით მან წყლის ბინადრობა აირჩია, თან გაოცებულია: "ნუთუ არც ერთ თქვენგანს არ მოგნატრებიათ თევზობა? მე ვიცი, რომ ხშირად ფრინველად ყოფნას ნატრობთ, ხოლმე, ამით ხომ გაურბიხართ ადამიანურ ყოფას."

გამიხარდაიმ ამხილა ადამიანები, ისინი შინაგანად ყოველთვის ისწრაფიან ზეადამიანური ყოფისაკენ. მაგრამ ეს არაცნობიერად, ცნობიერში მათ ადამიანურობას არაფერი ურჩევნიათ. თევზად ქცეული კაცი აბუჩად იგდებს მომმეთა წეს-ჩვეულებებს, მას კაცის მოკვეთა ადამიანთაგან ბარბაროსულ ქცევად მიაჩნია. იგი დაიღალა ყოფითი, უაზრო ცხოვრებით, დაიღალა და მთელი არსებით თევზად იქცა.

საინტერესოა, რატომ აირჩია გამიხარდაიმ თევზად ყოფნა?

"პირველ საუკუნეებში, როცა ქრისტიანების დევნა მიმდინარეობდა, იყენებდნენ ისეთ საიდუმლო გამოსახულებებს, რითაც ქრისტიანი ქრისტიანს სიტყვების გარეშე აგრძნობინებდა, რომ ისინი ერთნი იყვნენ. ამ მიზნით თევზს ხატავდნენ.

ბერძნულად თევზს "იხთი" ჰქვია. მისი თითოეული ბგერა საიდუმლო სიტყვაა და გულისხმობდა: პირველი - "ი" იესო, მეორე - "ხ" ხრისტოს, "თ" - თეოს(ღმერთი), "ი" იმონ (ჩვენი) და ბოლოს "ს" სოთირ (მაცხოვარი), ანუ თევზის გამოსახულება ნიშნავდა "იესო ქრისტე ღმერთი ჩვენი მაცხოვარი." ასე რომ თუკი ადამიანი თევზს გამოსახავდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი ამბობდა: "მე ვარ ქრისტიანი, შენიანი და შეგიძლია მენდო, ანუ იგი ნდობის სიმბოლო იყო."

ძველი აღთქმის წიგნში ვკითხულობთ, რომ უდაბნოში გამოსული ებრაელები უფალმა ხუთი პურითა და ორი თევზით ,,დააპურა'', რაც სიმბოლური სახეა ქრისტეს ხუთი ჭრილობისა (5პური)და ორი თევზი კი მიანიშნებს ბიბლიის ორ უმთავრეს წიგნზე, ძველ და ახალ აღთქმაზე. აღსანიშნავია, ისიც, რომ თევზი სულიერისა

და ხორციელს შორის დგას…

ღმერთმა თევზი მეხუთე დღეს შექმნა, როგორც წყლის პირველი ბინადარი, წყლით მოხდა იოანე ნათლისმცემლის მიერ პირველი განათვლა. ბიბლიაში მოთხრობილია იგავი იონა წინასწარმეტყველის ვეშაპისაგან შთანთქმისა... "პირველი იონა შთანთქმული მხეცისაგან განმხრწნელისა, წარმოიგდო უხრწნელად და ქალწულისა მუცელსა სიტყვა ღვთისა განხორციელდა, და მშობელი თვისა დაიცვა უხრწნელად, ხოლო ბუნებანი შეჰსცუალნა, ვითარცა ინება და გვაცხოვნნა ჩუენ''.

თევზის მუცელში სამი დღე-ღამის განმავლობაში მყოფმა იოანემ შეიცნო ჭეშმარიტება და იგი ხელმეორედ დაიბადა, განწმენდილი და განახლებული.

გამიხარდიამ სწორედ თევზად ყოფნა არჩია ადამიანობას და გრძნობდა, რომ მხოლოდ ამ გზით მოხდებოდა მისი ხელმეორედ დაბადება...

გამიხარდია - თევზი დედიშობილა ჩამჯდარა არაგვში და ფიქრობს, რომ სწორედ ამ გზით მიაღწევს სრულყოფილებას. თევზებს შორის "დაბინავებული" გამიხარდაი იონასავით ხელმეორედ უნდა დაიბადოს განწმენდილი და განახლებული... სულიერად... ლუკასადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ "სულს უფლება აქვს აირჩიოს ის, რაც მას სურს. ჩემს სულს არ უნდა ადამიანებთან ყოფნა და სრული უფლება მაქვს ვიყო თევზი." ლუკას აზრით, ის ერთბაშად ვერ შეძლებს დაივიწყოს ადამიანური მწუხარებითა და სიხარულით სავსე წუთები, ადამიანური ცოდვა-მადლი, მიწა, სიყვარული, შვილები... მაგრამ კაც-თევზს ახალი სამყარო აქვს, რომელსაც ბიწიერება, ღალატი, ტყუილი ვერ შებღალავს. მას უყვარს ღმერთი, შეეთვისა თევზებსა და მათ ცხოვრებას, სურს შექმნას ოჯახი იქ წყალში (გავიხსენოთ მაქსინაის დამოკიდებულება არწივის მართვეებთან).

ჟურნალისტის აზრით, გამიხარდაი საზოგადოებაზე ფსიქოლოგიურად მოქმედებს, ხალხი მასზე ფიქრობს "როგორ გგონია, მაგათთვის ადვილი ხომ არ არის უცებ დაგივიწყონ და შენზე სულ არ იფიქრონ. გიჟი რომ იყო, სხვა არის..." მაშასადამე,გამიხარდაიმ გამარჯვებისკენ ერთი ნაბიჯი გადადგა. მან თავისი საქციელით საზოგადოება დააფიქრა... თუმცა გარდაქმნა-ფერისცვალებამდე ხანგრძლივი და მძიმე გზა უნდა გაიარონ, მანამდე კი კაცი-თევზი კიდევ ერთხელ რწმუნდება თავისი გადაწყვეტილების სისწორეში.

"წუხელი ჭექა-ქუხილი ატყდა, მერე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. _ იქნებ ნიაღვრის შიშით გამობრუნდეს - თქვეს სოფელში." ხალხი ნებსით, თუ უნებლიეთ ფიქრობს და ზრუნავს მასზე. "იქნებ... გამობრუნდეს..." ხალხი ვერ ელევა თავის შვილს მაშინაც, როცა ის საზოგადოებისაგან მოკვეთილია. ფიქრი, ტკივილი თან გაჰყვა ადამიანებისაგან განწირულ ადამიანს. ტკივილი, რომელიც ადრე იქნება თუ გვიან დააფიქრებს, თავის სულში ჩაახედებს, რაც ადამიანის ფერიცვალების საწინდარია.

მანამდე კი თითქოს ბუნება, სამყარო ეწინააღმდეგება. ადამიანის მიერ ყოვლად გაუმართლებელ წესს, როგორიცაა კაცის განკვეთა "მთელი ღამე ლოდები მოჰქონდა არაგვს.... ...იმ ღამეს არაგვს შეშა გამოერიყა და მთელი სოფელი ჭალაზე იყო მოფენილი ერთიმეორეს აღარ აცლიდნენ შეშის შეგროვებას. ცულები ეჭირათ და ყველა ხეს თავის ნიშანს უკეთებდნენ, ერთი რომ დანიშნავდა, მეორე გადაუშლიდა მალვით და თავის ნიშანს ადებდა. ვერაფ-

რით ვერ მორიგდნენ და საჩხუბრად დაერივნენ ურთიერთს''.

გამიხარდაის თავი ამოეყო მღვრიე წყლიდან და ჩემს დასანახად იცინოდა, მერე წერილი მომწერა: "და ამის მერე კიდევ მეტყვი, ადამიანებთან მობრუნდიო? შეხედე შენს ადამიანებს!"

სოფლის ჟურნალისტ ლუკას იმ წუთში მართლაც უაზროდ ეჩვენა ადამიანთა გამართლება, მაგრამ ისე კი არა გამიხარდაისთვის რომ მხარი დაეჭირა,-ალბათ, ცოდვის სიყვარულის გამო ლუკაც კი ვერ აცდა ამ ცდუნებას, ლუკა, რომელსაც ყველაზე მეტად ესმოდა ,,თევზის''

ადამიანთა უმსგავსობის, უსამართლობისა და ცოდვიანობის გამო წარღვნის ტოლფასი მოხდა არაგვის ხეობაში, გამიხარდაის სოფლიდან მოკვეთის მერე მთელი ღამე დგანდგარებდა არემარე. საზარელი ხმით მოდიოდა არაგვი. მეორე დილა კი ასეთი იყო: "არაგვის ღორღიანი ჭალა, ჭალაზე კუპრივით მღვრიე არაგვი. არაგვის ნაპირზე დამხრჩვალი თევზები ეყარა აქა-იქ."

...გამიხარდაი აღარსად ჩანდა. თმაგაშლილი ცოლი ბალღებთან ერთად მისდევდა შავ არაგვს. დაბნეული ხალხიც თითქოს გასაჭირმა გააერთიანაო, ეძებდნენ დაკარგულ ადამიანს, რომელიც სულიერად მათზე მაღლა მდგომი, კათარზისგავლილი შერწყმოდა სამყაროს; საზოგადოებას, თუმცა ვერ მიეღო იგი, მაგრამ ქვეცნობიერად გაეთავისებინა, შეეგრძნო და ბოლოსმიეღო მისი ტკივილი და კაცი-თევზის სწრაფვა იმ პირველი საწყისისაკენ, რომელსაც პირველყოფილი, გაურყვნელი სამყარო ჰქვია. ვინაიდან "წყალი, მდინარე განასახიერებს საღვრთო მადლს, რომელიც შემოდის სააქაო ყოფაში სულიერი სამყაროდან, აცოცხლებს და ანაყოფიერებს მას"

საოცარი ოსტატობით ხატავს გოდერძი ჩოხელი იმ სინამდვილეს, რასაც კათარზისგავლილი ადამიანისა და საზოგადოების სულიერ ერთობას გამოხატავს ხალხი, რომელიც თავისგან განიკვეთავს ადამიანს, ცდილობს უკან დაიბრუნოს იგი და დაუცხრომლად ეძებს მას აქაფებული არაგვის ნაპირებში.

ხალხმა ბოლომდე ვერ გაიმეტა თავისი შვილი დასაკარგად, შვილი რომელმაც ასწავლა, დააფიქრა საზოგადოება, ჭეშმარიტი გზისკენ მიუთითა და,ვინ იცის, იქნებ ერთი სული მაინც გადაარჩინა.

ლტოლვა ბნელიდან ნათლისაკენ, მიწიერიდან ზეციერისაკენ, სიძულვილიდან სიყვარულისაკენ. აი, უცილებელი პირობა სრულყოფილების მისაღწევად. სწრაფვა ღვთიური მადლის მოსაპოვებლად, უფალში გამთლიანებისათვის.


გამოყენებული ლიტერატურა

1. გოდერძი ჩოხელი ,,თევზის წერილები''- გამომცემლობა
2. ბიბლია-გამომცემლობა
3. ზ გამსახურდია ,,ვეფხისტყაოსანი ,,სახისმეტყველება'' გამომცემლობა
4. თ, ჩხენკელი ,,მშვენიერი მძლევარი''გამომცემლობა
5. ილია II-საპატრიარქოს უწყებანი-2004წ.22-28 იანვარი (ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე)
6. კატავასია სადღესასწაულო 1865წ. მოსკოვის სინოდარური ტიპოგრაფია.


**Transfiguration**
**Magda Zarandia irine pitava**

35th school of Kutaisi

**Summary**

Aspiratation from darkness to light, from earthly things to heaven, from hatred to love _that's what is indispensable condition to achieve perfection. Aspiration for divine mercy, to become part of the God.

# „ქალთა სუფრაჟისტული ისტორია“ და მისი როლი ქალთა მოძრაობის განვითარებაში

რუსუდან მიქაუტაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**E-mail: rusudan.mikautadze@atsu.edu.ge**

*ამერიკის შეერთებული შტატებში ქალთა სუფრაჟისტული მოძრაობა ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელმაც უმთავრეს მიზანს, საარჩევნო ხმის უფლების ქალთათვის მინიჭების შესახებ საკონსტიტუციო დამატებას ათეულობით წლის ბრძოლის შედეგად, 1920 წელს მიაღწია. ამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებაში დიდი როლი ეკუთვნის ექვსტომეულს: "ქალთა სუფრაჟისტული ისტორია", რომლის რედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ ქალთა მოძრაობის ცნობილი ლიდერები ე. კ. სტენტონი, ს.ბ. ანტონი, მ. ჯ. გეიჯი, ი.ჰ. ჰარპერი. მან შემოინახა ქალთა მოძრაობის ისტორიის თითოეული ფურცელი ცალკეული შტატების მიხედვით, პირადი წერილები, ქალთა საჯარო გამოსვლების, პრესის მასალები, გამოხმაურებები, იმ ქალების ღვაწლი, რომელთა შესახებ შეიძლება არაფერი ცოდნოდა მომავალ თაობებს. ამ ტომეულებზე არაერთი თაობა აღიზარდა. ის ფაქტიურად წარმოადგენდა ამერიკელ ქალთა აქტივობის ენციკლოპედიას, რომელშიც ნაჩვენები იყო ყველა ძირითადი ნიუანსი, თუ როგორ მოახერხეს ქალებმა ამერიკაში ნაბიჯ–ნაბიჯ, დიდი წინააღმდეგობების გადალახვით მოეპოვებინათ საარჩევნო ხმის უფლება და თავი დაემკვიდრებინათ როგორც სრულუფლებიან სქესს.*

აშშ სუფრაჟისტული მოძრაობის ისტორია მეცნიერების მიერ არაერთგზის განხილული და გამოკვლეულია, თუმცა რიგი საკითხებისა კვლავ საჭიროებს სიღრმისეულ შეფასებას. მეცნიერთა აზრით, სუფრაჟისტული მოძრაობა წარმოადგენს თანამედროვე ფემინისტური მოძრაობის საფუძველს. მართალია, თავდაპირველად სუფრაჟისტთა მიზნები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა 1950–იანი წლების ან თუნდაც თანამედროვე ფემინიზმის მიზნებისაგან, მათი საერთო მესიჯი – განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა სოციალური და პოლიტიკური თანასწორობისა – ნათელყოფს ამ ორი მოძრაობის საერთო ფესვებს.

აშშ–ში ქალთა სუფრაჟისტული მოძრაობა არა მხოლოდ ხანგრძლივი, არამედ წინააღმდეგობებით სავსე პროცესი იყო, რაც გარკვეულწილად აფერხებდა მის წარმატებულობას. სუფრაჟისტი ლიდერები ხშირად ვერ თანხმდებოდნენ მოძრაობის ძირითად მიზანზე, ბრძოლის ტაქტიკასა და მოქმედების სტრატეგიაზე. მე–20 ს–ის 10–იან წლებამდე მოძრაობა უფრო მეტად "ინტელექტუალურ" კამპანიას იყენებდა, რაც პუბლიკაციებით და ეროვნულ თუ შტატის ყრილობებში და შეხვედრებში მონაწილეობით შემოიფარგლებოდა. სწორედ ამ პირველი ეტაპის დროს აშშ ქალთა მოძრაობის ერთერთმა ორგანიზატორმა ელიზაბეტ კეიდი სტენტონმა დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო თავმოყრა ყველა იმ მასალისა, რაც ხელთ ჰქონდათ ქალებს დაწყებული სენეკა ფოლსის ყრილობიდან (1848 წ).

1863 წელს მოწვეულ იქნა "ქალთა ლოიალური ლიგის" ყრილობა, სადაც ე. სტენტონმა წარმოთქმულ სიტყვაში გაიხსენა ერის წარმოშობის პერიოდში ქალთა მიერ გმირულად გაღებული მსხვერპლი. მიმართვაში, რომელსაც მან უწოდა " ჩვენი წინაპარი დედები", მოითხოვა ქ. ნიუ–იორკის ქალთა სუფრაჟისტული ლიგის წევრი 200 ქალისაგან არა მხოლოდ რევოლუციური პერიოდის ქალთა მიღწევების მოგონება, არამედ იმ ბრძოლის გაგრძელებაც, რომელიც მათ დაიწყეს. ამ დროს მას უკვე დასრულებული ჰქონდა ყველაზე მასშტაბური და ქალთა მოძრაობის ისტორიისათვის ყველაზე ამბიციური პროექტის " ქალთა სუფრაჟისტული ისტორიის" პირველი სამი წიგნი. 'ქალთა სუფრაჟისტული 6 ტომისგან შედგებოდა, რომლის თითოეული ტომი დაახლოებით

1000 გვერდს მოიცავდა. ტომების შედგენასა და რედაქტირებაში მონაწილეობას იღებდნენ სიუზან ბ. ანტონი, მატილდა ჯოსლინ გეიჯი და იდა ჰასტედ ჰასპერი.

მიუხედავად ქრონოლოგიური ხასიათისა, 'ისტორიას" არ ჰქონდა გამოკვეთილი ორგანიზაციური სტრუქტურა. პირველი სამი ტომი წარმოადგენდა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის დოკუმენტურ არქივს, რომელიც მოიცავდა რეგიონალურ და ეროვნულ კონვენციებს, საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვებს, რეზოლუციებს, ფინანსურ განცხადებებს, კონგრესის დებატებს, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, საგაზეთო სტატიებს, ბიოგრაფიებს, რემინესცენციებს და ჟურნალების სტატიებს. "ქალთა სუფრაჟისტული ისტორიის" ნაკლოვანებების მიუხედავად, საუკუნეზე მეტ ხანს იგი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს საინფორმაციო წყაროს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, (ნენსი იზენბერგი) სწორედ "ქალთა სუფრაჟისტული ისტორიიდან" "მოდის ქალთა მოძრაობის პერცეფცია. მისი აზრით, "ისტორია" წარმოადგენს უფრო მეტად დახვეწილ მონათხრობს, ვიდრე დოკუმენტურ მასალას, რამაც გარკვეულწილად სტენტონს მიანიჭა სუფრაჟისტული კამპანიის დამაარსებლის სტატუსი. (Ward. 62).

1880 წლის დღიურში ე. სტენტონი აღნიშნავდა ქალთა მოძრაობის ჩანაწერების საჭიროებას: "ჩვენ ვცდილობთ შევაგროვოთ ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მიზნის მიღწევას. ამოვკრიბოთ ყველაფერი, რაც ქალებს გაუკეთებიათ და გადავარჩინოთ ყველა ფაქტი დავიწყებისაგან" (Hogan,11). თუმცა სტენტონი ამავდროულად აღიარებდა ისეთი არქივის ძალას, რომელსაც შეეძლებოდა ახალი იდეების პროვოცირება და სუფრაჟისტული მოძრაობის წინ გაძღოლა. როგორც სტენტონი წერს პირველი ტომის შესავალში: " ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ აღვძრავთ ახალ აზრებს ამისათვის მზად მყოფ ადამიანებში" (Hogan,9).

ნაშრომისათვის ხელის მოკიდება თავდაპირველად ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ყველაზე ძლიერ გამოწვევას კი წარმოადგენდა გარეშე ავტორების მიერ მოწოდებული ბიოგრაფიული ჩანაწერების და სხვადასხვა თემების რედაქტირება და მაინც, საქმის დიდ მნიშვნელობაში დარწმუნებული ე.კ. სტენტონი დიდ ენერგიას ახმარდა ამ პროექტს. რედაქტირებისათვის მან პროცესში ჩართო ს. ბ. ანტონი და მ.ჯ. გეიჯი. სტენტონი და ანტონი სამი ათეული წლის განმავლობაში პოლიტიკურ პარტნიორებად რჩებოდნენ და ერთად აწყობდნენ მასობრივ მიტინგებს მას შემდეგ რაც სუფრაჟისტული მოძრაობა გაიხლიჩა 1869 წელს. მიუხედავად იმისა, რომ გეიჯი ხშირად არ ეთანხმებოდა მოძრაობის ძირითადი მიმდინარეობის ზოგიერთ ნაწილს, მისი უპირობო ხედვები შეესაბამებოდა სტენტონის ზოგად ხედვას ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის შესახებ.

პირველი ტომის გამოცემამდე ორი წლით ადრე, სტენტონმა ისტორიისადმი თავისი სუბიექტური ხედვის გამამართლებელი ესსე წარმოადგინა გეიჯის სუფრაჟისტულ გაზეთში " National Citizen and Ballot Box". "ჩვენ, ვინც შევქმენით ისტორია, საუკეთესონი ვართ იმისათვის, რომ ვწეროთ კიდეც ის". სტენტონი პასუხობდა კრიტიკოსებს, რომლებიც "ისტორიის" წერას ნაადრევად მიიჩნევდნენ, რომ "თუკი ის და მისი თანამებრძოლები აქტიურად არ შემოინახავდნენ ინფორმაციას, შემდეგ თაობაში ის ფაქტიურად და-

იკარგებოდა.

ქალთა მოძრაობაში აზრთა სხვადასხვაობის და წინააღმდეგობების გამო "ქალთა სუფრაჟისტულმა ისტორიამ" გარდუვლად მიიღო რიტორიკული ისტორიის ფორმა. ის უბრალოდ კი არ გადმოსცემდა დოკუმენტურ ჩანაწერებს ქალთა მოძრაობის ისტორიის შესახებ, არამედ ხელს უწყობდა სტენტონის გეგმებს, რომ ქალთა მოძრაობა გაცდენოდა ხმის მიცემის უფლებისათვის აგიტაციის ვიწრო ჩარჩოებს. წიგნის რედაქტორებს პრეტენზია არ ქონდათ ისტორიულ ობიექტურობაზე. სტენტონს მიაჩნდა, რომ ქალთა მოძრაობას ბიძგი უნდა მიეცა თანასწორობისათვის ცხოვრების ყველა სფეროში.

"ქალთა სუფრაჟისტული ისტორიის" პირველ სამ ტომში სტენტონი და თანარედაქტორები ამტკიცებდნენ, რომ რომ ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის აქტივისტები ქალურობის და წესიერების არსებული კონცეფციებისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, რომ მათთვიოს დამახასიათებელი იყო სიბრძნე, კეთილგონიერება და სუვერენობისაკენ სწრაფვა. თუმცა "ისტორია" ცდილობდა წინ წამოეწია სოციალური და პოლიტიკური რეფორმების აუცილებლობის ფართო სამოქმედო გეგმა. იმავდროულად, ქალთა ისტორიული წვლილის გახსენებით "ისტორია" იცავდა არა მხოლოდ საარჩევნო ხმას, არამედ სრულ გენდერულ თანასწორობას, როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში.

მე–19 ს–ში, მამაკაცების უმეტესობისათვის ქალისათვის შესაფერის ერთადერთ საზოგადოებრივ როლს წარმოადგენდა დედის ფიგურა, რომელსაც ჰქონდა " ჯანმრთელი მორალური ზეგავლენა შინაურ ცხოვრებაზე". მე–19 ს–ში რელიგიასა და მორალს ქალები მიჯაჭვული ყავდა ოჯახზე. ამერიკელი ქალისაგან მოითხოვდნენ რომ ისინი ყოფილიყვნენ რწმენის დამცველნი (https://archive.org/details/historyofwomansu01stanuoft გვ. 258). აქტივისტი ქალის პორტრეტს კი წარმოადგენდა "ბრძენი დედა", რომელიც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ გაწვეული იყო ოჯახური საქმიანობიდან პოდიუმზე მხოლოდ იმისათვის, რომ ქალური თანაგრძნობა უბიძგებდა მას ხმამაღლა ესაუბრა სუსტებისა და უმწეოების დასაცავად. "ქალთა სუფრაჟისტული ისტორია" კიდევ ერთხელ ამტკიცებდა საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ქალთა მოძრაობის აქტივისტები არ უგულებელყოფდნენ თავიანთ ოჯახურ მოვალეობებს. მაგ. გეიჯი, იმ თავში, სადაც აღწერდა კოლონიურ და რევოლუციურ პერიოდს, მუდმივად მოიხსენიებდა ქალთა უფლებების პირველი აქტივისტების " ქალურ" (ფემინურ) როლს და ხაზს უსვამდა, რომ მათი აქტიურობა ბუნებრივად გამომდინარეობდა მათი როგორც დედების, ცოლების, დებისა და ქალიშვილების ინტერესებიდან. ამერიკაში ქალთა უფლებების პირველ აქტივისტებს გეიჯი მოიხსენიებდა როგორც "რევოლუციონერ დედებს", რომლებიც პრინციპულად იბრძოდნენ თავიანთი ოჯახების დასაცავად. მათი დახასიათება, როგორც "ზედნიერი ცოლებისა და თავდადებული დედებისა, რომლებიც განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე ავიდნენ და მამაკაცებისაგან მოითხოვდნენ უფლებებსა და პრივილეგიებს წინააღმდეგობაში მოდიოდა ქალთა უფლებების აქტივისტების ისეთ კრიტიკულ დახასაითებებთან, როგორიცაა "დამჟავებული ძველი ტვინები", " უშვილო ქალები", " გაყრილი ცოლები". "ის-

ტორია" ამტკიცებდა, რომ ქალები სოციალური რეფორმატორები გახდნენ არა პოლიტიკური ამბიციებიდან გამომდინარე, არამედ იმის გამო, რომ მათ ბუნებრივად ჰქონდათ " საკმარისად დიადი სულები, რათა ეგრძნოთ სხვათა უბედურება". ამავე დროს "ისტორია" ირწმუნებოდა, რომ ქალებს გააჩნდათ ისეთივე ლოგიკური განსჯის უნარი, როგორც მამაკაცებს, და მათი პოლიტიკური აქტიურობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო იმის გამო, რომ მათ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად უწევდათ ოჯახურ მოვალეობებთან გამკლავება. "ისტორიაში" მოხვედრილ ქალებს გარდა იმ უნარებისა და შესაძლებლობებისა, რასაც მათგან მოითხოვდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, დამატებით გააჩნდათ პოლიტიკური შთაგონება და მოქალაქეობრივი პატრიოტიზმი. უფრო მეტიც, ისეთმა ქალებმა, როგორებიც იყვნენ მერსი ოტის უორენი, აბიგაილ სმიტ ადამსი და ჰანა ლი კორბინი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ერის იდეოლოგიურ მემკვიდრეობაში. გეიჯი ერთერთ თავში იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ჯეფერსონის მიერ "დამოუკიდებლობის დეკლარაციაში" გამოყენებული ზოგიერთი ფრაზა წარმოთქმული იყო მერსი ოტის უორენის მიერ. მისი აზრით, უორენი იყო პირველი, რომელმაც ქალთა ბრძოლა დააფუძნა თანდაყოლილ უფლებებზე, რაც შემდგომში პოლიტიკური ბრძოლის ერთერთი ქვაკუთხედი გახდა. გეიჯი ასკვნიდა, რომ საუკუნეების მანძილზე ქალები მუდმივად ცდილობდნენ აემაღლებინათ ხმა პოლიტიკური ტირანიის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ თანასწორ შესაძლებლობებს ცხოვრების ყველა სფეროში. ამრიგად, "ისტორია"ასკვნიდა, რომ რევოლუციის შემდეგ ამერიკელი ქალები ამღავნებდნენ როგორც " უმაღლეს მორალურობას", ასევე "წმინდა სიბრძნეს" (Ward 24).

ამრიგად, "ქალთა სუფრაჟისტული ისტორია" ახლებურად განმარტავდა ქალთა აქტივობას ამერიკის ისტორიაში. იგი ამტკიცებდა, რომ ქალებმა დაიმსახურეს არა მხოლოდ საარჩევნო ხმა, არამედ სრული პოლიტიკური სუვერენულობა. "ისტორია" არ აკნინებდა ქალის, როგორც დედის და ცოლის როლს, არამედ ქალის პოლიტიკურ აქტივობას წარმოგვიდგენდა როგორც ამ როლების ბუნებრივ გავრცობას.

მიუხედავად იმისა, რომ "ქალთა სუფრაჟისტული ისტორია" თითქოს მოგვითხრობდა სუფრაჟისტული მოძრაობის ისტორიას, იგი განიხილავდა ამას სოციალური რეფორმის უფრო ფართო კონტექსტში. თავად აქტივისტთა ბიოგრაფიული ჩანახატები და მოგონებები შეეხებოდა სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის მონობის გაუქმებას, ციხის რეფორმას, ორივე სქესის ერთად სწავლებას, სასმელებისაგან თავშეკავებას. გარდა ამისა, ტომებში ასახულია იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი მრავალი საკამათო საკითხი, მათ შორის სამოსის რეფორმა და ქალთა სტატუსი ქრისტიანულ ეკლესიაში. სხვადასხვა თემაზე საჯაროდ მოსაუბრე ქალთა ისტორიების გადმოცემით "ისტორია" არა მხოლოდ წარმოაჩენდა ქალთა სიბრძნესა და ისტორიულ წვლილს, არამედ იმ მხნეობას, უნარებსა და მორალურ ღირსებებს, რომლის დემონსტრირებაც მათ შეეძლოთ საზოგადოებრივი ტრიბუნიდან. გავრცელებული რწმენის საწინააღმდეგოდ, როცა მიიჩნეოდა, რომ პოლიტიკაში მონაწილეობით ქალები თმობდნენ თავიანთ მორალურ ღირსებას, "ისტორია' მოუთხრობდა იმ ქალთა შესახებ, რომლებმაც

დაამტკიცეს თავიანთი ღირსება სწორედ საჯარო გამოსვლების გზით.

"ქალთა სუფრაჟისტული ისტორიაში" ე. კ. სტენტონი და მისი კოლეგები მოგვითხრობდნენ მრავალ ქალთა ისტორიას, რომლებიც წინ აღუდგნენ ამ საყოველთაოდ აღიარებულ გენდერულ როლს. ეს ქალები ფლობდნენ ყველა იმ უნარს, ნიჭსა და მოქალაქეობრივ სიბრძნეს, რაც გააჩნდათ პოლიტიკურ არენაზე მოღვაწე მამაკაცებს და ანავდროულად, ინარჩუნებდნენ მორალურ ღირსებებს და ქალურობას. მაგ. როცა ე. კ. სტენტონი განიხილავს 1830–40–იან წლების აბოლიციონისტურ მოძრაობას, პირვლივე გვერდზე რამდენჯერმე იყენებს სიტყვას "მჭერმეტყველს" ქალ აბოლიციონისტთა აღსაწერად. ის აგრეთვე არწმუნებს მკითხველს, რომ ამ ქალებს საჯარო გამოსვლებზე არ გაუცვლიათ თავიანთი მორალურობა და ქალურობა. ამასთანავე "ისტორია" გადმოსცემდა თუ როგორ მოახერხეს ქალებმა მიეღწიათ ცნობადობისათვის არა მარტო მჭრმეტყველებით, არამედ ამასთანავე თავიანთი შარმის და სილამაზის გამოყენებითაც, რაც ეწინააღმდეგებოდა გავრცელებულ აზრს, რომ საჯარო გამოსვლები ქალებს ხდიდს არამომხიბვლელს, უკარგავდა შარმს და ამსგავსებდა მამაკაცს. ერთერთ მაგალითად მას მოჰყავდა აბოლიციონისტ ანჯელინა გრიმკეს პორტრეტი, სადაც ანჯელინა და მისი და სარა არა მხოლოდ ასხივებდნენ მჭერმეტყველებას, არამედ იყვნენ "უწმნდესი მორალის ქალბატონები". (Ward 38). საჯარო ტრიბუნაზე მოღვაწე "ქალური" ქალების პორტრეტთა წარმოჩენით "ისტორია" იხსენებდა ქალთა საჯარო გამოსვლების პატივსაცემ ტრადიციას, როცა ზოგიერთი მათგანი აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად იყენებდა სწორედ თავის მომხიბვლელობას და ქალურობას.

ე. კ. სტენტონსა და მის თანარედაქტორ ქალებს კარგად ესმოდათ ის სიმძიმე, რასაც გულისხმობდა სუფრაჟისტული მოძრაობის აღწერა. ისწრაფოდნენ რა გამოეყენებინათ "ქალთა სუფრაჟისტული ისტორია" ახალი "აზრების აღძვრის" მიზნით, ავტორებიცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ მათი მიზანი იყო არა მხოლოდ წარსულში ქალთა გამბედაობის და გულადობის დოკუმენტირება, არამედ "ძვირფასი მემკვიდრეობის დატოვება მომავალი თაობის ქალებისათვის. ამ იმედით სტენტონი კომენტირებას უკეთებდა მოძრაობის შიგნით წარმოშობილ სხვადასხვა მიმართულებებს და მოუწოდებდა ქალთა მომავალ თაობას აერჩიათ სტენტონისა და მისი კოლეგების გზა. მისი აზრით, ეს უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ქალთა პოლიტიკური ხმისთვის წამოწყებული კამპანიის წარმატებით დაგვირგვინება; ეს ნიშნავდა ბრძოლის გაგრძელებას თანაბარი უფლებებისათვის და სქესობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების ყველა სფეროში. "ყველა გონიერ მკითხველში ამ ტომეულების წაკითხვამ უნდა დატოვოს თვითრწმენის და თავისუფლების ღრმა შეგრძნება, რომელიც ქალს ბუნებრივად ეკუთვნის" წერდა ე. კ. სტენტონი. (Ward,42).

ისტორიკოსი ლინდა კერბერი აღნიშნავს, რომ მე–19 ს–ის ბოლოსათვის ქალთა საზოგადოებრივი ზეგავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა მოხალისე ორგანიზაციების, ლობირების, სავაჭრო გაერთიანებების, პროფესიული განათლების და პროფესიული აქტივობების საშუალებით. სტენსტონსა და მის თანარედაქტორებს სუფრაჟისტ ქალთა წარმატებებ-

თან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ამ სფეროებში ქალთა მიღწევების ჩვენება. სტენტონი შენიშნავდა, რომ "თითოეული ქალის ტრიუმფს, რაოდენ მცირეც არ უნდა ყოფილიყო ის, საკუთარი წვლილი შეჰქონდა დიდ საერთო საქმეში და დაფასებას იმსახურებდა". სტენტონსა და თანარედაქტორებს სუფრაჟისტ ორატორ ქალებზე არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ის ქალები, რომლებიც მუშაობდნენ სკოლების პედაგოგიურ საბჭოებში, ეუფლებოდნენ მამაკაცურ პროფესიებს, ან ამთავრებდნენ უნივერსიტეტებს. (https://archive.org/details/historyofwomansu0-3stan გვ. 298). ქალთა ნებისმიერი მიღწევა ასახვას პოულობდა "ისტორიაში", თუმცა მასში ნაკლებად საუბრობდნენ AWSA–სა* და 1869 წელს მოძრაობის გახლეჩის შესახებ. პირველი სამი ტომის გაახლოებით 3000 გვერდიდან სულ რაღაც ერთი თავი, მხოლოდ 106 გვერდი ქონდა დათმობილი AWSA–ს. მოძრაობის გახლეჩა შეიძლებოდა არც ასახულიყო წიგნში, რომ არა

* 1869 წელს სუფრაჟისტულ მოძრაობაში აღმოცენდა ორი კონკურენტი ორგანიზაცია თითოეული საკუთარი მიზნებით და სტრატეგიით: ქალთა ეროვნული სუფრაჟისტული ასოციაცია (NWSA), რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ე. კ. სტენტონი და ს. ბ. ანტონი და ქალთა ამერიკული სუფრაჟისტული ასოციაცია ( AWSA), რომელსაც ხელმძღვანელობდა ყოფილი აბოლიციონისტი ლუსი სტოუნი.

სტენტონის ქალიშვილის ჰერიოტ ბლეჩის დაჟინებული მოთხოვნა AWSA–ს თავად დაეწერა ერთი თავის მის შესახებ. თუმცა სტენტონი AWSA–ს აღიარებდა დამოუკიდებელ ფრთად და მოძრაობის გაყოფას ზოგად კონტექსტში ის დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. სტენტონი მეგობარ სუფრაჟისტ ელიზაბეტ ჩეიზისათვის 1879 წელს მიწერილ წერილში აღიარებდა, რომ მან სპეციალურად ბუნდოვნად წარმოაჩინა გაყოფილი მხარეები, რათა დაეტოვებინა უფრო პოზიტიური ისტორიული მემკვიდრეობა. ( Ward, 33).

უნდა აღინიშნოს, რომ სუფრაჟისტული მოძრაობა სხვადასხვა შეფარული გზებით წინ სწევდა ფემინისტურ გეგმებს, რომლებიც ბევრად უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე საარჩევნო ხმის უფლების მოპოვება. ე. კ. სტენტონი ცდილობდა სუფრაჟისტული ბრძოლა წარმოეჩინათ როგორც ერთი ეტაპი ქალთა თანაბარი უფლებებისათვისა ბრძოლის უფრო ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციის ფარგლებში. მოხსენიებულნი იყვნენ რევოლუციური ომის მონაწილე ქალები, რომლებიც კაცებზე არანაკლებ თავგანწირვით იბრძოდნენ, თუმცა წყაროებში ისინი ნაკლებად იხსენიებოდნენ, გარდა ომის გმირი ქალებისა, " ისტორია" პატივს მიაგებდა იმ ქალებსაც, რომლებიც უკუგდებულნი იქნენ სუფრაჟისტების მიერ. მაგ. რადიკალი პურიტანი ქალი ენ ჰატჩინსონი, რომელიც განდევნილ იქნა მასაჩუსეტსის ბეის კოლონიიდან 1637 წელს სამღვდელოების შეხედულებებთან შეწინააღმდეგების გამო. სტენტონი აქებდა ჰატჩინსონის 'მბრძანებლურ ინტელექტს" და მის პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებას ეკლესიაში ქალს როლზე. რედაქტორები აგრეთვე აშუქებდნენ მერი უოლსტონკრაფტის ბიოგრაფიულ პორტრეტს, რომელმაც

გენდერსა და ქორწინებაზე თავისი უკომპრომისო შეხედულებების გამო თანამედროვეთაგან დიდი კრიტიკა და ლანძღვა იწვნია.

მეტად უცნაურია "ისტორიაში"კიდევ

ორი ქალის მოხსენიება–ფრენსის რაიტის და ვიქტორია ვუდჰალის. რაიტი იდენტიფიცირებული იყო ათეიზმთან და 1830–იანი წლების თავისუფალი სიყვარულის მოძრაობასთან. ის თანამედროვეთა შორის მოიხსენიებოდა როგორც " სიწმინდეთა შეურაცხმყოფელი". "ისტორიაში" კი მას აქებდნენ მისი "არაორდინალური გონებრივი ნიჭის" და ოპონენტებთან ღირსებითა და თავდაჭერილი მამაცი ბრძოლისათვის. რაც შეეხება სპირიტუალისტს და სუფრაჟისტს ვიქტორია ვუდჰალს, იგი იყო პირველი ქალი, რომელიც საპრეზიდენტო მარათონში ჩაება 1872 წელს. ორჯერ ქმარსგაშორებული და თავისუფალი სიყვარულის დამცველი ვუდჰალი ეწინააღმდეგებოდა მისი დროის სექსუალურ ნორმებს და საკუთარ გაზეთში იცავდა საკამათო რეფორმების აუცილებლობას. ვუდჰალის შეხედულებები სექსუალურ თავისუფლებაზე იმდენად საკამათო იყო, რომ ლუსი სტოუნის ქალიშვილის თქმით "არცერთი ქალის მიმართ არ იგრძნობოდა ამდენი სიძულვილი თითქმის ყველა ღირსეული ადამიანის მხრიდან". მიუხედავად იმისა, რომ "ისტორიაში" ვუდჰალის სკანდალური ცხოვრების ბიოგრაფია არ იყო მოცემული, მასში შევიდა 1871 წელს მის მიერ წარმომადგენელთა პალატის სამართლებრივი კომიტეტის მიმართ გაკეთებული სუფრაჟისტული მიმართვის სრული ტექსტი, რაც ვუდჰალს ადგილს უმკვიდრებდა სუფრაჟისტული მოძრაობის ისტორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ სტენტონისა და ანტონის მიერ რედაქტირებული და დაწერილი "ქალთა სუფრაჟისტული ისტორია" წარმოადგენს "დიდებულ მონათხრობს", თავად მოძრაობაში ხშირად იყო ორივე მხარისათვის ხელისშემშლელი უთანხმოებები, რაც იწვევდა ბევრი დისიდენტის მოძრაობიდან ჩამოშორებას ლიდერთა ძალისხმევის შედეგად. ( მაგ. ლილი დევერო ბლეკი).

"ქალთა სუფრაჟისტულმა ისტორიამ" დიდი როლი შეასრულა ქალთა მოძრაობის შემდგომ განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, მან შემოინახა ქალთა მოძრაობის ისტორიის თითოეული ფურცელი ცალკეული შტატების მიხედვით, პირადი წერილები, ქალთა საჯარო გამოსვლების, პრესის მასალები, გამოხმაურებები, იმ ქალების ღვაწლი, რომელთა შესახებ შეიძლება არაფერი ცოდნოდა მომავალ თაობებს. ამ ტომეულებზე არაერთი თაობა აღიზარდა. ის ფაქტიურად წარმოადგენდა ამერიკელ ქალთა აქტივობის ენციკლოპედიას, რომელშიც ნაჩვენები იყო ყველა ძირითადი ნიუანსი, თუ როგორ მოახერხეს ქალებმა ამერიკაში ნაბიჯ–ნაბიჯ, დიდი წინააღმდეგობების გადალახვით მოეპოვებინათ საარჩევნო ხმის უფლება და თავი დაემკვიდრებინათ როგორც სწორუფლებიან სქესს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. DuBoiss Elen C. Hurriet Stanton Blech and the Winning of Women Suffrage. New Heaven: Yale University press, 1997
2. Flexer, Eleanor and Ellen Fitzpatrick. Century oif SAtruggle: The Women's Rights Movement in the United States. Cambridge Harvard University press, 1996
3. History of Woman Suffrage. by Stanton, Elizabeth Cady, 1815-1902; Anthony, Susan B. (Susan Brownell), 1820-1906; Gage, Matilda Joslyn, 1826-1898; Harper, Ida Husted, 1851-1931; Harper, Ida Husted, 1851-1931
   Vol 1. https://archive.org/details/historyofwomansu01stanuoft
   Vol. 3 https://archive.org/details/historyofwomansu03stanuoft
4. Hogan Lisa S. Wisdom. Goodness and Power: Eiazabeth Cady Stenton and the History of

Women Suffradge. Cender Issues/Spring, 2006

5. Ward Geoffrey. C. Stanton's Masterpiece. American heritage.00028738. Nov. 1999, Vol. 50, Issue 7

**«HISTORY OF WOMEN SUFFRAGE» AND ITS ROLE IN DEVELOPMENT OF WOMEN'S MOVEMENT**

Rusudan Mikautadze
Kutaisi Ak. Tsereteli State University

**Summary**

In the United States, women's suffrage movement was a long process that ended by the 19-th constitutional amendment which gave women the right to vote in 1920. One of the main roles is the successful end of this fight belongs to the sixth-volume work:" History of Woman Suffrage « editors of which at various times were famous leaders of women suffrage movement E. C. Stanton, S. B. Anthony, M. J. Gage and I. H. Harper. They collected and analyzed every piece of women's histories by states, personal letters, women's public speeches, press materials, feedbacks, women's contributions, which could have been forgotten for future generations. It was actually an encyclopedia of American women's activities, showing all the basic nuances how women in the United States were able to overcome the contradictions in order to gain the right to vote and to establish themselves as the equal sex in the USA.

# ქართული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ (1918-1921) რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების პოზიციის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით

მადონა ნიჟარაძე-ფანჩულიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: madona.nijaradze@atsu.edu.ge

*1918 წლის 26 მაისის აქტით აღაშფოთებული რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება, ბოლშევიკური პარტია და მთავრობა ვერ შეურიგდებოდა სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი, ევროპული ორიენტაციის მქონე სახელმწიფოს წარმოშობას და ცდილობდა რუსეთის იმპერიის რეანიმაციას. საბჭოების ყრილობაზე გამოსულმა ლენინმა გააკრიტიკა საქართველოს დამოუკიდებლობა მის მიერ გერმანიასთან დამყარებული კავშირი და ქართველ პოლიტიკოსებს მარცხი უწინასწარმეტყველა.*

*ისინი უეჭველად მოიმკიდნენ იმას, რაც რადამ მოიმკო.თუ კავკასიის რადას "მოსაქმეებმა" დახმარება მიიღეს გერმანიის ჯარებით,როგორც უკრაინის რადამ,-ამბობდა ლენინი,-ეს ახალ გასაჭირში ჩააგდებს საბჭოთა რესპუბლიკას და დააყენებს მას ახალი ომის აუცილებლობის წინაშეო.თურქეთთან საომარო მდგომარეობა შეგვექმნა იმიტომო,რომ გეგეჭკორმა და წერეთელმა ჯერ არ ცნეს ბრესტის ხელშეკრულება, შემდეგ კი კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. არ გვიპასუხეს*

*უამრავი რადიოდეპეშის პასუხად,რომელ ტე-რიტორიაზე ქმნიანთავიანთ სახელმწიფოს.ლე-ნინის აზრით,ქართველები ხელს უწყობდნენ გერმანია-თურქეთს კავკასიის დაპყრობაში,რაც რა თქმა უნდა ,რუსეთის ინტერესებს ეწინაა-მდეგებოდა ამ რეგიონში.*

1918 წლის 30 მაისს გაზეთმა «ერთობამ» გამოაქვეყნა ლენინის ეს სიტყვა და ანტირუსული სულისკვეთებაც გამოხატა. "ერთობა" ომის მუქარად მიიჩნევდა ლენინის მიერ აქ გაკეთებულ განცხადებას. ხშირად ქართველ სოციალ-დემოკრატებს და, ბუნებრივია, მათ პრესას თანამედროვე ოპოზიციაც და შემდგომი საზოგადოებრივი აზრიც მიიჩნევს პრორუსულად, ასეთი შეხედულება ეფუძნება «ერთობისა» და სხვა მისი თანამოაზრე ორგანოს თვალსაზრისს.

ოპოზიცია და მისი პრესა, კერძოდ კი "საქართველო" – "ერთობასა" და მმართველ პარტიას ადანაშაულებდა პრორუსულ პოლიტიკაში, საქართველოს დამოუკიდებლობის ღალატში, რისთვისაც ხშირად მის წარსულსაც იხსენებდნენ, ეროვნული იდეოლოგიის უქონლობას უკიჟინებდნენ სოციალ-დემოკრატებს, ხელისჩასაჭიდ ფაქტებს და მიზეზებს ისინი ხშირად ნახულობდნენ "ერთობის" ფურცლებზე, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაზეთის პუბლიკაციები სრულიად არ გამოხატავდა ამ პარტიის ყველა წევრის თვალსაზრისს, მთავრობის წევრთა შეხედულებებსა და მათ მიერ გატარებულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას.

შესაძლებელია, 1918 წლის 5 იანვრის აქტის შემდეგ, როდესაც ლენინმა გარეკა რუსეთის დამფუძნებელი კრება და დემოკრატიულ ძალებს გზა გადაუღობა ქვეყნის ხელისუფლებაში მოსასვლელად, არც ქართველ სოციალ-დემოკრატებს დარჩათ ამის იმედი, მაგრამ, როგორც მმართველი პარტია, ახლად დაარსებული, მტრულ გარემოცვაში მყოფი ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ძალა, არ ამწვავებდა სიტუაციას და მდგომარეობის განეიტრალების მიზნით არ უარყოფდა მომავალში რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რუსეთმა ყველა მანქანა აამუშავა, ეს იყო ამ ქვეყანაში არსებული ბოლშევიკურ-რუსული პრესა, ეროვნული დაპირისპირების ინსპირირება, ქართველი ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული აგიტაცია-პროპაგანდა მოსახლეობაში ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისარგებლა არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, ომის ვითარებაში ჩავარდნილი ქვეყნის არასტაბილურობით და სცადა აჯანყებების მოწყობა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. "ერთობა" იხილავდა ბოლშევიკების გამოსვლებს, მათ მიერ მოწყობილ პროვოკაციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში და გმობდა ამას.

1918 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებმა არაერთი გამოსვლა მოაწყვეს საქართველოში. ერთ-ერთი დიდი გამოსვლა იყო ლეჩხუმის მაზრაში, რასაც გაზეთმა პროვოკაცია უწოდა, იგი პირდაპირ მიუთითებდა, რომ მთელი მათი მოქმედება მესამე ძალის, კერძოდ კი, რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული.

აკრიტიკებდნენ რა ბოლშევიზმს, როგორც რუსულ რეაქციულ იდეოლოგიას, ქართველი სოციალ-დემოკრატები წინ წამოსწევდნენ თავიანთ როლს დემოკრატიული საზოგადოების შექმნაში, ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებასა და აღმშენებლობით პროცესებში.

1918 წლის 11 ნოემბერს თბილისში გა-

იხსნა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატთა მე-8 ყრილობა, რომლის მუშაობა ფართოდ გააშუქა "ერთობამ". განსაკუთრებული ყურადღება გაზეთმა გაამახვილა სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვაზე, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხებოდა. ჯიბლაძე გამოყოფდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა განსაკუთრებულ როლს ამიერკავკასიის მშრომელთა ცხოვრებაში, იმ რევოლუციურ ბრძოლებში, რომელსაც ეს პარტია ედგა სათავეში. ამიერკავკასიის გამოყოფას რუსეთისაგან იგი თავის დაცვის საშუალებას უწოდებდა და ქართველი ერის გადამრჩენად მიიჩნევდა. გაზეთი «ერთობა» ეთანხმებოდა სილიბისტრო ჯიბლაძის ამ პათოსს და აუცილებლად მიიჩნევდა ქვეყანაში შინაგანი წესრიგის დამყარებას.

რუსეთთან ურთიერთობას გაზეთი დამოუკიდებლობის მთელ მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. რედაქცია ბეჭდავდა, როგორც ვრცელ პუბლიცისტურ წერილებს მეზობელ ქვეყანასთან არსებული პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ წინა საუკუნიდან მოყოლებული, ასევე იმ საინფორმაციო მასალებსაც, რომელიც ასახავდა რუსეთის სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე პროცესებს. გაზეთი პოლემიკას უმართავდა როგორც ქართულ ოპოზიციურ, ასევე რუსულ გაზეთებს, დასაწყისში რუსულ დემოკრატიას აქებდა, იმედოვნებდა მის ხელისუფლებაში

დაბრუნებას და მოვლენების შემობრუნებას ანუ საქართველო-რუსეთის ახალი დაკავშირების შესაძლებლობას, შემდეგ კი, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ერთნაირი სისასტიკით გამოილაშქრეს როგორც ბოლშევიკურმა, ასევე მონარქისტულმა ძალებმა, "ერთობის" პოზიციაც გამკაცრდა, იგი რადიკალური გახდა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის გამო საქართველოსადმი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ არც პირველ შემთხვევაში და არც შემდეგში, «ერთობა» არ ღალატობდა ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეას და მტკიცედ უჭერდა მას მხარს.

გაზეთმა განსაკუთრებით აღნიშნა დამოუკიდებლობის 6 თვე, მკაცრი პასუხი გასცა დამოუკიდებლობის მაკრიტიკებელ რუსულ გაზეთებს, განსაკუთრებით "სოციალ-დემოკრატს".

დამოუკიდებლობის აუცილებელ გარანტად გაზეთი მიიჩნევდა სახელმწიფოებრივ წესრიგს, დისციპლინას, კანონების მკაცრად დაცვას მისი მოქალაქეებისაგან, მთავრობისაგან კი მოითხოვდა ამ პროცესებისადმი შეუნელებელ კონტროლს.

თუ "საქართველოს" ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტები თვლიდნენ ამიერკავკასიის გაერთიანებას აუცილებლად რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, «ერთობაც» ემხრობოდა ამ აზრს.

"ერთობა" და "საქართველო" განსაკუთრებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სომხეთ-საქართველოს ომის დროს. თუ ომის საკითხში საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალა გაერთიანდა, ომისშემდგომი მოვლენებისას ისინი კვლავ დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ. "საქართველო" ვერ პატიობდა მმართველ პარტიას მოგებული ომის შედეგების გაქარწყლებას, – ლორეს ნეიტრალურ ზონად გამოცხადებას.

1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში გამარჯვების შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ცდილობდა თავისი ორგანიზაციები განემტკიცებინა როგორც საქართველოში,

ასევე მეზობელ აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის საკითხი განსაკუთრებით აღელვებდათ ქართველ ხელისუფალთ, ეს რომ ასე იყო, კარგად ჩანს "ერთობის" მრავალფეროვან მასალებში, რომლებიც ბაქოელი ქართველი მუშებისა და იქაური პროლეტარიატის მოღვაწეობას ასახავს.

გაზეთები "ერთობა" და "საქართველო" ხშირად აკრიტიკებდნენ ერთმანეთს რუსეთთან დამოკიდებულების გამო, ეროვნულ-დემოკრატებს სოციალ-დემოკრატები რუსოფილებად, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ბოლომდე არაერთგულ ძალად მიაჩნდათ, რაც იწვევდა დაპირისპირებას არამარტო მათ პარტიულ პრესაში, არამედ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც. საქართველოს პარლამენტი მუდმივად იყო საპაექრო ტრიბუნა, სადაც ეს ორი ძალა ერთმანეთს დაუნდობლად აკრიტიკებდა და ყოველგვარი მეთოდით ცდილობდა მოწინააღმდეგის დისკრედიტაციას.

"ერთობა", როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წელს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ფრთხილად ეხებოდა, მკითხველს ებოდიშებოდა რუსეთთან საქართველოს გათიშვის გამო, საერთაშორისო დემოკრატიული პრინციპის დარღვევას თავად რუსეთის პოლიტიკურ ძალებს აბრალებდა: ბოლშევიკებს - აგრესიული და პოლიტიკური ავანტიურიზმის, დემოკრატიულ ძალებს კი შეუკავშირებლობის გამო, რამაც რუსეთის დაშლა და ბოლშევიკურ-ტოტალური რეჟიმის გამარჯვება გამოიწვია. მომდევნო პერიოდში, როდესაც ცხადი გახდა, რომ ყველანაირი ძალა რუსული პოლიტიკური სპექტრისა საქართველოს მიმართ დამპყრობლურ მიზნებს ისახავდა, «ერთობაც» უფრო მკაცრად აკრიტიკებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობას და მყარად იდგა ქვეყნის დამოუკიდებლობის პრინციპზე.

გაზეთი "საქართველო" წინააღმდეგი იყო ისეთი დემოკრატიისა, რომელიც თვალს ახუჭვინებდა ხელისუფლებას მისი მტრების ნამოქმედარის მიმართ, თავისუფლებას ანიჭებდა ყოველ ანტიქართულ აზრს და მოქმედებას. "საქართველო" ეჭვობდა რუსეთის კავშირს სომხეთის მიერ წამოწყებულ ომთან და სამართლიანადაც.

გაზეთი "საქართველო" ხატავდა ქვეყანაში შექმნილ ნამდვილ ვითარებას, რუსული ორგანიზაციების ანტიქართულ მოქმედებას, მათ პოლიტიკურ ზრახვებს. "საქართველო" განსაკუთრებულად აკრიტიკებდა რუსთა ეროვნული საბჭოს საქმიანობას.

არანაკლებ ყურადღებას აქცევდა გაზეთი ქართველ ბოლშევიკთა გამყიდველობას, მათ პრორუსულ საქმიანობას, აკრიტიკებდა ბუდუ მდივანს, ფილიპე მახარაძეს, მიხა ცხაკაიას, სტალინს. ყველა ამ წერილში მთავარი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ყველა ქართველი პატრიტოტის განწყობილების გადმოცემა, მისი კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებებისადმი, მისი პრაქტიკული საქმიანობისადმი.

საქართველოში რუსეთიდან შემოსულ ბოლშევიკებს ხელისუფლება იჭერდა და შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ჩარევის გამო, მათ ათავისუფლებდა და ასახლებდა საქართველოდან. უმეტესად ისინი კავკავში იყრიდნენ თავს, სადაც რსდმპ კავკასიის კომიტეტის შტაბი იყო. აქაურ ბოლშევიკურ გაზეთში – "კავკაზსკაია რეჩ", აქვეყნებდნენ წერილებს საქართველოს დამოუკიდებლობის შეუძ-

ლებლობაზე, წინასწარმეტყველებდნენ მის შეერთებას რუსეთთან.

გაზეთი "საქართველო" რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მთავრობის პოლიტიკას იწუნებდა, კონკრეტულ პასუხებს სცემდა გაზეთ «ერთობის» ამ თემაზე დაწერილ პუბლიკაციებს.

თუმცა "საქართველოზე" არანაკლებ თავად «ერთობა» გმობდა რუსეთის ბოლშევიკური სახელმწიფოს პოლიტიკას, მის ვითომდა «ერთა თვითგამორკვევის» პრინციპს, რაც სინამდვილეში პატარა ერების ხელახალ დაპყრობას ითვალისწინებდა.

განსაკუთრებით აკრიტიკებდა "ერთობა" რუსეთის პოზიციას ე.წ. "ინოროდცებისადმი" 1920 წლის დასაწყისიდან, როდესაც ბოლშევიზმი საბოლოოდ გამძლავრდა რუსეთში.

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას საქართველოს მთავრობა ზევრგვარი ღონისძიებით ცდილობდა.

ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტები ხშირად ადარებდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატ ოპოზიციონერებს რუს ბოლშევიკებს, ისინი ერთი პარტიის ორ ფრთად მიაჩნდათ, წერდნენ, რომ ალიანსი იყო მათ შორის. "ერთობა", როდესაც ლაპარაკობდა კომუნისტური რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ, ქართველ ბოლშევიკებსა და მათ იდეოლოგიაზე, შესაძლო ალიანსს ამ ძალასთან სრულიად გამორიცხავდა და ამის მიზეზებსაც დაწვრილებით ასახელებდა.

"საქართველოს" პუბლიცისტები მაინც მენშევიკებს ეძახდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რუსი ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლების დავალებებით შემოდიოდნენ საქართველოში და ცდილობდნენ ხალხის გადაყვანას თავიანთ მხარეს, მათ დაპირისპირებას საქართველოს ხელისუფლებასთან. ისინი ქართველ სოციალ-დემოკრატებს ბურჟუაზიის პარტიას უწოდებდნენ, სტალინი მათ «სოციალ-მედუქნეებს» ეძახდა. ბოლშევიკური პროკლამაციები ხალხს აფრთხილებდა, რომ მთავრობა და მმართველი პარტია "ოსმალო ბეგების" ინტერესებს იცავდნენ, ქართველი ხალხის ამოწყვეტა სურდათ და ა. შ.

ქართველი ბოლშევიკები, რომლებსაც რუსი თანაპარტიელები მოსდევნენ კავკასიაში ამბოხებების მოსაწყობად, მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილს, სოციალურად განსაკუთრებით დაბეჩავებულებს იმხრობდნენ.

წერილში – "კომუნისტების და ოსმალეთის იმპერიალისტების კავშირი", – "ერთობა" ააშკარავებდა საბჭოთა რუსეთის ალიანსს ქემალისტურ თურქეთთან, მათ დაპყრობლურ მიზნებს კავკასიაში.29 ბოლშევიკური რუსეთის სწრაფვას ამიერკავკასიის დაპყრობისაკენ, მისი სიმდიდრეების დაუფლებისაკენ, გაზეთის თითქმის არც ერთი ნომერი არ ტოვებდა 1920 წლის გაზაფხულზე, რადგანაც ამ დროს გაიზარდა რუსეთის ექსპანსია კავკასიაში.

"საქართველო" და მისი პუბლიცისტები რუსეთის კრიტიკას უფრო ღრმა ხასიათს აძლევდნენ, ვიდრე ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკა იყო. მწერლები, მეცნიერები აანალიზებდნენ რუსულ ხასიათს, რუსული კულტურის თავისებურებებს, არკვევდნენ მიზეზებს, რის გამოც მივიდა ეს ქვეყანა ბოლშევიზმამდე და რამაც დაანგრია იგი.

ტიციან ტაბიძემ მკაცრად გააკრიტიკა «ერთობის მეპრესე» მის წინააღმდეგ მიმართული პუბლიკაციისათვის.

დაპირისპირება გამოჩნდა ევროპელი სოციალისტების საქართველოში ჩამოსვლის დროსაც, როდესაც "ერთობასა" და

"საქართველოს" შორის დიდი პოლემიკა გაჩაღდა, რომლის მთავარი თემა ისევ ეროვნულ-დემოკრატებისათვის ასე მიუღებელი და შეუწყნარებელი სოციალიზმი იყო. ისინი ერთ რამეში სწორი იყვნენ, როდესაც ამ პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის სიტყვებს აკრიტიკებდნენ, რომლებიც ევროპის მთავრობებს "იმპერიალისტურს" უწოდებდნენ და სოციალისტური ქართული მთავრობით იწონებდნენ თავს.

"საქართველოსა" და "ერთობას" შორის კამათი იდეური სფეროდან გადავიდა პრაქტიკულ სფეროში. ოპოზიციური პრესა რუსული ბოლშევიზმის კრიტიკასთან ერთად ერთნაირი სიმპათიით უყურებდა რუსეთის ყოფილ კოლონიებში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობას, დამოუკიდებლობისათვის მათ ბრძოლას.

რუსეთის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული და ევროპასთან საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ აუცილებლობას ეხებოდა მოსე ჯანაშვილის წერილები, ის საკითხის ისტორიასთან ერთად, სახავდა მომავლის გზებსაც ამ ურთიერთობაში.

რუსეთის იდეოლოგიურმა მანქანამ წინასწარ იმუშავა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტორიტეტის შესარყევად. ამას ჩიჩერინის ნოტები აკეთებდა, რომელსაც იგი მთელი მსოფლიოს სახელმწიფოებში გზავნიდა. აქ რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლანძღავდა საქართველოს ხელისუფლებას, უწოდებდა მას არადემოკრატიულს, სომეხი ლტოლვილებისადმი სასტიკ დამოკიდებულებაში სდებდა ბრალს და, ზოგადად საქართველოს მთავრობის პოლიტიკას აკრიტიკებდა ნაციონალური უმცირესობებისადმი.

სამწუხაროდ, საქართველომ ვერ შექმნა ანტირუსული კავკასიური ფრონტი, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, როგორც ამას ფრანგი ავტორი რემონ დაუგე აღნიშნავდა 1926 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში – «მოსკოვი და წამებული საქართველო».

"ერთობა" და "საქართველო", მძაფრი ურთიერთდაპირისპირების მიუხედავად, 1920 წლის შემოდგომის ამბებს, რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებულ ურთიერთობას თითქმის ერთნაირი კრიტიკით პასუხობდნენ.

მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი აკრიტიკებდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებასაც რუსეთ-საქართველოს შორის. ის დარწმუნებული იყო, რომ აქტის უკან ლენინი იდგა, შემსრულებლები კი ქართველი ბოლშევიკები იყვნენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გაზეთი "ერთობა", №27, 1918 წლის 30 ივნისი.
2. გაზეთი "ერთობა", №4, 1920 წლის 6 იანვარი.
3. ვახტანგ კოტეტიშვილი, "რუსული კომუნიზმი დამარცხების გზაზე", გაზეთი "სახალხო საქმე", №15, 190 წლის 1 მაისი.
4. შალვა ნუცუბიძის სიტყვა დამფუძნებელ კრებაზე, გაზეთი "სახალხო საქმე", №17, 1920 წლის 5 მაისი.


## ГРУЗИНСКОЕ ПОЛИТИЧЕСКОЕ МЫШЛЕНИЕ О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ПОЗИЦИИ БОЛЬШЕВИСТСКОЙ ВЛАСТИ РОССИИ К НЕЗАВИСИМОСТИ ГРУЗИИ (1918-1921)

**Нижарадзе-Панчулидзе Мадонна-акад.доктор**

**РЕЗЮМЕ**

Грузинское политическое мышление о некоторых вопросах позиции большевистской власти России к независимости Грузии (1918-1921). Взволнованная актом 26 мая 1918 года большевистская

власть России не могла примириться возникновению на Северном Кавказе независимого государства европейской ориентации и старалась реаминировать россиискую империю.

В выступлении на съезде Советов Ленин раскритиковал независимость Грузии, установленную ею союз с Германией и предугадал грузинским политикам крах. Их союз с Германией в тяжелое положение поставим Советскую республику и создаст новые проблемы-отмечал Ленин.

Республиканская пресса независимой Грузии всеми силами старалась стоять вместе со своим народом и передовой интеллигенцией.

# იოჰან გიულდენშტედტის ცნობები ქუთაისის შესახებ

მადონა რობაქიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: madona.robakidze@atsu.edu.ge

*XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში იმოგზაურა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა (1745-1781 წწ.), რომელმაც დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს, კერძოდ, იმერეთის სამეფოს შესახებ. (გიულდენშტედტი, 1962).*

*მოგზაურის ბიოგრაფიული მონაცემები კარგადაა წარმოდგენილი ნაშრომის "მოგზაურობა საქართველოში" წინასიტყვაობაში (გ. გელაშვილი, 1962:10-11). გიულდენშტედტი იყო ნატურალისტი, მედიცინის დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. იოჰან ანტონ გიულდენშტედტი დაიბადა 1745 წლის 26 აპრილს რიგაში. მამა ანტონ გიულდენშტედტი იყო მდივანი საიმპერატორო მთავარი კონსისტორიისა, შემდგომში კარის სასამართლოს ასესორი. დედა დოროთეა ფონ ვირგინი იყო ერთადერთი ქალიშვილი პერნაუს ბურგომისტრის იაკობ ვირგინისა და ქვრივი კარის სასამართლოს ადვოკატის და მოხელის ფრიდრიხ ქრისტიბლ ბიულერისა, პაპა – მაგისტრი ანტონ გიულდენშტედტი, იყო მოძღვარი რიგაში, დიდედა კი გახლდათ დოროთეა დეპკინი.*

იოჰანის მასწავლებელი ბავშვობაში მამამისი ყოფილა, შემდეგ იოჰანი შეიყვანეს რიგის საიმპერატორო ლიცეუმის მაღალ კლასებში, სადაც მან მაშინდელი რექტორისა და პასტორის – ლოდერის ხელმძღვანელობით განაგრძო სწავლა შესანიშნავი წარმატებებით.

1758 წლის 8 იანვარს, 13 წლის ასაკში, იოჰანს მამა გარდაეცვალა, ხოლო 1761 წლის 4 დეკემბერს დედაც დაჰკარგა. იოჰანი, 16 წლის ასაკში, სრულწლოვანად აღიარეს. ის 1763 წლის ივლისში გაემგზავრა ბერლინში, სადაც 8 ნოემბერს ჩაირიცხა სამედიცინო ქირურგიულ სასწავლებელში. გიულდენშტედტმა ბერლინში მიიღო ფართო და საფუძვლიანი ცოდნა სამედიცინო ხელოვნებაში, ბოტანიკასა და ბუნებათმცოდნეობაში, ისე, რომ არ ყოფილა გერმანიის არცერთ ცნობილ უნივერსიტეტში. მისი საუკეთესო მასწავლებლები იყვნენ მეკელი, გლედიჩი და სხვები.

იოჰანს 1767 წლის დეკემბერში, 22 წლის ასაკში, ოდერის ფრანკფურტში მიანიჭეს დოქტორის ხარისხი, ხოლო იქაურმა ბუნების მკვლევართა საზოგადოებამ ის ჯერ კიდევ 5 დეკემბერს მიიღო თავის წევრად.

1768 წელს გიულდენშტედტი მიიწვიეს პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში, რათა მონაწილეობა მიეღო აკადემიის მიერ დაგეგმილ ექსპედიციაში (ეს ექსპედიცია ითვალისწინებდა ევროპული რუსეთის სამხრეთ–აღმოსავლეთ ოლქების, ციმბირისა და კავკასიის შესწავლას). გიულდენშტედტს თავდაპირველად გემით უნდა ემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში – ასტრახანის გუბერნიაში, მაგრამ გმულინის დაჟინებითი თხოვნით, პროგრამა გააფართოეს. ამის შემდეგ გიულდენშტედტს წილად ხვდა ჩრდილოეთი კავკასია და

საქართველო.

ექსპედიციაში ყოფნის პერიოდში, 1770 წლის 3 მარტს, იოჰანი აირჩიეს პეტერბურგის "თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოების" წევრად, ხოლო 1774 წლის 11 ოქტომბერს ბერლინის "ბუნებისმკვლევართა ამხანაგობის საზოგადოების წევრად.

ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ, რაც გაგრძელდა 1768-1774 წწ.. იოჰანი მონაწილეობას ღებულობდა მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა მეცნიერულ ღონისძიებებში.

1779 წელს მან კარგად მოაწყო სამკითხველო ბიბლიოთეკა, ეს მუშაობა მან განაგრძო აგრეთვე მისი მეგობრის, კარის მოსამართლის იოჰან ალბერეხტ ოიელერის დირექტორობის დროს. ასევე ცდილობდა გიულდენშტედტი ფეხზე დაეყენებინა "თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოება", რომლის პრეზიდენტად ის აირჩიეს 1780 წლის მაისში.

ხალხისადმი დახმარების აღმოჩენის სიყვარული გახდა მიზეზი მისი უდროო სიკვდილისა. 1781 წელს გუილდენშტედტი სხვადასხვა პირებს მკურნალობდა პეტერბურგში მოდებული "დამპალი ციებისაგან" მოსარჩენად. მისმა, ავადმყოფობისაგან ისედაც დასუსტებულმა, სხეულმა ვერ გაუძლო ამ მძლავრ შემოტევას და გარდაიცვალა 25 მარტს, 36 წლის ასაკში. დაასაფლავეს 26 მარტს.

მას დარჩა სამი ნახევარ და–ძმა – იაკობ ბერნჰარდ მიულერი, დ–რი ფრიდრიხ გუსტავ მიულერი და დოროთეა ელისაბედ მიულერი. ისინი ჯერ არ იყვნენ დაოჯახებულნი. თავის სიცოცხლეში ის ამ და–ძმებს უვლიდა და ზრუნავდა მათზე ძმურზე უფრო მეტი სიყვარულით.

ასეთია იოჰან გიულდენშტედტის ბიოგრაფიული შტრიხები. რაც შეეხება მოგზაურობის არსს, მ. პოლიევქტოვის აზრით, 1768-1774წლების მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია ემსახურებოდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარის თავადაზნაურულ–ბატონყმური რუსეთის სამეურნეო ინტერესებსა და დაპყრობით მისწრაფებებს. გიულდენშტედტს წილად ხვდა კავკასიის იმ ოლქების შესწავლა, რომლებშიც ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში აწყობდა მოსკოვის სახელმწიფო არაერთგზის საფუძვლიან დაზვერვებს (ზვენიგოროდსკი, ტატიშჩევი, ვოლკონსკი, მიშეცუკი, იევლიევი, ტოლოჩანოვი, ნაწილობრივ ელჩინი და სუხანოვი). XVIII საუკუნის რუსულ მეცნიერულ კავკასიისმცოდნეობაში გიულდენშტედტი ხსნის ახალ განყოფილებას, რომლის ობიექტი არის მთელი კავკასია, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე (М.А. Полиевктов, 1935:23).

გიულდენშტედტის მოგზაურობა დაიწყო პეტერბურგიდან 1768 წლის 19 ივნისს. ექსპედიციის ჯგუფში, გიულდენშტედტის გარდა, შედიოდა კიდევ ექვსი მამაკაცი. ექსპედიციამ გაიარა ნოვგოროდი, რჟევი, მოჟაისკი, მოსკოვი, ტულა, ვორონეჟი, ცარიცინი და 1796 წლის 4 დეკემბერს მივიდა ასტრახანში. 1770 წლის 13იანვარს გიულდენშტედტი გაემართა ყიზლარისაკენ, სადაც ჩავიდა 23 იანვარს. შემდეგ შემოიარა კავკასიის ახლომდებარე რაიონები, ნახა ნავთობის საბადოები და მინერალური წყაროები. 1771 წლის მარტში გაემგზავრა ოსეთში. 1771 წლის 18 მაისს საბოლოოდ დატოვა ყიზლარი, შემოიარა მცირე ყაბარდო, გავიდა კვლავ ოსეთში და აქედან საქართველოსაკენ წამოვიდა. 25 სექტემბერს უკვე დუშეთში იყო, სადაც 9 ოქტომბრამდე დარჩა. 15 ოქტომბერს ჩამოვიდა მცხეთაში, სადაც მი-

ღებულ იქნა ერეკლე მეორის მიერ, შემდეგ კი მეფესთან ერთად, 14 ნოემბერს, ჩავიდა თბილისში. აქ გიულდენშტედტი დარჩა 1772 წლის თებერვლამდე.

ივნისში გუილდენშტედტი წავიდა იმერეთში. 14 ივლისს იყო წესში, 18 ივლისს იგი სხარტალში მიიღო იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა, შემდეგ გაეცნო რაჭას და 10 აგვისტოს უკვე იყო ქუთაისში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოლომონ პირველის დავალებით თარჯიმნის მისიას ასრულებდა მეაბჯრეთუხუცესი ნიკოლოზ წერეთელი. ის 1772 წელს სხარტალიდან ოკრიბამდე მეგზურად გაჰყოლია გერმანულ მოგზაურს (გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, 2008:226).

11 აგვისტო. დღეს მე დავათვალიერე ქუთაისი. მის გვერდით რიონი გამოდის კირქვიანი გვერდითი ქედიდან დაბლობზე, ქალაქის ქვემოთ აკეთებს პატარა მუხლს (და მიედინება ჩრდილო–აღმოსავლეთიდან სამხრეთ–დასავლეთისკენ. კედლებით გარშემორტყმული ქალაქი მდებარეობს რიონის ჩრდილო–დასავლეთ ნაპირზე, მაღლობზე და მის დაქანებულ ვაკეზე, რომელიც (?) 30 საჟენი სიმაღლისაა. რიონის კალაპოტი აქ არის თეთრი, მაგარი, ბრტყელი კირქვა, რომელიც ჩრდილო–დასავლეთის ნაპირისკენ 30 საჟენამდე მაღლდება. სამხრეთ–აღმოსავლეთის ნაპირზე კი რამდენიმე ფუტს აღწევს და აქედან ვრცელ დაბლობში იკარგება. მაღალი ნაპირი დაფარულია თიხით და ბუჩქნარით. ჩრდილო–დასავლეთიდან რიონში ჩრდილო–დასავლეთის ნაპირიდან ჩაედინება პატარა მდინარე, რომელსაც ჰქვია რუა, და იმ მუხლში, (რომელსაც ეს მდინარე ჰქმნის რიონთან, მდებარეობს ქუთაისი. ქალაქი გარშემორტყმული იყო გალავან–ზღუდით, რომელიც შესდგება 3 მხარისგან, რომელთაგან ერთი ძევს მაღლობზე რიონის ნაპირის პარალელურად, ხოლო მისი (ამ კედლის) ბოლოები უერთდება იმ კედლებს, რომლებიც რიონისკენ ეშვებიან და (რომელთაც) წყალი ეხეთქება. თითოეული (კედელი – გ.გ.) არის 500 ნაბიჯი სიგრძისა, ასევე მათში მოქცეული რიონის ნაპირიც. დასავლეთით, მაღლობზე არის დიდი კარი და უფრო დაბლა რიონის ნაპირისკენ მეორე, უფრო პატარა კარი. ამ კედლის შიგნით, არის ქვიტკირის საცხოვრებელ სახლთა ნანგრევები, ხოლო მის ჩრდილო–აღმოსავლეთის კუთხეში იყო ციხე–კოშკი (ციტადელი) მაღალი და სქელი სწორკუთხა კედლით გარშემორტყმული, 100 ნაბიჯის განივკვეთისა. ციხის შუაში ძეგლად იდგა ქართული ქრისტიანული ეკლესია; მის მაგივრად თურქებმა ააშენეს მეჩეთი, რომლის კედლები დღესაც დგანან და სწორკუთხედს ქმნიან. კარიბჭის თავზე, ჩრდილოეთის კედელში, თათრული წარწერაა ქვაში ამოკვეთილი (გ. გელაშვილი, 1962:139).

ქალაქის კედლის შიგნით კოშკის დასავლეთის კედლის ზემოთ, დგას დანგრეული ქართული ქრისტიანული ეკლესია, რომელიც სიდიდით მცხეთის ეკლესიის ტოლია, სახელდობრ 45 ნაბიჯის სიგრძისა (საიდანაც 15 ნაბიჯი უჭირავს სამკვეთლო–სალაროს, რომელსაც ამფითეატრის სახე აქვს, და 30 ნაბიჯი სიგანისა. მთავარი კედლის შიგნით ის არის 20 ნაბიჯი სიგანისა, ხოლო შუაში ოვალურია და 5 ნაბიჯითაა შეწეული ყოველ მხარეს, ამით ეკლესიას ჯვარის ფორმა აქვს. ამ გამოწეულ ადგილებში არის პატარა შესასვლელები და ამათთან, კიდევ 10 ნაბიჯის მოშორებით კარიბჭეებია ამოყვანილი, რომელთა მსგავსიც დასავლეთის კარის წინაც არის. ყოველი გრძელი გვერდის კე-

დელთან არის 5 სვეტი, 3 საჟენის წრეწირისა, რომლებსაც ალბათ თაღი ეჭირათ. სვეტებისაგან მხოლოდ ქვედა ნაწილებიღა დგას, სახურავი მთლიანად ჩამოქცეულია. 6 საჟენის სიმაღლის კედლების ნაშენია აგურით და რიყის ქვით, ხოლო გარედან და შიგნიდან მათ თლილი ქვის პერანგი აქვთ. მთავარი კარის გარშემო არის რამდენიმე ქვაში სუფთად ამოკვეთილი ჯვარი, ეკლესიაში კი არც სურათებია და არც წარწერები.

ამ ეკლესიაში დევს ორი მარმარილოს სვეტის ნაშთი, მარმარილო გადატეხის ადგილას არის ბრჭყვიალა, მომწვანო და მოთეთრო ელფერით და მუშტისოდენა შავი ლაქებით, ეს არ არის ჩვეულებრივი ნარევი. ეკლესიის მახლობლად დგას პატარა სამრეკლო. თურქებმა, ჩანს, ეს ეკლესია დაანგრიეს, როცა ეს ქალაქი დაიპყრეს. როცა გრაფმა ტოტლებენმა 1770 წლის 6 აგვისტოს იერიშით გამოგლიჯა ქუთაისი თურქებს და სოლომონ მეფეს დაუბრუნა, მეფემ ყველა კედელი, განსაკუთრებით კი ციხე, მთლიანად დააქცევინა. თურქები ქუთაისში ისხდნენ 120 წელი, რის გამო ახლაც ყველაფერი დანგრეულია. კედლის ჩრდილო და აგრეთვე დასავლეთ მხარეზე ჩანს წინაქალაქის ნანგრევები ორი ეკლესიის ნაშთებით. მთავარი ეკლესიიდან 9 ვერსის მოშორებით აღმოსავლეთით ჩანს გელათის მონასტერი.

დასავლეთ კედლიდან 100 ნაბიჯის მოშორებით, ნაპირზე, არის 20 ნაბიჯის განივკვეთის აბანო. ამის ქვემოთ რიონზე არის 80 ნაბიჯი სიგრძისა და 8 ნაბიჯი სიგანის ხიდი. ორივე ნაპირზე არის 2 თაღი, რომლებიც მდინარეში აღწევენ 25 ნაბიჯამდე და შეერთებული არიან 30 ნაბიჯის სიგრძის ხის ხიდით). დაბლობში, მდინარის მარცხენა ნაპირზედაც ყოფილა წინაქალაქი, რომლის 6 პატარა ქვიტკირის ეკლესია დგას რიონის სამხრეთ მხარეზე, ქუთაისის ციხის პირდაპირ. პირველი, აღმოსავლეთის ეკლესია დგას ზედა რიონის ნაპირას, მთავარი ეკლესია კი ციხის პირდაპირ, ოთხი შემდგომი ეკლესია დგას (?) რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე ერთმანეთის ქვემოთ და რიონის ნაპირიდან მოშორებით. მე–6, უკანასკნელი და ყველაზე დასავლეთით მდებარე კვლავ ზედ რიონის პირას დგას, პირველისაგან ოთხასი ნაბიჯით ქვემოთ და გარშემორტყმულია 300 ნაბიჯის სიგრძის მრგვალი კედლით, რიონის ნაპირზე. ამ კედლის შიგნით დგას კიდევ ქვიტკირის 2 დიდი საცხოვრებელი შენობა, რომელთაგან ერთი დგას რიონში ამოყვანილ სამ თაღზე. გალავნის კარებზე არის პატარა სამრეკლო კოშკი. შემოღობილი მოედნის შუაში დგას ნატიფი, მაგარი, თეთრი მარმარილოს მსგავსი კირქვის მაგიდა 14 ფუტი სიგრძისა, 6 ფუტი სიგანისა და 10 დუიმი სისქისა, კიდეზე ქართული წარწერით. ამ ადგილს ეძახიან ოქროს ჩარდახს. ე. ი. ოქროს გალერეას, და მგონია, რომ ის უნდა ყოფილიყო სამეფო კარის ბანაკი (სადგომი). ამ ეკლესიებს შორის 1770 წლის ივნისიდან 1772 წლის აპრილამდე იდგა რუსული კორპუსი, რის გამოც ჯერ კიდევ ჩანს ჯარის მიერ გათხრილი სანგრები. აქ ააშენეს ქოხები სომხებმაც, რომლებიც მცირე ვაჭრობას ეწევიან. საერთოდ, ქუთაისს შიგნით და გარეთ, მდინარის ორივე ნაპირას, ცხოვრობს 50–მდე, ნაწილობრივ სომხების, ნაწილობრივ ქართული, ოჯახი.

12 აგვისტო. 1772 წელი. ეს დღეც ქუთაისში გავატარეთ, რადგან მაგრად და გადაუღებლად წვიმდა.

ქუთაისს ქვემოთ დაახლოებით 5 ვერსზე, რიონის მარცხენა ნაპირზე, დგას პა-

ტარა დანგრეული ციხე კახნიაური, რომელიც იყო უფლისწულის საჯდომი.

13 აგვისტო. ქუთაისში ჩემი ყოფნისას ძალიან წვიმდა და რიონი ადიდდა; დღეს მშრალი დარი იყო და წყალმა 2 ფუტზე დაიწია, ამდენად მე ვფიქრობდი, რომ შევძლებდით წყლის ნაკადებზე გასვლას და გელათში გამგზავრებას. ამრიგად, ჩვენ დავტოვეთ ქუთაისი და გავემართეთ აღმოსავლეთისაკენ; 1 ½ საათი მივდიოდით კირიან მთეზში მწვანეყვავილას მონასტრისა და სოფელ მოწამეთას მიდამოების გავლით (მივედით) წყალწითელას (ე. ი. წითელი წყალი) მარჯვენა ნაპირამდე. წყალწითელა წარმოიქმნება ჭალისა (რომელიც მე ანტორიასთან შემხვდა) და სხვა მდინარეების შეერთებით. ის გამოდის კირიანი მთებიდან, სადაც დაბლობზე ერთვის ყვირილას მარჯვენა მხრიდან. ის მოედინება მდორედ, აქვს თიხისგან წითლად შეღებილი წყალი და იქ, სადაც ჩვენ გავედით, 8 ვერსზე სათავის ქვემოთ, ის არის 30 ნაბიჯის სიგანის და 3 ფუტი სიღრმის. მისი მარცხენა ნაპირიდან ½ საათში ვიყავით სოფელ გელათში და შემდეგ გელათის მონასტერში.

მონასტერი დგას კირიანი კლდეების მწვერვალზე, რომელიც ალაგ–ალაგ თითქმის ან სავსებით შიშველია (მიწის საფარის გარეშეა). 500 ნაბიჯი სიგრძის ცუდი, მრგვალი კედელი არტყია სამ ჯვარის საყდარს, სამრეკლოსა და სამ საცხოვრებელ შენობას. ყველა კედელი როგორც გარედან, ისე შიგნიდან, მოპირკეთებულია ნათალი რუხი ქვიშაქვით (რიყის ქვით). მთავარი ეკლესია არის სიგრძით 40 ნაბიჯი (რომელთაგან საკურთხეველს 10 უჭირავს) და სიგანით 25 ნაბიჯი. დასავლეთის მთავარ (კარებთან) და ორივე მხარის კარებთან არის დიდი ეკვდერები (Vorhöfe). მეორე ეკლესია სიდიდით არის პირველი ნახევარი და მესამე – მხოლოდ სამლოცველოა. მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით არის ბერების ოთახები, დასავლეთ მხარეზე კი – გრძელი გალერეა, უმთავრესად ბერების სატრაპეზო. გუმბათები ძველად უნდა ყოფილიყო სპილენძით დახურული, ახლა კი არის ყავარი. შიდა კედლები მოხატულია მრავალი წმინდანით და ზედ არის ქართული წარწერები. ამათ გარდა მთავარ ეკლესიაში არის 8 სურათი. პირველი მათგანი წარმოადგენს მეფე დავითს, ამის და სხვა ბევრი მონასტრის ამშენებელს. ქართულ ქრონიკაში ის არის 56–ე მეფე და უნდა ემეფა მე–11 საუკუნეში. ამ დავითის გვერდით ხატია აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი, ე. ი. აფხაზეთის პატრიარქი ევდემონი. ამის გვერდით არის მეფე ბაგრატი, მას მოსდევს მისი ცოლი ელენე, შემდეგ მეფე გიორგი, შემდეგ ბაგრატი, ყმაწვილი, ვაჟი მის გვერდით დახატულ დედოფალ რუსუდანისა, რომელიც იყო თამარ მეფის ქალიშვილი. ერთ სვეტზეც არის პატრიარქის სურათი წარწერით: ღმერთო შეიწყალე დიდისა საყდრისა გენათისა მეტროპოლიტი და აფხაზეთისა და ქართლისა დიდისა ბიჭვინთისა კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი, ე. ი. ზაქარია, მიტროპოლიტი გელათის ამ დიდი ეკლესიისა და პატრიარქი დიდი ბიჭვინთისა (მონასტერია აფხაზეთში), აფხაზეთისა და ქართლისა (ანუ მთელი საქართველოსი). ეს გამოდგება ისტორიის ასახსნელად. ეკვდერში (სამლოცველოში) დგას კირქვისაგან გამოთლილი ზიარების შესამზადებლად განკუთვნილი მაგიდა, წარწერით, რომ მეფე ბაგრატმა აჩუქა ეს ზიარების მაგიდა, ქართულად ტრაპეზი. ეს უნდა ყოფილიყო უკანასკნელი მეფე ერთიანი და განუყოფელი საქართველო-

სი. ყველა ამ ეკლესიაში ახლაც წარმოებს ღვთისმსახურება.

ეს მონასტერი არსი იმერეთის პატრიარქის საჯდომი. ახლანდელს ჰქვია იოსები და არის მეფე სალომონის მკვიდრი ძმა, ისიც მასთან (იყო) სხარტალში. ამბობენ, რომ აქ არის დასაფლავებული მეფე თამარი და სხვა მეფეები.

მეფის მონასტრის ახლოს, სამხრეთ–აღმოსავლეთით, კირიანი კლდის ყველაზე მაღალ მწვერვალზე, დგას განმარტოებული ეკლესია, რომელსაც ჰქვია სოხასტერი და რომელიც ზოგ რუკაზეა აღნიშნული. ზერები აქ მხოლოდ გარკვეულ დღესასწაულებზე მოდიან ღვთისმსახურების ჩასატარებლად.

გელათის და მცხეთის მონასტრებიდან აიღო ვახტანგ მეფემ ცნობები ქართული ქრონიკისათვის; ამჟამად არც ერთ ამ მონასტერთან აღარ არის არქივები.

საღამოთი დავბრუნდით ქუთაისში.

14 აგვისტო. მე კვლავ ქუთაისში გავათიე ღამე. გუშინწინდელს მერე, წვიმის შემდეგ რიონის წყალი 5 ფუტით დაეცა. ნაშუადღევს დავტოვეთ ქუთაისი.

ამრიგად, XVIII საუკუნეში, ქუთაისში, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებოდა მუდმივი შფოთისა და ომების ეპიცენტრში, მაინც საგულისხმო ინტენსივობით მიმდინარეობდა მშენებლობა. ძნელბედობის მიუხედავად ქალაქის არქიტექტურული ტრადიციები გრძელდებოდა. შენდებოდა ხიდები, მონასტრები, სამწუხაროდ, სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, სოლომონ პირველის ბრძანებით დაინგრა ქალაქის ციხე–სიმაგრე, რათა შემოსულ მტერს იქ ფეხი ვერ მოეკიდებინა. ქუთაისში უდავოდ დიდი ტრადიცია არსებობდა ქვის ხიდების მშენებლობისა. საინტერესოა ისიც, რომ ქუთაისს XVII–XVIII საუკუნეებში არ დაკლებია უცხოელი მოგზაურები თუ დიპლომატიური მისიით წარმოდგენილი მნახველები, რომლებმაც თავისი შთაბეჭდილებები დაგვიტოვეს. ამ მხრივ, გამონაკლისს არც იოჰან გიულდენშტედტი წარმოადგენს (გ. მჭედლიძე, 2013:209-210).

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. გიულდენშტედტის "მოგზაურობა საქართველოში", ტომი პირველი. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962
2. გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე., ქუთაის–გაენათის ეპარქია. ქუთ., 2008
3. გ. მჭედლიძე., ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. ქუთ., 2013
4. М.А. Полиевктов, Европейские путешественики XIII-XVIII вв. по Кавказу. М., 1935


## JOHANN GÜNGENSTEDTTE'S INFORMATION ABOUT KUTAISI


**Madona robakidze**

**Akaki Tsereteli State University**



**Summary**

In the XVII-XVIII centuries Kutaisi did not interfere with foreign travelers or diplomatic missions who left quite interesting impressions. In this regard, no exception is Johan Guidenstedt. In August 1772, Johann was in Kuta and his surroundings. By the instructions of Solomon First, the translator mission was performed by Nikoloz Tsereteli. In 1772 he was followed by the Gurkendhildt from the city of Okralli.

Despite the fact that Kutaisi was in the epicenter of the constant worries and wars in the second half of the XVIII century, the construction was under intense intensity. Bridges and monasteries were constructed. Unfortunately, due to strategic goals, Solomon's first order was destroyed by the city's fortress, so that the

enemy could not stand there. In Kutaisi there is a great tradition of building stone bridges. Guldenshundt was able to see everything clearly and write down. He left Georgia on the Imereti Kingdom in particular the book «Journey to Georgia», which is an important source of study of XVIII century history.

# პოეტი ლადო ასათიანი და პროფესორ მიხეილ ალავიძის "ლეჩხუმური ლექსიკონი"

იზოლდა რუსაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: **izolda.rusadze@atsu.edu.ge**

*ისტორიამ მიითვალა პოეტ ლადო ასათიანის დაბადებიდან მეასე წელიც. ლადო იყო ორიგინალური პოეტი და პოეზიის ოქროპირი. მისი ლექსები ზეპირად იცის ჩვენი სამშობლოს ყველა მცხოვრებმა და არა მარტო ლექსები, არამედ ამ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს მღერიან კიდეც. მან ძალიან ცოტა ხანს – 26 წელსა და ხუთ თვეს იცოცხლა, მაგრამ ბევრის გაკეთება მოასწრო. ის უცებ მოევლინა საქართველოს ნიჭიერ პოეტად.*

ჩვეულებრივ, მგოსანი სამოღვაწეო ასპარეზზე ყოველწლიურად თითო-თი-

თი ლექსით გამოდისო, – წერენ მეცნიერები. 1936-1937 წლებში კი ქუთაისის საქალაქო გაზეთში ამ გაზეთის რედაქტორების: პარმენ შელეგიასა და გიორგი ჯიბლაძის დახმარებით ლადოს 24 ლექსი ერთბაშად- დაიბეჭდა. ეს იყო პოეტური აფეთქება. ასეთი ერთხელ კიდევ განმეორდა 10 წლის შემდეგ, როცა ჟურნალ "მნათობში" სიმონ ჩიქოვანის დახმარებით ანა კალანდაძის ლექსები ერთბაშად გამოქვეყნდა, – მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში. 1937 წელს ლადო ასათიანმა დაასრულა პედაგოგიური ინსტიტუტი. ის სწავლობდა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე 33-ე ჯგუფში. მისი თანაკურსელი იყო შემდგომ პროფესორი, ლადოს ბიოგრაფი და მისი ლექსების მკვლევარი მიხეილ ალავიძე, რომლის წერილებიდან და გამოკვლევებიდან ჩვენ, მისმა სტუდენტებმა, ძალიან ბევრი რამ შევიტყვეთ. ბ-ნმა მიხეილმა შეგვაყვარა ეს პოეტი. სწორედ ბ–ნი მიხეილისაგან გავიგეთ, თუ როგორ წერდა ლადო ლექსებს. რომ ის თავის უბის წიგნაკში წინასწარ იწერდა იმ სიტყვებს, რომელთათვის შემდეგ ადგილი უნდა მიეჩინა თავის პოეზიაში. ასეთი სიტყვები მარტო სალიტერატურო ქართული ენის კუთვნილებას არ წარმოადგენდა, არამედ ის ინიშნავდა დიალექტურ სიტყვებსაც. ლადოს ძალიან მოსწონდა ხალხური ენა. მას მიაჩნდა, რომ ბუნებრივი გრამატიკული ფორმები ხალხშია შემონახული და მას ესაჭიროება დაცვა. ლადო თავის პოეზიაში ლეჩხუმურ დიალექტურ ფორმებს იყენებდა, ისეთებს, რომლებიც ახასიათებს ლეჩხუმურ მეტყველებას, რომ ამ საქმიანობით ხალხური კოლორიტი დაეცვა. აი, როგორ გადმოგვცემს ამას ბ-ნი მიხეილ ალავიძე: "ხალხური ენა ლადოს ატკბობდა. მას ღრმად სწამდა, რომ უცნობი ნამდვილი ქართული სიტყვები და ბუნებრივი გრამატიკული ფორმები ხალხშია შემონახული და მათ ესაჭიროება დაცვა". "ამიტომ ეტრფოდა ლადო ასათიანი ზეპირმეტყველებას და იკვლევდა მას. ამიტომაც ხალხური კოლორიტის დასაცავად პოეტს ლეჩხუმური დიალექტიდან ამოღებული ბევრი სიტყვა აქვს გამოყენებული ლეჩხუმზე დაწერილი ლექსების ციკლში".

ზოგიერთი ლეჩხუმური დიალექტური სიტყვა, რომელიც უბის წიგნაკში ჰქონდა პოეტს ამოწერილი, ლადოს თავის პოეზიაში არ გამოუყენებია, მაგრამ, რადგანაც შეგროვებული ჰქონია, რომ არ გაბნეულიყო და თანაც შთამომავლობისათვის შემოენახა, გადაუცია თავისი თანაკურსელისა და გულითადი მეგობრის – მიხეილ ალავიძისათვის.

როგორც ცნობილია, ბ-ნი მიხეილი სტუდენტობიდანვე აგროვებდა ლეჩხუმურ "მარგალიტებს" – დიალექტურ ერთეულებს, რომ შემდეგ შეედგინა ლეჩხუმური დიალექტური ლექსიკონი. მეცნიერულმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ იმ ხანებში ცალკეული პირებისაგან ნაკლები ყურადღება ექცეოდა ლექსიკონების შედგენას, დიალექტური სიტყვების შეგროვებას, აღნუსხვასა და გაანალიზებას. ამ დროს კი საერთოდ ხელმოუკიდებელი ყოფილა ლეჩხუმური დიალექტი. ბ-ნი მიხეილ ალავიძე ამ საქმის პიონერად მოევლინა თავის ქვეყანას. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაასრულა თავისი ლეჩხუმური ლექსიკონი, თუმცა ამ საქმიანობას შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში აგრძელებდა და ბ-ნმა მიხეილ ალავიძემ საკმაოდ სერიოზული ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

მოკლედ, მეოთხეკურსელი სტუდენ-

ტის, მიხეილ ალავიძის, "ლეჩხუმური ლექსიკონი" 1938 წელს გამოსცა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა გურულ და ზემოიმერულ ლექსიკონებთან ერთად. გურულის ავტორი არის გიგო შარაშიძე, ზემოიმერულისა – ბ. წერეთელი. ამ წიგნის ლეჩხუმურ ნაწილში წარმოდგენილია ლეჩხუმური დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, რომელიც მოსახლეობის საქმიანობასთან დაკავშირებულ სიტყვებს შეიცავს. რაოდენობით შვიდასამდეა. განსამარტავ ლექსიკურ ერთეულებს ხშირად ახლავს შედარებები სხვა ლექსიკონებიდან. ასევე – საილუსტრაციო მაგალითებიც. ამ ლექიკონს პირველადი რედაქცია გაუკეთა მიხეილ ალავიძისა და ლადო ასათიანის ზოგადი ენათმეცნიერების ლექტორმა, შემდგომ აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა. ამ ლექსიკონის მასალა მიხეილ ალავიძემ პირველად წაიკითხა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრეში, სადაც ესწრებოდნენ ლექტორ-მასწავლებლებიც. აქ ეს ნაშრომი მოწონებულ იქნა და მისი ავტორი ინსტიტუტის დირექტორის მადლობითა და ფულადი პრემიითაც დაჯილდოვდა, წიგნი კი გადაეცა ენათმეცნიერების ინსტიტუტს გამოსაცემად და ძალიან მალე ის გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსიკონის შედგენაში მიხეილ ალავიძისათვის დახმარების ხელი გაუწვდია ლადო ასათიანს. აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის დამსახურება, რაც სტუდენტ ლადოს მიუძღვის ამ ლექსიკონის შედგენაში. ჩვენთვის ცნობილია, რომ ლადო ასათიანს უბის წიგნაკში ჩანიშნული ზოგიერთი სიტყვა, რომელიც თვითონ არ დასჭირდა და არ გამოუყენებია თავის ლექსებში, გადაუცია მიხეილ ალავიძისათვის ლექსიკონში შესატანად. "ლადო მეხმარებოდა ლეჩხუმური ლექსიკონის შედგენის დროს. იგი ცხენისწყლის მცხოვრებთა მეტყველებას კარგად იცნობდა", – წერს მიხეილ ალავიძე 1961 წელს (ჟურნალი "რიონი", № 4, გვ. 91-94).

აქ სრულყოფილად წარმოვადგენთ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ლადოს გადაუცია ბ-ნი მიხეილისათვის ლექსიკონში შესატანად და ბ-ნ მიხეილსაც ყველა მათგანი უკლებლივ გამოუყენებია: ბოჭოჭია – ჭიანჭველა; გარდამეისათ – მომავალი წლის შემდეგ; კანტი – გამხდარი ადამიანი; კეპილი – ღორის ნაწლავისაგან დამზადებული ძეხვი, კუპატი; მეჯეში – კოკისპირული წვიმა; ნალისი – პირუტყვის ნაზამთრი ბალანი; პურტყვი – პირუტყვი; სამთილო – სამამამთილო – ქმრის ოჯახი; სანათლისი – სანათური; ტაფოული – ტაფამწვარი, ერბო-კვერცხი; წემბეშო – ტყავი, რითაც ჩოჩიალა ურმის უღელი მიბმულია ფრჩხილებზე (ხელნებზე); წრუხა – მწუხრი, საღამო.

ამრიგად, ლადო არა მარტო თავის პოეზიაში იყენებდა ლეჩხუმურ დიალექტურ ერთეულებს, არამედ კრებდა და ცდილობდა, შთამომავლობისთვისაც შემოენახა ეს "მარგალიტები". ბ-ნი მიხეილ ალავიძის ლექსიკონის საშულებით ამისი მაგალითები ჩვენ უკვე დავადასტურეთ. ასე რომ, ლადოს დიდი დამსახურება მიუძღვის მიხეილ ალავიძის მიერ "ლეჩხუმური ლექსიკონის" შედგენაში და საერთოდაც, ლადოს მოსწონდა და უყვარდა ლეჩხუმური დიალექტი. ამისი თქმის საშუალებას გვაძლევს ის უამრავი ლეჩხუმური დიალექტური სიტყვა, რომლებიც მას გამოყენებული აქვს თავის ლექსებში. აქვე პოეტ ლადო ასათიანს შეტანილი აქვს ტოპონიმიკური მასალა, რომელიც დიალექტს განეკუთვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიხეილ ალავიძე, ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია. წიგნი შეადგინეს, გამოსაცემად მოამზადეს, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული განხილვები და კომენტარები დაურთეს ქეთევან დეკანოზიშვილმა და იზოლდა რუსაძემ, ქუთაისი, 2015.

2. ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1938. მოთავსებულია წიგნში: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შრომები, ქართველურ ენათა ლექსიკა – 1. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით. სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბ., 1938.

**THE POET LADO ASATIANI AND PROFESSOR MIKHEIL ALAVIDZE'S «LECHKHUMI DICTIONARY»**

**Izolda Rusadze**
Akaki Tsereteli State University

**Summary**

The work deals with the merit of poet Lado Asatiani in dedication of Mikheil Alavidze to the «Lechkhumi Dictionary».

# ყივჩაღთა საკითხი დავით აღმაშენებლის ეპოქაში

გალაქტიონ სვანიძე სსიპ ქ. ქუთაისის N40 საჯარო სკოლა
E-mail: **Galaktion.Svanidze@gmail.com**

*უდავოა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია-ში უმნიშვნელოვანესი ადგილი დავით აღმა-შენებლის ეპოქას უჭირავს. აღებულ პერიოდ-ში წმინდა მეფის გატარებული ნებისმიერი რე-ფორმა აქტუალური და მნიშვნელოვანია. ჩვე-ნი ყურადღება სამხედრო რეფორმამ, კერძოდ, საქართველოში ყივჩაღების ჩამოსახლებამ მი-იქცია. ამ უკანასკნელთა მასობრივი გადმოყვა-ნა ამიერკავკასიაში გარკვეულ საფრთხეებთან იყო დაკავშირებული, რომელიც, როგორც ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყარო-ბით ირკვევა, დავით IV-ს ძალიან კარგად ჰქონდა გააზრებული.*

დავით აღმაშენებელს მძიმე მდგომა-რეობაში მყოფი ქვეყანა ერგო მემკვიდრეო-ბად. თურქ-სელჩუკთა ლაშქრობების შე-დეგად "მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კა-ცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა" [ქ. ცხ. I: 324]. ქალაქი თბილისი, რუსთავი, სამშვილდე და სხვა მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები დამპყრობელთა ხელში იყო. თითქმის აღმოსავლეთ საქართველო სელ-ჩუკთა სათარეშო რეგიონად იქცა. დაზამ-თრებისთანავე ეს უკანასკნელნი "ფალან-გებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დიდუამს ჩაღმართ მტკუარისა და იორის პირთა, რამეთუ მათი სადგური იყო" (იქ-ვე). დავითის ისტორიკოსის სიტყვებიდან ნათლად ჩანს თურქ-სელჩუკთა თავისუ-ფალი გადაადგილება ქართლში. ქართუ-ლი მოსახლეობა გახიზნულია და დამ-პყრობელთა თარეშს ხელს ვერავინ უშლი-და. დავით აღმაშენებლის გამეფებისას (1089 წ.) "სადგომი სამეფო წაღვლის-თავი იყო" [ქ. ცხ. I: 324]. "ამაზე შორს აღმოსავ-ლეთისაკენ მეტადრე სადაც ჭალაკები მო-იპოვებოდა ცალკე ნადირისაგან, ცალკე მტრისაგან საშიში იყო და ისე ვერავინ ბე-დავდა ჩასვლას "ვიდრემდის ცხენ-კე-თილთა მხედართა მიერ მოინახიან და მაშინღა ჩამოვლიან ვაკესა" [ივ. ჯავახიშ-ვილი 1983: 199-200]. საბოლოოდ შიეძლე-ბა ითქვას, რომ სელჩუკები განაგებდნენ სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს.

დავით IV აღმაშენებლის ეპოქაში, აღმავლობის გზაზე შემდგარი საქართვე-ლო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა მოითხოვდა მმართველთა გონივრულ ნა-ბიჯებს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშ-ვნელოვანი იყო ქვეყნის განვითარებისათ-ვის.

თურქ-სელჩუკების ლაშქრობების შედეგად დასუსტებული ქვეყანა არაერთ რეფორმას საჭიროებდა. უმთავრეს პრობ-ლემას წარმოადგენდა არაორგანიზებუ-ლი და მცირერიცხოვანი ლაშქარი.

როგორც მკვლევარი შ. მესხია სა-მართლიანად შენიშნავს - "დავითის სამე-ფო ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყუ-რადღება დაუთმო გიორგი მეორის დროი-დან არსებითად მოშლილი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის საქმეს. დავით აღმაშენებელმა, ჯერ ერთი, თვით შემოიკ-რიბა ერთგული მოლაშქრენი და მათ-გან მუდმივი, არც ისე დიდი, მაგრამ ძლი-ერი პირადი გვარდია _მონა სპა_ შექმნა: მეორეც, უფრო საიმედო და ორგანიზე-ბული გახდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსაკარგავე-ერისთავთა მიერ გამოყვანილი ლაშქარიც მეფის ნება-სურ-ვილის ამსრულებელი იქნებოდა და არა მისადმი დაპირისპირებული, როგორც ეს ხშირად ხდებოდა დავითის წინაპართა მე-ფობის დროს" [შ. მესხია 1972: 37].

"ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა სამულელი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა ურიცხუასა მას შინა ენათა ნათესავთასა" [ქ. ცხ. I: 352]. დავითის ისტორიკოსი ლაშქარში მკაცრი დისციპლინის დაწესებაზე მოგვითხრობს. მნიშვნელოვანია მემატიანეს გადმოცემა სხვადასვა ენაზე მოლაპარაკე მებრძოლების შესახებ. უკანასკნელი ციტირების მიხედვით, ქართულ, უკვე დისციპლინირებულ, ლაშქარში უცხოელი მებრძოლებიც ყოფილან.

"რამეთუ არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თვით მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყვნეს დაუცხრომელად მიმოსვლასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ". შემოიკრიბა (დავით აღმაშენებელმა - გ.ს.) გონება კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით (ბიბლიური დავითი - გ.ს.), სულისა წმინდისა მიერ, კეთილად განიზრახა" [ქ. ცხ. I: 335] ყივჩაღთა ჩამოსახლება საქართველოში.

დავით აღმაშენებლის მიერ მრავალრიცხოვანი ყივჩაღების ჩამოსახლების საკითხი, ქართულ ისტორიოგრაფიაში, აქტუალური თემას წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხს შეეხო არა მხოლოდ სამხედრო ხელოვნების, არამედ ფეოდალური ეპოქის საქართველოს ისტორიაზე მომუშავე თითქმის ყველა მკვლევარი. ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლების საკითხი დღესაც პრობლემურია და აღნიშნულ თემაზე ისტორიოგრაფიაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული.

XI საუკუნის შუა ხანებში ყივჩაღები სამხრეთ რუსეთის სტეპებში გამოჩნდნენ და ამავე საუკუნის მეორე ნახევარშივე დაიწყო სერიოზული უთანხმოება კიევის რუსეთის სახელმწიფოსთან. 1091 წელს ბიზანტიის იმპერიის დახმარებით ყივჩაღებმა გაანადგურეს პაჭანიკები და კიევის რუსეთსაც სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. საპასუხოდ ვლადიმერ მონომახმა 1103-1116 წლებში ხუთჯერ დალაშქრა ისინი. საბოლოოდ ათრაქა შარაღანის-ძე ყივჩაღთა 40 000-იანი ოჯახით გადმოსახლებულა საქართველოში. აქედან გამომდინარე, ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა აღნიშნული ყივჩაღთა საქართველოში გადმოსვლის ერთ-ერთ მიზეზად კიევის რუსეთთან დაპირისპირება.

დავითის ისტორიკოსი ყივჩაღთა ჩამოსახლების შესახებ წერს: "უწყოდა (დავით მეფემ-გ.ს.) კეთილად ყივჩაღთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხლე მიმართებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა" [ქ. ცხ. I: 336]. ციტირებიდან ნათლად ჩანს ყივჩაღთა საბრძოლო ის უნარ-ჩვევები, რომელიც საჭიროა ლაშქრისთვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდაა გაზიარებული დავითის მემატიანეს გადმოცემა ყივჩაღთა "ადვილად დასამჭირველობისა" და "ყოვლითურთ მომზავებლობის ნებისა თვისისას" შესახებ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აზრით, "მეფემ (დავით აღმაშენებელმა გ.ს.) გადაწყვიტა ლაშქარი ყივჩაღთაგან შეედგინა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი მეუღლე გურანდუხტ დედოფალი იყო ასული "ყივჩაღთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა" და ამის გამო ისინი მისი ერთგულნი იქმნებოდნენ; მეორე იმი-

ტომ, რომ მან "უწყოდა კეთილად ყივჩაღთა ნათესავისა სიმრავლე და სიმხნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსვლისა, სიფიცხლე მიმართებისა, ადვილად დამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა" [ივ. ჯავახიშვილი 1983: 199].

შ. მესხია ყივჩაღების ჩამოსახლების მიზეზს შემდეგნაირად განიხილავს: "სამეფო ხელისუფლებამ ყივჩაღები შემთხვევით არ შეარჩია. დავითის ისტორიკოსი სავსებით ნათლად ასაბუთებს ამ არჩევნის გონივრულობას. მისი სიტყვით, საქართველოს სამეფო კარმა კარგად იცოდა "ყივჩაღთა ნათესავთა სიმრავლე, და წყობათა (ბრძოლებში) შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხლე მიმართებისა". ამდენად, დავითის ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყივჩაღებზე არჩევანის შეჩერების ერთ-ერთი მიზეზი მათი "ადვილად დასამჭირვლობაც" იყო. ამასთანავე, მეფის წარმოდგენით, ყივჩაღები იქმნებოდნენ "ყოვლითურთ მომზავებულნი (მიმყოლნი) ნებისა თუისისა" [შ. მესხია 1972: 39].

აკად. რ. მეტრეველი აღნიშნულ საკითხზე წერს შემდეგს: "ყივჩაღები ცნობილნი იყვნენ კარგი საბრძოლო თვისებებით, ამასთან ნების დამყოლნი და უპრეტენზიონი იყვნენ. დავით აღმაშენებელმაც კარგად "უწყოდა კეთილად ყივჩაღთა ნათსავთა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხლე მიმართებისა ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა" [რ. მეტრეველი 1990: 173].

ჩვენ, დასახელებულ პატივცემულ მკვლევართაგან განსხვავებით, ყივჩაღთა "ადვილად დასამჭირველობისა" და "ყოვლითურთ მომზავებლობის" საკითხს სხვაგვარად განვიხილავთ.

როგორც ცნობილია, თურქული მოდგმის ყივჩაღებს, მათი მომთაბარე ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არაერთ სახელმწიფოსთან თუ ხალხთან უხდებოდათ ურთიერთობა. ისინი სხვადასხვა ქვეყნის დაქირავებულ ლაშქარშიც იბრძოდნენ და სტრატეგიულ-პოლიტიკურ კავშირებსაც ამყარებდნენ მათთან. რისი მაგალითიცაა ბიზანტიასთან კავშირი და საერთო ძალებით 1091 წელს პაჭანიკების განადგურება.

ყივჩაღები კიევის რუსეთისთვისაც სერიოზული პრობლემას წარმოადგენდა. ვლადიმერ მონომახმა 1103, 1107, 1109, 1111 და 1116 წლებში დიდი ლაშქრობები მოაწყო ყივჩაღთა წინააღმდეგ, მაგრამ მათი საბოლოო დამორჩილება მაინც ვერ შეძლო. მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყივჩაღები საკმაოდ ბრძოლისუნარიანი და თავისუფლებასმოყვარული ხალხი იყვნენ. მათ რუსების მორჩილებაში ყოფნას საქართველოში გადმოსვლა ამჯობინეს. ქვემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან კარგად დავინახავთ ყივჩაღებს თვისულფებისთვის ბრძოლა საქართველოშიც რომ არ შეუწყვეტიათ.

ყივჩაღთა ჩამოსახლებისთანავე, დავით აღმაშენებელი მართალია ცდილობს მათ ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობები შეუქმნას. მაგრამ მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას - კონტროლს მაინც ახდენს. "დაუდგინა სპასალარნი და მმართებელნი და აგრეთვე თვისისა სამეფო სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ კეთილ და პირშეუქცეველნი" [ქ. ცხ. I: 337].

დავითმა ყივჩაღები 1118-1120 წლებში ჩამოასახლა, ხოლო 1124 წელს,

როდესაც მეფემ შირვანში ილაშქრა და ქართლში დაბრუნდა "ყივჩაღთა თვისთა უჩინა საზამთროდ სადგური, და საზრდელი და კაცნი ზედამდგომნი მათნი" [ქ. ცხ. I: 345]. დავითის ისტორიკოსის ამ ცნობით ნათლად ჩანს, რომ მეფეს ყივჩაღები გადმოსახლებიდან (1118 წ.), 1124 წლამდე განსაკუთრებული ყურადღბის ქვეშ ჰყავს. "კაცნი ზედამგომნი მათნი" აკონტროლებს ჩამოსახლებულ მეომრებს. ასევე საყურადღებოა თუ რას გულისხმობს მემატიანე, როცა აღნიშნავს "ყივჩაღთა თვისთა უჩინა საზამთროდ სადგური." ყივჩაღთა განსახლების არეალი დაუდგენელია, მაგრამ ჩვენი აზრით "ყივჩაღთა თვისთა"-ში უნდა ვიგულისხმოთ ყივჩაღთა ის ნაწილი, რომელსაც მეფე დაუცხრომელად ალაშქრებდა ზამთარ-ზაფხულ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული ჯგუფი, ყივჩაღთა შორის, მეფესთან ყველაზე დაახლოებულნი არიან (ხაზგასმა ჩვენია).

დავითის ისტორიკოსის თანახმად, ერთხელ, როდესაც "მეფე კარსა კარავისა თვისისა დგა, პერანგითა მოსილი ოდენ, შუა-დღე, და ციხით ვინმე შემოსტყორცნა ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშვიდობით. რაოდენ-გზის ყივჩაღთა თვისთა განიზრახეს ღალატი... და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის. და არასოდეს მიუშვა ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალთასა მას ზედა, არცა ოდეს მისცა იგი ხელთა მეძიებელთა მისთასა" [ქ. ცხ. I: 362]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით მიგვანიშნებს "თვისთა ყივჩაღთა" ანუ ყველაზე დაახლოებულ ყივჩაღთა ჯგუფის აჯანყებას და მეფის მკვლელობის მცდელობასაც კი.

ამდენად, ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლების გარემოებებად შეიძლება ჩაითვალოს ყივჩაღთა უთანხმოება კიევის რუსეთთან და კარგი საბრძოლო უნარ-ჩვევები, მაგრამ "ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა" არ უნდა ყოფილიყო ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლების მთავარი განმაპირობებელი გარემოება. ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებელმა ყივჩათა ბრძოლისუნარიანი ხასიათის შესახებ იცოდა და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მეფემ ყივჩაღებს გადმოსახლებისთანავე დაუყენა ზედამხედველად "ზედამდგომნი და მმართებელნი".

დაახლოებით 220 000 ყივჩაღის საქართველოში ჩამოსახლება, რა თქმა უნდა სარისკო საქმე იყო, მაგრამ დავით აღმაშენებლის ფრთხილმა ნაბიჯებმა ნაწილობრივ უსაფრთხო გახადა ამ რაოდენობის უცხოელის ჩამოსახლება, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას საცხოვრებელი ადგილი მიტოვებული ჰქონდა და თურქ-სელჩუკთა ურდოები დათარეშობდნენ ქართველთა მიწა-წყალზე.

მეფემ, უცხოტომელთა ჩამოსახლებისთანავე, დაიწყო ზრუნვა მათთვის შესაფერისი საცხოვრებელი გარემო შეექმნა. "ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა... ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა... დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინა სპასალარნი და მმართებელნი; და ეგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეული და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი" [ქ. ცხ. I: 337]. მემატიანეს გადმოცემით, დავით აღმაშენებელს ყივჩაღები "გუარად-გუარად" დაუნაწილებია,

ყივჩაღთათვის ყივჩაღი მმართველები და-უყენებია მართველად. მიუხედავად ამისა, მეფე მაინც არ ენდობა ჩამოსახლებულებს და როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ფსი-ქოლოგიურ ზეწოლას ახდენს მასზე. სამე-ფო სპიდან ზედამხედველებს უწესებს მათ, რომლებიც ყოვჩაღებზე უკეთ არიან შეიარაღებულნი.

მოყვანილი ციტირებიდან ნათლად გამოჩნდა დავითის ფრთხილი ნაბიჯები ყივჩაღებთან ურთიერთობის საკითხში. ქვემოთ, შედარებით ვრცლად, საუბარი გვექნება ყივჩაღთა სომხეთში ჩასახლების საკითხზე. მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთ-ერთი გარემოება, რომელიც ამ ფაქ-ტის გამორიცხვაში არგუმენტად გამოდგე-ბა. ჩამოსახლებულ ყივჩაღებს მეფემ ზე-დამდგომად სამეფო სპა დაუყენა. გვიჩ-ნდება ერთი კითხვა - თუ დავითმა ყივჩა-ღები სომხეთში ჩაასახლა, მაშინ სამეფო სპაც სომხეთში იმყოფებოდა?! რა თქმა უნ-და არა, აქედანაც ნათლად დავინახეთ, რომ დავითის ეპოქის ყივჩაღები მეფემ სა-ქართველოს ტერიტორიაზე გაანაწილა.

როგორც დავითის ისტორიკოსის მონათხრობიდან ირკვევა, მეფე ფსიქოლო-გიურ ზეწოლასთან ერთად, ცდილობს ჩა-მოსახლებულთა ინტენსიურ გაქრისტიანე-ბას - "ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხვ შეეძინებოდა ქრისტესა" [ქ. ცხ. I: 337]. გაქრისტიანება იყო ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი, რომელიც ძირეულ იდეოლოგიურ ცვლილებებს შეიტანდა ყივჩაღებში.

აკად. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ "ქართელებმა ყივჩაღების ასიმილაცია მო-ახდინეს, გადმოსახლებული 225 ათასი ყივჩაყის არცერთი შთამომავალი ყივჩაყად აღარ შერჩა. ამდენად ყველანი ძალდაუტა-ნებლად, უნებლიედ გაქართველდნენ" [ივ. ჯავახიშვილი 1983: 199-200].

აკად. რ. მეტრეველი თვლის, რომ: "ყივჩაღთა სწრაფი გაქრისტიანება და მა-თი შერწყმა ადგილობრივ (ქართულ) მო-სახლეობასთან საქართველოს სამეფო კა-რის ინტერესი იყო და ასე მოხდა კიდეც" [რ. მეტრეველი 1990: 178].

მკვლევარი შ. მესხია, რომელიც ვრცლად განიხილავს ყივჩაღების გაქრის-ტიანების პრობლემატიკას, წერს: "საქარ-თველოს სამეფოსა და ასევე ეკლესიასაც ყივჩაღთა საქართველოში დამკვირდებისა და ქართულ მოსახლეობაში შერწყმის სა-ფუძვლად სწორედ მათი გაქრისტიანება მიაჩნდა... ყივჩაღთა სწრაფი ასიმილაცი-ით უნდა აიხსნას ისიც, რომ დავითის შემ-დეგ, გიორგი II -ისა და თამარის დროს, საქართველოს ლაშქარში ცალკე "ყივჩაღ-თა ლაშქარი" არ იხსენიება, ის ადრევე შე-ერწყა ქართულს" [შ. მესხია 1972: 43-44].

პროფ. ს. ერემიანმა გამოაქვეყნა ჰა-რიჭის მიდამოებში (სომხეთი) ყივჩაღთა ბინადრობის დამადასტურებელი ეპიგრა-ფიკული მასალები. რომლის მიხედვითაც, ჰარიჭში 1206 წელს ზაქარია მხარგძელს აუგია მონასტერი (გრიგორიანული-გ.ს.), რომელიც ღფჩანხვაქის სახელითაა ცნობი-ლი. იქვეა სოფელი ღფჩახი. ჰარიჭის მო-ნასტრისათვის 1304 წელს ზეთსახდელი შეუწირავთ ელხუთლუ ჩაგანის ძეს, მის ვაჟს აბაშს და ეხლუთლუს ხათუნს (ცოლს) - ხოლდუს. ჰარიჭის მონასტრის ვიღაც ტრიტური აღნიშნავს, რომ მან ეკ-ლესიას შესწირა ხუპასარიანთაგან ნაყი-დი ვენახი. როგორც ს. ერემიანი აღნიშ-ნავს, ჰარიჭის პირველ და მეორე ეპიგრა-ფიკულ წარწერაში მოხსენიებული პირები ყივჩაღები არიან. აქედან გამომდინარე ს. ერემიანი, ქვ. ჩხატარაიშვილი და ან. ჯაფა-

რიძე, დავითის ეპოქაში ყივჩაღთა "სომხურ ქრისტიანობაზე" მოქცევას ვარაუდობენ და შესაბამისად დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებული ყივჩაღების სომხეთში ჩასახლებას.

პატივცემული მკვლევარი შ. მესხია ყივჩაღთა "არმენიზაციის საკითხთან" დაკავშირებით წერს: "ერემიანისა და ჩხატარაიშვილის მიერ მოშველიებულ მასალათაგან არცერთი არ გამოდგება დავითის დროს გადმოსახლებულ ყივჩაღთა "სომხურ სარწმუნოებაზე" მოქცევის დასამტკიცებლად. ჩვენ აქ შესაძლებლობა არ გვაქვს ვრცელი კამათი გავმართოთ დასახელებულ ავტორებთან, მაგრამ ის კი უნდა შევნიშნოთ, რომ 1206 წ. ზაქარია მხარგძელის სახსრებით აგებული ჰარიჭის მონასტრის მეორე სახელწოდება "ღფჩანხვანქ" და იქვე სოფლის "ღფჩახ"-ის არსებობა ცხადია ვერ დაამტკიცებს არა თუ დავითის დროინდელი ყივჩაღების მიერ "სომხური ქრისტიანობის მიღებას" არამედ ყივჩაღთა დასახლებასაც კი ამ ტერიტორიაზე XII საუკუნის პირველ მეოთხედში" [შ. მესხია 1972: 41].

ნაშრომების განხილვიდან როგორც დავინახეთ, ყივჩაღთა გაქრისტიანების საკითხთან ერთად ამ უკანასკნელთა განსახლების არეალის საკითხიც პრობლემურია. საისტორიო წყაროებში არსად ჩანს ყივჩაღების განსახლების კონკრეტული რეგიონი. პროფ. ერემიანის კვლევამ მართალია სიახლე შემოიტანა ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ჩვენი აზრით, მის ვარაუდს დონეზეც, რომ დავითის მიერ ჩამოსახლებული ყივჩაღები სომხეთში ჩასაახლეს და სომხური ქრისტიანობა მიიღეს, არგუმენტი ნამდვილად აკლია.

ჩვენ, აღნიშნულ საკითხს შემდეგნაირად განვიხილავთ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგახმით მიუთითებს ყივჩაღთა გაქრისტიანებაზე. მაგრამ გასარკვევია ყივჩაყები მართლმადიდებელ ქრისტიანებად მოინათლნენ, თუ "სომხურ ქრისტიანობაზე" მოექცნენ.

როგორც დავინახეთ, ს. ერემიანისა და ქვ. ჩხატარაიშვილის მიერ მოყვანილი არგუმენტები, ყივჩაღთა "სომხურ ქრისტიანობაზე" მოქცევის შესახებ, გააკრიტიკა შ. მესხიამ, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელის კრიტიკასაც აკლია შესაბამისი არგუმენტი.

დავითის ეპოქის პირველ წყაროს, რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება წარმოადგენს. ვციტირებთ თხზულებიდან:

"ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღურები მრავალი ფრიად, რომელნი აზმნობდეს თავსა თვისსა მიწევნად თავსა ყოვლისა სწავლულებისა და მეცნიერებისასა. და მოახსენეს (დავით IV-ს - გ.ს.) რათამცა ყო ბრძანებითა მისითა კრება და ყვესმცა სიტყვის-გება და გამოძიება სჯულისა... რათა არღარა გვიწოდდეთო მწვალებლად და შეგუაჩვენებდეთ." [ქ. ცხ. I: 356].

ციტირებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ მოიხსენიებს თხზულების ავტორი სომეხ გრიგოლიანელ ეპისკოპოსებს და მონასტერთა წინამძღვრებს. ყივჩაღთა გაქრისტიანების ფაქტს კი იგივე მემატიანე სიხარულით აღნიშნავს - "თვით ყივჩაღნიცა უმრავლესი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხვ შეემატებოდა ქრისტესა" [ქ. ცხ. I: 337]. აქედან გამდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყივჩაღები ნამდვილად მართლმადიდებლად მოინათლნენ.

1121 წელს, როდესაც დავით აღმაშენებელმა ყივჩაღებთან ერთად ბარდავი დალაშქრა, მოუხდა მდ. მტკვარის გადალახვა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. „ალონს მტკუარსა გაცურდა (დავით IV - გ. ს.) ყივჩაყითა ფაუზრავსა მას წყალსა (მდ. მტკვარი - გ. ს.), მოსრნა თურქნი, არბია ბარდავი... თუე იყო ივნისი [ქ. ცხ. I: 340]. მემატიანეს ამ გადმოცემას თუ მივაქცევთ ყურადღებას და ამავე ეპოქის რუკას დავაკვირდებით, ნათლად გამოჩნდება ის ფაქტი, რომ ყივჩაღები დავით აღმაშენებელს სომხეთში არ ჩაუსახლებია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლება და ამ გზით მოლაშქრეთა რაოდენობის გაზრდა დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ დავითის ეპოქის ქართული ლაშქრისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ისეთი საბრძოლო უნარ-ჩვევების მქონე მეომრები, რომლებიც ყივჩღები იყვნენ. მეფემ ისარგებლა ამ უკანასკნელთა კონფლიქტური ურთიერთობით კიევის რუსეთთან და „დედაწულითა" ჩამოსახლებული ყივჩაღები ქვეყნის ინტერესებისთვის გამოიყენა.

დავით აღმაშენებელმა იცოდა რა ყივჩაღთა ბრძოლიუნარიანი ხასიათის შესახებ და თავიდანვე სიფრთხილით ეკიდება მათთან ურთიერთობის საკითხს. მეფე ჩამოსახლებისთანავე ცდილობს მათთვის ხელსაყრელ პირობებში აცხოვროს უცხოტომელები, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მაინც ამყოფებს - „ზედამდგომნი მათნი" აკონტროლებს ყივჩაღებს და ეს კონტროლი მუდმივია, ამასთ ან დავით აღმაშენებელი ცდილობს ჩამოსახლებულთა მასიურ გაქრისტიანებას, როგორც ყველაზე ეფექტურ ბერკეტს მათი გაქართველებისათვის.

წყაროთა მწირი მონაცემების საფუძველზე შესაძლებლობების ფარგლებში ვუჩვენეთ, რომ ყივჩაღთა მონათვლა, მართალია ზედაპირული, მაგრამ მართლმადიდებლური წესით განხორციელდა. ქართველები და ყივჩაღები ცხოვრების წესით, იდეოლოგიით, კულტურითა და რელიგიით მკვეთრად განსხვავვებამ და შეუთავსებლობამ ჩამოსახლებულთა მოსახლეობა აჯანყებამდეც კი მიიყვანა. დავითის ისტორიკოსის თქმით, მეფეზე ღმერთის წყალობა და მფარველობა რომ არა, ეს აჯანყება სავალალო შედეგითაც კი - მეფე დავითის დაღუპვით დასრულდებოდა.

ამდენად, ყივჩაღთა ჩამოსახლებამ საქართველოში მართალია რიგ საკითხებში დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჩამოსახლებულთა ვერც კულტურული დაახლოება და ვერც მათი ასიმილაცია ვერ განხორციელდა ქართულ სამყაროსთან, რამაც საბოლოოდ ყივჩაღთა მიერ ჩვენი ქვეყნის დატოვება გამოიწვია.

**ლიტერატურა:**


1. ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), გარშემო ერთი ომისა, პარიზი 1929.
2. ასათიანი ნ., საქართველოს ისტორია, თბ. 2000.
3. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., ტ. IX 1979.
4. კაკაბაძე ს., დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები ტ. IV, 1942.
5. სამუშია ჯ., საქართველოს სამხედრო ისტორია, თბ. 2017.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ. 1979.
7. მესხია შ., "მლევაჲ საკვირველი", თბ. 1979.
8. სტეფნაძე ჯ., საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ. 1974.

9. მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1986.
10. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955.
11. ჩხატარაიშვილი ქვ., ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ. 1979.
12. ჩხატარაიშვილი ქვ., უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში, კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ. 1966.
13. ჩხატარაიშვილი ქვ., შაიშმელაშვილი ივ., დიდგორის ბრძოლა, 1974.
14. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. II, თბ. 1983.
15. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. VIII, თბ. 1977 წ.


**THE ISSUE OF KIPCHAKS IN THE REIGN OF DAVID THE BUILDER**


**Svanidze G.**

Kutaisi N 40 Public School



**summary**

The era of David the Builder plays an important role in the History of Georgia. All the reforms carried out during his reign are significant. Our attention was drawn to the military reforms, in particular, to the resettlement of Kipchaks to Georgia. The mass movements of Kipchaks were connected with some threats in Transcaucasia which David IV assumed very well. The main threat seemed to be the big number of resettlements of Kipchaks to Georgia, since the main population of Georgia abandoned the valleys of eastern Georgia and went to live in the mountains. Kartli was invaded by the Seljuq Turks. The king took measures to prevent all the possible threats. He created favorable conditions for settlers to live peacefully with Georgians. Despite this there were some disagreements between the Kipchaks and the royal court. Kipchaks tried to kill the king several times, but in vain.


# თურქული ენის გავლენის შედეგებისათვის მუჰაჯირთა ქართულ მეტყველებაზე


გიგა ქამუშაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**E-mail: giga.kamushadze@gmail.com**



*თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს ქართველებით დასახლებული რეგიონები, ისევე როგორც ეთნიკური ქართველებით დასახლებული სხვა რეგიონები, მრავალმხრივ გამორჩეულია. თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების შესახებ დაწერილი უამრავი გამოკვლევის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ეს რეგიონები, ფაქტობრივად, ყოველმხრივ შეუსწავლელია, თუ არ გავითვალისწინებთ აქ ჩაწერილი ტექსტების მცირე რაოდენობას, რაც დღემდე განუზომელი მნიშვნელობის მატარებელია.*

*თურქული ენის გავლენა მუჰაჯირთა ქართულ მეტყველებაზე თვალში საცემია, რაც ძირითადად გამოიხატება სინტაქსურ-სტრუქტურული კალკებით.*


როგორც ცნობილია, მეტად „გრამატიკული" ე.ი. სისტემებრივი კავშირით მეტად შებოჭილი სიტყვები უფრო ძნელად გადადის ერთი ენიდან მეორეში.

ამიტომვე ხდება, რომ ნასესხებ სახელს ხშირად შევხვდებით, ნასესხები ზმნა კი იშვიათია (ზ. ფოჩხუა, 1974, გვ. 46).

მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაშიც უპირატესად სახელების სესხება ხდება. ნასესხები გვხვდება სხვა მეტყველების ნაწილებიც. თურქული ზმნა ქართულ მეტყველებაში თავს იჩენს მხოლოდ მაშინ, როცა ქართულად მოლაპარაკე ლაპარაკში ჩაურთავს თურქულ ფრაზას ან წინადადებას: **ქართველმა ქალებმა მე გამარეზილეს; თოფები დუუთესლიმეთ...**

თურქული სიტყვები საყრდენ ელემენტებად გვხვდება ხოლმე ფრაზეოლოგიზმებშიც: **ვინცხადან რო სოფას შეჭამ, იმის შვილს შიიყვარებ?; მაგენმა ჭამეს დეპორტი...**

ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ჩვენებურები ყველა ჯგუფის ნაცვალსახელს თავისებურად აწარმოებენ, ზოგჯერ ქართული ენის დასავლური კილოების გავლენით განუსაზღვრელი ნაცვალსახელი *ვიღაც* ქართულის დასავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკურად სახეცვლილი **ვინცხა** ფორმით გვხვდება: **ვინცხამ მოგვერია ჩვენ, ბოლოს ჩვენაც იგინის მიერიოთ; ღმერთმა ვინცხას მისცა ძალა, იმან მსოფლიო გახანა...**

აგრეთვე ქართული ენის დასავლური კილოების გავლენით *ეს* ჩვენებითი ნაცვალსახელი *აგი* ფორმითაა ჩანაცვლებული: **მისოფლიოში კაი ხალხია აგი ჩვენი ქართველები; სამოთხე არის აგი ჩვენი საქართველო;**

თვალში საცემია თურქული ენის გავლენები. ასე მაგალითად: სამპირიან ზმნაში პირდაპირი დამატების ფუნქციით გამოყენებული ნაცვალსახელი *ის*, რომელიც უსულო საგნითაა გამოხატული, მრავლობითი რიცხვითაა გადმოცემული: **გოგომ, თლათ მას რა დამართეს, ისენი გააგნებია მამამისს.** მსგავსი თავისებურება უცხოა ქართული ენის დიალექტებისათვის. ვფიქრობთ, რომ მსგავსი მოვლენა თურქული ენის გავლენითაა განპირობებული.

როცა ჩვენებითი ნაცვალსახელები *ეს* და *ის* მსაზღვრელია, ჩვენებურთა მეტყველებაში ფორმას არასოდეს იცვლის: **ის ელმასი შენ მოგცემ; ეს კაციდან რაფერ გადავრჩებივო?!**

გარდაუვალ ზმნიან კონსტრუქციაში ირიბი ობიექტით გადმოცემული ჩვენებითი ნაცვალსახელი ზოგჯერ კუთვნილებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული: **იმის პირში ელმასი აქ, გადააგდოს; ჩემ პირში ელმასი მაქ.** თურქულ ენაში კუთვნილება გამოიხატება პირის ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (benim - ჩემი, senin შენი, onun - მისი, bizim - ჩვენი, sizin - თქვენი, onların - მათი) (ი.გოცირიძე, 2003, გვ. 28). გამომდინარე აქედან, ზემოთმოტანილი წინადადებები თურქული ენის კალკია.

***ვინმემ არ იცოდა*** *- არავინ არ იცოდა.* აღნიშნული გამოთქმა კალკია თურქული **Kimse bilmiyordu**-ისა, ცნობილია, რომ ნაცვალსახელი **Kimse** „ვინმეს", „ვიღაცას" ნიშნავს წართქმითი ფორმის შემასმენელთან (Orada kimse var - იქ ვიღაც არის, ხოლო უკუთქმითი ფორმის შემასმენელთან აქვს მნიშვნელობა „არავინ". (Kimse yoktur - არავინ არ არის) მაშასადამე, **Kimse bilmiyordu**-ს ზუსტი თარგმანია „არავინ არ იცოდა" და არა „ ***ვინმემ არ იცოდა".*** მსგავსი კალკი დასტურდება აჭარულ დიალექტშიც, სადაც არ არის გარჩეული თურქულიდან გადმოსაღები ნაცვალსახელის გამოყენების წესი (იხ. ნ.

გურგენიძე, 1973, გვ. 78-79).

დაფიქსირდა შემთხვევა, როცა *თვის* თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფუნქცია შეთავსებული აქვს მიცემით ბრუნვაში მდგარ უთანდებულო ნაცვალსახელს: **ჩემ სახლში ერთი ალიფაშა არის, იმას მიმაქ. იმას მიმაქ** კალკია თურქული თქმისა **Ona götürüyrom**. მიცემით ბრუნვაში მდგარი პირის **O** ნაცვალსახელი იძენს მნიშვნელობებს **მას, იმას.** ჩვენებურთა მეტყველებაში სწორედ ეს ფორმაა გამოყენებული.

თურქულ ენობრივ სამყაროსთან ხანგრძლივი თანაარსებობის შედეგად, დღეს თითქმის ყველა მუჰაჯირი (ზოგიერთი ღრმად მოხუცის გარდა) ფლობს სახელმწიფო ენას – თურქულს. სწავლა-განათლება, ბუნებრივია, თურქულ ენაზეა; ასევე, საკმაოდ ხშირად იყენებენ მას ოჯახებში თუ ჩვეულებრივი ყოფითი ურთიერთობების დროს. მუჰაჯირთა ქართულ მეტყველებაში კოდ-სვიჩინგის (ინგლ. **Switshing** ,,გადართვა") ხუთივე ძირითადი ქვეტიპია წარმოდგენილი. რამდენადაც ცნობილია, კოდ-სვიჩინგი სპონტანური, გაუაზრებელი პროცესია და გვხვდება მხოლოდ სრული ბილინგვიზმის ან დიგლოსიის შემთხვევაში. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილეთ კალკურ გადართვაზე (**Calgue switshing**) რომელიც გულისხმობს _ A ენაში/დიალექტში, B ენის/დიალექტის გავლენით, ლექსიკურ-გრამატიკული კალკების სპონტანურად წარმოქმნას (მ. ლაბაძე, 2010, გვ. 114).

მასალის მოპოვების დროს ვაფიქსირებდით ქართველური ენობრივი სამყაროსათვის უჩვეულო ფორმებს, კონტექსტებსა თუ მნიშვნელობებს. ასეთ შემთხვევაში რესპონდენტებს ვთხოვდით, აღნიშნული წინადადებები თუ სიტყვაფორმები შესაბამისი თურქულით გადმოეცათ. ისინი ფაქტობრივად დაუფიქრებლად თარგმნიდნენ მაგალითებს. აღმოჩნდა, რომ მუჰაჯირთა მეტყველებისათვის ესოდენ დამახასიათებელი და ქართული სალიტერატურო ენისა თუ სხვა დიალექტებისათვის უჩვეულო კონტექსტები თუ მნიშვნელობები, სწორედ რომ თურქული ენის პირდაპირი ზეგავლენის შედეგია.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ როგორც ზმნური, ასევე სახელური ფუძეები.

ზმნა **ადგომა** ძირითადი მნიშვნელობის გარდა მუჰაჯირთა მეტყველებაში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტშიც: **თეთრი მატარებელი ამდგარა ბათომიდან; გუშინ დილით თიფლისიდან ავდექი, დღეს დილით აქა ამოვედი.**

მოცემულ მაგალითებში **ადგომა** ფორმა გამოიყენება **გასვლის, მოძრაობის დაწყების** მნიშვნელობით. ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. მუჰაჯირთა მეტყველებაში მატარებლის გასვლის აღსანიშნად **ადგომა** ფორმის გამოყენება პირდაპირი კალკია თურქული ზმნისა **Kalkmak** (**ადგომა**) რომელსაც ერთ-ერთ მნიშვნელობად უდასტურდება სწორედ (ტრანსპორტის) გასვლა, დაძვრა.

ზმნა **გაქცევა** ძირითადი მნიშვნელობის გარდა მუჰაჯირთა მეტყველებაში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტშიც: **მე ცოლი გამოვაქციე:**

მოცემულ მაგალითში **გაქცევა** ფორმა გამოიყენება **ქალიშვილის მოტაცების** მნიშვნელობით. ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. მუჰაჯირთა მეტყველებაში მატარებლის გასვლის აღსანიშნად **გაქცევა** ფორმის გამოყენება

პირდაპირი კალკია თურქული ზმნისა **Kaçırmak** (**გაქცევა**), რომელსაც ერთ-ერთ მნიშვნელობად უდასტურდება სწორედ **ქალიშვილის მოტაცება**.

ზმნა **ჩაფლობა** ძირითადი მნიშვნელობის გარდა მუჰაჯირთა მეტყველებაში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტშიც: დღეს რო კაცი მოკტება, მეორე დღეს **ავწევთ, ჩავფლავთ**.

მოცემულ მაგალითში **ჩაფლობა** ფორმა გამოიყენება **დაკრძალვის, დასაფლავების** მნიშვნელობით. ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. მუჰაჯირთა მეტყველებაში მატარებლის გასვლის აღსანიშნად **ჩაფლობა** ფორმის გამოყენება პირდაპირი კალკია თურქული ზმნისა **Gömülmek** (**ჩაფლობა**) რომელსაც ერთ-ერთ მნიშვნელობად უდასტურდება სწორედ **დაკრძალვა, დასაფლავება**.

თურქული ენის გავლენითაა გაბუნდოვანებული შემდეგი წინადადებების შინაარსი: **შერეფე არის, მაგრამ საქართველომდე არ არის; ლაზებთან ვართ, მაგრამ მეტი კარგად არა; ისიც ლაპარაკი იცის; ქალის უკან ღარჭებთანაც ქართულათ დეილაპარაკოფს; მეზობლის ერთზე ცხენი მუუთხოვია...**

სტატიაში გაანალიზებულმა მასალამ აჩვენა, რომ მუჰაჯირთა ქართულში, თურქული სალიტერატურო ენისა თუ დიალექტების გავლენის შედეგად, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დონეზე კალკური გადართვა სპონტანურად ხდება, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს სიტყვათა სემანტიკური ცვლილებები... სამეტყველო კოდთა შერევით განპირობებულ ფორმათა სემანტიკური განსხვავებულობა-თავისებურებათა საფუძველი კი მუჰაჯირ ქართველთა სრული ბილინგვიზმია.

**ლიტერატურა**


1. გოცირიძე, 2003 - ი. გოცირიძე, თურქული ენის სახელმძღვანელო, თბილისი.
2. გურგენიძე, 1973 - ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, მეცნიერება.
3. თურქულ-ქართული ლექსიკონი, (2011): თურქულ-ქართული ლექსიკონი, ლ. ჩლაიძის რედაქციით, სტამბოლი.
4. ლაბაძე, 2010 - მ. ლაბაძე, ქართველურ დიალექტურ კოდთა შერევის საკითხისათვის მურღულის ხეობაში (თურქეთის რესპუბლიკა), "წელიწდეული" II, ქუთაისი, გვ. 114-118.
5. ფოჩხუა, 1974 - ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.
6. ჯიქია, 1964 - ს. ჯიქია, თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან I, თურქული ლექსიკური კალკები ლაზურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108. გვ. 258-270.
7. 2016-2017 წლებში ჩაწერილი დიალექტოლოგიური მასალა.


**FOR THE CONSEQUENCES OF TURKISH LANGUAGE INFLUENCE ON MUHAJIRS' GEORGIAN SPEECH**


**Giga Kamushadze**
Akaki Tsereteli State University

**Summary**

Regions of Republic of Turkey, Black Sea coast inhabited by the Georgians like other regions populated by ethnic Georgians, is distinguished in many ways. Despite numerous studies on Georgians living in the Republic of Turkey, it can be said that these regions are, in fact, completely unstudied, if you do not take into account a small number of texts written here, which still has tremendous significance.

The impact of the Turkish language on the Georgian language of Muhajirs is noticeable, which is mainly reflected in the syntactic-structural calques.

In the speech of the Muhajir Georgians, mostly names are borrowed. Are borrowed also other parts of speech.

Turkish verb appears in Georgian speech only when a person speaking in Georgian uses Turkish phrase or sentence.

The material analyzed in the article showed, that in Muhajirs' Georgian, that as a result of the influence of Turkish literary language or dialectics, on the level denoting and noting calques change-over occurs spontaneously. As a result we have semantic changes of words... The basis of semantic variation-features of the formulas caused by the mixing of the speech code is full bilingualism of Muhajir Georgians.


# საქართველო (ამიერკავკასია) ძველი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების გეოპოლიტიკაში

(აქადის, ურის III დინასტიის, ძველი ბაბილონის, ხეთებისა და ხური-მითანის იმპერიები)

ვახტანგ შარაძენიძე ქუთაისის N 40 საჯარო სკოლა
E-mail: vaxtangsharadenidze@gmail.com

ახლო აღმოსავლეთის ფიზიკურ რუქაზე, თუნდაც თვალის ერთი გადავლებით, ნათლად იკვეთება ის სამი ძირითადი ლანდშაფტურ-კლიმატური ზონა, რომელიც რეგიონის გეოგრაფიას ჩრდილოეთიდან სამხრეთი- საკენ რელიეფურად გასდევს და ახაიათებს. პირველ მათგანს წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილი მთიანი მხარე (მცირე აზიის, ირანისა და სომხეთის მთიანეთები, დიდი და მცირე კავკასიონის მთათა სისტემები), მეორეს მიეკუთვნება ე. წ. ,,ნაყოფიერი ნახევარმთვარის" დაბლობი, რომელიც მოიცავს, ფართო გაგებით, ევფრატისა და ტიგროსის შუამდინარეთს, ლევანტის ქვეყნების ზღვისპირეთს, ზოგი მის გაგრძელებად ასახელებს, აგრეთვე, ნილოსის დაბლობს [,,Плодородный полумесяц"-Википедия], ხოლო მესამე უბანს შეადგენს სირია-არაბეთის თვალუწვდენელი ცხელი უდაბნო თავისი ოაზისებით.

სწორედ ,,ნაყოფიერი ნახევარმთვარისა" და მთიანი ზონის გეოგრაფიული გარემო, მათზე გამავალი სავაჭ- რო-სახმელეთო და სამდინარო გზები, მათ შორის არათანაბრად განაწილებული ბუნებრივი რესურსები დაე- დო საფუძვლად ძველი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების განვითარებას და ათასწლეულების მანძილ- ზე არსებითად განსაზღვრეს რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები. წინა აზიის მთიანი მხარე, ზოგადად, მდიდარი იყო საუკეთესო ჯიშის ხეტყით, საშენი და ძვირფასი ქვებით, სხვადასხვა ლითონით, მთის საძოვარი კი ხელს უწყობდა მესაქონლეობის დაწინაურებას, ხოლო ზემოთ აღნიშნული ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ,,ნაყოფიერი ნახევარმთვარის" ტერიტორია გამოირჩეოდა საირიგაციო მიწათმოქმედების არნახული განვითარებით, რომლის წყალობით შუამდინარეთისა და ნილოსის ნოყიერ ველებზე წელიწადში ორჯერ მოჰყავდათ უხვი მოსავალი [აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. გ. გიორგაძე, 1999: 259, ნ. ლომოური, 1988: 308-309, დ. ხახუტაიშვილი, 1988: 391, ჯ. შარაშენიძე, 1983: 8, 95, 1999: 51, მ. ხვედელიძე, 1999: 143].

ამიერკავკასია, გეოგრაფიული თვალსაზრისით, წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთ განაპირა პერიფერიას, რომელიც შავსა და კასპიის ზღვებს შორის ყელის ფორმით არის შეჭრილი და მის მოსახლეობას, მათ შორის ქართველი ერის წინაპრებს, როგორც ამას არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ფიქრობენ, ჯერ კიდევ ქვის ხანის სხვადასხვა ეპოქაში ჰქონდათ მეტ-ნაკლებად მჭიდრო კონტაქტები, ერთი მხრივ, წინა აზიის, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან [აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ა. კალანდაძე, 1970: 92-93, 99, 113-114, ტ. ჩუბინიშვილი, 149-150, ო. ჯაფარიძე, 1991: 20, 23, 25-26, 32, 33, 38, 44, 46, 47, 55, 64, 84-85, 101].

განვითარების მომდევნო საფეხურზე, ადრებრინჯაოს ხანაში, არსებული კონტაქტები ინტენსიური სავაჭ- რო-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ურთიერთობების სახით ჩამოყალიბდა. ძვ.წ. IV ათასწლ.-ის II ნახ.-სა და III ათასწლ.-ის I ნახ.-ში საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული მტკვარ-არაქსის ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც არქეოლოგ ჯ. ნადირაძეს ერთმანეთის მონათესავე ტომების შექმნილად მიაჩნია [1989: 47], მოიცავდა მთელ აღმოსავლეთ და ნაწილობრივ დასავლეთ ამიერკავკასიას, ჩრდ. კავ- კასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ოლქებს, ირანის ჩრდ.- დასავლეთ ნაწილს, აღმ. მცირე აზიასა და სირია-პალესტინას [ო. ჯაფარიძე, 1991: 110, 134-135]. ამდენად, მტკვარ-არაქსის კულტურა, მისი ცალკეული ვარიანტების სახით, ვრცელი კულტურულ-გეოგრაფიული საზღვრებიდან გამომდინარე, სამი მხრიდან გაუმეზობ- ლდა ჩრდ. მესოპოტამიას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამიერკავკასიის, ყოველ შემთხვევაში მის სამხრეთ ნა- წილში მცხოვრებ ქართველურ გაერთიანებებს (სხვა მეზობელი ტომების მსგავსად) ექნებოდათ ჩრდ. შუამდინარეთის (ძველაღმოსავლური წყაროების ,,სუბართუს“) მოსახლეობასთან (სუბარელებთან), რომლის ეთ- ნიკური ვინაობაც იმ ეპოქაში ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის [გ. გიორგაძე, 1999: 230], ბუნებრივია, რო- გორც მშვიდობიანი, ისე მტრული ურთიერთობები. ასეთი სახის კავშირების დამყარება, დიდი მანძილის მი- უხედავად, სავსებით რეალური იქნებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე პერიოდში კიდევ უფრო შორს, სუბართუს სამხრეთით, ქვემო მესოპოტამიაში, სპარსეთის ყურესთან მდებარე შუმერთა ქალაქ-სახელ- მწიფოებს გააჩნდათ სამხრ. კავკასიის მოსახლეობასთან, მათ შორის ქართველურ ტომებთან, საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ურთიერთობები, რომელთა შესახებ, არქეოლო- გიური მონაცემების გარდა, კარგად მიგვანიშნებს ლინგვისტური, ქართულ-შუმერული ენობრივი პარალე- ლები. ქართველურ ენებში (ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში) დამკვიდრებული ზოგიერთი სიტყ- ვა, როგორც ფიქრობენ, უშუალოდ შუმერულიდან არის შესული და არა რომელიმე სხვა მკვდარი თუ ცოცხა- ლი ენის მეშვეობითაა შეთვისებული [ჯ. შარაშენიძე, 1983: 28-43]. ვარაუდობენ, რომ შუმერელი ვაჭრები ევფრატისა და ტიგროსის ხეობათა გზებით, აგრეთვე მთის ბილიკების თუ უღელტეხილების გადავლით, კვლავ მდინარეთა (მაგ; არაქსი, ჭოროხი, მტკვარი და სხვ.) ხეობების გაყოლებით შედიოდნენ სამხრეთ ამიერკავკა- სიაში, საიდანაც მიჰქონდათ უმთავრესად ღვინო [იქვე, 87]. ცხადია, იმავე გზების გამოყენებით მოხდებოდა ადრებრინჯაოს ხანაში ზემო მესოპოტამიაში (სუბართუში) სამხრეთ კავკასიელი, მათ შორის ქართველური ტომების, როგორც სავაჭრო-კულტურული კავშირების განხორციელება, ისე, დროდადრო, მარბიელი ლაშქ- რობების მოწყობა, რომელიც კიდევ უფრო სისტემატურ ხასიათს, სავარაუდოდ, შუამდინარეთში დიდი და მდიდარი იმპერიების წარმოქმნის შედეგად მიიღებდა.

ძვ.წ. III ათასწლ.-ის II ნახ.-ში წინა აზიაში ჩამოყალიბდნენ საკმაოდ ძლიერი აქადურ-შუმერული (ძვ.წ. XXIV-XXIII ს.ს.), ხოლო შემდეგ -- ურის III დინასტიის შუმერულ-აქადური (ძვ.წ. XXII-XXI ს.ს.) ყოვლისშემძლე იმპერი- ები, რომლებმაც თავიან-

თი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანეს თითქმის მთელი ,,ნაყოფიერი ნახევარმთვა- რის“ ტერიტორია სპარსეთის ყურედან ლევანტის ჩრდ. ნაწილის ჩათვლით, ვიდრე ტავრის ქედამდე, აგრეთ- ვე კ. კვიპროსი, ჩრდ. მესოპოტამია ანუ სუბართუ, რომლის ჩრდ.-დასავლეთ ნაწილში III ათასწლ.-ის II ნახ.-დან (ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიის თანახმად, კავკასიიდან გადასახლებული) ხურიტთა მრავალრიცხოვანი ტომები დამკვიდრდნენ, ელამის დაბლობი და მთა-გორიანი მხარეები. სემიტურ-შუმერული დიდი სახელმწიფოების გავლენა, ძლევამოსილი მეფეების ლაშქრობების შედეგად, ზოგჯერ, ვრცელდებოდა ტავ- რის ჩრდილოეთით მდებარე მცირე აზიის ცენტრალურ რაიონებში, ნაწილობრივ ზაგროსის მთიანეთზე (ირანის ზეგანი) და აღწევდა ურმიის ტბამდე. აქადისა და ურის III დინასტიის იმპერიების არსებობას, სიმ- დიდრესა და სიძლიერეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. შუამდინარეთის ექსპორტის საგანს, ძირითადად, წარმოადგენდა მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის (უმთავრესად, მეთუნეობის) პროდუქცია, ხოლო საიმპორტო საქონელს შეადგენდა ის სტრატე- გიული მნიშვნელობის ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობები, რომლებიც ,,ნაყოფიერი ნახევარ- მთვარის” გეოსივრცეში, გასაგები მიზეზების გამო, არ მოიპოვებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭე- ბოდა ლითონებით უმდიდრეს მცირე აზიასთან კავშირების დამყარებას, რომელზეც ნათლად მიუთითებს ანატოლიაში აქადელ (მოგვიანებით ასურელ) ვაჭართა ცნობილი ფაქტორიების (კოლონიების) არსებობა. აქე- დან გამომდინარე, ცხადია, შუამდინარეთის იმპერიები დიდ ყურადღებას დაუთმობდნენ სავაჭრო-საქარავ- ნო გზების, მათ შორის მცირე აზიისაკენ მიმავალი მაგისტრალების, კეთილმოწყობასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რომელსაც მუდმივად ჩრდილოეთის მხრიდან წამოსული საფრთხე ემუქრებოდა. [აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ჯ. შარაშენიძე, 1983: 66-67, 77-78, 87-89, 1999: 78-79,  გ. გიორგაძე, 1988: 12-15, 1999: 225, 230, ნ. ლომოური, 1988: 311].

აქადისა და ურის III დინასტიის ძლევამოსილი მეფეები გამუდმებით აწყობდნენ ლაშქრობებს ქვეყნის ოთხივე მიმართულებით, მათ შორის ევფრატისა და ტიგროსის სათავეებისაკენ. როგორც ჩანს, იმპერიების მიერ დაპყრობილი სუბართუს ხურიტი მოსახლეობა ხშირად მიმართავდა აჯანყებებს. გარდა ამისა, მათ მი- ერ, დროდადრო, ადგილი ექნებოდა შუამდინარეთსა და მცირე აზიას შორის დამაკავშირებელ სავაჭრო გზებზე მიმომავალ ქარავნებზე ყაჩაღური თავდასხმების მოწყობას, რომელიც პირდაპირ ურტყამდა იმპერი- ების სასიცოცხლო ინტერესებს. არ არის გამორიცხული, რომ ცალკეულ შემთხვევებში მაინც ხურიტების მხა- რეზე ებრძოლათ სამხრეთ ამიერკავკასიიდან მათ დასახმარებლად მისულ ქართველურ და სხვა წარმოშობის ტომებს, რომლებსაც ნადავლ-ალაფის ხელში ჩაგდების მიზნით დაუბრკოლებლად შეეძლოთ ევფრატისა და ტიგროსის სათავეებამდე ან კიდევ უფრო სამხრეთით შეღწევა. ცხადია, დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, კოლხეთისა და მტკვარ-არაქსის დაბლობებში, მცირე კავკასიონისა და სომხეთის მთიანეთის ხე- ობებსა თუ ქვაბულებში, ჭოროხის, აგრეთვე ზემო ევფრატის (დას. ევფრატი (ყარა-სუ) და აღმ. ევფრატი (მუ-

რად-სუ) აუზებში მოსახლე ქართველური და სხვა მრავალრიცხოვანი ეთნიკურ-კულტურული წარმოშობის ტომები წინა აზიაში მიმდინარე მთელი რიგი პროცესებისაგან ჩინეთის დიდი კედლით ვერ იქნებოდნენ გა- მოყოფილნი. არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ქართველურ ტომებს წი- ნა აზიის ხალხებთან, მათ შორის სუბართუში მცხოვრებ ხურიტებთან, იმთავითვე უნდა ჰქონოდათ მჭიდრო და მრავალმხრივი ურთიერთობები [გ. მელიქიშვილი, 1970: 225, 342, 364]. ამავე დროს გასათვალისწინებე- ლია, რომ ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ქართველური ტომების გვერდით, როგორც ფიქრობენ, უნდა ეცხოვრათ, აგრეთვე, ხურიტთა ცალკეულ ეთნო-კულტურულ ჯგუფს, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად განამტკიცებდა ქართველური და მათი სხვა მეზობელი ტომების კავშირურთი-ერთობებს ჩრდ. შუამდინარეთის (სუბართუს) ხურიტულ მოსახლეობასთან [იქვე, 358, 364]. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ რაიონებში, მცხოვრები ქართველური, ხურიტული და სხვა წარმოშობის ტომები, ალბათ, მოკავშირეების სახით, ნადავლალაფის შოვნის მიზნით, აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ აქადისა და ურის III დინასტიის ძლიერი მეფეების მიერ დაპყრობილი ჩრდ. შუამდინარელი ხურიტების (სუბარელების) აჯანყებებში და მათთან ერთად (ან კიდევ დამოუკიდებლად) თავს დაესხმოდნენ არა მხოლოდ მცირე აზიისაკენ და პირიქით მიმომავალ სავაჭრო ქა- რავნებს, არამედ იმპერიების შედარებით მომცრო სიდიდის დასახლებულ პუნქტებსაც. სწორედ ამას უნდა ადასტურებდეს შუამდინარეთის დიდი სახელმწიფოების მეფე-დესპოტების მიერ არაერთგზის მოწყობილი საპასუხო ლაშქრობები სუბართუს ჩრდილოეთში, განსაკუთრებით ევფრატისა და ტიგროსის სათავეების მი- დამოებში, საიდანაც სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველურ და სხვა გაერთიანებებს თავისუფლად შეეძ- ლოთ აღნიშნულ მდინარეთა ხეობების გამოყენებით იმპერიის საზღვრებში შეჭრა და მარბიელი თავდასხმე- ბის განხორციელება.

საინტერესოა, რომ საქართველოში, კერძოდ, საჩხერეში (ცარცის გორაზე), არქეოლოგიური გათხრების შე- დეგად, სხვათა შორის, აღმოჩნდა ოთხკუთხედი ფორმის ხიშტის მსგავსი ბრინჯაოს იარაღები (ალბათ, ნა- დავლი? - ვ. შ.), რომლებზეც გრავირებული სახელები გვამცნობს, რომ ერთი მათგანი ეკუთვნოდა აქადის მე- ფე მანიშთუშუს (ძვ.წ. XXIV-XXIII ს.ს. მიჯნა), ხოლო მეორე --- სპარსეთის ყურესთან მდებარე ელამის მეფე ფუ- ზურ-ინშუშინაკს (ძვ.წ. XXII ს.ს. [ჯ. ნადირაძე, 1989: 56].

აქადის ძლევამოსილმა მეფე ნარამსუენმა (ძვ.წ. 2290-2254), როგორც ცნობილია, პირველმა მოაწყო ყველა- ზე შორს სუბართუს ჩრდილოეთში, ევფრატის სათავეებთან, სამხედრო-სადამსჯელო ექსპედიცია, რასაც ადასტურებს თანამედრ. დიარბექირის (თურქეთი) ახლოს ნაპოვნი გამარჯვების აღმნიშვნელი სტელა ნარამ- სუენის გამოსახულებითა და ფრაგმენტული წარწერით [ჯ. შარაშენიძე, 1983: 70]. საგულისხმოა, რომ ნარამ- სუენის უკვდავსაყოფად აღმართული სტელა აღმოჩენილია დიარბექირის ჩრდ.-აღმოსავლეთით [В.И. Авдиев, 1948: 62], ე.ი. ამიერკავკასიის მიმართულებით, საიდანაც უნდა მომხდარიყო მტრის შემოსევა. ძლევამოსილი ნარამსუენი, რომელმაც თავისი იმპერია მაქსიმალური

ძლიერების მწვერვალზე აიყვანა და შუამდინარეთის მეფეთა შორის პირველმა გამოაცხადა საკუთარი თავი ,,აქადის ღმერთად“ და ,,ქვეყნის ოთხივე მხარის მეფედ“ [ჯ. შარაშენიძე, 1983: 70], იძულებული გახდა, ლაშქრობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პირადად ჩადგომოდა სათავეში შორეულ და სახიფათო სამხედრო ექსპედიციას, რომლის მოწყობის აუცილებლობა, დიდი ალბათობით, მანამდეც იქნებოდა საჭირო. ,,ღვთაება ნარამსუენი“ ძალების მაქსიმალური დაძაბვით ამარცხებს, როგორც ადგილობრივ აჯანყებულ ხურიტულ მოსახლეობას, ისე, სავარაუდოთ, სამხრეთ ამიერ- კავკასიიდან მათ დასახმარებლად და ნადავლ-ალაფის საშოვრად მისულ ტომებს, რომლებიც აქადის მეფემ, როგორც ჩანს, უკან, იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრებს მიღმა განდევნა. საინტერესოა, რომ ათასზე მეტი წლის შემდეგ ასურეთის სახელოვანი მეფე ტიგლათფილესერ I (ძვ. წ. 1115-1077) სწორედ დიარბექირის რაიო- ნიდან იწყებს თავის ცნობილ ლაშქრობას შავი ზღვის მიმართულებით, რაც ამ ადგილებში დასრულებული ნარამსუენის ძლევამოსილი ლაშქრობის ერთგვარ ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება განვიხილოთ და, როგორც თავის ადგილზე ვნახავთ, ასურელ მეფეთა შორის პირველად და უკანასკნელად აღწევს შავი ზღვის სა- ნაპიროებს.

შუამდინარეთის მმართველი წრეები კარგად ხედავდნენ იმ რეალურ საფრთხეს, რომ იმპერიის ცენტრა- ლური რაიონებიდან, კერძოდ, სამხრ. მესოპოტამიიდან, ლითონით მდიდარ მცირე აზიისაკენ მიმომავალ სა- ვაჭრო ქარავნებზე ჩრდილოეთის მხრიდან გახშირებული მძარცველური თავდასხმები მოშლიდა ან შეაფერ- ხებდა იმპერიის განვითარებისათვის მეტად აუცილებელ ეკონომიკურ კავშირებს. ამ მხრივ, საყურადღებოა, ურის III დინასტიის უძლიერესი მეფე-დესპოტი შულგისა (ძვ.წ. 2112-2065) და სუბართუს რომელიღაც უცნო- ბი ნაწილის ერთ-ერთი თანამდებობის პირის მიწერ-მოწერა, სადაც ,,ქვეყნის ოთხივე მხარის მეფე“ ავალებს იქ მყოფ თავის დიდმოხელეს შეინარჩუნოს სუბართუში გზები კარგ მდგომარეობაში და გააძლიეროს ქვეყ- ნის საზღვრები [,,Шульги“--Википедия]. ამ უკანასკნელში, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს სუბართუს ჩრდილოეთში, ამიერკავკასიასთან ახლოს მდებარე რომელიღაც სასაზღვრო მონაკვეთის გამაგრება, რადგან სუბართუს ჩრდ.-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომები, კერძოდ, კუთიები/გუთიები, რომლებიც შუამდინა- რეთში ას წელზე მეტი ხნის მანძილზე (ძვ.წ. 2250-2140) ბატონობდნენ, შულგის გამეფებამდე ცოტა ხნით ად- რე, შუამდინარეთში სასტიკად იქნენ დამარცხებული და უკან ზაგროსის მთიანეთში განდევნილი, ხოლო აქ მცხოვრებ სხვა მთიელ ტომებს (კერძოდ, სუმურებსა და ლულუბეელებს) თავად შულგიმ, არაერთი ლაშქრო- ბის შედეგად, როგორც აღნიშნავენ, დიდი ხნით დაუკარგა შუამდინარეთზე თავდასხმის სურვილი [ჯ. შარა- შენიძე, 1983: 73-74, 77-78, 1999: 80]. ამიტომ ზაგროსის მთიანეთში მობინადრე სხვადასხვა ტომი, რომელთა წინააღმდეგ ურის III დინასტიის მეფეები გამუდმებით აწყობდნენ ლაშქრობებს, ი. დიაკონოვის აზრით, შუმერულ -აქადური იმპერიისათვის საფრთხეს უკვე აღარ წარმოადგენდნენ [I, 2012: 132-133]. ასევე ნაკლებ სა- ფიქრებელია, რომ შულგის წერილის ადრესატი სუბართუს (ჩრდ. მესოპოტამიის) რომელიმე სამხრეთ ან და- სავლეთ ოლქის მოხელე ყოფილიყო, რადგან ,,შუმერისა და აქადის მე-

ფე“ თავის ქვეშევრდომს მითითებას აძლევს, გაამაგროს ქვეყნის საზღვრები, რაც ამ უკანასკნელის განაპირა მდებარეობაზე უნდა მიუთითებდეს და, ამავე დროს, ავალებს გაიგოს, გამოიკითხოს ანუ შეისწავლოს სუბართუს მისადმი რწმუნებულ მხარეში გამავალი გზები, რომლებიც მეფისათვის უცხო და უცნობი შორეულ ჩრდილოეთშია საგულისხმებელი, ვიდრე იმპერიის ცენტრალურ ნაწილთან ახლოს მდებარე, შედარებით კარგად ნაცნობ, სუბართუს სამხრეთ ან თუნდაც ყველასათვის ცნობილ სავაჭრო მაგისტრალებით დასერილ დასავლეთ რაიონებში. იმპერიის მბრძანებელს, აგრეთვე, აფიქრებდა აღნიშნული მოხელის შესაძლო კავშირი სუბართუს იმავე თუ მეზობელ ოლქში მცხოვრები ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ძლიერი ტომის (ხურიტების ? - ვ.შ) ბელადთან, რომელიც არ აღიარებდა ღვთაებრივი შულგის ავტორიტეტს [„Шульги“-- Википедия]. ამიტომ დაუმორჩილებელი ტომის ეს ბელადი, რომლის ვინაობაც უცნობია, თავის მრავალრიცხოვან (ჩანს, ათიათასობით) მომხრესთან ერთად, შულგის მხრიდან გახშირებული თავდასხმებისა და რბევა-აოხრების ობიექტად გადაქცეული ზაგროსის მთისწინეთსა თუ მთიანეთში მობინადრედ ძნელი წარმოსადგენია და ამდენად მისი არსებობა, სავარაუდოთ, სუბართუს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, სამხრეთ ამიერკავკასიასთან ახლოს მდებარე რომელი- ღაც რაიონშია შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, წინასწარ დაგეგმილი და მომზადებული იქნებოდა სუ- ბართუსა და ტიგროსის სათავეებში მდებარე სხვა ოლქებში მეფობის ბოლო პერიოდში მოწყობილი მსოფ- ლიოს მბრძანებელი („ქიშის მეფე”) შულგის ლაშქრობა, რომელიც ამ უკანასკნელის სრული გამარჯვებით დასრულდა. როგორც ჩანს, მოცემულ ვითარებაში, შულგისათვის სუბართუს ჩრდილოეთში გალაშქრება პრიორიტეტულია, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ მიემართება იგი ჩრდ.-დასავლეთის მიმართულებით, სი- რიისაკენ, საიდანაც იმავე საუკუნის მიწურულს შემოჭრილმა სემიტმა ამორეველებმა (ელამელებთან ერ- თად) საბოლოოდ გაანადგურეს ურის III დინასტიის უკვე დასუსტებული შუმერულ-აქადური იმპერია [ჯ. შარაშენიძე, 1983: 78, 79].

მართალია, ძველბაბილონურ პერიოდში, კერძოდ, მეფე ხამურაბის (ძვ. წ. 1792-1750) დროს კვლავ გაერ- თიანდა „ნაყოფიერი ნახევარმთვარის” უდიდესი ნაწილი, მაგრამ ახლადწარმოქმნილი იმპერიის ჩრდილო- ეთ საზღვრები ისე შორს აღარ იყო გადაჭიმული, როგორც აქადისა და ურის III დინასტიის მმართველობის ხანაში. ამიტომ, თუ ნარამსუენი და შულგი აწყობდნენ ძლევამოსილ ლაშქრობებს ევფრატისა და ტიგროსის სათავეებთან მდებარე მხარეებში, ხამურაბის დაპყრობითი სამხედრო ექსპედიციები, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, არ გასცილებია ევფრატის შუა წელს, კერძოდ, სირიის უკიდურეს სამხრ.-აღ- მოსავლეთ ნაწილს, რომელიც მოიცავდა ქ. მარის რაიონს და ტიგროსის ზემო დინებაზე მდებარე ასურეთის მეორე დედაქალაქ ნინევიას [ჯ. შარაშენიძე, 1999: 95-96]. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ძვე- ლი ბაბილონის იმპერიის ნებისმიერი სამეცნიერო ისტორიული რუქა [მაგ; Карта-Вавилонское царство при Хаммурапи]. ვინაიდან, ბაბილონის ხელისუფლება არ ვრცელდებოდა სუბართუს ჩრდილო-დასავლეთ ნა- წილში მცხოვრებ ხურიტებზე, ცხადია, ადგილი არ ექნებოდა იმპერიის

წინააღმდეგ მათ აჯანყებებს, პირი- ქით, ხურიტების ცნობილი განსახლება დასავ- ლეთით სირიაში, სამხრეთით ბაბილონში და სხვა მიმართუ- ლებებით, თავდაპირ- ველად, როგორც მიუთითებენ, მშვიდო- ბიან ხასიათს ატარებდა [გ. გიორგაძე, 1999: 232]. შესაბამისად, შეწყდებოდა სამ- ხრეთ ამიერკავკასიიდან მათ დასახმარებ- ლად წამოსული სამხედრო რაზმების მარ- ბიელი ნაკადი, რომელიც ადრე, აქადისა და ურის III დინასტიის იმპერიების დროს, ამ უკანასკნელთა მიერ დამორჩი- ლებული სუბართუს ხურიტულ მოსახ- ლეობასთან კავშირში გამოდიოდა. რა თქმა უნდა, შუ- ამდინარეთიდან მცირე აზიასთან დამაკავშირებელ სავაჭრო-საქა- რავნო გზებზე, ჩვეულებრივ, სრული სიმშ- ვიდე მაინც ვერ დაისადგურებდა, მაგრამ ძარცვის მიზნით ცალკეული თავ- დასხმების მოგერიებას ძველი ბა- ბილო- ნის ძლიერი იმპერია, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე, ადვილად მოახერ- ხებდა. გავიხსენოთ, რომ ნარამსუენი და შულგი, შექმნილ რთულ ვითარებებში, თავად მეთაურობდნენ ევფრატისა და ტიგრო- სის სათავეებისაკენ დაძრულ ჯა- რებს, ხოლო ხამურაბის უშუალო მთავარ- სარდლობით ასეთ შორეულ მან- ძილზე ჩატარებული ლაშქრობა, როგორც აღვნიშ- ნეთ, არ არის ცნობილი. თუმცა, მის მიერ შუამდინარეთი- დან მცირე აზიისაკენ მი- მომავალი სავაჭრო ქარავნების დაცვა, იმ- პერიის სასიცოცხლო ეკონომიკური ინტე- რესებიდან გამომდინარე, ყოველთვის სა- იმედოდ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

დაახლ. ძვ.წ. XVII ს. შუა ხანებში მცირე აზიის (ანატოლიის) ცენტრალურ რაიონებში (მდ. ყიზილ-ირმა- კის (ანტიკ. ჰალისი) აუზის მიდამოებში) ჩამოყალიბ- და ხათის ძლიერი სახელმწიფო (დაახლ. 1650-1200), რომელმაც მალევე ,,ზღვიდან ზღვამდე" (ე.ი. ხმელთაშუადან შავ ზღვამ- დე) გააფართოვა სამეფოს საზღვრები და თანდათანობით, მეზობელი ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილების გზით, თით- ქმის მთელ მცირე აზიას დაეუფლა. ხათის სამეფო თავიდანვე აქტიურად ჩაება წინა აზიაში ჰეგემონობისათვის გამართულ მრავალ- საუკუნოვან ბრძოლაში. მაგრამ ,,ნაყოფიერი ნახევარმთვარის" მიმართუ- ლებით ხეთების ექსპანსიას (მათ და- ახლ. 1595 წ. აიღეს და მიწასთან გაასწორეს ქ. ბა- ბილონი) წინ აღუდგნენ მრავალრიცხოვანი ხურიტი ტომები, რომელთა კონსოლიდა- ციის შედეგად ჩრდ.-დასავლეთ შუამდინა- რეთში, დაახლ. ძვ.წ. XVI ს. შუა წლებში, წარმოიშვა ხური-მითანის სამეფო. ამ უკა- ნასკნელის ტერიტორია, მაქსიმალური ძლიერების პერიოდში, ჩრდ. მესოპოტამი- ის გარდა, მოიცავდა მცირე აზიის სამხრ.- აღმოსავლეთ ოლქებს, ნაწილობრივ სირია- პა- ლესტინას, ზაგროსის მთიანეთის ცალ- კეულ რაიონებს და, როგორც ვარაუდობენ, სამხრეთ ამიერკავკასიის, მათ შორის ის- ტორიული ქვემო ქართლის, მნიშვნელოვან ნაწილს [გ. გიორგაძე, 1999: 233-237, 265- 269, გ. მე- ლიქიშვილი, 1970: 358-359, 364].

აღსანიშნავია, რომ ხური-მითანის სამეფო იყო პირველი ძველაღმოსავლური სახელმწიფო, რომელმაც ის- ტორიული სამხრეთ საქართველოს მთელი რიგი ოლ- ქები უშუალოდ შეიერთა ან მათზე კონ- ტროლი დაამყა- რა. ამ დროს აღმ. საქარ- თველოს სამხრეთ რაიონებსა და მეზობელ მხარეებში დასასრულს უახლოვდებოდა ძვ.წ. II ათასწლ.-ის I ნახ.-ში კავკასიაში ყვე- ლაზე მეტად განვითარებული შუა ბრინ- ჯაოს ხანის თრიალეთის ,,დიდი ყორღანე- ბის ბრწყინვალე კულტურა," რომლის გავ- რცელების არეალში არქეოლოგების მიერ

მრავლა- დაა აღმოჩენილი მითანური ძეგ- ლები [იქვე, 1970: 358, ო. ჯაფარიძე, 1991: 191]. ისტორიოგრაფიაში გამოთქ- მული მოსაზრების მიხედვით, „მითანის შემად- გენლობაში რომ მოქცეული უნდა ყოფი- ლიყო ამიერკავკასია- ში, ყოველ შემთხვე- ვაში მის სამხრეთ რაიონებში მაინც, მცხოვრები მოსახლეობა, ხშირად ასკვნიან ერთი ეგ- ვიპტური წყაროს ჩვენების სა- ფუძველზეც, სადაც ლაპარაკია ეტლების გასაკეთებლად ხე-ტყის შემოტანაზე ნახა- რინიდან (ასე ეძახდნენ ეგვიპტელები მი- თანის სამეფოს) და დასახელებულია ხის ისეთი ჯიშები, რომ- ლებიც ტრაპეზუნ- ტსა და არარატის მთის სამხრეთით საერ- თოდ არ იზრდება." [გ. მელიქიშვილი, 1970: 358]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხუ- რი-მითანის სამეფოს საკუთარი საბრძო- ლო ეტლების დასამზადებლად სამხრ. ამიერკავკასიიდან გაჰქონდა ძვირფასი ჯიშის ხე-ტყე, რომელსაც, აგრეთვე, რო- გორც ჩანს, საექსპორტოდ თა- ვის მოკავ- შირე ეგვიპტეში გასაგზავნადაც იყენებდა (ცნობილია, რომ ხეთების ბრძოლამ ჩრდ. სირიისათვის ხური-მითანისა და ეგვიპ- ტის დაახლოება გამოიწვია). ხურიტული ენის მონაცემების საფუძველზე მითანის სამეფოს დაქვემდებარებაში განიხილავენ, აგრეთვე, ისტორიული საქართველოს სამხრ.-დასავლეთ რაიო- ნებს [იქვე, 364], კერძოდ, დას. ევფრატის (ყარა-სუს) სათა- ვეებისა და არზრუმის სანახების მიწა- წყალს, სადაც შემდეგში ძლიერი ქართუ- ლი ადრესახელმწიფოებრივი გაერთიანე- ბა დაიაენი/დიაოხი ჩამოყალიბდა.

წინა აზიის პოლიტიკურ ავანსცე- ნაზე გამოსული ხური-მითანის სამეფო, ერთი მხრივ, სამკვდრო-სასი- ცოცხლოდ დაუპირისპირდა თავის ტრადიციულ მე- ტოქეს -- ხათის სახელმწიფოს (რომელსაც ჯერ კიდევ ძვ. წ. XVII ს.-ის II ნახ.-ში ებ- რძოდნენ ხურიტები), ხოლო, მეორე მხრივ, ძალისხმევას არ იშურებდა მორჩილება- ში ჰყოლოდა დაპყრობილი ასურეთი, რომე- ლიც, ჩანს, გამუდმებით აწყობდა აჯანყე- ბებს. [ნ. ლომოური, 1988 : 312, 313, გ. გი- ორგაძე, 1999: 234, 235, 236]. დასავლეთის (ხათი) და სამხრ.-აღმოსავლეთის (ასურე- თი) მიმარ- თულებებით აქტიური ექსპან- სიონისტური პოლიტიკის გასატარებლად, ხური-მითანის სამეფოს გეოპოლი- ტიკუ- რად ესაჭიროებოდა ჩრდილოეთის მხრი- დან საზღვრებისა და ზურგის უსაფრთხო- ება, რომლის მიღ- წევა მან მხოლოდ სამხრ. ამიერკავკასიაზე კონტროლის დამ- ყარების გზით შეძლო. უფრო მეტიც, თრია- ლე- თის კულტურის მატარებელი ქართვე- ლური და სხვა ტომები, როგორც ფიქრო- ბენ, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხე- თებისა და ასურელების წინააღმდეგ და- გეგმილ ხური-მითანის ლაშქრობებში. [გ. მელიქიშვი- ლი, 1970: 358-359]. სამეცნიე- რო ლიტერატურაში გამოთქმული ეს შეხე- დულება ერთგვარად ეხმიანება ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას ჯერ კი- დევ აქადისა და ურის III დინასტიის იმპე- რიებთან ხურიტები- სა და ქართველური ტომების ერთობლივ ბრძოლაზე, რომე- ლიც, ტრადიციის ძალით, როგორც ჩანს, მოცე- მულ ეპოქაშიც, ამჯერად უკვე ხათი- სა და ასურეთის წინააღმდეგ, გრძელდებო- და. საინტერესოა, რომ ძვ.წ. XIV ს.-ის 70- იან წლებში ხეთების სახელგანთქმული მე- ფე სუფილულიუმა (დაახლ. ძვ.წ. 1380-1340) იყო პირ- ველი, რომელმაც საკუთ- რივ ხური - მითანის ტერიტორიაზე შეჭრა მოახერხა. თავდაპირველად, მისი ლაშქ- რობა სირიის (დასავლეთის) მხრიდან წა- რუმატებელი გამოდგა და მხოლოდ ჩრდი- ლოეთიდან გარშემოვ- ლით გახდა შესაძ-

ლებელი ხური-მითანის დედაქალაქ ვაშუქანის (ამჟამად მისი ზუსტი ადგილმდებარეობა დადგენილი არ არის) აღება [გ. გიორგაძე, 1988: 66-67]. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში თრიალეთის ,,დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა" უკვე აღარ არსებობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩრდილოეთის მხრი- დან ხური-მითანის თავდაცვისუნარიანობა, რომელშიც, თავის დროზე, გარკვეულ როლს, ალბათ, თრიალე- თის კულტურის არეალში მცხოვრები ძლიერი ტომებიც (ტომთა კავშირი) ასრულებდნენ, საბოლოოდ მოშლილი იყო. ხეთების ზემოთ აღნიშნული საბედისწერო ლაშქრობის შედეგად ხური-მითანის სამეფოს საერ- თაშორისო ავტორიტეტი მკვეთრად დაეცა და იგი წინა აზიის მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცა.

ხათის სამეფოს პოლიტიკურ მისწრაფებას, მოეპოვებინა ახლო აღმოსავლეთში გაბატონებული მდგომა-რეობა, გარკვეულწილად, ხელს უშლიდნენ, აგრეთვე, მცირე აზიის ჩრდ.-აღმოსავლეთ ოლქებში, მათ შორის ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მცხოვრები ქასქების/ქაშქების მრავალრიცხოვანი მთიელი ტომები, რომლებიც თავიდანვე მოექცნენ ხეთი მეფეების გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში (მიაჩნიათ, რომ სახელი ,,ქასქი" წარმოადგენს ცალკეული მეგრულ-ჭანური, აფხაზურ-ადიღეური, ვეინახუ- რი (ზაცბურ-ქისტური) მოსახლეობის ზოგად, კრებით სახელწოდებას). მთელი თავისი არსებობის მანძილზე ხეთების სამეფოს ქასქებთან, ძირითადად, მტრული და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მაგრამ ხათის ვერცერთმა ძლიერმა მეფემ, მიუხედავათ ცალკეული დროებითი გამარჯვებისა, ვერ შეძლო ქასქების საბო- ლოოდ მორჩილებაში მოყვანა. ქასქების მეომარი ტომები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ, არბევდნენ და ძარცვავდნენ ხეთების მოსაზღვრე მიწა-წყალს. მათ რამდენჯერმე დედაქალაქი ხათუსაც კი აიღეს [აღნიშ- ნულთან დაკავშირებით იხ. გ. მელიქიშვილი, 1970: 359-360, გ. გიორგაძე, 1988: 43, 47, 72, 83-84, 1999: 276-277]. თავისუფლებისმოყვარე ქასქებს, როგორც აღვნიშნეთ, შეეძლოთ არამარტო შეეფერხებინათ ხეთების ბრძოლა წინა აზიაში პირველობისათვის, არამედ საფრთხე შეექმნათ თავად ხათის სამეფოსათვის. ეს კარ- გად გამოჩნდა ხეთების ეგვიპტესთან პირველი ომის სამზადისში, როდესაც ხათის მეფემ ეგვიპტესთან მოსალოდნელი სამხედრო კონფლიქტის წინ, თავდაპირველად, ზურგის გამაგრების მიზნით, კვლავ მორჩილე- ბაში მოიყვანა მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში მდებარე არცავას ქვეყნები, ხოლო ქასქების მიერ ხათუსას შესაძლო აღების გამო სამეფოს დედაქალაქი, სახელმწიფოს უსაფრთხოებიდან გამომდინარე, დროებით, ღმერთების პანთეონთან ერთად, სამხრეთით შორს, დათასაში (თანამედრ. ქ. ყარამანთან) გადაიტანა. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, მეფის რეზიდენციის შეცვლა სხვა სტრატეგიული მოსაზრებითაც იყო ნაკარნახევი, კერძოდ, ლაშქრის თავშეყრისათვის ხელსაყრელი ადგილის შერჩევისა და მომავალი საომარი მოქმედებების რაიონთან ტერიტორიული სიახლოვის გამო [გ. გიორგაძე, 1988: 73, 74-75]. საყურადღებოა, რომ ეგვიპტეს- თან ომის განმავლობაში, თუ, ერთი მხრივ, ქასქების ნაწილი თავს ესხმოდა ხათის ჩრდილოეთ რაიონებს და მათ აოხრებდა, მეორე მხრივ, ქადეშის (სირია) ცნობილ ბრძოლაში (ძვ.წ. 312, 1286/5 ან 1274 წწ.), ხეთების მრავალრიცხოვან ლაშქარში

ქასქების მეომარი რაზმებიც, ალბათ, როგორც დაქირავებულები, იხსენიებიან [იქვე, 74]. ეგვიპტესთან საომრად დაძრული ხეთები, სხვათა შორის, ქასქების წაყვანით, სავარაუდოთ, მათი ძალების გაყოფას (ამავე დროს, ზურგში დარჩენილებთან განხეთქილების ჩამოგდებას) და ამით ამ მეომარი ტომების შემტევი პოტენციალის დასუსტებას იმედოვნებდნენ. დაახ. ძვ. წ. 1200 წ. ხათის სახელმწიფო და- სავლეთიდან შემოჭრილმა ე.წ. ,,ზღვის ხალხებმა" (როგორც მათ ეგვიპტური წყაროები უწოდებენ) აღგავეს მიწის პირისაგან [იქვე, 82-83], რითაც მცირე აზიის ახალ პოლიტიკურ და ეთნიკურ რუქას ჩაუყარეს საფუძ- ველი. აღსანიშნავია, რომ ხეთების სამეფოს განადგურებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქასქები და სამხრეთისაკენ ამოძრავებული მუშქების (ანტიკ. ,,მოსხები"/,,მესხები") ქართველური მრავალრიცხოვანი ტომები [იქვე, 83-84, გ. მელიქიშვილი, 1970: 362, 363].

ამრიგად, კავკასიის რეგიონი, გეოგრაფიული თვალსაზრისით, წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის ჩრდილო- ეთ პერიფერიას, რომლის მოსახლეობას, მათ შორის ქართველ ტომებს, უძველესი დროიდან ჰქონდათ მეტ-ნაკ- ლებად მნიშვნელოვანი კონტაქტები წინა აზიის ხალხებთან. აღნიშნული კავშირები კიდევ უფრო ინტენსიური და მრავალმხრივი ხდება, როდესაც კავკასიის სამხრეთით ძველაღმოსავლური მდიდარი და ძლიერი იმპერიები ჩამოყალიბდნენ. ქართველი და მათი მეზობელი ტომები იმთავითვე მოექცნენ დიდი სახელმწიფოების გეოპო- ლიტიკურ ორბიტაში. აქადისა და ურის III დინასტიის იმპერიების ძალისხმევა, გარკვეულწილად, მიმართული იყო ზემო შუამდინარეთში მცხოვრები დაპყრობილი ხურიტებისა და, სავარაუდოთ, მათი მოკავშირე ქართველი და სხვა ტომების ერთობლივი თუ ცალკეული თავდასხმების წინააღმდეგ, რომელზეც ნათლად უნდა მიანიშნებ- დეს ამ იმპერიათა ძლევამოსილ მეფეთა საპასუხო ლაშქრობები ჩრდილოეთში, განსაკუთრებით, ევფრატისა და ტიგროსის სათავეებთან. მათგან განსხვავებით, ხური-მითანის სამეფო იყო პირველი ძველაღმოსავლური სახელ- მწიფო, რომელმაც ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილი, პირველ რიგში, ჩრდილოეთის მხრიდან უსაფრთხოების გა- მო, თავის საზღვრებში (თუ გავლენის სფეროში) მოაქცია, ხოლო ხეთების სამეფოს, ასევე გეოპოლიტიკური მო- საზრებით, გააჩნდა მრავალსაუკუნოვანი, უმთავრესად, მტრული ურთიერთობა კავკასიელ ტომებთან, რომლე- ბიც იმ ეპოქაში, ნაწილობრივ, ისტორიული საქართველოს სამხრ.-დასავლეთ მხარეში ცხოვრობდნენ. იმპერიების აღნიშნული ინტერესები, ძირითადად, საქართველოს (ამიერკავკასიის) გეოპოლიტიკური მდებარეობით იყო ნა- კარნახევი.

**გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:**


1. გიორგაძე გ., ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ. 1988
2. გიორგაძე გ., ხური-მითანის სამეფო, ხეთების სამეფო, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ნაკვ. I, თბ. 1999
3. კალანდაძე ა., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970
4. ლომოური ნ., ასურეთის სამეფო, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1988
5. მელიქიშვილი გ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970
6. ნადირაძე ჯ., მზით განათებული ათასწლეულები, თბ. 1989
7. შარაშენიძე ჯ., შუმერები და მათი კულტურა, თბ. 1983
8. შარაშენიძე ჯ., ძველი შუამდინარეთი, ძვე-

ლი ბაბილონი, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ნაკვ. I, თბ. 1999
9. ჩუბინიშვილი ტ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970
10. ხახუტაიშვილი დ., ირანი, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1988
11. ხვედელიძე მ., ძველი ეგვიპტე, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ნაკვ. I, თბ. 1999
12. ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1991
13. Авдиев В.И., История Древнего Востока, Ленинград, 1948
14. Дьяконов И.М., история мидии I, Баку, 2012
15. Карта- Вавилонское царство при Хаммурапи - www.pretich2005.narod.ru/histoty/.../babylon02.htm
16. „Плодородный полумесяц" – https://ru.wikipedia.org/wiki
17. „Шульги" – Википедия - https://ru.wikipedia.org/wiki/Шульги

**Georgian (Caucasian ) Ancient New Eastern Geopolitics**

**Vakhtang Sharadenidze Public school #40**

**Resume**

Caucasian Region, with its geopolitical outlook, represents New Eastern North region, which population, including Georgian tribes, since ancient times quite important contacts with Front Asian people. The upper mentioned bounders became more intensive and varied, when on the powerful and reach Empire establi- shed on the Southern part of Caucasus. Georgian and their neighboring tribes at once became trapped by big states geopolitics. The attempt of Acadics and Uris III dynasty Empires was directed towards upper medieval conquered Hurites and probably, towards their confederate Georgian and other tribes in effort to get rid of their attacks. This is clearly seen in the powerful Emperors (battles) to the North, especially, on the Euphrates and Tigros rivers . Despite them the kingdom of Khurimimite, was the first ancient Asian state, which subordinate the Southern part of Caucasus to protect its Northern part. The kingdom of Hittite, also according its geopolitical ideas, had long lasting, mainly hostile boundaries with Caucasian tribes, which partly lived in the South-Western part of historical Georgia. The interests of Empires was mainly conditioned by its geopolitical location.

# ელინისტური ლიტერატურის ზოგიერთი საკითხისათვის

ვერა წერეთელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ელინისტური სამყარო და კულტურა არსობრივად განსხვავდებოდა ელინურისაგან. ალექსანდეს დაპყრობებმა და მისმა მსოფლიო იმპერიამ ბერძნულ კულტურას გზა გაუხსნა თითქმის მთელი მაშინდელი მსოფლიოსკენ. ელინისტური ლიტერატურა ანტიკურ სამყაროში კონკურენციას უწევს ბერძნულ ლიტერატურას. იგი არსებითად ზღვარს უდებს ბერ-*

*ძნული ლიტერატურის მონოპოლიურ მდგომარეობას. ელინისტური სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით. ეს შეჯიბრი ელინისტურ სახელმწიფოთა მმართველებს შორის არ მხოლოდ სამხედრო ასპარეზზე, არამედ კულტურულ სფეროში გამოიხატა.*

ელინისტური სამყარო და კულტურა არსობრივად განსხვავდებოდა ელინურისაგან. ალექსანდეს დაპყრობებმა და მისმა მსოფლიო იმპერიამ ბერძნულ კულტურას გზა გაუხსნა თითქმის მთელი მაშინდელი მსოფლიოსაკენ. „ელინისტურობის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან პოლისის ვიწრო საზღვრები საბოლოოდ გადალახა და ბერძნულ სამყაროს გზა გაუხსნა ახალი სამოსახლეო და კულტურული გაფართოებისაკენ მთელს მსოფლიოში" (ლესკი 1958: 782). ელინსტური კულტურა სწორედ ელინურისა და აგდილობრივის შერწყმის შედეგად ჩოყალიბდა და სინკრეტიზმი და ეკლექტურობა ელინური კულტურის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.

ელინისტური სამყაროს კულტურული ცენტრის ფუნქცია ალექსანდრეს მიერ ძვ. წ. ა. 331 წელს დაარსებულმა და შემდგომში პტოლემაიდური ეგვიპტის დედაქალაქად ქცეულმა ალექსანდრიამ იტვირთა. ეს იყო ადგილი, სადაც თავს იყრიდნენ მეცნიერები, სწავლულები, ფილოსოფოსები, ხელოვანები და ლიტერატორები. პტოლემაიდები ცდილობდნენ, სწორედ ალექსანდრია ყოფილიყო ელინისტური სამყაროს კულტურული და სამეცნიერო დედაქალაქი. ამ მიზნით დაარსდა ალექსანდრიის გრანდიოზული ბიბლიოთეკა და მუსეიონი. ელინისტური ხანის ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურის უდიდესი ნაწილი სწორედ ალექსანდრიას უკავშირდება.

ელინისტური ლიტერატურა უკვე იქმნება წერილობითი ფორმით და იგი მკითხველისათვის არის განკუთვნილი. ელინურისაგან განსხვავებით, ელინისტურ ლიტერატურაში არ შეინიშნება პოლიტიკური თემატიკა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ელინისტურ სამყაროში პრიორიტეტი მონარქიულ ერთმმართველობას ენიჭება, შესაბამისად მთელი პოლიტიკური ძალაუფლება სამეფო კარზე მონარქისა და მცირერიცხოვანი მმართველი ფენის ხელშია კონცენტრირებული, რომლებიც იღებენ ყველა გადაწყვეტილებას პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე საზოგადოების უმრავლესობა პოლიტიკური ცხოვრებისაგან იზოლორებულია. ასე რომ, პოლიტიკური თემატიკა აქტუალობას კარგავს საზოგადოებისათვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ ელინისტური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ალექსანდრიაში იქმნებოდა სამეფო კარის მხარდაჭრით, ამიტომ ავტორები ცდილობდნენ ანგარიში გაეწიათ მათი გემოვნებისა და მოთხოვნებისადმი. ამიტომაც, ელინისტური ლიტერატურა მეტად ელიტურია. იგი უაღრესად ინფორმტიულია,მდიდარია მითოლოგიური სიუჟეტებით, რთულად გასაგები ენითაა დაწერილი. ეს ყველაფერი იმითაც იყო გაპირობებული, რომ ავტორებს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის უზღვავ მასალაზე მიუწვდებოდათ ხელი.

ლიტერატურა იქმნებოდა ალექსანდრიაში, რომლის მცხოვრებნის სულ ახალი დასახლებულნი იყვნენ იქ და შესაბამისად არ აკავშირებდათ დიდი სიყვარული თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიმართ. შესაბამისად, ამ პერიოდის ლიტერატურა ნაკლებად პატრიოტული ხასიათი-

საა (ბეიე 1982: 60).

ელინისტური ლიტერატური გლობალურობა ენობრივ დონეზეც აისახა. თუკი ელინური ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრები სხვადასხვა დიალექტზე იქმნებოდა, ელინისტური ლიტერატურა საერთო ბერძნულ დიალექტზე „ კოინეზე" შეიქმნა, რომელიც მთელი ელინისტური სივრცის სალაპაკო და სალიტერატურო ენად იქცა.

ალექსანდრიელ ფილოლოგთა და საერთოდ ელინისტური ეპოქის მწერალთა წინაშე სავსებით ბუნებრივად წამოიჭრა საკითხები: როგორი ინდა ყოფილიყო მათი მიმართება ელინური ეპოქის უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი, რა გზა უნდა აერჩიათ მათ ამ მემკვიდრეობის ათვისების პროცესში: გაყოლოდნენ იმ გზას, რომელიც მათ ბერძენმა წინამორბედებმა დაუსახეს თითოეული ჟანრის განვითარებაში, თუ დაპირისპირებოდნენ მათ თავიანთი შემოქმედებით. არავინ დაობს იმაზე, რომ ლიტერატურის სფეროში მათი წინამორბედები უდიდესი ავტორიტეტები იყვნენ, რომ მათი შემოქმედება თაობიდან თაობას უნდა გადასცემოდა, მაგრამ სადავო იყო ის, თუ თავად ელინური ეპოქის მწერლებს როგორ და რაში შეეძლოთ გამოემჟღავნებინათ ნოვატორობა. ამ შემთხვევაში ლიტერატურაში იკვეთება ორი ტენდენცია: 1. უკვე არსებულის შენარჩუნებისა და მის ფარგლებში განვითარების ახალი გზების მონახვის . 2. ნოვატორობის, ტრადიციასთან აშკარა დაპირისპირებით ახალი ფორმებისა და გამოსახვის ახალი საშუალებების ძიების( გორდეზიანი.... 2009: 197).

ელინისტურ სამყაროში ეპოსი მნიშვნელოვან ჟანრად რჩებოდა. პირველი სერიოზული ლიტერატურული ხასიათის კამათიც სიუჟეტური ეპოსის შემქმნელების კალიმაქოსსა და აპოლონიოს როდოსელს შორის წარმოიშვა. წინა პლანზე გამოდის ეპილიონები, მცირე ზომის ეპოსი და იდილიური, ჰიმნოგრაფიული, ბუკოლიკური, მითოლოგიური მოტივები ლიტერატურაში.

ელინისტური ეპოქის ინტენსიური დრამატული ცხოვრებიდან ჩვენამდე მხოლოდ სახელებმა მოაღწია. როგორც ირკვევა ტრაგედიებისა და კომედიების გვერდით, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პარადრამატულ პოეზიას. იგულისხმება მცირე დრამატული ან კვაზიდრამატული ფორმები, რომლებიც საუბრებითა და ანეკდოტების საშუალებით გადმოგვცემენ გარკვეულ სცენებს.

ეპიგრამატული ჟანრი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ელინისტურ ეპოქაში. შეიქმნა ეპიგრამების კრებული Anthologia Palatina, რომელიც წარმოადგენს ელინისტური ეპოქის ეპიგრამატისტების შემოქმედების კრებულს.

ელინისტური ლიტერატურა ანტიკურ სამყაროში კონკურენციას უწევს ბერძნულ ლიტერატურას. იგი არსებითად ზღვარს უდებს ბერძნული ლიტერატურის მონოპოლიურ მდგომარეობას. ამას ხელი შეუწყო პტოლემაიდთა სრულიად შეგნებულად გატარებულმა სახელმწიფო პოლიტიკამ. როგორც ედერი თავის სტატიაში აღნიშნავს: „ ურთიერთობები დიდ ელინისტურ სახელმწიფოებს შორის ალექსანდრეს მიერ ბეჭედდასმული ელინისტური მონარქისთვის სპეციფიური ლეგიტიმაციით განისაზღვრებოდა, რომელიც პირად მიღწევებზე იყო დაფუძნებული დაწარმატების მუდმივ მტკიცებას საჭიროებდა" (ედერი 2007: 306). აქედან გამომდინარე ეს შეჯიბრი ელინისტურ სახელმწიფოთა მმართველებს შორის არ მხოლოდ სამხედრო

ასპარეზზე, არამედ კულტურლ სფეროში გამოიხატა.

**ლიტერატურა:**

1.გორდეზიანი რ., ტონია ნ. *ანტიკური ლიტე-რატურა.* თბილისი, გამომცემლობა „ლოგო-სი", 2009.

2. Beye C.R. Epic and Romance in the Argonautica of Apollonius, South Illionis University Press, 1982.

3. Eder W. H*ellenistische Staatenweit.* Stuttgart, Weimar, 2007.

4.Lesky A. Geschichte der griechischen Literatur, Bern, 1998.

## ON SOME ISSUES OF HELLENISTIC LITERATURE

**Vera Tsereteli**
Akaki Tsereteli State University

**Summary**

Hellenistic world and culture differed from Greek. Invasions by Alexander and his world empire led Greek culture to the whole world. Hellenistic literature competed with the Greek literature. It stopped the monopoly of Greek literature in the ancient world. Hellenistic states competed with each other to reach better goals. This competition was expressed not only in military field, but in cultural field as well.

# 11 მიმართულებათშორისი MULTIDISCIPLINARY МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ





# სოციალური ქსელების დადებითი და უარყოფითი მხარეები

თამარ აბულაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**abuladze-t@mail.ru**
ინგა რამიშვილი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ingu-go@mail.ru**

*სტატიაში "სოციალური ქსელების დადებითი და უარყოფითი მხარეები" განხილულია სოციალური ქსელების გავლენის ხარისხი და ეფექტი სხვადასხვა ასაკის მომხმარებლებზე.*

დღესდღეობით ინტერნეტის უზარმაზარი სივრცე არსებობს, რომელმაც ძალიან დიდი სიახლე შემოიტანა ადამიანთა ცხოვრებაში. მთელს მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული სოციალური ქსელები. ისინი კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სოციალურმა ქსელებმა საზოგადოების ცხოვრება უფრო საინტერესო, სახალისო და ადვილად აღსაქმელი გახადა.

მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული მრავალი სოციალური ქსელი: **facebook.com, twitter.com, flicker-.com, myspace.com** და ა.შ. ამ საიტებზე ახალგაზრდები რეგისტრირდებიან, მათზე ათავსებენ პერსონალურ მონაცემებს, პირად ინფორმაციასა და ფოტოსურათებს. "მეგობართა" წრეში ერთიანდებიან, ეცნობიან ერთმანეთს, ამყარებენ კავშირს ერთობლივი ინტერესების პრინციპით. ამ გაერთიანებების წევრები ჩართულნი არიან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის განსხვავებულ ფორმებში, პერსონალური web-გვერდების, ბლოგების, სადისკუსიო ჯგუფების მეშვეობით. საზოგადოება სოციალური ქსელების საშუალებით ეცნობა მთელ მსოფლიოს.

სოციალურ ქსელებს მსოფლიოს მაშტაბით უამრავი ადამიანი აქტიურად მოიხმარს. სოციალურ ქსელში ასაკი არ არის შეზღუდული.

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ინფორმაციით, საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი გაზრდილია.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 49%-დან ანუ მათგან, ვინც ინტერნეტს თვეში ერთხელ მაინც იყენებს, 78% ინტერნეტს სოციალურ ქსელში შესასვლელად იყენებს. აღნიშული რესპონდენტებიდან 51% ინტერნეტში ინფორმაციის მოსაძებნად შედის.

ამავე 49%-დან 28% ინტერნეტს წერილების მიღება-გაგზავნისათვის იყენებს, 2%-ფილმებისათვის (ასევე ვიდეოებისთვის, მუსიკისთვის), 10% ეცნობა ბლოგებს, 7% თამაშობს ინტერნეტ თამაშებს, 4% იყენებს ჩატს, 3%-ფორუმისთვის, 2-2% კიონლაინ შესყიდვებისა და სხვა მიზნებისათვის.

დიაგრამა გამოსახავს მომხმარებელთა მაჩვენებელს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საქართველოში:



**სოციალურ ქსელების დადებითი მხარეები:**

- მისი საშუალებით ადამიანს შეუძლია დაზოგოს დრო და იკონტაქტოს ადამიანებთან ძალიან ხშირად, თან მარტივად.
- ეს არის ინტერნეტის სივრცეში არსებული უზღვავი მასალა თუ ინფორმაცია, ახალი ამბები და ზოგადად სიახლეები მსოფლიოში.
- შეგვიძლია დავასახელოთ მუსიკალური თუ ფოტომოყვარულთა კონკურსები. მაგალითად: Facebook-ზე შექმნილია უამრავი გვერდები, რომელზეც შეგიძლია ატვირთო უამრავი ფოტო, მუსიკა თუ სიმღერა და სოლიდურ პრიზსაც დაეუფლო მისი საშუალებით, რაც გაძლევს შენი თავის წარმოჩენის საშუალებას.

**სოციალურ ქსელების უარყოფითი მხარე:**

- სოციალური ქსელებისა და ზოგადად ინტერნეტის გამო ზარმაცდება ადამიანი. აი, თუნდაც მას შეუძლია მეგობარი და ნათესავი მოიკითხოს „ოდნოების" საშუალებით და არ დასჭირდეს მისი მონახულება...თუნდაც ის, რომ წიგნისადმო დამოკიდებულება სულ შეიცვალა, რაც ნამდვილად არ არის კარგი.
- ასევე უდიდესი პრობლემაა ადამიანის მიჯაჭვულობა კომპიუტერთან, რაშიც სოციალური ქსელები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში ბავშვები არიან, რომლებიც პატარაობიდანვე იწყებენ კომპიუტერის გამოყენებას. დროთა განმავლობაში(მაგრამ სამწუხაროდ ამას დიდი დრო არ სჭირდება) ეს იწვევს მოზარდის ფსიქიკურ აშლილობას და ამავდროულად ის სრულიად კარგავს რეალობის შეგრძნებას და სამყაროსთან კავშირს. ასეთი ბავშვები ნერვიული, უხეშები და საკუთარ თავში ჩაკეტილები იზრდებიან.

***სოციალური ქსელების გავლენა საზოგადოებაზე.***

უკანასკნელმა ნეიროფსიქოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა ცვლილებები იმ ადამიანთა ტვინის სტრუქტურაში, რომლებიც განიცდიან ინტერნეტდამოკიდებულებას. კერძოდ, დადგინდა, რომ ხდება ტვინის მნიშვნელოვანი არეების შემცირება და თეთრი ნივთიერების (რაც ერთგვარ გამტარს წარმოქმნის ტვინში) შევიწროება. საინტერესო ფაქტია, რომ ეს ცვლილებები ძალიან ჰგავს იმ ცვლილებებს რასაც განიცდის ჰეროინზე ან მსგავს სხვა ნივთიერებაზე დამოკიდებული ადამიანის ტვინის უჯრედები.

ინტერნეტის აქტიურ მომხმარებლებს შეადგენენ უმეტესად 12–დან 45 წლამდე ასაკის ადამიანები. ფსიქოლოგები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ისეთი კატეგორიის მომხმარებლებზე, რომელთა ფსიქიკა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. ასეთ ჯგუფში მოიაზრებიან მოზარდები, ვინაიდან მათი ფსიქიკა არასტაბილურია, ისინი ხშირად ავლენენ ინტერნეტდამოკიდებულებას", რაც უარყოფითად მოქმედებს მათ პროგრესსა და მსოფმხედველობის ჩამოყალიბებაზე. განუსაზღვრელი დროით „ქსელში" ყოფნა მოზარდებს ართმევს ცხოვრების აღქმის უნარს, რეალობისა და დღევანდელობის შეგრძნებას, „აქ და ამჟამად" არსებობის, ეგზისტენციის უნარს. ამასთანავე სოციალური ქსელები ხელს უშლიან მათ განვითარებასა და გაზრდას,

რადგან ის ხდება მათი ცხოვრების ნარკოტიკი.

განსხვავებული სიტუაციაა მოზრდილთა კატეგორიაში (24–25 წლიდან 45 წლამდე). ამ ასაკობრივ ჯგუფში ადამიანები, რომლებსაც არ ჰყავთ ნაპოვნი პარტნიორი, დიდ იმედებს ამყარებენ სოციალურ ქსელებზე. ფიქრობენ, რომ იტერნეტის საშუალებით ბევრად ადვილია ადამიანის გაცნობა და დაოჯახება. თუმცა, სინამდვილეში თავს იჩენს ხოლმე უფრო მეტი უარყოფითი მხარე, ვიდრე დადებითი, რაც იწვევს სინანულის შეგრძნებას, იმედგაცრუებას, შფოთვასა და ღრმა დეპრესიას.

ასეთივე გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე ვიდეო და ონლაინ თამაშები.. ასოციაციის მიერ ჩატარებული მოკვლევით, მხოლოდ ონლაინ–თამაშებში ყოველდღიურად საქართველოს 400 000 მოქალაქეა ჩართული. მათგან უმრავლესობა კი უპირატესობას ონლაინტოტალიზატორს ანიჭებს.

მოსახლეობის 2%-მა განაცხადა, რომ აზარტული თამაშების გამო, მას ან მისი ოჯახის წევრს მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემა ჰქონია. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი (92%) უარყოფითად არის განწყობილი ამ ინდუსტრიის მიმართ და მიაჩნია, რომ ის საერთოდ უნდა აიკრძალოს (63%) ან შეიზღუდოს (29%).

ფსიქოლოგთა ნაწილი აცხადებს, რომ მწვავე ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას იწვევს მხოლოდ ონლაინ თამაშები, სადაც მოთამაშეებს აქვთ საშუალება იურთიერთონ სხვა მოთამაშეებთან, რაც ხშირად ხდება მიზეზი იმისა, რომ ვირტუალური ურთიერთობა მათთვის ხდება ბევრად მნიშვნელოვანი, ვიდრე რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობები ადამიანებთან თუმცა ამ აზრს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ არა მარტო ონლაინ, არამედ ზოგადად კომპიუტერულ თამაშების მძლავრ გავლენაზე. უდავოა, რომ კომპიუტერმა, ინტერნეტმა და სხვა თანამედროვე მიღწევებმა უკვე ღრმად შემოაღწიეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და გაიდგეს ფესვები ჩვენს ფსიქიკაში. მეცნიერების აზრით, ხალხი ჯერ კიდევ ვერ აფასებს იმ ზეგავლენის რეალურ სიდიდეს, რასაც უკანასკნელი ათწლეულების მიღწევები ახდენენ ადამიანზე. განვითარება და წინსვლა როგორც მეცნიერულ, ასევე ტექნოლოგიურ დონეზე უდავოდ მისასალმებელია.

წარმოუდგენელია XXI საუკუნე კომპიუტერისა და ინტერნეტის გარეშე. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ყველა სიკეთესთან ერთად ზიანის მომტანიც შეიძლება იყოს ეს ყველაფერი. უბრალოდ უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად შემცირებულ იქნას გავლენის ხარისხი და ეფექტი. ვირტუალურ ურთიერთობებზე მეტად უპირატესობა უდა მიენიჭოს პირისპირ, ცოცხალ ურთიერთობებს. თუ ვაცნობიერებთ რომ ვხდებით ინტერნეტმიჯაჭვული (ინტერნეტდამოკიდებული), შევეცადოთ საკუთარ თავს მისი გამოყენების შეზღუდვები დავუწესოთ.ყოველთვის საჭიროა დავუკვირდეთ ჩვენს ქმედებეს, ვაკონტროლოთ ის დრო, რასაც კომპიუტერთან „ძრომიალში" ვატარებთ. ყველაზე მეტად ჩვენი თავის გაკონტროლება ჩვენ შეგვიძლია. არ უნდა მოვექცეთ სხვისი ზეგავლენის ქვეშ, უნდა გაგვაჩნდეს საკუთრი აზრი და სოციალური ქსელებით არ უნდა მოხდეს ჩვენი ჩათრევა სხვადას-

ხვა საქმიანობებში.

ლიტერატურა

1. https://on.ge/story/362-ti-2016]

2. Клименко О. А. Социальные сети как средство обучения и взаимодействия участников образовательного процесса

**SOCIAL NETWORKS ARE POSITIVE AND DISADVANTAGES**

**Abuladze T., Ramishvili I.**
Akaki Tsereteli State University

**Summary**

The article «Positive and Negative Social Networks» discusses the quality and impact of social networks on different age groups.

# ნავთობკომპანიის მონაცემთა ბაზის დაპროექტება

ელზა ბიწაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მთვარისა ზაუტაშვილი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლია ჯანაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**lia.janadze@mail.ru**

*სტატიის მიზანს წარმოადგენს საგნობრივი არეს გაანალიზების საფუძველზე მონაცემთა ბაზის მოდელირების პროცესის განხილვა და მისი რეალიზება, რომელიმე მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაზე (მბმს) დაყრდნობით. ამრიგად, აქ წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის მოდელირების ზოგადი ასპექტების განხილვის საფუძველზე, შეიქმნა კონკრეტული ბაზისთვის- "ნავთობკომპანია". არსთა- დამოკიდებულების მოდელი (დიაგრამა), რელციული სქემა. მოდელირების პროცესი საშუალებას იძლევა შედარებით არართული ან მარტივი ბაზებისთვის არ იქნას განხილული მაღალი დონის მოდელები.*

## შესავალი

1. თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელია ეფექტური მართვის გარეშე. მთავარ კატეგორიას განეკუთნება ინფორმაციის დამუშავების სისტემა, რომელზედაც დამოკიდებულია ნებისმიერი ფირმის ან დაწესებულების ეფექტური მუშაობა. ასეთმა სისტემამ უნდა შეძლოს:

– მიიღოს მუშაობის შედეგად საერთო ან დეტალიზირებული ანგარიშები;
– ყოველგვარი შეფერხების გარეშე, კრიტიკულ დროში, ინფორმაციის მიღება;
– შეასრულოს მონაცემთა ზუსტი და სრული ანალიზი.

ასეთ სისტემას განეკუთვნება მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა (მბმს), რომლებიც დღეისათვის ბაზარზე ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი. მათი არჩევა დამოკიდებულია მონაცემთა ბაზის სირთულეზე, გამოყენების სფეროზე და სხვა.

მბმს მიღებამდე აუცილებელია განვიხილოთ თვით მონაცემთა ბაზის მოდელები და მისი პროექტირების ზოგადი ასპექტები.

ნახ.1- ზე წარმოდგენილია მოდელირების პროცესი და მონაცემთა ბაზის რელიზაციის ბლოკ-სქემა




ნახ.1 მოდელირების პროცესი და მონაცემთა ბაზის რეალიზება

## 2 . მონაცემთა ბაზის შექმნა

მონაცემთა ბაზის დასაპროექტებლად აუციელებელია კონცეპტუალური სქემის შექმნა (ER - მოდელი), რომელიც წარმოადგენს მონაცემთა ბაზის საფუძველს.ლიტერატურის [ 1 ] გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ რთული მონაცემთა ბაზის განხილვისას აუცილებელია შეიქმნას მაღალი დონის მოდელები: ისეთები როგორიცაა ობიექტ-ორიენტირებული ან ობიექტ რთული მოდელი.

აგება დამოკიდებულია თვით მოდელირების პროცესის კარგ ცოდნასა და გამოცდილებაზე.

ბაზის საგნობრივი არე- ნავთობკომპანიას გააჩნია რამოდენიმე განყოფილება ავტოგასამართი სადგურები (აგს ): სადაც მუშაობენ რეგიონალური მენეჯერები, აგს ის მენეჯერები, ოპერატორები. ისინი ახორციელებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციების გაგზავნა-მიღებას, მათ შორის საწვავის რაოდენობის მოთხოვნას. ინფორმაციის სწრაფად და ზუსტად მისაღებად საჭიროა ვიცოდეთ, მისაწოდებელი საწვავის დასახელება (ტიპი ) და რაოდენობა.




ნახ.2 არსთა დამოკიდებულებათა მოდელი

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. სურგულაძე გ. თოფურია ნ. მელაძე გ. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემების სტრუქტურების დაპროექტება: ORM/ERM, MSSQL Server, სტუ, თბილისი–2007, გვ 56.
2. Гектор Гарсиа-молина, Джеффри Д. Ульман, Джениффер Уидом, Системы баз данных, Пер. с англиского Москва. 2003. 1088 стр.

**DESIGNING THE OIL COMPANY DATABASE**

**Elza Bitsadze, Mtvarisa Zautashvili, Lia Janadze**
Akaki Tsereteli State University

Summary

The objective of the article is to review and analyze the database modeling process based on analyzing the subject area analysis based on a database management system (Mbm). Therefore, based on the general aspects of the database modeling presented, the "Oil Company" was created. Model of substance-dependence (diagram), a realistic scheme. The modeling process allows for high-end models to be relatively inexpensive or easy for the bases.

# ეკოლოგიური და ზნეობრივი აღზრდის სისტემურობა და უწყვეტობა

რუსუდან თავიდაშვილი — ქუთაისის 35-ე საშუალო სკოლა
ვახტანგ კვანტიძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**vakhtangikvantidze@mail.ru**

*საზოგადოების ფორმირების ყველა ეტაპზე აღზრდისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება იყო. კაცობრიობის სულიერი განვითარების საფუძველი აღზრდის პროცესია. ყოველი ახალი თაობა წინა თაობისგან მემკვიდრეობით იღებს ცალკეულ სფეროში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას. ეს ეხება როგორც მატერიალურ, ისე სულიერ ფასეულობებს. აღზრდა ისტორიული კატეგორიაა და მას მუდმივობა ახასიათებს.*

თანამედროვე პედაგოგიურ და ეკოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი “ეკოლოგიური აღზრდა”. იგი ითვალისწინებს პიროვნების დაინტერესებას ბუნებით, მისი სიდიადისა და აღქმის უნარის დანერგვას. ეკოლოგიურ აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ეკოლოგიურმა პრობლემებმა მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა და ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ შეუძლებელია ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა ერთი ან თუნდაც რამდენიმე ქვეყნის ძალებით, რომ მშვიდობის დაცვა და ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება, მსოფლიოს ერთიან ძალისხმევას მოითხოვს. სწორედ ამიტომ ამ საკითხებმა და მათმა გადაჭრის გზებმა პოლიტიკური დანიშნულება მიიღო. ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალური გახდა გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიდან. საერთაშორისო მას-

შტაბებით შეიქმნა ეკოლოგიური ორგანიზაციები, ასოციაციები, გაერთიანებები. მათი მთავარი სასაუბრო თემა სოციალური საკითხების გვერდით ეკოლოგიურმა მოთხოვნებმა ჩაანაცვლა. ეკოლოგიური აღზრდის მნიშვნელობა განსაკუთრებით იკვეთება იქ, სადაც პიროვნების აღზრდაზეა საუბარი. მისი საშუალებით წყდება ეკოლოგიური პრობლემატიკის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი-პიროვნებისა და გარემოს ურთიერთობების საკითხი.

თანამედროვე აზროვნებაში გამოიკვეთა მოთხოვნა- “ადამიანი-ტექნიკა-გარემო”. სწორედ აქედან იწყება ადამიანის სურვილი დაეუფლოს ტექნიკას და ეკოლოგიურად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები. რაც უფრო მალე გააცნობიერებს ადამიანი, რომ იგი მუდმივად ბენებასთან კავშირში ცხოვრობს, რომ მან ბუნებას უნდა მოუაროს, თუ უნდა რომ არსებობა შეინარჩუნოს, მით უკეთესი.

ეკოლოგია მრავალმხრივი მეცნიერებაა. არ არსებობს თითქმის არცერთი დისციპლინა, რომელშიც სპეციფიკური კუთხით საუბარი არ იყოს ეკოლოგიურ განათლებაზე, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა სოციალური ეკოლოგია, რომელიც კავშირშია მრავალ მეცნიერებასთან და ეკოლოგიის ყველა ცალკეულ დარგთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი კავშირი ეთიკასთან, ვინაიდან სოციალური ეკოლოგიის ყველა ძირითადი ნორმა ეყრდნობა ეთიკის ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტალურ მცნებას-ჰუმანიზმს. ეკოლოგიური აღზრდა ჰუმანიზმის პრინციპების გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

ადამიანის ჰარმონიულად განვითარების სისტემაში ჩართულია ეკოლოგიური აღზრდაც. ვინაიდან კაცობრიობის ბედი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დამოკიდებულებას გამოავლენს მომავალი თაობა ეკოლოგიური პრობლემისადმი.

ეკოლოგიური აღზრდის აუცილებლობას თვით ჩვენს ირგვლივ არსებული სინამდვილე გვკარნახობს. იგი აღზრდის სხვა დანარჩენ ფორმებთან ერთად საზოგადოების მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს ემსახურება.

ეკოლოგიურ აღზრდაში რამდენიმე ძირეული საფეხურის დაფიქსირებაა შესაძლებელი.

ა). ჩამოყალიბებული ცოდნის სისტემა ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების შესახებ;

ბ). ფასეულობათა ეკოლოგიური ორიენტაცია;

გ). ბუნების მიმართ ადამიანის დამოკიდებულების ნორმებისა და წესების სისტემა, სადაც მოცემული იქნება შესწავლისა და დაცვის აუცილებელი წესები.

ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი. სწორედ ამ მეცნიერებათა დამსახურებაა გარკვეული მსოფმხედველობის შექმნა, რომელიც ასახავს იმ მიზნებს, რომელსაც ადამიანი ბუნების კვლევის პროცესში ისახავს. ასეთი მეცნიერებანი იკვლევენ იმ ფასეულობებს, რომელთაც ადამიანი ეყრდნობა ბუნებასთან დამოკიდებულების პროცესში და ბოლოს განიხილავენ იმ სოციალურ შედეგებს, რასაც ბუნებასთან სწორი დამოკიდებულებით ვღებულობთ. ეკოლოგიური აღზრდის მიზანია პიროვნებას ჩამოუყალიბოს ბუნებასთან ჰუმანური დამოკიდებულების გრძნობა. ბუნებასთან ეკოლოგიური დამოკიდებულება ადამიანში იწვევს ესთეთიკური და ეთიკური მოთხოვნების წარმოშობას. სწორედ ამიტომ თანამედროვე

ეთიკაში ხშირად ამბობენ, რომ ეკოლოგიური აღზრდა მჭიდრო კავშირშია აღზრდის ისეთ ფორმასთან, როგორიცააა ზნეობრივი აღზრდა.

საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებიდან ზნეობა უძველესია. აღზრდის ფორმებიდანაც ზნეობრივი აღზრდა ისტორიულად უფრო ადრეულია, ვიდრე ეკოლოგიური აღზრდა.

აღზრდა თავისთავად რთული და მრავალმხრივი პროცესია. მასში შემავალი კომპონენტები ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანპირობებულია. აღზრდის ყველა კომპონენტი მნიშვნელოვანია, თუმცა მათ შორის თავისი მნიშვნელობით ზნეობა საყრდენი კომპონენტია. ზნეობრივი აღზრდა თავისთავად რთული და მრავალმხრივი პროცესია და იგი თანდათანობით იცვლება და მდიდრდება. საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მიმართებაში ზნეობრივი აღზრდა ხორციელდება როგორც ერთიანი და მთლიანი პროცესი და შეესატყვისება ზნეობის ზოგადსაკაცობრიო ნორმებს. ამ პროცესის მიზანიც და შედეგიც ჰარმონიული პიროვნების ფორმირებაა. ეს ზოგადსაკაცობრიო ნორმები ერთის მხრივ ყალიბდება ადამიანში, როგორც ზნეობრივი ფასეულობანი, მეორეს მხრივ ვლინდება გარემოსთან დამოკიდებულებების საკითხებში.ზნეობრივი აღზრდა პიროვნების ფორმირების საფუძველია, ამიტომ აღზრდის ყველა დანარჩენ კომპონენტს, მათ შორის ეკოლოგიურ აღზრდასაც უწყობს ხელს. ზნეობრიობა ადამიოანს ეხმარება არა მხოლოდ ადამიანებთან და საზოგადოებასთან დამოკიდებულების საქმეში, არამედ ბუნებასთან მიმართებაშიც.

ბუნებასთან ადამიანის სწორად მიმართების საკითხში აუცილებელია არა მხოლოდ ზნეობრივი შეგნების არსებობა, არამედ მათი გამოყენება პრაქტიკულ, რეალურ ცხოვრებაში. ზნეობრივი შეგნება საჭიროების შემთხვევაში ცხოვრების წესად უნდა იქცეს.

ეკოლოოგიური და ზნეობრივი აღზრდის ურთიერთკავშირს სისტემატურობისა და უწყვეტობის სახე უნდა ქონდეს. აქედან გამომდინარე ეკოლოგიური აღზრდა ზრდის პიროვნების პასუხისმგებლობას გარემოს მიმართ, ამაღლებს მოვალეობის გრძნობას, რაც საბოლოოდ პიროვნების ფორმირებას უწყობს ხელს.

ეკოლოგიური პასუხისმგებლობა მჭიდრო კავშირშია იმ ზნეობრივ მახასიათებლებთანაც, როგორიცაა თვითკონტროლი, ე.ი. კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავისა და გარემოსთან დამოკიდებულების საკითხებში. ყველაფერი ეს ამაღლებს ადამიანის ზნეობრივ დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან და საბოლოოდ ხელს უწყობს ადამიანისა და გარემოს ურთერთდამოკიდებულებას.

ეკოლოგიური და ზნეობრივი აღზრდის ურთიერთკავშირის შემდეგ კაცობრიობა მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს, რომ გამართლებული იქნება მ. ზეისტის სიტყვები: "მე ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ შეუძლია ადამიანს დატკბეს სამყაროთი, როცა თავისუფლად და სიხარულით ანგრევს რა სამყაროს, რომლის ცენტრშიც თვითონ დგას. მე მჯერა ადამიანის მომავლის, მჯერა ადამიანის უდიდესი შესაძლებლობების, მაგრამ ეს რწმენა დამყარებულია იმაზე, რომ ადამიანი წარმოადგენს ბუნების ნაწილს. ეს არის რწმენა იმისა, რომ ადამიანი ყოველთვის ცხოვრობს ცოცხლებს შორის და არ გაანადგურებს ყოველივე ამას."

### ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. მ.ზანძელაძე, დ. ჩხიროძე. ეთიკა და ეკო-

ლოგიის ზნეობრივი საკითხები. ქ. ქუთაისი, 2012წ.
2. ლ. ფარბი. პოპულარული ეკოლოგია. გამომცემლობა “მირ”-მოსკოვი 1971წ.
3. ლ.ჩიჩხალაძე. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა. ქ. თბილისი, 1989წ.
4. Малкин А. С. Способности и потребности личности. –М.: Стройиздат, 1997 г.

**ECHOLOGICAL AND MORAL UPBRINGING'S SYSTEMATIC NATURE AND CONTINUITY**

**Rusudan Tavidashvili**
Kuatisi 35 Public Shool
**Vakhtang Kvantidze**
Akaki Tsereteli State University

**Summary**

There was a special attitude on upbringing in every level of society formation. Upbringing process is the basis of humanities' spiritual development. Every new generation gets experience and knowledge in certain individual sphere from previous generations. It includes as material, also spiritual values. Upbringing is a historical category and describes constancy.

# ЗНАЧЕНИЕ СОВРЕМЕННОГО КУРСА НАЧЕРТАТЕЛЬНОЙ ГЕОМЕТРИИ В УСЛОВИЯХ 3D КОМПЬЮТЕРНЫХ ВОЗМОЖНОСТЕЙ

**КВЕРНАДЗЕ ИЗОЛЬДА** Государственный Университет Акакий Церетели

***Современные возможности компьютерной графики облегчают кропотливый труд конструктора по оформлению чертежей, делает проектные решения более наглядными разработку и создание реальных изделий более экономичными, открывают перед будущим инженером широкие перспективы. Но надо помнить, Что это только инструмент в руках образованного специалиста.***

С самого начала начертательная геометрия развивалась в естественном переплетении с математикой, механикой, физикой. Теоретические положения

инженерной графики также основаны на положениях начертательной геометрии, на нем базируется инженерное образование, система создания технической документации. Начертательная геометрия язык техники, знание которого необходимо каждому инженеру.

Инженерно-конструкторская деятельность «от карандаша к компьютеру» продолжает в своей сущности использовать метод начертательной геометрии, состоящий в перекодировке двумерной информации в трехмерные объекты и обратно. Именно поэтому нельзя унизить в вузах роль начертательной геометрии. Инженерная мысль изобретателя сначала рождает в голове образ будущего изобретения, только потом реализуется в материальный объект. Ранее средством реализации был чертеж, а теперь еще и 3D – моделирование в виртуальном пространстве.

Компьютеризация проектирования и делопроизводство не оставляет места для документов, исполненных вручную. Для достижения этой цели в обществе должны быть обеспечены формирование новой информационной культуры мышления и массовая компьютерная грамотность.

Совершенно естественно, что информатизация оказывает влияние на дальнейшее развитие начертательной геометрии и, как следствие, на развитие инженерной и компьютерной графики. Благодаря возможности создания, представления, обработки, хранения трехмерных объектов в виртуальном пространстве и работы с ними исчезает потребность создания и использования изображений пространственных предметов на плоскости. Вопросы вычерчивания образов отошли на второй план.

Однако, следует помнить, что знания поступают в мозг человека именно через его сенсорную деятельность, поэтому в рабочей программе для этих целей оставлена тема «Эскизирование». Кроме того, эскиз, представляющий собой предварительный набросок, фиксирующий замысель (идею), выполняемый без применения чертежных инструментов, без масштаба, в пропорциональных отношениях частей, должен выполнять функции, когда инженер пытается донести свою идею до исполнителя в кратчайшее время, как говорится «на месте». То есть инженер должен уметь обходится без компьютера со спецпрограммами и воплотить свою мысль на листе бумаги посредством эскиза или технического рисунка. В остальных случаях современный процесс проектирования должен начинаться с создания виртуальной пространственной модели, так как, имея 3D–модель, возможно провести инженерный анализ изделия на прочность, устойчивость и др. Но чертеж как документ пока еще не отменяется, он сохраняет свои позиции основного документа в проектно-констрокторской деятельности и является важным этапом процесса проектирования. Поэтому студенты должны получать необходимые знания по их оформлению. Т.е. такие темы учебного курса инженерной графики, как «изображения–виды, разрезы, сечения», «Масштабы», «Нанесение размеров», «сборочный Чертеж», «Соединение деталей» и др. Сохранены в учебном процессе.

3D–технологии являются лишь новым инструментом, способным во всех отношениях (скорость, время, качество) улучшить уровень усвоения студентами курса геометро-графических дисциплин. Три дисциплины: начертательная геометрия, инженерная и компьютерная графика входят в цикл геометро-графических дисциплин инженерного образования. Начертательная геометрия изучала методы изображения пространственных объектов на плоскости, инженерная графика рассматривала правила создания и оформления конструкторской документации и базировалась на

теоретических основах начертательной геометрии, а на занятиях компьютерной графики изучаются возможности того или иного пакета графической программы создания электронного чертежа по правилам инженерной графики. Т. е. компьютерная графика является лишь инструментарием для реализации конструкторских идей в виде электронных 3 D–моделей и электронных чертежей. Кроме того, содержание дисциплины «компьютерная графика» зависит от выбранного для изучения графического пакета программы.

Современные возможности компьютерной графики облегчают кропотливый труд конструктора по оформлению чертежей, делает проектные решения более наглядными разработку и создание реальных изделий более экономичными, и поэтому нельзя закрывать глаза на происходящие изменения в мире компьютерных разработок и стараться доказать, что ручной труд по вычерчиванию чертежей остается необходимым средством развития творческой инициативы. Необходимо готовить будущих специалистов «в ногу» со временем. Компьютерные технологии современных графических пакетов программ открывают перед будущим инженером широкие перспективы. Но надо помнить, Что это только инструмент в руках образованного специалиста. Современный выпускник технического факультета должен преобрести компетенцию по работе с любой графической информацией, начиная от традиционного чертежа и текстового документа до информационной поддержки жизненного цикла изделия. Интеграция начертательной геометрии, инженерной и компьютерной графики повышает качественное и современное геометро-графическое образование будущих инженеров. В частности компьютерная графика стала основным инструментом представления результатов инженерной деятельности.

## THE MEANING OF THE MODERN COURSE OF DESCRIPTIVE GEOMETRY IN TERMS OF 3D COMPUTER CAPABILITIES

**Kvernadze Izolda**
Akaki Tsereteli State University.

**Summary**

Modern possibilities of computer graphics facilitate the hard work of the designer according to design drawings, make design decisions more visible development and the creation of real products are more economical and open up a future engineer prospects. But we must remember that it is only a tool in the hands of an educated specialist.

.

# გარემოს დამაბინძურებელი ტოქსიკური მძიმე მეტალები

ჩხარტიშვილი ნატო — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ღვინიანიძე ნათელა — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჯბერენაია ანა — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ნაშრომში განხილულია, რომ ბუნებრივ არეალებში დაგროვილი მძიმე მეტალების აქტიური ცირკულაცია გარდაუვალია და კვების საერთო ჯაჭვში ქმნიან სერიოზულ საფრთხეს. სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციისა და ურბანიზაციის შედეგად კი იმდენად გაჭუჭყიანდა ბიოსფერო მძიმე მეტალებით, რომ ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა.*

*მძიმე მეტალები მაღალი ატომური მასის მქონე ქიმიური ელემენტების ჯგუფია. მრავალი მათგანი განსაზღვრული რაოდენობით აუცილებელია ადამიანის, ცხოველისა და მცენარის ცხოველქმედებისათვის და ასევე მონაწილეობს ბიოლოგიურ პროცესში, მეორე მხრივ,*

*მძიმე მეტალები და მათი ნაერთები მავნე გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, გროვდება უჯრედებში და იწვევს მთელ რიგ დაავადებებს. მძიმე მეტალებს 40–ზე მეტი ქიმიური ელემენტი მიეკუთვნება. მათ შორის განსაკუთრებული ტოქსიკურობით გამოირჩევა ტყვია, ვერცხლისწყალი, კადმიუმი და დარიშხანი. ისინი მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, გროვდება ქსოვილებში და სხვადასხვა დაავადებას აძლევს დასაბამს.*

**ტყვია** არის მძიმე მეტალი, რომელიც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ I კლასის ტოქსიკურ ნივთიერებათა ჯგუფს მიაკუთვნა. საერთაშორისო კლასიფიკაციით კი მეორე ტიპის კანცეროგენად ითვლება. ტყვიით ადამიანის მოწამვლის ფაქტები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 150 წლის წინათ იყო ცნობილი. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით სწორედ ტყვიის ჭურჭელმა ითამაშა გადამწყვეტი როლის რომის იმპერიის დაშლაში.

ტყვია შეიძლება ადვილად დამუშავდეს და მიეცეს ნებისმიერი ფორმა. ანტიკურ ხანაში რომაელები ტყვიას იყენებდნენ წყლის მილების, ჭურჭლის დასამზადებლად. სწორედ აქედან ხვდებოდა ტყვია ადამიანის ორგანიზმში.

ატმოსფეროში ტყვიის შემცველობა ინტენსიურად იზრდება ფაბრიკა–ქარხნებისა თუ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის შედეგად, ასევე სასუქებითა და პესტიციდებით დაბინძურების გამო.

ტყვია გარემოში ხვდება ე.წ. ეთილირებული ბენზინის საშუალებით, როცა ბენზინს ხარისხის გასაუმჯობესებლად უმატებენ ტეტრაეთილტყვიას, როგორც ანტიდეტონატორს.

მას შემდეგ რაც საქართველო გახდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქვეყანა უმწვავესად დადგა ტრასების გასწვრივ აირისა და ნიადაგში ტყვიის გავრცელების პრობლემა. განვითარებულ ქვეყნებში ტრასიდან 500 მეტრ სიახლოვეს, მცენარეული საფარის მიუხედავად, კატეგორიულადაა აკრძალული საკვების მოპოვება და საქონლის ძოვება. საქართველოში კი ეს ნორმები დარღვეულია ან საერთოდ არ არსებობს. მძიმე მეტალებით განსაკუთრებით გაჯუჯყიანებულია რუსთავი, გორი, ხაშური, თბილისი.

ტყვია ადამიანის ორგანიზმში ხვდება როგორც წყლისა და საკვების, ასევე ჰაერის მეშვეობით. საკვებ პროდუქტებში ტყვია ხვდება ხელსაწყო დანადგარებიდან, შესაფუთი მასალიდან, გარემოდან. ტყვიის წყარო შეიძლება იყოს ტყვიით მოჭიქული ჭურჭელი, კონსერვებისა და სასმელების მეტალის ქილები. სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევებით დადგენილია, რომ 10–დან 9 სათამაშო ტყვიას და მასთან ერთად სხვა ტოქსიკურ და ალერგიულ საშუალებებს შეიცავს.

სათამაშოების მსგავსად საქართველოში უკონტროლოდ იყიდება ტყვიის შემცველი საღებავები. გაერთიანებული ერების და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციებმა ამ თემაზე გლობალური ალიანსიც კი წამოიწყეს: "საღებავები ტყვიის გარეშე". თუმცა საქართველოში იმპორტირებული სამშენებლო თუ სარემონტო მასალები ტოქსიკურ ნივთიერებებზე არანაირ შემოწმებას არ გადის.

ადამიანის ორგანიზმში ტყვიის გაზრდილი დონე იწვევს ავთვისებიან სიმსივნეს, მიოკარდის ინფარქტს, ზრდის შეჩერებას, სმენის დაქვეითებას, ინტელექტუალურ დეგრადაციას. ტყვია განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის, რადგან ნივთიერებათა ცვლის პროცესები ბავშვებში ბევრად ინტენსიურად მიმდინარეობს. სისხლში ტყვიის ჭარბი რაოდენობის დროს იმდენად ქვეითდება ინტელექტი, რომ უარესდება კითხვის უნარი და ანბანის დამახსოვრებაც კი. მტვერი, რომელიც ჰაერში ტრიალებს ტყვიასთან და სხვა

ტოქსიკურ ნივთიერებებთან ერთად კონცენტრირდება დედამიწის ზედაპირიდან 1 მეტრ სიმაღლეზე. სწორედ ამიტომაცაა ის განსაკუთრებით საშიში ბავშვებისათვის.

ტყვიის ერთ–ერთი ძლიერი დეტონატორია ძვალი. მისი მაღალი კონცენტრაციისას ირღვევა გაძვალების პროცესი, აღინიშნება ძვლების დეკალციფიკაცია და მტვრევადობის გაზრდა. ტყვიის უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება ნერვული ქსოვილის დონეზე.

ტყვიით ხდება ემალიდან $Ga^{2}$-ის იონის გამონთავისუფლება, რის გამოც ხდება კბილების დაზიანება და ვითარდება კარიესი. ტყვიის მაღალი კონცენტრაციისას აღინიშნება კუჭის მჟავიანობის დაქვეითება და ვითარდება კუჭის ავთვისებიანი სიმსივნე.

**კადმიუმი** – ძირითადად იმ ნიადაგებშია გავრცელებული, სადაც ჭარბადაა თუთია, ტყვია და სპილენძი, გარემოში კადმიუმი გამოიყოფა კადმიუმის შემცველი ნარჩენებიდან და ქვანახშირის წვის დროს.

კადმიუმისაგან ამზადებენ ყვითელი ფერის საღებავს, რაც დღემდე შეუცვლელი რჩება. ალბათ ვან გოგი ვერ დახატავდა თავის ცნობილ “მზესუმზირებს” რომ არა კადმიუმი.

კადმიუმის შემცველ ნივთიერებებს იყენებენ ყვითელ ნარინჯისფერ და წითელ საღებავებში.

ადამიანის ორგანიზმში კადმიუმი ხვდება, ისეთი საკვები პროდუქტებიდან, როგორიცაა კარტოფილი, ისპანახი, ხორბალი, ბრინჯი და სხვა. კადმიუმი ჩვენს ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს სიგარეტის ბოლის, წყლის, ყავის, ჩაისა და სხვა დაბინძურებული პროდუქტებისაგან, განსაკუთრებით რაფინირებული მარცვლების საშუალებით.

კადიუმთან დაკავშირებით ყველაზე მძიმე პრობლემებია იმ ქვეყნებში, სადაც მოჰყავთ ბრინჯი და რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ფართოდ იყენებს საკვებად. მწირი პროდუქტებით კვებისას ვითარდება ძვლების დეგენერაციული დაავადება ე.წ. itay-itay. დაავადებისას ძვლებში ხვდება $Ga^{2}$-ის ჩანაცვლება $Gd^{2}$-ით, შესაბამისად ძვალი ნელ–ნელა ხდება ფოროვანი, ძლიერდება მტვრევადობა. ამ დაავადებას თან ახლავს ძლიერი ტკივილი სახსრებში.

კადმიუმის ლეტალური დოზა დაახლოებით 1 გრამია. ის გროვდება ღვიძლსა და თირკმლებში, რაც იწვევს თირკმლების დაზიანებას, აკუმულაციური მოწამვლის გამო. კადმიუმი უძლიერესი კანცეროგენია, შეუძლია გამოიწვიოს ონკოლოგიური დაავადებები.

ცნობილია, რომ ჩინური ბიჟუტერია კადმიუმს შეიცავს. აშშ–მ აუკრძალა ჩინეთს ტყვიის შემცველი პროდუქტის შეტანა, მათ კი ტყვია კადმიუმით შეცვალეს. კადმიუმი ტყვიაზე საშიშია, რადგან ყველა მისი ნაერთი ძლიერ ტოქსიკურია. აღმოჩნდა, რომ ჩინური ბიჟუტერიის 91 % კადმიუმისაგან შედგება, რომელიც კუმულაციური შხამია.

მძიმე მეტალებით დაბინძურებულია ასევე სათამაშოები, კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებები. საკმარისია ბავშვმა რამდენჯერმე ჩაიდოს პირში, რომ კადმიუმი აღმოჩნდება სისხლში, რის შედეგადაც ზიანდება ცენტრალური ნერვული სისტემა, ღვიძლი, თირკმლები.

არსენიტის (დარიშხანი) შენაერთები კერძოდ არსენიტის ოქსიდი ($As_2O_3$) შუასაუკუნეებში გამოიყენებოდა მკვლელობისა და თვითმკვლელობის ერთ–ერთ ძირითად ნივთიერებად.

არსენიტით ადამიანის მოწამვლა ძირითადად ხდება მიწისქვეშა გრუნტის სასმელი წყლებით, ასევე შეიძლება დარიშხანი ადამიანის ორგანიზმში საკვებთან ერთად მოხვდეს. განსაკუთრებით ბევრია ის

მარცვლოვნებში. არსენიტით გარემოს დაბინძურების მიზეზი სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს: შახტების მუშაობა, ფერადი მეტალების გამოდნობა, ნახშირის წვა, პესტიციდების, მინის, ნახევარგამტარების, სამედიცინო და ვეტერინარული პრეპარატების წარმოება. ის ცნობილია როგორც კანცეროგენული ნივთიერება. არსენიტის ინგალაციის ან მისი გადაყლაპვის პირობებში ვითარდება ფილტვის, კანის, საშარდე ბუშტის, ღვიძლისა და თირკმლების კიბო.

დარიშხანი თავისი ბუნებით ძალიან საინტერესო ელემენტია. მასში შერწყმულია სრულიად საწინააღმდეგო და ერთმანეთთან შეუთავსებელი თვისებები. ის გამოდის როგორც შხამი და როგორც მკურნალი. როგორც ვერაგი და საშიში მისი წარმოების ნარჩენები და როგორც შეუცვლელი ნივთიერების სასარგებლო კომპონენტი. დარიშხანი უძლიერესი შხამია და საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ ითვისებს ერთი და იგივე ნივთიერება მომწამვლელ და სამკურნალო თვისებებს. ორგანიზმში იგი მონაწილეობს ნუკლეინის მჟავების ცვლაში, ჰემოგლობინის სინთეზის პროცესში. დარიშხანის ნაერთების მცირე რაოდენობით მიღება აძლიერებს სისხლმბადი ორგანოების მუშაობას (ღვიძლი, ელენთა, ძვლის ტვინი, ლიმფური ჯირკვლები). კუჭნაწლავის ზოგიერთი დაავადების დროს უნიშნავენ დარიშხანის შემცველ წყლებს (ვარძია, ავადხარა, მათში დარიშხანის შემცველობა 0,7 –1,5 მგ/ლ). არსენიტის მცირე დოზები გამოიყენება ნერვული აშლილობის, სისხლნაკლებობის, ვენერიული დაავადების დროს.

იქედან გამომდინარე, რომ დღეს დრო საკმაოდ მნიშვნელოვანია, ნებისმიერ ჩვენგანს დააინტერესებს არსებობს თუ არა ორგანიზმში მძიმე მეტალების შემცველობის სწრაფი შეფასების მეთოდი? თმების მულტიელემენტური ანალიზით შესაძლებელია ჯანმრთელობისათვის სასარგებლო და მავნე მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობის განსაზღვრა ორგანიზმში. თმებში გროვდება ჩვენს ორგანიზმში მოხვედრილი ყველა ქიმიური ელემენტი. საკმარისია სულ 5 მგ–თმა, რომ რენდგენ ფლუერესცენტული ანალიზით 10 წთ–ში მიღებულ იქნას ჩვენს ორგანიზმში ელემენტთა ბალანსის “პორტრეტი”.

ვინაიდან მძიმე მეტალებით გარემოს გაჭუჭყიანება სულ უფრო სახიფათო ხდება ადამიანის სიცოცხლისთვის, ამიტომ კარგად უნდა გავითავისოთ, რომ ეკოლოგიას არ აქვს არც გეოგრაფიული და არც პოლიტიკური საზღვრები. ის ერთნაირად მოქმედებს, როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ადამიანებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ტოქსიკური მძიმე მეტალებით გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დასაცავად. ან ჩვენ გავანადგურებთ გაჭუჭყიანების წყაროებს ან ისინი გაგვანადგურებენ ჩვენ.

### ლიტერატურა


1. ნ. ალექსიძე – ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია სტომატოლოგებისათვის. თბილისი, 2005
2. მ. გიორგობიანი, ზ. ზურაშვილი – სამედიცინო–ეკოლოგია გაზეთი–რეზონანსი. 2016.
3. ჟურნალი – ოჯახის მკურნალი. 2013.


## TOXIC SUBSTANCES POLLUTING THE ENVIRONMENT


**Chkhartishvili Nato, Ghvinianidze Natela, Jgeneraia Ana**
Akaki Tsereteli State University


**Summary**


The paper concludes that active circulation of heavy metal in accumulated natural areas is inevitable. In the food chain they create a serious threat. As a result of the scientific technical revolution and urbanization, the

biosphere has been so severely damaged with heavy metals that the human life has appeared in danger.

# შიგა წნევით დატვირთული რბილი ცილინდრული პანელის მდგრადობა

ნოდარ ცირეკიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატიაში წარმოდგენილია შიგა წნევით დატვირთული რბილი უსასრულოდ გრძელი ცილინდრული პანელის მდგრადობის ამოცანა და შეთავაზებულია გაანგარიშების მეთოდიკა რბილი გარსების ტექნიკური თეორიის საფუძველზე,რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ კრიტიკული წნევები მდგრადობის დაკარგვისას, როგორც სიმეტრიული, ისე ირიბადსიმეტრიული ფორმებისათვის*

.

კრიტიკული წნევის ქვეშ მყოფი, რბილი უსასრულოდ გრძელი ცილინდრული პანელი, რომელიც წინასწარ გაჭიმულია და ჩამაგრებულია ორი მსახველის გასწვრივ, არამდგრადია.

რბილი გარსის დაძაბული მდგომარეობა დაყოფილია ძირითად (კრიტიკულამდე) და დამატებით (წარმოქმნილი გამობერვისას ანუ მდგრადობის დაკარგვისას) მდგომარეობებად. დამატებითი დაძაბული მდგომარეობა აღიწერება რბილი გარსების ლინიარიზებულ განტოლებათა სისტემით [1]. რბილი გარსის არამდგრადობის კრიტერიუმს წარმოადგენს, დამატებითი დაძაბული მდგომარეობის ერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის არატრივიალური ამონახსნების არსებობა.

1. **ძირითადი მდგომარეობა.** განიხილება რბილი უსასრულოდ გრძელი ცილინდრული პანელი, წინასწარ გაჭიმული გრძივი მიმართულებით ჩამაგრებული ორი მსახველით და დატვირთული p შიგა წნევით. რბილი გარსის საწყისი გეომეტრია წარმოდგენილია სამი პარამეტრით: $\varphi_0^p, R_0, \varepsilon_{10}$, სადაც $2\varphi_0^p$ არის პანელის ჩამაგრების ცენტრალური კუთხე საწყის მდგომარეობაში; $R_0$-საწყისი რადიუსი, $\varepsilon_{10}$-პანელის წინასწარი დეფორმაცია გრძივი მიმართულებით.

ძირითადი მდგომარეობის გეომეტრიისა და ძალვების განსაზღვრისათვის გამოიყენება განტოლებათა შემდეგი სისტემა:

$$\varepsilon_{20} = \frac{pR_0}{c_{22} - pR_0}; \qquad T_0 = c_{22}\varepsilon_{20};$$

$$\varphi_0 = \arcsin\left(\frac{\sin\varphi_0^p}{1+\varepsilon_{20}}\right); \quad T_{10} = c_{11}\varepsilon_{10}; \qquad (1)$$

$$R = R_0\left(1+\varepsilon_{20}\right),$$

სადაც $c_{11}$ და $c_{22}$-გარსების სიხისტეებია გრძივი და წრიული მიმართულებებით, ხოლო $2\varphi_0$-პანელის ჩამაგრების ცენტრალური კუთხეა დეფორმირებულ მდგომარეობაში.

(1) სისტემა წარმოადგენს სრულ განტოლებათა სისტემას, რომლითაც აღწერილია რბილი გარსების ძირითადი დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

2. **დამატებითი მდგომარეობა.** დამატებითი მდგომარეობის აღწერისათვის გამოიყენება რბილი გარსების ლინეარიზებულ განტოლებათა სისტემა, რომლის ამონახსნს აქვს შემდეგი სახე:

$$u(\varphi,x)=u_1(\varphi)\cos\lambda\frac{x}{R};$$
$$v(\varphi,x)=v_1(\varphi)\sin\lambda\frac{x}{R}; \qquad (2)$$
$$w(\varphi,x)=w_1(\varphi)\sin\lambda\frac{x}{R},$$

სადაც $\lambda$ - გრძივი მიმართულებით ტალღის წარმოქმნის უგანზომილებო პარამეტრია, ხოლო u, v, w - გარსის ზედაპირის წერტილის სრული გადაადგილება მერიდიანული, წრიული და ნორმალის მიმართულებებით შესაბამისად.

(2) შევიტანოთ (1)-ში, მივიღებთ ჩვეულებრივ ერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას:

$$\frac{d^2u_1}{d\varphi^2}=\frac{c_{11}\lambda^2u_1}{c_{33}+T_{20}}-\frac{\lambda(T_{10}+c_{33})}{c_{33}+T_{20}}\frac{dv_1}{d\varphi}+\frac{\lambda(T_{20}-T_{10})}{c_{33}+T_{20}}w_1; \qquad (3)$$
$$\frac{d^2v_1}{d\varphi^2}=\frac{\lambda(c_{33}+T_{20})}{c_{22}}\frac{du_1}{d\varphi}+\frac{\lambda^2(c_{33}+T_{10})}{c_{22}}v_1-\frac{dw_1}{d\varphi};$$
$$\frac{d^2w_1}{d\varphi^2}=\frac{c_{22}}{T_{20}}\frac{dv_1}{d\varphi}+\frac{c_{22}+T_{10}\lambda^2-T_{20}}{T_{20}}w_1,$$

სადაც $c_{33}$ -სიხისტე ძვრაზე.

სასაზღვრო პირობები გამოსახავს ჩამაგრების გასწვრივ გადაადგილებების არარსებობას და ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\varphi=\varphi_o;\quad u_1=v_1=w_1=0;\quad \varphi=2\pi-\varphi_o;$$
$$u_1=v_1=w_1=0;$$

(3) განტოლებათა სისტემა გადავწეროთ მატრიცული სახით:

$$\frac{dy}{d\varphi}=A(\lambda,p)y, \qquad (4)$$

სადაც $y$ -ვექტორი სვეტი, რომლის კომპონენტებია

$$u_1,v_1,w_1,\frac{du_1}{d\varphi},\frac{dv_1}{d\varphi},\frac{dw_1}{d\varphi},$$ ხოლო A - მატრიცა $6\times 6$.

სასაზღვრო პირობებს აქვს სახე

$$c_o y(\varphi_o)=0; \qquad (5)$$
$$c_1 y(2\pi-\varphi_o)=0; \qquad (6)$$

სადაც $c_o$ და $c_1$ -მატრიცები $3\times 6$.

გარსი არამდგრადია, თუ სასაზღვრო ამოცანას, (4) ერთგვაროვან განტოლებათა სისტემისათვის, სასაზღვრო პირობებით (5) და (6), აქვს არატრივიალური ამონახსნი.



ნახ.1

სასაზღვრო ამოცანის ამოხსნისათვის გამოყენებული იქნა ს.კ.გოდუნოვის ორთოგონალიზაციის მეთოდი. სასაზღვრო ამოცანის ნეტრივიალური ამონახსნის არსებობისათვის აუცილებელი და საკმარისია, რომ მატრიცის მსაზღვრელი ტოლი იყოს ნულის.

$$D=(p,\lambda)=0. \qquad (7)$$

(7) პირობა წარმოადგენს არაწრფივ განტოლებას p და $\lambda$ პარამეტრების მიმართ, რომლის ამოხსნისათვის გამოყენებულ იქნა ნიუტონის მეთოდი.

3. **გაანგარიშების შედეგები.** მაგალითისათვის განხილულ იქნა რბილი გარსი უსასრულო სიგრძის, რომელიც ჩამაგრებულია მსახველის გასწვრივ. გარსის საწყისი გეომეტრია წარმოდგენილია სამი პარამეტრით:

$$\varphi_o^p=0^o;\quad \varepsilon_o=0,02;\quad R_o=4\ \text{სმ}.$$

გაანგარიშების შედეგად დადგენილი იქნა, რომ რბილ ცილინდრულ გარსს შეიძლება ჰქონდეს მდგრადობის დაკარგვის როგორც სიმეტრიული, ასევე ირიბად სიმეტრიული ფორმები. ნახ.1-ზე ნაჩვენებია დამოკიდებულება წნევის უგანზომილებო სიდიდესა $\bar{p}=\frac{pR_o}{c_{11}}$, რომლის მოქმედების შედეგად წარმოიქმნება წონასწორობის მეზობელი ფორმები, და გრძივი მიმართულებით ტალღის წარმომქმნელ პარამეტრს $\lambda$ შორის, როცა $c_{11}=0,25$ კგძ/სმ, $c_{33}=1$ კგძ/სმ, $c_{22}=5$ კგძ/სმ. კრიტიკული წნევა განისაზღვრება, როგორც ყველაზე უმცირესი მიღებული წნევათაგან. ნახაზზე მთლიანი წრფით გამოსახულია მდგრადობის დაკარგვის ირიბადსიმეტრიული, ხოლო წყვეტილით - სიმეტრული ფორმები.

### ლიტერატურა


1. ცირეკიძე ნ.დ. პნევმატური სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშება. II საერთაშორისო კონფერენცია „მექანიკის არაკლასიკური ამოცანები", შრომები, ქუთაისი 2012, გვ. 263-267.


## STABILITY OF THE SOFT CYLINDRICAL PANEL BURDENED BY INNER PRESSURE


**Nodar Tsirekidze**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

The paper deals with the problem of stability of soft unlimited long cylindrical panel and there is given the methodology of its calculation on the basis of technical theory of soft covers, that will enable us to determine critical pressures while losing stability, for both symmetrical and indirect-symmetrical forms.

# ბრუნვითი რბილი გარსების გაანგარიშება

ნოდარ ცირეკიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ჰაერის შიგა ჭარბი წნევით და ნებისმიერი გარე ძალებით დატვირთული ბრუნვითი რბილი გარსის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრას.*

ბრუნვითი რბილი გარსის დეფორმაციები უმრავლეს შემთხვევაში მცირეა, მაგრამ როდესაც იგი დატვირთულია $p_o$ შიგა ჭარბი წნევით და ნებისმიერი გარე ძალებით, გარსის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრის ამოცანა წარმოადგენს გეომეტრიულად არაწრფივს. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს ავაგოთ გარსის დეფორმირებული ფორმა. ამ ამოცანის ამოხსნისათვის მისაღები გამოდგა რბილი გარსების ტექნიკური თეორია [1], რომლის განტოლებები მიღებული იქნა გეომეტრიულად არაწრფივი დამოკიდებულებების ლინეარიზაციით, რამაც საშუალება მოგვცა, ერთის მხრივ, გავამარტივოთ საერთო სქემა არაწრფივ მიდგომასთან შედარებით, მეორეს მხრივ, გავითვალისწინოთ რბილი გარსის დეფორმაციის თავისებურებები მისი ჩამაგრების ზონაში, საყრდენი კონტურის გასწვრივ.

ბრუნვითი რბილი გარსების ტექნიკური თეორიის წონასწორობის განტოლებებს აქვთ შემდეგი სახე:

$$\begin{gathered}
\frac{T_2}{r}\cos\Theta-\frac{\partial(T_1 r)}{rR_1\partial\Theta}-\frac{\partial S}{r\partial\beta}-T_{20}\frac{\vartheta_1}{R_2}-\frac{\partial(T_{10}r\varepsilon_2)}{rR_1\partial\Theta}-T_{20}\frac{\partial\gamma_2}{r\partial\beta}+T_{20}\varepsilon_1\frac{\cos\Theta}{r}=q_1;\\
-\frac{\partial T_2}{r\partial\beta}-\frac{\partial(Sr)}{rR_1\partial\Theta}-S\frac{\cos\Theta}{r}-T_{10}\frac{\vartheta_2}{R_1}-T_{20}\frac{\partial\varepsilon_1}{r\partial\beta}-\frac{\partial(T_{10}r\gamma_1)}{rR_1\partial\Theta}-T_{20}\frac{\cos\Theta}{r}\gamma_2=q_2; \quad (1)\\
\frac{T_1}{R_1}+\frac{T_2}{R_2}+\frac{\partial(T_{10}r\vartheta_1)}{rR_1\partial\Theta}+T_{20}\frac{\partial\vartheta_2}{r\partial\beta}-T_{10}\frac{\varepsilon_1}{R_1}-T_{20}\frac{\varepsilon_2}{R_2}=P_o+q_3,
\end{gathered}$$

სადაც $\Theta,\beta$ - კუთხური კოორდინატები (ნახ.1); $R_1,R_2$ – გარსის სიმრუდის მთავარი რადიუსები; $r=R_2\cos\Theta$ - განივი კვეთის წრის რადიუსი; $T_1,T_2,S$ - სრული შიგა ძალვები; $T_{10},T_{20}$ - ძირითადი დაძაბული მდგომარეობის ძალვები, რომელთა მიმართაც განხორციელდა ლინეარიზაცია, მათ სიდიდეებს ვპოულობთ გარსების უმომენტო წრფივი თეორიით მხოლოდ შიგა $p_o$ ჭარბი წნევის მოქმედებისას:

$$\frac{d(T_{10}r)}{R_1 \partial\Theta} - T_{20}\cos\Theta = 0;$$
$$\frac{T_{10}}{R_1} + \frac{T_{20}}{R_2} = p_o; \quad (2)$$

$q_1, q_2, q_3$ - გარე განაწილებული დატვირთვის მდგენელები;

$\varepsilon_1, \varepsilon_2, \gamma_1, \gamma_2, \vartheta_1, \vartheta_2$ - წრფივი, კუთხური დეფორმაციები და გარსის ნორმალის მობრუნების კუთხეები.

ნაშრომში გამოიყენება ჰუკის განზოგადოებული კანონის წრფივი დამოკიდებულებები და სასაზღვრო პირობები ღერძსიმეტრიული ძირითადი მდგომარეობისათვის. ბრუნვითი რბილი გარსების რიცხვითი გაანგარიშებისათვის შედგებილი იქნა ალგორითმი სასრულ სხვაობათა მეთოდის გამოყენებით [2].




ნახ.1

განვიხილოთ (1) განტოლებათა სისტემის ამოხსნის თანმიდევრობა. იგულისხმება, რომ გარე დატვირთვა შეიძლება დაიშალოს ჰარმონიულ მწკრივად, მაშინ რბილი გარსების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ყველა პარამეტრი აგრეთვე დაიშლება შესაბამის მწკრივებად. შესაბამისი ჩასმების შედეგად შეიძლება გადავიდეთ განტოლებებზე გარსის გადაადგილებების მიმართ, რომლებიც $n$-ური ჰარმონიკისათვის მატრიცული ფორმით ჩაიწერებიან შემდეგი სახით:

$$[A1]\frac{d^2\{U\}}{d\alpha^2} + [A2]\frac{d\{U\}}{d\alpha} + [A3]\{U\} = \{P\}; \quad (3)$$

$$[B1]\frac{d\{U\}}{d\alpha} + [B2]\{U\} = \{P^{b}\}, \quad (4)$$

სადაც $\alpha$ - მერიდიონალური კოორდინატი $(d\alpha = R_1 d\Theta)$;

$\{u\} = (u_n, v_n, w_n)^T$ -გადაადგილების ვექტორ-სვეტი; ($T$-ინდექსი აღნიშნავს ტრანსპონირების ოპერაციას);

$\{P\} = (q_{1n}, q_{2n}, q_{3n})^T$ - გარე დატვირთვის ვექტორი-სვეტი;

$[A1],[A2],[A3],[B1],[B2]$ - მატრიცები [2].

(3) და (4) განტოლებათა სისტემების ამოხსნა წარმოებს რიცხვითი მეთოდით, კერძოდ, სასრულ სხვაობათა მეთოდით. შედეგად მივიღებთ ლენტური სტრუქტურის ალგებრულ განტოლებათა სისტემას, რომლის ამოსახსნელად ვიყენებთ მატრიცული გარეკვის მეთოდს, რომელიც წარმოადგენს გაუსის მეთოდის ნაირსახეობას. უცნობი გადაადგილებები განისაზღვრება საძიებელ წერტილებში ბიჯის მიხედვით შემდეგი სახით:

$$\{U\}_i = \{X\}_i + [Y]_i \{U\}_{i+1} . \quad (5)$$

ჩაწერის ასეთი ფორმა შესაძლებლობას გვაძლევს რეკურენტული დამოკიდებულებანი გარეკვის ვექტორისათვის და $\{X\}_i, [Y]_i$ მატრიცებისათვის, ხოლო ამოხსნის პროცესი იყოფა ორ ეტაპად: პირდაპირი სვლის დროს ყოველი წერტილო-

სათვის პოულობენ $\{X\}_i$ ვექტორს და მატრიცას $[Y]_i$, ხოლო უკუსვლისას - გადაადგილების ვექტორს (5) ფორმულით.

ასეთი ალგორითმის საფუძველზე შედგა პროგრამა და მოხდა სამშენებლო სფერული პნევმოქარგილის რბილი გარსის გაანგარიშება. სფეროს რადიუსი $R = 5$ მ; გარსის მასალის სისქე $h = 1{,}17 \cdot 10^{-3}$ მ; დაყვანილი დრეკადობის მოდული გაჭიმვაზე $Eh = 5 \cdot 10^5$ ნ/მ; პუასონის კოეფიციენტი $\mu = 0{,}3$; რკინაბეტონის სისქე $\delta = 2{,}5 \cdot 10^4$ ნ/მ³. არმირებული ბეტონის მასისაგან დატვირთვა $q = \gamma\delta = 1{,}25 \cdot 10^3$ ნ/მ²; ჰაერის შიგა ჭარბი წნევა $p_o = 5 \cdot 10^3$ ნ/მ². გაანგარიშებები შესრულდა უგანზომილებო სიდიდეების გამოყენებით: $\frac{Eh}{p_o R} = 20$; $\frac{q}{p_o} = 0{,}25$. გარსის გადაადგილებების და ძალვების გრაფიკები მოცემულია ნახ.2 და ნახ.3-ზე. თანაც წყვეტილი ხაზებით გამოსახულია, როდესაც პნევმოქარგილის რბილი გარსი დატვირთულია მხოლოდ შიგა ჭარბი წნევით $p_o$, უწყვეტი ხაზით - დატვირთულია $(p_o + q)$-თი.




ნახ.2




ნახ.3

ლიტერატურა

1. Цирекидзе Н.Д. Напряженно-деформированное состояние мягкой оболочки пневмоополубки в виде сферического сегмента. В книге: Труды Международная конференция «Некласические задачи механики», Кутаиси 2007.
2. Усюкин В.И., Терещенко В.А., Борсов Р.Г. Разностные методы решения двумерных задач статики мягких оболочек - В книге: Расчет пространственных конструкции. Вып.18,М., 1979, с.69-84.

**CALCULATION OF ROTARY SOFT COVER**

**Nodar Tsirekidze**
**Akaki Tsereteli State Universiy**

**Summary**

The paper deals with defining the tensed-deformed condition of rotary soft cover which is loaded by air inner overpressure and any kind of outer forces.

# სამეურნეო ოპერაციების ეკონომიკური შინაარსით აღრიცხვა და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

დეზდემონა მაღლაკელიძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**E-mail: dezimaglakelidze@mail.ru**

ნათელა ვაშაკიძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ხარისხობრივი მახასიათებელია სამართლიანი წარდგენა. რაც ნიშნავს წარდგენილი ინფორმაცია არის სრული, ნეიტრალური და არ შეიცავს შეცდომებს. მაგრამ ფინანსურ ანგარიშგების ინფორმაციის გარკვეული ნაწილი დაკავშირებულია არასამართლიანი წარდგენის რისკთან. ეს, ერთის მხრივ, განპირობებულია შესაფასებელი ოპერაციებისა და მოვლენების განსაზღვრის თანდაყოლილი სირთულით და მეორეს მხრივ, დაკავშირებულია შეფასებისა და წარდგენის მეთოდოლოგიის შემუშავებასა და გამოყენებასთან.*

*ფინანსურ ანგარიშგების ინფორმაციის საიმედოობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მოთხოვნაა შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპი, რომლის თანახმად ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაცია სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ აუცილებელია აისახოს შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის, და არა მხოლოდ სამართლებრივი ფორმის შესაბამისად. სამეურნეო ოპერეციის ასახვა მისი ეკონომიკური შინაარსით ნიშნავს გარიგებების შედეგების სწორ (რეალურ) კლასიფიცირებას, მისი გავლენის დადგენას აქტივებსა და ვალდებულებებზე და მათ ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საიმედოობას.*

*ოპერაციები და მოვლენები, რომელთა იურდიული ფორმა ხშირად განსხვავდება ეკონომიკური შინაარსისაგან ასეთია სასაქონლო და ფაქტორინგული ოპერაციები, პრივილეგიური აქციები და კონვერტირებადი სასესხო ვალდებულებების ემისია.*

ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ხარისხობრივი მახასიათებელია სამართლიანი წარდგენა. რაც ნიშნავს წარდგენილი ინფორმაცია არის სრული, ნეიტრალური და არ შეიცავს შეცდომებს. ინფორმაცია, როდესაც ის სრულად და სამართლიანად ასახავს რეალურ ვითარებას, შეიძლება ენდოს მომხმარებელი.

მაგრამ ფინანსურ ანგარიშგების ინფორმაციის გარკვეული ნაწილი დაკავშირებულია არასამართლიანი წარდგენის რისკთან. ეს, ერთის მხრივ, განპირობებულია შესაფასებელი ოპერაციებისა და მოვლენების განსაზღვრის თანდაყოლილი სირთულით და მეორეს მხრივ, დაკავშირებულია შეფასებისა და წარდგენის მეთოდოლოგიის შემუშავებასა და გამოყენებასთან.

ფინანსურ ანგარიშგების ინფორმაციის საიმედოობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მოთხოვნაა შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპი, რომლის თანახმად ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაცია სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ აუცილებელია აისახოს შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის, და არა მხოლოდ სამართლებრივი ფორმის შესაბამისად.

სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შინაარსი ყოველთვის არ შეესაბამება მის სამართლებრივ ფორმას. ხშირად ოპერაციები თავისი შინაარსით არის რთული, ნათლად არ ჩანს გარიგების ჭეშმარიტი შინაარსი და, აქედან გამომდინარე, ძნელია ოპერაციების კომერციული შედეგების დადგენა.(1,32)

განვიხილოთ მაგალითი: დავუშვათ, ერთმა საწარმომ გადასცა მეორეს აქტივი საკუთრების უფლებით. მაგრამ, ხელშეკრულების თანახმად, პირველი საწარმო განაგრძობს ამ აქტივის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებლის ნაწილის მიღებას. ასეთ პირობებში გაყიდვის ოპერაციის აღრიცხვა მისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით არ იქნება მისი ნამდვილი შინაარსის შესაბამისი.

როდესაც ოპერაციის შინაარსი განსხვავებულია ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმისაგან, უნდა დადგინდეს ის ნიშნები, რითაც განისაზღვრება ოპერაციის შინაარსი შესაბამისი ბუღალტრული გატარებებით და შემდეგ მოხდეს მათი ასახვა ფინანსურ ანგაიშგებაში. სამეურნეო ოპერაციის შინაარსის განსაზღვრა ნიშნავს დავადგინოთ, მომხდარი ოპერაცია თავისი შინაარსით არის გაყიდვა, დაფინანსება (სესხის აღება), კაპიტალის წილის შეძენა, ფინანსური იჯარა, დებიტორული დავალიანების ფაქტორინგი თუ სხვა.

ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის დასდგენად, ის უნდა იქნეს განსაზღვრული მთლიანობაში და დადგინდეს მისი კომერციული შედეგი. ბასს 18 “ამონაგები” გვაძლევს რეკომენდაციას, რომ აუცილებელია გარიგების პირობების გაანალიზება იმის დასადგენად, რომ არსებითად გადასცა თუ არა გამყიდველმა საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი მყიდველს და, აქედან გამომდინარე, ხდება ამონაგების აღიარებაც. როდესაც გამყიდველი იტოვებს საკუთრების რისკსა და სარგებელს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების იურდიული უფლება გადაცემულია, ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ შეთანხმებას და არ წარმოქმნის ამონაგებს. კერძოდ, ბასს 18 -ის აღიარების კრიტერიუმები გამოიყენება ცალკე, თითოეული ოპერაციის მიმართ. ხოლო ზოგჯერ აუცილებელია მათი ცალცალკე გამოყენება ერთი და იმავე ოპერაციის დამოუკიდებელი კომპონენტების მიმართ, რათა დადგინდეს ოპერაციის რეალური ბუნება.

მაგალითად, თუ საქონლის სარეალიზაციო ფასში შედის შემდგომი მომსახურების ზუსტად განსაზღვრული თანხა, ეს უკანასკნელი ცალკე გამოიყოფა და მისი შემოსავლების სახით აღიარება მოხდება

აღნიშნული მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში. შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ აღიარების კრიტერიუმების გამოყენება საჭირო იყოს ერთდროულად ორი ან მეტი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოპერაციის მიმართ, თუ შეუძლებელია ამ ოპერაციებიდან მიღებული კომერციული შედეგების გამოცალკევება.

მაგალითად, შესაძლოა საწარმომ გაყიდოს საქონელი, მაგრამ გარიგება ასევე ითვალისწინებდეს ამავე საქონლის უკან შესყიდვას გარკვეული პერიოდის შემდეგ. ცხადია, ასეთი გარიგებით ანულირდება ოპერაციის რეალური შედეგი და ამიტომ, ეს ოპერაცია ერთად უნდა იქნეს განხილული.

ბასს 17 -ში "იჯარა" მითითებულია რომ "იჯარა ფინანსურია თუ ჩვეულებრივი, დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურდიულ ფორმაზე".(2,121) ამდენად, მთავარია იმის გარკვევა - ვისზეა გადაცემული რეალური ფლობის უფლება და შესაბამისად, ეკონომიკური სარგებელი და მასთან დაკავშირებული რისკები. როდესაც ოპერაციის შედეგად სამეურნეო ერთეულს გადაეცემა ყველა მნიშვნელოვანი უფლება აქტივთან დაკავშირებულ სარგებელსა და ამ საგებლისათვის დამახასიათებელ რისკებზე, უნდა მოხდეს აქტივისა და ვალდებულების აღიარება.

საწარმოში აქტივად აღიარებისას დაცული უნდა იყოს აღიარების შემდეგი კრიტერიუმები:

- აკონტროლებს აქტივს,
- ამ აქტივის გამოყენებით შესაძლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში,
- შესაძლებელია სარგებლის საიმედოდ შეფასება.

ჩვენთვის ცნობილია, რომ კონტროლი არის აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოპოვებისა და სხვებისათვის ამ სარგებლის შეზღუდვის უნარი. ეკონომიკური სარგებლი - ესაა აქტივის უნარი, ხელი შეუწყოს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემოსვლას საწარმოში.

რისკი არის მოსალოდნელი შემოსავლების შემცირების ან მოულოდნელი ხარჯების წარმოქმნის შესაძლებლობა (ალბათობა). რისკის წარმოქმნის მიზეზებია: ეკონომიკური მოვლენების განუსაზღვრელობა, რაც ვლინდება შემოსავლების შემცირებაში, ქონების და ფულადი სახსრების დაკარგვაში. როგორც ვიცით საწარმოს კონტროლს არ ექვემდებარება ისეთი რისკ-ფაქტორები, როგორიცაა: საბანკო საპროცენტო განაკვეთი, ბაზარზე საქონლის მოთხოვნა, ფასებისა და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება, კონკურენტული გარემო, ეკონომიკის სტაბილურობა და სხვა.

ვალდებულება რა არის ჩვენთვის ცნობილია, იგი საიმედოდ უნდა იყოს შეფასებული და აღიარდება თუ:

- არსებობს მიმდინარე მოვალეობა,
- მოსალოდნელია საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვლა,
- შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის საიმედოდ შეფასება.

აქტივები და ვალდებულებები მაშინ უნდა აღიარდეს ბალანსში, როდესაც:

- არსებობს საკმარისი მტკიცებულება მათ არსებობაზე,
- შესაძლებელია მათი ფულადი თანხით შეფასება საკმარისი საიმედოობით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეურნეო ოპერეციის ასახვა მისი ეკონომიკური

შინაარსით ნიშნავს გარიგებების შედეგების სწორ (რეალურ) კლასიფიცირებას, მისი გავლენის დადგენას აქტივებსა და ვალდებულებებზე და მათ ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საიმედოობას.

განვიხილოთ ისეთი ოპერაციები და მოვლენები, რომელთა იურდიული ფორმა ხშირად განსხვავდება ეკონომიკური შინაარსისაგან, ესენია სასაქონლო და ფაქტორინგული ოპერაციები, პრივილეგიური აქციები და კონვერტირებადი სასესხო ვალდებულებების ემისია. განვიხილოთ ზოგიერთი სასაქონლო ოპერაცია, რომლის იურდიული ფორმა განსხვავებულია მისი შინაარსისაგან, რომელთა თანახმად აქტივი იურდიულად ასახულია როგორც გაყიდული, ან, პირიქით, როგორც დროებით გადაცემული. მაშინ როდესაც შიინარსობრივად (კომერციულად) ეს ასე არ არის. ასევე წარმოიქმნება გარკვეული იურდიული და კომერციული გაუგებრობა, როდესაც ხდება საქონლის მიწოდება სხვადასხვა პირობით: გაყიდვისა და უკუშესყიდვის პირობით (ქოლ და ფუთ ოფციონი), კოსიგნაციით (დისტრიბუტორებსა და დილერებზე), საბაზროზე მაღალ ან დაბალ ფასებში, გარკვეული პირობების შესრულებით. გარიგების ყველა ასეთი პირობის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს ჭეშმარიტი ეკონომიკური შინაარსი.

განვიხილოთ როდესაც საქონელი იყიდება უკუშესყიდვის შეთანხმებით. ამ შეთანხმების თანახმად ერთი მხარე აქტივს ყიდის ისეთი პირობით, რომელიც გამყიდველს აძლევს უკუშესყიდვის უფლებას რომელიმე მომავალი თარიღისათვის წინასწარ განსაზღვრული ფასით. უკუშესყიდვის შეთანხმებას შეიძლება მრავალი ფორმა ქონდეს, მაგალითად, უპირობო ვალდებულება ორივე მხარისათვის, ქოლ ოფციონი ან ფუთ ოფციონი. უკუშესყიდვის (ოფციონის) ფასი ცვალებადია და დამოკიდებულია საწყისს ფასსა, აქტივის ფლობის პერიოდის ხანგრძლივობასა, საბაზრო ფასის ცვლილებასა და სხვა ფაქტორებზე. ამ დროს მთავარია იმის დადგენა ოფციონი რეალურია თუ არა. თუ აშკარაა ოფციონის განხორციელება, მაშინ თავისი არსით ეს ოპერაცია არის კრედიტორისათვის სესხის დაბრუნება. სესხის უკუშესყიდვის ფასი დაფარავს თავდაპირველი “გაყიდვიდან ამონაგებს” და მყიდველს მისცემს უკუგებას გამყიდველზე გასესხებული სახსრებიდან. როგორც ვხედავთ ოფციონი არის დაფინანსების ოპრაცია და ასეც უნდა აისახოს. როდესაც პრაქტიკულად ნათელია ან მაღალია იმის ალბათობა, რომ ოფციონი არ განხორციელდება, ანუ საქმე გვაქვს არარეალურ ოფციონთან, ასეთი ოფციონი არ უნდა განიხილებოდეს შინაარსის შესაფასებლად.

განვიხილოთ მაგალითი: უზრუნველყოფილ სესხზე

საწარმომ მიყიდა შენობა ბანკს 800 000 ლარად, რომლის საბაზრო ფასია 1300 000 ლარია. საწარმოს აქვს ოფციონის უფლება - სამი წლის შემდეგ უკან შეისყიდოს შენობა, ოფციონის ფასია: გაყიდვის თავდაპირველი ფასი პლიუს ყოველწლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი - 13%-ის ოდენობით, ხოლო ოფციონის ვადაზე ადრე განხორციელების შემთხვევაში - ჯარიმა შენობის შეძენის 1%-ის ოდენობით.

გარიგების პირობებიდან გამომდინარე, აშკარაა რომ ოფციონი განხორციელდება და შინაარსით ეს არის შენობით

უზრუნველყოფილი სესხი და ასეც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

განციხილოთ კოსიგნაცია გაყიდვა საშუამავლო როლის შემსრულებელ კომისიონერებზე.

კოსიგნაციური საქონელი არის სასაქონლო-მატერიალური ფასულობა, რომელიც იურდიულად ეკუთვნის მიმწოდებელს, მაგრამ ფლობს გარიგებაში მონაწილე მიმღები მხარე ისეთი პირობით, რომელიც მას უფლებას აძლევს გაყიდოს სასაქონლო-მატერიალური ფასულობა ან დაუბრუნოს არარეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასულობა მის იურდიულ მესაკუთრეს.

იურდიულ საკუთრების უფლების გადაცემა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დროს, მაგალითად გარკვეული პერიოდის (რამდენიმე თვის) შემდეგ ან გაყიდვის დროს. გასაყიდი ფასი შეიძლება განისაზღვროს მიწოდებისას ან იცვლებოდეს მიწოდებასა და გაყიდვას შორის პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით. არსებობს ასევე სხვა პირობებიც: დილერის მიერ დეპოზიტის გადახდა, შენახვის, რეკლამის, დაზღვევის ხარჯების გაღება, დილერის ან მიმწოდებლის მიერ.

შეთანხმება უნდა გაანალიზდეს და დადგინდეს მოხდა თუ არა დილერის მიერ შეძენა საკუთრების იურდიული უფლების გადაცემამდე. ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანია, რომელი მხარე ეწევა სასაქონლო-მატერიალური ფასულობასთან დაკავშირებულ რისკებს და ღებულობს სარგებელს.

სარგებელის მიღება

- გაყიდვით
- გამოყენებით
- იზოლირებით მწარმოებლის მიერ დაწესებული ფასის ზრდისაგან.

ძნელად რეალიზებადობასა და ფინანსური დანახარჯების რისკებია:

- გაყიდვიდან ზარალის მიღება
- მორალური დაძველება
- რეკლამის, შენახვისა და დაზღვევის ხარჯები
- ფასის ზრდა

განვიხილოთ მაგალითი: კოსიგნაცია, დაუშვათ გამყიდველმა საწარმომ დადო ხელშეკრულება მყიდველ საწარმოსთან დილერთან კოსიგნაციით კონდიციონერების ერთ-ერთი მოდელის 100 ცალის მიწოდებაზე. ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგ პირობებს: გამყიდველი რჩება საქონლის იურდიულ მფლობელად და არ არეგულირებს საქონლის გასაყიდ ფასს. მყიდველს იურდიული უფლება საქონლის მფლობელობაზე გადაეცემა მაშინ, როდესაც ის დადებს ხელშეკრულებას საქონლის გაყიდვაზე მესამე მხარესთან, არა აქვს უფლება მოითხოვოს საქონლის უკან დაბრუნება და მიწოდებიდან 7 თვის შემდეგ ვალდებულია გაუყიდავი საქონელი შეისყიდოს ფიქსირებული საქარხნო ფასით, საქონლის ფლობის თარიღიდან იხდის იჯარის ქირას ყოველ კონდიციონერზე მის გაყიდვამდე, აქვს უფლება საქონელი გამოიყენოს ნებისმიერი დანიშნულებით, ხელშეკრულებით გაიღოს საქონლის შენახვის, რეკლამის და დაზღვევის ხარჯები.

როგორ უნდა აისახოს ეს ოპერაცია?

ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ იურდიული მფლობელია მწარმოებელი ანუ გამყიდველი საწარმო. მაგარამ აქ უნდა დავადგინოთ მთავარი: ვინ ეწევა საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსძნელადრეალიზებადობას და ხარჯებს. შინაარსიდან ჩანს რომ მყიდველის დილერის რისკია: ვალდებულება - 7 თვის შემდეგ შეისყიდოს გაუყიდავი საქონელი,

იჯარის ქირის გადახდა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს გაყიდვის შეთანხმებათან, ხოლო საიჯარო ქირა შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც შესყიდვის ფასზე სასესხო საპროცენტო განაკვეთი საქონლის ღირებულების დაგვიანებით გადახდისათვის. მყიდველი ასევე ეწევა შენახვისა და დაზღვევის ხარჯებს. დილერის სარგებელია: საქონლის შესყიდვის ფიქსირებული საქარხნო ფასი, რომელიც დამოკიდებულია მიწოდების თარიღზე და არა საკუთრების იურდიული უფლების გადაცემის თარიღზე. რადგან დილერს ეკუთვნის რისკები, ასევე სარგებელი, მან ბალანსში უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება, იმის მიუხედავად რომ მიწოდების მომენტში არ არის საქონლის იურდიული მესაკუთრე, ხოლო მომწოდებელმა უნდა აღიაროს შემოსავალი და მოთხოვნა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნ. კვატაშიძე, კორპორაციული ანგარიშგება, თბ. 2012
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები; ოფიციალური დოკუმენტები, გამოცემული 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ნაწილი 1 თბილისი 2015.

## ACCOUNTING AND REFLECTING FINANCIAL STATEMENTS OF ECONOMIC OPERATIONS IN FINANCIAL STATEMENTS

**Dezdemona Maghlakelidze**
**Akaki Tsereteli State University**
**Natela Vashakidze**
**Akaki Tsereteli State University**

**Summary**

One of the qualitative features of financial reporting is fair presentation, Which means the submitted information is complete, neutral and does not contain any errors. But some part of the financial reporting information is related to the risk of unfair submission. This, on the one hand, is based on the inherent difficulty of determining assessment operations and events and, on the other hand, is related to the development and use of assessment and submission methodology.

One of the requirements for securing information on financial statements is the principle of excellence on the basis of which the information to be submitted to the financial statements on economic operations and events must be reflected in the content and economic reality, and not only in the form of legal forms. The economic performance reflects its economic contents by classifying the actual (real) of the results of the transactions, determining its influence on assets and liabilities, and reflecting the criteria of recognition in the financial statements that ensures the reliability of the information. Operations and events whose juridical form often differs from the economic content is the commodity and factoring operations, privilege shares and the emoluments of the convertible liabilities.

# ნეიროპედაგოგიკური მიდგომები სწავლებაში

ბაკურ ონიანი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**E-mail:** bakur.oniani@atsu.edu.ge

*ნეიროპედაგოგიკური მიდგომა სწავლებაში გულისხმობს ტვინის შემსწავლელი მეცნიერებების, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ბიოქიმიის და სხვა მეცნიერებათა უახლესი მიღწე-*

*ვების გათვალისწინებას სწავლების ტექნოლოგიებში. ემოციების, მეხსიერების ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების, ტვინის თავისებურებების, კვების, ჯანმრთელობის, ფიზიკური აქტივობის, დასვენების და სხვა საკითხების მნიშვნელობის გათვალისწინებას სწავლებაში.*

დასწავლის ნერვულ–მოლეკულური და ბიოქიმიური მექანიზმების გათვალისწინებით ტვინის განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება ახალ შესაძლებლობებს ქმნის სწავლების ტექნოლოგიებში. ტვინის განვითარებაზე დაფუძნებული სწავლების მოთხოვნებს ბევრი თანამედროვე მეთოდი შეესაბამება, თუმცა სწავლების ბევრი ფორმა და მიდგომა საჭიროებს ნეიროპედაგოგიკის პრინციპების გათვალისწინებას.

ნეიროპედაგოგიკა ახალი, სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა პედაგოგიკაში. ის ტვინის განვითარებაზე დაფუძნებულ სწავლებაში ეფუძნება პედაგოგიკის ნეირომეცნიერებების, ენდოკრინოლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვა მეცნიერებების მიღწევებს. მისი მიზანია ტვინის შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა სწავლების პროცესში. დასწავლის დროს გრძნობათა ორგანოების (მაგ. მხედველობის, სმენის და სხვა) საშუალებით თავის ტვინის შესაბამის ცენტრებში შედის ინფორმაცია სუნის, ფერის, გემოს და სხვა მახასიათებლების შესახებ. ტვინის შესაბამის ცენტრებში ხდება ნეირონების ერთდროლი აგზნება და იქმნება ერთგვარი წრედი. ამ ნეირონების ხანგრძლივი აგზნება მიიღწევა ძლიერი შთაბეჭდილებით. ინფორმაციის აღსადგენად საკმარისია წრედის ერთ–ერთი ნეირონის აგზნება, რომელიც ჩართავს მთელ წრედს [1]. სწავლების მეთოდებში უფრო შედეგიანია ის, რომელიც ახერხებს პროცესში მხედველობის, სმენის, შეხებისა და სხვა სენსორული სისტემების ჩართვას. ასეთი მეთოდებით მიიღწევა ტვინის განსაზღვრული ცენტრების სტიმულირება და ურთიერთკავშირი. ასეთი მიდგომების შესწავლა ნეიროპედაგოგიკის მიზანია.

ბავშვის ტვინში მნიშვნელოვანი ანატომიური ცვლილებები ხდება 3–დან 15 წლამდე პერიოდში. ცალკეული პერიოდები სწრაფი ცვლილებებით ხასიათდება. 6 წლამდე სწრაფად იზრდება ტვინის ფრონტალური ნაწილი, რომელთანაც ყურადღების კონცენტრაციისა და მოქმედებათა დაგეგმვის უნარებია დაკავშირებული. 6 წლიდან სწრაფად ვითარდება ბავშვის ენობრივი და მოტორული უნარები, რაც ტვინის შესაბამის ცენტრების განვითარებასთან არის დაკავშირებული. მოზარდობის ასაკში ვითარდება ტვინის გონებრივი და ემოციების რეგულაციების ცენტრები. აზროვნების უნარების თანდათან განვითარება ტვინის განვითარებას უკავშირდება. მოზარდობის ასაკს მკვეთრი ფიზიკური განვითარება ახლავს თან, რაც ძირითადად სისხლში ჰორმონების მოზღვავებითაა გამოწვეული. მოზარდში ჰორმონების ბალანსი მისი ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებებსაც განსაზღვრავს, თუმცა ეს უკანასკნელი სოციალურ ფაქტორებზეც არის დამოკიდებული. სტრესი, დაძაბულობა, კვება, სიხარული გავლენას ახდენს ჰორმონების გამომუშავებასა და ბალანსზე [2].

რელევანტურად შერჩეული მეთოდები და მიდგომები უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის ტვინის განვითარების თავისებურებებს, რასაც ბევრი პროგრესული სკოლა ახერხებდა. მაგ. მონტესორის სკოლაში 12–15 წლის ბავშვებს, რომელთა ორგანიზმში ძლიერი ჰორმონალური ცვლილებები ხდება და ახასიათებთ ფსიქოემოციური არასტაბილურო-

ბა (შესაბამისად უჭირთ სწავლაზე კონცენტრირება), არ აძალებდნენ და უმცირებდნენ ინტელექტუალურ სამუშაოს, ხელს უწყობდნენ დადებითი ემოციების გენერაციას. 15 წლის შემდეგ, როცა მოზარდის განვითარება ფსიქოფიზიკური სტაბილურობის მიმართულებით მიდის, გონებრივ დატვირთვებს უზრდიდნენ მათ.

ნეიროპედაგოგიკა ხაზს უსვამს ემოციების როლს სწავლებაში. ემოცია ხელს უწყობს სწავლას და დამახსოვრებას. ტვინი ხანგრძლივად ინახავს ემოციების აღმძვრელ მოვლენებს. დადებით ემოციებს ორგანიზმში აღძრავს სიამოვნების ჰორმონები: კანაბინოიდები, მორფინები, ოპოიდები. ეს ჰორმონები ჩვენს ორგანიზმში წარმოქმნილი ნარკოტიკებია. აღმოჩნდა, რომ ეს ჰორმონები განაპირობებს თავის ტვინში სინაპსური კავშირების მდგრადობას, შესაბამისად ხელს უწყობს დამახსოვრებას. ზოგიერთი მედიატორი ჰორმონი, რომელიც შიშისა და მღელვარების დროს გამომუშავდება, ბლოკავს ხანგრძლივ მეხსიერებაში ინფორმაციის გადასვლას, შესაბამისად ხელს უშლის დამახსოვრებას. ემოციების მართვასთან დაკავშირებული ტვინის ცენტრი ამიგდალა შიშის და მღელვარების დროს ბლოკავს ინფორმაციას [3].

ნეგატიური ემოციების მიღების ფონზე ტვინში იბლოკება დამახსოვრების და ანალიზის პროცესი. სწავლება დადებითი ემოციების გამომწვევი სიტუაციების ფონზე სიამოვნებას ანიჭებს მოსწავლეს. ამ დროს ტვინს მიეწოდება ბედნიერების ჰორმონი დოფამინი. დოფამინთან შეჩვევისას ორგანიზმი ითხოვს მის შენარჩუნებას გარკვეულ დონეზე. სისხლში მისი დონის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა სტრესმა. ენდორფინები (ბედნიერების ჰორმონები) აღაგზნებს სიამოვნების ცენტრს. რაც მეტი ენფორფინია სისხლში, მით ბედნიერია ადამიანი. სისხლში მათი დონის აწევას ხელს უწყობს ფიზიკური დატვირთვა და სპორტი. ამიტომ მოზარდის ფიზიკური და გონებრივი დატვირთვის სწორი ბალანსი ნეიროპედაგოგიკური მიდგომაა. ფიზიკური ვარჯიშები ხელს უწყობს ბავშვის სუნთქვის, გულსისხლძარღვთა, კუნთოვანი და სხვა ორგანოთა სისტემების განვითარებას, ორგანიზმში ენერგეტიკული ცვლის სტაბილიზაციას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ტვინის მუშაობის ენერგიით უზრუნველყოფისთვის. სისხლში ენდორფინების მომატება შეუძლია მუსიკას. შესაბამისად სწავლებაში მნიშვნელოვანია მუსიკით გამოწვეული ემოციები.

კოგნიტურ პროცესებთან ემოციების მჭიდრო კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ემოციების მართვას ტვინზე დაფუძნებულ სწავლებაში. აუცილებელია მასწავლებელმა იცოდეს და ბავშვებს ასწავლოს ემოციების და საკუთარი გრძნობების მართვა.

მეხსიერების ნერვული მექანიზმების მიხედვით თავის ტვინში ინფორმაცია ძირითადად სმენის, მხედველობის და სხვა ანალიზატორებით შედის, რომელთა გააქტივებას ახდენს ვერბალური, დემონსტრირების, პრაქტიკული და სხვა მეთოდები, რომელთა საშუალებით მიიღწევა რეცეპტორების, თავის ტვინის შესაბამისი ცენტრის და ეფექტორი ორგანოს ამოქმედება. ამიტომ რელევანტურად შერჩეული მეთოდების გამოყენების დროს საქმე გვაქვს ტვინის განვითარებასთან დაკავშირებულ სწავლებასთან. ნეიროპედაგოგიკური მიდგომაა ცნებათა კოგნიტური საფუძვლების შექმნა, მისი თანდათან განვითარება, კონსტრუქტი-

ვისტული მეთოდების გამოყენება და საერთოდ სკაფოლდინგის გამოყენება.

სწავლების ნაკლებეფექტური ფორმაა ტრადიციული ლექცია, თუ დაცული არ არის უწყვეტი პრეზენტაციის ხანგრძლივობა (რომელიც არ უნდა აჭარბებდეს 20 წთ–ს), თუ არ არის გამოყენებული დაყოფით სწავლა, პროვოცირება, არსებული ცოდნის გახსენება, დისკუსია და სხვა მეთოდები. ნეიროპედაგოგიკური ახსნა აქვს დაზეპირებას, როგორც ნაკლებეფექტურ სტრატეგიას. თუ დაზეპირებული ინფორმაციის გაგება–გააზრება ვერ ხერხდება, ის მეხსიერებაში ლაგდება უსისტემოდ, ქაოსურად და მას ტვინი ახალი ცოდნის კონსტრუირებისას საფუძვლად ვერ იყენებს.

ნეიროპედაგოგიკა არის განათლების ახალი ხედვა, რომელიც დამყარებულია თავის ტვინის მუშაობის კვლევის უახლეს შედეგებზე, აერთიანებს ცოდნას ნეიროფიზიოლოგიის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ბიოქიმიის სფეროში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნეიროპედაგოგიკური მიდგომა სწავლებაში გულისხმობს შემდეგს:

— შექმენით სასწავლო გარემო ძლიერი სტრესების გარეშე. ზოგიერთი ავტორის აზრით მსუბუქი სტრესი ამაღლებს მოტივაციას, ხელი შეუწყვეთ დადებითი ემოციების გენერირებას, ურთიერთნდობის, კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნას.

— გაზარდეთ თქვენი შესაძლებლობები ემოციების მართვის სფეროში, დაეხმარეთ ამაში მოსწავლეებს. გაიღრმავეთ ცოდნა თავის ტვინის მეხსიერებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ პროცესებზე. მასწავლებელმა უნდა იცოდეს როგორ იმახსოვრებს, აანალიზებს და იხსენებს ტვინი ინფორმაციას.

— სწავლის მეთოდები/სტრატეგიები დაუკავშირეთ მოსწავლის ტვინის განვითარებას. დააკვირდით მოსწავლეთა კოგნიტურ თავისებურებებს.

— ბავშვის ყურადღების კონცენტრაციის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ასაკზე, შესაბამისად სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის უწყვეტი პრეზენტაციის ხანგრძლივობა განსხვავებულია. დაიცავით უწყვეტი პრეზენტაციის რეკომენდებული ხანგრძლივობა.

— ხშირად წაახალისეთ მოსწავლეები, დაეხმარეთ მათ თვიშეფასების ამაღლებაში, ამით ხელს შეუწყობთ პოზიტიური ემოციების გამოწვევას, შეფასება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზებას, შექმენით ემოციური კავშირი შესასწავლ მასალასთან, გამოიყენეთ ხელოვნება, როლური თამაშები, მუსიკა და ა.შ.

— წაახალისეთ კრეატიულობა, შექმენით უკუკავშირი.

— ხშირად გამოიყენეთ ტვინში ვიზუალური და სიტყვიერი სიგნალების მიმწოდებელი მეთოდები.

— სწავლა ტვინთან დაკავშირებული ენერგოტევადი პროცესების ერთობლიობაა, ამიტომ გაითვალისწინეთ ბავშვის ჯანმრთელობის, ჰიგიენის, ჯანსაღი კვების საკითხები, შეუქმენით აქტიური ფიზიკური ცხოვრების და დასვენების პირობები.

— გაითვალისწინეთ, რომ არასათანადო დატვირთვა ხელს არ უწყობს ტვინის განვითარებას, ის ფერხდება იძულების, მუქარის პირობებში. ტვინის პოტენციალი ვითარდება ინტელექტუალურ სირთულეთა დაძლევით.

— გამოიყენეთ სკაფოლდინგი, დაყოფითი, პრაქტიკული მეთოდები. სწავლება გამოცდილებით, მულტისენსორუ-

ლი სწავლება, სცადეთ მეთოდთა კომბინირება.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ონიანი ბ., სწავლების მეთოდები და მეხსიერება, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტი". 3(56) თბილისი 2016 წ.
2. ჯანაშია ნ., ფიზიკური განვითარება. განვითარების და სწავლის თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2008 წ.
3. ნეფარიძე თ., ნეიროპედაგოგიკა, სწავლების არსებულ მეთოდების ვალიდაცია და ახალი მიდგომების დანერგვის პერსპექტივები. 2014 წ.
4. Andrea Garcia Cerdan, Всё о нейрообразовании: что это такое, для чего продназначено и как применять его методы в школе и дома.


## NEURO PEDAGOGICAL APPROACHES IN TEACHING


**Bakur Oniani**
Akaki Tsereteli State University



**Summary**

The neuro pedagogical approach in teaching involves considering the recent achievements of brain science, pedagogy, psychology, biochemistry and other sciences in teaching technologies. Consideration the importance of emotions, memory neurophysiological mechanisms, brain characteristics, nutrition, health, physical activity, relaxation and other issues.

# ბიოინდიკატორების უკეთ სწავლებისათვის

ბაკურ ონიანი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: bakur.oniani@atsu.edu.ge

*ბიოინდიკატორების გაგება–გააზრება მოითხოვს ბუნების კომპონეტებს შორის კავშირების დანახვას. ამ თემის ცოდნა მოსწავლეს საარსებო გარემოში მიმდინარე პროცესების ზოგადი შეფასების უნარებს უვითარებს. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება ჩვენი განათლების ერთ–ერთი გამოწვევაა, ამიტომ ამ მიმართულებით სწავლების ორგანიზების გაუმჯობესება და თემის სწავლების მეთოდური და შინაარსობრივი სრულყოფა გამოწვევის დაძლევის ერთ–ერთი გზაა.*

სკოლის დაწყებით საფეხურზე ბუნებისმცოდნეობის კურსში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გარემოსდაცვით სწავლებას, რომლის მთავარი მიზანია გარემოსადმი სწორი დამოკიდებულებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. სწავლებაში გადამწყვეტია სასწავლო რესურსები, რელევანტურად შერჩეული სწავლების მეთოდები და სწორად ორგანიზებული სწავლება. დიდია სასწავლო სახელმძღვანელოების როლი სწავლებაში. მეცნიერულლობა, მეთოდური გამართულლობა და მიწოდებული მასალის სირთულის მისადაგება მოსწავლის კოგნიტურ შესაძლებლობებთან სახელმძღვანელოს ძირითადი ღირსებებია. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოთა სერია მოწოდებულია ხელი შეუწყოს ბუნებისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, სპეციფიკურ უნარ–ჩვევების განვითარებას, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სერია მაინც პირველი თაობის გამოცემაა და საჭიროებს გარკვეულ მეთოდიკურ და აკადემიურ სრულყოფას. წინამდებარე ნაშრომში გამოთქმულია შენიშვნები და სურვილები ბიოინდიკატორების უკეთ სწავლებისათვის.

ბიოინდიკატორების შესწავლა ხელს უწყობს ბუნების ბიოტურ და აბიოტურ კომპონენტებს შორის კავშირების დანახვას, მათი ურთიერთდამოკიდებულების უკეთ გაგება–გააზრებას. ეს თემა ისწავლება ბუნების VI კლასის სახელმძღვანელოში (თავი ბუნების დაცვა), მას წინ უსწრებს ეკოლოგიის საკითხების სწავლება, რაც სწორად არის განსაზღვრული, რადგან ეკოლოგიის (ბიოტური და აბიოტური ფაქტორები, კვებითი ჯაჭვები და ქსელები) და გარემოს დაცვის საკითხების შესწავლა ქმნის აუცილებლად საჭირო წინარე ცოდნას ბიოინდიკატორების უკეთ შესწავლისათვის. აღნიშნული თემის სწავლება მასწავლებლისაგან მოითხოვს საკმაოდ მაღალ კომპეტენციებს ზოოლოგიაში, ბოტანიკასა და ეკოლოგიაში, აგრეთვე დაწყებითი საფეხურის ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით მოთხოვნილ კომპეტენციას (მეთო-

დურ ნაწილში) – საგაკვეთილო პროცესის ისე წარმართვის უნარს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების განვითარებას [1]. მეთოდური მითითებები ბიოინდიკატორების სწავლებისათვის საკმაოდ მწირია, ამიტომ თემის უკეთ სწავლებისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ გარკვეული დახმარება.

ბიოლოგიის და გარემოსდაცვითი თემატიკის სწავლების ორგანიზების ერთ–ერთი რელევანტური ფორმაა ექსკურსია. ექსკურსიები საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა ნატურალისტური იტელექტის განვითარებისათვის. საერთოდ ცოცხალ ბუნებასთან ურთიერთობის დეფიციტი სწავლების სუსტი მხარეა. ბავშვების მჭიდრო ურთიერთობა ბუნებასთან ხელს უწყობს მათში ბუნებისადმი ჯანსაღი დამოკიდებულების განვითარებას, ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ბაღებსა და ბუნებაში კარგად დაგეგმილი ექსკურსიები. ექსკურსიის დროს ბავშვები ფლორისა და ფაუნის ობიექტებს ეცნობიან ბუნებაში, უკეთ ეცნობიან ორგანიზმთა და გარემოს ფაქტორთა რთულ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც უმთავრესია ბიოინდიკატორების სწავლებისას.

კარგად დაგეგმილი ექსკურსიის დროს სწორადაა შერჩეული წელიწადის დრო, ადგილი, დღის ნაწილი, ამინდი და ბევრი სხვა ფაქტორი. მაგ. ლოკოკინებს და სხვა რბილტანიანებს უკეთ დავაკვირდებით ახალ ნაწვიმარზე. გაზაფხული ხელსაყრელი დროა მცენარეთა ყვავილებზე და ფრინველებზე დაკვირვებისათვის [2]. ამ დროს ბევრი ბუნებრივი ინდიკატორის ნახვა უშუალოდ ბუნებაში შეიძლება.

ტბის ან გუბურის სისუფთავის მნიშვნელოვანი ინდიკატორია მასში ორგანიზმთა მრავალფეროვნება, სუფთა ადგილებსა და ქალაქების შემოგარენში ამ თანასაზოგადოებების დათვალიერება/შესწავლა შესაძლებლობას იძლევა შევაფასოთ საფრთხეები, რომელსაც ადამიანის საქმიანობა უქმნის მათ, ამისათვის გუბურის წყალი მისი ფსკერის შლამთან ერთად ფრთხილად უნდა გადავიტანოთ წინასწარ მომზადებულ ქილებში და ლაბორატრიაში გამოკვლევის შემდეგ ერთმანეთს შევადაროთ ქალაქსა და ბუნებაში აღებული სინჯების სახეობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები. წყლის უხერხემლო ცხოველთა ბევრი სახეობა ხომ წყლის სისუფთავის ბუნებრივი ინდიკატორია.

ლაბორატორიული მუშაობა აგრეთვე მნიშვნელოვანი ფორმაა გარემოსდაცვით სწავლებაში. სწორად ორგანიზებული ლაბორატორიული მუშაობით უფრო კონკრეტდება თეორიული ცოდნა, უფრო სრულყოფილი ხდება წინარე ცოდნა–გამოცდილებით შექმნილი ცნების პროტოტიპი, უფრო იოლდება ბიოლოგიური ცნებების და ბუნების მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება [3]. ლაბორატორიული მუშაობა საინტერესოა იმითაც, რომ ხელს უწყობს აღმოჩენით სწავლას და სწავლას კეთებით, სრულყოფს ცნებებს და ავითარებს პრობლემის გადაჭრის უნარებს.

პარაგრაფში “ბიოლოგიური ინდიკატორები” გვხვდება ფორმულირება “ხალხური გადმოცემის მიხედვით ბაყაყების გაბმული ყიყინი ან მერცხლების დაბლა ფრენა წვიმის მომასწავებელია, ზოგიერთი მცენარე ნიადაგში სხვადასხვა ბუნებრივი საბადოს არსებობაზე მიგვანიშნებს” [4]. აქ ხალხურ ცოდნაზე დაყრდნობა თემის სწავლებისას უფრო შედეგიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ტექსტში (ან შეკითხვაში) მერცხლების ასეთი ქცევა ახ-

სნილი იქნებოდა მწერების ქცევით და წნევის ცვლილებით ატმოსფეროს ქვედა ფენებში, რითაც ბუნების კომპონენტებს შორის კავშირს ბავშვები გაცილებით თვალნათლივ დაინახავდნენ, აგრეთვე ბაყაყების ყიყინი უმეტესად გამრავლებასთან დაკავშირებული ქცევა და არა ამინდთან. რაც შეეხება “საბადოს” ბიოინდიკატორებს, უფრო ზუსტი იქნებოდა ისინი ნიადაგში რომელიმე ნივთიერების (ან ქიმიური ელემენტის) ჭარბი რაოდენობის ინდიკატორად განგვეხილა, რადგან როგორც წესი მცენარის ფესვი საბადოს სიღრმემდე ვერ აღწევს და საბადოს ინდიკატორი ვერ იქნება. აკადემიურად არაა გამართული ტექსტი: “წყლის სურო და სალვინია ტბის ზედაპირზე მოტივტივე მცენარეებია, მათი ფესვები წყალშია ჩაძირული და იქედან საჭირო საკვებ ნივთიერებებს იღებენ”, მაგრამ მოსწავლეებმა იციან, რომ საკვები ნივთიერებები მწვანე მცენარეთა ფოთლებში წარმოიქმნება ფოტოსინთეზის შედეგად, ხოლო ფესვით მცენარე მარილებს და წყალს იწოვს. აქვე სასურველი იყო გარკვეული ინფორმაციის ჩართვა ევტროფიკაციაზე, რომ ევტროფიკაცია წყლის ორგანიზმებში ბიოგენური ელემენტების დაგროვებაა, რაც საწყის ეტაპზე იწვევს წყალსატევის ბიოპროდუქტიულობის ზრდას, შემდეგ კი ჟანგბადის უკმარისობის გამო წყალსატევის ორგანიზმების დაღუპვას. ამიტომ მნიშვნელოვანია ბავშვებმა იცოდნენ, რომ წყალსატევის ამწვანება შეიძლება გამოწვეული იყოს ევტროფიკაციის საწყისი ეტაპით მასში. მცენარეთა მომატებული რაოდენობა წყალსატევებსა და მდინარეებში საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებით, შხამქიმიკატებით, სამრეწველო ჩამდინარე წყლებით და სხვა დამაბინძურებლებით მათი დაბინძურების მაჩვენებელია. წყალსატევების ევტროფიკაციის ძირითადი მიზეზი მაინც მათში სასუქების მოხვედრაა, რაც წყლის მცენარეების გაძლიერებულ ზრდას იწვევს და ხდება ორგანული და მინერალური ნივთიერებების დიდი რაოდენობით დაგროვება.

ამავე პარაგრაფში მაგალითად მოყვანილია ლიქენები/მღიერები, როგორც რადიაციის ინდიკატორები. თემა მეთოდიკურად ვერ არის გამართული, რადგან არც მღიერებსა და არც რადიაციაზე მოსწავლეებს არ აქვთ წინარე ცოდნა (რადიაციაზე მოგვიანებით არის საუბარი ამ სახელმძღვანელოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების თავში).

ცნობილია, რომ ქალაქის დაბინძურებული გარემოს კარგი ბიოინდიკატორებია უხერხემლო ცხოველები. საერთოდ ცნების ბევრი მაგალითის მოყვანა ხელს უწყობს მის გაგებას, ამიტომ სასურველია მეტი მაგალითის მოყვანა სახელმძღვანელოში, ამასთან ერთად უნდა განიმარტოს, რომ ეკოლოგიური სისტემებიდან (მაგ. ტბა, ჭაობი, მინდორი და ა.შ.) რომელიმე სახეობის გაქრობის მიზეზი შეიძლება იყოს გარკვეული ბიოტური თუ აბიოტური ფაქტორი ან მათი ერთობლიობა და არამარტო მისი დაბინძურება. ამ თემაზე შეიძლება შევთავაზოთ ზემოთხსენებული ლაბორატორიული მუშაობა სუფთა და დაბინძურებული წყლების ბიომრავალფეროვნების კვლევა/შედარებაზე.

პარაგრაფში მხოლოდ ორი სავარჯიშოა, რომელთაგან ერთ–ერთი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: “გამოჰკითხე უფროსებს და დაადგინე, რომელი ორგანიზმებია მათთვის ცნობილი, როგორც ბიოლოგიური ინდიკატორები, გარემოს რა ცვლილებების დასადგენად გამოიყენება ისინი? ასეთი შეკითხვა ცოდნის შევსებისა

და განმტკიცებისათვის, ბიოინდიკატორებზე უფროსების ცოდნის გათვალისწინებით, სავარაუდოდ ნაკლებად შედეგიანია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თბილისი 2014.
2. ონიანი ბ.გ., – ექსკურსია, როგორც ნატურალისტური ინტელექტის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგია და მისი დაგეგმვის დროს გასათვალისწინებელი ზოგიერთი საკითხი აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტი, VI საერთაშორისო სამეცნიერო–მეთოდური კონფერენციის შრომები. ქუთაისი 2015.
3. ჯანაშია ნ., კონსტრუქტივიზმი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბ. 2009.
4. ბლიაძე მ., ახვლედიანი რ., კერესელიძე დ., ბუნება. თბილისი 2011.


**For the Better Teaching of Bioindicators**


**Bakur Oniani**

Akaki Tsereteli State University


**Summary**


Understanding and realizing of bioindicators require to see a link between nature components. Knowledge of this topic develops the general assessment skills of the processes in the living environment. Environmental awareness raising is one of the challenges of our education, therefore, improving the teaching organization in this direction and methodological and content improvement of the topic teaching is one of the ways to overcome the challenge

# მიწისძვრის ბიოლოგიური წინამორბედების შესაძლო კავშირი გეოფიზიკური ველების ცვლილებებთან

ლეონარდო ხვედელიძე აკაკი. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**E-mail: l_xvedelidze@mail.ru**

*ნაშრომში ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია მძლავრი მიწისძვრის წინა პერიოდში ბიოსფეროში დაფიქსირებული ანომალიები. ამ ანომალიების ასახსნელად შემოთავაზებულია შესაბამისი ფიზიკური მოდელი, რომელიც დამაკმაყოფილებლად აღწერს დამზერილ შეშფოთებებს. გამოთქმულია მოსაზრება მიღებული შედეგების ჩართვისათვის შესახებ მიწისძვრის პროგნოზის სისტემაში.*

ცნობილია, რომ მიწისძვრები ძირითადად განპირობებულია ტექტონიკური ფილაქნების მოძრაობით. მძლავრი მიწისძვრების მომზადების დროს გეოლოგიურ სტრუქტურებში წარმოიქმნება გიგანტური მექანიკური დაძაბულობები, რაც პიეზოელექტრული ეფექტის შედეგად იწვევს ელექტრული ველის წარმოქმნას; შედეგად იცვლება იონოსფეროში დამუხტული ნაწილაკების მოძრაობები, ასევე იცვლება ელექტრომაგნიტური ველის მახასიათებელი პარამეტრები. ამ პერიოდში მოცეულ რეგიონში გეომაგნიტური ველის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ტექტონიკური ფილაქნების მოძრაობა.

ნაშრომში განხილულია გეოფიზიკური ველების შესაძლო ზემოქმედება ადამიანზე და მთლიანად ბიოსფეროზე, რასაც ადასტურებს მოყვანილი ექსპერიმენტული მონაცემები. აქვე წარმოდგენილია ერთი ფიზიკური მოდელი, რომლითაც შესაძლებელია აიხსნას განხილული ექსპერიმენტული მონაცემები. ნაშრომში წარმოდგენილი მასალა გაანალიზებულია თანამედროვე სეისმოლოგიური მონაცემების და თეორიული წარმოდგენების გათვალისწინებით, რაც საშუალებას იძლევა ახსნილი იქნას არსებული ექსპერიმენტული მონაცემები.

ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ მძლავრი მიწისძვრის წინა პერიოდში, მიწისძვრამდე რამდენიმე საათით და დღით ადრე შესაძლებელია ძუძუმწოვრებმა, მათ შორის ადამიანმა, იგრძნოს გარკვეული შეშფოთებული ან აღგზნებული მდგომარეობა, რაც არაერთჯერ იქნა დაფიქსირებული სხვადასხვა სეისმოაქტიურ რეგიონებში. ანალოგიური შედეგი მიღებული იქნა ჩვენს მიერაც [1].

მძლავრი მიწისძვრის წინა პერიოდში მეცნიერების მიერ არაერთჯერ იქნა დაფიქსირებული ბიოსისტემების ანომალური ქცევა [1-3]. დადგენილი იქნა, რომ სეისმოაქტიურობის პერიოდში ორგანიზმში ფუნქციური დარღვევები შეიძლება ახსნილი იქნას ნაშრომი [2]-ში მოყვანილი შედეგების შესაბამისად. კერძოდ, დადგენილი იქნა, რომ შესაძლებელია ორი ტიპის ზემოქმედება: 1) მიწისძვრის წინა პერიოდში გამოყოფილი მავნე აირების (რადონი, ოზონი, ნახშირორჟანგი და ა. შ.) ზეგავლენა ბიოსისტემებზე; 2) მომატებული ელექტრომაგნიტური ველის ზეგავლენა ადამიანსა და, ზოგადად, ბიოსისტემებზე. კერძოდ, ადამიანის ნერვულ - ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და სხვადასხვა ორგანოებზე.

როგორც ცნობილია, სეისმოაქტიურობის პერიოდში ორგანიზმში ფუნქციონა-

ლური დარღვევები შეიძლება აიხსნას ელექტრომაგნიტური, აკუსტიკური თუ სხვა ველის ანომალური ცვლილებების რეზონანსული ზემოქმედებით. გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების პერიოდში ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაში გამოვლენილი გადახრების ასახსნელად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ფიზიკური მოდელი: გულის კუნთის მუშაობა და სისხლის სიბლანტე მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლის პლაზმის ელექტროლიტურ შემადგენლობაზე, კერძოდ, კალციუმის იონების კონცენტრაციაზე. ელექტრომაგნიტური და სხვა სახის გამოსხივების მკვეთრი ცვლილებების დროს მცირდება კალციუმის იონების შემცველობა, როგორც სისხლში, ასევე უჯრედთაშორის სითხეში, რაც იწვევს უჯრედთაშორისი მემბრანების განვლადობის მკვეთრ მატებას, ნერვული უჯრედების აგზნებას, ნერვული იმპულსის წარმოქმნას.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება [4], რომ მძლავრი მიწისძვრების პერიოდში სხვადასხვა გეოქიმიური კომპონენტების (რადონი, ოზონი, ნახშირორჟანგი), ასევე გეომაგნიტური ველის დაძაბულობის, მკვეთრი მომატება აუცილებლად გამოიწვევს ბიოსფეროში სხვადასხვა სახის შეშფოთებებს, რაც დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნული ორივე ფაქტორის გავლენაზე. კერძოდ, მძლავრი მიწისძვრის მომზადების პერიოდში ნიადაგისეულ ქანებში მექანიკური დაძაბულობის მკვეთრი მატების დროს გამოვლინდება მათში არსებული კვარცის პიეზოელექტრული თვისებები; ამიტომ ამ ქანებში ადგილი აქვს ელექტრულ განმუხტვებს, რის შედეგად წარმოიქმნებიან დადებითად დამუხტული მყარი ნაწილაკები, რომლებიც ნაპრალების გავლით ნიადაგიდან გამოიტყორცნებიან, როცა ეს ნაწილაკები (აეროზოლები) ჰაერთან ერთად მოხვდებიან ორგანიზმში, იწყება ნერვული მედიატორის - სეროტორინის ჭარბი გამოყოფა. ამის შედეგად ადამიანები უჩივიან გულს, ეწყებათ თავის ტკივილი, გულის ხუთვა, ცხოველები ხდებიან მოუსვენარი და ტოვებენ იმ ადგილს, სადაც გროვდება დადებითად დამუხტული აეროზოლები.

ცალკე აღსანიშნავია ელექტრომაგნიტური გამოსხივების შესაძლო ზეგავლენის დადგენა. კერძოდ, არ უნდა დაგვავიწყდეს გეომაგნიტური ველის სწრაფი ვარიაციების ზემოქმედება ბიოსისტემებზე. ასეთი ზემოქმედება ცხადია, ზეგავლენას მოახდენს პირველ რიგში ე. წ. ბიორითმებზე. სწორედ ასეთი სახის ზეგავლენა უნდა იყოს მიზეზი ზემოთ განხილული საკითხის შესწავლისას გათვალისწინებული.

ამრიგად, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ჩვენს რეგიონში ფართო მასშტაბით წარიმართოს სამუშაოები მიწისძვრის ბიოლოგიური წინამორბედების კვლევის საქმეში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სეისმოაქტიურ რეგიონებში ჩვენ არ გვაქვს ერთნაირი შეშფოთებული სურათი. მსგავსი შედეგები მიღებული იქნა არაერთჯერ, მაგრამ აუცილებელია ჩატარდეს შესაბამისი სახის გაზომვები შესაბამის სეისმოაქტიურ რეგიონში, რათა შესაძლებელი იყოს მიწისძვრის მოკლევადიანი წინამორბედების დროული რეგისტრაცია და ჩართვა მიწისძვრის პროგნოზის საკითხის გადაწყვეტაში.

**ლიტერატურა**

1. ხვედელიძე ლ. - სამეცნიერო ჟურნალი ,,ხანძთა." № 9(14). გვ. 147 – 149, 2014
2. Рикитаке Т. – Предсказание землетрясений.

М. 1979
3. Козырева Л. И. – ДАН России. Т. 332. № 4. С. 505 – 508. 1993
4. ადეიშვილი თ. ხვედელიძე ლ. მამაგეიშვილი ი. – რესპუბლიკური V სამეცნიერო კონფერენცია (მასალები). ქუთაისი. გვ. 133 – 137. 1997 წ.

## EARTHQUAKE BIOLOGICAL PRECURSORS OF A POSSIBLE LINK BETWEEN CHANGES IN GEOPHYSICAL FILDS

**L. Khvedelidze**
The Kutaisi state University of A. Tsereteli

**Summary**

In this paper, based on the experimental material for the study of a powerful earthquake in the previous period the anomalies observed in the biosphere. To explain these anomalies corresponding physical model is proposed, which satisfactorily describes the observed disturbance.

The results obtained suggerst the possible indvement of an earthquake prediction system.

# შინაარსი


ვახტანგ კვანტიძე, ირინე პიტავა – ქალაქებში ფოთლების დაწვით გამოწვეული მავნე შედეგები ადამიანის ჯანმრთელობაზე და ეკოსისტემებზე ______ 6

მარინა კუცია – აზიური ფაროსანას გავრცელება დასავლეთ საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ______ 9

**В. Рухадзе, И. Камушадзе, Н. Хабурдзаниа – РАЗМЕРЫ ПОР СЕМЯН ТУНГА (ALEURITES FORDII)** ______ 14

მთვარისა ზაუტაშვილი, ელზა ბიწაძე, ლია ჯანაძე – ონლაინ ტურიზმი საქართველოში ______ 18

გოდერძი თევდორაძე – კარლ იასპერსის „ღერძული დრო” და ისტორიის საზრისის საკითხები ______ 21

ღვინჯილია ლედი – სილიკონის ველები ______ 25

მადონა ხუსკივაძე – ლიზინგი – გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებათა ეკონომიის გზა ხისდამამუშავებელ მრეწველობაში ______ 28

ხათუნა აფრიდონიძე – თვალსაჩინოების როლი ისტორიის სწავლების პროცესში ______ 32

ეთერ ბრეგაძე – ბგერათა რედუქციის შესახებ ქართულ ენაში ______ 35

**Mzisadar Gabrichidze – PROJEKTORIENTIERTES LERNEN IM FREMDSPRACHEN DEUTSCHUNTERRICHT** ______ 38

ნინო გელენიძე – სამოციანელები და პიროვნების განვითარების თანამედროვე სტრატეგიული მიზნები ______ 40

ირინე გოგიბერიძე – აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“ ______ 44

ნატო დათუსანი – კვების ჰიგიენის მნიშვნელობის განხილვა კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფციის გამოყენებით ______ 49

ნათია დევიძე – როგორ გავზარდოთ დამრიგებლის როლი წიგნიერების დონის ასამაღლებლად დაწყებით კლასებში ______ 52

ნატო დვალი – გიორგი თავზიშვილი ქალთა განათლების შესახებ ______ 57

ხათუნა ზურაბიანი – ეთნოკულტურული კომპონენტის გამოყენება ქიმიის გაკვეთილებზე ______ 60

მარიამ კაპანაძე, ირინე პიტავა – წარსულის გამოცდილება თანამედროვე პედაგოგიკაში ______ 63

**Людмила Кахадзе – УРОК ПОВТОРЕНИЯ** ______ 69

თამარი შანიძე – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოსა და რესურსების ეფექტურობა ______ 73

თამარი შანიძე – დიფერენცირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში _______________ 77

**Цхададзе Елена – ШКОЛА И РОДИТЕЛИ** _______________ 80

მერაბ ბარათაშვილი – პროექტირების სტადიაზე ტექნიკურ– ეკონომიკური პარამეტრების მეშვეობით საავტომობილო გზის ეფექტურობის შეფასება. _______________ 86

**Гветадзе Владимир, Пурцхванидзе Гиорги – ПЕРСПЕКТИВЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ АЛЬТЕРНАТИВНЫ ТОПЛИВ В ТРАНСПОРТНЫХ ДИЗЕЛЯХ** _______________ **89**

ალექსანდრე კამლაძე, ისიდორე კაჭახიძე, ავთანდილი გელაშვილი – **P _ n** გადასვლის თერმოელექტრული ეფექტის გამოყენება საავტომობილო ტრანსპორტზე _______________ 93

გულადი ლიპარტელიანი, ვაჟა წიქვაძე – მერქანბურბუშელოვანი ფილების წარმოებაში მასალატევადობის გაზრდის მიზეზების ანალიზი _______________ 96

**Пурцхванидзе Гиорги, Гветадзе Владимир – ТЕХНОЛОГИЧЕСКИЙ ВЗРЫВ И АВТОМОБИЛИ** _______________ 101

ვასილ წიქვაძე, მადონა ხუსკივაძე, გულადი ლიპარტელიანი – დაბალტოქსიკური მერქანბურბუშელოვანი ფილების წარმოება დაბალმოლური ფისების ფუძეზე _______________ 105

მამული ბუჭუხიშვილი, დათუნა ჯოხაძე, მანანა ძიგვაშვილი – წარმოებულის მექანიკური შინაარსი _______________ 110

მამული ბუჭუხიშვილი, თეიმურაზ გიორგაძე – საინტერესო რიცხვები ალგებრაში _______________ 114

თეიმურაზ გიორგაძე, მამული ბუჭუხიშვილი – ძირითადი ამოცანები პროცენტებზე _______________ 118

ინგა კახიანი – სწავლება მომავლისათვის _______________ 122

ინგა კახიანი – ვიდეო-ეფექტური სასწავლო რესურსი. _______________ 124

მზია მამასახლისი – ამოცანები პროპორციულ დამოკიდებულებაზე _ 126

ონისე რამიშვილი, გურანდა რამიშვილი – ოთხი წერტილის ფარდობა 130

ონისე რამიშვილი, ინგა რამიშვილი – სამი წერტილის ფარდობა _____ 132

ონისე რამიშვილი, თამარი აბულაძე – ევკლიდური სივრცის გაფართოება _______________ 135

ეთერი ფოფხაძე – გეომეტრიული ობიექტებისა და გრაფიკული გამოსახულებების აღწერის ხერხები _______________ 139

მ. ხუნჯუა – რიცხვითი მწკრივის სწავლება საინჟინრო სპეციალობებზე _______________ 142

ფრიდონ ბასილაია – სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და სახეები _______________ 146

ავთანდილ ბუცხრიკიძე – ანტიგლობალისტთა მოძრაობა და იდეოლოგია _______________ 154

გიგა გვენცაძე – პოლიტიკური პრაგმატიზმის დამკიდრება თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში _______________ 158

გიგა გვენცაძე – სამოქალაქო საზოგადოება _______________ 161

თამაზ გოგბერაშვილი – გლობალიაცია და საქართველოს გეოეკონომიკური თავისებურებები _______________ 164

თამაზ გოგბერაშვილი – პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელები პოლიტიკის თეორიაში ____ 169
ირმა გოგოლიძე – ცივილიზაციის, ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ცნებების თანაფარდობა თანამედროვე სამყაროში ____ 175

რობერტ გოლეთიანი, ანა ბუაჩიძე – მხატვრული რეალობის საკითხისათვის (ზოგიერთი ასპექტი) ____ 179
თინათინ კოსტავა, ოთარ ჭუმბურიძე – ადამიანის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში ____ 181
ეთერ ორმოცაძე – მიზეზობრივი დეტერმინაციის სპეციფიკა ____ 186
ვასილ ფერაძე – საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფორმირების პროცესი ____ 191
თინათინ აფრიდონიძე – თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ____ 198
თინათინ აფრიდონიძე, ხათუნა აფრიდონიძე – მოტივაციის ამაღლება სწავლა-კეთების დროს ისტორიაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ინტეგრირების შედეგად ____ 201
სოფიო ფანჩულიძე – პედაგოგიკა, როგორც ხელოვნება დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში ____ 204
თაისა გრძელიძე – ფარისებრი ჯირკვლის კიბო ____ 210
თენგიზ ლობჟანიძე, ზურაბ გვეტაძე – პლაზმოლიფტინგი **(PLASMOLIFTING)** ____ 214
თენგიზ ლობჟანიძე, სალომე სილაგაძე – ომალადორი ____ 217
ნატო ჩხარტიშვილი, ნათელა ღვინიანიძე – ტყუპების ფენომენი ____ 221
ნატო ჩხარტიშვილი, ნათელა ღვინიანიძე – იშვიათი გენეტიკური დაავადება – პროგერია ____ 224
ნათელა ღვინიანიძე, ნატო ჩხარტიშვილი, გიორგი ფორჩხიძე – ცოფი, პრევენცია და პროფილაქტიკა ____ 227
მაგდანა ჯიქია – ტვინის საკვები ნივთიერებები ____ 229
ელენე გეგეშიძე – ცივილიზაციურ კულტურათა დიალოგი ____ 234
ირმა გოგოლიძე – ახლო აღმოსავლეთი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში ____ 240
მაგდა ზარანდია, ირინე პიტავა – ფერიცვალება. გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „თევზის წერილები" (გააზრებისთვის) ____ 247
რუსუდან მიქაუტაძე – „ქალთა სუფრაჟისტული ისტორია" და მისი როლი ქალთა მოძრაობის განვითარებაში ____ 252
მადონა ნიჟარაძე-ფანჩულიძე – ქართული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ (1918-1921) რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების პოზიციის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით ____ 259
მადონა რობაქიძე – იოჰან გიულდენშტედტის ცნობები ქუთაისის შესახებ ____ 264
იზოლდა რუსაძე – პოეტი ლადო ასათიანი და პროფესორ მიხეილ ალავიძის "ლეჩხუმური ლექსიკონი" ____ 270

გალაქტიონ სვანიძე – ყივჩაღთა საკითხი დავით აღმაშენებლის ეპოქაში 273
გიგა ქამუშაძე – თურქული ენის გავლენის შედეგებისათვის მუჰაჯირთა ქართულ მეტყველებაზე 280

ვახტანგ შარაძენიძე – საქართველო (ამიერკავკასია) ძველი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების გეოპოლიტიკაში (აქადის, ურის III დინასტიის, ძველი ბაბილონის, ხეთებისა და ხური-მითანის იმპერიები) 284
ვერა წერეთელი – ელინისტური ლიტერატურის ზოგიერთი საკითხისათვის 294
თამარ აბულაძე, ინგა რამიშვილი – სოციალური ქსელების დადებითი და უარყოფითი მხარეები 298
ელზა ბიწაძე, მთვარისა ზაუტაშვილი, ლია ჯანაძე – ნავთობკომპანიის მონაცემთა ბაზის დაპროექტება 301
რუსუდან თავიდაშვილი, ვახტანგ კვანტიძე – ეკოლოგიური და ზნეობრივი აღზრდის სისტემურობა და უწყვეტობა 303
**Квернадзе Изольда – ЗНАЧЕНИЕ СОВРЕМЕННОГО КУРСА НАЧЕРТАТЕЛЬНОЙ ГЕОМЕТРИИ В УСЛОВИЯХ 3D КОМПЬЮТЕРНЫХ ВОЗМОЖНОСТЕЙ** 306
ჩხარტიშვილი ნატო, ღვინიანიძე ნათელა, ჯგერენაია ანა – გარემოს დამაბინძურებელი ტოქსიკური მძიმე მეტალები 308
ნოდარ ცირეკიძე – შიგა წნევით დატვირთული რბილი ცილინდრული პანელის მდგრადობა 311
ნოდარ ცირეკიძე – ბრუნვითი რბილი გარსების გაანგარიშება 314
დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე – სამეურნეო ოპერაციების ეკონომიკური შინაარსით აღრიცხვა და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში 317
ბაკურ ონიანი – ნეიროპედაგოგიკური მიდგომები სწავლებაში 322
ბაკურ ონიანი – ბიოინდიკატორების უკეთ სწავლებისათვის 326
ლეონარდო ხვედელიძე – მიწისძვრის ბიოლოგიური წინამორბედების შესაძლო კავშირი გეოფიზიკური ველების ცვლილებებთან 329

ქაღალდის ზომა 1/8
ნაბეჭდი ფორმა 20,5

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დაკაბადონება ლევან იობაძე

კრებული დაიბეჭდა ი.მ. "ნათია ტორაძის" მიერ

ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 98.
ტელ. (0431) 22-21-46; 599 18-20-98
E-mail: levanistamba@rambler.ru